

წარსულის  
კვალდაკვალ

მემუარები, პუბლიცისტიკა

თამარ ცინცაძე





თამარ ცინცაძე

წარსულის  
კვალდაკვალ

მემატიკა, პუბლიცისტიკა

თბილისი 2023



## ექვნება ჩემს მშობლებს

მამას – კლავდი ბიორბის-ძე სენკავიჩს,  
იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ ინჟინერს, დიდი პოლონელი  
მწერლის, აღიარებული კლასიკოსის, ლიტერატურაში ნობელის  
პრემიის ლაურეატის (1905) ჰენრიკ სენკევიჩის შთამომავალს

დედას – ზინაიდა არჯვანის-ასულ ბოლქვადეს,  
საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, უკეთილშობილეს  
ქალბატონს, ვისმა უსაზღვრო სიყვარულმა და ზრუნვამ გამხადა ის,  
ვინც ვარ დღეს

## *Dedicated to my parents*

*Father – KLAVDY SENKEWICH (SIENKIEWICZ),  
talented engineer, descendant of great Polish novelist Henryk Sienkiewicz,  
Nobel Prize Laureate in Literature (1905)*

*Mother – ZINAIDA A. BOLKVADZE,  
Honored Engineer of Georgia, most noble lady, whose undivided love and  
care helped me become what I am at present*

## *Посвящается моим родителям*

*Отцу — КЛАВДИЮ ГЕОРГЕВИЧУ СЕНКЕВИЧУ,  
одарённому инженеру, потомку великого польского классика Генрика  
Сенкевича, Лауреата Нобелевской Премии по литературе (1905)*

*Матери — ЗИНАИДЕ АРДЖЕВАНОВНЕ БОЛКВАДЗЕ,  
Заслуженному инженеру Грузии, благороднейшей женщине, чья  
любовь и забота позволила мне стать тем, кто я есть*

წარსულის კვალდაკვალ  
მემაღრები, პუბლიცისტიკა

FROM THE DEPTHS OF MY MEMORY

memories, publications

ПО ТРОПАМ МОЕЙ ПАМЯТИ

мемуары, публикации

რედაქტორი: მანანა ხომერიკი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორის მოადგილე: პაატა ცინცაძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დიზაინერი: ივანე კიკნაძე

ფოტომასალა: იური მეჩითოვი, მაია დეისაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამარ ჩიხლაძე

წინასიტყვაობა: თამარ ცინცაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ბოლოსიტყვაობა: ბელა ალანია, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი

დიდ მადლობას ვუხდის ყველას, ვისი მხარდაჭერა მექონდა ამ წიგნის შექმნის პროცესში. მათი მხარდაჭერის გარეშე მე გამიჭირდებოდა ამ ნაშრომის შექმნა.

აი მათი სახელები:

**რომან შაქარიშვილი** – აკადემიკოსი, ექიმი და იშვიათი ინტელექტუალი

**მანანა ხომერიკი** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

**პაატა ცინცაძე** – პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**ნუგზარ რუხაძე** – ჟურნალისტი, პოლიტოლოგი

**იური მეჩითოვი, მაია დეისაძე** – ფოტოხელოვანები

**თენგიზ მალანია** – კინოდოკუმენტალისტი

**ბელა ალანია** – პროზაიკოსი და პოეტი

**დოდო ახვლედიანი, მაკა ოსიშვილი** – ჟურნალისტები

**მარინა სირბილაშვილი** - ექიმი

ჩემი მეგობრები, რომლებსაც არაერთხელ უთხოვიათ ჩემთვის სხვადასხვა ეპიზოდების გამოქვეყნება.

*წიგნში გამოყენებულია მასალები საოჯახო არქივიდან და საქ. დიპლომატიური აკადემიის არქივიდან*

**ნაწილი პირველი**

ავტობიოგრაფიული ნარკვევები, მოგზაურობები, შეხვედრები...

**PART ONE**

Authobiographical sketches, travels, meetings...

**ЧАСТЬ ПЕРВАЯ**

Автобиографические зарисовки, путешествия, встречи...

*17*

**ნაწილი მეორე**

ქართველი და უცხოელი ავტორები თამარ ცინცაძის შესახებ

**PART TWO**

Georgian and foreign authors about Tamar Tsintsadze

**ЧАСТЬ ВТОРАЯ**

Грузинские и зарубежные авторы о Тамаре Цинцадзе

*115*

**ნაწილი მესამე**

ჩემი სტატიები ჩემს მიერ შეგროვებულ კოლექციებზე

**PART THREE**

My articles about art and my collections of artefacts

**ЧАСТЬ ТРЕТЯЯ**

Мои статьи об искусстве и собранных мною коллекциях

*159*

**ნაწილი მეოთხე**

სხვადასხვა წლების პუბლიცისტიკა

**PART FOUR**

Literary criticism – articles written in various years

**ЧАСТЬ ЧЕТВЁРТАЯ**

Публицистика разных лет

*209*

**ნაწილი მხუთა**

ორგანიზაციები, რომლებთანაც ვთანამშრომლობდი ან ვარ დაკავშირებული

**PART FIVE**

Institutions which I created, with which I cooperated

**ЧАСТЬ ПЯТАЯ**

Организации, которые создавала и с которыми сотрудничаю

*345*





|                     |    |
|---------------------|----|
| წინასიტყვაობა ..... | 11 |
| Foreword .....      | 13 |
| Предисловие .....   | 14 |

## ნაწილი პირველი

თითქმის ავტობიოგრაფიული

|  |    |
|--|----|
| ქალი თანამედროვე სამყაროში.....                            | 19 |
| Something Personal and Social Too.....                     | 26 |
| Selfintroduction .....                                     | 29 |
| Women University Presidents' Mission and Social Role ..... | 30 |
| დედა .....   | 34 |
| პატარა მოსწავლე .....                                      | 35 |
| მორისი, ლარისა და ძველი ეზო .....                          | 36 |
| ეპიზოდი დიპლომატებთან ურთიერთობიდან.....                   | 37 |
| მოგონებანი ბრაზილიაზე.....                                 | 37 |
| ცოტა რამ ინდოეთზე .....                                    | 42 |
| ინდოეთში ერთერთი მგზავრობის ეპიზოდი .....                  | 43 |
| კიდევ ერთი ეპიზოდი ინდოეთში ცხოვრებიდან .....              | 44 |
| აია-სოფია, სტამბოლი.....                                   | 45 |
| ჩინეთში ყოფნის ერთი ეპიზოდი.....                           | 46 |
| კონფუცი.....   | 47 |
| მოგონებები ინგლისზე.....                                   | 48 |
| ეშვილი.....  | 49 |
| ქართული ექსპოზიცია ნიუ-იორკის მუზეუმში.....                | 50 |
| ეზოთერიკოსი კალიფორნიაში .....                             | 51 |
| როგორ დაიბადა ერთი სტატია სამშობიაროში.....                | 53 |
| პარლამენტის არშემდგარი დეპუტატი.....                       | 53 |
| „დათა თუთაშხია“ რუსეთში .....                              | 55 |
| სანავია .....  | 56 |
| ყოფნა-არყოფნის ზღვარზე .....                               | 56 |
| მეგობრები.....   | 57 |
| An Episode from the Past .....                             | 64 |
| A Glimpse of the Past.....                                 | 65 |

|  |    |
|--|----|
| Memorable Images and Episodes of the Past.....                       | 66 |
| Story of an exceptional event in the UN .....                        | 67 |
| ვაშინგტონური ჩანაწერები .....  | 68 |
| ვაშინგტონური ჩანაწერები .....  | 76 |
| აშშ-ში 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნები: სახეები და სიტუაციები ..... | 89 |

## ნაწილი მეორე

ქართველი და უცხოელი ავტორები თამარ ცინცაძის შესახებ

მოწვევის წერილები მოსკოვისა და ამერიკის უნივერსიტეტიდან  
 ლექციების წასაკითხად და კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად

|  |     |
|--|-----|
| ცნობილი ამერიკანისტის, პროფ. იასენ ნ. ზასურსკის<br>წერილი-რეკომენდაცია (სამ ენაზე) ..... | 117 |
| ამერიკელი მწერალი ელტონ ფაქსი თ. ცინცაძის შესახებ .....                                  | 120 |
| ამერიკელი პროფ. ჯეკ ზოლცმანის წერილი (ორ ენაზე) .....                                    | 128 |
| ამერიკელი პროფ. ბეტი ოვერტონის წერილი (ორ ენაზე).....                                    | 130 |
| ამერიკელი პროფ. ჯონ ჩაილდსის წერილები (ორ ენაზე) .....                                   | 132 |
| ამერიკელი პროფ. უილიამ ფერისის წერილი (ორ ენაზე).....                                    | 134 |
| ამერიკელი პროფ. მაურინ გოლდმანის წერილი (ორ ენაზე).....                                  | 136 |
| ამერიკელი პროფ. ჯეიმს კრიჩლოუს წერილი .....  | 138 |

|  |     |
|--|-----|
| ამონარიდები ცნობილი ჟურნალისტის, ნუგზარ რუხაძის სტატიებიდან<br>From articles by Nugzar Ruhadze ..... | 139 |
| წიგნიდან „ასი ქართველი ქალი“ .....   | 140 |
| არატიპიური ოჯახის დიასახლისი .....   | 144 |
| «Портрет в интерьере»: Тамара (Тамрико) Цинцадзе –<br>«Её дела – её богатство» .....                 | 148 |
| „Не делай другому того, чего не желаешь себе“ .....  | 153 |
| На всемирном форуме в Китае .....  | 155 |

## ნაწილი მესამე

სტატიები ჩემს მიერ შებოძებულ კოლექციებზე

|                                |     |
|--------------------------------|-----|
| ერთი კოლექციის ისტორია.....    | 161 |
| ჩემი კოლექციების შესახებ ..... | 163 |

|   |     |
|---|-----|
| О художниках, представленных в моей коллекции живописи.....         | 164 |
| History of One Collection.....                                      | 165 |
| Edisher Baramidze .....   | 169 |
| ედიშერ ბარამიძის მოგონება .....                                     | 170 |
| Edisher Baramidze – an Artist and a Person.....                     | 173 |
| Штрихи к портрету художника.....                                    | 175 |
| ჩინეთი: წარსულისა და მომავლის თავშესაყარი .....                     | 178 |
| China: the Junction of Past and Future .....                        | 181 |
| About Art Gallery „Tamarisi“.....                                   | 193 |
| სამხატვრო გალერეა „თამარისი“.....                                   | 194 |
| Art Gallery „Tamarisi“.....   | 195 |
| Лия Сванидзе: ностальгия.....                                       | 196 |
| როგორ ვატხოვებდი ლია სვანიძეს .....                                 | 198 |
| Тамара Цинцадзе: „Моя работа, моя галерея — это мой микромир“ ..... | 199 |
| Портрет художника в интерьере .....                                 | 202 |
| Объединим усилия и сотворим добро .....                             | 205 |
| Памяти Лали Шиукашвили-Конлан .....                                 | 206 |

## ნანილი მეოთხე

სხვადასხვა წლების კუბლიცისტიკა

|   |     |
|---|-----|
| იოანე ჰავლე მეორე: ისტორია და თანამედროვეობა .....                                  | 211 |
| ხასილები: ფილოსოფია და ცხოვრებისეული მრწამსი.....                                   | 235 |
| კლოდ მაკეი.....   | 243 |
| რალფ ელისონი და მისი „უჩინარი ადამიანი“ .....                                       | 255 |
| Pre-Renaissance and the Black Renaissance .....                                     | 274 |
| ენა როგორც ადამიანთა ისტორიის ანარეკლი .....  | 278 |
| ინგლისური ენა თანამედროვე სამყაროში .....   | 285 |
| აშშ: ენა და რეგიონალიზმის პრობლემა .....  | 293 |
| აფრო-ამერიკელი ქალი-მწერლები და 1970-იანი<br>და 1980-იანი წლების ლიტერატურა.....    | 309 |
| African-American Women Writers<br>and the Literature of the 1970’s and 1980’s ..... | 310 |
| Судьба художника и его творения:<br>„Тростник“ Джина Тумера .....                   | 318 |
| Поэтика Каунти Каллена.....   | 331 |

## ნაწილი მეხუთე

ორგანიზაციები, რომლებიც ღვაწაფუძნე, რომლებთანაც  
ვთანაშრომობდით ან ვარ დაკავშირებული

|   |     |
|---|-----|
| საქართველოს დიპლომატიური აკადემია –<br>იშვიათი სასწავლებელი საქართველოში .....  | 349 |
| დიპლომატიური აკადემია –<br>არატიპიური, სხვათაგან გამორჩეული .....   | 352 |
| დიპლომატიური აკადემია –<br>მომავლის სასწავლებელი .....  | 354 |
| Академия празднует свой юбилей.....   | 356 |
| First Ambassador Gets Honorary Doctorship.....  | 358 |
| დიპლომატთა დიდი სამჭედლო.....   | 359 |
| Дипломатической Академии – 10 лет! .....  | 362 |
| კურსდამთავრებულთა პირველი ასოციაცია საქართველოში .....  | 363 |
| <br>  |     |
| დიპლომატიური აკადემია ყოფილი სტუდენტების თვალთ<br>წინო ბარათაშვილი: მოგონება საქართველოს დიპლომატიურ<br>აკადემიაზე..... | 364 |
| ნუგზარ ღურმიშიძე: მოგონებები დიპლომატიურ აკადემიაზე .....   | 365 |
| გიორგი ბეგიაშვილი: დიპლომატიური აკადემია ყოფილი<br>სტუდენტის თვალთ .....  | 367 |
| <br>  |     |
| ზოგიერთი მოსაზრება როტარი სისტემის და როტარი კლუბის<br>თაობაზე .....  | 369 |
| ROTARY CLUB of TBILISI ACADEMIA .....   | 372 |
| ამბავი როტარი კლუბისა და კიდევ ბევრი სხვა რამ.....  | 374 |
| როტარის ჰუმანიტარული პროექტი დევნილი სტუდენტების<br>დასახმარებლად.....  | 385 |
| Rotary Helping IDP Students in Georgia.....   | 388 |
| Information on Rotary Club of Tbilisi Academia.....   | 389 |
| <br>  |     |
| საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება.....  | 390 |
| Общество Дружбы между Грузией и Китаем (ОДГК).....  | 392 |
| ბელა ალანია: ბოლოსიტყვაობა (სამ ენაზე).....   | 395 |

დგება ცხოვრებაში დრო, როდესაც უკან იხედები და ყურადღებით გადახედავ წარსულს. ამისკენ ხშირად მეგობრები გვიბიძგებენ, როდესაც ათვალეობენ ძველ სურათებს და ისმენენ შენს თხრობას შენი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებზე. მეც კარგახანია ვგრძნობდი, რომ დროა მოვაწესრიგო ჩანაწერები, აზრები, მოგონებები. შედეგად შეიქმნა ეს წიგნი.

წიგნი შედგება ხუთი ნაწილისაგან:

1. ჩემზე, ჩემს ინტერესებზე, მოგზაურობებზე, მეგობრებზე, კოლეგებზე სხვადასხვა კონტინენტიდან

2. ქართველი და უცხოელი ავტორების სტატიები ჩემსა და ჩემი საქმიანობის თუ ინტერესების შესახებ

3. ჩემი სტატიები ხელოვნებაზე და მხატვრებზე, რომელთა სურათები შეადგენენ ფერწერის ჩემს კოლექციას და ხსნიან მასში მყოფ სხვადასხვა არტეფაქტების წარმომავლობას

4. ჩემი სტატიები, მიძღვნილი აფრო-ამერიკულ ლიტერატურასა და ფართო კულტურას; ნარკვევები საინტერესო საზოგადოებრივ ფიგურებზე, ისტორიულ ფაქტებზე, საჭირობოტო პრობლემებზე

5. სტატიები ჩემი საქმიანობის სხვადასხვა წახნაგების შესახებ – საქ. დიპლომატიურ აკადემიაზე (რომლის პროექტორი ვიყავი 15 წლის განმავლობაში – მისი არსებობის მთელ მანძილზე), საქველმოქმედო როტარი კლუბების სისტემაზე (რომლის წევრი ვარ 2000 წლიდან), საერთაშორისო ქალთა ასოციაციაზე, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებაზე, რომელიც დავაარე 2009 წელს, და სხვ.

ნუ გაუკვირდება მკითხველს კვლევითი სახის ვრცელი სტატიების გვერდით მცირე ფორმატის მოგონებების მეზობლობა – ხომ ამბობენ, რომ ეშმაკი დეტალებშია. ხანდახან მოკლე ჩანახატი უფრო მეტს გვეუბნება ადამიანზე, ვიდრე მოზრდილი სამეცნიერო სტატია.

მასალა წარმოდგენილია იმ სახით და იმ ენაზე, როგორც შექმნილი იყო თავდაპირველად (ქართულ, რუსულ თუ ინგლისურ ენებზე). ხანდახან მასალა მოცემულია ორ ან სამ ენაზე.

ცდილობ რა მოაწესრიგო და სისტემაში მოიყვანო შენი მოგონებები, უკეთ იაზრებ შენს წარსულსა და საკუთარ თავს ამ სამყაროში. შესაძლოა, ეს მკითხველსაც დაეხმარება მისი ცხოვრების ანლებურად გააზრებაში, ბიძგს მისცემს მას საკუთარი თავის უფრო ღრმა გააზრებისკენ და გამოხატვისკენ. გადავხედე რა ადრინდელ სტატიებს და ფოტოსურათებს, მე ისევ აღმოვჩნდი წარსულში, რომელიც მდიდარი ყოფილა და არაერთმნიშვნელოვანი.

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, რომელთა დაჟინებითი თხოვნით (არსებითად, მოთხოვნით) შეიქმნა ეს წიგნი – აკადემიკოს რომან შაქარიშვილს, მამუკა ბოკუჩავას, იური მეჩითოვს, მაია დეისაძეს, თენგიზ მაღანიას, მანანა ხომერკის, გალა ჩიქოვანს და სხვებს, რომლებმაც მიბიძგეს, შეიძლება ითქვას, ამ თავგადასავლისკენ. თავიდან გავი-აზრე და შევიგრძენი ეპიზოდები ჩემი წარსულიდან – ადამიანები, ქვეყნები, მოგზაურობები, არაორდინალური სიტუაციები, რომლებშიც არაერთხელ აღმოვჩენილვარ. მინდა მჯეროდეს, ამ წიგნით მე მათ იმედებს არ გავუცრუვებ.

ეს წიგნი ისეთი ეკლექტიკური ჟანრისაა, რომ მკვეთრად განსხვავდება ყველა წიგნი-საგან, რომელიც კი ადრე დამიწერია: ადრინდელი ნაწერები მთლიანად მეცნიერულია – ლიტერატურული კრიტიკა, ისტორიული მიმოხილვა, ანალიტიკური ან პუბლიცისტური მასალები (დისერტაციები, მონოგრაფიები, ბროშურები, სტატიები). მაგრამ ბევრი სხვა რამაა აგრეთვე დაგროვილი ცნობიერებაში, რომელიც ეძებს გამოვლინების გზებს და პოულობს კიდევ მათ სხვადასხვა, ხშირად მოულოდნელი ფორმით. ერთ ასეთ ეკლექტიკურ ფორმას ეს წიგნი წარმოადგენს. მის ჟანრს ზუსტ სახელს ვერ დავარქმევ. ერთი ვიცი, რომ გულწრფელ თხოვრებას წარმოადგენს – ხანდახან ვრცელ სტატიას, მეტწილად კი მოკლე ჩანახატებს, რომლებიც, ერთად ადებული, ერთ კალეიდოსკოპურ სურათს ქმნიან – ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილის სურათს. ადამიანი ხომ ყველაფერში ვლინდება – მის ინტერესებში, შეხვედრებში, მგზავრობებში, საგნებისადმი დამოკიდებულებაში, მოვლენების აღქმაში... ყველაფერს ვერ აღწერ, ბევრი რამ რჩება მოყოლილის მიღმა, მაგრამ იმედია, მკითხველი თავისთვის რაღაცა საინტერესოს აღმოაჩენს ამა თუ იმ ეპიზოდში.

გამიცანით, ეს მე ვარ!

*პროფ. თამარ ცინცაძე*

2023

## Foreword

At a certain period of your life you start looking back and carefully evaluate your past. I was pushed towards that process by friends, who like to look through my old photographs and listen to various episodes from my life. I also felt it was time to bring in order my thoughts, memories, various written materials. As a result this book was written.

The book consists of five parts:

1. About myself, my interests, travels, friends, colleagues
2. Articles of Georgian and foreign authors about me, my work and interests
3. My articles about art and artists whose pictures are part of my collection. Actually there are several collections- one representing the South and the North Caucasus, others represent China, Japan, France. Plus, collection of contemporary Georgian painting
4. My articles of various years dedicated to some issues of African-American literature and broader culture; publications about interesting public figures, some historic facts, problems important for the society
5. My articles about various aspects of my work - about Diplomatic Academy of Georgia (of which I was Vice-President for the whole duration of its existence), charity Rotary clubs (in which I have been a member since 2000), International Women Association, Society of Friendship between Georgia and China which I founded in 2009.

I hope the reader will not be surprised by very short sketches next to rather substantial scholarly essays. As they say, devil is in detail. Sometime a short, one page memoir tells more about the author than a long scholarly research.

The articles are given the way, they were created years ago and in the language they were written- Georgian, Russian or English. Sometimes a material is given in two or three languages- for the convenience of the reader.

When you try to bring in order your memories, you better realize your past and yourself in this world. This may help the reader too to reconsider his life, to push him towards a deeper self-realization and self-expression.

Looking through my books and articles, through old photographs, I felt myself again in the past which turned out to be rather rich and very meaningful. I am grateful to my friends, whose insistence pushed me towards writhing this book - academician Roman Shakarishvili, Mamuka Bokuchava, Iuri Mechitov, Maia Deisadze, Tengiz Malania, Manana Khomeriki, Gala Chikovani and many others who pushed me, so to say, towards this adventure. I felt anew all the episodes of my life, including people, countries, travels, meetings, various unusual situations in which I often found myself. I hope, I will not dissappoint the readers of this book.

*Prof. TAMARA TSINTSADZE*  
2023



## Предисловие

Наступает в жизни период, когда оглядываешься назад и внимательнее всматриваешься в прошлое. К этому нередко подталкивают друзья, пересматривая фотографии и слушая про те или иные эпизоды моей жизни. И сама уже давно чувствую, что пора привести в порядок записи, мысли, воспоминания. В результате родилась эта книга.

Книга состоит из пяти разделов:

1. Обо мне, моих интересах, путешествиях, друзьях, коллегах
2. Статьи грузинских и зарубежных авторов обо мне, моей работе, моих интересах
3. Мои статьи об искусстве и художниках, чьи работы вошли в мою коллекцию живописи, о происхождении разных артефактов в моих коллекциях. А таких несколько – кавказская, китайская, японская, французская, обширная коллекция современной грузинской живописи...
4. Мои статьи разных лет, посвящённые отдельным вопросам афро-американской литературы, более широкой культуры; статьи об интересных общественных фигурах, исторических фактах, злободневных проблемах
5. Статьи о разных сферах моей деятельности – Дипломатической Академии Грузии (про-ректором которой была все годы её существования), благотворительных Ротари клубов (членом которых состою с 2000 г.), Международной женской Ассоциации, Обществе дружбы между Грузией и Китаем (которое основала в 2009 г.) и др.

Надеюсь, читателя не удивит соседство кратких, в одну страницу мемуаров рядом с существенным научным исследованием (как в части четвёртой этой книги). Ведь говорят, что дьявол – в деталях. Порою краткая зарисовка-воспоминание больше говорит о человеке, чем пухлое научное исследование. Материалы представлены в том виде, в каком были написаны в своё время, и на тех языках – грузинском, английском, русском. Иногда материал дан на двух или трёх языках, для разноязычных читателей.

Пытаясь упорядочить воспоминания, лучше осмысливаешь своё прошлое и себя в этом мире. Возможно, это поможет и читателю переосмыслить свою жизнь, подтолкнёт к более глубокому осмыслению и выражению себя.

Пересматривая давнишние статьи и фотографии, я вновь окунулась в прошлое, которое оказалось весьма богатым и неоднозначным. Спасибо моим друзьям, настойчиво подталкивавшим меня к созданию этой книги – академику Роману Шакаришвили, Мамуке Бокучава, Юрию Мечитову, Майе Деисадзе, Тенгизу Малания, Манане Хомерики, Гале Чиковани и многим другим, сподвигнувшим меня на это, можно сказать, приключение. Ведь я заново прочувствовала все эпизоды из прошлого – людей, страны, поездки, встречи, различные нестандартные ситуации, в которых не раз оказывалась. Надеюсь, я не разочарую моих читателей этой книгой.

Книга эта такого эклектического жанра, что резко отличается от всех других мною на-

писанных книг. Прежние мои печатные издание сугубо научны — литературная критика, исторический обзор, аналитические и публицистические материалы (мои диссертации, монографии, брошюры, статьи). Но сознание, память вмещают и многое другое, что ищет пути выхода и находит их, порою в неожиданных формах. Эта книга — одна из этих эклектических форм весьма трудноопределимого жанра, знаю только, что это искренний рассказ — иногда крупная статья, но чаще это краткие зарисовки, которые, вместе взятые, создают одну калейдоскопическую картину — картину одной части моей жизни. Человек проявляется во всём — в его интересах, встречах, поездках, в его отношении к предметам, к происходящему, в его восприятии мира... Всего не опишешь, многое остаётся нерасказанным. Надеюсь, читатель найдёт для себя что-то интересное в том или ином эпизоде.

Знакомьтесь, это я!

*Проф. ТАМАРА ЦИНЦАДЗЕ*

*2023*



# ნაწილი პირველი

თითქმის ავტობიოგრაფიული



# ქალი თანამედროვე სამყაროში

## ინტერვიუ გამოცემის ჟურნალისტთან

თქვენმა კითხვამ, თუ რა იყო ყველაზე გაბედული ნაბიჯი თუ გეგმა ჩემს ცხოვრებაში, ჩამაფიქრა. წიგნით გადავიკითხე ჩემი ცხოვრების ფურცლები – ბევრი გაბედული ნაბიჯი გადამიდგამს. სხვადასხვა ეტაპზე ყოველი მათგანი გადამწყვეტი იყო. ქრონოლოგიურად სურათი დაახლოებით ასეთი იყო:

8-9 წლისამ კატეგორიულად ვთქვი უარი, რომ ჩემთვის მეურვეობა მომვლელს გაეწია (დედა მუშაობდა).

12-13 წლისამ უარყავი დედის ზედამხედველობა.

თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ ვაპირებდი უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარებას, გამოცდებადღე 1-2 თვით აღრე მკვეთრად შევიცვალე გადაწყვეტილება – სასწრაფოდ შევუდექი ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას, და ამის შედეგად უცხო ენების ინსტიტუტში აღმოვჩნდი (რომლის დამთავრება არასოდეს მინანია).

სტუდენტობისას, 18 წლის ასაკში ისევ გაბედული ნაბიჯი გადავდგი – გავთხოვდი (რაც შემდეგ ვინანე). ერთი წლის შემდეგ გოგონა მეყოლა.

შემდეგი გაბედული ნაბიჯი ჭირვეულ ქმართან განქორწინება იყო (ეს არასოდეს მინანია).

ამასობაში ინსტიტუტი ფრიალებზე დავამთავრე და გაბედულად იმ დროს მოღურ კიბერნეტიკის ინსტიტუტში მივედი, სადაც მაშინდელმა დირექტორმა, მკაცრმა ვ. ჭავჭავანიძემ მაშინვე მიმიღო თარგმანების განყოფილებაში.

გავიდა 1-2 წელი. შეჩვეული სამუშაო და კოლეგები მივატოვე, უცხო ენების ინსტიტუტში დავბრუნდი ორწლიან უმაღლეს კურსებზე, რომლის დამთავრებამ გზა გამიხსნა უმაღლეს სასწავლებელში ჰედაგოგიური მუშაობისათვის.

პატარა ბავშვით და მუშაობით დატვირთული გაბედულად შევუდექი საკანდიდატო დისერტაციის დაწერას, თანაც საქართველოში ნაკლებად ცნობილ თემაზე – აფრო-ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის თაობაზე, რომელიც ორ წელიწადში დავიცავი მოსკოველი და თბილისელი რეტროგრადი მეცნიერების გარკვეული წინააღმდეგობის დაძლევით. წამყვანი ოპონენტი კეთილგანწყობილი ბ-ნი მიმა კვესელავა იყო. მახსოვს, იოსებ ნონუშვილი „დესერტაციაზე“ რომ მესტუმრა, ხმამაღლა მკითხა, მითხარით, მართლა არსებობს ასეთი ლიტერატურა და მის ირგვლივ კრიტიკა, თუ ყოველივე ეს თქვენ მოიგონეთ ორიგინალური დისერტაციის შესაქმნელად? 70-იანი წლების დასაწყისი იყო, ჩვენში აფრო-ამერიკულ ლიტერატურას მწერლებიც კი არ იცნობდნენ.

ვაგრძელებდი ჰედაგოგიურ საქმიანობას, დედის და ძიძის დახმარებით ბავშვის ზრდას, სამეცნიერო წიგნებისა და სტატიების წერას, კონფერენციებში მონაწილეობას, მოგზაურობას იმ წლებში, როდესაც საზღვარგარეთ წასვლა დიდი პრობლემა იყო და

პარტკომის ხელმოწერა წყვეტდა შენი მოგზაურობის ბედს (ამის არაერთი მაგალითი მქონია ცხოვრებაში). მაინც ვინახულე პოლონეთი, გდრ, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ეგვიპტე, იორდანია, სირია, ინდოეთი (ეს უკანასკნელი არა ერთხელ), ინგლისი, აშშ, შუა აზია, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთ-უკრაინის მრავალი ქალაქი და ა. შ.

გატაცებული ვიყავი ხელოვნებით – ფერწერით და მუსიკით, და ამ ჰობიმ ოპერაში შემახვედრა ჩემი მომავალი მეუღლე, რომელზედაც გათხოვებას ნამდვილად ყველაზე გაბედულ ნაბიჯად ჩავთვლიდი ჩემს ცხოვრებაში, ვინაიდან საზოგადოებისთვის უკვე იმ დროსაც ცნობილი ადამიანი ძალიან რთულ პიროვნებას წარმოადგენდა. მოვიხიბლე მისი ინტელექტით და გარეგნობით. გავრისკე.

რთული ქორწინების და ოჯახური ცხოვრების ფონზე განვავრცობდი პედაგოგიურ მოღვაწეობას. დავაპირე სადოქტორო დისერტაციის დაწერა. მეუღლემ არ მირჩია, გაგიჭირდებაო, მთელ დროს და ძალას წაგართმევს, ვინაიდან საქმეზე გადაყოლა იცო. სწორი აღმოჩნდა – ათი წლის განმავლობაში ხან ინტერვალებით, ხან კი ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდი სადოქტორო ნაშრომზე. სიძნელეები ძირითადად მომურნეების მიერ ხელოვნურად აღმართული დაბრკოლებები იყო, რამაც უკიდურესად დამანახა ადამიანის ბუნების საიდუმლო მხარეები, მისი ცბიერება, სიბოროტე და სისასტიკე.

ყოველივე ეს ზოგიერთებს მოტეხავდა, სხვებს კი (მათ შორის მეც) გააძლიერებდა, განამტკიცებდა თავიანთ გადაწყვეტილებაში. ამგვარად, მეორე დისერტაცია უფრო პროფესიულ გარემოში – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დავიცავი, თანაც პირველივე ცდიდან, რაც, თვით სამეცნიერო საბჭოს აღიარებით, კარგა ხანია არ მომხდარიყო იმ საბჭოზე და ფაკულტეტზე (ზოგიერთ დისერტანტს 4-5-ჯერ უხდებოდა გაუმჯობესებული ტექსტის წარდგენა).

გაბედულად გავგზავნე დისერტაცია „ვაკ“-ში, საიდანაც ერთ წელიწადში, ვაი-კოლეგების ანონიმური წერილების ნაკადის მიუხედავად, დამტკიცება მივიღე, გავხდი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი-ამერიკანისტი.

ერთდროულად მრავალმხრივ საქმიანობას შეჩვეულს, დისერტაციის წერა-დაცვაში, მგზავრობებში და კონფერენციებში მეორე შვილი შემეძინა – ვაჟი, რომელიც დღეს 26 წლისაა. ამ ვითარებას თან ახლდა კურიოზული ეპიზოდი. ჩვეული გაბედულობით (რომელიც მარტივად შეიძლება შეფასდეს როგორც წინდაუხედაობა) სამშობიაროში გავიყოლე მასალები სტატიისათვის, რომელსაც, ვიცოდი, ჩვილი ბავშვით ხელში დიდხანს ვერ დაწერდი. ბავშვის გაჩენის შემდეგ წერას შევუდექი. ვწერ, პერსონალი გარემოში მიტრიალებს. შევამჩნიე, ოთახში კომფორტმა იმატა, გაჩნდა მაცივარი, ფარდები, დამატებითი ნივთები, იმატა ყურადღებამ. ბოლოს მკითხეს, რას წერთო. ვუპასუხე, სტატიას ჟურნალისათვის. შვებით ამოისუნთქეს, საჩივარი გვეგონათ. ისეთივე ტემპში ნივთები გაალაგეს ოთახიდან. სამშობიაროში ნაშობი სტატია ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

რუსული სკოლა დავამთავრე. ამიტომ თავდაპირველად სტატიებს და წიგნებს რუსულ ენაზე ვწერდი, ვერ ვბედავდი ქართულ ენაზე მასალის შექმნას. რუსულენოვანი ჟურნალების მცირე რაოდენობა არსებობდა. ამიტომ ვიგრძენი სტატიების ქართულ

ენაზე დაწერის აუცილებლობა. ერთ-ერთ ჟურნალისტს გადავეცი ჩემი სტატია ქართულ ენაზე გადასათარგმნად. მივიღე თარგმანი და აღმოვაჩინე მასში უამრავი შეცდომა და უზუსტობა. შევთავაზე მთარგმნელს ჩემი ვარიანტები. იწყინა, ქართული თუ ასე კარგად იცოდით, თქვენი მასალა რატომ მათარგმნიეთო. ამის მერე გაბედულად დავიწყე ნაპრომების ქართულ ენაზე წერა. ჩემს ვრცელ პუბლიკაციებს ჟურნალ „პოლიტიკაში“ და მანამდე, ზოგიერთ სხვა ჟურნალ-გაზეთში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოყვა („ვამინგტონური ჩანაწერები“, „პაპი იოანე პავლე მეორე“, „არჩევნები აშშ-ში: სახეები და სიტუაციები“, „ენა, როგორც კაცობრიობის ისტორიის ანარეკლი“, „ჰასიდინი: ფილოსოფია და ცხოვრებისეული მრწამსი“, „ენა და ენობრივი პოლიტიკა: ინგლისური ენა თანამედროვე სამყაროში“, „პოსტ-საბჭოური ქალის სახე პრესაში და დისკუსიები“ და სხვ.).

რამდენჯერმე დავაპირე სტაჟირებაზე გამგზავრება ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. ისევ მირჩია მეუღლემ, შეეშვიო, არ გამოგივა, ასეთ ვაკანსიებზე ბევრია ჩასაფრებულიო. მაგრამ 1983 წელს ერთი სემესტრით ინგლისში გავემგზავრე, 1989-91 წლებში კი აშშ-ში, ვამინგტონის ცნობილ ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში და ნიუ-იორკის ცნობილ კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც ვმუშაობდი ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრში პროფესორ ჯეკ ზოლცმანის ხელმძღვანელობით. ერთდროულად ვინახულე ატლანტის, ვამინგტონის, ბოსტონის, ლიტლ-როკის, სანტა კრუზის, ლოს-ანჯელესის, სიეტლის, ჰარვარდის უნივერსიტეტები, სადაც ლექციებს ვკითხულობდი ორი განსხვავებული განხრით: ერთის მხრივ, აფრო-ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ, მეორეს მხრივ კი – საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, რელიგიის შესახებ.

იმ დრომდე არასოდეს წამეკითხა ლექციები ამერიკელთა აუდიტორიისთვის. ამ პირველმა გაბედულმა ნაბიჯმა მიმიყვანა შეერთებული შტატების არა ერთ ქალაქში ლექციების წასაკითხად თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე აღმოვჩინდი სორბონაში, პარიზში მოხსენებით, ამერიკანისტთა კონგრესზე თემაზე „აფრო-ამერიკელები ევროპაში“.

1989 წელია. ვამინგტონის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სტაჟირების შემდეგ გავემგზავრე ნიუ-იორკში. შევხვდი ხანდაზმულ შავკანიან ამერიკელ მწერალს ელტონ ფაქსს, რომელმაც შემდგომ წინასიტყვაობა დაწერა ჩემი წიგნისათვის აფრო-ამერიკული ლიტერატურის შესახებ. ჰარლემისკენ წავედით. პირველად ვარ შტატებში, პირველად ნიუ-იორკში, პირველად ჰარლემში. გაწვიმდა, ელტონმა თქვა, მეგობრის სახლში შევიაროთო. გაბედულად (და, როგორც მომეჩვენა, უადგილოდ) ვკითხე, ხომ არ ვიცნობ იმ მეგობარს. გაკვირვებით შემხედა – არა მგონიო. იღება კარი და ვხედავ ქალბატონს, რომლის სახე მეცნო. ვუბნები – მგონი, გიცნობთ, იოსებ ნონეშვილთან შევხვედრივართ. ჩემი უადგილო, გაბედული კითხვა დროული აღმოჩნდა. ჯინ ბონდთან დღემდე მაქვს ახლო ურთიერთობა.

1994 წ. შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს გაბედულად შევთავაზე ერთ-ერთი ჩემი აფრო-ამერიკული პროექტი ვამინგტონის ცნობილ ვუდრო ვილსონის ცენტრს (კენანის ინსტიტუტს). ყოველ პროექტს „საცერში ატარებენ“ მრავალრიცხოვანი მკაცრი ყიურის



წევრები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა შტატის უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში მუშაობენ. დასკვნებს კენანის ინსტიტუტს ფოსტით უგზავნიან. 6 თვეში მივიღე დადებითი პასუხი – გავხდი კენანის ინსტიტუტის მკვლევარი. აღმოჩნდა, რომ ჩემამდე ინსტიტუტში საქართველოდან მხოლოდ ერთი მეცნიერი ყოფილა – ფილოსოფოსი გია ნოღია.

არ შევხვები იმას, თუ რამდენად კარგი სამუშაო პირობები მქონდა კენანის ინსტიტუტში: ოფისი ტელეფონით, კომპიუტერით, ასისტენტით, სათანადოდ ანაზღაურებული შრომა, მგზავრობები, გასართობებიც კი. გავიხსენებ ერთ ეპიზოდს. მე-16 ქუჩაზე, იმ სახლის გვერდით, სადაც ვცხოვრობდი, ეკლესია იყო. ერთხელ მოზღვავებული მანქანები შევამჩნიე. მითხრეს, კლინტონის ოჯახი ამ ეკლესიაში ესწრება წირვასო. მაშინვე ეკლესიისკენ წავიქედი. გამატარეს საგანგებოდ მოტანილ ელექტრონულ კარებში, გამჩხრიკეს, დამშვიდდნენ და შემიშვეს. ნახევრად სავსე ეკლესიაში წირვა დაწყებულიყო. მარცხენა რიგში დავდექი. მივხვდი, რომ კლინტონებთან უფრო ახლოს აღმოვჩნდებოდი, მარჯვენა რიგში თუ გადავინაცვლებდი. ასეც მოვიქეცი, მცველებს ეს მოძრაობა არ გამოეპარათ. მაშინვე მაღალი, ძლიერი, მუქ უნიფორმაში გამოწყობილი ქალი მომიჯდა. თვალს მადევნებდა, ხელები ჯიბეებიდან არ ამოუღია. ვიგრძენი, დაძაბული იყო. გულუბრყვილოდ ვთქვი – როგორ გამიმართლა, საქართველოდან მეცნიერი ვარ და აი, საბედნიეროდ, კლინტონებთან ერთად აღმოვჩნდი ეკლესიაში. მოლბა. შეიძლება, უფრო გაგიმართლოთ; ხშირად, ამ გასასვლელით რომ გადის, ახლოს მჯდომთ ხელს ართმევსო. კარგია, ვუპასუხე, დაუცადოთ, ხელს თუ ჩამოგვართმევენ, მოახლოვებულ შობას მივულოცავ და ერთ ბეჭედს ვუსახსოვრებ ჰილარის საშობაო საჩუქრის სახით. დარწმუნებული ვიყავი, არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ყოფილა ასეთ არაფორმალურ სიტუაციაში კლინტონებთან, და პატარა საჩუქარი სასიამოვნო ასოციაციას შეუქმნიდა კლინტონებს საქართველოსთან.

წირვა დამთავრდა. კლინტონები გასასვლელისკენ წამოვიდნენ. მცველი ქალის მოთმინება დავცადე – გაბედულად ვუთხარი, მოდიტ ჩვენ თვითონ წინ წავიწიოთ და მივესალმოთ-მეთქი. ხმა მაშინვე გაუმკაცრდა – არც კი გაბედოთ განძრევასო, ადგილზე უნდა დავრჩეთო. მივხვდი, ხუმრობა არ ივარგებდა. კლინტონები არავის მიესალმნენ, ღიმილით ჩაუარეს რიგს. ყველა ადგილზე დარჩა. სანამ კლინტონები ამაღის თანხლებით დაიძრნენ ადგილიდან, ეკლესიის ეზოში გავიქედი. დავინახე, ჩემი მეზობელიც ერთ-ერთ სამთავრობო მანქანაში ჯდებოდა. ხელი დაუქნიე იმის ნიშნად, რომ თავიდანვე ვიცოდი, ვინც იყო. გამიღიმა და მანქანა ადგილს მოწყვიტა.

ამის მერე კიდევ ერთხელ შევედი ეკლესიაში კლინტონების ყოფნის დროს, მაგრამ ამჟამად უკვე ვიცოდი, რა ადგილი უნდა დამეკავა თავიდანვე, მცველების ეჭვის და დღე-ღამის გამოწვევის გარეშე. დღესასწაულებმა ჩაიარა და არანაირი საჩუქრების გადაცემაზე აღარ მიფიქრია. ყურადღებით ვუსმენდი მქადაგებელს. მოგვიანებით მეგობარმა გამაფრთხილა, 1-2 კვირის განმავლობაში შეიძლება მაინც გაკვირდებოდნენ, არ აღელვდეთ. სიმშვიდე იყო. ეკლესიასთან და კლინტონებთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდი

განსხვავებულ სამახსოვრო მომენტად დარჩა ჩემთვის.

ასევე გაბედულად წავედი ნიუ-იორკის ერთ-ერთ შორეულ უბანში აფრო-ამერიკელთა კონგრესზე, რომელიც მიეძღვნა ცნობილი შავკანიანი მქადაგებლის, შავ მუსულმანთა ორგანიზაციის წევრის და შავკანიან ამერიკელთა გამოჩენილი ლიდერის მალკოლმ იქსის ხსოვნას. ჩემი მეგობარი, „ამერიკის ხმის“ თანამშრომელი, ჟურნალისტი მანანა ჯინჯინაშვილი ჩემთან ერთად აპირებდა კონგრესზე წასვლას, მაგრამ მანანასთან იმ დღეს მოულოდნელი სტუმარი ჩამოვიდა, ამიტომ ჩვენი თავდაპირველი გეგმა შეიცვალა და მართო გავემგზავრე.

შევნიშნე, რომ უშველებელ დარბაზში და ხალხმრავლობაში ერთადერთი თეთრკანიანი ვიყავი. იქ წასვლის ცდუნებას ვერ გავუძელი, ვინაიდან მალკოლმ იქსის შესახებ ბევრი რამ წამეკითხა და ორი წერილიც მქონდა დაწერილი, ერთი ჟურნალ „ცისკარში“, მეორე კი – უკრაინული ლიტერატურული ჟურნალისათვის „ვსესვეტი“ (რომელშიც იმ წლის საუკეთესო მასალად იყო აღიარებული): გაბედულად ვიჯექი შავი სახეების ზღვაში და მოჯადოებული ვმთანთქავდი ყოველივეს. ისტებლიშმენტის მიერ შავკანიანი მკვლელების ხელით მოკლული სამსხვერპლო ფიგურად არის ცნობილი და მრავალ მწარე გრძნობას იწვევს. ტრიბუნაზე ორატორს ორატორი ცვლიდა. თითქმის ყველა გამომსვლელმა, მათ შორის ცნობილმა პოეტმა ლეროი ქონსმა, მალკოლმ იქსის ქვრივმა და მალკოლმის მეგობარმა ქალმა ძალიან მწარე, თეთრკანიანების მიმართ სიძულვილით და აგრესიული მოწოდებებით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს.

უცრად ხიფათი ვიგრძენი, დარბაზში ერთადერთი თეთრკანიანი აგორებული მძვინვარების მოხერხებულ ობიექტს წარმოვადგენდი. ჩუმად ავდექი, დარბაზიდან გავედი და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას. ტკივილს ვგრძნობდი. საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ დარბაზში „უადგილოდ“ მყოფი თეთრკანიანი ქალი არა ცნობისმოყვარე გამვლელი, არამედ საქართველოში ერთადერთი მკვლევარი ვიყავი, რომელმაც მივუძღვენი აფრო-ამერიკულ ლიტერატურას და კულტურას ორი დისერტაცია, წიგნები, სტატიები, მოხსენებები, მრავალი წელი და ჭეშმარიტი ინტერესი. მეორე დღეს „საერთაშორისო სახლის“ თანამშრომელმა ელი შპიგელმა მკითხა კონგრესის შესახებ. მოყოლა დავიწყე და ჩემთვისვე მოულოდნელად ცრემლები გამომოყვარე. ელი სიტუაციას მიუხვდა, მითხრა, მსგავსი განცდა მეც მქონიაო, ებრაელებმა ბევრჯერ ცადეს შავკანიანებთან ერთად ბრძოლა და ერთობლივი ინტერესების დაცვა, მაგრამ კონტაქტი ვერ შედგაო. საუბედროოდ, ისტორია უღმობელია, განცდილი ტკივილი და დამცირება ამკაცრებს ადამიანებს, თანაგრძნობის ადარ სჯერათ, ყველას ეჭვის თვალით უყურებენ. იმ დღის განცდამაც კი არ დამაკარგვინა ინტერესი აფრო-ამერიკული თემატიკისადმი. შავკანიანმა ამერიკელებმა შექმნეს ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა (ტონი მირისონის რომანები ნობელის პრემიით არის აღნიშნული). ამ ეპიზოდის შემდეგაც გაბედულად დავდიოდი შავკანიანთა სკოლებში, უნივერსიტეტებში, უბნებში. ადამიანში გაბედულება მეტია, ვიდრე სიფრთხილე. ცხოვრება ამრიგად უფრო საინტერესო ხდება.

გავიდა წლები, სახვე შრომით, მგზავრობებით და ომებითაც. მკვეთრად ვგრძნობდი

ადამიანების (ვგულისხმობ კაცობრიობის უარეს ნაწილს) ბუნების ტრანსფორმირებას უარესისკენ, დაწვრილმანებას, გასასტიკებას. ასეთ ადამიანებში შენი შრომა და მიღწევები მხოლოდ შურს და სიბოროტეს იწვევს, რომელიც ინსტიტუალიზირებული სიავის რანგში აქვთ აყვანილი. ჩემს უამრავ საქმეს, შვილებს, დასუსტებულ დედაზე ზრუნვას, წიგნების და სტატიების წერას, კონფერენციებს და ა. შ. იძულებითი საპასუხო ბრძოლა თუ თავდაცვა დაერთო.

სიტუაცია გავაანალიზე და გადავწყვიტე, რომ ჩემი დრო და ძალა მეტისმეტად ძვირფასი იყო ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და საქმიანობისათვის. ძალზე გაბედული ნაბიჯი გადავდგი – ნაზი გადავუსვი ჩვეულ სამსახურს, გარკვეულ ურთიერთობებს, მკვეთრად შეცვალე ყოველივე ეს, და მოგებული დავრჩი. აღმოვჩინე მშვიდი, საქმიან ვითარებაში, კეთილგანწყობილი, გამგებიანი, პატივისცემით აღსავსე კოლეგების წრეში. და ყოველივე ვპოვე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელთანაც დღესაც ვთანამშრომლობ. გარკვეულ მსჯელობებს შემოგთავაზებთ გაბედულების თემაზე. იქნებ ამას სხვა სახელიც აქვს – უადგილობა, უდროობა, აჩქარება, გაუზრებლობა ან კიდევ სხვა რამ. ვიცი მხოლოდ, რომ ჩემს შემთხვევაში ყოველივე ზემოთ ნათქვამი უფრო რეალისტური განსჯის შედეგი იყო, ვიდრე გაბედულება. გაბედულებას უადგილობის ან, თუ გნებავთ, თავხედობის ქვაბუცსტი გააჩნია. მე კი ეს თვისება არ მახასიათებს. ჩავთვალეთ, რომ ყოველივე ჩემს მიერ მიღწეული საკუთარი ცოდნის და უნარის რწმენას ეყრდნობოდა, და არა შემთხვევით მიღწეულ შედეგს ან გაბედულებას.

ცხოვრების გეზის (არა წესის) მკვეთრად შეცვლამ გამოიწვია შემდეგი, უფრო გაბედული ნაბიჯიც – მეუღლესთან და რამდენიმე კოლეგასთან ერთად დავაარსეთ დღეს უკვე კარგად ცნობილი დიპლომატიური აკადემია, რომელიც 5-6 წელიწადში ვაქციეთ სანიმუშო, ვფიქრობ (და ასევე ფიქრობს მრავალი სხვა, მათ შორის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტი, აკადემიის კურსდამთავრებული), საქართველოში ყველაზე მაღალი აკადემიური დონის მქონე უმაღლეს სასწავლებლად. კარგი სასწავლებელი შევქმენით – ეს სათქმელადაა ადვილი. 6 წელი მოიცავს დაახლოებით 2200 დღეს. საკუთარ მეუღლესთან მუშაობა დაწესებულებაში, რომელიც ცარიელ ადგილზე, ნოლიდან, უსახსრებოდ და უმფარველოდ შევქმენით, უსასრულო კამათად და ხანდახან დრამადაც იქცევა.

ჩემი მეუღლე თეორეტიკოსია, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, და მხოლოდ შემდეგ მასწავლებელი და პედაგოგი. მე კი სწორედ პედაგოგიური განათლება გამაჩნია და აკადემიის დაარსების მომენტისათვის პედაგოგიური მუშაობის 25 წლის მუშაობის გამოცდილება მქონდა. მაგრამ რასაც არ ვურჩევ, აკადემიის დამაარსებელი ყოველივეს კრიტიკულად უყურებს, 100 შემთხვევიდან 90-ს ჯერ მთლიანად უარყოფს, შემდეგ კი დიდი დაგვიანებით დაუბრუნდება ჩემს რომელიმე იდეას, მაგრამ დაკარგული დროის გამო მოსალოდნელ შედეგს ვეღარ ვაღწევთ.

აღბათ ასეთია ყველა ქალის ბედი, რომელიც თავისი მეუღლის ხელმძღვანელობით მუშაობს. ცდილობ საქმე გააკეთო, დრო დაზოგო, პირდაპირი, უმოკლესი გზით მიდიოდე სასურველი შედეგისკენ, ყველაფერს თვალს ადევნებდე, არ გამოგრჩეს არც

ერთი დეტალი, კოლეგებსაც სწორი აზრი და რჩევა მიაწოდო, მრავალი სტუმარი მიიყვანო სასწავლებელში, მჭიდრო კონტაქტები დაამყარო მნიშვნელოვან ადგილობრივ თუ უცხოურ ორგანიზაციებთან, ინგლისურენოვანი მიმოწერა აწარმოო, წერო პროექტები, შექმნა სასწავლო მასალა, სპეცურსები, ესწრებოდე ლექციებს და გამოცდებს, თავად გამოცადო ყოველი სტუდენტი, იზრუნო სტუმრების მიღება-გასტუმრებაზე, ადგინო გეგმები და ცხრილები, იყო კონტაქტში მშობლებთან, ზრუნავდე შენობის გარეგნულ იერზე, მის დიზაინზე, სტუდენტებზე, ფოტომასალაზე, ბიბლიოთეკის ფონდებზე, მრავალ სხვა წვრილმან-მსხვილმანზე, და ყოველივე ამასთან ერთად ცდილობ ჩრდილში დარჩენას, რაც თითქმის შეუძლებელი ხდება.

და აი აქ, ამ წერტილში ძალაუნებურად იზიარებ ფემინისტების მრწამსს, ემხრობი მათ ხანგრძლივ ბრძოლას იმისათვის, რომ თანაბარი ინტელექტის, შრომისმოყვარეობის, უნარის, სადი აზროვნების პირობებში ქალის შრომა ისევე შეფასდეს, როგორც მამაკაცის, მის შემოქმედებას ისეთივე საზომით აფასებდნენ, როგორც მამაკაცისას, ჩვენი სამყარო ქუმმართად მამაკაცის, ფიზიკურად ძლიერი სქესის სამყაროა. როდესაც მესმის „ძლიერი სქესიო“, მე აქ ფიზიკურ სიძლიერეს ვხედავ უპირველეს ყოვლისა, აქ მამაკაცს ვერ (და არც) შევჯიბრებთ. ისიც ნათელია, რომ მრავალ შემთხვევაში ქალი მორალურად, ფსიქიკურად თუ პროფესიულად მამაკაცზე ძლიერია, მისი აღიარება „სუსტი სქესის“ წარმომადგენლად აბსოლუტურად მიუღებელია, ისევ თუ ფიზიკურ ძალას არ ვიგულისხმებთ.

ფემინისტური მოძრაობის უკიდურესობების გამო ფემინიზმს ვერ ვღებულობდი. გაღიზიანებით ვკითხულობდი ფემინიზმის მიმდევრების ნაწარმოებებს, თავს ვარიღებდი მათ თავყრილობებს. მაგრამ დღეს, ახალი 6-წლიანი გამოცდილების შეძენის შემდეგ, დავფიქრდი, მთლიანად უარსაყოფი თუ არის ფემინისტების ზოგიერთი იდეა და მოთხოვნა. ჩვენს საზოგადოებაში (როგორც გეოგრაფიულ-სოციალურ-ფსიქოლოგიურ რეალიაში) იმდენი სოციალური, პოლიტიკური, ფინანსური, საყოფაცხოვრებო პრობლემაა, რომ აღარავის ახსოვს ქალის პრობლემები – ფსიქოლოგიური, მორალური, პროფესიული თუ პირადი. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების თუ ყოფის სირთულეების სიღრმე ავიწყებს საზოგადოებას და თვით ქალსაც საკუთარ პრობლემებს (სწორედ ქალის თავგანწირვის, შინაგანი ტაქტის და ადამიანობის გამო). ქალი მთელი თავისი არსებით ახალი გენერაციის, ახალი სიცოცხლის, ოჯახის და ამიტომ საზოგადოების შემქმნელია. მასში შემოქმედებითი იმპულსი უფრო ძლიერია, ვიდრე დამანგრეველი თუ უკუგდებითი. ქალი სიცოცხლის წყაროა, და მას ქვეცნობიერად ესმის თავისი მაღალი დანიშნულება. მას არ სცალია წვრილმანებისათვის, მან უნდა იშრომოს და შექმნას ის, რაც მხოლოდ მისი შესაქმნელია. მან ხელი უნდა შეუწყოს ყოველივე სადის, სიცოცხლისუნარიანის დამკვიდრებას. და ის შრომობს ამის მისაღწევად, მიუხედავად იმისა, ფასდება თუ არა მისი შრომა სათანადოდ, აქებენ თუ უგულვებელყოფენ მის შრომას, ხედავენ თუ არა მის შედეგიანობას. ჩვენთვის, ქალებისათვის საბოლოო დადებითი შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ ვის აღიარებენ მიღწეულის არქიტექტორად – მას თუ მამაკაცს.

ასე იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში, და ასევე გავაგრძელოთ, ნუ დავწვრილმანდებოთ იმის გარეშე, თუ სამყაროს ამ ორ საწყისში ვის ეკუთვნის პირველობა – კაცს თუ ქალს. მთავარია ის, რომ ვქმნიდეთ, ვზრდიდეთ, ვასწავლიდეთ, ვაშენებდეთ, ვხედავდეთ ჩვენი შრომის ნაყოფს, თუგინდ ამას სხვა თვლიდეს თავის მიღწევად.

\* \* \*

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ამერიკელი მწერლის შარლოტა უიტონის სიტყვები: „ქალს უწევს აკეთოს ნებისმიერი საქმე ორჯერ უკეთესად, ვიდრე მამაკაცს, იმისთვის რომ დაიმსახუროს ნახევარი პატივისცემა მაინც. საბედნიეროდ, ეს ძნელი არ არის“.

*ჟურნალი „დროშა“,  
#1, 2003 წ. გვ. 18-21*

## Something Personal and Social Too

(ON LIFE AND MYSELF)

Once a journalist, who was preparing a book on some Georgian women, asked me what was the boldest and most crucial step in my life. It made me recall various periods of my life – it seemed I had made many bold steps and had taken many bold decisions. At various moments of my life each of them was crucial. Chronologically the picture seems to be the following.

At the age of 8-9 I categorically refused my nurse's services (my mother worked). At the age of 12-13 I rejected my aunt's guardianship. Though while still at school I was going to enroll at the department of physics, Tbilisi State University, a month before the entrance exams I unexpectedly changed my decision, started to work hard at my English and as a result enrolled at Tbilisi Institute of Foreign Languages (which I never regretted).

While a student, at the age of 18 again I took a bold step – I married (which I later regretted). In an year's time I give birth to a baby – thus my daughter came into this world.

The next bold step was divorcing my unreasonable, capricious husband (which I never regretted). Meanwhile I finished the Institute with honors and boldly went to then very fashionable Institute of Cybernetics. Director, very strict Mr. V. Chavchanidze, made a quick decision and accepted me to the Department of Translation. A year or two passed. I left habitual work and colleagues and went back to the Institute of Foreign Languages for Masters Program, which later opened the way for my pedagogical work.

In the 80's while teaching at the Institute of Foreign Languages, I started working at my first

PhD at the subject least familiar to Georgian specialists and readers – African-American literature and culture. I defended PhD dissertation at Tbilisi State University. The leading opponent was a kindly disposed scholar and a well known writer Mikhail Kveselava. When popular poet Iosif None-shvili came to the proceedings he loudly asked me: „Is it true that such literature and the critical materials around it exist, or you invented all that to write an original dissertation?“ In early 70's African-American literature was not known in Georgia, even to some famous writers.

I was going on with my job, with the help of my mother and nurse was raising my child, wrote books and articles, participated in various conferences, traveled in the years when traveling abroad was a big problem at the Soviet Union and without a party boss and her signature any travel was blocked (I remember many cases like that in my life); in spite of that in those years I visited Poland, German Democratic Republic, Hungary, Czechoslovakia, Finland, Egypt, Jordan, Syria, India (the latter repeatedly, owing to the publisher of „Ajanta International“ M. Balwant, who offered to translate and publish one of my books), UK, USA, Central Asia, Armenia, Azerbaijan, many cities of Russia and Ukraine, etc.

I was taken by arts – particularly by painting and music, and owing to this hobby I got acquainted with my future husband, marrying whom I would consider the boldest step in my life. The man who was very well know to the Georgian society at that time, was (and still is) a very complicated personality. I was very attracted by his intellect and looks. So I risked.

Years passed full of work, travel and fights. I acutely felt transformation in the nature of a number of people (I mean the worst part of the mankind), their pettiness and bitterness. In such people your work and success evoked only evil and ill feelings, which they upgraded into the rank of institutionalized evil. To my numerous responsibilities – work, books, articles, conferences, children, care for my ill mother, a forced fight back or self-defense added.

I thought the situation over and decided that my time and strength, my family and work were too precious for me. I made a very bold step – crossed, wiped out the habitual job, relationships, changed all that, and won. I found myself in a quiet, businesslike atmosphere, among well disposed, understanding, respectful colleagues. All that I found in another university (headed by Prof. Vakhtang Sartania) where I worked for about 12 years.

I would offer you some thoughts on „boldness“. Maybe it can be named otherwise – hastiness, thoughtlessness, impropriety or something else. I know only that in my case it was more a result of realistic reasoning than boldness. Boldness has a tinge of impropriety, recklessness, even impudence – these qualities are strange to me. We can say all I attained was due to my knowledge, skills, experience and trust in myself rather than to chance efforts or boldness.

The sharp change in my life (not lifestyle) brought the next, even bolder step – together with my husband and a few colleagues we established what is well known now – the Diplomatic Academy of Georgia, which in a few years we turned (in the opinion of leading Georgian and foreign specialists) into an exemplary educational institution, the best in Georgia. „We created a good institution“ – it is only easy to say: it took us more than 15 years. Working side by side with your husband at an institution, which you had created from zero, without funds and sponsors, may

turn into endless argument, quarrels and even dramas.

My husband is a theoretician, specialists in political science/international relations, journalist and only after that a teacher. As to me, I have a pedagogical education and by the time of the establishment of the Diplomatic Academy I had 25 years experience as a teacher. Still, whatever I might advise, the founder of the Academy took very critically. Out of 100 cases he first would reject 90 entirely, then with great delay would turn back to one of my ideas, but the loss in time brought the loss in overall effect.

It seems, such is the fate of every woman who works under the leadership of her husband. You try to do things, to save time, to take a short cut to the desired results, to keep your eye on everything, not to let the smallest detail out of your eyesight, to give good advice and ideas to your colleagues, to invite numerous guests to the Academy, to make right contacts with important local and foreign organizations, to maintain correspondence in several languages, to write projects, create teaching materials, rare specialized courses, supervise lectures and exams, listen to every student, receive visitors, create schedules and time-tables, stay in touch with parents, take care of the visual side of the building, its design, photo archive, library, most important – of the students, all big and small things, and at the same time try to stay in the shade, which is next to impossible.

Right at the point you are ready to share feminists' believes, share their long battle, that in conditions of equal intellectual power, ability to work and create, equal skills and sane mentality a woman's work should be evaluated as much as a man's; you wish her creativity were evaluated by the same measure as that of a man. Our world still is a world of man, a physically stronger sex. When I hear „a stronger sex“, for me it means physical strength first of all. In this we cannot and do not compete with men. It is also clear that in many cases a woman is stronger morally, psychically and professionally. Considering her a representative of „a weaker sex“ is entirely unacceptable, if only we do not mean physical strength.

Because of the polarities of feminism I did not accept it. I read with irritation some works of the followers of feminism, held back from participating in their meetings, but today, after years of my new experience I think whether all feminist ideas and claims should be rejected. In our society (as a geographical-social-psychological reality) there are so many social, political, financial, moral, professional and personal problems, that the depth of difficulties connected with the life of our society makes the society and the woman herself forget her problems (owing to her tactfulness and selflessness).

By all her nature a woman is a clearful of a news generation, of a new life, a family, and thus a society. In a woman a creative impulse is much stronger than a devastating one, in her affirmation prevails ones negation. A woman is a source of life and feels her immanent role. She has no time for trifles and less important things, she should work and created that which only she can create. She should help to grow all, that is healthy and life bearing in spite of the fact weather her efforts are rightly remunerated or not, whether her work is praised or ignored, whether results of her work are seen or not acknowledged at all. For us, woman, final positive result is more important, than who is finally considered the architect of the object attained – she or a man. It has been

so for centuries and we have to continue like that. Let us not become petty by trying to find out which of the two sides is preeminent - a man or a woman. The most important thing is that we create, bring up, teach, build, see the results of our work, even if somebody else considers all these his achievement.

2005

## Selfintroduction

I am Dr. Tamari Tsintsadze, professor in American/African-American studies. I defended two PhD dissertations in this field of study. All my life, since I finished Tbilisi Institute of Foreign Languages, I have been teaching at universities and university level institutions. In 1995 together with a group of distinguished scholars I founded the Diplomatic Academy of Georgia, where I was Vice-President and Head of the Department of Foreign Languages and Country and Area Studies. We turned the Academy into a model educational institution, on the basis of which we introduced new methods and ways in education. Our alumni serve in outstanding positions as diplomats, ministers, members of government, specialists in international relations...

In 2009 I established several new organizations – humanitarian-charity Rotary Club of Tbilisi Academia (part of an extensive Rotary International system), Society of Friendship between Georgia and China (with a small museum of Chinese artifacts), a transformed version of the Diplomatic Academy of Georgia – Diplomatic Academy and School, which serves the aim of re-educating diplomats. In 2011 I opened Art Gallery „Tamarisi“ where I exhibit part of my collections. I often submit articles to various periodicals and scholarly publishing houses. Various aspects of my activities seem to benefit and enrich one another. Part of these can be seen in Fb under respective titles (as „Diplomatic Academy“, „Art Gallery „Tamarisi“, „Society of Friendship between Georgia and China“, „Rotary Club of Tbilisi Academia“ and personal Fb).

2015



# Women University Presidents' Mission and Social Role

(A PAPER WRITTEN FOR WOMEN PRESIDENTS' FORUM IN CHINA ON THE EXAMPLE OF THE DIPLOMATIC ACADEMY OF GEORGIA)

I am Dr. Tamara Tsintsadze. I have been running the Diplomatic Academy of Georgia since 1995, the time of its foundation.

When I was looking through topics and sub-topics for the Forum, I saw that within my main topic there were several sub-topics and issues:

1. national higher education system
2. the Diplomatic Academy's educational features and operation system
3. women's mission and input in the field of higher education
4. women university president's management strategy
5. mission and social role of women university presidents

So many sub-topics under one main topics, because when a woman runs any micro system – let it be an educational institution- by her nature itself and her natural destination (procreation of life, stabilization of various positions and states, creation and deepening of life skills, ruling living beings through the roaring ocean of life, teaching self-dependency and so on) a woman president has to do the same: she has to teach her students essentials of various disciplines, develop their skills, ability to project their knowledge upon society, make the society accept them as participants and partners in building the future of the country and of the field they will have to represent and develop further.

Let us go back to the main subject – education of future diplomats at the Diplomatic Academy of Georgia.

In 1995, almost 16 years ago, at the time of the establishment of this educational institution, Georgia was just projecting itself on the world as a new independent state. The country was building its contacts, was acquiring friends and partners, and it was highly important to know how to attain these goals.

When Georgia was part of the Soviet Union, it was not so important to have its own diplomats who would build the country's relationships with other states. Countries forming the Soviet Union were not expected to build their relations with other states or between themselves. Big mother – the Soviet Union, and actually Russia – was taking these responsibilities upon itself. The few specialists of the older generation taught them to develop strategies specifically useful for the USSR and the defense of its interests. These specialists were aged and not only in their age proper, but in their knowledge as well. A new generation of professional diplomats had to be raised who would know needs and policies of the present-day Georgia, an independent state building all its relationships anew.

A group of specialists got together in 1995 with support of the Ministries of Education, Justice

and Foreign Affairs of Georgia and established the Diplomatic Academy of Georgia. I am one of the founders of this institution. Being the only woman in the group of persons who established the Diplomatic Academy, I shared the views of my partners regarding the ways of developing the Diplomatic Academy and shaping its future role in the Georgian society. At the same time, by my nature of a woman, I also had a different approach to the ways of educating and re-educating of our students, dealing with them not only in classrooms and outside them, teaching them life-skills and professional skills, as a woman would teach her children.

A woman president holds actually a different view of her students whom she in a way treats as her extended family, owing to her immanent motherly nature. She notices and takes into consideration not only the state of their mind, but of their body as well; she naturally not only educates but also guides them through life, patiently developing their professional qualities and at the same time minding their personal qualities.

My husband, Dr. Soso Tsintsadze, the main initiator and one of the founders of the Diplomatic Academy, would often get unnerved – why do the students always turn to you with any question or problem, why would they always throng your room, why do not they mind other people in the administration? Why would not they tell him of their problems, big or small? The attitude of the students is involuntarily motivated by their inner trust of a woman president who is first a woman, a mother, a person able to understand their needs and problems, and only after that president and a professional responsible for their education and professional growth.

But such relationship is actually possible in a small educational institution where every day you see all your students, can talk to all of them, know their personal and educational problems, weaknesses and strong points and can help them solve these problems using your womanly intuition and tact. On behalf of all women presidents in this hall, I am generalizing, revealing the psychological base of our relationship to the institutions we head and students we educate.

Now I shall dwell a little on the structure of the Diplomatic Academy. It has 3 main departments – Department of International Relations/Diplomacy; Department of International Law; Department of Foreign Languages and Country and Area of Studies which I also have been heading since the establishment of the Academy, as I am also a scholar in American Studies, who defended two PhD dissertations and wrote a number of books and articles on the subject of American, African-American literature, history, art, broader culture. At the same time over the span of years I wrote articles on education in Georgia, cross-cultural subjects, travel notes, women issues, etc. On my previous visit to Communication University of China I donated part of my works to the library of the Communication University and even got a special diploma for that.

The fact that together with running the Diplomatic Academy in general, I head the Department of Foreign Languages and Country and Area Studies, makes me get into close everyday contacts with my students, teach them English, Anglo-American culture, introduce them to broad cultural studies through lectures and video-class presentations. This creates everyday contacts between me and students, helps me to follow their progress in an array of subjects, to watch their professional development through years.

There are other institutions of higher learning which also train specialists in international relations/diplomacy, but actually the Diplomatic Academy during the past 12 years (since we started to have graduates) has been considered the preeminent institution which gave specialists to the Ministry of Foreign Affairs, often to the Parliament of Georgia, other ministries and leading research institutions.

Through the system of teaching interdependent and integrated courses we attained obvious positive results. Graduates of the Diplomatic Academy of Georgia are everywhere in the world, serve in the MFA, in many countries abroad in Europe and Asia, in leading international organizations like UN or Strasbourg International Court of Human Rights, Georgian embassies abroad and foreign embassies and missions in Georgia.

And again the subject of a women president comes up: years ago I initiated the creation of the Alumni Association of the Diplomatic Academy (see Fb), which actually happens to be the first Alumni Association in Georgian universities. Again my instinct of a mother prompted me to try to keep all her children together, not let them lose contact with their Alma Mater, push them towards keeping in touch with one another and with the institution which facilitated their growth into full-fledged persons and professionals. Periodically I arrange meetings of alumni of various years, recently at my Art Gallery „Tamarisi“, where I also have a Chinese room.

Not only some of our graduates are holders of our diplomas, but some foreign diplomats, like former ambassador of Ukraine to Georgia and his deputy, first secretary of the Embassy of Kazakhstan, etc.

At the Academy we have a good tradition – every Wednesday throughout the academic year I invite foreign ambassadors, representatives of various embassies and missions to talk to our students (see Fb). And again I revealed another quality of a woman – to host, to invite guests, to make them feel at home at the Academy. None of the founders of the Academy or its administration does that. Being the only woman in the administration, I do that, as I felt it immensely important for the upbringing and educating young diplomats in Georgia.

Women’s influence and often the leading role in the field of higher education is obvious by my example and the example of other successful Georgian university women presidents present in this hall who head important state and private universities in our country. Women actively participate in all spheres of life in Georgia – in the government, in politics, social work, art, science, education, etc. In universities they work as educators, teachers, administrators, librarians, provosts, etc. I mean not only quantitative but qualitative participation, when women bring their own ideas and skills closely intertwined with their functions and destination – as of mothers and women, their essentially harmonizing role in the society. Men rule processes rationally. Women, doing the same, also put their hearts and intuition into the process, thus looking at things from actually all sides simultaneously, not only judging, but feeling the thing.

In Georgia reforms have been taking place in many fields, education including. Looking at the group of people at the Ministry of education and Science of Georgia conducting reforms in education, I see that the majority are women, as daring as men in these reforms, but also trying to

minimize the pressures and tensions accompanying the reform which have to be implicated fast to help transition to the new system in education. The reform often causes discomfort, quick pace of changes often unnerve you, but everything is set into the proper perspective when one takes a closer look at the newly registered students – they are sharp-witted, ready to study and to act, well motivated, which often was not the case earlier. Only a few years separate newly recruited students from others, but the change is drastic. I see my role of a woman president in keeping up and satiating this drive for study, in bringing up fine personalities and professionals for the country.

At present there are quite a few women presidents at universities and university level institutions in Georgia, particularly private. These relatively smaller, but highly important institutions of higher learning manifest adherence to new approaches, ideas and choices, through which these institutions influence not only educational issues and processes in Georgia, but the whole process of social change through exercising not only our professional knowledge, but also revealing our nature and qualities of women, using our womanly intuition, our immanent knowledge of what is good for a young generation, which is a most active element in bringing about social changes. And our, I mean women professionals' mission is to facilitate these changes through bringing up a generation of broadly educated specialists. We, being women and mothers, know better, how to attain this.

Because we become presidents we do not lose our immanent qualities of women. We retain these qualities and extend and broaden our abilities breaking into fields considered earlier men's responsibilities and realm. For years I have not only been Acting President of the Diplomatic Academy of Georgia; I also founded the International Charity Fund „Diplomat“; with a group of friends (mostly women) helped disabled children and needy old people. I also founded the Alumni Association of the Diplomatic Academy and am its Honorary President (while presidents are alumni). In 2009 I founded the Society of Friendship between Georgia and China and am its President. The same year I founded humanitarian charity club Rotary Club of Tbilisi Academia, part of a well-known Rotary International system. I also founded a new educational institution Diplomatic Academy and School and am its president. I am also part of International Women Association of Georgia.

The same versatility is true in the case of other Georgian women presidents present here. This is possible only owing to a woman's ability to see and manage many things at the same time. No matter how complicated is the labyrinth of responsibilities and duties, which we create for ourselves, women never give up, no matter how complicated their lives are. Our staunch nature enables us to gain when others are ready to give up. We are thankful to God for the strength It gave us, and use it for the benefit of our respective societies – in the capacity of wives, mothers, sisters, educators and, of course, presidents.

*Prof. TAMARI TSINTSADZE*

*2010*

## დედა

ძალიან კეთილი, ადამიანების მიმართ ნდობით სავსე, ხელგაშლილი, მეგობრების მოყვარული, გულუბრყვილო, შრომისმოყვარე... ამასთან ერთად კარგი პროფესიონალი – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ზინაიდა არჯევანის ასული (ანუ, როგორც ეძახდნენ, ანდრეევნა) ბოლქვაძე. ბევრი თავისი თვისება გადმომცა. ზოგიერთი მათგანი შენში – როგორც გულუბრყვილობა – სასიამოვნოა და კარგი მათთვის, ვინც შენთან კონტაქტშია, მაგრამ მეტად ძნელი შენთვის. ყველასი გჯერა, ცუდს არაფერს ელი ადამიანებისგან, ფართოდ უღებ კარს ყველას, შემომსვლელი კი ბევრია – კარგიც და ავიც. მერე იმკი შედეგებს. ეს ჩემი ცხოვრების პატარა ტრაგედიების ერთერთი წყაროა. მოულოდნელად დებულობ დარტყმას მისგან, ვისგანაც არ მოელოდი.

ერთ ეპიზოდს მოგიყვებით – დედის მიმნდობი ხასიათის ილუსტრაციას. ბავშვობაში სუსტი და უჭმელი ვიყავი. ექიმებმა დედას ურჩიეს, სუფთა ჰაერზე დიდხანს ამყოფეთო. რაიკომში მუშაობდა. მისი მდგომარეობა გაითვალისწინეს და კოჯორში ერთერთ საბავშვო სახლის დირექტორად დანიშნეს. 3-4 წლის ვიქნებოდი. ერთი ხანი ჩვენთან პოლონელი ბებია ცხოვრობდა. სექტემბერში ბავშვები სკოლაში წავიდნენ. მთელ დიდ შენობაში მე და ბებია დავრჩით. დავიჩემე – მეც მიინდა სკოლაშიო. ჯერ 5 წლის არ ვიყავი. მეტრიკაში ერთი წელი მომიმატეს და ოთხნახევარი წლის ბავშვი სკოლაში წავედი. პირველი წელი არაფერი მესმოდა – პატარა თოჯინით ხელში გავატარე. მეორე წელს კი უკვე სხვა ბავშვებსაც ვჯობნიდი. დედამ უკრაინიდან პოლონელი ნათესავები ჩამოიყვანა და ყველა დაასაქმა სხვადასხვა საბავშვო სახლში. ქალები ქმრის ნათესავებს გაურბიან, დედამ კი მამიდის დიდი ოჯახი ჩამოიყვანა და ჩვენთან დაასახლა. შემდეგ ბებია უკრაინაში დაბრუნდა. მალე თბილისში დაბრუნების დროც დადგა – კოჯორში ყოფნის იმ 3-4 წელიწადში მოვმარდი. უკეთესი სკოლა იყო საჭირო. ნათესავები კოჯორში რჩებოდნენ. ვინ იქნებოდა ჩემთან სახლში თბილისში? ამ დროს საბავშვო სახლის აღსაზრდელს ტოლია ჩერნიშოვს დედამ მოაკითხა – რუსმა ქალმა ვერამ. უცნაურად გამოიყურებოდა – შავი, გამხდარი, ჩაუცმელი, ხელზე „ნაკოლკით“ – ციხიდან ყოფილა ახალი გამოსული. დედამ ცოტა ხანს საბავშვო სახლში დატოვა – შვილთან იყოსო. შემდეგ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო – შესთავაზა ვერას ჩვენთან ერთად წამოსვლა თბილისში – ოჯახში დამხმარის პოზიცია შესთავაზა! არა, დედის გარდა ნაცინარ ქალს სხვა არავინ შეიპატიჟებდა ოჯახში. ვერამ ოჯახის სრულფასოვან წევრად იგრძნო თავი – მოკეთდა, ჩაიცვა, ცოტათი გალამაზდა, მეზობელ ქალს დაუახლოვდა, მის მეგობრებს, ბოლოს კი ბავშვიც გააჩინა ჩვენთან ყოფნის დროს. დედამ სამსახური მოუძებნა ერთერთ სალონში „პარიკმახერად“ და სადღაც დააბინავა. ალბათ ასეთი ბოლო მოსალოდნელი იყო. მაგრამ ბუნება ყველაფერს თავის ადგილზე განალაგებს. ესეც დროული იყო – მე მოვიზარდე, და ვერა უკვე უადგილო იყო ჩემს გვერდით. ეს ეპიზოდი კარგად ასახავს დედის

მიმნდობ ხასიათს, მის ფართო ბუნებას. თვითონ კი რისკავდა, მაგრამ ის ნახევრად ადამიანობადაკარგული ქალი ადამიანად აქცია. თუმცა, ვეჭვობ, რომ ვერას დიდხანს ახსოვდა დედის სიკეთე – მან ახალი ცხოვრება დაიწყო. შემდეგ მის შესახებ არაფერი მსმენია.

2023

## პატარა მოსწავლე

დედაზე ნარკვევში ვახსენე, რომ უჭმელი და სუსტი ვიყავი. ამიტომ დედამ კოჯორში წამიყვანა. ერთ-ერთ საბავშვო სახლის დირექტორად დანიშნეს. როდესაც 1 სექტემბერს ყველა ბავშვი სკოლაში წავიდა, დიდ შენობაში დავრჩით მე და პოლონელი ბებიი. მეც მინდა სკოლაში – ვტიროდი. არა და ოთხნახევარი წლისა ვიყავი. ცოდვა გამხელილი ჯობია – დედამ მეტრიკაში ერთი წელი მომიმატა და მისი ნაცნობ-მეგობრების დახმარებით სკოლაში მომათავსა. პირველი წელი არაფერი მესმოდა, პატარა თოჯინით ხელში გავატარე. მეორე წელს გავუთანაბრდი, მესამე წელს კი გავუსწარი სხვა ბავშვებს. შემდეგ თბილისში წამოვედით და ქალთა #3 სკოლაში წამიყვანეს. მშვენიერი დრო იყო, კარგი ბავშვები, კარგი მასწავლებლები – თითქოს ყველა გიმნაზიადამთავრებული იყო, მცოდნე, ღირსეული. მათემატიკოსი ჰომეროსს გავდა. სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე. მერე ის მედალი მეზობლის მოსამსახურემ მოიპარა – ის ჩვენი ოჯახის დამხმარესთან სტუმრად მოდიოდა. ასე დავკარგე სკოლასთან დაკავშირებული მთავარი სამახსოვრო ატრიბუტი. არა უშავს, აქედან ვერ წამლი! ხოდა არ წაიშალა. წითელი დიპლომით დავამთავრე უცხო ენების ინსტიტუტი, თსუ-ში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია საქართველოსთვის იშვიათ სფეროში – აფრო-ამერიკანისტიკაში. შემდეგ მოსკოვში ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, არაერთხელ ავიმადღე კვალიფიკაცია ინგლისსა და აშშ-ში, სადაც მოგვიანებით მრავალ უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს (აფრო-ამერიკანისტიკაში და საქართველოს ისტორია-კულტურაზე). საინტერესო ამერიკულ კვლევით ცენტრშიც ვმუშაობდი და შემდეგ ჩემთვის მთავარ ადგილას – დიპლომატიურ აკადემიაში.

კარგი ხელი ქონია ჩემი მედლის მომპარავ ქალს!

2023

## მორისი, ლარისა და ძველი ეზო

ბავშვობიდან ინსტიტუტის დამთავრებამდე ერთ ძველ შენობაში ვცხოვრობდი სიონის ქუჩაზე – ყოფილ ქარვასლაში, ახლანდელ ქალაქის მუზეუმში. საინტერესო ეზო იყო – იქ მორისი და ენრიკო ფოცნიშვილები ცხოვრობდნენ, პოეტი გიორგი კალანდაძე, პროკურორი, მასწავლებელი, ინჟინერი, მწვრთნელი... შენობა მუზეუმს გადაეცა. ფოცნიშვილები და ბოლქვაძეები (ჩვენი ოჯახი) ვაკეში მახლობლად აღმოვჩნდით, სხვები – ვაზისუბანში, გლდანში. წლები გავიდა. ფოცნიშვილებს ხანდახან ვნახულობდი. ერთხელ მორისმა დამირეკა – მოდი, ცნობილი მომღერალი ლარისა დოლინა მეყოლება სტუმრადო. მივედი. დოლინა მოვიდა თავის მეგობარ კაცთან ერთად. მაღალი, კუნთოვანი ფილოსოფოსი ესესაა ჩინეთის შაოლინის მონასტრიდან იყო დაბრუნებული. საინტერესო პიროვნება იყო, კარგი მოსაუბრე. დოლინასი კი რა მოგახსენოთ – იმ დროს იყო პატარა, ჩასუქებული, მოუვლელი, ჩაუცმელი, ბევრს ჭამდა. სულ არ გავდა იმ დივას, როგორც აქცია თავი მოგვიანებით, უდიდესი შრომისა და ნებისყოფის წყალობით. შეუხედავი იყო, მაგრამ გიტარას რომ აიღებდა ხელში, თვალს ვერ მოაშორებდი. გიტარით ხელში უნდა დაემთავრებინა სადამო, მაგრამ არა, ცდუნებას ვერ გაუძლო. მორისის მეუღლემ როზიტამ ღვეზელები შემოიტანა. ამას ვეღარ შევჭამო, თქვა დოლინამ, სასტუმროში წავიდებო. შეეშალა, ისევ უბრალო ოდესეულ ქალად იქცა.

\* \* \*

იმ ძველ შენობას სიონის ქუჩაზე ვერ ვივიწყებ. როდესაც რომელიმე გამოფენაზე აღმოვჩნდები იქ, დავდივარ, ნაცნობ კუთხეებს ვნახულობ. გამყოფი კედლებია აღებული, არსებითად კი იგივეა. ერთი გამოფენა განსაკუთრებით მახსოვს – ბალეტმეისტერის იური ზარეცკის უდიდესი კოლექცია, რომელიც მან თბილისს უსაჩუქრა. ორივე სართულზე ყველა დარბაზში და ოთახებში გამოფენილი იყო უძვირფასესი ფაიფური, ბროლი, ფერწერა, ანტიკვარული ავეჯი, ძველი ზინგერის საკერავი მანქანები, სამოსი, მოჩუქურთმებული მოოქროვილი ეტილიც კი. ექსპონატებიც მახსოვს და მათი განლაგებაც. წლები გავიდა. ერთხელაც ზარეცკის ნივთების გამოფენა დააანონსეს. მივედი. ერთ-ორ ოთახში კანტიკუნტად გამოფენათ ნაკლებად საინტერესო ნივთები. სხვა ექსპონატები სადაა, ვეკითხები. ერთმა თანამშრომელმა თქვა, საცავშიაო, მეორემ – თბილისის ომის დროს მოიპარესო. ეს კი გავდა სიმართლეს. ვერ ვიცავთ ჩვენს საგანძურს.

სხვა დროს მუზეუმის თანამშრომლებმა როგორც იმ შენობის ყოფილ მკვიდრს შემთავაზეს ერთი ღონისძიების ჩატარება – ძველი მეზობლების მოყვანა და მოგონებების სადამოს ჩატარება. კარგი იქნებოდა, მაგრამ ფოცნიშვილების გარდა არავისი მისამართი არ ვიცოდი. დარჩა იდეა განუხორციელებელი. ამას არ ვნანობ. ვნანობ, რომ დიდი ხა-

ნია არ არიან მორისი და როზიტა, მაგრამ ქვეყანას დაუტოვეს ორი ნიჭიერი შვილი – ბასა და თამარი, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართულ ხელოვნებაში. ყველაფერი კი იმ ძველი თბილისური ეზოდან მოდის.

## უპიზოდი დიპლომატებთან ურთიერთობიდან

დიპლომატიურ აკადემიაში მუშაობისას მჭიდრო კონტაქტები მქონდა უცხო ქვეყნების საელჩოებთან და ელჩებთან – ყოველ ოთხშაბათს ვიწვევდი სხვადასხვა ქვეყნის ელჩს სტუდენტებთან შესახვედრად. ვმეგობრობდით ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების ელჩებთან. ბევრი ეპიზოდიც მახსოვს მათთან ურთიერთობიდან. ხშირად მიწვევდნენ მათი ქვეყნების დღესასწაულებზე – დიპლომატიურ მიღებებზე. მეგობრებიც მიმყავდა თან – მანანა ხ., ზაირა რ., ერთერთი „პრინცი“ მეუღლით... ერთხელ ირანის მიღებაზე დავპატიჟე ცნობილი მეცნიერი თინა ბ. ამერიკელებთან თანამშრომლობდა. ანერვიულდა, არ გამაძევონო. დავამშვიდე. მისასალმებლად რიგში ვიდექით. ვხედავ, თინამ ხელი გაუწოდა ელჩს – ელჩმა არ შეიმჩნია. ირანელები (ისევე, როგორც სხვა ისლამური ქვეყნებიდან მამაკაცები) ხელს არ ართმევენ ქალებს. ვუსისინებ – თინა, ხელი მოაშორე. ხელგაწვდენილი ძლივს წავიყვანე იმ ადგილიდან. მიკვირს, რატომ არ უნდა ცოდნოდა ნასწავლ ქალს, მათალ თანამდებობებზე მყოფ მეცნიერს მუსლიმების ეს წესი.

ღრო გავიდა. ის ელჩი ჩემთან სტუმრად იყო აკადემიაში. ჯერ სტუდენტებს ესაუბრა, შემდეგ ჩემს კაბინეტში ვიჯექით, ვსაუბრობდით. წასვლა დააპირა, დამემშვიდობა, კარებისკენ წავიდა, შემდეგ მობრუნდა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. ამ ჟესტიმ მითხრა, რომ მაღიარებს როგორც პიროვნებას და ტოლს, მაგრამ ადათი მოითხოვს, რომ სხვების დასწრებით „კაცური“ პოზა შეინარჩუნოს, თავის დაკვრით მოგესალმოს, მაგრამ ხელი არ ჩამოგართვას. სხვაგვარად მას მისი ქვეყნის მთავრობა საკადრის პერსონად არ მიიჩნევს ელჩის თანამდებობისათვის, საერთოდ კაცის სტატუსისათვის.

2023

## მოგონებანი ბრაზილიაზე

2002 წლის შემოდგომის დასაწყისში ბრაზილიის უდიდეს და უღამაზეს ქალაქ სან-პაოლოში გაიმართა ენათმეცნიერების ისტორიკოსთა IX საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც საქართველოს წარმომადგენლით პროფ. ალექსანდრე ფოცხიშვილი და მე.

ხანგრძლივი ფრენის შემდეგ აღმოვიჩნდი ბრაზილიის უდიდესი ქალაქის (10 მილი-



ონიანი მოსახლეობა, მეტროპოლიის ფარგლებში – 16 მილიონი) უდიდეს უნივერსიტეტში (8000 სტუდენტი). ოთხდღიან კონფერენციაზე შევხვდით მრავალ კოლეგას ამერიკის ორივე კონტინენტიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, კონგრესის ორგანიზატორებს. სან-პაოლოს დიდმა და კეთილმოწყობილმა უნივერსიტეტმა ორგანიზებულად და გულუხვად უმასპინძლა კონგრესის მონაწილეებს.

სან-პაოლომ დიდი შთაბეჭდილება დატოვა კონგრესის მონაწილეებზე. სამუშაო დღე იმდენად დატვირთული იყო, რომ ქალაქში მხოლოდ სადამოებით ვახერხებდით გასვლას. ქალაქი ფაქტიურად ბოლო დღეს დავათვალიერეთ. ვნახეთ ნიუ-იორკზე უფრო დიდი და მშვენიერი ქალაქი, სადაც გრანდიოზული თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობანი ორგანულადაა შერწყმული ადრინდელი საუკუნეების ფრანგულ-პორტუგალიური ბაროკოს სტილის შენობებსა და მოედნებთან. სან-პაოლოს არქიტექტურის მრავალი ნიმუში უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს სტუმარზე – S (სიგმა) ფორმის გიგანტური შენობა „კოპანი“, იტალიური სახლი, რომლის გადასახედი მოედნიდან ხედავ ქალაქის შთამბეჭდავ პანორამას, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თავისი გრანდიოზული წითელი სვეტებითა და ფერწერის უმდიდრესი კოლექციით და მრავალი სხვ.

კონგრესის ბოლო დღეს საინტერესო პაექრობა გაიმართა მათ შორის, ვინც სთავაზობდა თავის ქალაქსა და უნივერსიტეტს შემდეგი კონფერენციის ბაზად. ძირითადი კონკურენცია გაიმართა პროფ. გერდა ჰასლერსა (გერმანია) და პროფ. დუგლას კიბის (აშშ) შორის. პატარა საქართველოს მიმართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მხარეების სადისკუსიო მაგიდასთან ბ-ნი ალექსანდრეც მიიწვიეს, რათა გაეგოთ, თუ როგორია პერსპექტივა თბილისში ანალოგიური კონგრესის ორგანიზების თალსაზრისით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით უპირატესობა ამერიკელს მიანიჭეს – გადაწყდა, რომ შემდეგი კონგრესი ილინოისის უნივერსიტეტში გაიმართებოდა 2005 წელს. ბ-ნ ალექსანდრეს მიერ საქართველო შეთავაზებულ იქნა XI საერთაშორისო კონგრესის ბაზად (2008 წ.). ბ-ნი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა მრავალი მოსაზრებით – ფინანსური, სოციალური, პოლიტიკური და სხვ. მიაჩნდა, რომ ძლიერი ამერიკული და გერმანული უნივერსიტეტების ფონზე 2005 წელს კონგრესის მოსაწყობად საქართველოში ნიადაგი არ იქნებოდა მზად; ვერც იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ხედავდა, რომელიც აუცილებელია მსგავსი მასშტაბის ღონისძიებისათვის. ნეტავ კი ეს ბაზა 2008 წელს ყოფილიყო მზად. იმ წელს რაც მოხდა საქართველოში, ყველას გვანსოვს.

კოქტეილით ადვინიშნეთ პროფესორ კლიბის გამარჯვება, გამოვემშვიდობეთ კონგრესის გულუხვ მასპინძლებს, სხვა მონაწილეებს და ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან ერთად გავემგზავრეთ ოსტაპ ბენდერის საოცნებო რიო-დე-ჟანეიროში. შედარებით მცირე განზომილების ოკეანისპირა ქალაქი (5-მილიონიანი მოსახლეობით) საკმაოდ განსხვავდება სან-პაოლოსგან – სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის შემადგენლობით, არქიტექტურით, მუდმივი უდარდლობის ატმოსფეროთი, საზეიმო განწყობით, ცხოვრების სტილით. არქიტექტურაში მაღალი სასტუმროები და ელიტარული საცხოვრებელი კომპლექსები დომინირებს, თუმცა იქვე თითქმის ქალაქის ცენტრში, უდატაკესი რაიონიც

არის განლაგებული.

ალტაცებული დავრჩით ყოველივეთი, რასაც ვხედავდით. ლათინური ამერიკის კონტინენტის ამ უდიდეს ქვეყანას მართლაც ყველაფერი გააჩნია სწრაფი განვითარებისათვის. ქვეყანა, რომელიც აწვდის მსოფლიოს დედამიწის მარაგის 65% ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს, რომელსაც გააჩნია კარგად განვითარებული მრეწველობა და საკმარისი სახსრები ძველი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და გრანდიოზული ქალაქების ასაშენებლად; ქვეყანა, რომელსაც ჰყავს შრომისმოყვარე, ოპტიმისტურად განწყობილი მოსახლეობა, სწრაფი ნაბიჯით მიდის უკეთესი მომავლისკენ.

ცეცხლოვან რიოში დავათვალიერეთ ჯერ ნახევარკუნძული ქრისტეს უზარმაზარი ქანდაკებით, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს და თითქოს ლოცავს მას. ქვის გიგანტი ადამიანებს სათნოებით და მოწიწების გრძნობით აღვსებს. მისკენ მიმავალი რკინიგზა ორი მატარებლით გაკვირვებს: საოცარია, როგორ მოხერხდა ამ მოშიშვლებულ, ციცაბო კლდეზე რკინიგზის გაყვანა და შემდეგ რამდენიმე მონის ხელით 15 წელიწადში კლდოვანი მთის ფერდობებზე ტროპიკული ტყის გაშენება, სადაც რკინიგზასთან ახლოს ეგზოტიკური ხეებია მოსული, პატარა გრძელკუდა მაიმუნები დახტიან ტოტიდან ტოტზე და დაფრინავენ ტროპიკული ჩიტები.

ვნახეთ რიოს ეგზოტიკური ბოტანიკური ბაღი. რიო ცნობილია თავისი 13 პლაჟით. ჩვენ კაპაკაბანას ცნობილ პლაჟთან ვცხოვრობდით პატარა სასტუმროში. ვნახეთ სტადიონი, სადაც ყოველი წლის თებერვალში იწყება ორთვიანი ბრაზილიური კარნავალი. იმ დღეს ტრიბუნები ცარიელი იყო – სექტემბერი ბრაზილიაში ზამთრის თვედ ითვლება. საკარნავალო ქუჩიდან გავემგზავრეთ ძველი და ახალი ეკლესიების სანახავად, პორტუგალიური ბაროკოს სტილის ტაძარიც და ნაგებობებიც ვეროპაშიც მრავალადა, მაგრამ ის საოცარი კონუსისებური გიგანტური ტაძარი ერთია და უნიკალური. ეს საოცარი ნაგებობა, რომელშიც შერწყმულია გოთიკისა და ტრადიციული სამხრეთამერიკული პირამიდის ელემენტები, გაკვირვებს, აგვსებს მაღალი ღმერთის პატივისცემით, მისი სიდიადისა და ადამიანის სიმცირის შეგრძნებით.

ბრაზილიის ეგზოტიკის გათვალისწინებით იქ მრავალი კონგრესი ტარდება. ჩვენ კონგრესის მიმდინარეობისას რიოში ტარდებოდა მენავთობეთა კონგრესი. ვხედავდით ნაპატიებ, შესანიშნავად ჩაცმულ, თავდაჯერებულ ახალგაზრდა რუსებს, რომელთათვის მდიდარი მენავთობეების გარდა არავინ არსებობდა. ძეგლებს უგულისყუროდ ათვალიერებდნენ, ალბათ მაშინაც ბიზნესზე ფიქრობდნენ. ამან ბ-ნი ალექსანდრეს გაოცება გამოიწვია – ასეთ უგულო რუსებს არ შევხვედრილვარო. 20-30 წლის წინანდელი ქართული მასპინძლობით აღფრთოვანებული რუსები ახსოვდა, თანამედროვე კონკურენციის პირობებში გამკაცრებული ბუნების რუსები ჯერ არ ენახა – ისევე, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები, რომელთა ბუნებაში ბევრი რამ შეცვლილია, ბიზნესის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი. მაქვს საფუძველი ვამბობდე ამას, ვინაიდან ერთმა შეხვედრამ საქართველოს ყოფილ მოქალაქესთან დამარწმუნა ამაში.

ერთ დილას ჩემს სასტუმრო ოთახში ზარის ხმა გაისმა. რუსულად მესაუბრებოდა

ვინმე დიანა – ნახევრად ქართველი, ნახევრად ოსი გოგონა, რომელიც 3 წელია რიოში ცხოვრობდა. მისი ოჯახი იქ 8 წლის წინ დაფუძნდა. მთხოვა შევხვედროდი. დავეთანხმე – საინტერესოა რიოში მცხოვრები ყოფილი თანამემამულის ნახვა. ბ-ნი ალექსანდრეც დამემგზავრა.

დიანა მანქანით მოვიდა. იგი „ამსტერდამ საუეს“-ის სისტემის თანამშრომელი იყო. ეს ძვირფასი ქვების მაღაზიებისა და მუზეუმების მფლობელი უდიდესი კომპანიაა ბრაზილიაში, რომელსაც ყველა დიდ ქალაქში აქვს განშტოებები. სან-პაოლოში ვერ მოვახერხეთ ასეთი მუზეუმის ნახვა, ამიტომ დიანას წინადადება მივიღეთ. გზად გავიგე, რომ ჩემმა გვარმა დიანამდე გიდის საშუალებით მიაღწია. ჯგუფის არცერთი სხვა წევრის გვარი არ იყო გადაცემული ფირმისათვის. მივხვდი, რომ გიდი ხელმძღვანელობდა ერთი მოსაზრებით – ის სამკაულების მოყვარული და პოტენციური მყიდველის გვარებს გადასცემდა ფირმას. ამით ორივე მხარე სარგებლობდა – თვითონაც და ფირმაც. ეს ჩემთვის ნათელი იყო. ჯგუფის დანარჩენ ქალბატონებს სამკაულები თითქმის არ ეკეთათ. ძალიან კარგი. ამის წყალობით ვნახეთ უნიკალური ქვების მუზეუმი ტიპური მაღაროს მულაჟით და იარაღმომარჯვებული მუშების ფიგურებით, სადაც რეალისტურადაა წარმოდგენილი გვირაბში წარმოებული სამუშაოები, ნედლი ნატურალური მასალა. მუზეუმიდან დერეფნის საშუალებით გადადინარ მაღაზიაში, რაც არსებითად ტურის დამაგვირგვინებელი ნაწილია. ჩინელმა მენეჯერმა გამოფინა უამრავი სამკაული – ყველაზე იაფი ათმაგად მეტი ღირდა, ვიდრე ქალაქის სხვა მაღაზიებში და მითუმეტეს ხალხური რეწვის გამოფენაზე. გამოფენის ფასებით განებივრებულებს აღარ გვხიბლავდა ამ ფირმის ნაწარმი.

დიანას ფარული გეგმა თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ რა მექნა, მისი ხათრითაც კი ვერაფერი შევიძინეთ იმ მაღაზიაში. გუნება გაუფუჭდა. ვიცოდი, მის შემდეგ არ გამოჩნდებოდა, თუმცა მანამდე წერილების წაღებასაც მთხოვდა და ქართველ დედას ხშირად ახსენებდა, რომელსაც სახლში უნდა მივეპატიჟეთ. გასაგები იყო, რომ აღარც წერილებს მოიტანდა და არც დედას შეგვახვედრებდა. გულუბრყვილო ბ-ნი ალექსანდრე კი ბოლო დღემდე ელოდა, სურდა ნოდარ ღუმბაძის წიგნი ეჩუქებინა. დიანა და მისი ოჯახი ღუმბაძის წიგნის საკითხავად არ გადასახლებულან ბრაზილიაში. კაპიტალისტური ქვეყნის მკაცრი კანონებით უნდა იცხოვრონ, რათა თავი ირჩინონ. ამაში ხელი მაინც შევუწყვე – მენეჯერთან და თანამშრომლებთან ძალიან შევაქე დიანას თითქმის დავიწყებული რუსულ-ქართული და მისი ენერგიულობა; დარწმუნებული ვარ, მენეჯერმა ეს დაიმახსოვრა, მაგრამ ორივეს ერჩივნა ერთი ათასდოლარიანი სამკაული მაინც მეყიდა.

ქრისტეს ქანდაკებასთან სხვა შეხვედრაც გვქონდა – რუს გიდთან, სოხუმელ ტატიანა ეფიმოვასთან, რომელიც რუსი მენავთობეების ჯგუფს ახლდა. აშკარად გაეხარდა ქართველების ნახვა და მათთან დალაპარაკება. სოხუმის კვლევითი ინსტიტუტიც გაიხსენა და მისი დირექტორიც ბ-ნი სალუქვაძეც. ბ-ნი ალექსანდრეს მრავალ კითხვას პასუხობდა, თუმცა შიშობდა ჯგუფის წევრების განაწყენებას. თავის როგორც გიდის რეპუტაციას და სამსახურს რისკავდა რუსი ტატიანა იმისათვის, რომ ქართველის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. თბილისელ გოგონას კი წერილების დაწერა და მოტანა დაავიწყ-

და... ტატიანას ნოსტალგია ჰქონდა სოხუმზე, საქართველოზე. თბილისელი დიანა კი მთლიანად იყო ჩაფლული კარიერასთან დაკავშირებულ გეგმებში.

რიოში ყოფნის ბოლო შტრიხიც ნიშანდობლივი იყო ამ ქალაქისათვის – გიღმა შემოგვთავაზა „პლატაფორმის“ შოუს ნახვა. ეს ერთგვარი მინი კარნავალია ერთი დარბაზით შემოფარგლული. ნახევრად გამიშვლებული, თვალის მომჭრელ საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავე ქალები და არანაკლებ კოლორიტულად გამოწყობილი მათი პარტნიორები, ცეცხლოვანი რიტმები, ტამტამები, მაყურებლის ჩაბმა ცეკვა-სიმღერაში იმდენად შთამბეჭდავი სანახაობაა, რომ ბ-ნმა ალექსანდრემ სამახსოვრო სურათიც კი გადაიღო ბუმბულებში გამოწყობილ მოცეკვავე ქალებთან. ეს სურათი, ისევე როგორც ყიქა კოლა და სხვა მომსახურება, პლატაფორმაში ძალიან ძვირადღირებულია. გამახსენდა ილფისა და პეტროვის კისა ვორობიანიკოვი – „однако, однако...“.

და ბოლო შეხვედრა, რომელიც მნიშვნელოვან მოგონებად დამრჩა. რიოდან პარიზში გამომგზავრების წინ პლაჟზე გავდივით. სუვენირებით მოვაჭრეებიც იქვე გამოჩნდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა პერუანელი 16-17 წლის ახალგაზრდა თხელი, მოქნილი სხეულით, ინკებისათვის დამახასიათებელი ლამაზი, ნატიფი სახით, გრძელი გამლილი თმით. სხვა მოვაჭრეებისგან განსხვავებით მისი მანერა მომაბეზრებელი არ იყო, თავის ხელნაკეთ სამკაულებს თავს არ გახვევდა. ბიჭის თავშეკავებულობით მოხიბლულებმა სწორედ მისგან შევიძინეთ სუვენირები. გამოველაპარაკეთ. სხვებისგან განსხვავებით, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ, რა ქვეყანაა საქართველო და სიტყვას „ჯორჯია“ ამერიკის შტატს უკავშირებდნენ, ამ პერუანელმა ახალგაზრდამ მაშინვე იკითხა – ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაო? ეს ნახევრად შიშველი, მოშავო-მოწითალო კანის, შავი ნუშისებური ფორმის თვალებით, ინტელიგენტური და სათნო გამოხედვით, მშრომელი ბიჭი ამ ქვეყნის და კონტინენტის სიმბოლოდ ადვილქვი. ეს შეხვედრა ლათინური ამერიკის კონტინენტის გაცნობის ლოგიკური და მაჟორული დასრულება იყო. ეს მოგზაურობა დიდხანს გაგვყვა მოგონებად.

*პროფ. თამარ ცინცაძე*

*(მასალა მოთავსებული იყო ბრაზილიის საელჩოს ვებ. გვერდზე  
მოსახლეობაში ამ ქვეყნის პოპულარიზაციისთვის)  
ჟურნალი „პოლიტიკა“, 2002 წ. ოქტომბერი*

# ცოტა რამ ინდოეთზე

(არატიპიური ჩანახატები)

ჩემი პირველი მგზავრობა ინდოეთში ტურისტულ ჯგუფთან ერთად მოხდა. მგზავრობებს მაშინ მეტწილად პროფკავშირი აფინანსებდა. მცირე თანხა გვექონდა გადახდილი, მაგრამ საუკეთესო სასტუმროებში ვცხოვრობდით. ორკვირიანი მგზავრობის დროს ვნახეთ ყველა მთავარი ქალაქი – დელი, კალკუტა, ბომბეი (ახლა მუმბაი), აგრა (უმშვენიერესი ტაჯმაჰალით), ჯაიპური (მისი შესანიშნავი ისტორიული კომპლექსით), ბევრი სხვა ადგილი – ტაძრები, ბაღები, „სპილოების“ გამოქვაბული... რა ჩამოთვლის ნანახ ადგილებს.

ჩამოსვლისას ვიკითხე, საიდან ამდენი ფუფუნება გადახდილ მცირე თანხაში? თურმე ინდოეთს საბჭოთა კავშირის დიდი ვალი ჰქონდა და „ნატურით“ იხდიდა – ტურისტებისთვის კომფორტული პირობების შექმნით. „ნატურით“ მიღებული სერვისი შესანიშნავი აღმოჩნდა. დღეს ასეთ მგზავრობაში მრავალი ათასი დოლარი მექნებოდა გადასახდელი.

მეორე მგზავრობა ინდოეთში სულ სხვაგვარი იყო. მიმიწვიეს დელიში დიდ გამოფენაზე თარჯიმნად – იმ წელს საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო 2 დიდი პავილიონით – საბჭოთა კავშირისა და საქართველოსი. მე მეორეში უნდა მემუშავა. გაემგზავრა ჯერ მამაკაცთა ჯგუფი, რომლებსაც პავილიონში სტენდები უნდა აეგოთ, შემდეგ კი ემუშავათ თავიანთ სტენდებზე. მე 2 კვირით გვიან გამამგზავრეს. თვითმფრინავში ერთი ნაპატიები, თვითკმაცყოფილი კაცი მეჯდა გვერდზე. გამომეცნაურა – ზურა ანიკაშვილი. თქვენ რა მიზნით მიემგზავრებითო? გამოფენაზე-მეთქი. არა, გამოფენაზე მე მივიღვარო, თქვენი კი ალბათ სხვა მიზნით. დამხვედრი ერთი იყო – მიხვდა, რომ მართლაც ერთი მიმართულებით ვმგზავრობდით.

დილით ჯგუფის სხვა წევრებიც გავიცანი – 14 ახალგაზრდა კაცი. ამ საზოგადოებაში ერთი ქალი აღმოვჩნდი. ყურადღება არ მაკლდა. ჩემს ჩასვლამდე მთელ ჯგუფს გასაუბრება ჰქონია საელჩოში – დაარიგეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რა წამლები ეყიდათ, უკიდურესი ჰიგიენა როგორ უნდა დაეცვათ. იმ წამლებს სულ ჯიბით დაატარებდნენ, ისე შეეშინებინათ საელჩოში. გამოფენაზე მრავალი მომსვლელი იყო. ინდოელები ცნობის-მოყვარენი არიან.

ერთ დღეს „ორერაც“ ჩამოიყვანეს – ჩვენი პავილიონის წინ მოედანზე დიდი კონცერტი გამართეს ქართული ცეკვა-სიმღერით. ინდოელების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ცეკვების დროს ხანჯლების გაელვებაზე თვითონაც აცეკვდნენ.

მე ხშირად მაკითხავდა ბ-ნი ბალვანთი, გამომცემლობა „აჯანტა ინტერნეშენელის“ მეპატრონე, რომელსაც უნდა ეთარგმნა და ინგლისურ ენაზე გამოეცა ჩემი ერთერთი რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი აფრო-ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. ტაძრებში დამატარებდა. სიგზი იყო. ერთხელ სიგზების ტაძარში მიმიყვანა ერ-

თერთი დღესასწაულის დროს. კარებში ერთი უბედური ინდუსი იდგა, მტვრიანი სინიდან დატკბილულ ბრინჯის „ფაფას“ ფოთლებზე აწვდიდა მომსვლელებს. ბ-ნმა ბალვანთმა პატივი მცა – ერთი ფოთოლი ჩემთვისაც გამოართვა – მიირთვითო, კარგიაო. რა მექნა, ნეკით ოდნავ ამოვიღე და პირში დავიგუბე. როგორც კი მიტრიალდა ჩემი ნაცნობი, მაშინვე პირიდან მოვიცილე. რომ დავბრუნდი გამოფენაზე, ბიჭებმა მკითხეს, დღეს რა ნახეო? მოვუყევი. ზურა ანიკაშვილმა უბრძანა ბიჭებს – ახლოს არ გაეკაროთო, თამრიკო ამიერიდან საშიშიაო, ნახეთ, ავად გახდებო.

მაგრამ ცხოვრება სავსეა პარადოქსებით. თითქმის ყოველდღე რომელიმე ბიჭი ავად ხდებოდა – სიცხე, კუჭი, ყელი... ერთს, ზურა გუმბარიძეს რომ არაფერი შეეყარა, ბოლო დღეს ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი მოიტეხა (წლების მერე ის ელჩად გაგზავნეს აზერბაიჯანში). მე არაფერი მომსვლია, იმ ტაძრის ფაფასაც კი გადავურჩი.

რაც შეეხება ჩემი წიგნის გამოცემას, დელის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ასწავლიდა ინგლისურს და რუსულს, თარგმნიდა ჩემს წიგნს. მაჩვენეს ნათარგმნი. ბევრი უზუსტობა აღმოვაჩინე, არ დავეთანხმე ასეთი სახით გამოცემას. წავიდე, შევასწორობ-მეთქი, მაგრამ სხვისი ნაწერის შესწორება უარესია, ვიდრე თავიდან დაწერა. დარჩა ის წიგნი ინდოეთში გამოუცემელი. არაუშავს, ინდოეთში იმდენი საინტერესო მაქვს ნახანი, ისეთი შთაბეჭდილებებით ვბრუნდებოდი იმ ქვეყნიდან ყოველ ჩასვლაზე, რომ წიგნის გამოუცემლობა არაფრად მიმაჩნია იმ სიამოვნებასთან შედარებით, რაც იმ ქვეყნისაგან მიმიღია.

2023

## ინდოეთში ერთერთი მგზავრობის ეპიზოდი

ხუთჯერ ვიყავი ინდოეთში – როგორც ტურისტული ჯგუფის წევრი, როგორც საერთაშორისო გამოფენაზე თარჯიმანი და სამჯერ გამომცემლობა „აჯანტა ინტერნეშენლის“ მოწვევით (უნდა გამოეცათ ინგლისურ ენაზე ერთერთი ჩემი წიგნი, დაწერილი რუსულ ენაზე). ბოლო სამ მგზავრობაში მახლდა ჩემი ვაჟი პაატა. აეროპორტში დაგვხვდა ნაცნობი ჟურნალისტი სარდანა. სასტუმროში რა გინდათო, ჩემთან სახლში წაგიყვანთ. მგონია, დელიში. დიდხანს ვიარეთ მანქანით და აღმოვჩნდით პატარა ქალაქ განიაბადში, რომლის არსებობა არც ვიცოდი მანამდე. პატარა პროვინციული ქალაქი იყო თავისი კოლორიტული მობინადრეებით, ბაზრით, რომელიც ქალაქის სოციალური ცხოვრების ცენტრი იყო, ისევე როგორც ტაძარი. დილით მუეძინის ხმამაღალი ძაბილი გვაღვიძებდა – ეტყობა, ახლოს მუსლიმები ცხოვრობდნენ.

ისე, კანტიკუნტად ქალაქში ინტელიგენციაც მოიძებნებოდა. სარდანამ ორჯერ მოიწვია იქაური საზოგადოების „ნაღები“, გამაცნო იქაური ელიტა და ევროპელი სტუმრებიც

სიამაყით წარუდგინა მეგობრებს.

ჩასვლის პირველივე დღეს უთხრა ცნობისმოყვარე 10 წლის პატას – დილაობით ჩვენს სახურავზე მაიმუნები მოდიანო. პატა ეგზოტიკური ქვეყნის ცხოვრებით დაინტერესდა. დილიდან მასპინძლის მიერ მოტანილ ქოქოსს გააცლიდა ბანჯგვლებს, გადაატარებდა გაზზე, მოაპრიალებდა და მერე მიირთმევდა. მისთვის ეს უჩვეულო და საინტერესო პროცესი იყო.

ერთ დილით, როდესაც საუზმეს ვამზადებდი, ყვირილი მომესმა სადღაც ზემოდან – „დედააა!“ გავიქეცი სახურავისკენ. ვხედავ, მორბის შეშინებული პატა ქოქოსით ხელში, უკან დიდი მაიმუნი მოსდევს. ამხელა ცხოველს ადვილად შეეძლო ბიჭის დაზიანება. დაუფვირე – „ქოქოსი გადაუგდე!“ მოიქნია პატამ ქოქოსი მაიმუნისკენ, რომელსაც ქოქოსის დანახვაზე პატა დაავიწყდა, ან რად სჭირდებოდა – გაპრიალებულ ქოქოსს მისდევდა.

ასეთი კოლორიტულია ეს ულამაზესი ქვეყანა – ინდოეთი.

შემდგომ კიდეც ორჯერ ვიმგზავრეთ ინდოეთში. ამჯერად დელიში ცხოვრობდით, გამომცემლობის მიერ შეთავაზებულ სასტუმროში (გამომცემლობა „Ajanta International“ მაშინ ჩემი წიგნის გამოცემაზე მუშაობდა). ბევრი კოლორიტული ადგილი ვნახეთ, დაუვიწყარი. არ მოგაწყენთ თავს მათი აღწერით – იმ ტაძრებზე და კოლორიტულ ბაზრებზე, ზოოპარკებზე, ფაკირებზე სხვებსაც ბევრი უწერია.

დღესაც რომ შემთავაზონ სხვადასხვა ტური, ისევ ინდოეთს ავირჩევდი – გონებაში და სხეულში მაქვს გამჯდარი ლამაზი, თბილი, იღუმალეებით სავსე ეს ქვეყანა – განუმეორებელი ინდოეთი.

2023

## კიდეც ერთი ეპიზოდი ინდოეთში ცხოვრებიდან

საერთაშორისო გამოფენაზე მუშაობის დროს ერთი ინდოელი წყვილი ხშირად მაკითხავდა. თავისუფალ დროს დაყავიდი ტაძრებში, ბაღებში. ქუჩაში სეირნობისას თვალს ვადევნებდი იქვე, ტროტუარზე მომუშავე მზარეულებს, კონდიტერებს. მომწონდა მათი ნახელავი, განსაკუთრებით თვალს იზიდავდა ზეთში შემწვარი არომატული ცომის ბურთულები. ყველაფერზე თავს ვიკავებდი, დელის ქუჩებზე მეტად მტვრიანი ხომ არაფერი მინახავს, იქ მომზადებულ კერძს რა მაჭმევდა.

ერთხელ წყვილმა სახლში დამპატიჟა ვახშმად, გამოფენის სამუშაო საათების შემდეგ მოვიდნენ. მიმიყვანეს საკმაოდ უბრალო, თითქმის ხელმოკლე ოჯახში. დავაფასე მათი ყურადღება – საშუალო კლასის დაბალ ფენას ეკუთვნოდნენ, სტუმრის მიპატიჟება

კი მაინც უნდოდათ. ქალმა სუფრა გაშალა. დესერტად ის ცომის ბუმბულები გამოიტანა. ვიფიქრე, რა კარგია, სახლში გამომცხვარი ტკბილეულობაა. ჩაისთან ერთად მივირთვით. როდის მოასწართ-მეთქი ამის გამოცნობა, თქვენც ხომ სამსახურიდან მოღიხართ. ქალმა მიპასუხა – თქვენთან მოსვლამდე ქუჩაში შევიძინეთო. რას ვიზამდი, უკვე მირთმეული მქონდა, მაგრამ ამ ექსპერიმენტს გადავურჩი, ისევე, როგორც ადრე მისტერ ბალვანთის ბრინჯის ფაფას.

2023

## აია-სოფია, სტამბოლი

ქალების პატარა ჯგუფი (უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები) ჩინეთში მივდიოდით ქალთა ფორუმზე სტამბოლის გავლით. ერთი დღე სტამბოლში დავრჩით. კოლეგას ნაცნობი თურქები დახვდნენ. ქალაქში წაგვიყვანეს. ბუნებრივია, პირველი ძეგლი, რომელიც ვნახეთ, აია-სოფია იყო. მანამდე არ მენახა, მაგრამ კარგად ნაცნობი ნაგებობა იყო ჩემთვის. ადრე ამერიკიდან „ნეშენელ ჯეოგრაფიკის“ ძველი ნომრები ჩამოვიტანე. ერთერთში ძალიან საინტერესო სტატია იყო ბიზანტიაზე – ისტორია, ადგილმდებარეობა, ჰავა, არქიტექტურა, იერარქიული სისტემა, კანონები, კულტურა... გავამრავლე და დიპლომატიური აკადემიის სტუდენტებს სასწავლო მასალად შევთავაზე. კარგად მახსოვს აია-სოფიას არქიტექტურის აღწერა. და აი ამ ისტორიულ ნაგებობაში აღმოვჩნდი. პირველივე წუთებიდან უცნაური გრძნობა დამეუფლა, თითქოს წარსულიდან რაღაც ხმები მესმოდა, უცნაურ, თითქოს უკვე ნაცნობ თბილ გარემოში აღმოვჩნდი, ყველაფერი ნაცნობი იყო. მეორე სართულის დიდ აივნისკენ, რომელიც ქალბატონებისათვის იყო განკუთვნილი, ქვაფენილი, არა კიბეები, გადიოდა. კოლეგებს გაუკვირდათ, რატომ, კიბე ხომ უფრო მოსახერხებელი იქნებოდაო. თითქოს უკვე ნათქვამი ქონდათ ჩემთვის, ავუსხენი, რომ აქ სწორედ ქვაფენილი იყო საჭირო, რადგან ქალბატონები მონებს პალანკინებით აყავდათ აივანზე. ეს იმ ტექსტში არ იყო, მაგრამ საიდანღაც ვიცოდი. მამის მხრიდან კათოლიკე წინაპრებისაგან? ვერ გეტყვით, მაგრამ იქაურობა კარგად ნაცნობი იყო ჩემთვის. ის დიდი შავი პანოებიც კი არ მიშლიდა, რომლებიც თურქებმა ტაძრის სვეტებზე დაამაგრეს. არ ვიცი, დღეს, როდესაც ქრისტიანებისთვის ეს წმინდა ადგილი თურქებმა მეჩეთად აქციეს, რა გრძნობა დამეუფლებოდა, გავიგონებდი თუ არა შორეული წინაპრების ხმებს.

ამ ტაძართან დაკავშირებით კიდეც ერთი დეტალი დამამახსოვრდა. თუ შენი გიდი ქრისტიანია, ის გაჩვენებს მადლა კედელზე ნიშნულს – იმ სიმაღლემდე ელაგა ერთი მეორეზე ბიზანტიელების გვამები მთელ ტაძარში იმ საბედისწერო 1453 წელს, როდესაც თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს. დღესაც, როდესაც ბერძენი ამბობს „the



city“, ის დაკარგულ კონსტანტინოპოლს გულისხმობს. დღესაც ვერ ურიგდებიან ამ დანაკარგს... დიან, და თუ თქვენი გიდი მუსლიმია, ის ამ ნიშნულს არ გაჩვენებს, ჩაუვლის... ობიექტურობისთვის ვიტყვი, რომ აია-სოფიას მოპირდაპირედ აღმართული დიდი ცისფერი მეჩეთიც მშვენიერია და შთამბეჭდავი, ცისფერ-ფირუზისფერი ზღაპარი. ქრისტიანების ხელში რომ აღმოჩნდეს, მჯერა, ეკლესიად არ აქცევენ. ძეგლებს პირველადი ფორმა და ფუნქცია უნდა შევუნარჩუნოთ, ამაშია მათი სიღიადე, სოციალური და ისტორიული მნიშვნელობა.

2023

## ჩინეთში ყოფნის ერთი ეპიზოდი

უცხო ერს შეიცნობ როგორც მისი კულტურული მიღწევებით, ისე მცირე დეტალებით, რომლებიც ყოველდღიურობაში ხშირად შეუმჩნეველი რჩება, თითქოს უმნიშვნელოა, მასშტაბს მოკლებული.

როგორც ადრე მოგახსენეთ, ჩინეთში ქალთა ფორუმზე ვიყავი მიწვეული – უმაღლესი სასწავლებლების პრეზიდენტ ქალებს იწვევდნენ. ფორუმი პეკინში იწყებოდა. შესანიშნავ სასტუმროში დაგვადინავეს. პირველი დღე თავისუფალი აღმოჩნდა. სასტუმროს მახლობლად სავაჭრო ცენტრში შევედი. თავი ვერ შევიკავე – სამი შესანიშნავი, ჩინურ სტილში შესრულებული მოსასხამი შევიძინე – ჩინური კულტურა ხომ ახალგაზრდობიდან მიზიდავდა. მეორე დღეს ფორუმის განსნა იყო სამთავრობო სხდომათა დარბაზში (იქაურ „კრემლის“ სასახლეში). შემდეგ ნანკინში, შანხაიში, სუჯოუმში ვიმგზავრეთ. თავისუფალ დროს, რომელიც თითქმის არ გვქონდა, მუზეუმებში გვატარებდნენ, ერთი-ორჯერაც მოპინგზე გასვლაც კი მოვახერხეთ. დამემატა ნაყიდი და ჩინელების მიერ ნაჩუქარი სუვენირები. ჩანთა ვედარ იკვრებოდა. ბოლო დღეს რატომღაც ადვილად შევკარი – გამიხარდა. ფრენის დროს რაღაც ეჭვი შემეპარა, რაიმე ხომ არ დამრჩა სასტუმროში? ამაზე ფიქრს აზრი აღარ ქონდა. ტრანსფერი სტამბოლში გვქონდა. ჩანთა ვიღას ახსოვდა. თბილისში ჩამოსვლისას აღმოვაჩინე, რომ ის სამი საოცარი მოსასხამი მაკლდა – რომელიღაც ქალაქში დამრჩენოდა კარადაში. ამას აღარაფერი ეშველებოდა. სამადლობელო წერილი გავუგზავნე მასპინძლებს. ვახსენე გაკვრით, რომ 3 ნივთი რომელიღაც ქალაქში დამრჩა, მაგრამ ეს არაფერია, დახვედრა და მთელი მგზავრობა ისეთი საოცარი იყო, რომ დანაკარგი არაფერს ნიშნავდა. შემდეგ დღეს მომივიდა პასუხი – თქვენი ნივთები ნაპოვნიაო და რა მისამართზე გამოგიგზავნოთო. მოდი ნუ გაგიკვირდება უბრალო ჩინელების, სასტუმროს თანამშრომლების პატიოსნება, ან ფორუმის მომწყობთა ოპერატიულობა. ეს ყველაფერი ერის სახეს ქმნის, მის მორალზე მეტყველებს. თითქოს წვრილმანია, ამ დროს რამდენად მეტყველი.

დღესაც მაქვს ის სამი ლამაზი ჩინური სამოსი – კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანების მოსაგონარი, ადამიანების, რომლებიც დიდ, კეთილ, პატიოსან, სტუმართმოყვარე ერს ქმნიან.

## კონფუცი

(კუნ-ცზი ან კუნფუ-ცზი)

2006 წ. ჩინეთის ელჩმა ვან კაივენმა და კონსულმა გუ ჰინმა (ჩემმა დიდმა მეგობრებმა) წარგვადგინეს რუსიკო ლორთქიფანიძე, გიული ალასანია და მე ქალ-პრეზიდენტა მესამე ფორუმზე ჩინეთში. რუსიკო წარმოადგენდა თსუ-ს, გიული – თავის უნივერსიტეტს, მე – დიპლომატიურ აკადემიას. თემა იყო (როგორც ყოველთვის) ახალი მიდგომები უმაღლეს განათლებაში. გავემგზავრეთ. მგზავრობის ხარჯები ჩვენზე იყო, დანარჩენი – მიმღებ მხარეზე. მიღება კი საოცარი იყო. არა ვთქვათ, რომ ყველაზე სტუმართმოყვარე ერთ ვართ დედამიწაზე. ჩინელებმა გვაჯობეს. ფორუმი – სამთავრობო დარბაზში, ცხოვრება – ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში, ყოველდღე ნომერში ახალი კალათა ეგზოტიკური ხილით, საწოლზე საჩუქრები – აბრეშუმის მოსასხამები, სურათები, ნაქარგები, ფოტოები, სუვენირები; ყოველდღე ბანკეტები, სხდომებს შორის ექსკურსიები მუზეუმებში, პარკებში, იმპერატორების სასახლეებში... შემდეგ მგზავრობა შანხაიში, ნანკინში, უძველეს სუჯოუში მისი 3000 წლის ბადით, ექსკურსია ჩინეთის კედლის ერთ-ერთ მონაკვეთზე...

სხდომების დასაწყისში ერთმა ორგანიზატორმა მკითხა რუსიკოზე და გიულიზე – ვინ არიანო. ვუთხარი, გიულიზე კი დავუმატე – ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტის დედააო. იმ დღიდან გიული თითქმის აღარ გვინახავს – დააქროლებდნენ რადიო და ტელესტუდიებში. ბოლოს ყველანი ბუღალტერიაში დაგვიბარეს და ავიაბელეთებზე დახარჯული თანხებიც დაგვიბრუნეს. ეს არის დიდი კონფუცის (2500 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დღემდე მომქმედი ფილოსოფია და ეთიკური სწავლება, რომელიც უხსოვარი დროიდან საფუძვლად დაედო ჩინეთის სახელმწიფოებრივ სისტემას. მისი საფუძველია – ჰუმანური მართვა, მკაცრი იერარქიული სისტემა, ღრმა პატივისცემა ასაკით თუ რანგით მაღალი პირის მიმართ, იერარქიული საფეხურების დაცვა. ჩინელებს ეს სისხლში აქვთ კონფუცის დროიდან მოყოლებული, ცხოვრობენ ამ დიდი მასწავლებლის მიერ დაწესებული პრინციპებით, თუმცა არც კი იციან ამის შესახებ. იდეალური მაგალითია იმისა, რომ ყოველივე (ფილოსოფიური სწავლების ჩათვლით) უნდა იქმნებოდეს საჭირო დროს საჭირო ნიჟარაზე, და აი მაშინ ის საუკუნეებს უძლებს. დღეს ვღებულობთ კანონებს და ერთ თვეში ვქმნით 3-სტრიქონიან კანონზე 3-გვერდიან ახსნა-შესწორებებს, კონფუციმ კი ისეთი სისტემა ჩამოაყალიბა, რომ შესწორებებს არ საჭიროებს, ჩინელების ფსიქოლოგიას არის

მორგებული, ერის საჭიროებებს ემსახურება.

რაც შეეხება გიული ალასანიას – ძალიან კარგი იყო მგზავრობაში, უშუალო, უამბი-ციო. მას მერე ბევრი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა. მაგრამ ის ქვეყანა და ის მიღებაც კარგად მახსოვს. გიულიმ დღემდე არ იცის, რომ მაშინ მე გავუმხილე ფორუმის ორგანიზატორებს მისი ვინაობა. და ისევ კონფუციის იდეოლოგიაში ჩაჯდა ჩინელების განსაკუთრებული ყურადღება პატარა ჯგუფის მიმართ საქართველოდან.

2023

## მოგონებები ინგლისზე

ერთი სემესტრი ლიდისის უნივერსიტეტში გავატარე საკვალიფიკაციო სტაჟირების ფორმატში. ლიდისი ინგლისის გეოგრაფიული ცენტრია, უნივერსიტეტი – ერთერთი ყველაზე დიდი და კარგად აღჭურვილი უნივერსიტეტია. არ ადვილად ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს – შესანიშნავი იყო. ყოველ ოთხშაბათს 4-5 თვის განმავლობაში დავყავდი ექსკურსიებზე – შუასაუკუნოვან ოქსფორდში, შექსპირის სტრადფორდში ანგლიკანური ეკლესიის მთავარეპისკოპოსის სატახტო ქალაქში – იორკში, ლონდონში, ბრედფორდში, მრავალ სხვა ქალაქსა თუ დაბაში.

ერთი ექსკურსია დამამახსოვრდა განსაკუთრებით – ცნობილი ღების ბრონტეების ჰავორსში. ყოველი ექსკურსიის წინ ლექტორი მოდიოდა, ხვალინდელი ექსკურსიის ადგილზე და მის ისტორიაზე მოგვითხრობდა. ეს კარგი ჩანაფიქრი იყო. ჰავორსში გამგზავრების წინ ლექტორმა თქვა (რითაც ფსიქოლოგიურადაც მოგვამზადა ექსკურსიისთვის) – ინატრეთ, რომ ხვალ წვიმა იყოს, მაშინ სრულად შეიგრძნობთ ბრონტეების ოჯახის ცხოვრების პირობებს და მათი მოკლე ცხოვრების ძირითად მიზეზს. კარგი ფსიქოლოგი იყო, ცხადია, რომ იწვიმებდა, რადგან იმ დმერთით დავიწყებულ ადგილებში წელიწადში 2-3 მზიანი დღე თუ გამოდის. წვიმდა, ყველაფერი ნესტიით იყო გაჟღენთილი, თან ქარიც ქროდა, როგორც ყოველთვის. ბრონტეების პატარა სახლში შევედი. უამინდობისაგან ოთახები თითქმის ჩაბნელებული იყო. გარეთ გამოსვლა არ მოგინდებოდა. ოჯახის 4 ბავშვი (ძმა და მომავალი სამი რომანისტი ქალი) სრულიად ეკიპირებული – პალტოებში, ქუდებსა და შარფებში – სასეირნოდ გადიოდნენ... ე. წ. დიდ ოთახში, რომელიც არ თებებოდა, და მრგვალი მაგიდის ირგვლივ დადიოდნენ. საცოდავი ბავშვები. ასეთ პირობებში გაზრდილ ბავშვებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, რომ არ ეკითხათ და არ ეწერათ, ჟურნალებსაც კი „სცემდნენ“. საშინელმა ჰავამ ყველას ჭლექი დამართა, ძმამ ამას ალკოჰოლიც დაუმატა. არცერთმა არ მიაღწია 40 წლის ასაკს. ქალებმა დიდი მემკვიდრეობა დატოვეს პოპულარული რომანების სახით (ყველას გვახსოვს „ჯეინ ეირი“ და სხვ.), მაგრამ ადრე წავიდნენ. ორი დღის წინ წავიკითხე, რომელიდაც კვლევამ დაადგინაო,

ცუდ წყალს სვამდნენო, და ის იყო მათი უდროოდ გარდაცვალების მიზეზი. ცუდი წყალი კუჭ-ნაწლავს დაუზიანებდა, ქლექი კი ყველას ცუდმა ჰავამ დამართა, მუდმივმა ქარმა და წვიმამ.

ბევრი თავის წარუმატებლობას ათას მიზეზს მიაწერს, მაგრამ შარლოტა, ემილი და ანა ბრონტეებმა გვიჩვენეს, რომ თუ ნებისყოფა, ნიჭი და ცხოვრებისადმი ინტერესი გაგაჩნია, ნებისმიერ პირობებში მონახავ შენს გზას, შექმნი რაღაცა ღირებულს, რასაც ადამიანებს დაუტოვებ და რაც კაცობრიობის ისტორიის ნაწილად გაქცევს.

2023

## ეშვილი

ეშვილში (ჩრდილო კაროლინა, აშშ) მეგობრებთან – მარლა და ჯოელ ადამსებთან – ვიყავი. ამას ეშვილიც არ ქვია – ფაქტიურად დიდ სახლში ტყეში ცხოვრობდნენ. სულ მეზობლებზე ოცნებობდნენ. ერთხელ აივნიდან ველოსიპედებით მომავალი წყვილი შევამჩნიეთ ტყის ბილიკზე. ჯოელს გაეხარდა, მგონი, აქ სახლის ყიდვას აპირებენო. დაუძახა აივნიდან – ამოვიდნენ. კაცის დაბადების დღე ყოფილა. ჯოელმა ლუდის ქილები გამოიტანა. მივულოცეთ. გრილზე 5 სტიკი მზადდებოდა – ოჯახში ხუთნი ვიყავით, როგორც კი სასიამოვნო სუნი დატრიალდა, სტუმრები წამოდგნენ – თქვენი სადილიც მზადააო. ნანატრ პოტენციურ მეზობლებს არავინ თხოვა დარჩენა. იქაური წესი მათ წასვლას კარნახობდა. გამიკვირდა, ჩვენ ხომ აუცილებლად დარჩენას ვთხოვდით, საჭმელსაც ყველას ვამყოფინებდით, მითუმეტეს, რომ ოჯახში ორი მცირეწლოვანი ბავშვი იყო. შევწუხდი, მაგრამ ნათქვამია – სადაც წახვალ, იქაური ქული დაიხურეო.

მარლასთან და ჯოელთან დღემდე შემრჩა მეგობრობა. ჩამოსვლაც ვთხოვე, მათთან შეხვედრა დიდი სიხარული იქნება ჩემთვის. ბევრი საინტერესო ადგილი აქვთ ჩემთვის ნაჩვენები ეშვილის ირგვლივ. ყველაზე მეტად სამახსოვროა ეშვილში ცნობილი ვანდერბილტების (რკინიგზის მაგნატების) 260-ოთახიანი საოცარი სასახლე მდიდრულად მოწყობილი დარბაზებით. აღრინდელ თავლაში ულამაზესი კაფეა მოწყობილი. სასაფლაოზე კი ქვა დავინახე – ცნობილი მწერლის თომას ვულფის სახელით (ვულფი, ისევე როგორც ფოლკნერი, ჰემინგუეი და ფიცჯერალდი, თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლება). რომ დაინახეს ჩემი ინტერესი, მის სახლ-მუზეუმშიც წამიყვანეს. ჩვენც ბევრი რამ გვაქვს მათთვის საჩვენებელი, არანაკლებად სასიამოვნო. ჩამოვიდნენ.

2023

## ქართული ექსპოზიცია ნიუ-იორკის მუზეუმში

ნიუ-იორკში ყოფნისას არაერთხელ ვესტუმრე საბუნებისმეტყველო მუზეუმს (Museum of Natural History, ფაქტიურად ისტორიის მუზეუმი), სადაც ერთერთი კურატორი ჩემი მეგობარი ენ ფიცჯერალდი იყო – ცნობილი ლიტერატორის ჰოლ ლაუტერის მეუღლე. ექსპოზიციები დამათვალიერებინა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის ერთი მცირე დარბაზი, რომელშიც ორი ექსპოზიცია იყო განთავსებული – ქართული და სომხური. უკანასკნელი იკავებდა დიდ კედელს. ფონს წარმოადგენდა არარატის დიდი გამოსახულება, წინა პლანზე იდგა ორი ფიგურა – ძველებურ ეროვნულ კოსტუმებში ჩაცმული ქალ-ვაჟი. სამოსი აუტენტური იყო, ისტორიული. ქართული ექსპოზიცია იკავებდა მცირე კედელს. შუშის უკან განთავსებული იყო თანამედროვე (ალბათ „სოლანის“) ნივთები – ჩოხა, კახური ქუდი, ხანჯალი, ხურჯინი, რამდენიმე ფიალა. ვინც ქართულ კულტურას იცნობს, მას ექსპონატების ასეთი სიმწირე და მუზეუმისთვის ნივთების ასეთი შეუფერებელი ასაკი უსიამოვნოდ გააკვირვებს.

ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ მოქანდაკეს ლადო გუჯაბიძეს დაველაპარაკე ამის თაობაზე. თუ მოვახერხებდი საკადრისი ექსპონატების შეგროვებას, ლადო კურატორობას გაუწევდა მათ განთავსებას მუზეუმში. მანამდე ექსპოზიციის კურატორს დაველაპარაკე, თუ შეძლებთ-მეთქი ჩემს მიერ გამოგზავნილი ექსპონატების გამოფენას. ერთ-ორ ნივთს არაო, რადგან ძვირადღირებული სამსახური უნდა გამოიძახონ, რომელიც გახსნის ვიტრინას, ექსპოზიცია შეიცვლება და მერე ეს სამსახური ისევ დალუქავს ვიტრინას იმის შემდეგ, როცა ჰაერს ამოტუმბავს – ყველა ვიტრინა ვაკუუმური ყოფილა. ამიტომ საჭირო იყო ბევრი ნივთის გაგზავნა მთელი ექსპოზიციის შესაცვლელად.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვინახულე ბ-ნი თენგიზ ბუაჩიძე, რომელიც მაშინ კულტურის ფონდის უფროსი იყო, მანამდე კი ჩემი რექტორი უცხო ენათა ინსტიტუტში. შევთავაზე პრესით მიგვემართა თანამემამულეებისათვის წინადადებით, ერთად აგვეჭურვა ქართული ექსპოზიცია ნიუ-იორკის ისტორიის მუზეუმში. მომისმინა, დაფიქრდა და თქვა – არ გირჩევ ამას, არასწორად გაგვიგებენ, შარში გავხვევითო. ბრძენი ადამიანი იყო, ალბათ ასეც მოხდებოდა. რამდენიმე თვის წინ ერთი ჩემი ყოფილი სტუდენტი ეკა კემულარია იყო იმ მუზეუმში. მის მიერ ფეისბუქში დადებული სურათებით მივხვდი, რომ არაფერი შეცვლილა ამ 25 წლის განმავლობაში – ექსპოზიცია იგივე იყო. კიდევ მივწერეთ ერთმანეთს ამის თაობაზე. ამ წერილის მკითხველებს ვთხოვ დაფიქრდეთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამერიკულ მუზეუმში ქართული ექსპოზიციის გასანახლებლად. სიძნელებები კი აგინსენით.

ჰოლ ლაუტერ და ენი გეგმავდნენ თბილისში ჩამოსვლას, მაგრამ ეს მგზავრობა გადაიდო, რადგან მე არ ვიქნებოდი იმ დროს თბილისში. დასანანია, ორთავს ისეთი პოზიციები ეკავა ამერიკის კულტურულ ცხოვრებაში, რომ მათი ჩარევით რაღაცა დადებითი გაკეთდებოდა ამ საკითხთან მიმართებაში. მათ დღეს ეს არ შეუძლიათ – ენი აღარ არის,

პოლი კი ძალიან ასაკოვანია. ისევ ქართველი ახალგაზრდა პატრიოტები თუ იტყვიან თავიანთ სიტყვას საკადრისი ქართული ექსპოზიციის შექმნაში ნიუ-იორკის ისტორიის მუზეუმში.

\* \* \*

ერთი მცირე დანამატი არაქართულ თემაზე. საბუნებისმეტყველო (იგივე ისტორიის) მუზეუმში ჩემი მეგობრის ენ ფიცჯერალდის კურატორობით ეწყობოდა საინტერესო გამოფენა სახელწოდებით „სხულის ენა“ („Body Language“). ყველაფერს ასახავდა, რაც სხუელთან იყო დაკავშირებული და ისტორიულ ფენომენს წარმოადგენდა – მსოფლიოს ხალხების ჩაცმულობა, ტატუირება, ჩინელ-იაპონელი ქალების ფეხის ტერფების კალაპოტებში ჩასმა, მრავალი სხვა ადამიანის სხულის ქმედითი თუ სიმბოლური ცვლილება, რომელიც მეტწილად რეალურ, და არა მარტო სიმბოლურ ქმედებას წარმოადგენდა. ენი ექსპონატებს მთელი მსოფლიოს მუზეუმებსა და მცირე დასახლებებშიც ეძებდა. ასეთი ექსპოზიციისთვის ექსპონატების შეგროვება ხშირად 2-3 წელიწადს მოითხოვს. შეაგროვა ექსპონატები, დაახარისხა, დარბაზებში მოათავსა. გახსნის დღეს ნიუ-იორკიდან მოვფრინავდი თბილისში. წინა დღით დამპატიჟა იმ იშვიათი ექსპოზიციის დასათვალიერებლად. ბილეთი ხომ არ შემეცვალა-მეთქი, გახსნას დავესწრებოდი. ხვალ ოფიციალური გახსნის წინ პრევატული გახსნააო (preview), სპონსორები დაესწრებიან. თუ ზედმეტი 5 000 დოლარი გაქვსო ან მეტი, დაესწარი, წესი ასეთიაო. არ მქონდა, ამიტომ შეთავაზება მივიღე და პრევატული გახსნის წინ მივედი მუზეუმში. საინტერესო სანახაობა იყო, დაუვიწყარი. დღემდე მახსოვს და სურათებიც შენახული მაქვს ჩემს ფოტოარქივში. მაღლობა, ენ. აღარ გესმის, მაგრამ მაინც მაღლობა.

2023

## ეზოთერიკოსი კალიფორნიაში

მიწვევა მქონდა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (სანტა კრუზის კამპუსი) ლექციების წასაკითხად ეთნიკურ სწავლებათა ფაკულტეტზე. საუნივერსიტეტო კამპუსი შორს იყო აეროპორტიდან. აღმინისტრაციამ ტაქსი დამახვედრა. ინტელიგენტური იერის ტაქსისტი იყო, კულტურულად მოლაპარაკე. ეტყობა, უნივერსიტეტი კონტრაქტით ისეთ მძღოლებს იყვანს, რომლებსაც შეუძლიათ სათანადო კომპანია შეუდგინონ ჩამოსულ მეცნიერებს, მითუმეტეს, რომ გზა საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. თავის თავზე მიყვებოდა, კალიფორნიაზე, საქართველოზე მეკითხებოდა... თემას რა გამოლევდა. მაგრამ ერთმა

თემამ გამაკვირვა – თუ იცნობთ ელენე ბლავაცკაიას შემოქმედებასო. ზოგი რამ ამ ეზო-თერიკოსზე და თეოსოფოსზე ვიცოდი, რადგან ცნობილი მხატვრის ნიკოლაი რერახის თანამედროვე და ზოგ რაღაცაში თანამოაზრეც იყო. აღმოჩნდა, რომ ის მძღოლი მაღამ ბლავაცკაიას საზოგადოების წევრი იყო. მოდი, ნუ გაგიკვირდება – საიდან სადაო. კალიფორნიაში ვინმე, მითუმეტეს ტაქსის მძღოლი, თუ ელენე ბლავაცკაიას იცნობდა, ნაკლებად წარმოსადგენი იყო. როგორ, კარგად არ იცნობთო? ჩახვალთ თუ არა თბილისში, მაშინვე წადით ბიბლიოთეკაში და მის შესახებ ყველაფერი წაიკითხეთო. ბიბლიოთეკაში მის მერე არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ ელენე ბლავაცკაიამდე რაღაც ვერ მივედი – ბევრი სხვა რამ საქმე მქონდა. როდესაც უნივერსიტეტში მივედი, გამომშვიდობებისას ჩანთიდან სუვენირი ამოვიღე და გავეწოდე – პატარა ქართული ხანჯალი, „სოლანის“ ნაწარმი. გაკვირვებით უყურებდა – გასამრჯელოზე ასეთი ლამაზი დანამატი არავის მოუციო, აწი საქართველოს გამახსენებსო. ერთ კვირაში უკანა გზაზე ბლავაცკაია ისევ შემახსენა – არ დაგავიწყდეთო.

\* \* \*

ელენე ბლავაცკაიასთან არა, მაგრამ მისი მეგობრის და გურუს ნიკოლაი რერახის შემოქმედებასთან მქონდა კონტაქტი ნიუ-იორკში. ვმუშაობდი კოლუმბიის უნივერსიტეტის ამერიკის კულტურის შესწავლის ცენტრში. ვცხოვრობდი ბროდვეის მოპირდაპირე მხარეს, ინტერნემენელ ჰაუზში, სადაც ცხოვრობდნენ ჩამოსული პროფესორები, უნივერსიტეტის სტუმრები და ასპირანტები. ხშირად მიმდებარე ქუჩებში ვსეირნობდი. ერთხელ პატარა, ძველი სტილის შენობამ მიმიზიდა. აღმოჩნდა ნიკოლაი რერახის მუზეუმი. თვალებს არ ვუჯერებდი. შევედი. მამაკაცი დამხვდა. მუზეუმი დამათვალეირებინა, საკმაოდ პროფესიონალურად მსჯელობდა რერახის სურათებზე. მერე გავიგე, მეხანძრე ყოფილა – გვერდით მეხანძრეთა რაზმი იყო განთავსებული. რა ძლიერია ხელოვნება და სულიერება – ყველას იზიდავს – მეხანძრეებსაც და მძღოლებსაც. მუზეუმის ერთერთ დარბაზში ხშირად იატაკზე ერთი ახალგაზრდა იჯდა, კითხულობდა. ეს კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როგორც კი შუალედი უჩნდებოდა ლექციებს შორის, იქ მიდიოდა და რერახის ხელოვნების ატმოსფეროში კითხულობდა თავის მასალებს. მინდა ჩვენშიც ვხედავდე ასეთ სურათს – ფილოსოფოსებზე მოსაუბრე მძღოლებს და გამყიდველებს, მუზეუმებში დაბინადრებულ მეხანძრეებს და სტუდენტებს... მაშინ გვეძველება.

მუზეუმის კურატორი სათნო, ძალიან ინტელიგენტური გარეგნობის მოხუცი იყო. რერახის გავდა – კეთილშობილი რუსი არისტოკრატის ნაკვთებით. რუსული ფესვები ჰქონდა, რუსულად კი ვერ საუბრობდა. მთელ დროს მუზეუმში ატარებდა.

რერახის მუზეუმის არსებობა ინტერნემენელ ჰაუზის კულტურულ ღონისძიებათა განყოფილებაში ვახსენე – არავინ იცოდა, თუმცა ეს მუზეუმი ახლოსაა იმ ადგილიდან. ნიუ-იორკში მცხოვრებ მეგობრებს, ამერიკელებზე გათხოვილ რუსულენოვან ქართველებსაც

ვკითხე – პირველად გვესმისო. კოლუმბივით შუა ნიუ-იორკში, ბროდვეისთან ახლოს ყველასთვის უცნობი, ნიკოლაი რერისის მუზეუმი აღმოვაჩინე. ვივა ამერიკელებს, რომლებმაც 1949 წ. დააარსეს ეს წმინდა ადგილი – დიდი მხატვრის, არქეოლოგის, მოქანდაკის, მწერლის, ფილოსოფოსის, თეოსოფოსის, სულიერებისა და სილამაზის მაძიებლის ნიკოლაი რერისის მუზეუმი.

2023

## როგორ დაიბადა ერთი სტატია სამშობიაროში

დრო მოვიდა – სამშობიაროში უნდა წავყვანე ჩემს ქმარს. მესმოდა, რომ ახალშობილი ბავშვით ხელში ვედარაფერს დავწერდი. იმ პერიოდში ერთ დიდ მასალაზე ვშობდი კოლორიტული ფიგურის, აფრო-ამერიკელთა ერთერთი ლიდერის მალკოლმ იქსის შესახებ. ვჩქარობდი სტატიის დამთავრებას. შევკრიბე მასალა და სამშობიაროში გავიყოლე. ცალკე პალატა მქონდა. მთელი დღე ვწერდი – до и после. შევამჩნიე, რომ მაცივარი შემოიტანეს, შემდეგ სავარძლები, ფარდები დაკიდეს, დიდ ყურადღებას იჩენდნენ. ექთანმა მორიდებით მკითხა – რას წერთო. სტატია-ს-მეთქი. სახე გაუნათდა, ჩვენ გვეგონა, საჩივარს წერდითო. ამის მერე რაც შემოიტანეს, ნელ-ნელა გაიტანეს. სტატიების დამწერი განსაკუთრებულ ყურადღებას რისთვის უნდა იმსახურებდეს, აი მომჩივანი – სულ სხვა საქმეაო.

მალკოლმ იქსზე სტატია ჯერ ჟურნალ „ხომლში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი უკრაინელმა მეგობარმა იური პოკალიჩუკმა კიევში წაიღო და იქ ეს სტატია უკრაინულ ენაზე ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალში „ვსესვიტ“-ში დაიბეჭდა. რედაქციამ და მკითხველებმა იმ წლის საუკეთესო პუბლიკაციად აღიარეს.

ორმაგად ნაყოფიერი აღმოჩნდა იმ სამშობიაროში ყოფნა.

2023

## პარლამენტის არშემდგარი დეპუტატი

ჩემი მეუღლე პოლიტიკური ანალიტიკოსი სოსო ცინცაძე ძალზე დაკავებული ადამიანია, დროს არ კარგავს უშედეგო და უპერსპექტივო საუბრებზე.

შარშან აგარაკზე მოიცალა რაღაცის მოსაყოლად. შენთვის ადრე არ მითქვია, და სააკაშვილის მმართველობის დროს ჩემთან, დიპლომატიურ აკადემიაში პარლამენტა-



რების დიდი დელეგაცია მოვიდა – გვსმენიაო თქვენი მეუღლის განსწავლულობის და საქმიანი თვისებების შესახებ, და ჰარლამენტში კარგი იქნება მისი ყოფნაო. მე უარი ვუთხარიო, არ მოინდომებსო. მთხოვეს, შეგვახვედრეთო. ამაზეც უარი ვუთხარი – ამჟამად უცხო ქვეყნის ელჩი ყავს სტუმრადო; გავისტუმრე უარითო. მაინც გეთქვა ჩემთვის-მეთქი, ხომ მე მეხებოდა. არა, შეიძლება შეგაცდენდნენ და თანხმობას გამოგტყუებდნენო. ვიცი იქაური სიტუაციას – ჰარლამენტში თუ არიან ქალები, მეტწილად ვიდაცის ცოლები ან საყვარლები, სამუშაოდ სულაც არ არიან განწყობილები. შენ კი შენი უნარით და მონდომებით თავს შეაკლავდი მუშაობას, შეიძლება გულის შეტევითაც დამთავრებულყო შენი იქ მუშაობაო. დავფიქრდი – მგონი ის გამონაკლისი შემთხვევა იყო, როდესაც ჩემმა მეუღლემ თავიდანვე სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გულის შეტევებს ან უარეს უსიამოვნებას გადამარჩინა.

\* \* \*

აგარაკთან დაკავშირებით სხვა ეპიზოდებიც მახსოვს.

ჩვენი შვილი ჰაატა აგარაკზე გვიან იღვიძებს, რადგან გვიანამდე ზის კომპიუტერთან. ჩვენ ადრე ვდგებით და ბაღში ჩავდივართ. დიპლომატიური აკადემიის პრობლემები და საქმიანობა ჩვენთვის ჩვეული თემაა. ვსაუბრობთ ბაღში აკადემიაზე, სტუდენტებზე, გამოცდებზე. გამოუძინებელი ჰაატა აივანზე გამოდის და უკმაყოფილებას გამოთქვამს – რა იყოო, ერთი მინი საბჭო დილიდან უკვე ჩაატარეთო.

ასეთი იყო ჩვენი დასვენება – სამუშაო გეგმებით და დასამუშავებელი მასალებით. ახლაც ასეა, პოსტ-დიპ. აკადემიის პერიოდშიც. ამჟამადაც დისკუსიებში ვართ, ოღონდ თემა შეიცვალა – მეცნიერულმა პრობლემატიკამ მეტწილად ჩაანაცვლა პედაგოგიური.

\* \* \*

ერთი ასეთი შვებულება შოვშიც გავატარეთ. მაშინ ჩემი მეუღლე მანქანას არ ატარებდა. ახალგაზრდობის გამო ვერ მოვტივინე, რა შორს მივდიოდი ჰატარა მანქანით, სადაც სამნი ვიჯექით და უამრავი ნივთი გვქონდა 2 საბეჭდი მანქანის ჩათვლით (ეს დიდი ხნის წინ ხდებოდა) – რუსული და ინგლისური შრიფტით. სანატორიუმის დირექტორს მესამე – ქართულშრიფტიანი მანქანა გამოვართვი. დილის 6 საათიდან სამედიკალური მეცნიერო თემას ვწერდი – კლავიშებზე კაკუნით. გვერდით ოთახში ლელა მებურიშვილი „ისვენებდა“ – ორივენი უცხო ენების ინსტიტუტში ვმუშაობდით. რა დავამავო? 6 საათზე კაკუნით მადვიძებო. მერე შენც იტყვი, დავისვენეო. მე ვერა, მაგრამ უცხო თვალი ხედავდა, რომ ჩემი ე. წ. „დასვენება“ არსებითად დიდი დაუსვენებლობა იყო. ასეთი „დასვენების“ შემდეგ ორკვირიანი სანატორიუმი ჭირდება ადამიანს, საბეჭდი მანქანების გარეშე.

\* \* \*

გასაგებია, რატომ უთხრა ჩემმა მეუღლემ პარლამენტარებს უარი. იცოდა, რომ პარლამენტშიც თავს შევაკლავდი სამუშაოს. მე კი სახლში და დიპლომატიურ აკადემიაში ვჭირდებოდი – იქაც ბევრი საქმე იყო, თანაც ჩემთვის უფრო მისაღები – ამბიციური არ ვარ, განსაკუთრებით პოლიტიკასთან მიმართებაში. სახლში ერთი პოლიტიკოსიც გვყოფნის. – მაშინ იგი პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, პოპულარული ტელე და პრესის პოლიტიკური ანალიტიკოსი, თანაც დიპლომატიური აკადემიის რექტორი. ერთი ოჯახისთვის საკმარისია პოლიტიკოსების ასეთი დოზა.

2023

## „დათა თუთაშხია“ რუსეთში

ძალიან გატაცებული ვიყავი ამ რომანით. რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტელიგენციაც დიდ ინტერესს ავლენდა ამ წიგნისადმი. რამდენი რუსულენოვანი თარგმანი გამიგზავნია მოსკოვსა და საზღვარგარეთ! ერთხელ მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. იასენ ზასურსკიმ მთხოვა, როდესაც ჩამოხვალთ, ჩამომიტანეთო. ჩავუტანე. ვისაუბრეთ მის კაბინეტში და მეორე დღისთვის დავთქვით შეხვედრა – ჩემი სადოქტორო დისერტაციის ნაწილი უნდა მიმეცა. ვზივარ პროფ. ზასურსკის წინ და მაგიდაზე ვხედავ შეთხელებულ „დათა თუთაშხიას“. პროფ. ზასურსკიმ მითხრა – გუშინ ჩემთან პროფ. ლ. ანდრეევი იყო. ისე უნდოდა ამ წიგნის წაკითხვა, მთხოვა, მოდი ბრიტით ნაკერზე ორ ნაწილად გავჭრათ წიგნი, წავკითხავ და შემდეგ ნაწილები გავცვალოთო. ეს ეპიზოდი აღწერილი მაქვს ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალებას მიძღვნილ ნეკროლოგში. დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველებში – მაშინ ვაფასებდით რუსეთის ინტელიგენციის ინტერესს და, ვიტყვოდი, სიყვარულს ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი. საწყენია, მაგრამ ის დრო წავიდა.

2023

# სანავია

ნათესავი იწვა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ნაცნობმა ექიმმა მითხრა – მანქანით რომ შემოსვლა დაგჭირდეთ, კარებში თქვით „სანავია“, შემოგიშვებენო. პაროლია, ვიფიქრე. ეს მეგრული გვარის ცნობილი ექიმია ალბათ. ვახსენებ და ალაყაფს გამიხსნიან. ასეც მოხდა რამოდენიმეჯერ. დრო გავიდა. მეგობართან ერთად ვიდაცის სანახავად მივდიოდით საავადმყოფოში. რომ მივუახლოვდით ალაყაფს, მეგობარმა მითხრა, შენ ერთი მეგრული გვარი იცოდით, ახსენე, შეგვიშვებენო. ასეც გავაკეთე. მორიგემ ყურადღებით შემომხედა და მითხრა – სანიტარნი ავიაცია აეროპორტშიაო გადასული. მაშინ მივხვდი, „სანავია“ რას ნიშნავდა.

2023

## ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

მოგახსენეთ, რომ საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციის წევრი ვარ. იქ სხვადასხვა ინტერესების ჯგუფებია. 2 წელი დავდიოდი ჩინელ წევრთან ჩინური ენის შესასწავლად – ცოტათი გავერკვიე. შემდეგ დავიწყე თურქ ქალბატონთან თურქული ენის შესწავლა. სამნი ვიყავით, კარგი სიტუაცია იყო. მოულოდნელად ქართველი მეზობელი შემოვიდა – გაგულული, გრიპიანი. წინ დამიჯდა და ერთი საათი მახველა. მივხვდი, რომ ხიფათში ვიყავი. მივანიშნე. არ წავიდა, პირბაღე გაიკეთა, მაგრამ უკვე გვიან იყო – დაავადდი. უცნობ ქალს ვეწირებოდი. საშინელი ვირუსი გადამდო, ორ დღეში ორივე ფილტვი შეიკუმშა, ვეღარ ვსუნთქავდი. შვილმა სასწრაფო გამოიძახა და რომელიღაცა რეანიმაციის მისამართს გასცა. გონზე კი ვიყავი, მაგრამ 24-საათიანი ჟანგბადის მოწოდება დამჭირდა. დიდ დარბაზში შუაში ვიწეე, მარჯვნივ 5 ადამიანი კომაში, მარცხნივც 5 კომაში. ნელ-ნელა ეს ადამიანები ქრებოდნენ. ვიფიქრე, სახლებში გაწერეს. თურმე მორგმი მიდიოდნენ. ახალი ადამიანები მოყავდათ იგივე შედეგით. ნახევრად მორგმი ვყოფილვარ. ბოლოს ფეხზე დამაყენეს (პირობითად, რადგან ვეღარ დავდიოდი) შესანიშნავმა პულმონოლოგმა თამაზ თაბაგარმა და დაულალავმა კობა ბალიაშვილმა, მაგრამ ამისთვის 2 თვე დასჭირდათ. იმ რეანიმაციიდან სამნი გამოვედით მზის შუქზე – მე, ერთი ალკოჰოლიკი და ერთი ნარკომანი. რა ღირსეული კომპანიაა! ბ-მა თამაზმა მითხრა – თქვენმა აღზრდამ და კულტურამ არ მოგცათ საშუალება იმ საბედისწერო დღეს იქაურობას გაცლოდით, მაგრამ დაიმანსოვრეთ, როგორც კი ვინმე დაახველებს, მაშინვე გაერიდეთ იქაურობას. ხო და ყველას ამას გირჩევთ. ზედმეტი ზრდილობა და მორიდებულობა ხანდახან დამღუპველია.

იმ დროიდან 8 წელი გავიდა – ექიმების მიერ ნაჩუქარი წლები. დიდი მადლობა ყო-

ველივე მათგანს. გაწერის მერე 3 თვე თავიდან ვსწავლობდი სიარულს. მეგობრებო, და-აფასეთ კარგად ყოფნის დრო, ნუ რისკავთ თქვენი სიცოცხლით და კეთილდღეობით, განერიდეთ ყოველივე სახიფათოს და საეჭვოს. სიცოცხლეზე ძვირფასი ხომ არაფერი გაგვაჩნია.

5000 წლის წინ (როდესაც არ არსებობდა მიკროსკოპი) ინდოეთში დაწერილ სამედიცინო ტრაქტატში (აიურვედა) უკვე იყო ნახსენები, რომ ადამიანის ცხვირ-ხახაში არის პაწაწინა არსებები (ბაქტერიები, მიკროორგანიზმები – თ. ც.), რომლებიც ადამიანის გაციებისას ამოქმედდებიან და აავადებენ მას.

რეკომენდაცია: დარჩით სახლებში გამოჯანმრთელებამდე, მოერიდეთ ხორცს და რძის პროდუქტებს, სვით ყვავილოვანი ნაყენები. არსებითად ყოველივე ის, რასაც დღეს გვირჩევენ ექიმები. ავადმყოფები სტუმრად არ დადიოდნენ (ჩვენი თანამემამულეები-ვით), ავადმყოფობის ახალ კერებს არ ქმნიდნენ. რაც შეეხება რძის ნაწარმს, მისი მავნებლობის შესახებ ავადმყოფებისთვის სულ ახლახან გაიგეს მეცნიერებმა – რძე ხომ ძალიან ნოყიერი ნიადაგია მიკროორგანიზმების გამრავლებისთვის. ძველ ინდოეთში ეს იცოდნენ. რამდენი ბორჯომიანი და კარაქიანი რძე მასვეს ბავშვობაში! მძულდა, მაგრამ დამჯერი ბავშვი ვიყავი და ვსვამდი. ოხ, სად იყვნენ ძველი ინდოელი მკურნალები!

2023

## მეგობრები

### მიტხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინ ხარ შენ

მეგობრები ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს წარმოადგენენ. ხშირად ადამიანის წრეში ისეთი პირებიც შემოდინან, ვისაც იქ ადგილი არ უნდა ქონდეს. ესეთებიც იყვნენ. რადგან ცუდს არავის უკეთებ, არც არავისგან ელი აგრესიას, შურს, უხეშობას... დიდხანს ვუთმენდი, სტუმრად ვღებულობდი, ვისტუმრებდი პატივცემუბებს და დასაჩუქრებულებს. ზღვარს როდესაც გადააბიჯეს, გადავწყვიტე ასეთი ტოქსიკური ადამიანებისგან განთავისუფლება. ამა თუ იმ გზით განვთავისუფლდი. მათი არსებობაც აღარ მახსოვს. ჩემს საწიერში დარჩნენ ჭკვიანი, გამგებიანი, ტაქტიანი მეგობრები. ბევრნი არიან, ამ ფორმატის წიგნში ყველაზე ვერ დავწერ, მაგრამ ყველა მიყვარს. აი რამდენიმე მათგანი.

**მანანა ხომერიკი** – ჭკვიანი, განათლებული, გულიანი, ერთგული, ნიჭიერი; ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი, მწერალი, არქივისტი. იკვლევს ბაგრატიონების იმერეთის შტოს ისტორიას, პოულობს ახალ ცნობებს ნიკალა ფიროსმანიშვილზე, გურჯიეზე, წერს მრავალ სხვა საკითხზე. შეუპოვარია, არ უჭირს სიმართლის თქმა, რა-რიგ უმსგავსო არ უნდა იყოს იგი. მანანა ამ წიგნის რედაქტორია.

**ინესა მერაბიშვილი** – ეკუთვნის გორიდან გამოსული ინტელექტუალების საუკეთესო ნაწილს. უადრესად შრომისმოყვარე, კრეატიული, გაბედული, მცოდნე, ბაირონის სკოლის დამფუძნებელი, ცნობილი ბაირონოლოგი, მთარგმნელი, მკვლევარი, დღეს უკვე საქ. სამეცნიერო აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი. კონტაქტაბელურია, დამეგობრებულია თბილისის საზოგადოების გამორჩეულ ოჯახებთან, სამეცნიერო წრეებთან, მუსიკალურ საზოგადოებასთან. დიდი და სამაგალითო ოჯახის ღირსეული დედა.

**გუგული მადრაძე** – მეცნიერი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, პარლამენტის წევრი, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება. მაგრამ ეს არ სძენს მას ყოყოჩინობას – ურთიერთობებში უბრალოა, ხალისიანი, მეგობრული, გამგებიანი, მუსიკალური, აფასებს ადამიანებში ნიჭს და შრომისმოყვარეობას. შესანიშნავი ოჯახის ფუძემდებელი, ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერის მაგდა მადრაძის დედა. პარაფრაზირებას შეგთავაზებთ like mother, like daughter.

**დამანა მღვიზიშვილი** – ჩემი მეგობრების საზოგადოებაში ყველაზე ასაკოვანი წევრი, მაგრამ ყველაზე ხალისიანი, უყვარს ჩაცმა, თავის მოვლა, საინტერესო ქალების შეკრებები. ყოფილმა მსახიობმა, მან შეადგინა 4 ცნობილი ალბომი, რომლებშიც მოათავსა ულამაზესი ქართველი ქალების (ხანდახან ოჯახის წევრებითაც) პორტრეტები, რითაც უნდოდა ეჩვენებინა შესანიშნავი ქართული გენი, ქართველთა სილამაზე. მახსოვს, როდესაც მთხოვა ჩემი სურათის მიტანა, მეუღლეს ვუთხარი. რად გინდაო, შენი გარეგნობა ქალაქში ისედაც არის აღიარებულიო. დრო გავიდა. დამანამ პირველი ორი ტომი მისაჩუქრა – წავახალისებო. მეუღლეს ვაჩვენე. ორთავეში ერთი ცნობილი, მაგრამ შეუხედავი ქალის პორტრეტი ნახა. აღუფოთდა, ამას აქ რა უნდაო, ახლავე წაილე შენი სურათებიო. ასე მოხვდა ჩემი პორტრეტები ბოლო 2 ტომში. როდესაც დამანას თხოვნით რამდენიმე თარგმანი გავუკეთე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამდენი იმუშავეო, გთხოვ რედაქტორიც იყავიო. ასე გავხდი მესამე და მეოთხე ტომების რედაქტორი. ამაზე ტომების გამოცემა შეწყდა, თუმცა დამანას კიდევ ქონდა ახალი ტომების ჩანაფიქრი.

**მანანა ტყემელაშვილი** – ღირსეული გარეგნობის და მანერების პიროვნება, მაგალითი ყველა ქართველი ქალისთვის – თავშეკავებული, კარგად მოსაუბრე, თბილი ბუნების, ძალიან საქმიანი ადამიანი. ასეთებზე იტყვიან – ახლა ქალიც შენ ხარ და კაციც. ოჯახის ყველა საქმეს აგვარებს. ესთეტიკა, სილამაზე მის გარშემო ხომ მისი პირველი საზრუნავია – უვლის ბაღს – თბილისში და აგარაკზე, მოყავს ბაღში ულამაზესი ყვავილები, განსაკუთრებით ვარდები. შარშან თამარობაზე მთელი ჩემი სამხატვრო გალერეა აივსო მის მიერ მოტანილი ვარდებით, წელს, რომ ვერ მესტუმრა, სხვას გამოატანა აგარაკიდან დიდი თაიგული. მანანა ცნობილი ფიზიკოსის, აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილის ღირსეული მეუღლეა და ორი ვაჟის დედა. ეს ქალბატონი ზრუნავს მთელ ოჯახზე და კიდევაც ყვავილივით ამშვენებს მას. როგორ მინდა მეტი ასეთი მანანა ყავდეს საქართველოს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ოცნებაა.

**კირა ანდრონიკაშვილი** – ლამაზი, ნაზი, თავშეკავებული, ტაქტიანი; კინომსახიობი, ცნობილი ოჯახის, მე ვიტყვოდი, გვარის შთამომავალი და ღირსეული წარმომადგენელი.

მისი ნიჭიერი ძმა **მერაბი** აღიარებული მომღერალი, მუსიკოსი და კომპოზიტორია. როგორც მითხრეს, ყაზახეთს მან დაუწერა სახელმწიფო ჰიმნი. ნეტავ მეტი ყავდეს საქართველოს ასეთი და-ძმა და ღირსეული მოქალაქე.

**თინა თოფურია** – ულამაზესი ქალბატონი, ცნობილი ჰომეოპათი, მეგობრული, კონტაქტაბელური, კეთილგანწყობილი, საოცრად გამგებიანი, თავის მეცნიერებაში გაბედული... ცნობილი, ულამაზესი კაცის – ჯაბა იოსელიანის მუზა და თანამეგობარი. დღეს ბედნიერი დედა და ბებია და ჩემი მეგობარია.

**მერი მაცაბერიძე** – უკვე ნახსენები დამანა მდივნიშვილის შვილი, ნიჭიერი ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებით გატაცებული ადამიანი, გემოვნებიანი და ალღოიანი ქალბატონი. დასრულებული აქვს სერიოზული სადისერტაციო ნაშრომი. ამ დარგის დოქტორის წოდება მისთვის ძალიან ორგანული იქნება. ისიც უნდა ვახსენო, რომ მან გახსნა ჩემი სამხატვრო გალერეა „თამარისი“ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების წინაშე. მისი წერილი ედიშერ ბარამიძეზე იხ. ამ წიგნის მესამე ნაწილში.

**ჟუჟუნა ნიჟარაძე** – უჩვეულო, არაორდინალური, ხალისიანი, ადამიანური, კეთილი, ხელგამლილი, ესეისტი და ჟურნალისტი. ბევრი რამ მახსოვს მისგან კარგი, უპირველეს ყოვლისა, მრავალწლიანი მყარი მეგობრობა. ადარ არის ჟუჟუნა, მაგრამ ვერ ვეგუები მის არყოფნას, ისევე როგორც ჩემი საუკეთესო მეგობრის **ზაირა რატიანის** წასვლას. ამ ორი ადამიანის წასვლა დიდ ტკივილად დამრჩა გულში. კარგად იყვნენ იქ, სადაც არიან. მათი იუმორი და სიყვარული დღესაც მათბობს.

**დოდო ახვლედიანი** და **მაკა ოსიშვილი** – შესანიშნავი ჟურნალისტები, თბილი და ტაქტიანი ადამიანები, კარგი მეგობრები. დავმეგობრდი, როდესაც ვაწვდიდი ჩემს წერილებს დიპლომატიურ აკადემიაზე. შემდეგ ჩემზეც წერდნენ. იხ. მათი სტატიები ამ წიგნის მეორე ნაწილში.

**ზაირა ჩანტლაძე** – თბილი, გულიანი ადამიანი, საქ. დამსახურებული არტისტი, ცნობილი იუმორისტის თენგიზ ჩანტლაძის მეუღლე. ხშირად ჩემი დღე მასთან სატელეფონო საუბრით იწყება. კეთილი და სტუმართმოყვარე, ყოველთვის გელის სტუმრად. ბევრი შესანიშნავი 7 თებერვალი მახსოვს – მისი დაბადების დღე. იმედია, ბევრჯერ ავღნიშნავთ ამ დღეს ერთად.

**ბელა ალანია** – პოეტი და პროზაიკოსი, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი, ცნობილი პოლიტიკოსის მეუღლე, შესანიშნავი დედა, ლამაზი, ნიჭიერი, კეთილგანწყობილი, ენერგიული... დღეში შეიძლება სამ ღონისძიებას დაეწროს, ყოველივეზე ვრცელი ანალიტიკური სიტყვა წარმოთქვას, არაფერი არ შეეშალოს, შუალედში მეც მესტუმროს და ყოველივე დამსწრესაც ყურადღება მიაქციოს... დაწერა ამ წიგნზე ბოლოსიტყვაობა. გამიკვირდა, რა ღრმად იხედება ადამიანის სულში, როგორ ესმის მისი ცხოვრების განვლილი გზები. ბელა ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას და ქართულ სულიერებას. მიხარია, რომ ჩემი მეგობარია.

**ნათელა შარაბიძე** – ლამაზი, სადღეოფლო, ნიჭიერი, საოცრად მუსიკალური და კრეატიული ამ დარგში, კარგი დედა და მეუღლე, მშვენიერი მეგობარი, დიდი სამეგობროს

მქონე ქალბატონი; ფართო საზოგადოებაში მიღებული პიროვნება, მთელი ცხოვრება ისეთი ადამიანის გვერდით იმყოფებოდა, როგორც იყო სოფიკო ჭიაურელი. დღესაც ტკივილით იხსენებს მის წასვლას. მისი მეუღლე ლერმან ლეკიშვილი ცნობილი პიროვნება იყო თბილისში, სტუმრიანი და მეგობრიანი. ნათელამ ისიც აიყოლია – ერთად მღეროდნენ სახლში თუ მეგობრებში. შესანიშნავი წყვილი იყო – ლამაზი, მუსიკალური, პოპულარული. ლერმანის ხსოვნა იყოს, ნათელას კი ხანგრძლივ და სიკეთით სავსე ცხოვრებას ვუსურვებ.

**მანანა მირიანაშვილი** – ჩუმი, წყნარი, დინჯი, ამასთან ერთად გამგებიანი, ბრძენი, სტუმართმოყვარე, ძლიერი – დიდი ოჯახის პატარა დიასახლისი. ამ ოჯახში ყველა ნიჭიერია – ქმარი და ქალიშვილები დიდი მუსიკალური ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. მირანდა ევროპაში და რუსეთში მოღვაწეობს – ცნობილი მომღერალია, კოლორიტული პიროვნება, ქველმოქმედი. მედია მომღერალი და მუსიკოსია, უკვე არაერთი კონცერტი ქონდა. მაგრამ ოჯახის წევრებმა რომ ლაღად იმღერონ, მანანა თავს ადგას ოჯახის რთულ მეურნეობას. მომხიბვლელები არიან თავიანთ ერთობაში. მათ სახლში შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს. მათთან სტუმრობა დღესასწაულია. მიხდა მეტი მყავდეს მირიანაშვილების მსგავსი მეგობარი, მაგრამ ასეთები ღმერთს ბევრი არ შეუქმნია.

**ლეილა სიყმაშვილი** – საოცარი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ბრწყინვალე პიანისტი. ლეილა 30 წლის განმავლობაში ამშვენებდა რუსთაველის თეატრის სცენას – მუსიკალურად აფორმებდა რობერტ სტურუას სპექტაკლებს, თეატრის იუბილეებს, შეხვედრებს. ეს არ იყო მისი მუშაობის ერთადერთი ადგილი, და ყველგან იხსენებენ როგორც განუმეორებელ აკომპანიატორს, ნიჭიერ პიანისტს, კრეატიულ მუსიკოსს. მიკვირს, როგორაა გაწაფული მუსიკის სხვადასხვა ჟანრში – კლასიკა იქნება ეს, ჯაზი, რომანსი თუ სხვა ჟანრი. დიდ ვალშია სახელმწიფო მის წინაშე – ბრწყინვალე მუსიკოსი, დღესაც იძულებულია ბინას ქირაობდეს. გული მტკივა, უკეთესს იმსახურებს. ასეთ შემთხვევებში ვლინდება სახელმწიფოს პოზიტიური მიდგომები. მის მიმართ ჯერ ვერ გამოვლინდა.

**გალა ჩიქოვანი** – სოხუმელი გალა, ჩვენი მეგობრის რეზო ჩიქოვანის ღირსეული მეუღლე, ლამაზი, ტაქტიანი, მშვიდი; ყოველთვის მზადაა დაგეხმაროს, შენი ტკივილი გაიზიაროს, მოგისმინოს, გაგიგოს. ეს ბევრს არ შეუძლია. ზოგიერთი, რაზედაც არ უნდა ელაპარაკო, სულ თავის თავზე გესაუბრება. გალა იაზრებს და იზიარებს ყველა შენს გასაჭირს, მაშინვე ფიქრობს, რითი დაგეხმაროს. შეუდარებელი დიასახლისია, მზარეული ღვთისგან. სამი ვაჟიშვილი გაზარდა – ერთი მეორეზე უკეთესი. ყველა ტანადი, კარგი გარეგნობის – ნამდვილი ჩიქოვანები. გალას დასვენებას ვინ აცლის – მთელი დღე მასთან შვილიშვილები შერბიან, დიდები და პატარები. იქ ხომ სიტბოა და სამზარეულოში მშვენიერი სურნელი ტრიალებს. ხანდახან მგონია, გალას აღარ ყოფნის ძალა ამხელა ჯარს მოერიოს. არა, ყოფნის. მეც ეს მიხარია.

ჩემი მეგობარი და მეზობელი ლამაზი მოსკოველი ქალი **ჟენია**, გათხოვილი კარგ ქართველ ვაჟკაცზე სოსო შავერდაშვილზე. მთელი დღე ენერგიული (ვიტყოდი, ჰიპერაქ-

ტიური) ჟენია დაქრის თავისი ჯიპით მთელ თბილისში – აგვარებს თავის, ქმრის, შვილების, ოჯახის საქმეებს. შუალედში მანგლისშიც გაიქცევა – ოჯახურ მამულში. მოკლედ, ვერ დაიჭერ. მაშინ თუ მოახერხებ, როდესაც თავის 4 ძაღლს ასეირნებს; თუ დაიჭირე, ყველაფრით დაგეხმარება – სიტყვით, საქმით, რჩევით... ფსიქოლოგია და მედიცინაც კარგად ესმის, ქართულადაც კარგად საუბრობს. ეს კი უკვე ქმრის და მისი ოჯახის პატივისცემაა. რამდენი რუსია საქართველოში წლობით გათხოვილი და ორი სიტყვაც კი არ იცის ქართულად. ვაფასებ ასეთ ადამიანებს, ვისაც თავიანთი ახალი სამშობლოს ენისა და ტრადიციების პატივისცემა აქვთ.

**ეკა მოსიძე** – მეზობელი და მეგობარი, ექიმი, თბილი და ყურადღებიანი ადამიანი, დიდი ოჯახის დედა და ყველას პატრონი. მიკვირდა, როგორ უძლებს დატვირთვას – ქმარი, 3 ვაჟიშვილი (ერთი ცოლ-შვილიანი), 4 მოხუცი სახლში, 2 სამსახური. ყოველივე ამას გაძლება უნდა და თავის მობმაც. მოხუცებს ძალიან მოუარა – კვებავდა, მკურნალობდა მათ, სიცოცხლე გაუხანგრძლივა. ეს ხომ კარგი მეუღლის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ყველაფერთან ერთად ეკა მოგზაურობის მოყვარულია – ევროპა მოვლილი აქვს, ტურისტად თუ პროფესიულ ტრენინგების მონაწილედ. მეზობლობის გარდა პროფესიული დახმარებაც გაუწევია ჩემთვის. ძალიან დადებითი პიროვნება.

**ნათელა მასხულია** – არქიტექტორი, მშენებელი, იშვიათი მზარეული, კარგი დედა, ბებია და მეუღლე. ერთმანეთი პრადის აეროპორტში „ვიპოვეთ“ – 14-საათიანი ტრანსფერის დროს. ორი ბევრ რამეში ერთნაირად მოაზროვნე ქალი 14 საათში მეგობრები კი არა, ნათესავები განდებიან. ასეც მოხდა. ხშირად დავდიოდი მის და ბ-ნ მიმას სტუმრიან ოჯახში, ჯერ ბახტრიონის ქუჩაზე, შემდეგ საირმის გორაზე. მეგობარი კი არა, და იყო ჩემი. ერთხელ ჟურნალისტი დოდო ახვლედიანი მივუყვანე – ინტერვიუ ავადებინე. შემდეგ, როცა უკვე აშშ-ში წავიდა ქალიშვილთან საცხოვრებლად, ერთ-ერთ რუსულენოვან გაზეთში დაბეჭდილმა ამ ვრცელმა ინტერვიუმ თავისი დადებითი როლი შეასრულა მის „გამერიკელობაში“. დღემდე ვართ კონტაქტში. დღემდე მიყვარს.

**ნათელა ნაკაიძე** – ექიმი, მედიცინის დოქტორი, მრავალწლიანი მეგობარი. ვმეგობრობ მის მეუღლესთან – ექიმ გრიმა რაზმაძესთან, მათ შესანიშნავ შვილებთან, რომლებიც თავიანთი ნიჭიერების მაღლით დიდი ხანია აშშ-ში დამკვიდრდნენ თავიანთ მრავალრიცხოვან ოჯახებთან ერთად. ნატალია, ფსიქოლოგი, ერთხანს დიპლომატიურ აკადემიაშიც მუშაობდა ჩემი მოწვევით. რაც შეეხება გრიმას, როდესაც ხანგრძლივი ვირუსული გრიპი მქონდა და დიდხანს რეანიმაციაში ვიწეე, ის როგორც ექიმი დადიოდა ჩემთან და ჩემს გამოჯანმრთელებას უწყობდა ხელს. მიყვარს ეს მშვენიერი ოჯახი.

მესამე ნათელაც იყო ჩემს ცხოვრებაში – ქ-ი **ნათელა პატარკაციშვილი**, პატარა ქალი უზომოდ დიდი გულით, რომელიც ყოველთვის ეხმარებოდა მათ, ვისაც მისი დახმარება ჭირდებოდა (და, როგორც ვიცი, მათაც, ვისაც ეს დახმარება არ ჭირდებოდა, მაგრამ თხოვდნენ). დიდხანს ვმეგობრობდით. მივდიოდით მასთან სახლში, ხშირად რესტორანში გვეპატიუებოდა, ჩემთანაც ყოფილა სახლში და სამხატვრო გალერეაში. როდესაც გალერეა გავხსენი, ერთი სურათი იყიდა – გაყიდვების პროცესის ხელშესაწყობად. მაგ-



რამ ის პირველი და უკანასკნელი გაყიდული სურათი იყო – მიუხედავად ულამაზესი სურათებისა ჩემს ლამაზ გალერეაში კომერციულ პროცესს ადგილი არა აქვს – ძალზე არაკომერციული ტიპის პიროვნება აღმოვჩნდი, ქ-ი ნათელაჲ კი ამას ვერ გამოასწორებდა.

აღარ არის ქ-ი ნათელა. ორი დღით აღრე მისი ხსენების საღამო შედგა პატარაკაციშვილების შესანიშნავ მამულში წყნეთში. 50 ქალი შევგროვდით სტუმრების მისაღებად განკუთვნილ ულამაზეს შენობაში. არქიტექტურული შედეგია, ულამაზესი, კარგად დაგეგმილი, სადაც მეოთხე განზომილებად ბუნება შემოდის შენობაში, დიდი მწვანე ტყის მასივი. თითქოს სავარძელში კი არა, ბუნებაში ზიხარ. ტყუილია, რომ მსოფლიოს ფული მართავს. ისიც საჭიროა, მაგრამ მსოფლიოს გემოვნება, სიკეთე და სილამაზე მართავს.

**ლუიზა დონდუა** – თბილი, კეთილგანწყობილი, ფართო ბუნების ადამიანი, ძალიან აღრე წასული მომღერლის ხათუნა დონდუას დედა. ტრაგიკული პერიოდები ქონდა ლუიზას ცხოვრებაში, მაგრამ დაძლია, იპოვა ძალა თავის თავში – შეინარჩუნა ჰუმანური დამოკიდებულება ყველასადმი და ყველაფრისადმი. დღეს არის დიდი და ძალიან წარმატებული ოჯახის თავი. არაფერი ენანება სხვისთვის, მზად არის გასცეს ყველაფერი და მეგობარს ასიამოვნოს.

**ლალა დადივაძე** – კონსერვატორიის პროფესორი, ნიჭიერი პიანისტი, კარგი მომღერალი და პედაგოგი, იშვიათი კულინარი; ქართულ-ევროპული ფესვების მქონე ადამიანი. შავ-თეთრს კარგად ხედავს კლავიატურაში, მაგრამ ვერ ხედავს ადამიანებში. ცუდია მისთვის, ტოქსიკურ ადამიანებს უშვებს თავის წრეში.

ჩემ მეგობრებში ვგულისხმობ საერთაშორისო ქალთა ასოციაციის წევრებს ენერგიული და საქმიანი **ნანა დვალით** სათავეში. ახლო მეგობრებიც მყავს, მაგრამ ამჟამად და ამ ფორმატში არ დავწერ ყოველივე მათგანზე ცალ-ცალკე, იყოს ეს შემდეგ წიგნში. ვიტყვი მარტო, რომ ეს ორგანიზაცია არის ნიჭიერ, საქმიან ქართველ და უცხოელ ქალთა ერთობა, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ ქართული საზოგადოებისთვის სასარგებლო საქველმოქმედო პროექტებს. ეხმარებიან მათ, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება დახმარება.

ჯერჯერობით ქალებზე შევწყვეტ წერას, ვახსენებ მამაკაც მეგობრებს. არც ისე დიდი ხანია, რაც ჩემს ცნობიერებაში და ოჯახში შემოვიდნენ ცნობილი ფოტოგრაფი **იური მეჩითოვი** თავისი მოადგილით **მაიკო დეისაძეთი**, კინოლოკუმენტალისტი **თენგიზ მალანია**, დიპლომატი **გიორგი ქაჯაია...** დავმეგობრდით, ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცნენ. ამ წიგნის შექმნაშიც კი მეხმარებიან. იურამ და მაიკომ წიგნში მოსათავსებელი ფოტოები ციფრულ ფორმატში გადაიყვანეს, თენგიზ მალანია მომავალში აპირებს ჩემს კოლექციონზე დოკუმენტალური ფილმის გადაღებას. ყოველთვის მიხარია მათი ნახვა და ვაფასებ მათ მეგობრობას.

მეგობრები არიან ცნობილი ჟურნალისტი **ნუგზარ რუხაძე** და მისი მეუღლე, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე **ნინა რუხაძე**. ნუგზარიც ერთ-ერთი დამაკავშირებელი ხაზია ჩემსა და ედიშერ ბარამიძეს შორის – მას კარგად ესმის ედიშერის ხელოვნება და გამოუქვეყნებია წერილები მის შესახებ (იხ. წიგნის მესამე ნაწილი).

კიდევ ერთი რუხაძეა მეგობრების სიაში – ჩემი და ჩემი მეუღლის დიდი მეგობარი **ზა-ზა რუხაძე**, შესანიშნავი გარეგნობის და იუმორის, მდიდარი წარსულის მქონე ადამიანი, თბილი, მოყვარული, ყურადღებიანი, ერთგული. ბევრი რამ მოგვიყოლია ერთმანეთის-თვის საიდუმლოდ. იშვიათი პირადი თვისებების მქონე ადამიანია.

**რომან შაქარიშვილი** – ცნობილი ნევროლოგი, აკადემიკოსი, მედიცინის მრავალი დარგის მცოდნე, იშვიათი ინტელექტუალი, ხელოვნების მრავალ დარგში გარკვეული ადამიანი, დიდი ოჯახის პატრიარქი, რომელსაც ასე უყვარს თავისი ოჯახის წევრები, მე ვიტყვოდი, ასე უზომოდ უყვარს სიცოცხლე ყველა მის გამოვლინებაში.

რომანზე რომ ვწერ, ვრისკავ – ძალიან კრიტიკულია, შეიძლება რაიმე შენი ნათქვამი არც მიიღოს, მაგრამ არ შემიძლია არ დავწერო – ნათესავია (ქმრის მხრიდან) და ამასთან ერთად ჩემი დიდი მეგობარი. გარდა ამისა, სწორედ რომანმა მომცა გადამწყვეტი ბიძგი ამ წიგნის დასაწერად. ცნობილ ანგელოგთან მამუკა ბოკუჩავასთან ერთად იყო მოსუ-ლი. მას ადრეც ენახა ჩემი ხელოვნების ნიმუშების ვრცელი კოლექცია. ამჟამად რომ ნა-ხა, გამიპროტესტა – ან ცისფერ გალერეაში გააკეთებთ გამოფენას, ან წიგნს დაწერთ, ან ფილმს გადაიღებთო ამ კოლექციაზე, თორემ ახლავე გავალთ ქუჩაში მე და მამუკა და აქ-ციას მოვაწყობთო. წიგნზე შევთანხმდით. ამ წიგნის იდეა ადრეც მქონდა, მაგრამ ბიძგი ხომ აუცილებელია – ასეთ ბიძგად რომან შაქარიშვილის პროტესტი იქცა. 15 დღეში უკვე 170 გვ. იყო დაბეჭდილი. რომანს გაუკვირდა – ასეთ პროდუქტიულობას არ ელოდა. 4 თვე გავიდა. 500-ზე მეტი ნაბეჭდი გვერდი მაქვს. მალე გამომცემლობას გადავცემ. მაღლო-ბის მეტი რა მეთქმის ბ-ნ რომანისთვის. ისევ მის უსაზღვრო ინტელექტს დავუბრუნდები. ამ დღეებში ვნახე სატელევიზიო ფილმი რომანის მონაწილეობით – ბუბა ხოტივარის სერიის „კინოანატომიის“ პირველ გადაცემაში. რესპონდენტი საუკეთესო ყავდა – რო-მან შაქარიშვილი. თითქოს კინორეჟისორს უნდა ქონოდა წამყვანი როლი – ხომ კინოს ეძღვნებოდა გადაცემა. რომანმა ისეთი პროფესიონალიზმით გაარჩია ფრანგული, იტა-ლიური, ამერიკული, ქართული, რუსული კინომატოგრაფი, რომ ხოტივარი აღარ ჩანდა. ასეთი ანალიზი კინოკრიტიკოსს შეშურდებოდა. ადფრთოვანებული დავრჩი ნანახით. დილით დავურეკე, ვნახე-მეთქი, მაგრამ ეს ფილმი უნდა გადიოდეს არა ტელეარხზე „პულსი“, არამედ „არტარეაზე“. მგონი, ამ აზრით დაინტერესდა. ასეთი ღონის კინოანა-ლიზი „არტარეაზე“ არ მომისმენია. იმედია, ჩემი მეგობრობა რომანთან დიდხანს გაგ-რძელდება. მისთვის როგორ, არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის კი ძალიან გამამდიდრებელია. მაღლობა რომანს მეგობრობისთვის და იმ სტიმულისთვის, რომელიც მან მომცა ამ წიგ-ნის დასაწერად. ვფიქრობ, ამ წიგნით იმედს არ გავუცრუვებ.

\* \* \*

სხვა მეგობრების შესახებ, რომლებიც აგრეთვე იმსახურებენ ჩემს ყურადღებას, დავ-წერ შემდეგ წიგნში. ამ წიგნის ფორმატი მეტი მოგონებების წერის საშუალებას არ მაძ-ლევს.

# An Episode from the Past

(IN MEMORY OF MALCOLM X)

I dedicated two articles (for a Georgian and Ukrainian journals) to a very interesting African-American leader Malcom X. He was a very bright personality, former drug addict, a convict, later- a person who prevailed over the addiction, over other sins and weaknesses and became a strong leader and a well known public figure. For years he was one of the leaders of Black Muslims in U.S. Once he told Martin Luther King- no matter what we advocate, you- cooperation, I- opposition and fight, we are not native sons of in this country; nobody knows who of us two will be killed the first... Actually, both were. MX was killed, when he started moving towards cooperation, presumably by Black Muslims. Who knows. The title of my article was „From Chaos to Cooperation“. MX was not given the chance to walk this way.

On one of my visits to US I went to a big conference dedicated to the memory of MX. Here is a short story of what came of that.

As a scholar in American Studies I often visited the USA, giving lectures at various universities or working at research centers. In early 90's I worked at the Center for American Culture Studies, Columbia University. Doing research and giving lectures I also visited many interesting sites and attended a variety of conferences. Once I went to downtown New York to attend an important conference dedicated to the memory of Malcolm X (MX) – a famous African-American, prominent member of the Black Muslims organization, an acknowledged leader of the black community. My friend Manana Jinjikhshvili who worked at the Georgian Service of the Voice of America, planned to go with me, but unexpectedly she was visited by a guest from Israel. So the plan changed and I had to go alone. I noticed that in the huge hall packed with people I was the only white person. Though I might have guessed so, still I could not resist the temptation to go there, as I had read much about Malcolm X and even had written two articles about him – one for the Georgian literary journal „Tsiskari“, another – for a popular Ukrainian journal „Vsesvit“ (in which the article was acknowledged the best publication in the journal for that year).

I sat in a sea of black faces and, fascinated, absorbed all that was going on. Memory of Malcolm, who was know to be a sacrificial figure killed by the establishment by hands of black killers, evoked much bitter emotion. Speakers were changing one another on the platform. Almost all of them (famous poet Leroy Jones, Malcolm's widow and friends among them) expressed bitterness and hatred towards „white oppressors“ and aggressively called for action. All of a sudden I sensed danger. The only white person in the hall, I might become an immediate object of strong negative emotion raging around. I got up and hurriedly left the hall, feeling deep ache in my heart. How could they know that the white woman seemingly sitting „out of key“ in that hall, was not an idle spectator, but the only scholar in Georgia who for years had been studying African-American history, literature and culture, who devoted many books, articles and papers, years and sincere interest to that culture. The next day an employee of the International House (where I lived) Ellie Spiegel asked me about the conference. I started describing the situation, and all of a sudden

tears rolled down my cheeks. She immediately understood all and said she had had an identical experience – Jewish people often had tried to lead a common fight with African-Americans and to defend mutual interests, but the necessary contact had not been established, as historical facts were merciless, pain and humiliation, experienced before, embittered African-Americans, they no longer accepted sympathy, looked at everybody with suspicion. But what I experienced at the conference did not kill my interest for Afro-American culture. Black Americans created great art, music, literature (Tony Morrison was awarded Nobel Prize for her outstanding art of a novelist). After that episode I continued visiting black schools, universities, districts, writing new articles... More often than not there is more inquisitiveness and daring in a person than cautiousness and prudence. Life is more interesting that way.

*TAMRIKO TSINTSADZE*  
*Written for IWA journal*  
2021

## **A Glimpse of the Past**

(AN EXCERPT FROM „WASHINGTONIAN SKETCHES“ PUBLISHED YEARS AGO IN THE JOURNAL „POLITICS“ IN GEORGIA)

As a scholar in American Studies I often visited the USA- lectured at various universities on African-American literature and culture and also on Georgian history, culture, art, religion. Besides I spent a semester as a Visiting Scholar at the Center of American Culture Studies, Columbia University (New York) and for 5 months as a Regional Scholar made research and worked at the book „African-American Women Writers“ at the well known Kennan Institute, Woodrow Wilson Center (Washington D. C.). It turned out that before me only one Georgian scholar worked at the Institute - a well known philosopher Gia Nodia. I will not try the readers' patience with scholarly recollections, will retell only one episode out of many interesting encounters which I had in the USA.

In 1994, while in Washington, I offered one of my African-American projects to the board of the Kennan Institute. In 6 months I got a positive answer and thus became a Regional Scholar of the Kennan Institute. Needless to describe what wonderful conditions I had at the Kennan Institute – a well equipped office, an assistant (beautiful African-American student Stacey), proper salary, even pre-paid trips, visits to museums and theatres. I lived in the 16<sup>th</sup> street, near a church. Once I noticed many cars there and was told that Bill Clinton and Hillary were attending the service. So I went there. After passing security gates and I took a seat in the left part of the church, then realized, that I would be closer to President if I moved to the right. The security immediately noticed my move. A woman in dark clothes sat next to me, her hands in her pockets.

She looked tense. In a naïve way I explained that I was a scholar from Georgia and was so lucky to be in the same church with Mr. President. „You may be even luckier“ – she said, „Mr. Clinton often leaves the church by this isle and shakes hands with those who sit near the isle“. The service was coming to an end. I thought when President and Hillary would be passing us and shake hands with us, I would wish them Merry Christmas and present one of my Georgian-made rings to Hillary. I was sure a Georgian scholar had never been in such an informal situation with the Clintons before, and a small gift would create a pleasant association with Georgia. The service finished. The Clintons were coming down the isle. I tried the woman’s patience – told her: „Let us move closer and greet them“. Her voice became stern – „Don’t you even try, we should stay where we are“. I realized, trying her patience further may be dangerous. The Clintons did not shake hands with anybody and, smiling, left the church. Everybody stayed in their seats. When the cars with the Clintons and the security started to move I went into the yard and saw that the woman was sitting into one of the security cars. I waved at her showing that right from the beginning I knew who she was.

After that again I entered the church when the Clintons were there, but this time I already knew which side to choose without trying the patience of the security. Christmas was over and I no longer thought of making a present. Later my friend warned me that for some time I might be under scrutiny. But nothing happened or I did not notice. Episodes connected with the church and the Clintons stay separate in my memory.

*TAMRIKO TSINTSADZE*  
*Written for IWA journal*  
*2022*

## **Memorable Images and Episodes of the Past**

When decades ago, at Tbilisi University I was defending my first PhD thesis on African-American novelists, a well-known poet Iosef Noneshvily attended the proceedings. After the official part was over he asked me: „Does this literature really exist or you invented all this story?“. These were years when African-American culture was not yet well known to general reader, specialists and writers including. But Noneshvily learnt fast. Soon he invited me for a dinner with American writers who at that time were visiting Tbilisi. He invited me too realizing that I with my interest for African-American culture was probably an interesting counterpart for them. Among the guests were two African-Americans: a writer Mr. Elton Fax and a journalist Ms. Jean Bond. Very soon the lady after having a couple of glasses of Georgian wine felt sick and was taken to the hotel. Elton proved an interesting person. We talked the whole evening. Later he wrote a preface to my book on Harlem Renaissance. A few years later he visited Georgia again, this time with his wife Betty. I

took them around. For some reason they were impressed with my manner of diving about which Elton wrote in this book of impressions of his visits to Georgia, Armenia and Azerbaijan.

In early 90s I went for a few mouths to Georgetown University, Washington D.C., then to New York. I called Elton. We went to Harlem - African-American part of New York about which I had read and wrote so much. It started drizzling. Elton suggested going for a shelter to a friend nearby. I asked: „Is it anybody I might know?“ Elton seemed surprised- I was for the first time in USA, in New York, in Harlem. What acquaintance? I felt my question irrelevant. We rang the bell. The door opened and to my surprise I saw a familiar face- Jean Bond, the journalist. That was the meeting! We have been friendly since then. When I was in US, Jean would often visit me at the International House where I lived, while working at the Center of American Culture Studies, Columbia University. We would often go for a drive together. On several occasions I was at her house. Once on Christmas I was invited as a guest of honor; on one occasion I took a guest to her house - Mr. Nodar Jamberidze, who at that time was President of Artists' Union of Georgia. In New York he was helping renown artist Zurab Tsereteli to erect the figure of St George on the UN premises. Owing to our friendship I got about 20 invitation cards to that event which I gave to my friends from Georgian Association in New York, among them a well know sculptor Lado Gujabidze with spouse, Shaki, Dilari and Ella Pirz (Pirtzkhalashvili), my closest friend, journalist Manana Jinjikh-asvhili, Nicol Jordania (granddaughter of the first head of Independent Government in Georgia, Noe Jordania) and others. Jean and her husband architect Max Bond (one of the authors of Martin Luther King's memorial in Atlanta) were there too.

My dear American friends of all color, how I miss you all!

2010

## Story of an exceptional event in the UN

Years ago I was friendly with honored artist of Georgia Lia Svanidze, a much older lady, a refined artist. First she worked and was friendly with my mother, later, owing to my interest for painting and arts in general, she switched her attention and friendliness to me. We would often visit exhibitions, went to Artists' Union. I helped her to arrange her solo exhibition which was followed by a dinner at her home in Pekin av. with many artists attending. Owing to her I got friendly with Nodar Jamberidze, President of Artists' Union. Later we met in New York where he was helping a well known artist Zurab Tsereteli to erect his famous figure of St. George killing the Dragon on the UN grounds. Through his efforts I received about 20 invitation cards to the opening ceremony in the UN; which was followed by a huge, very exceptional a-la-furshet dinner party in the UN. Having all these invitation cards, I invited to this event many prominent members of the Georgian community- among them a well-known sculptor Lado Gujabidze with wife, other

friends, Nicol Jordania (granddaughter of the first Head of Georgian Democratic Government Mr. Noe Jordania), whom I taught Georgian of Columbia University. I invited my close Black American friends Jean Bond (editor of the Journal of American Civil Liberties Union) and her husband architect Max Bond (one of the authors of Martin Luther King's memorial in Atlanta). It was a prominent gathering. E. Shevardnadze came and gave a speech at the UN garden, on the background of St. George's figure. Immediately after that he flew back to Georgia, others moved to a catered richly decorated sumptuous dinner in the UN big hall. New York is huge, but still next day people were telling each other of a rare reception at the UN. So even New York seemed small- rumour of that even flew around even in the circles far from diplomatic. Later, on request of non-Christian countries, Z. Tsereteli had to remove the cross from St. George's pierce. UN should not favour any of religious symbols, which is correct. I still keep pictures of this memorable event.

2023

## ვაშინგტონური ჩანაწერები

*პუბლიკაცია მომზადდა 1995 წელს ავტორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ქ. ვაშინგტონის კენანის ინსტიტუტში მივლინების შედეგად. სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა ვუდრო ვილსონის სახელობის კვლევითი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მასპინძელთა გულისხმიერება, მათი დაინტერესება საქართველოთი.*

ამ ჩანაწერების ძირითადი წყაროა ჩემი ხუთთვიანი მივლინება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1995 წელს, მაგრამ ჯერ მოკლედ მოგახსენებთ წინა მივლინების შესახებ, რადგან ეს ორი მჭიდროდაა დაკავშირებული შეხების მრავალი წერტილით.

1994 წლის გაზაფხულზე აშშ-ის რამდენიმე უნივერსიტეტის მიერ მიწვეული ვიყავი ლექციების წასაკითხად, ზოგიერთ უნივერსიტეტში – განმეორებით (კალიფორნიის უნივერსიტეტი სანტა კრუზში, კოლუმბიის უნივერსიტეტი ნიუ-იორკში). პირველად აღმოვჩინდი ნევადის უნივერსიტეტში ქ. რინოში, ვაშინგტონის უნივერსიტეტში სიეტლში, კალიფორნიის უნივერსიტეტში ლოს-ანჯელესში და აგრეთვე მონრეალის ინგლისურენოვან ორ უნივერსიტეტში.

ლექციებს ვკითხულობდი ორ განსხვავებულ საგანში: ამერიკული ეთნიკური ლიტერატურისა და კულტურის განხრით და საქართველოს შესახებ – ისტორია, რელიგია, ხელოვნება, ძველი და თანამედროვე კულტურა, რასაც ახლდა ხატოვანი ვიდეოკასეტა ინგლისურ ენაზე. ლექციებს მსმენელი არ აკლდა. პირველ შემთხვევაში აინტერესებდათ ამერიკული ეთნიკური ლიტერატურის ინტერპრეტაცია შორეული ქვეყნიდან ჩამოსული

მცენიერის მიერ, მეორე შემთხვევაში – ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რომელსაც ამერიკელი და კანადელი სტუდენტები და პროფესურა ნაკლებად იცნობენ, ცნობისმოყვარეობა კი არ აკლიათ. ერთერთ კოლეჯში ლექციამდე ორი კვირით ადრე დეკანმა სტუდენტებს მასალაც კი მისცა საქართველოს შესახებ, რათა მათი კითხვები და ლექციამში მონაწილეობა უფრო გააზრებული და პროდუქტიული ყოფილიყო.

ლექტორის ჩამოსვლის შესახებ ცხადდება სულ მცირე ერთი-ორი თვით ადრე. თუ გადაწყვეტენ, რომ თქვენი პრობლემატიკა აინტერესებთ და თქვენს ჩამოსაყვანად გარკვეულ თანხას გაიღებენ (მეტწილად სამგზავრო და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარავად), თვლიან, რომ ლექტორის უნივერსიტეტში ყოფნით ყველა ფაკულტეტმა უნდა ისარგებლოს. შეტყობინებას და აფიშებს ადრე დაბეჭდავენ, ყველას დაუგზავნიან, სთხოვენ დასწრებას, დისკუსიაში მონაწილეობას, სტუმრისაგან კი, ერთი-ორი საინტერესო ლექციის გარდა, სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრებს და სხვა დისკუსიებში მონაწილეობას ელიან. ხშირად ინტერესს ავლენენ იმ სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მიმართ, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, გამოთქვამენ თანამშრომლობის, სხვადასხვა სახის ერთობლივ პროგრამებში მონაწილეობის სურვილს, სახავენ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამის გეგმებს. ყოველივე ეს საინტერესოა და მომავლისათვის გასათვალისწინებელი, მაგრამ ჩვენს დღევანდელობაში დიდად საეჭვო. როდესაც ხედავ, როგორ გდებულობენ, როგორ მსმენელებს, რა აუდიტორიებს, ტექნიკას, სამუშაო ან საცხოვრებელ პირობებს გახვედრებენ, ფიქრობ, თუ რის გაკეთებას შეძლებ საპასუხოდ, რამდენად შეძლებ ასეთი ორგანიზებულობით საპასუხოდ დახვედრას, დაინტერესებული ინგლისურენოვანი აუდიტორიის შეკრებას, კარგი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შექმნას.

დასაბამიდანვე რამდენიმე უარყოფითი მომენტი ისახება – მსმენელი, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც არაფერი აწუხებს და მთლიანადაა კონცენტრირებული სტუმარსა და მისი ლექციის თემატიკაზე; თანამედროვე დასავლური სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი სალექციო აუდიტორია, მისაღები, საცხოვრებელი პირობები – ჩვენში ეს მხოლოდ სასტუმრო „მეტეხია“ (ან „პატარა მეტეხი“ მაინც), სადაც სტუმრის ერთი კვირით მოთავსება მთელი უნივერსიტეტის თანამშრომლების ერთწლიან (თუ ორწლიან არა) ხელფასს უდრის. ამგვარად, ქართველისათვის ბუნებრივ სტუმართმოყვარეობას საღი აზროვნება და დღევანდელი ჩვენი რეალობის ცოდნა წინ აღემართება. პრაგმატიზმი და საღი აზრი მკარნახობდა, რომ თანამშრომლობისა და წარმომადგენლების გაცვლა-გამოცვლისაგან დროებით თავი შეემკავებინა. და მაინც ვტოვებდი მოწვევების წერილებს. მზად ვიყავი ჩამოსვლისთანავე მიმეღო სტუმრები – სოციოლოგები და ეკონომისტები, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

გესმის, რომ ისე ვერ დახვდები, როგორც გხვდებოდნენ, იმდენის გაკეთებას ვერ შეძლებ საპასუხოდ, რასაც გიკეთებდნენ, მაგრამ, რომ დავფიქრდეთ, პირადად ბევრად მეტს გააკეთებ ჩამოსული სტუმრისათვის, ვიდრე რომელიმე მასპინძელს გაუკეთებია



შენთვის. თქვენ გახარჯდები უნივერსიტეტის თანხებს; თქვენი მგზავრობა, დახვედრა, კვება, მანქანით ტარება, რესტორანში ან გასართობ ადგილებში წაყვანა, გაცილება, მცირე ჰონორარით ან წიგნებით დასაჩუქრება – ყოველივე ეს უნივერსიტეტის თანხით ხდება. თქვენ კი თქვენი მანქანით უნდა შეხვდეთ სტუმარს, თქვენს ბინაში დაასახლოთ (რომელსაც წინასწარ თქვენივე ხელით საგანგებოდ ამზადებთ), თქვენვე უნდა შეადგინოთ მისი ლექციებისა და შეხვედრების განრიგი, იზრუნოთ ამ ლექციებისა და შეხვედრების მეტ-ნაკლებად მისაღები სახით ჩატარებაზე, თქვენვე უნდა უზრუნველყოთ სტუმრის კვება, ტარება, ექსკურსიები, აუცილებლობის შემთხვევაში მოუძებნოთ გიდი ან თარჯიმანი, უფრო სწორად, თქვენ შეათავსებთ დამხვედრის, მედიატორის, მკვებავის, გამართობის, გიდის, მასპინძლის, თარჯიმნის, გამცილებლის როლებს. სტუმარს კი ეგონება, რომ ყოველივე ამის თანხას იხდის უნივერსიტეტი, რომელიც აგრეთვე ერთ-ორ დამხმარესაც გაძლევს. და მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ, რად დაგიჯდათ სტუმრის საქართველოში ჩამოყვანა – რა ნერვული, ფინანსური, ფიზიკური მსხვერპლის ფასად. სტუმრის შინ გამგზავრების შემდეგ ერთი-ორი კვირა ხომ ადამიანად ადარ ვარგინხართ. და მაინც მიდიხართ ამ მსხვერპლზე იმ იმედით, რომ ჩამოსული სოციოლოგი ან ეკონომისტი, ან სხვა დარგის სპეციალისტი რაიმეში წაადგება აქაურობას, უკეთ გაიცნობს თქვენს ქვეყანას, გაჭირვებისა და არეულობის მიღმა მის ძველ კულტურასა და მდიდარ ისტორიულ წარსულს დაინახავს, აღიარებს საქართველოს როგორც ერთერთ ულამაზეს და სულიერად მდიდარ ქვეყანას, განიმსჭვალება მისდამი სიმპატიით და დახმარების სურვილით.

ეს აზრები მოყვა შარშანდელი მივლინების გახსენებას, რამაც გადაგვახვევინა წლევანდელ მივლინებაზე საუბრისაგან. წლევანდელი სამეცნიერო მივლინება აშშ-ში სხვა სახის აღმოჩნდა, ვიდრე წინა წლისა. იგი არ იყო უნივერსიტეტიდან მიწვევის შედეგი. მის საფუძვლად იქცა ერთერთი ჩემი პროექტი ამერიკული ეთნიკური ლიტერატურის სფეროში, რომელიც საკონკურსო მასალად წარვადგინე ვაშინგტონის ცნობილ ვუდრო ვილსონის სახელობის კვლევით ცენტრში, კერძოდ კი კენანის ინსტიტუტში.

კენანის ინსტიტუტს უფრო ფართო საერთაშორისო პროფილი აქვს, ვიდრე არანაკლებად ცნობილ ნიუ-იორკის ჰარიმანის ინსტიტუტს (რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის ნაწილს წარმოადგენს). ბედნიერება მქონდა 1990 წელს სემესტრის განმავლობაში მემუშავა კოლუმბიის უნივერსიტეტის ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ჯეკ ზოლცმანი (იმდროინდელ მივლინებაზე ვრცელი ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „ერის“ ორ ნომერში – 1991 წლის მაისსა და ივნისში). მაშინ ხშირი კონტაქტები მქონდა ორიენტალისტიკის ფაკულტეტთანაც, სადაც ქართული ენის პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარება მთხოვეს სტუდენტთა ქართულენოვანი ჯგუფისათვის, და ჰარიმანის ინსტიტუტთან, სადაც ყოველკვირეული საინტერესო კონფერენციები და დისკუსიები ტარდებოდა (ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი, როდესაც სიტყვებმა „გლასნოსტ“ და „პერესტროიკა“ და მათთან დაკავშირებულმა მოვლენებმა მსოფლიოს ყურადღება მიიქცია, დიდი ღელვა და უამრავი დისკუსია გამო-

იწვია).

ჰარიმანის ინსტიტუტი კონცენტრირებული იყო (და არის) ყოფილ საბჭოთა კავშირზე, მის პრობლემატიკაზე, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ამ ასპექტებს სწავლობდნენ, იმუშავებდნენ რეკომენდაციებს, იწვევდნენ მეცნიერებს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ცდილობდნენ ობიექტურად შეესწავლათ ეს ქვეყანა, მინიმუმამდე დაეყვანათ მისგან გამომდინარე პოტენციური პოლიტიკური, მორალური თუ მატერიალური მუქარა. ჰარიმანის ინსტიტუტში შემხვედრიან სპეციალისტები რუსეთიდან, შუა აზიიდან, სომხეთიდან, მაგრამ საქართველოდან იქ არავინ მინახავს. ალბათ ამიტომ აღმოვჩინდი პირველი ქართველი კოლუმბიის უნივერსიტეტთან დაარსებულ „საერთაშორისო სახლში“, მის ყოველწლიურ წიგნში, უნივერსიტეტის ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრში და, ალბათ, ჰარიმანის ინსტიტუტშიც, რომელთანაც ჩემი კონტაქტები, ასე თუ ისე, ფრაგმენტული იყო – მაინც იქაური თანამშრომელი არ ვიყავი.

რაც შეეხება კენანის ინსტიტუტს, მისმა სხვადასხვა შტატში მცხოვრებმა არჩევითი საბჭოს წევრებმა მიიღეს ჩემი პროექტი როგორც ყოველწლიური საკონკურსო მასალის ნაწილი, უყარეს კენჭი და, საბედნიეროდ, დადებითად შეაფასეს, ე. ი. დაფინანსების დირსად ჩათვალეს იგი. პასუხი კენანის ინსტიტუტის მოსკოვის ოფისიდან შემატყობინეს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად შევთანხმდით, რომ კენანის ინსტიტუტის ბაზაზე ჩემი მუშაობა 1994 წლის დეკემბრიდან დაიწყებოდა.

მგზავრობა თბილისიდან ვაშინგტონში, ფრანკფურტის გავლით, ბევრად უფრო სასიამოვნო და ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეული მგზავრობა მოსკოვის გავლით. ბედნიერებაა, თუ აცდები მოსკოვის ვნუკოვსა და განსაკუთრებით შერემეტევოს აეროპორტებს მათი მომსახურე პერსონალით, რომლისთვისაც გულგრილობა, უხემობა, უსაფუძვლო ეჭვის გამოთქმა ან ქურდობა ისევეა დამახასიათებელი, როგორც თავაზიანი ღიმილი და დახმარებისათვის მზადყოფნა დასავლეთის ნებისმიერ აეროპორტში (ისევე, როგორც სხვა დაწესებულებაში).

ჩასვლისთანავე კენანის ინსტიტუტში გავემგზავრე, სადაც აღმოვჩინდი ინსტიტუტის 20 წლის არსებობისადმი მიძღვნილ მიღებაზე ვუდრო ვილსონის სახელობის ცენტრში. ეს ცენტრი 1968 წელს შეიქმნა შეერთებული შტატების კონგრესის მიერ როგორც ერის ოფიციალური მემორიალი, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის ოცდამერვე პრეზიდენტს. ცენტრში ფართოდაა წარმოდგენილი ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების წრე. აქ ფართო და ცხოველი ყოველკვირეული დისკუსიები იმართება მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე – პოლიტიკის, სოციო-ეკონომიკის თუ კულტურის დარგში.

საერთაშორისო კონკურსების გზით ცენტრი ყოველწლიურად ანიჭებს სტიპენდიებს 35 მეცნიერს იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ყურადღებას იქცევენ აქტუალურობით და პრობლემების ფართო და მრავალმხრივი წარმოსახვით, მათი შესწავლის საინტერესო მეთოდულით, საკითხის ისეთი დასმით, რომელიც ვიწრო სფეროში კი არ მოაქცევს მას, არამედ დაუკავშირებს სხვადასხვა დარგში მიმდინარე, დღევანდელ-

ბისათვის მნიშვნელოვან პროცესებს, ასარგებლებს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს, ამა თუ იმ სახით იქონიებს გავლენას ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროებზე. კონფერენციების და დისკუსიების მასალები იბეჭდება ცენტრის პუბლიკაციებში „ვუდრო ვილსონ ცენტერ რიპორტ“ და „უილსონ კვორტერლი“ ან გადაიცემა „რადიო დიალოგ“-ით.

აღსანიშნავია ვუდრო ვილსონის ცენტრის და კენანის ინსტიტუტის ადგილმდებარეობა. ცენტრს უკავია ისტორიული შენობა – ე. წ. „კოშკი“, რომელიც დგას ვაშინგტონის ყველაზე პოპულარულ ადგილას, „მოლზე“, კონგრესის შენობასა და ჯორჯ ვაშინგტონის მემორიალს შორის. კენანის ინსტიტუტი მის მახლობლადაა, სამხრეთ-დასავლეთის „დი“ სტრიტზე, ცნობილ „აეროსპეისის“ (ანუ „კოსმოსურ“) შენობაში, რომელიც ჭრილში საჰაერო ხომალდს გაგონებთ. ეს შენობა რამდენიმე ჩაკეტილ ქვემო სართულსაც მოიცავს დახურული ეზოთი, ავტოსადგომით და სხვა სამსახურებით. ნაცნობების გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, სწორედ ამ შენობის ქვემო სართულებში აიწყო თვითმფრინავი, რომლიდანაც დაიბოძა ხიროსიმა და ნაგასაკი. აღდგენილი თვითმფრინავი კოსმოსის მუზეუმში უნდა დაედგათ საზოგადოების საყურადღებოდ, მაგრამ ამ ფაქტმა მრავალი დისკუსია და კრიტიკული გამოსვლა გამოიწვია პრესაში, მრავალი საპროტესტო აქცია, და თვითმფრინავი საზოგადოებას აღარ უჩვენეს.

ასეთია მრავალფუნქციური შენობა, სადაც მუშაობა მომიხდა რამდენიმე თვის განმავლობაში და სადაც მრავალი საათი გავატარე საქმიან და სასიამოვნო ვითარებაში. კენანის ინსტიტუტს „აეროსპეისის“ შენობის მეშვიდე სართულის ნახევარი უკავია, ოფისების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ ერთდროულად 8-12 მეცნიერს თუ ღებულობენ. შეფარდება ასეთია: ყოველი 10 მეცნიერიდან 7 ამერიკელია, 3 კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა ჩასული, ძირითადად – რუსეთიდან, იშვიათად სხვა რესპუბლიკებიდანაც (უკრაინიდან, ტაჯიკეთიდან...). ქართველები იშვიათ სტუმრებს წარმოადგენდნენ ამ ინსტიტუტში. მე ვიყავი რეგიონალური პროგრამით ჩასული მეორე ქართველი მეცნიერი (1991-92 წლებში იქ უფრო ხანგრძლივი პროგრამით ფილოსოფოსი გია ნოღია ყოფილა, რომელიც ინსტიტუტში კარგად ახსოვთ). აღსანიშნავია, რომ ჩემს იქ ყოფნაში ორმა ქართველმა სპეციალისტმა მიიღო მოკლევადიანი (ერთთვიანი) სტიპენდია – საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთერთმა წამყვანმა თანამშრომელმა ზურაბ ლომაშვილმა და მუსიკათმცოდნემ ქეთი ბაქრაძემ. ინსტიტუტის თანამშრომლებმა სიამაყით მითხრეს, კიდევ ორი კარგი პროექტი გვაქვს საქართველოდან, და თქვენი ორი თანამემამულე მალე გამოჩნდება ინსტიტუტშიო.

ამგვარად, მოკლე პერიოდში სამი ქართველი აღმოვჩინდი კენანის ინსტიტუტის სიებში, რაც უდავოდ კარგი ნიშანია – ინსტიტუტი ინტერესს ავლენს საქართველოს მიმართ, გეზი აშკარად რეგიონებზე აქვს ადებული. თუ ადრე რუსეთის, საბჭოთა კავშირის პრობლემები იყო კენანის ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში, ახლა რუსეთის რეგიონალური პოლიტიკა და თვით რეგიონები მათი მწვავე პრობლემატიკით და ვითარებით ინსტიტუტის დირექციის და მის დამფუძნებელთა (ძირითადად შეერთებული შტატების

საინფორმაციო სააგენტოს) ყურადღების ცენტრშია.

პოლიტიკა, სოციოლოგია, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები – ძირითადი საგნებია ინსტიტუტის პრობლემატიკაში, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს სხვა ჰუმანიტარულ დარგებს და საგნებს. ინსტიტუტს აინტერესებს ან ყოფილი საბჭოთა კავშირის პრობლემატიკა, ან მეცნიერები ამ რეგიონიდან, რომელთა პროექტებს ცნობენ საინტერესოდ და პერსპექტიულად. მე ჩემი ამერიკული ეთნიკური ლიტერატურათმცოდნეობით მეორე კატეგორიას ვეკუთვნოდი. მოგვიანებით საარჩევნო საბჭოს წევრების სიას რომ გადავხედე, გამიკვირდა, როგორ მივიღე დადებითი შეფასება „რუსისტებისაგან“, რომელთა სპეციალობაა რუსეთის ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა. საბჭოს შემადგენლობა იმდენად კომპეტენტურია, რომ საბჭოთა კავშირში აშშ-ის ყოფილი ელჩი, ცნობილი ისტორიკოსი ჯეკ მეტლოკი იქ რიგითი წევრია. ეს არც უნდა გამკვირვებოდა: საარჩევნო საბჭოს წევრებს იმდენად მრავალწახნაგოვანი გამოცდილება აქვთ, იმდენად ერუდირებული და მსჯელობაში დამოუკიდებელი არიან, რომ უნარი შესწევთ ობიექტური კრიტიკიუმების საფუძველზე ორიგინალური და ფართო საზოგადოებრიობისათვის სასარგებლო პროექტი გამოარჩიონ მრავალ სხვა საინტერესო პროექტში. ამაში უფრო მეტად დავრწმუნდი, როდესაც ზ. ლომამვილის პროექტის დასახელება წავიკითხე და ქ. ბაქრაძის მიერ ვაშინგტონის ერთერთ მუსიკალურ სკოლაში ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილის შესახებ გავიგე, რომლის შედეგად სკოლამ ქეთის ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. სკოლაში ქეთის როგორც მასწავლებლის უნარს მუსიკოსები აფასებდნენ, მაშინ როდესაც კენანის ინსტიტუტში მისთვის სტიპენდიის მინიჭების თაობაზე პოლიტოლოგები და ისტორიკოსები მსჯელობდნენ და, როგორც ვხედავთ, არ შემცდარან. ასეთი უტყუარი აღდოს საფუძველი საქმის ინტერესებისა და სხვა დარგების მოთხოვნილებების გათვალისწინება, დიდი ერუდიცია და უდავო მიუკერძოებლობა, მკაცრი ობიექტურობა უნდა იყოს. სიტყვები „პროტექცია“ ან „შედავათი“ მათთვის უცნობია. ამიტომაც, რომ ნაკლებად ცნობილ დარგებში პროექტების განხილვისას შეცდომა არ მოსდით, მარცვალს ჩენჩოსაგან განასხვავებენ.

თუ ინსტიტუტში მიგიწვიეს სამუშაოდ, ოფისს განვედრებენ ტელეფონით, კომპიუტერით, პრინტერით და, რაც მთავარია, ასისტენტით. ჩემი ასისტენტის სტესის შემწეობით კონგრესის ბიბლიოთეკაში სიარულზე და წიგნების გამოწერა-მიღებაზე დრო არ დამიკარგავს. ერთ დღეს თუ ბიბლიოთეკაში მუშაობდა, მეორე დღეს ჩემთან ოფისში ატარებდა – აქსეროქსებდა და არეფერატებდა მასალას, ჩემი ნაწერები მეჭყავდა კომპიუტერში, მენმარებოდა მრავალ მსხვილმან-წვრილმანში. სტესის მიერ დაზოგილმა დრომ ინსტიტუტში ყოფნის პერიოდი გამიორკეცა. ამას შაბათ-კვირას მუშაობის ხარჯზეც ვაღწევდი. ინსტიტუტის თანამშრომლებს და მიწვეულ მეცნიერებს გვქონდა ჩვენი ელექტრონული გასაღები, რომლითაც მთელ შენობას, შემდეგ კი ინსტიტუტის სართულს ვადებდით დღე-ღამის ნებისმიერ დროს. როდესაც აგირჩევნ მეცნიერ-თანამშრომლად, უზომოდ ნდობას ავლენენ: გასაღებიც გაქვს და არალიმიტირებული მიდგომა ძვირადღირებულ კომპიუტერულ ტექნიკასთან, ფაქსთან, ქსეროქსთან, ბიბლიოთეკის ფონდებთან, ტელე-

ფონთან, რომლითაც აშშ-ის ნებისმიერ წერტილში რეკავ. ნდობა მით უფრო აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში არც ერთი კარი არ იკეტება, და საერთოდ სამუშაო დღის განმავლობაში ყველა მუშაობს დია კარით, კარის მიხურვამ შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს.

შენგან არაფერს ელიან შენსავე თემაზე ნაყოფიერი მუშაობის გარდა. ერთადერთი პირობაა – მომავალში ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილ და გამოქვეყნებულ მასალაზე ინსტიტუტის მიმართ სამადლობელო ფრაზის დართვა. ეს ძალზე პატარა საპასუხო ჟესტია, თუკი გავითვალისწინებთ, რამდენად შეგიწყო ინსტიტუტმა ხელი ამ მასალის შექმნაში.

ვუღრო ვილსონის ცენტრის და კენანის ინსტიტუტის მიერ მიწვეულ მეცნიერთა შემადგენლობა შთამბეჭდავია – მათ შორის არიან ცნობილი მწერლები, ყოფილი ელჩები, წამყვანი პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, ინსტიტუტების დირექტორები, მთავრობის მრჩეველები, ცნობილი ჟურნალისტები, სოციოლოგები, ისტორიკოსები, ანთროპოლოგები, იურისტები, ხელოვნებათმცოდნეები, ლიტერატორები და სხვ. ჩემს იქ ყოფნაში ინსტიტუტში იყვნენ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო კომისიის პირველი მდივანი (კონსტიტუციის ფაქტობრივი ავტორი) ოლეგ რუმინანცევი, გერმანიის ყოფილი ელჩი რუსეთში ჰანს-გეორგ ვიკი, მოსკოვის პოლიტიკურ კვლევათა ცენტრის დირექტორი და საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი ლილია შვეცოვა, დუდაევის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი და მრავალი სხვა.

კენანის ინსტიტუტის მუშაობას განაგებს რამდენიმე ადამიანი – დირექტორი (ბლერ რუბლი), მოადგილეები (პიტერ სტავრაკისი და დენ აბელი), რედაქტორი, სამი პროგრამის სპეციალისტი და მდივანი. ასისტენტებად ხელშეკრულებით მუშაობენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. სულ შვიდი ადამიანი უძღვება ინსტიტუტს, სადაც ერთდროულად 8-12 მიწვეული მეცნიერი იმყოფება; მუშაობენ ჩამოსულებთან, ემზადებიან მეცნიერთა ნაწილის გასამგზავრებლად, ახლების მისაღებად, ეძებენ ასისტენტებს, ამზადებენ ოთახებს, თავს ართმევენ რთულ საინსტიტუტო ბუღალტერიას, სცემენ საინტერესო ბროშურებს, კალენდრებს, აფიშებს, მონაწილეობენ ყოველკვირეულ ორ დისკუსიაში, გარე კონფერენციებში, ერთმანეთს ახვედრებენ მეცნიერებს, იწვევენ საკონკურსო კომისიის სხდომებს, რომლებშიც თვითონაც მონაწილეობენ. ინსტიტუტის მცირერიცხოვანი შტატის მოვალეობები მართლაც მრავალრიცხოვანია.

გარდა იმისა, რომ იყენებ ინსტიტუტის ოფისს, ასისტენტს, ტექნიკას, ორ ბიბლიოთეკას, კონგრესის ბიბლიოთეკის სპეციალურ სამსახურებს, ინსტიტუტის ბაზაზე ხვდები მრავალ საინტერესო მეცნიერსა და მოღვაწეს, თანამშრომლობის საშუალებას იძენ მრავალ სხვა დაწესებულებასთან, უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან, ინსტიტუტის თანამშრომლებისაგან სწავლობ სამუშაო დროის ყოველი წუთის გამოყენებას; როდესაც ინსტიტუტის დირექტორი ან მისი მოადგილეები შაბათსა და კვირას ინსტიტუტში კომპიუტერებთან ატარებენ, შენც ეს ბუნებრივად გესახება, მითუმეტეს რომ შენი დრო ამ ინსტიტუტში რეგლამენტირებულია, მეტი გინდა მოასწრო მცირე ვადაში. ინსტიტუტის თანამშრომლების გაღიმებული სახეები კი ადამიანის გამომეტყველების ბუნებრივ ფორმად გვეკლინება და გავიწყდება, რომ წლების მანძილზე ერთერთ ჩვენებურ სახელ-

გატეხილ დაწესებულებაში ხედავდი ბრაზიან, შურიან, გესლიან სახეებს, ასე ზუსტად რომ ასახავენ მათი პატრონების ბუნებას. ადამიანი უკვე იმითაა ბედნიერი, ამგვარ სახეებს და მწარე გამოცდილებას ადვილად რომ ივიწყებს და დადებითი ემოციებით და ინფორმაციით ავსებს ცნობიერებას.

ახლა კონტაქტების შესახებ. მჭიდრო კონტაქტი მქონდა ვაშინგტონის მახლობლად მდებარე ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან. მის აფრო-ამერიკული ლიტერატურის ფაკულტეტზე ორი ლექცია წავიკითხე: ერთი – ამერიკული ეთნიკური ლიტერატურისა და იმ ამერიკანისტების შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში, ვინც ამ ლიტერატურას სწავლობს; მეორე – საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ, რომელსაც ახლდა ხატოვანი ვიდეოფილმი ტექსტით ინგლისურ ენაზე. ასეთივე ხასიათის კულტუროლოგიური ლექცია წავიკითხე კენანის ინსტიტუტში ვიდეოფილმის ჩვენებით, რითაც საფუძველი ჩავუყარე მიწვეული მეცნიერების მიერ საკუთარ ქვეყანაზე მასალის გაზიარებას კოლეგებთან და ინსტიტუტის თანამშრომლებთან (მანამდე ასეთი პრეცედენტი ინსტიტუტში არ ყოფილა, ყველა აკეთებდა ზეპირ და წერილობით ანგარიშს არჩეული თემის ირგვლივ შესრულებული სამუშაოს თაობაზე).

ამგვარი ლექციებით ვიყავი მიწვეული ჩრდილოეთ კაროლინის შტატში უორენ ვილსონის კოლეჯში. ეს ჩემი მეორე ვიზიტი იყო ამ შტატში, სადაც დიდი ხნის მეგობრებიც მყავს (თავის დროზე თბილისში გავიცანით ერთმანეთი „ფრენდშიპ ფორსის“ ერთერთი ჯგუფის ვიზიტის დროს). მარლა და ჯოელ ადამსებს და მათ მეგობრებს კარგად ახსოვთ თბილისი, ადგილები, სადაც ყოფილან, ადამიანები, ვისაც შეხვედრიან. მათი მასპინძლობა ლეგენდად ქვეულ ქართულ სტუმართმოყვარეობას არ ჩამოუვარდება, მაგრამ უფრო მეტადაა გააზრებული, იქით მიმართული, თუ ვინ გაგაცნონ ან რა განახონ ისეთი, რაც შენი პროფესიული ინტერესებისათვისაც იქნება სასარგებლო და შენთვისაც საინტერესო.

რაოდენ კარგადაც არ უნდა იცნობდე ქვეყანას, ყოველ ჩასვლაზე, ყოველ ნაბიჯზე იმ ქვეყნის ცხოვრების კიდევ ერთ წახნაგს წააწყდები. უორენ ვილსონის კოლეჯში ლექციებს შორის შუალედში კოლეჯის პრეზიდენტი, რამდენიმე მასწავლებელი და მე ვისხედით სასადილოში. იქ სულ ერთი დარბაზია, სადაც სტუდენტებიც სადილობენ, მასწავლებლებიც და კოლეჯის პრეზიდენტიც. ადმინისტრაციას ცალკე დარბაზი და განსხვავებული მენიუ არა აქვს, და ეს სახსრების ნაკლებობით როდი აიხსნება: ქუმმარითი დემოკრატიულობა უფლებას არ აძლევს პრეზიდენტს ცალკე ოთახში ისადილოს. მეტსაც გეტყვით. სტუდენტი დაჯდა ჩვენს მაგიდასთან, სადილობას შეუდგა და რაღაც უთხრა პრეზიდენტს. ნაცნობმა მკითხა: შეამჩნიეთ, როგორ მიმართა სტუდენტმა პრეზიდენტს? არა, არ შემიმჩნევია, – ვუპასუხე. მან პრეზიდენტთან ლაპარაკში შემოკლებული სახელი „დაგი“ იხმარაო (შემოკლებით „დაგლასიდან“), პრეზიდენტი ამაცობს იმით, რომ სტუდენტები ასე მეგობრულად, როგორც თანაბარს, მიმართავენ მას. პატარა დისტანცია ხომ არ არის სასურველი? – ვკითხე. არა მგონია, ერთ-ორ წელიწადში დღევანდელი სტუდენტი დამოუკიდებლად დაიწყებს მუშაობას. მას საკუთარი თავის რწმენა უნდა ჰქონ-

დეს. ახლა თუ არ ვასწავლეთ ადამიანებთან, კოლეგებთან, მომავალ კონკურენტებთან გაბედულად ლაპარაკი, შემდეგ როდის ისწავლის ამას? ჩვენი მოვალეობაა, – მითხრა, – აღვზარდოთ კარგი სპეციალისტები, ყველანაირი ცხოვრებისეული და საქმიანი სიტუაციისათვის მომზადებული ადამიანები.

ჩვენში აზრადაც არავის მოუვა სტუდენტებთან ჩვეული ურთიერთობების დარღვევა იმ, ერთი შეხედვით, ეფემერული იდეის გამო, რომ ახალგაზრდა უკეთ მოამზადოს სამყაროსთან მომავალი ურთიერთობებისათვის. მაგრამ რომ დავაკვირდეთ, იმასაც მივხვდებით, რომ კარგი, კომპეტენტური, საკუთარ თავში დარწმუნებული სპეციალისტების აღზრდა კოლეჯს რეპუტაციას შეუქმნის, მიიზიდავს მისკენ უფრო მეტ სტუდენტს, უფრო მყარ კონტაქტებს შეუქმნის კოლეჯს საქმიან ფირმებთან და წრებთან, გაზრდის სასწავლებლის და მისი ადმინისტრაციის პრესტიჟს, შესძენს მას სპონსორებს. ცხოვრებაში კარგად მოწყობილი კოლეჯის ყოფილი სტუდენტი დროთა განმავლობაში თვითონაც მის სპონსორად იქცევა. გაიაზრებ ამას და ხვდები, რომ სტუდენტებთან თანასწორივით ლაპარაკი არა მარტო დემოკრატიულობის გამოვლინებაა, არამედ ლეგენდად ქცეული ამერიკული პრაგმატიზმისაც.

*თამარ ცინცაძე*

*ჟურნალი „პოლიტიკა“ #1-2, 1996 წ. გვ. 22-26*

## ვაშინგტონური ჩანაწერები

### ბაზრძელაბა

ახლა სხვა შეხვედრებზე გიამბობთ.

მგზავრობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებზე აღრეც მიწერია, მაგრამ არასოდეს შევხებივარ რელიგიას, რელიგიურ კულტებს, მათ მსახურებს. ისე მოხდა, რომ ამჯერად რამდენიმე ასეთი კონტაქტი მქონდა და ახალი გამოცდილებაც შევიძინე, რის შესახებაც მინდა გიამბოთ.

მერილენდის შტატში, ვაშინგტონის მახლობლად, გზის პირას, ამაღლებულ ადგილზე, თითქოს ტყიდან ამოსულაო, ჩანს ოთხი სტელით ცაში აღმართული თეთრი ტაძარი. ამ ნაგებობას მიზიდულობის დიდი ძალა აქვს. შორიდან აღმოსავლურ სასახლესაც მოგაგონებთ თავისი ფორმებით. ერთ კვირა დღეს იქაური ქართველების ოჯახთან ერთად წასვლა გადავწყვიტეთ იმ ტაძრისაკენ. მოჯადოებული ადგილი აღმოჩნდა. თითქოს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ტაძრამდე ვერ მიგვეღწია. ჩემი მეგობრების სახლიდან ის ადგილი ნახევარი საათის სავალზე იყო – ორი საათის ხეტიალის შემდეგ ტაძართან აღმოვჩნდით. თუმცა მისკენ საკმაოდ ფართო ასფალტირებული გზა მიდიო-

და, ამ გზას ძნელად მიაგნებდი. თეთრი ტაძარი აღმოჩნდა ამერიკაში გავრცელებული რელიგიური კულტებიდან ყველაზე შეუცნობელი და გასაიდუმლოებული კულტის – მორმონების სარწმუნოების ერთერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, მორმონების ტაძარი ან, როგორც თვითონ თავმდაბლად უწოდებენ, ეკლესია.

შერთებულ შტატებში, სადაც ნებისმიერი კონფესიის ეკლესიის კარი ყოველთვის ფართოდაა ღია მლოცველების თუ სხვა დაინტერესებული პირებისათვის, ამ ცისკენ აზიდულმა თეთრმა ნაგებობამ გამოცა თავისი შეუღწევადობით. ჯერ ხომ გზას და მერე კი კარს ვერ მიაგნებდი. ფანჯრების ნაცვლად გრძელი და ვიწრო ჭრილები აქვს, საიდანაც შენობაში შუქი აღწევს. ეს ჭრილებიც შენგან ისეთ მანძილზეა, შიგ ვერ შეიხედავ. ტაძარი გარედან მდიდრულ შთაბეჭდილებას ქმნის. ვუტრიალეთ გარშემო – ვერსად შესასვლელი ვერ მოვნახეთ. ყველა კარი ჩარაზულ-ჩაკეტილი იყო. ბოლოს მახლობლად ტურისტულ ცენტრს მივაგენით, რომლის თანამშრომლებმა – ტაძრის მსახურებმა – აგვიხსნეს, რომ მორმონების ტაძარში მორმონების გარდა, და ისიც გარკვეულ დღეებში, არავინ შეიშვება. თვით მორმონების რწმენა გამორიცხავს ამას. მათი რწმენის სისუფთავე და სიმკაცრე (აქედან ტაძრის თეთრი ფერიც) მორმონებსაც არ რთავს უფლებას გარკვეული დღეების გარდა შევიდნენ საყდარში, სადაც ადგილებიც კი განაწილებულია მლოცველების სულიერი სიწმინდის დონის, მორალური ვარგისობის ხარისხის მიხედვით.

ტაძრის მსახურები იყვნენ ასაკოვნებიც და ახალგაზრდებიც. ერთი გოგონა (19 წლის თუ იქნებოდა) განსაკუთრებული მონღომებით გვესაუბრებოდა. მოგვიყვა ტაძრის მრევლის რწმენისა და ცხოვრების წესის შესახებ, ვინაიდან ეს ორი რამ მჭიდროდაა დაკავშირებული და ჭეშმარიტ ერთიანობას წარმოადგენს. მორმონების რწმენა და ცხოვრების წესი ფიზიკური და მორალური სისუფთავის იდეითაა გამსჭვალული. წელიწადში სულ რამდენიმეჯერ შედიან ტაძარში – ყოველი ახალი განწმენდის და გარკვეული მორალური ამადლების შემდეგ, ყველას, სიწმინდის დონის მიხედვით, გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული ტაძარში. ამიტომაც მიუღებელი სიწმინდის ამ კერაში გარეშე პირი, რომელმაც თვითონაც არ იცის, რამდენად წმინდაა ან ცოდვილი მისი არსება და ცხოვრება.

მორმონების ტაძარში არ შევიშვებენ, მაგრამ სიხარულით გიზიარებენ ცოდნას თავიანთი რელიგიისა და ცხოვრების შესახებ. ტურისტულ ცენტრში რამდენიმე კინოდარბაზია, სადაც სხვადასხვა დასავლურ და აღმოსავლურ ენაზე ფილმებს გიჩვენებენ მორმონების ისტორიის, რწმენისა და ამ ტაძრის შესახებ. ტაძრის ინტერიერი უჩვეულო ჩანს და მიმზიდველი, მის სხვადასხვა ოთახს გარკვეული დანიშნულება აქვს. ამ ოთახებში შედიან ასაკის, მიღწევების, რწმენის სიმტკიცის გათვალისწინებით. არის ე. წ. „ციური ოთახიც“, რომლის ცისფერი ფერი, ბროლის ჭალებით მორთული ჭერი, დამაწყნარებელი გარემო ციურ სივრცეში ყოფნის ილუზიას ქმნის. ამ ოთახში ყველაზე ღირსეულ მორმონებს აქვთ შესვლის უფლება, ისიც წელიწადში ერთხელ. ასეთი ჩანაფიქრი, ჩემი აზრით, ხანდაზმული ადამიანის სიახლოვესაც უნდა ნიშნავდეს ციურ სამყაროსთან, მის სულიერ, თითქმის არაამქვეყნიურ სიწმინდეს. ვფიქრობ, ამ ოთახში შესვლის უფლების მიღება ერთგვარი გარკვეული ეტაპია ღირსეული მორმონებისათვის ამქვეყნიური ცხოვრებიდან



იღუმალ იმქვეყნიურობაში გადასასვლელად.

როგორც ვხედავთ, თვით ტაძრის არქიტექტურა და დიზაინი ბევრის მთქმელია და ფუნქციონალური. მორმონების სარწმუნოება და რთული მრავალეტაპობრივი რიტუალები მათ მთელ ცხოვრებას ასახავს, იდეალს სახავს ამ რელიგიის მიმდევრებისათვის, პრაქტიკულად ეხმარება მათ იდეალური ცხოვრებისეული გზის არჩევაში, მაღალი მორალური სტანდარტების მიღწევაში.

მორმონების რწმენა და ცხოვრება გაკვირვებს თავისი სისუფთავით, პატიოსნებითა და სისადავით, ამასთან ერთად დემოკრატიულობითაც. მათი რწმენა მკაცრია მორალური მოთხოვნების მხრივ, მაგრამ ამასთან ერთად არ უსვამს მრევლის წევრებს არავითარ შემზღვეველ პირობებს, მათი არჩევანი ნებაყოფლობითია, ბევრი რამ მხოლოდ პიროვნებაზეა დამოკიდებული. პროფესიის, ადგილსაცხოვრებლის, სამსახურისა თუ მეუღლის არჩევა თვით პიროვნებაზე და მის მიდრეკილებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ეს რელიგია იმდენად ძლიერია, რომ ძალდაუტანებლად საკუთარ არეალში ამყოფებს მის მიმდევრებს. იმ ჩვენ ნაცნობ მისიონერ გოგონას სოლტ-ლეიქ სიტინი (იუტას შტატი, მორმონების მთავარი კერა) ჰყავდა საქმრო, ისიც მორმონი. გოგონას ისეთი სუფთა, გასხივოსნებული სახე და აშკარად წმინდა ზრახვები ჰქონდა, რომ მჯერა, მის საქმროსთან ერთად კიდევ ერთ მყარ, ძლიერ, მოსიყვარულე ოჯახს შექმნიან, მრავალ შვილს აღზრდიან, დიდად ასარგებლებენ მათ სარწმუნოებას და ქვეყანასაც. ასეთი შრომისმოყვარე ადამიანების ხელითაა აშენებული ეს ძლიერი ქვეყანა, პურიტანები იყვნენ ისინი თუ მორმონები.

მორმონი გოგონა იმდენად მოგვეწონა თავისი გულღიანობით და მორმონების რწმენისადმი ერთგულებით, რომ სურათებიც კი გადავიღეთ მასთან ერთად. გვითხრა, ხუთი-ექვსი თვე კიდევ ვიქნები ამ ტაძრის სამსახურში, შემდეგ კი სოლტ-ლეიქ სიტინი გავემგზავრები, სწავლას განვაგრძობ, გავთხოვდებიო. ინტერესი რომ შეგვამჩნია ტაძრისა და მათი რელიგიის მიმართ, ლიტერატურაც მოგვითანა ინგლისურ და რუსულ ენებზე, სქელი წიგნიც მაჩუქა მორმონების ისტორიის შესახებ. ბოლოს (და აქ უკვე მისმა მისიონერულმა მსახურებამ იჩინა თავი) ბარათებიც კი შეგვავესებინა ჩვენი მონაცემებით და მისამართებით – კონტაქტის დაკარგვა არ მიყვარს დაინტერესებულ სტუმრებთანო. ვფიქრობ, მისიონერი გოგონა განიმსჭვალა მორმონების რწმენაზე ჩვენი მოქცევის იმედით. მისი რწმენა მართლაც მიმზიდველია, მაგრამ ნეტარ არს მორწმუნე.

ამერიკაში გავრცელებულ სხვადასხვა რელიგიურ გამოცდილებასთან მქონდა ხანმოკლე კონტაქტი. სანგულიების ოჯახმა, რომლებთანაც ერთად მორმონებს ვესტუმრე, ერთერთ კათოლიკურ ეკლესიაში დააპირა წასვლა. ეს ვიზიტი თვიდან თვემდე იდებოდა, რადგან მხოლოდ ხუთშაბათობით იყო შესაძლებელი და ნახევარ დღეს მოითხოვდა. ვაშინგტონში ჩემმა ყოფნამ მათი ვიზიტი კათოლიკურ ეკლესიაში დააჩქარა.

ხუთნი გავემგზავრეთ წმინდა ჯოზეფის ეკლესიაში ემიტსბურგში (ვირჯინიის შტატი). უკანასკნელი ათიოდე წელია ეკლესია ცნობილი გახდა მკურნალი მქადაგებლის, ახალგაზრდა ქალის შემწეობით, რომელიც, მრევლის რწმენისა და პრესაში დაბეჭდი-

ლი სტატიების მიხედვით, უამრავ დასწრულს არჩენს სხვადასხვა დაავადებისაგან. ეს მქადაგებელი ქალი კალიფორნიის ერთერთი კათოლიკური ეკლესიიდან გადმოვიდა ვირჯინიაში, წმინდა ჯოზეფის ეკლესიაში, უმაღლესი ბრძანების თანახმად, როდესაც ღვთისმშობელმა გაუხსნა მას სწულებისაგან ადამიანების განკურნების ნიჭი და სწორედ ამ ეკლესიაში უბრძანა სამსახური.

ყოველ ხუთშაბათს სხვადასხვა რწმენის ადამიანები (ვფიქრობ, მათ შორის ათეისტებიც) გროვდებიან ამ ეკლესიაში, რომლისაკენაც გზა კარგადაა ცნობილი ყველა მახლობლად მცხოვრებისათვის. ბევრი ინვალიდიც მოჰყავთ საგორებელი სკამით. ორ-სამ საათიან წირვას ესწრები კათოლიკური ეკლესიისათვის ჩვეული შთამბეჭდავი რიტუალით. ასეთი ღვთისათვის წირვის ძირითადი, მეორე ნაწილი მკურნალ ქალ-მქადაგებელს მიჰყავს. დამსწრეები მასთან ერთად ლოცულობენ. საერთო ლოცვის მერე, როდესაც იმედოცემული დამსწრეები დაიშლებიან, ეკლესიაში რჩებიან მძიმე სწულებით შეპყრობილნი, რომლებთანაც ქალი ინდივიდუალურად მუშაობს. საზოგადოების ამგვარ სამსახურში ქალი არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობს. თუ მის ინდივიდუალურ ყურადღებას ითხოვთ, წინასწარ უნდა მისწეროთ თქვენი დაავადების შესახებ და დიაგნოზიც დაურთოთ. დაგენიშნებათ მიღების დღე. არ ვიცი, ამის შემდეგ რა ხდება, რამდენი სენსია საჭირო სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში, რამდენია განკურნებული. ვიცი მხოლოდ, რომ ყოველ ხუთშაბათს ეკლესიის დიდი დარბაზი ივსება ავადმყოფებით, რომლებსაც განკურნებისა სჯერათ. დარბაზში ამდენი ავადმყოფია თავმოყრილი, მაგრამ იქ სუნთქვა არ გიჭირს, შიში არა გაქვს, როგორც ჩვენს საავადმყოფოებში ხდება, როდესაც პალატაში შესვლისას სუნთქვას იკავებ – არაფერი დამემართოსო. ისიც მესმის, ჩვენში ასეთი რეპუტაციის მქონე მკურნალი რამდენხანს შეინარჩუნებდა უანგარობას. ამიტომაცაა, რომ ჩვენს მკურნალებს, რომელთა უმრავლესობას ანგარება ამოძრავებს, რეპუტაციაც სწრაფად ელახება და ძალაც ეცლება ხელებში. კარგი იქნებოდა, იმ სამსაათიან „უფულო“ სენსებს დასწრებოდნენ, ენახათ, რა მონდომებით და თავგანწირვით მუშაობენ ავადმყოფებთან ჭეშმარიტი რწმენით აღძრული ადამიანები. ფიზიკურს თუ არა, მორალურ შვებას ხომ აძლევს იმედდაკარგულ ადამიანებს, რაც რიგ შემთხვევებში განკურნების ტოლფასია

\* \* \*

ჩემი მესამე კონტაქტი ამერიკასა და მთელ მსოფლიოში გავრცელებულ რელიგიურ მრწამსთან ცნობილ კალიფორნიელ მქადაგებელთან რობერტ შულერთან მიმოწერით შედგა. შულერი ნახევარი საუკუნეა ემსახურება ამერიკაში ყველაზე გავრცელებული ქრისტიანული რელიგიის ერთერთ სახეობას – პრესვიტერიანულ ეკლესიას. ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს ტრადიციულ ევროპაში მიღებული პრესვიტერიანობაა. ამერიკაში გავრცელებულია ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობის ერთგვარი შერწყმული ფორმა. რობერტ შულერი სწორედ იმითაა ცნობილი, რომ იგი ერთერთი ფუძემ-

დებელია მსოფლიოს ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებისა ერთიან მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიად. იგი სათავეში უდგას ორანჯ გროუში მდებარე „ბროლის ტაძარს“, რომლიდანაც მოსკოვის არხით ხშირად გადმოსცემდნენ საკვირაო წირვის ვიდეოჩანაწერს, ჯერ დილის 7 საათზე, შემდეგ კი 8-ზე. ვინაიდან ადრე ადგომას ვარ შეჩვეული, ინფორმაციისათვის მაშინვე ვრთავ ტელევიზორს. ამგვარად, სამიოდე წლის წინ პირველად მოვისმინე და ვნახე „ბროლის ტაძრიდან“ გადმოცემული რობერტ შულერის, მე ვიტყვოდი, ძალიან შთამბეჭდავი „შოუ“, რის მერე მის ერთგულ მაყურებლად ვიქეცი.

რ. შულერის საკვირაო ქადაგებანი ჭეშმარიტი შოუა სხვადასხვა რელიგიური ხასიათის წიგნების რეკლამით, მოწვეული სტუმრებით, რომლებიც საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებენ მრევლს – გამოცდილებას, რომელმაც მიიყვანა ისინი ეკლესიაში, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ესენი არიან საზოგადოებაში ცნობილი პიროვნებები, მწერლები, პოლიტიკოსები, ხელოვნების მუშაკები და სხვ. მაშინაც, როდესაც გამომსვლელი საზოგადოებისათვის უცნობია, მისი გამოცდილება იმდენად შთამბეჭდავია, რომ მისი ნაამბობი დიდხანს რჩება მეხსიერებაში. მასსოვს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი – უმუშევარი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი 8-10 წლის ბიჭი. ოჯახმა მაღაზიაში საფულე იპოვა ორი ათასი დოლარით. ცდუნება დასძლია და მაღაზიის მენეჯერს ჩააბარა. ფაქტი ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის. ოჯახის პატიოსნებით აღფრთოვანებულმა თანამემამულეებმა სამსახურიც შესთავაზეს (ერთი წლის შემდეგაც კი მოსდიოდათ წინადადებები) და ჩაბარებული თანხის მრავალჯერადი კომპენსაციაც, სიმართლის და რწმენის გზით მავალმა ოჯახმა თავიდან და წარმატებით დაიწყო ცხოვრების გზა.

მეორე შემთხვევაში მრევლს ესაუბრებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ნასვამი მძღოლის შეცდომის გამო მთელი ოჯახი დაკარგა ავტოკატასტროფაში. იგი რწმენამ გადაარჩინა, ეკლესიაში მიიყვანა. მან სპეციალური სამსახური დააარსა, პირადად გამოდიოდა მსმენელების წინაშე. საკუთარი ცხოვრების მაგალითზე უჩვენებდა, თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს საზოგადოებისათვის და საკუთარი თავისათვის ნასვამი მძღოლი. ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი აარიდა მან საზოგადოებას, რამდენი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს თუ ცოლვას.

კიდევ ერთი შემთხვევა. ერთერთ სატელეფონო სამსახურს ანონიმური უანგარო დამხმარეები ჰყავს, რომლებსაც ტელეფონით ატყობინებენ უბედური ან მძიმე შემთხვევის შესახებ და გზავნიან იქ დასახმარებლად. მრავალი წელი მათ დამხმარედ ჰყავდათ ძალიან აქტიური ახალგაზრდა კაცი. გავიდა დრო, და მხოლოდ შემთხვევამ გამოააშკარავა, რომ ის ახალგაზრდა კაცი ბრმა იყო.

ასეთი კაცთმოყვარეობის, პატიოსნების და თავდადების მაგალითებზე უდავოდ აღიზრდებიან უფრო ადამიანური, პატიოსანი და მოვალეობის შეგნებით გამსჭვალული საზოგადოების წევრები. ამგვარი მაგალითები იმდენად შთამბეჭდავია, რომ რწმენას თუ არა, პატიოსნებას და ადამიანობას ასწავლის მრევლს და მსმენელს. ამაში სიკეთის გარდა სხვა არაფერია. რ. შულერის, როგორც ყოველი სხვა ამერიკელი შოუს, დიდი ნა-

წილია იუმორი, ხუმრობა, სიცილი (უამისოდ ამერიკულ თეატრში დადგმა არ ხორციელდება, თითქმის ყოველი სპექტაკლი დრამის, კომედიის, ქორეოგრაფიისა და მიუზიკლის ჰარმონიული შერწყმაა). რ. შულერისა და სხვა პოპულარულ მქადაგებელთა წირვა-სპექტაკლები საოცრად პრაგმატულია თავიანთი ხასიათით. ეს არ არის ტრადიციული, ორთოდოქსულ ეკლესიებში მიღებული, განყენებული, ხშირად აბსტრაქციამდე აყვანილი, ყოველდღიურობას მოწყვეტილი, დვთის პატივისცემის გამომხატველი, ხშირად მსმენელებისათვის გაუგებარ არქაულ ენაზე აგებული წირვა. ამერიკული რელიგიური „შოუ“ არის ყოველდღიურობასთან მჭიდროდ დაკავშირებული, საზოგადოების სამსახურში მყოფი, ძლიერი პოზიტიური გავლენის მქონე, შთამბეჭდავი თუმცა სადა რიტუალი. მართალია, ყოველკვირეული შენაწირით მრევლი ეკლესიას არჩენს, მაგრამ თავის მხრივ ეკლესიაც პატრონობს მრევლს – ეხმარება დასწავლულ და ხანდაზმულ ადამიანებს, სცემს სტიპენდიებს. აარსებს საკვირაო სკოლებს პატარებისა და მოზრდილებისათვის, უანგაროდ ასწავლის ინგლისურ ენას ემიგრანტებს, ერთიან, მჭიდროდ შეკრულ საზოგადოებად აერთიანებს რომელიმე უბნის მაცხოვრებლებს, ებრძვის კრიმინალს, ნარკომანიას, მრავალ სხვა სოციალურ ფუნქციას ასრულებს. ასეთ ფუნქციონალურ რელიგიას სიკეთის მეტი არაფერი მოაქვს საზოგადოებისათვის, განწმენდს მას, ადამიანს საკუთარი ღირსების შეგრძნებას სძენს, უხსნის მის როლს საზოგადოებაში, და ყოველივე ამას აკეთებს მისთვის კარგად გასაგები ენით და მისთვის მისაღები ფორმით.

კენანის ინსტიტუტში ყოფნის დროს რობერტ შულერს ერთი წერილი მივწერე, რაზედაც სამი საპასუხო წერილი მივიღე მისგან და მისი თანამშრომლებისაგან. ბოლო წერილში თავის „ბედურების“ კლუბში შესვლა შემთავაზა. ვწუხვარ, ის წერილები გამომგზავრების წინ მივიღე და უპასუხოდ დამრჩა. პასუხს, რასაკვირველია, მივწერ. შემდეგ მგზავრობაში, თუ კალიფორნიაში მოვხვდი, ვეცდები „ბროლის ტაძარი“ და რობერტ შულერიც ვინახულო, თუმცა კლუბში შესვლისაგან თავს შევიკავებ – ამას აზრი აქვს, თუ იმ ქვეყანაში ცხოვრობ და მისი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენ. კლუბში გაწევრიანება ხომ საპატიო სიაში შეტანას არ ნიშნავს მხოლოდ, ეს მორალურ მოავალეობასაც ნიშნავს და მჭიდრო კონტაქტს „ბროლის ტაძართან“, მის მრევლთან და მქადაგებელთან. ამისათვის კი არც დრო და არც სხვა რამ საშუალება არ გამაჩნია.

ეკლესიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ უპიზოდს გავიხსენებ (უფრო სწორად, ერთმანეთთან დაკავშირებულ რამოდენიმე უპიზოდს). ვაშინგტონში ვცხოვრობდი „ფი“ და მე-16 ქუჩების გადაკვეთაზე ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ეს ქუჩა პირდაპირ თეთრ სახლთან ჩადის). ერთ კვირა დღეს ქალბატონმა, რომელთანაც ოთახს ვქირაობდი, ეკლესიის ზარების გაგონებაზე თქვა – ბილ კლინტონი იქნება დღეს ეკლესიაში (შობა იყო). თურმე ჩვენი სახლის გვერდით მდებარე მეთოდისტურ ეკლესიას კლინტონების ოჯახი საკმაოდ ხშირად ეწვეოდა ხოლმე, განსაკუთრებით დღესასწაულებზე. დილის 11 საათი იქნებოდა, ფანჯრიდან უამრავი მანქანა დავინახე ეკლესიის წინ. სწრაფად გავედი. ეკლესიის შესასვლელში მცველები იდგნენ. შეშვებაზე უარი არ მითხრეს, მაგრამ ხელჩანთა დამითვალაიერეს და ლეტექტორში გამატარეს.

წირვა დაწყებული იყო. მარცხენა შესასვლელიდან შევედი დარბაზში და იქვე, მარცხენა რიგში დავჯექი. კლინტონები წინა რიგში მარჯვენა მხარეს დავინახე. შეერთებული შტატების პრეზიდენტი სხვებთან ერთად თავგამოდებით მღეროდა საშობაო ჰიმნებს. შესვენებას დავუცადე და მარჯვნივ გადავინაცვლე. მაგრამ ისეთი ადგილი დავიკავე შეჭრილ კედელთან, სადაც კარებთან მდგომი დაცვის თანამშრომლები ვერ მხედავდნენ. ერთ-ორ წუთში სპორტული აღნაგობის მამაკაცი მომიჯდა – მდარაჯობდა, შემდეგ ადგა – ვიფიქრე, ახლა სხვას გამომიგზავნის. მართლაც, ასეთივე მაღალი და მხარბეჭიანი ქალი მომიჯდა გვერდით. შავი პალტო ეცვა, რომლის ქვეშ უნიფორმის ლურჯი შარვალი და შავი, მამაკაცის ტიპის ფეხსაცმელები ჩანდა. ისიც მდარაჯობდა, ფათერაკს რაიმეს არ ჰქონდეს ადგილიო. დაძაბული რომ არ ყოფილიყო, ვუთხარი, ვაშინგტონში ჩამოსული მეცნიერი ვარ, რა ბედნიერებაა, რომ კლინტონებთან ერთად აღმოვჩნდი ეკლესიაში მეთქი. ეს რა არისო, ბედნიერება მაშინ ნახეთ, კლინტონი ამ გასასვლელში რომ ჩაივლის და ხელს ჩამოართმევს რიგში ახლოს მჯდომ მოქალაქეებსო. წირვა დამთავრდა, კლინტონები რიგს მოყვებოდნენ, მაგრამ ამჯერად ხელი არავისთვის ჩამოურთმევიათ. ჩემს მეზობელს ხელები ჯიბეებში ეწყო – იარაღზე ედო (ისევე, როგორც კარებში მდგომ მცველებს). მაინც ცოტათი გავეთამაშე – გულუბრყვილო სახით ვუთხარი, მოდიო, წინ წავიწიოთ და თვითონ მივესალმოთ პრეზიდენტს მეთქი. სახე გაუმკაცრდა – ამ ადგილიდან არ უნდა დავიძრაოთ, სანამ პრეზიდენტი დარბაზს არ დატოვებსო. ხელები ჯიბეებიდან არ ამოუღია – შემდგომ ხუმრობა აღარ ღირდა. კლინტონები მოგვიახლოვდნენ. ჰილარი ელეგანტური და საკმაოდ მიძინიდეველი იყო, ბილ კლინტონი თბილი ღიმილით თავს უკრავდა მრევლს. გავიდნენ. მანქანები უმაღლესი დიდი ხმაურით დაიძრა თეთრი სახლის მიმართულებით. მრევლი ქუჩაში გავიდა. ჩემი ნაცნობი ქალბატონი – უფრო სწორად, ჩემი დარაჯი – დიდ, ოფიციალური ტიპის მანქანაში ჯდებოდა. დამინახა. მე გამგებინაად გავუღიმე, რაც ნიშნავდა, თავიდანვე ვიცოდი, ვინც იყავი მეთქი. იმანაც გამიღიმა, ხელი დამიქნია, კლინტონების ესკორტს შეუერთდა.

კიდევ ორჯერ ვიყავი ეკლესიაში კლინტონების იქ ყოფნისას. სიმართლე რომ გითხრათ, მათ ესკორტს რომ ვხედავდი ეკლესიის კარებთან, მაშინ შევდიოდი. ვინაიდან ეკლესიის არცთუ მრავალრიცხოვანი მრევლისათვის პრეზიდენტის მცველებს თვალი შეჩვეული ჰქონდათ, ისევ ყურადღების ქვეშ მე ვყავდი – ხომ უნდა გაემართლებინათ მათი იმ ობიექტზე ყოფნა, უნდა ეგრძნოთ, ხელფასს ტყუილად რომ არ ღებულობდნენ. ამიტომ მათი ყურადღება არ მაკლდა, მაგრამ მე აღარ ვაეჭვებდი ამა თუ იმ ფრაზით – ხელები ხომ ჯიბეებში ჰქონდათ იარაღზე, რა იცი, რა მოეჩვენებოდათ. არადა, საშობაო წირვაზე სურვილი მქონდა ქართველების სახელით წყვილისათვის შობა მიმელოცა. ერთერთ ბეჭედსაც დავხედე – გავიფიქრე, ჰილარის ვუსახსოვრებდი სადღესასწაულოდ. დარწმუნებული ვარ, ჩემს ბეჭედზე ბევრად უკეთესი ჰქონდა, მაგრამ აქ ხომ ჟესტი იყო მნიშვნელოვანი და არა ბეჭდის ფასი. მაგრამ „ჩემი“ მცველების სიმკაცრემ და არასასიამოვნო პერსპექტივამ შემაჩერა. რას იზამ, მომავალში ვუსაჩუქრებ, კიდევ თუ მომიხდა მათთან ერთად წირვაზე ყოფნა.

მოგვიანებით ერთ მეგობარს ვუამბე ეკლესიის ეპიზოდი. მითხრა, აქ ეკლესიებში მრევლის გარდა უცნობები არ დადიან, შენ მცველებს უკვე მოხვდი თვალში, არ გაგიკვირდეს, ერთი-ორი კვირა დაკვირვების ქვეშ რომ ჰყავდე. ამდენი აღარ ვიცი, იქნებ ვიყავი კიდეც მცველების ყურადღების ქვეშ. არა მგონია. ალბათ იმისთვისაცაა საიდუმლო სამსახური, შენ რომ არაფერი გაგრძნობინონ და მისია საიდუმლოდ შეასრულონ.

და კიდეც ერთი გამოცდილება ტაძრებთან დაკავშირებით. მოსკოველმა სოციოლოგმა ტატიანა სამსონოვამ და მე დავაპირეთ ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში საშობაო წარმოდგენაზე დასწრება. იმ დღეს სუსხიანი ქარი ქროდა და ძლიერ წვიმდა. წარმოდგენა ოთხ საათზე იწყებოდა, საშვების გაცემა ტაძრის ეზოში – ორზე. ასე რომ, გვარიანად დავსველდით და გავითოშეთ. რადგან ტაძარში ადრე მივედით, საშვებიც გვზვა წილად.

ყოველწლიური საშობაო თეატრალიზებული წარმოდგენა ვაშინგტონის ეროვნულ ტაძარში პოპულარული სანახაობაა იქაურებისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის. ტაძრის უზარმაზარი შენობა (რომლის შესახებაც საუბარი ცალკე თემას წარმოადგენს) საზეიმოდაა მორთული. წარმოდგენაში მონაწილეობენ ტაძრის მსახურები, მრევლის წევრები, მათი შვილები. ახალგაზრდა შავკანიანი წყვილი – კივა და ჯონ ჰარმონები და მათი ერთი-ორი თვის ვაჟი ჯომუა ღვთისმშობელს, იოსებს და ახალშობილ ქრისტეს განასახიერებდნენ. წყვილს სახეები უბრწყინავდა ბედნიერებისა და სიამაყისაგან. პოლიუმზე და დარბაზის გასასვლელებში ღირსეულად მოაბიჯებდნენ ბიბლიური მწყემსები, ანგელოზები, ცხოველები, ფანტასტიკური არსებები. წარმოდგენა მიჰყავდა მთხრობელს, რომელიც ხშირად ბავშვებს მიმართავდა, ხდიდა მათ წარმოდგენის მონაწილეებად. ნათლად დავინახე, თუ როგორ მიზანდასახულად მუშაობდნენ ტაძრის ადმინისტრაცია და მსახურები მრევლთან, მის მცირეწლოვან ნაწილთან, რომელიც არსებითად ჯერ მრევლადაც არ ქცეულიყო. ისინი იშინაურებდნენ ბავშვებს, იწვევდნენ მათში ინტერესს ტაძრის, ბიბლიისა და რელიგიისადმი. იმ პრაქტიკულ ქვეყანაში არაფერია შემთხვევითი – დღესასწაულები, წარმოდგენები, მათი მცირეწლოვანი მონაწილეებიც – ყოველივე ერთი მიზნისკენაა მიმართული: ადამიანმა ჰატარაობიდანვე დიდი ორგანიზმის ნაწილად უნდა იგრძნოს თავი, ისწავლოს საზოგადოებაში ქცევისა და ცხოვრების წესები, განიმსჭვალოს წესრიგისა და ტრადიციის პატივისცემით, ზეციერი ძალის შიში და რიდი ჰქონდეს, პატიოსან პიროვნებად იზრდებოდეს. და თუმცა იმ ქვეყანაშიც ამ წესიდან გამონაკლისი ბევრია, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცხოვრების და აგების ძირითადი მორალური პრინციპი.

\* \* \*

რადგან შობა ვახსენე, ახალ წელსაც გავიხსენებ, რომელსაც მეგობრებთან ერთად ანაპოლისში შევხვდი. ვირჯინიის შტატის ეს პატარა ლამაზი ქალაქი ერთ დროს შერთებული შტატების დედაქალაქი ყოფილა. დღეს ამ ადგილს ტურისტებისათვის მიმ-

ზიდველობის დიდი ძალა აქვს. ეს ერთერთია იმ ქალაქთაგან, სადაც განსხვავებული სა-  
ახალწლო ტრადიცია წარმოიშვა და დამკვიდრდა. ამ ტრადიციას „პირველი დამე“ ჰქვია.  
საღამოს იქ მრავალი სტუმარი ჩადის ქალაქის მკვიდრებთან ერთად საახალწლო ღამის  
შესახვედრად. იმ პატარა ქალაქში სხვადასხვა სანახაობისათვის 50 ადგილი იყო გან-  
კუთვნილი – სტადიონი, ეკლესიები, კოლეჯების, სკოლების, სამხედრო აკადემიის, სა-  
ვაჭრო ცენტრების შენობები, საკონცერტო დარბაზები და სხვ. ერთი ბილეთით ყველგან  
შედიოდი. მთავარი იყო ამ წერტილებს შორის გააზრებული მოძრაობა. თუ ოპერატიუ-  
ლი ხარ, შეიძლება ყველა სანახაობას მიასწრო, რადგან ზოგიერთი მცირე შუალედებით  
მეორდებოდა. ქალაქში ჩასულებს ავტობუსები ემსახურებოდა – მანქანებს ქალაქის მი-  
სადგომებში ავტოსადგომებზე სტოვებდნენ, სტუმრები კი ავტობუსებს მიჰყავდა ყველა  
საინტერესო პუნქტამდე.

პროგრამები დაწვრილებით გაცნობებენ წარმოდგენის ადგილისა და დროის შესა-  
ხებ. მსახიობები, მომღერლები, მიმები, სპორტსმენები, ჯამბაზები, მხატვრები, მქო-  
ველები, მძერწავები, სხვა მონაწილეები გიჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას. ბევრი რამ  
მოულოდნელია, როგორც, მაგალითად, სატელეფონო სამსახური, რომელიც უფასოდ  
გთავაზობს ამერიკის ორ კონტინენტზე დარეკვას (ან დეპეშის გაგზავნას) და ახლობლე-  
ბისათვის ახალი წლის მილოცვის საშუალებას. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ღვთის-  
მშობლის ეკლესიაში გამართული იელის უნივერსიტეტის ვაჟთა ე. წ. „რუსული“ გუნდის  
კონცერტი. რუსულ საეკლესიო საგალობლებს მრავალი სხვა ქვეყნის საეკლესიო და სა-  
ერო სიმღერა მოჰყვა. სამი ქართველი ვიყავით დარბაზში. წარმოიდგინეთ, რა ვიგრძე-  
ნით, როდესაც გუნდმა „შენ ხარ ვენახი“ წამოიწყო. ორი ამერიკელი რომ გვახლდა, მათაც  
არანაკლები განცდები ჰქონდათ. წარმოდგენის შემდეგ გუნდის წევრებს შევხვდით, ახა-  
ლი წელი მივულოცეთ, დიდი მადლობა გადავუხადეთ ქართული სიმღერის ასეთი პრო-  
ფესიონალური შესრულებისათვის. სავიზიტო ბარათიც დავუტოვე იმ შემთხვევისათვის,  
თუ თბილისში აღმოჩნდებიან ოდესმე.

საინტერესო და უჩვეულო იყო ჩემთვის საახალწლო „გადაწყვეტილებების“  
(„რეზოლუციების“) მიღება და მათი წერილობითი სახით დაფიქსირება. ანაპოლისში ეს  
ხდებოდა დიდ მრავალწახნაგიან თეთრ ვარსკვლავებზე, რომლებზეც ადამიანები შავი  
ფლომასტერებით წერდნენ თავიანთ საახალწლო „გადაწყვეტილებებს“. ეს შენი ფარუ-  
ლი სურვილების ან ნატურის საჯაროდ გამხელაც იყო და მათი განხორციელების ერთგ-  
ვარი საწყისიც. ერთერთ ვარსკვლავზე მივაწერე ჩემი სურვილი – ახალ წელს ახლო მომ-  
ვალში სხვაგვარი და ბედნიერი მენახა საქართველო და ქართველები.

კიდევ ერთი პატარა შტრიხი ახალ წელთან დაკავშირებით. შობასა და ახალ წელს  
შორის თეთრ სახლში მსურველები დაიშვებიან მისი საშობაო-საახალწლო მორთულო-  
ბის სანახავად. ძალიან დემოკრატიული ტრადიციაა (ისევე, როგორც კონგრესის შენო-  
ბაში მსურველების შესვლა და კონგრესის სხდომებზე მათი დასწრება). მთავრობას ამე-  
რიკელები (და ქალაქის სტუმრებიც) მიაჩნია დიდი ზეიმის ნაწილად, თანამოზიარედ იმ  
დადებითი ემოციური მუხტისა, რასაც შესანიშნავი, დიდი, სადა გემოვნებით მორთული

ნადვისხეები და თეთრი სახლის საზეიმო ატმოსფერო იწვევს. რამდენიც არ უნდა იყოს მნახველი, ყველას კლინტონების მიერ ხელმოწერილ თეთრი სახლის საახალწლო ბროშურას უსაჩუქრებენ (ერთი ასეთი შენახული მაქვს სახსოვრად).

კარგი იყო თეთრი სახლის საახალწლო კაზმულობა, მაგრამ ახალი წლის შეხვედრასთან დაკავშირებით ჩემს მოგონებებში ანაპოლისის „პირველი ღამის“ ტრადიცია გამოირჩევა, სადაც მახვილი არა საზეიმოდ მორთულ, კერძებით გადატვირთულ მაგიდაზეა, არამედ ჭუმარიტად სახალხო ზეიმზე, იმ ერთობის გრძნობაზე, რასაც ეს ზეიმი, ეს ქალაქი და ახალი წლის პირველი ღამე იწვევს ზეიმის თითოეულ მონაწილეში. სწორედ ასეთი შეგრძნება აერთიანებდა 1990 წლის 31 დეკემბერს ნიუ-იორკში შუაღამეზე, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძარში ზეიმზე შეგროვილ ორიათასიან აუდიტორიას, რომელიც შეკრებილიყო ლეონარდ ბერნსტაინის „კონცერტი მშვიდობისათვის“ მოსასმენად და ახალი წლის შესახვედრად. ეს კონცერტი, ღამე და ქრისტიანული ტაძარი აერთიანებდა სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანებს – ქრისტიანებს, იუდეველებს, მუსლიმებს და სხვ. ეს შეხვედრა დაწვრილებით მაქვს აღწერილი წინა წერილში (გაზ. „ერი“, 1991, 25 მაისი-5 ივნისი).

მასობრივი ზეიმები ამერიკაში (როგორც აღწერილი საშობაო და საახალწლო ზეიმები, „მასის“ ადღეში ან 4 ივლისის ბრწყინვალე დღესასწაული) სწორედ ამ მიზანს ემსახურება – შეკრიბოს და ერთ სივრცეში მოაქციოს (ქუჩა იქნება თუ დარბაზი) ამ ქვეყნის ყველა კონფესიის, წრის, ფენის, ფერის, რასის, მრწამსის ადამიანი, შესძინოს მათ ერთობის გრძნობა თუ არა, ილუზია მაინც, რამდენიმე საათით (თუ დიდი ხნით არა) აქციოს ისინი ერთიანი ორგანიზმის ნაწილად, ერთი აზრითა და ემოციით დააკავშიროს და ამ ქვეყნის სიყვარულით და პატივისცემით გამსჭვალოს. ასეთი მასობრივი გაკვეთილი უშედეგოდ არ ჩაივლის. რამდენიმე ცდიდან ქვეყანაში უგულოდ – სტუმრად ან გასამდიდრებლად – ჩასული ადამიანებიც კი იმსჭვალებიან მისი დიდების და მასთან ერთობის აზრით, იმის შეგნებით, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ადამიანის სამსახურშია მოქცეული. ყოველივე ეს ამ ქვეყნის სასარგებლოდ ტაქტიანი, მოუბეზრებელი, ჩუმი აგიტაციის მშვენიერი და მისაბაძი მაგალითია.

\* \* \*

ახალი მეგობრები და კოლეგები შევიძინე ვაშინგტონში. მათ შორის მარკ და სუზენ ჰომორებს აღვნიშნავდი მათი დიდი ბუნებით, კეთილგანწყობით, ცნობისმოყვარეობით, ერთგვარი არტისტიზმითაც, ჭუმარიტი ინტერესით საქართველოსადმი, თუმცა რუსეთზე არიან ორიენტირებულნი თავიანთ მუშაობასა და კვლევებში. მარკი ერთერთ მნიშვნელოვან დაწესებულებას განაგებს მისი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სუზენი სწავლობს თანამედროვე რუსეთის პოლიტიკას, წერს, ბეჭდავს, ხატავს, მოგზაურობს, დიდი ოსტატობით ატარებს მანქანას, ამერიკელი ქალისათვის ჩვეულ ფარგლებში უვლის ოჯახს. ეს მოცეკვავესავით თხელი, თითქოს უსხეულო ახალგაზრდა ქალი თანამედროვე ამე-



რიკელი ქალის საუკეთესო პორტრეტი – გარეგნულად სადა, კარგი გემოვნებით, თანამედროვედ ჩაცმული, ახალგაზრდული სტილის მქონე, მხატვრობისა და მუსიკის მოყვარული, ხელოვნებაში გარკვეული ადამიანია, რომელიც, უდარდელი ადამიანის გარეგნული ატრიბუტიკის მიუხედავად, დაძაბული ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობს. ერთმანეთისადმი ინტერესმა ჩვენს საერთო გეგმებსაც მისცა დასაბამი – გადაწყვიტეთ მომავალში ერთობლივი კვლევის ჩატარება საქართველოს ეთნიკური პრობლემატიკის სფეროში. მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

სხვა ამერიკელ კოლეგებთან და ნაცნობებთან მქონდა კონტაქტები (ხშირად ინტენსიურიც) იმ 4-5 თვის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით იქაური ქართველები მინდა ვახსენო.

მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს მანანა ჯინჯიხაშვილთან, რომელსაც პირველად კოლუმბიის უნივერსიტეტში შევხვდი, სადაც ორთავნი ვმსახურობდით, მე – ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრში, მანანა – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც ქართულ ენას ასწავლიდა (ნიკოლ ჟორდანიას მცირე მიღწევები ქართულ ენაში მეტწილად მისი დამსახურებაა, თუმცა ნიკოლს მასწავლებლები არც თბილისში აკლდა).

მანანას დიდი ხანია ამერიკელი ჰქვია, მაგრამ მისი გონება ქუთაისშია, საქართველოში, მეგობრებთან და კოლეგებთან, რომლებსაც არასოდეს ივიწყებს. დღესაც მათი ინტერესით ცხოვრობს. ასეთი დიდი ბუნების ადამიანს იშვიათად თუ შეხვდებით – მისი კაცთმოყვარეობა, ტაქტი, სიკეთე, ახლობლის სიყვარული – ნათესავების თუ მეგობრების მიმართ – უსაზღვროა. მანანასათვის ახლობლობაში „ჩემი“ და „შენი“ არ არსებობს – ყველაფერი „შენია“. და ასეთი ბუნების მქონე მანანა ცხოვრობს პრაგმატულ, ცოტა არ იყოს, ცივ, რაციონალურად აწყობილ ქვეყანაში, სადაც, როგორც წესი, მეზობლები ერთმანეთს არ იცნობენ, ნათესავები და მეგობრები კი მხოლოდ დარეკვისა და მრავალდღიანი შეთანხმების შემდეგ თუ ნახავენ ერთმანეთს, ისიც ძირითადად დღესასწაულებზე.

მანანასათვის ცუდ პერიოდში მომიხდა ვაშინგტონში ყოფნა – არ იყო კარგად არც ფიზიკურად, არც ფინანსურად, არც მორალურად. სწორედ იმ დროს ებრძოდა სამსახურებრივ პრობლემებს (თუმცა სამსახურში ერთერთ ყველაზე მონდომებულ მუშაკად ითვლებოდა). სწორედ იმ დროს კარგავდა ნათესავებს, უმკლავდებოდა საკუთარ და ახლობლების ავადმყოფობას, მონაწილეობდა მისი მრავალრიცხოვანი ნათესაობის ცხოვრებაში, მუდმივ მიმოსვლაში იყო ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს შორის, დადიოდა სპეციალურ კურსებზე, ადგენდა ქაღალდებს, იღებდა ინტერვიუებს, უსმენდა მუსიკას, ჯიუტად, სულის განსამტკიცებლად დადიოდა მუზეუმებსა და კინოთეატრებში, კითხულობდა (ცუდი მხედველობის მიუხედავად), ამზადებდა ეგზოტიკურ კერძებს, ჩვეული სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა არცთუ ისე იშვიათ სტუმრებს, და ამ გაუთავებელ მოძრაობაში (და არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში) არ ავიწყდებოდა საჩუქრების შეძენა იქაური თუ აქაური მეგობრებისათვის.

თავად დასახმარებელი, მე მმასპინძლობდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მის უსაზღ-

ვრო სიკეთეს ყოველთვის სათანადოდ როდი ღებულობენ ნაცნობები თუ უცნობები – ასეთებიც აღმოჩენილან მანანას ბინაში ნიუ-იორკსა თუ ვაშინგტონში, როგორც ერთი თბილისელი ქალბატონი, ისრაველიდან ნიუ-იორკის გავლით (!) რომ მიემგზავრებოდა საქართველოში და, ყველასათვის უცნობი, რატომღაც მანანას ბინაში (და საწოლშიც) აღმოჩნდა. უსაზღვრო სიკეთეც დანაშაულია – რყვნის გონება მუზღულულ და ამბიციურ ადამიანებს, მეტისმეტს აბედინებს მათ.

სხვა ქართველი მეგობრებიც მყავს ვაშინგტონში, საკმაოდ ხშირად ვხედავდი მათაც – გოგი ტონიას და ჯული ქრისტენსენის ოჯახს, სადაც ნატო დეიდა ზრდის სამ შვილიშვილს, საოცრად ლამაზ და ნიჭიერ ბიჭებს; ხშირად ვხედავდი სხვა ქართულ ოჯახებსაც უხვი და ყურადღებიანი მასპინძლებით, რომელთა სიკეთე და მეგობრობა ყოველთვის მენსომება. მათი და მანანას ოჯახები ჩემთვის იგივე სახლია ამერიკაში, სადაც თბილი და გამგებიანი ადამიანები მეგულება. როდესაც ვხვდები ასეთ ქართველებს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ისეთ შორეულ ქვეყანაში, როგორც ამერიკაა, თანაც ქართველებს, რომლებსაც ნახევარ საუკუნეზე მეტია არ უნახავთ საქართველო, მესმის ქართული ბუნების (როგორც დღეს ამბობენ, გენის) სიძლიერე. გრძელმა გზამ – ომმა, ტყვეობამ, გერმანიამ, შემდეგ ავსტრიამ თუ იტალიამ, ბოლოს ამერიკამ, მასთან ადაპტირების ხანგრძლივმა პერიოდმა, დასაწყისში მძიმე ფიზიკურმა შრომამ, შემდეგ კი მრავალწლიანმა მუშაობამ ამა თუ იმ ამერიკულ დაწესებულებაში – ყოველივე ამან აღზარდა პიროვნება, დაასვა მას გარკვეული დადი, შეუცვალა მუშაობის ჩვევები, მაგრამ არ ჩაკლა მასში ქართული ბუნება, საქართველოს სიყვარული, საქართველოზე დარდი, სურვილი დაეხმაროს აქაურ ნათესაობას, აღზარდოს საქართველოს ერთი-ორი კარგი სპეციალისტი, ვინც მომავალში ისევ საქართველოს ემსახურება.

ვაშინგტონელ ქართველებზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ როდესაც ვხედავ, რაოდენ ქართულად ცხოვრობენ იმ შორეულ ქვეყანაში, როგორ ქვეცნობიერად ინარჩუნებენ ქართველობას, მეტ პატივს ვცემ ერს, ასეთი შვილები რომ ჰყავს საზღვარგარეთ, იმ ნიადაგს, რომელზედაც ჩნდებიან და იზრდებიან ასეთი ბუნების მქონე ადამიანები, იმ კულტურას, რომელიც დღესაც უმაღლესია ამ ადამიანთა თვალში, თუმცა საზღვარგარეთ ყოფნისას ისინი სხვა კულტურებსაც, სხვა ცხოვრების წესსაც ეზიარნენ.

ახალი ქართველი მეგობრებიც შევიძინე შეერთებულ შტატებში. ყველაზე მტკივნეულად ჩამრჩა ერთი ქალბატონის სახე. ჭკვიანი და განათლებული ქალი, პოპულარული ლექტორი, რამდენიმე პროფესიის მქონე მეცნიერი, უნივერსიტეტის პროფესორი, პირად ურთიერთობაში მომხიბლავი ადამიანი (თუმცა უკომპრომისო მაქსიმალისტი, ირონიული, ძალიან კრიტიკული უღირსი ადამიანების მიმართ), იგი დაავადებულია საქართველოზე ფიქრით და დარდით. შეიძლება მენ სხვაგვარად ხედავდე იმ მოვლენებს, რომლებსაც ის თავისებურად ხსნის, მაგრამ არ შეიძლება არ ხედავდე მის თავდადებას, წუხილს, საქართველოს სიყვარულს, მის სურვილს აუხსნას (თუმცა ზოგჯერ ცალსახად) ამერიკელებს ყოველივე, რაც საქართველოში ხდება. არ შეიძლება მოვლენებისაგან დროითა და მანძილით დაშორებამ კვალი არ დაამჩნიოს ადამიანის მიერ მოვლენების

სწორად და მრავალმხრივად გაგებას, მაგრამ აფასებ მის პატრიოტიზმს, პატიოსნებას, პირდაპირობას, იმას, რომ „აწყობილ“ ქვეყანაში ცხოვრება არად უდირს, ნაკლებად სარგებლობს იქაური კეთილდღეობით, ცხოვრობს დაძაბულად, ძიებაში, მუდმივი ტკივილის შეგრძნებით და მუდმივი იმედით.

დავუკავშირიდი „ამერიკის ხმის“ ადმინისტრაციას, ჯერ შარშან გაზაფხულზე შეერთებულ შტატებში ჩემი ყოფნის დროს სერიოზულად დადგა რადიოს ქართული სამსახურის გაუქმების საკითხი. ჩავიტანე მხარდაჭერის წერილები. ამან დროებით რაღაც შედეგი გამოიღო. ნოემბერში კი მდგომარეობა ისე გამწვავდა, წერილი მივწერე „ამერიკის ხმის“ დირექტორს ბ-ნ ჯეფრი კოგანს, რომელშიც ვუხსნიდი და ვუსაბუთებდი მის უწყებაში ქართული სამსახურის არსებობის აუცილებლობას. ათ დღეში მივიღე პასუხი – თქვენმა და რამდენიმე სხვა წერილმა დაგვარწუნა, რომ ქართული სამსახური უნდა არსებობდეს, საკითხი მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ ადარ დგას, ჩატარდა მხოლოდ „უმნიშვნელო შემცირებაო“ (რომელმაც, საუბედუროდ, ჩემი უახლოესი მეგობრის მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა). ასე თუ ისე, რადიოს ქართული სამსახური დღესაც არსებობს. ქართულ რედაქციას 5-6 თანამშრომელი ჰყავს. მათი ოფისი, რომლის ფართო ფანჯრიდან მწვანე მოლსა და კონგრესის შენობას ხედავ (ნიშანდობლივი და სიმბოლური ხომ არ არის ეს?), გვევლინება საქართველოს ნაწილად, ერთგვარ კუნძულად, რომელიც ხმელეთს – საქართველოს მოწყდა და მსოფლიო ოკეანეში აღმოჩნდა. და მართლაც, რეალობა უღმობელი ოკეანეს მსგავსად უტევს ამ კუნძულს, ცვლის მის კონფიგურაციას, მის ცხოვრებას. და მაინც, ეს კუნძული ქართველობის ნაწილია არაქართულ სამყაროში. რაც უფრო დიდხანს იარსებებს ქართული სამსახური „ამერიკის ხმაში“, მით უფრო დიდხანს გვეგულება ჩვენებური სულის კვრა იმ ქვეყანაში, ჩვენებური ცხოვრების წესი მთელი მისი ატრიბუტიკით. გადის დრო, ჩემი ურთიერთობა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის თანამშრომლებთან უფრო მჭიდრო და მეგობრული ხდება. ჩემთვის გასაგებია მათი ნოსტალგია, სიბრაზე, ტკივილიც, სიამაყეც, ხშირად გოცნებაც – ყოველივე ხომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობითაა გამოწვეული.

ენერგიული, ოპერატიული, გულთბილი ეთერი, ინტელექტუალური, ცნობისმოყვარე, გულჩათხრობილი მიშა, განათლებული, ოდნავ ღვარძლიანი და ამასთან ერთად კეთილი გიორგი, რბილი, ადამიანური ლეო, 17-წლიანი „გადახიზვის“ მიუხედავად თავის ჩვევებსა და ასოციაციებში ჯერ კიდევ ძალიან თბილისელი, ხელგამლილი გოგი, ადამიანის მიმართ სიყვარულით აღსავსე მანანა, რომელსაც გამუდმებით უხდება ვითარებებთან ბრძოლა – ყოველი მათგანის მიმართ თბილი გრძნობა მაქვს, მეტიც, ალბათ შეამჩნიეთ. მაგრამ ხანდახან უნებლიეთ სევდას იწვევს ჩემში მათი მდგომარეობა – მრავალი კითხვის ან ბრაზიანი სენტენციის უკან, რაც მათგან გესმის, ცუდად შენიღბული ნოსტალგია და სინანულიც ჟღერს; ახსოვთ თბილისი და ქუთაისი, ახსოვთ საქართველო; ქართული ბუნების დიდი ნაწილი აქვთ შენარჩუნებული, თუმცა ნაწილობრივ ამერიკაში მცხოვრებთათვის აუცილებელი თვისებებიც შეუძენიათ. მათი ბუნება, შეგნება და ცხოვრება გაორებულია. არსებითად ასეთად მევლინება საზღვარგარეთ მცხოვრები ქართვე-

ლი ემიგრანტის ცხოვრება. ამ ფაქტს, უდავოდ, ისიც უწყობს ხელს, რომ, სომხებისაგან განსხვავებით, არ არსებობს ძლიერი ქართული დიასპორა ამერიკაში (ან რომელიმე სხვა ქვეყანაში). თვით დიასპორა არ არსებობს ალბათ იმიტომ, რომ ქართველს ყოველთვის ერჩივნა საქართველოში ცხოვრება, რაგინდ პრობლემური არ უნდა ყოფილიყო ეს. და თუ დღევანდელმა რეალობამ რადიკალურად არ შეცვალა ქართველების ურთიერთობა და მათი დამოკიდებულება საქართველოსთან, მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორას საზღვარგარეთ არსებობა არ უწერია. ამინ.

ჟურნალი „პოლიტიკა“ #3-4, 1996 წ. გვ. 19-24

## აშშ-ში 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნები: სახეები და სიტუაციები

*ძნელია და არარეალური შეერთებულ შტატებში ახლად დასრულებული საარჩევნო კამპანიის დაწვრილებით აღწერა. ინფორმაცია ძლიერ ნაკადად მოდიოდა ყოველი მხრიდან – ტელეარხებიდან, რადიოტალღებიდან, უამრავი ჟურნალ-გაზეთებიდან, მიტინგებიდან... მრავალსახეურია არა მარტო თვით ინფორმაციის წყაროები, არამედ, რაც მთავარია, მათი ფორმა („ფორმატი“, როგორც ამერიკელები ამბობენ) – ის, რაც არსებითად განასხვავებს აშშ-ში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს იმისაგან, რასაც ჩვენში საარჩევნო კამპანია და პროცედურა ჰქვია. მასალა, რომელსაც გთავაზობთ, დღიურის სახითაა შედგენილი, ძირითადად სატელევიზიო პროგრამებზე დაყრდნობით.*

\* \* \*

**10 ოქტომბერი, მონტერეი, კალიფორნია.** ჩემი ამჟამინდელი მგზავრობა აშშ-ში რამდენიმე სხვადასხვა პროგრამის შესრულებას გულისხმობდა – მოხსენებით წარდგენას საერთაშორისო კონფერენციაზე ოლდ ვესტბერის უნივერსიტეტში (ნიუ-იორკის შტ.), ხელსაყრელი კონტრაქტების დადებას სხვადასხვა უნივერსიტეტთან ქართველი სტუდენტების შეღავათიან პირობებზე აშშ-ში სასწავლებლად, უნივერსიტეტებში რამდენიმე ლექციის წასაკითხად და მომავალ ზაფხულს თბილისში ჩასატარებელი საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებლად. შედარებით ხანმოკლე მივლინებისათვის ეს ძალზე გადატვირთული პროგრამაა, მაგრამ მე ის კიდე უფრო გადატვირთე: როდესაც დრო მომწიფდა ჩემი პროგრამის ძირითადი ოთხი პუნქტის განსახორციელებლად, აღმოვაჩინე, რომ მეხუთე, ადრე დაუგეგმავი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი

აღმოცენდა – ქართველი მკითხველისათვის აშშ-ში იმ დროს მიმდინარე საარჩევნო კამპანიის აღწერა-გაანალიზება, რადგან ეს არჩევნები მნიშვნელოვანია არა მარტო ამერიკელებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ვინაიდან ჩვენი დემოკრატია ახალშობილია, ჩვენში არ არის გავრცელებული ის მრავალი კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული დემოკრატიული ფორმა, რომლითაც აშშ-ში არჩევნების მრავალსაფეხურიანი პროცედურა ტარდება და ფართო აუდიტორიას მიეწოდება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით. თავიდან სატელევიზიო გადაცემებს საშუალო ინტერესით ვადევნებდი თვალს. ერთ კვირაში კი ეს პროცესი იმ ქვეყანაში ჩემი ვიზიტის ერთერთ ძირითად ნაწილად იქცა. მნიშვნელოვანია არა მარტო ის გადაცემები, რომლებიც უშუალოდ არჩევნებს ეხება, – ისეთი, როგორიცაა პრეზიდენტობის და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატების დებატები და მიტინგებზე გამოსვლები, ანალიტიკოსების დისკუსიები, მრავალი სახის დისკუსიები, არამედ ერთი შეხედვით ნაკლებად თვალში საცემი მოვლენებიც – სტუდენტური დისკუსიები, რელიგიური მიტინგები, „ისლამის ერის“ („შავ მუსლიმთა“ გაერთიანების) ლიდერის ლუი ფარაკანის გამოსვლები მიტინგებზე და ტელევიზიით; ალ გორის კამათი ფარაკანთან ტერორისტ ქვეყნებში ვიზიტების გამო; ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების დიდი მიტინგი ვაშინგტონში (საკუთარი უფლებების განსამტკიცებლად და ერთდროულად კლინტონის მხარდასაჭერად), ელიზაბეტ ტილორით სათავეში სანთლების შუქზე ღამის თევა ლინკოლნის მემორიალთან შიღისით გარდაცვლილთა (75000) გასახსენებლად, იმავდროულად კონსერვატორების მიერ ვირჯინიაში მოწყობილი ჰომოსექსუალების დასაგმობი კონტრდებატები (აქაც პოლიტიკური კუთხე იკვეთება ზედაპირის ქვეშ) და მრავალი სხვა. არჩევნებთან შორიდან თუ ახლოდან დაკავშირებულ ყველა პროგრამას ვერც ჩამოთვლი, მაგრამ ვნახოთ, როგორი იყო პოლიტიკურ გადაცემათა დიაპაზონი უშუალოდ არჩევნების თემაზე:

- მრავალ შტატში (ძირითადად უნივერსიტეტებში) მოწყობილი კლინტონისა და დოულის მხარდამჭერთა მიტინგების ტრანსლაცია და ანალიზი;

- წინა წლების (1960 წლიდან მოყოლებული) საპრეზიდენტო დებატების საარქივო მასალის ჩვენება ტელევიზიით;

- ჰილარი კლინტონის და ელიზაბეტ დოულის შეხვედრები ამომრჩევლებთან, ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან, მოსწავლეებთან;

- ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატების ალ გორის (დემოკ.) და ჯეკ კემპის (რესპ.) დებატები, ანალიტიკოსების გამოსვლები;

- „პირველი ლედის“ ტიტულის კანდიდატთა პროგრამა სახელწოდებით „ისინი ნამცხვრებს არ აცხოვნი!“ – არჩევნებში მონაწილე პარტიების, კანდიდატების და სპიკერების გამოსვლები;

- პრესის წარმომადგენელთა დისკუსიები;

- ძირითადი პოლიტიკური ჟურნალების მიერ რეგულარულად მოწყობილი ანალიტიკური მიმოხილვები, ანალიტიკოსთა „პანელები“ (დისკუსიები), ხშირად ვრცელი საარქი-

ვო მასალის გამოყენებით. ყოველივე ეს და მრავალი სხვა ტელეშოუ საოცარ კალეიდოსკოპად გვევლინება ჩვენში მიღებული და ნაკლებად ინფორმაციული საარჩევნო კამპანიის ფონზე.

ძველი მასალა, რომელსაც არჩევნების დროს თვალს ადევნებ აშშ-ში, საშუალებას გაძლევს დაინახო წინა წლების საარჩევნო პროცედურა, კანდიდატთა გამოსვლების მანერა, ეთიკა, სტანდარტები, ძირითად ინტერესთა სფერო, საარჩევნო კამპანიების მთავარი მიმართულებანი. ნათლად ვხედავთ, თუ როგორ შეცვალა დრომ პრიორიტეტები, წინა პლანზე წამოსწია არა საგარეო პოლიტიკა, არამედ საშინაო პოლიტიკის საკითხები – სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების საკითხები, ბრძოლა თამბაქოსთან და ნარკოტიკებთან, კრიმინოგენულ ფაქტორებთან, ტელევიზორანზე ძალადობის კულტთან და მის შედეგებთან და ა. შ.

გადავხედოთ ტელეშოუს სხვადასხვა სახეობას, თუგინდ „პირველი ლედის“ ტიტულის მადიებლების ჰილარი როდმან კლინტონის და ელიზაბეტ ჰემფრიდ დოულის შეხვედრებს ამომრჩევლებთან ან მათ ინტერვიუებს წამყვან ჟურნალისტებთან. ეს საკმაოდ დრამატული, მრავალმხრივი იმიჯის შემქმნელი გადაცემები მნიშვნელობით დიდად არ ჩამოუვარდება საპრეზიდენტო კანდიდატების დებატებს. თვალს ადევნებ ჰილარი კლინტონის შეხვედრას ფერადკანიან სტუდენტებთან და მოსწავლეებთან, იმას, თუ როგორ აანალიზებენ მის წიგნს საზოგადოების როლზე ახალგაზრდების აღზრდის პროცესში; ისმენ მის პროგრამებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში; ხედავ, თუ როგორ შეიცვალა ის ან როგორ შეგნებულად შეცვალა თავისი იმიჯი, შეარბილა, უფრო ადამიანური გახადა იგი. ახლა ჰილარი ნაკლებად ამბიციური ჩანს, კომპრომისებისათვის უფრო მომზადებული. მის პიროვნებას არაერთი გადაცემა მიეძღვნა ტელევიზორანზე, შეფასებაც მრავალნაირი ხვდა წილად. ამერიკელთა ნაწილი მას ყველაზე არაპოპულარულ „პირველ ლედად“ თვლის ქვეყნის ისტორიაში, ამბიციურ, თავმომწონე, უკომპრომისო, ძლიერი ნებისყოფის ადამიანად. არსებობს აზრი, რომ იგი საკუთარი თავის უდიდესი მტერია – მოუთმენელია, მიზანსწრაფული, უზომოდ პრაქტიკული, პატივმოყვარე, ყალბი და სკანდალურიც. იმასაც ამბობენ, რომ ნიჭიერი ადვოკატია, ნათელი გონებით გამოირჩეოდა ახალგაზრდობიდანვე, და მრავალი სხვა. ამერიკელ მეგობარ ქალთან საუბარში ჰილარის შევეხეთ – მითხრა, მასთან ერთად ვმუშაობდი და ძალზე მორცხვი და თავმდაბალიაო. ჭეშმარიტად გაუგებარია, სად მთავრდება სიმართლე და სად იწყება ზღაპარი.

ჰილარი როდმან კლინტონი გაიზარდა ილინოისის შტატში მდიდარ, კონსერვატიულ, რელიგიურ გარემოში. ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა თანატოლთა შორის. იგი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ნიჭიერ ადვოკატად იყო აღიარებული. გათხოვებისთანავე არკანზასში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც კლინტონს გუბერნატორის პოსტი ეკავა. არკანზასში მას დიდი წარმატება ჰქონდა. პრაგმატული ჰილარი ოჯახის ადვოკატისა და ბანკირის როლს ასრულებდა. მას ესმოდა ქმრის სასიყვარულო ფათერაკების შესახებ, მაგრამ არ დაკარგა მისდამი რომანტიული გრძნობები. მეგობრების მოწ-

მობით, მრავალი რთული სიტუაციის მიუხედავად კლინტონებმა შეინარჩუნეს ერთმანეთისადმი რომანტიული განწყობა. გარეშე პირთათვის ისინი გაერთიანებულ „ფრონტს“ წარმოადგენდნენ. როდესაც ქმრის დასახმარებლად ჰილარიმ რეფორმები წამოიწყო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, იგი მთლიანად, გადაქანცვამდე ჩაეფლო ამ საქმეში – დაფრინავდა, გამოდიოდა მიტინგებზე, წერდა, მომხრეებს იძენდა. მაგრამ მისი პროექტი არ იქნა მიღებული. ამ წარუმატებლობას მრავალი სხვა უსიამოვნება მოჰყვა – ყოფილი პარტნიორის ბილ ფისტერის თვითმკვლელობა, ვოტერგეითის სკანდალი, დაკითხვები პირადი შემოსავლის თაობაზე... და ყოველივე ამის შემდეგ ჰილარი ახერხებს თავისი იმიჯის შეცვლას, ჩრდილში მიდის, მეტ ადგილს უთმობს მეუღლეს, ცდილობს საზოგადოებას დაავიწყოს ქმრის პირველი საარჩევნო კამპანიის დროს დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვები – „აირჩიეთ ერთი, და მეორეს (ე. ი. მას – თ. ც.) უფასოდ მიიღებთ“. ჰილარის ბუნება თითქოს უკიდურესობებითაა აღსავსე, გაუთანასწორებელია.

ჟურნალისტების აზრით, ჰილარი კლინტონის ოპოზიციტ ელიზაბეტ დოული წარმოადგენს. ეს ჭეშმარიტად სამხრეთელი ქალბატონია, ტრადიციული, დახვეწილი მანერებით, მომხიბვლელი და ქალური, ამასთან ერთად მაღალი ინტელექტის მქონე. ისიც მდიდარი ოჯახიდანაა. ინტელექტით და კარგი გარეგნობით გამოირჩეოდა ყოველთვის – ჰარვარდის უნივერსიტეტში იგი სილამაზის დედოფლად და ერთდროულად სტუდენტების ლიდერად აირჩიეს. მას ძალიან წარმატებებიანი კარიერა ჰქონდა კონგრესში – იყო ერთდროულად ორი (შრომისა და ტრანსპორტის) დეპარტამენტის მდივანი, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა აშშ-ის ისტორიაში. შემდეგ ელიზაბეტი იყო აშშ-ის „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე – გავლენიანი პიროვნება, მობილური, აქტიური, მიმზიდველი. როდესაც გათხოვდა, 39 წლის იყო (სენატორი ბობ დოული კი 55-ის). გათხოვებისთანავე ადვილად შეელა თანამდებობებს და ქმრის შემდგომი კარიერის შენებას შეუდგა. ამ ალიანსში ელიზაბეტია მთავარი სტრატეგი, სძენს დოულს ენერჯიასა და ენთუზიზმს. იგი შესანიშნავად სწავლობს საკუთარ და სხვის შეცდომებზე, შესანიშნავად ამყარებს კონტაქტებს აუდიტორიასთან, ხშირად პოულობს საჭირო სიტყვებს იქ, სადაც დოულს უჭირს მათი მონახვა. ელიზაბეტი აპირებს „წითელ ჯვარში“ დაბრუნებას, რაც დისკუსიის საგნად იქცა ჟურნალისტების წრეში: როგორ შესძლებდა ელიზაბეტ დოული ამ ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებას, თუ „პირველი ლედის“ ფუნქციები დაეკისრებოდა? (როგორც ვხედავთ, ეს რიტორიკული კითხვა იყო, მას ასეთი „ხიფათი“ არ ემუქრებოდა). ისევ ჟურნალისტების აღიარებით, თუ ვინმეს შეეძლო ამ ორი მძიმე, თითქმის შეუთავსებელი მოვალეობის შესრულება, ეს მხოლოდ ელიზაბეტ დოული იქნებოდა. მისი მდიდარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება მისცემდა ამის საშუალებას. ამგვარად, ორი ძლიერი, ნიჭიერი, შთამბეჭდავი, ინტელექტუალური ქალბატონი ისწრაფოდა თეთრი სახლის დიასახლისის სტატუსის მოპოვებას, მაგრამ ეს ის დიასახლისები არიან, „რომლებიც ნამცხვრებს არ აცხობენ“ – ასეთი სათაურით წარიმართა მათადმი მიძღვნილი სატელევიზიო გადაცემა. ხომ არ იყო ამაში ბარბარა ბუქსისადმი მიმართული მსუბუქი ირონია? ყოველ შემთხვევაში, მოვლენებს იქით მივყავართ, რომ „პირველი

ლედის“ როლს ენერგიული, გაბედული, ინტელექტუალური, რადიკალური, მობილური ქალი უნდა ასრულებდეს. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ასეთმა ქალბატონმა ერთ ათეულ წელიწადში შეიძლება თვით თეთრი სახლის პატრონის როლიც შეასრულოს.

„პირველი ლედის“ სტატუსისათვის მოქიშვე ქალბატონების პორტრეტების ესოდენ ვრცელი ადწერის შემდეგ დროა დავუბრუნდეთ თვით საარჩევნო კამპანიის მთავარ მონაწილეებს. კლინტონისა და დოულის დებატების წინა პერიოდში პრესა და ტელევიზია განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობდა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს – ალ გორსა და ჯეკ კემპს, მათ შეხვედრებს ამომრჩევლებთან, ინტერვიუებს ჟურნალისტებთან, მათ დებატებს. ამ დებატებში გორმა მაყურებლის დიდი სიმპათია დაიმსახურა. მაღალმა, ათლეტური აღნაგობის, კარგი გარეგნობის (რაც ამერიკაში ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი არჩევნებში), კარგი ინტელექტის მქონე, მრავალი ფაქტის და სტატისტიკური მონაცემის მცოდნე გორმა აუღიბორიები დაიპყრო. მისი სიტყვა დამაჯერებელია, დებულებები ფაქტებითაა განმტკიცებული, თანაც იგი ძალზე არტისტულია. დაუვიწყარია მისი იუმორით სავსე, არტისტულად შესრულებული თხრობა – სურათი, რომელშიც იგი ხატოვნად წარმოგვიდგენს 6 ნოემბრის დილას, როდესაც ამერიკელები და მსოფლიო შეიცნობენ არჩევნების შედეგს და ახალი პრეზიდენტის სახელს. გორი ხატავს ორ სრულიად საწინააღმდეგო სურათს – წვიმიან, უდიდამო, თავისტიკვილის მომგვრელ, უხალისო დილას (დოულმა გაიმარჯვა) და მზიან, ყვავილების სურნელით, ჩიტების ჭიკჭიკით, მაკარენას პოპულარული მელოდით, კარგი ყავის არომატით აღსავსე დილას (გაიმარჯვა კლინტონმა). ეს ოსტატურად შესრულებული ჟანრული სურათი არაერთხელ განმეორდა სატელევიზიო გადაცემებში (ისევე როგორც საარჩევნო კამპანიის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი). წარმომიდგენია, რა ეფექტს ახდენდა გორი მართო ამ გამოსვლით ნეიტრალურად განწყობილ მაყურებელზე, რამდენი ხმა შესძინა მან კლინტონს.

რესპუბლიკელთა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ჯეკ კემპი მკრთალი ჩანდა თავისი პიროვნებითაც და გამოსვლებით. ციფრები მომარჯვებული ჰქონდა, მაგრამ საჭირო არგუმენტებს ვერ პოულობდა. ძალიან ცდილობდა დახმარებოდა დოულს, მაგრამ ამაოდ. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, კემპმა და დოულმა ვერ შესძლეს თავიანთ მხარეზე „ნეიტრალების“ გადაბირება, არჩევნები კი არსებითად ნეიტრალურად განწყობილი მოქალაქეების ხმებისათვის ბრძოლას წარმოადგენს.

რესპუბლიკელთა პარტიის სპიკერი ნიუტ გინგრიჯი ყველაზე ოდიოზურ პიროვნებადაა აღიარებული დღევანდელ პოლიტიკურ სცენაზე აშშ-ში. მისი პოლიტიკური კარიერის აღმავლობა ისეთივე სწრაფი იყო, როგორც დაცემა. მან გაილაშქრა კლინტონის მიერ შეთავაზებული ყველა რეფორმის კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც არსებითად გააუმჯობესებდა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენის სოციალურ მდგომარეობას. ამან გინგრიჯს პოპულარობა არ მოუხვეჭა – მისმა სკანდალურობამ რესპუბლიკელებიც კი შეაბრუნა მის წინააღმდეგ. ახლა ის მარტონხელა ფიგურაა. კი მონაწილეობდა არჩევნებში, მაგრამ ვერ გაიგებდით, რისთვის. ცნობილი ტელე-შოუს წამყვანთან ლარი კინგთან ინტერვიუში ეს ისეთი სიმძლავრით გამომჟღავნდა, რომ შემეცოდა კიდევ



გინგრიჯი – ასე თუ ისე, რესპუბლიკელთა სასარგებლოდ იბრძოდა, მაგრამ ყველას მიერ იყო უარყოფილი.

გინგრიჯი შეეხო კლინტონის „ინდონეზიურ კონტაქტებს“. ერთერთმა ინდონეზიელმა მილიონერმა დიდი თანხა გადასცა კლინტონს საარჩევნო კამპანიაში გამოსაყენებლად. ამ თემას შემდეგ ყველა რესპუბლიკელი, დოულით სათავეში, ავითარებდა მიტინგებზე და ტელეინტერვიუებშიც. ერთერთი ჟურნალისტის მონაცემებით, დემოკრატებმა 30, რესპუბლიკელებმა კი 14 მილიონით გადააჭარბეს საარჩევნო კამპანიებისათვის დამზავებულ ლიმიტს. დიდი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ რამდენადაა ლეგალური და ეთიკური უცხოური კაპიტალის მოზიდვა საარჩევნო კამპანიების მიერ და მისი გამოყენება არჩევნებში, და რა პროპორციით შეიძლება მიიღოს იგი პრეზიდენტობის კანდიდატმა თავისი შტატის თუ სხვა შტატის მაცხოვრებლისაგან და მით უმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქისაგან.

ინდონეზიური „რბილი ფულის“ გარდა ნახსენები იყო კალიფორნიის ერთერთი ტიბეტური მონასტრიდან შემოსული შემონაწირი – სულ 5000 დოლარი. მაგრამ რარიგ არ სცადეს რესპუბლიკელებმა ამ ორი (მართლაც არასასიამოვნო და შეიძლება უკანონოდ ჩადენილი) ფაქტის გათამაშება, ვერა და ვერ შეცვალეს ამერიკელთა 51%-ის აზრი კლინტონ-გორის საწინააღმდეგოდ. არაერთხელ უსაყვედურეს კლინტონს ისიც, რომ ვიეტნამის ომში მონაწილეობაზე უარი უთქვამს თავის დროზე და წერილიც დაუწერია, რომელშიც ამის მიზეზს ხსნიდა: ვიცი, ცხოვრებაში დიდი მისია მეკისრება, – წერდა ახალგაზრდა კლინტონი, – ამიტომ მოვალე ვარ თავი შევინარჩუნო ამ მისიის შესასრულებლად. ნიშანდობლივია, რომ ეს დაიწერა მაშინ, როდესაც არავინ, კლინტონმაც კი არ იცოდა, რა მომავალი ელის მას. ერთერთ მიტინგზე რესპუბლიკელებმა კლინტონის დიდი სურათი შემოიტანეს, რომელზედაც იგი ჯარისკაცის ჩაფხუტით იყო წარმოდგენილი. ასეთი ირონია დამახასიათებელია რესპუბლიკელთა შეხვედრებისათვის, ისევე როგორც მოწინააღმდეგესთან ბრძოლის მრავალი სხვა არამიმზიდველი ხერხი.

რესპუბლიკელები ხშირად ახსენებენ კლინტონის პირად და პოლიტიკურ შეცდომებს, თეთრ სახლში ამ ოთხ წელიწადში მომხდარ სკანდალურ შემთხვევებს – „უაიტვოტერს“, ყოფილი თანამოაზრის ფოსტერის თვითმკვლელობას, თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას, მრავალ რომანტიულ თავგადასავალს წარსულში, „ტრეველ ოფისის“ და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიის დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს და სხვა. გესმის, რომ ამ საყვედურებში ყოველი როდია ყალბი ან მცდარი, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამომრჩეველი დაბრძენდა, მას აღარ აინტერესებს კლინტონის სასიყვარულო ფათერაკები (ან თუ აინტერესებს, არჩევნებს არ უკავშირებს ამ საკითხს); მრავალი ამომრჩევლის აზრი მიმართულია არა წარსულისაკენ, არამედ მომავლისაკენ, ფიქსირებულია ახალ რეფორმებზე, გადასახადების შემცირების რეალისტურ პროგრამებზე, რეფორმებზე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კრიმინალურ სიტუაციასთან ბრძოლაზე და ა. შ.

საარჩევნო კამპანიაში მოწინააღმდეგეები ერთმანეთის შესახებ მრავალ არასახარ-

ბიელო ფაქტს იხსენებენ. ეს ტრადიცია უფრო მკვეთრად როს პეროში, ბობ დოულსა და მათ მომხრეებში ვლინდება. აღრინდელ ფირებზე უფრო კორექტულ ჯენტლმენებს ვხედავთ. დღეს კი თავმჯეკავებულობა უფრო კლინტონ-გორის ბლოკს ახასიათებს. დოულმა და მისმა მომხრეებმა (მათ შორის სენატორმა ჯერალდინ ფერარომ, საკმაოდ მიმზიდველმა ქალბატონმა) კლინტონის დედაც მოიხსენიეს. ახსენეს, რომ იგი ვაჟიშვილს აღმერთებდა, მაგრამ მალე მიატოვა იგი, ნიუ-ორლეანში წავიდა, სადაც შესანიშნავად ატარებდა დროს – ცეკვავდა, სვამდა, ბანქოს თამაშობდა, ჯირითობდა. ბილს ბებიას ზრდიდა. იგი ნიჭიერი, მომხიბვლელი ბიჭი იყო. სკოლასა და უნივერსიტეტში ნიჭით და მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა, ყველგან წამყვანი ფიგურა იყო. კლინტონსაც და დოულსაც დიდი მასწავლებლები, მიმართულებების მაჩვენებლები ჰყავდათ. დოულს – ნიქსონი. მათ მრავალწლიანი მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ. ნიქსონის დაკრძალვაზე დოულმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა და ატირდა – ძნელი იყო ადამიანის გაცილება, რომელსაც ასე საოცრად ჰგავდა დოული. იყო პერიოდები, როდესაც მამაშვილურ ურთიერთობას სიცივე შეპარვოდა; ერთ პერიოდში ნიქსონმა ზურგი შეაქცია დოულს. შემდგომ ეს ურთიერთობა აღსდგა – მეტწილად დოულის დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად.

კლინტონის გზის მაჩვენებელი სენატორი უილიამ ფულბრაიტი იყო. ჯერ სულ ახალგაზრდა კლინტონმა სენატში დაიწყო მუშაობა ფულბრაიტის დამხმარედ. შემდეგ მან ფულბრაიტის სტიპენდია მიიღო, რამაც ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლის საშუალება მისცა. განსწავლული სენატორი მისი კერპი იყო. მაგრამ კლინტონმა სცადა თავი აერიდებინა ფულბრაიტისათვის დამახასიათებელი შინაგანი მარტოობისათვის, სხვებისაგან იზოლაციისათვის და, რაც მთავარია, სეგრეგაციონიზმისათვის. კლინტონი ემოციურია, რელიგიური (აღრე აღმიწერია ვაშინგტონის ერთერთ ეკლესიაში კლინტონებთან ერთად წირვაზე დასწრება – იხ. ჟურნ. „პოლიტიკა“ #3-#4, 1996). იგი ადვილად ახდენს გავლენას ადამიანებზე, ოსტატურად წარმართავს კამპანიებს, კარგ კონტაქტს ამყარებს აუდიტორიასთან, სიახლოვეს ავლენს უბრალო ადამიანებთან, უბრალოდ იცვამს, სპორტულია, მოძრავი. პოპულარობაში მას ახალგაზრდობაც უწყობს ხელს – ამერიკა ის ქვეყანაა, რომელმაც დიდი ხანია კერპად აქცია ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, მომხიბვლელობა, კარგი ფიზიკური ფორმა. ამ კუთხით ასაკოვანი, დაინვალიდებული, გულჩახვეული დოული ვერ მოუგებს კლინტონს. კლინტონი, ისევე როგორც ალ გორი, უფრო მომზადებულია დისკუსიისათვის, იცის სტატისტიკური მონაცემები, დეტალები, მეტყველებს თანამედროვე ენით. როგორც მისი მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, როდესაც უსმენ, ვერ ამჩნევ, როგორ გახვევს თავის აზრს. არანაირი დაბრკოლების წინაშე არ ჩერდება, პირობების მიუხედავად წინ იწევს – პოლიტიკაში, ისევე როგორც პირად ურთიერთობებში.

კლინტონი ყველაზე ახალგაზრდა გუბერნატორი იყო აშშ-ის ისტორიაში (ისევე, როგორც ექს-გუბერნატორი). 1980 წელს დამარცხება განიცადა. მისმა ენერგიამ, მოჭარბებულმა აქტიურობამ, სურვილმა ყველაფერი უკეთესისაკენ შეეცვალა, მრავალი რეფორ-

მა გაეტარებინა, დაამინა არკანზასის საკმაოდ კონსერვატიული გარემოცვა. მან ეს მწარე გამოცდილება გაკვეთილად გამოიყენა და როდესაც დაბრუნდა გუბერნატორის პოსტზე, უკვე გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. კლინტონი სწავლობს, ივიწყებს, ისევ სწავლობს. როდესაც რესპუბლიკელები მომაგრდნენ, კლინტონმა ისევ რენოვაცია განიცადა. თუ პრეზიდენტობის მეორე წელს იგი უზარმაზარი თანხის გაღებას აპირებდა უმუშევართა დასახმარებლად, ახლა საგრძნობლად შეცვალა ეს პოლიტიკა, რადგან იცოდა, რესპუბლიკელები ამას არ აპატიებდნენ, მის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ იმ მიზეზით, რომ იგი „რყვის“ უმუშევრებს, ართმევს მათ სამუშაოს მოპოვების სტიმულს და თანაც გადასახადების მხდელთა (ეს პოპულარული სიტყვაა ამერიკაში – „ტაქსპეიერი“) ფულს არასწორად ხარჯავს, არ უბრუნებს მას „ტაქსპეიერებს“ სათანადო ფორმით. ამგვარი საყვედურების აცდენაში კლინტონი უფრო მოქნილი გახდა, კომპრომისისადმი განწყობილი. ანალიტიკოსების ნაწილი გამოთქვამდა აზრს, რომ თუ მას ხელახლა აირჩევენ, დოულზე უკეთესი პრეზიდენტი იქნება, იმაზე უკეთესიც, ვიდრე თავისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში იყო, რადგან მან ისწავლა წარსულ შეცდომებზე და გამოცდილება შეიძინა. გარდა ამისა, აღარ ექნება მესამედ არჩევის პერსპექტივა, რაც უფრო გულწრფელს და გაბედულს გახდის მას. მისი აქტიურობა უფრო ქვეყნის, ვიდრე საკუთარი კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული, ის უფრო გაბედული იქნება ურთიერთობებში, მოთხოვნებში, ნაბიჯებში.

კლინტონთან ერთად ჰილარიც სწავლობდა შეცდომებზე – ნაკლებად ეძებდა პოპულარობას, ბევრს მუშაობდა, შელახულ იმიჯს ისწორებდა. მან კლინტონის მოწინააღმდეგეების იერიში მოიგერია უბრალო პოზიციით – „დიახ, ჩემი ქმარი არაა უცოდველი ქალებთან ურთიერთობაში, მაგრამ ყოველივე ეს წარსულს მიეცა. ახლა იგი კარგი მეუღლე და მამაა“. ამის შემდეგ აღარავის უნდოდა უმედეგოდ ექექა კლინტონის წარსული. მრავალი ინტერვიუ მოვისმინე – აზრი ასეთია: რაში მაინტერესებს კლინტონის სასიყვარულო ისტორიები? მთავარია, ქვეყანას კარგად მართავდეს, რეფორმები გაატაროს, ეკონომიკურად გაჭირვებულებს დაეხმაროს.

რატაც საერთო აქვთ კლინტონსა და დოულს – ღრმა რწმენა, მოქნილობა, სიტუაციის გამოყენების და ლავირების უნარი. ორთავეს ძლიერი, აქტიური, ნიჭიერი მეუღლე ჰყავს. მაგრამ ასაკი არ აძლევდა დოულს და მის მომხრეებს (იგი 73 წლისაა) მისი ხელმეორედ პრეზიდენტად არჩევის პერსპექტივას, რამაც (სხვა მიზეზებთან ერთად) მისი პოზიციები შეასუსტა. კლინტონზე და დოულზე გადაცემები ხან მათი მომხრეების პოზიციებს ასახავდა, ხან კი აბსოლუტურად მიუკერძოებელი იყო (პროგრამა „ფრონტლაინის“ დისკუსია, რომელსაც „დოკუმენტარი კონსორციუმი“ აფინანსებდა მიუკერძოებელი საარჩევნო დოკუმენტური მასალის შესაქმნელად).


მცირეოდენ ცნობას ბოძ დოულზეც მოგაწვდით. იგი რელიგიური მეთოდისტიების ოჯახში გაიზარდა. ოჯახში მის გარდა 5 ბავშვი იზრდებოდა. ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მისი მშობლები დიდად განათლებულნი არ იყვნენ; ოჯახი კანზას სიტიში სარდაფის დონის ბინაში ცხოვრობდა. უბრალო, პროვინციული გარემოდან გამოსულმა დოულ-



საკანდიდატო დისერტაციის დაცვა თსუ-ში – წამყვანი ოკონენტი პროფ. მიხეილ კვესელავა კითხულობს დასკვნას



აშშ-ს ელჩის ბ-ი კენეტ იალოუცივი გადასცემს თამარ ცინცაძეს ჯილდოს – სერტიფიკატს დიდი ღვაწლისთვის, შუბანილს ანბლო-ამერიკული ენისა და სხვადასხვა საკითხების სწავლებაში



აშშ-ის ელჩის მიერ თამარ ცინცაძისთვის გადაცემული ჯილდო



მარლა ადამსთან ერთად ეზვილში (ჩრდილო კაროლინა, აშშ)



თომას უსციუსთან ერთად ატლანტაში  
(ჯორჯია, აშშ)



თომას ვულფის სახლ-მუზეუმში ეზვილში  
(ჩრდილო კაროლინა, აშშ)



მწერალი დონალდ აქსინი კოლუმბიის  
უნივერსიტეტში ნიუ-იორკში



ცნობილ ლიტერატორთან, პოლ ლაუტერთან  
ნიუ-იორკში



კოლუმბიის უნივერსიტეტი. მარცხნიდან: მწერალი დონალდ აქსინი, კოლუმბიის უნივერსიტეტის  
ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრის დირექტორი ვროუ. ჯაკ ზოლცმანი, თამარ ცინცაძე,  
„ამერიკის ხმის“, ჟურნალისტი მანანა ჯინჯიხაშვილი



ნიუ-იორკელი მოქანდაკე ლადო მუჯაბიძე და თამარ ცინცაძე ნიუ-იორკში, ბაერო-ში, ჯურაბ წარეთლის ქანდაკების „წმინდა ბიორბი“ ბახსნაზა



ლადო მუჯაბიძე (მარცხნიდან მეორე) და ჯურაბ წარეთელი (ცენტრში) ნიუ-იორკში, ბაერო-ში, ჯურაბ წარეთლის ქანდაკების „წმინდა ბიორბი“ ბახსნაზა



ცნობილი კენანის ინსტიტუტის ხალგაშლილი შტატი (ვაშინგტონი, აშშ)



ქართული ექსპოზიცია ნიუ-იორკის ერთ-ერთ მუზეუმში





კალიფორნიაში



ბერმანიში



მარლა ალამსტან ერთად



ქრისტეს ქანდაკებასთან და აღმშენებელი სხალვაზრდასთან ერთად (ბრაზილია)



ეგვიპტეში



ისტორიკოსებთან ერთად ემსჯედიციაში (შუა აზია)



საქვალმოქმედო როტარი კლუბების წევრებთან ერთად  
დუბაიში და საქართველოში

მა მოახერხა განათლების მიღება, გავლენიანი მეგობრების შექმნა და დიდ პოლიტიკაში გასვლა. ალბათ, ჭეშმარიტად დიდია ქვეყანა, სადაც ასეთი კარიერაა შესაძლებელი. მასხენდება ერთი ამბავი: ამერიკელი მძღოლი სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა; ფული უჭირდათ, მაგრამ ბავშვის დაბადების დრო რომ მოახლოვდა, მან და მისმა მეუღლემ სამშობლოში წასვლა დააპირეს იმიტომ კი არა, რომ იქ უკეთესი ექიმებია, არამედ იმიტომ, რომ აშშ-ს კონსტიტუციის მიხედვით, იმ ამერიკელს, რომელიც სხვა კონტინენტზეა დაბადებული, არ ექნება უფლება კენჭი იყაროს პრეზიდენტის თანამდებობაზე (!). იმ მძღოლს არ უნდოდა შვილისათვის მომავალში ეს პერსპექტივა დაეკარგა – ე. ი. თვლიდა, რომ მის შვილს ასეთი პერსპექტივა თეორიულად და ალბათ პრაქტიკულადაც ჰქონდა. ამტკიცეთ, თუ გნებავთ, რომ ეს არ არის დიდი ქვეყანა. ყოველი ქვეყანა დიდია, განუზომლად დიდი, თუკი ის თავის ყველაზე უბრალო მოქალაქეს დიდი წარმატებების იმედს სძენს. ბობ დოულიც (ისევე, როგორც მრავალი სხვა ამერიკელი) „ამერიკული ოცნების“ რეალურობის მაგალითია.

მაგრამ დავუბრუნდეთ საპრეზიდენტო კამპანიას. დოულმა კანზას-სიტიში მოწყობილ მის მომხრეთა მიტინგზე ახსენა, რომ ახლო მომავალში მოაწყობდა „ბილ კლინტონის გადადგომის აღსანიშნავ მიღებას“. ყოველივეში, რასაც ამბობდა დოული და კემპი თავს ბევრად მეტის უფლებას აძლევდნენ, ვიდრე კლინტონ-გორის ტანდემი: უხეში ხუმრობები, ოპონენტების მიმართ არასასარბიელო გამონათქვამები, ფარული მუქარა (როგორც იყო არაერთხელ გამოთქმული ბოლო დებატებზე პირადი არაეთიკური საკითხების წამოყენების მუქარა).

დოულის უხემ იუმორს აწონასწორებდა მისი მეუღლის მომხიბლავი მანერები, მას ყოველი მოძრაობა გათვლილი ჰქონდა – ისიც, რომელი მხრიდან ამოდგომოდა დოულს ისე, რომ პარალიზებული მარჯვენა ხელი დაეფარა მაყურებელთა აუდიტორიისაგან (დოულის ინვალიდობა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს გახდა ცნობილი). დოულმა წარმართა თავისი საარჩევნო კამპანია დევიზით – „ეს თქვენი ფულია!“ ამით იგი მიმართავდა „ტაქსპეიერებს“ – ადამიანებს, რომლებიც გადასახადებს იხდიან. იგი ცდილობდა კლინტონის წინააღმდეგ განეწყო ამომრჩევლები, ეუბნებოდა, რომ მათი ფული არ უბრუნდებათ სწორი სოციალური, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის პოლიტიკის სახით. დოული თავდაჯერებული ჩანდა და საკმაოდ მრავალრიცხოვან აუდიტორიასაც იზიდავდა.

მთელი ყურადღებით ყოველ 15-30 წუთში თვალს ვადევნებდი ახალ ამბებს ან ძველი საპრეზიდენტო დებატების და კამპანიების რეტროსპექტივას (არ ვუყურებდი სატელევიზიო გადაცემებს მხოლოდ დილის 2 საათიდან 6-7 საათამდე. როგორც წინა მგზავრობებშიც, ამჯერადაც არ მემეტებოდა დრო ძილისათვის, და ეს საგრძნობლად ახანგრძლივებდა ჩემს აშშ-ში ყოფნას, დამატებით დროს მძენდა). მე, არაამერიკელი, იმდენად ვიყავი გატაცებული ამ ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიით, ამერიკელთა დიდი ნაწილი კი არანაირ ინტერესს არ ავლენდა ამ არჩევნებისადმი, თუმცა ამერიკელთა არჩევანი 4-5 წლით წარმართავს მათ ცხოვრებას და დიდ გავლენას იქონიებს მსოფლიოში

მიმდინარე ყველა პროცესზე. ამერიკელთა დიდი ნაწილი უფრო იმით იყო გატაცებული, რა ეყოლებოდა მათ კერპს, მაღონას – გოგო თუ ბიჭი? შემდეგ დიდი ზეიმი იყო – მაღონას გოგონა შეეძინა! ერთი არხი 48 საათის განმავლობაში გადასცემდა ახალ ამბებს ამასთან დაკავშირებით, ინტერვიუებს ექიმებთან, ძიებებთან, ქუჩებში გამვლელებთან. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა დეპეშები, ფაქტები; ტექსტი ეკრანზე იწერებოდა მაღონას კლიპების ფონზე – მისი თაყვანისმცემლები მას ქალიშვილი შექმნას ულოცავდნენ. 39 წლის მაღონა მართლაც ბედნიერი ჩანდა: ეს მისი პირველი შვილი იყო – ლორდეს მარია ჩიკანო (მისი მამა ლათინო-ამერიკელი გახლდათ).

გვიკვირს, რამდენად ჩვენთვის და მსოფლიოსთვის უმნიშვნელო ამბები ეგზალტირებულ მდგომარეობაში აგდებს მრავალ ამერიკელს. ასეთია ეს ქვეყანა – ჰოზიციების უკიდურესობა, საერთოდ ჰოზიციის უქონლობა, თუმცა ეს ინდიფერენტობაც თავისებური პოლიტიკური ჰოზიციაა. კალიფორნიაში ყოფნისას ერთი რუსის – ყოფილი სამხედროს გვერდით ვცხოვრობდი – განიარაღების საკითხებზე წერდა წიგნს. მისი კომენტარებიც მაინტერესებდა. რატომ უნდა ღელავდნენ? – ამბობდა ვალერი. ვინც არ უნდა აირჩიონ, მათი კეთილდღეობა უზრუნველყოფილია, უარესი არსებითად არაფერი მოელოთ. სხვა საქმეა ჩვენს ქვეყანაში: არჩევანმა შეიძლება კარგ დღეში და შავ დღეშიც ჩაგვავადოსო. ამიტომაც ამერიკელთა საგრძნობი ნაწილი თვალს ადევნებს „საუკუნის მშობიარობას“ (მაღონა) და „საუკუნის პროცესს“ (ო. ჯეი სიმპსონის განმეორებითი სამოქალაქო პროცესი). ყოველივე ჰიპერტროფირებულია. ამას ვწერ იმისთვის, რომ იგრძნოთ, რა კონტრასტულ ინფორმაციას ვღებულობდი, როგორ იჭრებოდა საარჩევნო კამპანიის მასალებსა და ჩემს ცნობიერებაში ეს, ერთი შეხედვით არასერიოზული მასალა. მაგრამ ასეთია ამერიკა – ამერიკელთა პრიორიტეტები სხვადასხვაგვარია, ჭრელი, მრავალფეროვანი. სწორედ ეს ქმნის აზრით, ფერით, ბგერით, მიდრეკილებებით განსხვავებულ მოსახლეობას. მაგრამ აქ მთავარი დეტალები კი არაა, არამედ ის, რომ ისინი ამერიკელები არიან და არ გაცვლიან თავიანთ ქვეყანას, რომელიც კონტრასტული არჩევანის უფლებას აძლევს რომელიმე სხვა ქვეყანაში. არც პატრიოტიზმი აკლიათ უმაღლესი გაგებით. მახსოვს, 1991 წლის იანვარში, საქართველოში გამომგზავრების წინ, სამუალო ფენის ამერიკელი, კომივოიაჟორი მატარებდა მანქანით. შუადღეს რესტორანთან გააჩერა – ვისადილოთო, დილით არაფერი მიჭამიაო, სისხლის მისაცემად ვიყავი „წითელ ჯვარშიო“. ვინმე ახლობელია? – ვკითხე. არა (კიდევ გაკვირვებული ჩანდა), ჩვენი ბიჭები სპარსეთის ყურეში არიან, რა იცი, როდის რა გაუჭირდებათ. საკმაოდ ხშირად ვაძლევ სისხლს „წითელ ჯვარს“, ახლა კი რაღა სადავოაო. ჩვენებური კაცისათვის აქ მოტივაცია თითქმის არ იქნებოდა, თუ უშუალოდ არ აძლევს სისხლს ახლობელს. მისთვის და მრავალი სხვა ამერიკელისათვის ის ფაქტი, რომ სადღაც ომია და ამერიკელი ჯარისკაცები იბრძვიან, მოტივაციის დიდი ფაქტორია. უბრალო ენით ამას პატრიოტიზმი ჰქვია.

**15 ოქტომბერი.** სან-დიეგოს უნივერსიტეტში ფედერალური და ადგილობრივი პრესცენტრები, ჟურნალისტები ემზადებიან ხვალინდელი, რიგით მეორე და უკანასკნელი კლინტონ-დოულის სატელევიზიო დებატებისათვის. ამ პროცედურის წამყვანი ბობ ჰი-

ტერსონი ატარებს კენჭისყრას, რის შემდეგაც გაირკვევა, თუ სად უნდა განლაგდეს ამა თუ იმ ჟურნალის, გაზეთის, დაწესებულების წარმომადგენელი. ესეც კი დემოკრატიულადაა გადაწყვეტილი.

ეკრანზე მრავალი წინასააღებატო დისკუსიაა. კალიფორნიის გუბერნატორი ჰიტ ვილსონი და მისი მოადგილე დენ ლანდგრენი (რესპუბლიკელები) ამკარად კლინტონის საწინააღმდეგოდ გამოდიან – ახალგაზრდობაში მარიხუანას ეწეოდაო, მატყუარაა, ქალების მოყვარული, ახალგაზრდებისათვის ცუდი მაგალითის მიმცემიო, ფაქტიურად გადასახადები კი არ შეამცირა, გაზარდაო, პირლ-ჰარბორის შემდეგ ასეთი დაბალი შემოსავალი არ გვექონიაო. პოლიუმზე მყოფი გუბერნატორი, მოადგილე, წითლებში გამოწყობილი მათი მეუღლეები, კოლორიტული, ელეგანტური, კარგი გარეგნობის შავკანიანი წყვილი (ამკარად დემოკრატიული ფონის შესაქმნელად მოყვანილი) პასტორალურ სურათს წარმოადგენენ. შავკანიანი წყვილი ცოტათი განზე დგას, არაფერში მონაწილეობს, ან ვინ ეკითხება რამეს, ბედნიერნი არიან ყურადღების ცენტრში ყოფნით. მთელს ამ სურათს გულწრფელობა აკლია. გუბერნატორი და მისი ვიცე ილაშქრებენ ახლა „ნაწილობრივი აბორტის“ წინააღმდეგ, რომელზეც კლინტონმა ხელი უნდა მოაწეროს (იგულისხმება ოპერაცია იმ შემთხვევაში, თუ ქალის ჯანმრთელობას საშიშროება ემუქრება, ან ნაკლოვანი, დაავადებული ბავშვის დაბადების შემთხვევაში). თითქოს ნათელი საკითხი კრიმინალურ აქტამდეა აყვანილი – ყველა ბავშვს აქვს დაბადების უფლებაო, ჯერ არ შობილი ბავშვის უფლებები იბღალბაო. დოულის მისიას რეიგანის მისიას ადარებენ. დოული ბედნიერია, ყველას ეპატიჟება „ბილ კლინტონის გადადგომის აღსანიშნავ ვანშამზე“.

დოული ლაპარაკობს სოციალურ პრობლემებზე, ჰპირდება გადასახადების 15%-იან დაკლებას (თუმცა დამკვირვებლები ადრეც კითხულობდნენ, რით ფარავს დოული ბიუჯეტში ამის შედეგად შექმნილ დეფიციტს). მრავალი სხვა დაპირებაც ისმის – და გულწრფელადაც. დოულს სურს ყოველივე ეს თავისი ქვეყნისათვის. იგი პათეტიკური ფიგურაა თავის სწრაფვაში, დაეხმაროს რესპუბლიკელებს და მათი საშუალებით მთელ ამერიკას. იგი ცდილობს ფედერალურ მთავრობას შეუზღუდოს უფლებები და გადასცეს ისინი ადგილობრივ მთავრობებს. ჩემი რეფორმა უოლ სტრიტით არ დაიწყება და არც #1600 მენობით პენსილვანიის ავენიუზე (თეთრი სახლი); არამედ „მთავარი ქუჩით“ (ასეთი ქუჩა ყველა პატარა ამერიკულ ქალაქს აქვს). „ეს ხომ თქვენი ფულია, – ამბობს დოული, – და თქვენვე უნდა სწყვეტდეთ, თუ რაზე იხარჯება იგი“. მეორე მისი დევიზია – „მე ჩემი სიტყვის კაცი ვარ“, „ჯერ ჩემი სიტყვა არ გამიტენია“. მჯერა, მაგრამ ეს როდი კმარა ყველა დიდმასშტაბიანი დაპირების და გეგმის განსახორციელებლად. დოული გულწრფელია, მაგრამ „კოზირები“ არ გააჩნია. რომც ჰქონდეს, დრო აღარ აქვს. კლინტონს ბევრს ვერაფერს უსაყვედურებს. საშინაო ფრონტზე რესპუბლიკელები აღიარებენ ეკონომიკის ზრდას (თუმცა ძალიან ნელი ტემპით). საგარეო პოლიტიკაში კლინტონს მიღწევებიც ჰქონდა და ჩავარდნებიც, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა შვებით ამოისუნთქეს და საშინაო პრობლემებს მოუბრუნდნენ. რესპუბლიკელებმა რომ უსაყვედურონ, ეს ავადმყოფი და მოხუცი ელცინი რატომ დასვი რუსეთშიო, ამ საყვედურ-

საც აღვიღადა აიცილებს – იტყვის, პროელცინური პოზიცია კი არა, ანტიკომუნისტური პოზიცია მეკავაო. ამიტომ ამ ფრონტზე ერთი საყვედურიც არ ისმის. რესპუბლიკელები ეთიკურ საკითხს წამოწევენ წინა პლანზე – უაიტვოტერი, 30 მოხელის დათხოვნა თეთრი სახლიდან, ფოსტერის თვითმკვლელობა, ფედერალური საგამომძიებლო ბიუროს 900 ფაილის თეთრი სახლის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდენად ქცევა, ინდონეზიური კონტაქტები, „უცხოური რბილი ფული“, 17 ახალი სახის გადასახადი, კონტროლი ფასებზე, ემბარგო ბოსნიაზე და ა. შ. ამდენი შეცდომა ესოდენ მოკლე ხანში! – ამბობდნენ რესპუბლიკელები. ბრალდებები მრავალია და არც სულ მთლად უსამართლო, მაგრამ გავიხსენოთ, რომ კენედისაც უნდოდა (უშედეგოდ) გადასახადების შემცირება, ბუშიც ილაშქრებდა ნარკომანების წინააღმდეგ. როგორც დოულმა თქვა, ისტორია ივიწყებს შეცდომებს.

კიდევ ერთი ტელევიზიით გაშუქებული საარჩევნო კამპანიის სახეობა: ბეკი კეინი, ამომრჩეველთა ლიგის პრეზიდენტი, უხმობს მოსახლეობას რეგისტრაცია გაიარონ როგორც ამომრჩეველებმა; მას ეხმარება „ავტომანქანის მართვის ლიცენზიების“ სააგენტო. ამერიკაში მანქანის მართვის ლიცენზია მეტია გამოცემული, ვიდრე პასპორტი ან პირადობის მოწმობა. მართვის ლიცენზიებით უფრო აღნუსხავ მოსახლეობას, ვიდრე პასპორტებით ან სხვა საბუთებით.

ტელევიზიით ისევ და ისევ გვიჩვენებენ საპრეზიდენტო დებატების ისტორიას – საარქივო მასალებს 1960 წლიდან მოყოლებული. გადაცემაში მონაწილეობენ ხანში შესული პოლიტიკოსები, რომლებიც 20-30 წლის წინათაც მონაწილეობდნენ დებატებში ან უძღვებოდნენ მათ – ლინ ნოფზიგერი (რეიგანის ადმინისტრაციის მრჩეველი), ცნობილი დონ ჰიუვიტი (1960 წელს კენედი – ნიქსონის დებატების პროდიუსერი), სანდერ ვანაკური, ჰენრი ტრევიტი (1976 და 1984 წლების საპრეზიდენტო დებატების მონაწილე), პროფესორი სიუზან ესტრიჩი (დუკაკისის საარჩევნო კამპანიის მენეჯერი). პანელისტები მაყურებლებს უყვებიან, თუ რა ცვლილებები განიცადა საპრეზიდენტო დებატებმა 1960 წლიდან, როდესაც ტელევიზია ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული ამერიკაში. დუკაკისი და ნიქსონი არ ესწრებოდნენ დებატებს ავადმყოფობის გამო. რეიგანი რაღაც გრძელ ამბავს უყვებოდა ამომრჩეველებს. სიტუაცია არაფორმალური იყო. მაშინ საპრეზიდენტო კანდიდატების დებატები მნიშვნელოვნად არ ითვლებოდა. პარტფორდში კი, 1996 წლის არჩევნების პირველ საპრეზიდენტო დებატებზე, ჟურნალისტების მთელი ჯარი მუშაობდა. 80-იან წლებში მოხდა ცვლილება, დებატები გამოიკვეთა როგორც უმნიშვნელოვანესი (ხშირად გადამწყვეტი) ეტაპი საარჩევნო კამპანიაში.

**დადგა 16 ოქტომბერი.** იმ დღეს სახლიდან არ გავსულვარ, თუმცა თვითონ დებატები სადამოს 6 სთ-ზე იწყებოდა. ორი დღით ადრე ნაცნობს დაუურეკე სან-დიეგოში – ხომ არ იცი, როგორ წარიმართება დებატები? არის თუ არა მასზე დასწრების, სან-დიეგოს უნივერსიტეტში შესვლის შანსი მაინც? რა დებატებში? სან-დიეგოში მცხოვრებმა, საკმაოდ ცნობისმოყვარე და პოლიტიკურად ერთ დროს აქტიურმა ადამიანმა ჩემგან გაიგო პირველად მომავალი დებატების შესახებ სან-დიეგოში. იქნებ ასე ჯობია ნერვული სის-

ტემისათვის – დიდხანს გაუცვეთლად შეინარჩუნებს. მაგრამ რად გინდა ეს სისტემა, თუ ყოველივეს ჩაუარე ამ ცხოვრებაში? ისევ ჩემს მეგობარს – ტელევიზორს დავუბრუნდი.

დაიწყო წინა სადებატო პროგრამები. არხი ღებულობდა ზარებს სხვადასხვაგვარი კითხვებითა და კომენტარებით. სან-დიეგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი დოქტორ ალის ჰეისი აწვდის მსმენლებს ინფორმაციას დებატებისათვის მრავალთვიანი მზადების შესახებ. უნივერსიტეტმა 50 სხვა უნივერსიტეტთან კონკურსში მოიპოვა უფლება დებატები მის კედლებში ჩატარებინა. დოქტორ ჰეისი დებატებისადმი მზადებას დიდ სკოლად მიიჩნევს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭომ და დონორებმა დებატებისათვის დიდი აუდიტორია ააშენეს, შეაკეთეს სხვა შენობები. მთელი წლის განმავლობაში სტუდენტებს უკითხავდნენ სპეცკურსებს, ბოლო კვირას კი სტუდენტები მონაწილეობდნენ ინტერვიუებში, დისკუსიებსა და შეხვედრებში. ყოველივე უდიდეს პოზიტიურ გამოცდილებად იქცა სტუდენტებისათვის.

დარბაზში 14 კამერა მუშაობდა. იღებდნენ ჯერ ტელეინტერვიუებს სტუდენტებთან; თუმცა ბევრისათვის ეს პირველი არჩევნები იყო, მათი კომენტარები ძალზედ გააზრებულად ჟღერდა. ტელეარხები და პრესცენტრები ღებულობდნენ ზარებს სხვადასხვა შტატიდან, მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული კომენტარი და პროგნოზი ისმოდა. ყოველივე ღია ტექსტით მიმდინარეობდა, არაფერი იყო ფარული. ამ გადაცემას მოყვა დებატების დამკვირვებელთა პროგრამა. ტელევიზიით და ინტერნეტით კომენტარს უკეთებენ ამომრჩევლების პოზიციებს. სწავლობენ იმას, თუ რა საკითხები აინტერესებთ ამომრჩევლებს. ამ დროს კი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა მოქალაქეთა 3 ჯგუფი, რომლებიც ტელევიზიით გაადევნებენ თვალს დებატებს. შემდეგ კი ცალკე დარბაზში შეგროვდებიან აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის. ჯანეტ ბრაუნი (საპრეზიდენტო დებატების კომისიის აღმასრულებელი დირექტორი) სთხოვს დამსწრე ჟურნალისტებს და აუდიტორიას არ გამოიყენონ პეიჯერები და სხვა ხმაურიანი აპარატურა, შექმნან საქმიანი ატმოსფერო, რადგან ეს სატელევიზიო დრო ტელემაყურებელს ეკუთვნის. თანათავმჯდომარემ პოლ კერკმა აღნიშნა ამ დებატების ფორმატის მნიშვნელობა დემოკრატიულად წარმართული საარჩევნო პროცედურისათვის – დებატების დროს ტელეფონით ნებისმიერი ამერიკელი და უცხოელი ეტყვის კანდიდატებს თავის სატკივარს, მიიღებს არა ინტერპრეტირებულ, არამედ პირდაპირ პასუხს. ეს არსებითად მეათე საპრეზიდენტო დებატები იყო, რომელსაც აწყობდა საპრეზიდენტო დებატების კომისია. ამ კომისიას 3 საპატიო პრეზიდენტი ჰყავს: რეიგანი, კარტერი და ფორდი (ამ სამიდან დებატებს ესწრება ფორდი). ამის მერე დაასახელეს ის პირები, რომელთა მონაწილეობის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სან-დიეგოში დებატების გამართვა.

მოკლე სიტყვით გამოვიდა ქ-ნი დარლინ შარლი (შარლეს თეატრის სპონსორი). მან წაიკითხა ერთერთი სტუდენტის წერილი – გოგონა პირველად ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში, რომელსაც დიდი ისტორიის პატარა ნაწილი უწოდა და რომლის გამო იგი მთელი ზაფხული დაუღალავად შრომობდა. ისმენ ამ სიტყვას და უკეთ გესმის, რას



ნიშნავდა ეს მრავალთვიანი სამზადისი იმ და მრავალი სხვა სტუდენტისათვის. შეიძლება ყველაფერს როგორც „შაბათობას“ შეხედო, და შეიძლება შეიგრძნო ყოველივე როგორც ისტორია, დაინახო მასში შენი კვალის დატოვების იშვიათი შესაძლებლობა. სტუდენტები, რომლებსაც ეკრანზე ვხედავდი, მათი ჭეშმარიტი ინტერესით, პატრიოტული ზრუნვით ქვეყნის მომავალ ბედზე, სწორედ ასე ხედავენ თავიანთ როლს ამ მოვლენებში.

დებატების წამყვანი იყო ცნობილი ჯიმი ლეჰერი – დაუძაბავი, იუმორით აღსავსე პიროვნება. ეს კანდიდატა დიალოგია, – თქვა მან, – მათ გარდა ყველა ამ დარბაზში მყოფი – მეც და თქვენც – ბუზები ვართ აი, ამ კედელზე. კანდიდატებს არა აქვთ უფლება პირდაპირ მიმართონ ერთმანეთს. ამას აკეთებენ წამყვანის საშუალებით. პირველად დარბაზში პრეზიდენტობის კანდიდატების მეუღლეები შევიდნენ – ჯერ ელიზაბეტ დოული, შემდეგ ცოტაოდენი დაგვიანებით – ჰილარი კლინტონი (არასოდეს მინახავს ჰილარი, ეკრანზე თუ ცხადში, ესოდენ მომხიბლავი, მოვლილი და ელეგანტური). შემდეგ სხვადასხვა შესასვლელიდან ერთდროულად შემოვიდნენ კლინტონი და დოული. წარმოთქვეს მოკლე შესავალი სამადლობელი სიტყვები. დოულმა მიმართა მეუღლეს, ქალიშვილს, ყველა დამსწრეს და ტელემყურებელს. მე დიდი ოჯახიდან ვარ, – თქვა მან, – მშრომელი ამერიკელების ოჯახიდან (დოული ხშირად მიმართავს პოპულისტურ რიტორიკას). კლინტონი უფრო ვრცლად შეეხო თავის მრწამსს და ოთხწლიანი მუშაობის შედეგებს. იწყება კითხვები. მრავალი კითხვა ისმის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, იმიგრაციის, გადასახადების, კრედიტების, საგარეო პოლიტიკის თაობაზე (ზოგიერთი პუნქტი კლინტონისა და დოულის პროგრამებში მსგავსია – მაგ. სამხედრო ბიუჯეტი). კლინტონის ადმინისტრაციის რიგი მიღწევების მიუხედავად (კლინტონის მიერ შექმნილი 1 მილიონი სამუშაო ადგილი, საკმაოდ წარმატებებიანი ბრძოლა თამბაქოს მომხმარებელთან, სპეციალური პოლიციის შექმნა ქუჩაში კრიმინოგენურ ვითარებასთან საბრძოლველად, კლინტონის გალაშქრება ტელევიზიისა და კინოეკრანზე ძალადობის ჩვენების წინააღმდეგ, შეღავათები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კრედიტების გაცემა წვრილი ბიზნესის მფლობელების, განსაკუთრებით ქალების დასახმარებლად, რეფორმების დაწყება განათლების სფეროში სახელმწიფო სკოლების გასაუმჯობესებლად, ახალი ბაზრების მოპოვება ამერიკული სამრეწველო პროდუქციის გასაყიდად და სხვ.), დოული მაინც საყვედურებს გამოთქვამს – არის გაუმჯობესება ამერიკელთა ცხოვრების დონეში, მაგრამ უმნიშვნელო, არის ტემპის ზრდა, მაგრამ ნელა, თამბაქოს მწველებს ებრძვი, მაგრამ არასაკმარისად...

რესპუბლიკელები ილაშქრებდნენ ქვეყანაში მიღებული „ველფერის“ (უმუშევართა რჩენის) პროგრამის წინააღმდეგ, თუმცა ეს თანხა უკვე 2 მილიონით შეიკვეცა ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების ხარჯზე – ე. ი. იმავე თანხას უხდიან უკვე არა უმუშევრებს, არამედ მომუშავე მოქალაქეებს ხელფასის სახით, რაც საგრძნობლად ცვლის მათ დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ. დისკუსია წამოჭრა წლიური გადასახადების შემცირების საკითხმა. კლინტონი ამ პროცესს ეტაპობრივად ავითარებს. დოული სთა-

ვაზობს ამერიკელებს ერთბაშად 15%-იან შემცირებას, თუმცა ვერ ხსნის, რითი დაფარავს ამის შედეგად ფედერალურ ბიუჯეტში შექმნილ დეფიციტს. საერთოდ, დოულის გამოსვლებს კონკრეტულობა აკლია, ცოტათი ზედაპირულია, ძალზე თეორიული, უფრო კეთილ სურვილებს ჰგავს, ვიდრე სერიოზულ, კარგად გააზრებულ პროგრამას. იგი ამომრჩევლებს თანაბარ უფლებებს ჰპირდება ბიზნესში, განათლებაში, სხვა სფეროებში. კლინტონი კი არა თანაბარ უფლებას, არამედ თანაბარ შანსს დაამტკიცონ თავიანთი ვარგისიანობა და პროფესიონალიზმი. იგი ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა, როდესაც ინვალიდებისათვის 260000 ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. კლინტონი არ სთავაზობს უპირატესობას არაკვალიფიცირებულ ადამიანებს, არამედ პირობებს, რომლებშიც ადამიანები შესძლებენ თავიანთი კვალიფიკაციის გამოვლინებას.

ამ საკითხების გარდა მეორე დებატებში პრეზიდენტობის კანდიდატები შეეხნენ სხვა საკითხებსაც – საპენსიო და საგანმანათლებლო რეფორმებს, წვრილი და მსხვილი ბიზნესის განვითარებას, სხვადასხვა უმცირესობის პრობლემებს, ახალგაზრდობის დასაქმებას, უცხოური „რბილი ფულის“ საკითხს, საგარეო პოლიტიკას და ა. შ. დოული, მიუხედავად ადრე გამოთქმული დაპირებისა, ნაკლებად შეეხო პირადულ საკითხებს, თუმცა სიტყვები „ამორალური“, „სკანდალური“ ხშირად ისმოდა მის გამოსვლაში. მისმა უხეშმა იუმორმა და არაეთიკურმა გამოთქმებმა (თუგინდ სხვადასხვა პუნქტში სამართლიანმა) ვერ შესძინა პოპულარობა, ხოლო მისმა ასაკმა (73) ერთგვარი ზღვარიც წარმოქმნა მასა და ახალგაზრდებს შორის, ერთერთმა სტუდენტმა პირდაპირ ჰკითხა, თუ როგორ გაიგებს იგი თავის ასაკში ახალგაზრდობის პრობლემებს. მიუხედავად კეთილი განზრახვებისა, დოული ძალზე უმწეოდ გამოიყურებოდა: დებატებში, ისევე როგორც სხვა გამოსვლებში, ასაკმაც იჩინა თავი და პოზიციის სისუსტემაც.

კლინტონის გამოსვლა ბევრად უფრო შთამბეჭდავი, უფრო თანამედროვე, მობილური იყო, კარგად მომზადებული თეორიულად, პრაქტიკულად, სტატისტიკურად, არგუმენტირებული დებულებებით, რეალური პროგნოზებით, ზომიერი იუმორით, თუმცა ხანდახან ზედმეტი თავდაჯერებულობით.

არ შემიძლია არ ვახსენო ის უშუალო გარემო, რომელშიც ეს, მთელი მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი დებატები მიმდინარეობდა. ჩვენში ასეთ მნიშვნელოვან ამბავს მხოლოდ სათუთად შერჩეული აუდიტორია თუ დაესწრებოდა – უმთავრესად ოფიციალური პირები. სან-დიეგოს უნივერსიტეტში კი კენჭისყრით არჩეული მრავალი სტუდენტიც იყო და რიგითი მოქალაქეც (მათ შორის უმუშევარი ქალიც). დამსწრეთა გამოსვლებს არ ზღუდავდნენ. დებატები დამთავრდა, კანდიდატებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს; მომხრეები თუ ოპოზიციის წარმომადგენლები თავისუფლად მიმართავდნენ კლინტონსა და დოულს, სპიკერებს, დებატების წამყვანს. შემდეგ ეკრანი ტელეუზარებს დაეთმო, რეკავდნენ აშშ-ის სხვადასხვა კუთხიდან და სხვა ქვეყნებიდანაც – თავისუფლად გამოთქვამდნენ აზრს ახლადდასრულებული დებატების თაობაზე, პრეზიდენტობის კანდიდატებზე, საკუთარ პოზიციებსა და პრიორიტეტებზე. აზრთა დიდი სიჭრელე ქდერდა, თუმცა ამკარად ჭარბობდა კლინტონის სასარგებლოდ გამოთქმული აზრები. ტელერეკონდენტთა

ასაკი დიდ დიაპაზონს მოიცავდა. 13 წლის ბიჭიც კი რეკავდა ტეხასიდან (იგი კლინტონის მომხრე იყო). დებატების წამყვანი ესაუბრებოდა მსმენელებს, ეკითხებოდა, თუ როგორი იყო მათი პოზიცია, რა აზრისა იყვნენ დებატების ფორმატზე, შეიცვალა თუ არა მათი პოზიცია დებატების შემდეგ. დებატების ფორმაზე საერთო აზრი ასეთი იყო: ეს კარგი ფორმაა, ადამიანებს საშუალებას აძლევს პირდაპირ მიმართონ კითხვებით კანდიდატებს. აქვე ხდება კომპიუტერული სტატისტიკური დათვლა კანდიდატების მომხრეების რაოდენობისა და პროცენტულობისა. ყოველივე (კითხვა, პასუხი, შეფასება, კომენტარი) ეკრანზე იწერება. ასევე ტელევიზიით ფასდებოდა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგიც (უკანასკნელნი დებატებს არ ესწრებოდნენ, რადგან ამომრჩევლებს ხვდებოდნენ სხვადასხვა შტატში). მომდევნო პროგრამაში გამოდიოდა ბობ ბარნეტი – კლინტონის 1992 წლის დებატების „მწვრთნელი“ (ასეთი სამსახურიც არსებობს აშშ-ში საარჩევნო კამპანიის დროს).

საარჩევნო პროგრამების კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს ლარი კინგის ეთერში ცოცხლად გადაცემული ინტერვიუები პრეზიდენტობის ყველა კანდიდატთან (რასაც კინგი აკეთებს უკვე 15 წლის განმავლობაში). ინტერვიუებში მონაწილეობდნენ მესამე ბლოკის კანდიდატებიც: როს პერო (რეფორმების პარტია), ჯონ ჰაგელინი (ბუნებრივი კანონის პარტია), ჰოუვარდ ფილიპსი (ტაქსპეიერების პარტია). ამ ფიგურებში ყველაზე კოლორიტული და პათეტიკური პეროა (მასზე მოგვიანებით გესაუბრებით). მიუხედავად განწირულობისა, ყველა ამ კანდიდატს და მათი პარტიების ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს ეძლევათ საეთერო დრო, რათა გააცნონ თავიანთი პროგრამები ამომრჩევლებს.

კიდევ ერთი საარჩევნო გადაცემის სახეობა: სან-დიეგოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეები (ვინც დარბაზში ვერ მოხვდა კენჭისყრის შედეგად) ტელევიზიით ადევნებდნენ თვალს დებატებს. დამთავრებისას ისინი ცალკე დარბაზში მიიწვიეს. დებატების ორგანიზატორები ესაუბრებიან მათ, სთხოვენ აზრი გამოთქვან პრეზიდენტობის კანდიდატებზე, მათ გამოსვლებზე. შედეგი სწორედ ისაა, რასაც დებატების ფორმატი მიზნად ისახავდა: დაეხმარონ ამომრჩევლებს საკუთარი პოზიციის გამოკვეთაში, დაარწმუნონ ნეიტრალურად განწყობილი მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობაში. თვით დებატების ფორმატი, გარდა მისი ფუნქციური დანიშნულებისა, კიდევ ერთხელ ავლენს ამერიკული საარჩევნო სისტემის მობილურობასა და განხილობას; იგი საშუალებას იძლევა დაეხმაროს მსმენელებს (ანუ პოტენციურ ამომრჩევლებს) საკუთარი პოზიციის გარკვევაში და გამოკვეთაში.

**17 ოქტომბრის ადრე დილაა.** წინა დღის დებატების ყურებით დადლილ ამერიკას სძინავს. ვრთავ ტელევიზორს – ბომბის სიძლიერით იფეთქა ახალმა ამბავმა: ელცინმა გაათავისუფლა ლებელი დაკავებული თანამდებობიდან. ტელეწამყვანებს თითქმის დაავიწყდათ წინაღობის საპრეზიდენტო დებატები – აშშ-ს საინფორმაციო საშუალებებს ხომ სენსაცია მართავს. მეც მომეცა მცირე შუალედი ამ მასალის შესაკრებად.

ისევ ვუბრუნდები საარჩევნო კამპანიას. მის ერთერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურად როს პერო იქცა. ეს მულტიმილიონერი ხვდებოდა, რომ გაღებული დიდი თანხა

ვერ მოუტანდა სასურველ გამარჯვებას. წინა არჩევნებში ასეთივე სიტუაციაში მან თავი-სი ხმები კლინტონს გადასცა. ახლა დოულს ჰქონდა პეროსათვის განკუთვნილი ხმების მიღების იმედი, მაგრამ პერომ ამაზე ყველა მოწინააღმდეგეს უარი უთხრა და საკუთარი პარტია დააარსა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე. ყოველ სადამოს გვიან დამემდე გადაიცემოდა მისი გამოსვლა სხვადასხვა არხით. ეს სიამოვნება დამეში 2 მილიონი დოლარი უჯდებოდა. სიმართლეს ამბობდა (ცოტათი ჰიპერტროფირებულს), მაგრამ იმდენად ანჩხლი, სასაცილო, შარჟირებული მანერით, იმდენად დაუღალავი იყო ოპონენტების ლანძღვაში, რომ მისმა გამოსვლებმა უკუშედეგს მიაღწია: მართალია, „პოპულარული“ ხმების 8% მიიღო (დაახლოებით 7 მილიონი ხმა), მაგრამ არც ერთი საარჩევნო ხმა არ მიუღია. ესეც ის პუნქტია, რაც განასხვავებს აშშ-ში არჩევნებს ჩვენი არჩევნებისაგან: ტერიტორიისა და მოსახლეობის სიხშირის მიხედვით სხვადასხვა შტატს საარჩევნო ხმების სხვადასხვა რაოდენობა აქვს, რომლის კვოტა გამოჰყავთ „პოპულარული“ (საერთო) ხმების დათვლის შემდეგ. ამ ხმებს კომპიუტერები თვლიან, და ყოველ 10-15 წუთში ახალი ციფრი და დაზუსტებული შეფარდება იწერება ეკრანზე.

ადრე, როდესაც შვილები სკოლაში სწავლობდნენ, სწავლის პროცესში ვეხმარებოდი, ვაჩვენებდი კითხვას რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული მასალის მომზადება. საინტერესოა, რომ ჩემმა შვილებმა ჯერ რუსულ ენაზე აითვისეს კლასიკური ლიტერატურა – რუსული და ევროპული, შემდეგ კი ქართული ტექსტის კითხვის ჩვევა ქართულ სკოლაში განიმტკიცეს. ამიტომ განათლება უფრო ფართო აქვთ, ვიდრე „საშუალო“ ქართველ ახალგაზრდებს.

თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, არსებითად არც გამაჩნია. ამიტომ „ვინთავისუფლებ“ თავს მეგობრებისათვის. ჩემი ახლო მეგობრების წრეს მეტწილად შეადგენენ ჩემ მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „დიპლომატი“-ს და ჩემის კათედრის წევრები; ვიკრიბებით დიპლომატიურ აკადემიაში, ბინებში ან ხანდახან რესტორანში. ერთ დროს ასეთ ბაზად მშვიდი რესტორანი „საქართველო“ გვქონდა არჩეული. ერთად ყოფნა გვსიამოვნებს – ვერთობით, ერთდროულად კი საქველმოქმედო აქციებს ვგეგმავთ. არაერთხელ დავხმარებხართ ინვალიდ და ლტოლვილ ბავშვებს, მოხუცებს. ნიშანდობლივია, რომ ჩემს მიერ შექმნილ ფონდს დონორი არა ჰყავს. ქველმოქმედება კეთდება ფონდში შესული საწევრო თანხით. მაგრამ ჯობია ჩემს „დასვენებაზე“ არ ვისაუბრო. ისევ საქმიანობის სფეროში გადავდივარ.

ჩემი ჰობია კითხვა, წერა, დიზაინი, ფოტოგრაფია, კოლექციონერობა. მიყვარს თითქმის არაფრისგან მიმზიდველი ნივთის ან კოლაჟის შექმნა. გადასაგდები ნივთებისაგან, ნიქარებისაგან, ხმელი ყვავილებისაგან მიმზიდველ კომბინაციებს ვადგენ. ჩემი იკება-

ნებით და სურათებით მორთულია დიპლომატიური აკადემიის მთელი შენობა. მომსვლელი ხშირად დაბნეულა და უკითხავს, სამხატვრო აკადემიაში ხომ არ მოვხვდით. ადრე კოლექციონერობით ვიყავი გატაცებული, შევაგროვე ჩინურ-იაპონური ნივთების დიდი კოლექცია, ამას დაერთო ბოლო 10 წელიწადში შეგროვებული თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების კოლექცია, რომელიც აგრეთვე აკადემიაშია გამოფენილი – მინდა, სტუდენტები და აკადემიის სკოლის მოსწავლეები ესთეტურ გარემოში იზრდებოდნენ და სწავლობდნენ. მიზიდავს ფოტოგრაფია – შევქმენი აკადემიის სტუდენტების, სტუმრების, საერთოდ საქმიანობის ამსახველი სტენდები, რომლებსაც აკადემიის კედლები ვეღარ იტევს.

ყოველ ქალაქში და კონტინენტზე, სადაც კი ვყოფილვარ, ჩემი პირველი ვიზიტი მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებშია. მიყვარს მუსიკა, ჩემს მეუღლეს ოპერაში შევხვდი პირველად, რაც აგრეთვე ნიშანდობლივია – ორივე ვიყავით გატაცებული კლასიკური მუსიკით. მიყვარს ესტრადაც, განსაკუთრებით რუსული.

მეხსიერება ძალიან ნათელი მაქვს, ამიტომ ის უამრავ საინტერესო ეპიზოდს იტევს. მრავალი საინტერესო, თითქმის დაუჯერებელი შემთხვევა მქონია ცხოვრებაში. ბევრ მათგანს, თითქმის შემთხვევითს, დიდი როლი უთამაშია ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ, ერთს ან ორს ვერ დავასახელებ, მთელი ჩემი ცხოვრება შედგება ძალზე საინტერესო შემთხვევების გრძელი ჯაჭვისაგან.

ბევრი მიმოგზაურია სხვადასხვა კონტინენტზე. ძალიან მიყვარს აღმოსავლეთი, საერთოდ ეგზოტიკური ქვეყნები. ბოლო ეგზოტიკური ქვეყანა ჩემს ნუსხაში ბრაზილია იყო, სადაც მიმიწვიეს ლინგვისტთა საერთაშორისო კონგრესზე. ჩემი ამ ქვეყანაში მოგზაურობა ჟურნალ „პოლიტიკაში“ აღვწერე. მოგზაურობები ინდოეთში, იორდანიაშია თუ ეგვიპტეში, თუმცა ძალზე საინტერესო იყო, არ ამიწერია. სამაგიეროდ ბევრი რამ მაქვს დაწერილი ამერიკის შეერთებულ შტატებზე სხვადასხვა კუთხით, როგორც ამერიკანისტსა და მოგზაურს.

მშობლები აღარ მყავს – დედაც და მამაც სამთო ინჟინრები იყვნენ, თავდადებული, ძალზე მშრომელი ადამიანები, შრომისუნარიანობა, საქმისადმი ერთგულება მათგან მაქვს. ქმარი – პროფესორი სოსო ცინცაძე – კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის, როგორც ძალზე სადი და გამჭრიახი პოლიტოლოგი, პოლიტიკური მიმომხილველი და პროგნოზისტი, ინტელექტუალი. მის გვერდით უფერული, სხვებზე დამოკიდებული და არაინტელექტუალური ქალი დიდხანს ვერ დარჩებოდა.

შვილები კარგა ხანია დამოუკიდებლები არიან. ქალიშვილი, რუსულად, თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან, არის წარმატებული თარჯიმანი-სინქრონისტი. ვაჟი, პაატა – სოციოლოგი და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი – დიდხანს მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. მას მერე, რაც დაქორწინდა და ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობა იგრძნო, მუშაობს უცხოურ კომპანიაში.

ოჯახის წევრების წარმატებით არ ვარ უკმაყოფილო, თუმცა, ყოველთვის მინდა მეტს მიაღწიონ. ასეთია ცხოვრება. ყოველთვის მეტი უნდა გვინდოდეს – მეტი წარმატება, სი-

კეთე, კეთილდღეობა შენთვის, შენი ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, და, არ შემოძლია არ დავამატო, სტუდენტებისათვის, რადგან უკანასკნელნი ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს წარმოადგენენ.

ასეთია ქალბატონი თამარი – პროფესორი, ამერიკანისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, 70 შრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის ავტორი, მრავალმხრივი, ენერგიული, ორიგინალური აზროვნების, დიდი შემოქმედებითი იმპულსის და ფართო ბუნების მქონე პიროვნება.

*ირინა კაშელავა, ჟურნალისტი  
„ასი ქართველი ქალი“, ტომი II, თბილისი, 2004 წ. გვ. 108-111*

## არატიპიური ოჯახის დიასახლისი

„ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნება, თუ მხოლოდ ერთი მიმართულებით დაიხარჯები. ინტერესების სფერო მრავალფეროვანი უნდა იყოს“, – ასე გადაწყვიტა ჩვენმა სტუმარმა ახალგაზრდობისას, და მართლაც, მისი ცხოვრებისეული გზა მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა. საკუთარ პროფესიასაც შემოქმედებითად მიუდგა და დღემდე ცდილობს გაკვალული გზებით არ იაროს.

ჩვენი სტუმარია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ამერიკანისტი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი, თამარ ცინცაძე.

– რასაკვირველია, ჩემი არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს, – მხოლოდ დილა. რაც უნდა გვიან დავიძინო, ძალიან ადრე (ექვსის ნახევარზე, ან უფრო ადრე) ვდგები. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი მოვასწრო დღის განმავლობაში. დროის ნაკლებობას განსაკუთრებით მწვავედ საზღვარგარეთ ყოფნისას ვგრძნობ. ხშირად ქალაქებს დამით ვათვალიერებდი, რაც შეიძლება მეტის ნახვა რომ მომესწრო.

თუ თბილი სეზონია (ჩემთვის კი თბილი სეზონი, დაახლოებით, 6 თვეა წელიწადში), აივანზე ძძინავს. გაღვიძებისთანავე ყოველთვის ვვარჯიშობ, დაახლოებით 20-30 წუთს. ამას მოჰყვება ბინის მოწესრიგება, საკუთარი თავის მოვლა, მეუღლის და შვილის სამსახურში გამგზავრება. თან ყოველივე ძალიან სწრაფად უნდა გაკეთდეს, რადგან 10 საათისთვის ყველანი სამსახურში უნდა ვიყოთ. ძალიან ხშირად, როცა სამუშაო მოზღვავდება, დილის 5-6 საათზე (ნახევარსაათიანი ვარჯიშის შემდეგ) უკვე სამუშაო მაგიდას ვუზივარ და ვწერ.

დიპლომატიურ აკადემიაში ყოველთვის აურაცხელი საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კონტინგენტი არ არის მრავალრიცხოვანი – დაახლოებით 80-100 სტუდენტი. მაგ-

რამ მე, ალბათ, პერფექციონისტი ვარ (ამერიკელები ასე უწოდებენ იმ ადამიანებს, რომლებიც იდეალური წესრიგისკენ ისწრაფვიან). ამიტომ საქმე ყოველთვის ბევრი მაქვს. რასაც პირადად ვერ გავწვდები, საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ სათანადოდ არ არის შესრულებული.

### **– მომთხოვნი ყოფილხართ...**

– უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი. მეცნიერება უდიდეს სიზუსტეს მოითხოვს ადამიანისაგან. ალბათ ჩემში მომთხოვნელობა დისერტაციების და წიგნების წერისას გამოვიმუშავე.

დიპლომატიური აკადემია აქაური კადრებით არის დაკომპლექტებული. ბევრს ძველი ჩვეულებები აქვს შემორჩენილი, ინერციით ცდილობენ სამსახურს რაღაც დააკლონ და მეტი თავისუფალი დრო მოიპოვონ... რამდენადაც ვახერხებ, ვცდილობ თანამშრომლები მუშაობის ევროპულ მოდელზე გადავიყვანო.

### **– ამას შვილებთან თუ მიაღწიეთ?**

– შემიძლია ვთქვა, რომ შვილებს შრომისმოყვარეობა ვასწავლე, განსაკუთრებით გოგონას. ვხედავ, რომ ჩემი ქალიშვილი, რუსუდან კრავეიშვილი ბეჯითია და ზუსტი მუშაობაში. ალბათ ამიტომ არის, რომ თბილისში ერთერთ ყველაზე ძლიერ მთარგმნელ-სინქრონიზატად მიაჩნიათ. როდესაც მსოფლიო ბანკში ან სამთავრობო ორგანიზაციებში სტუმარი ჩამოდის, ხშირად მას იწვევენ. ყველაფერს დრო სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ სტილს კიდევ უფრო დახვეწს (ჩაცმაში გემოვნება შესანიშნავი აქვს).

რაც შეეხება ვაჟს, პაატამ ჯერ თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა (5-წლიანი პროგრამა – 4 წელიწადში), სწავლის დროს უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. იმ წლებშივე, მკაცრი კონკურსის პირობებში, გახდა ერთერთი იმ სამ სტუდენტს შორის, რომლებიც ერთი წლით ამერიკის უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაიგზავნენ. ამის შემდეგ, უკვე ინტერნეტის მეშვეობით, მონტერეის (აშშ) ცნობილ საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში სტაჟირებაზე შეიტანა განაცხადი, და მიიღეს კიდევ. შემდეგ, 1998 წელს დიპლომატიური აკადემიის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის ისიც იყო. დიდი ხანია საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური სამმართველოს ერთერთი დეპარტამენტის უფროსია.

შეიძლება ვინმეს ჩამოუყალიბდეს აზრი, რომ სამუშაოს გარდა არაფერი მაინტერესებს, მაგრამ არა... ვცდილობ, მეგობრებთან მჭიდრო კონტაქტები შევინარჩუნო. თავს ქალად ვგრძნობ, და გარკვეულ დროს საკუთარი თავის მოვლასაც ვანდობებ. ვფიქრობ, არ ვქმნი იმ ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელსაც თავისი გარეგნული იერსახე და გარემო არ ადარდებს.

დიდი შრომა და დრო მოვანდომე ჩემი ბინის საკუთარი გემოვნებით მოწყობას. აქ ყველა ოთახი განსხვავებული დიზაინის არის. მაქვს ჩინურ-იაპონური და აფრიკული ოთახები. უკანასკნელი, ალბათ, ბუნებრივიც არის ჩვენს ოჯახში, რადგან საქართველოში მე ერთადერთი აფრო-ამერიკანისტი ვარ, ხოლო ჩემი მეუღლე – სოსო ცინცაძე – ერთადერთი აფრიკანისტი, გარდა იმისა, რომ ცნობილი პოლიტოლოგია. ამას არასდროს

დავკვირვებივართ, ვიდრე ერთმა უცხოელმა სტუმარმა (რომელმაც ჩვენს საქმიანობასა და ინტერესებში სცადა გარკვევა) არ გამოგვიცხადა, თქვენ ძალიან არატიპური ოჯახი ხართ საქართველოსთვისო. არასდროს მოგვილაპარაკია, რომელს რა თემაზე უნდა გვემუშავა, ინტერესები თავისთავად დაემთხვა, აბსოლუტურად დამოუკიდებელი გზებით მივედით ამ თემებამდე.

### **– როგორ გაჩნდა ჩინურ-იაპონური და აფრიკული კოლექციები?**

– აფრიკული ნივთები ხან მე და ხან ჩემმა მეუღლემ ვაგროვეთ, ნაწილი რუსეთიდან ჩამოვიტანე, ნაწილი სოსომ ჩამოიტანა აფრიკიდან, ზოგიც თბილისში შევიძინეთ, თქვენ წარმოიდგინეთ, მშრალ ხიდზეც კი.

რაც შეეხება ჩინურ-იაპონურს, თავადაც არ ვიცი, რატომ დავინტერესდი. პირველი ჩინური ნივთი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ კიევში შევიძინე. სწორედ მან დაუდო საფუძველი მთელ კოლექციას. თვით ჩინეთის ელჩსაც კი გაუკვირდა, ჩემი კოლექციის სიდიდე, მაგრამ ადამიანი ყველაფრისგან იღლება, და მეც აღარ მინდა უკვე ამ კოლექციის გაზრდა.

ახლა უკვე ახალი ინტერესი გამიჩნდა – თანამედროვე ქართული ფერწერით ვარ დაინტერესებული, მრავალი ტილო მაქვს ბინაში. განსაკუთრებით ბევრი – ლია სვანიძის და მისი ვაჟის ედიშერ ბარამიძის. მაქვს ედიშერის მეუღლის ქეთინო გოგიჩაშვილის ნამუშევრებიც. კოლექცია უკვე დიდია. ნახატები სივრცეს თხოულობს. მჭირდება დიდი დარბაზი, სადაც მხოლოდ ფერწერა იქნება გამოფენილი. ტილოებს ჩემი გემოვნებით განვალაგებდი.

### **– დიზაინი გიზიდავთ?**

– რამდენიმე წლის წინათ ჩემი დიზაინერული მიდრეკილებების გამოსავლენად დამატებითი საშუალება გამომიჩნდა. ერთი პატარა დანგრეული ბინის გარემონტება მომიხდა. ჩემმა ვაჟმა შეგვაშინა, რომ ცოლის მოყვანას აპირებდა. ავფორიაქდით და სასწრაფოდ შევიძინეთ პატარა ძველი ბინა.

ოდესღაც აგარაკზე წაღებული ავეჯით ეს სამი „ოთახი“ სამ სხვადასხვა სტილში მოვანყვე. გამომივიდა თეთრი, ევროპული სტილის საძინებელი, კაკასიური დიზაინის ბუხრიან სასადილოში მოვათავსე ოდესღაც ჩემს მიერ დაღესტნიდან ჩამოტანილი ჯამჭურჭელი და ანიმალისტური ნახატები, რომლებიც ძალიან მოუხდა ამ ძველ ქართულ სტილს. მესამე მოცულობა იქცა ხალიჩებით მორთულ თურქულ-ირანულ ოთახად, სადაც ცენტრალურ როლს ძველი ქართული ხელით ნაქსოვი ფარდაგი ასრულებს (რომელიც, სრულიად შემთხვევით, იაფად შევიძინე ჩემი ნათესავის მეზობლისგან). იშვიათი დიზაინისაა – ფარდაზე აღბეჭდილია ბალიშებზე მიწოლილი ფადიშაჰი, რომელიც ყალიონს აბოლებს. მას ოთხი ქალი ართობს დაირებით და ცეკვით. ყველაფერი ეს ხდება კარავში, რომლის კალთაც გადაწეულია და ყოველივე იქიდან მოსჩანს. მომწონს, როდესაც არაფრისგან რატაცას ვქმნი.

### **– ამდენი ენერგია საიდან მოგდგამთ?**

– ენერგიის დაზოგვა ვერ ვისწავლე. როდესაც რაიმეს ვაკეთებ, ბოლომდე ვიხარჯე-

ბი, არ ვფიქრობ, რომ ენერჯია ხვალაც დამჭირდება. მაგრამ, ეტყობა, ბუნებამ შემინწყობილი, პატარა დასვენებაც კი მყოფნის. დღე-ღამეში, უმეტესწილად, 4-5 საათი მძინავს.

რასაკვირველია, ყოფილა დღეები, როცა სამუშაო თითქმის მიმიტოვებია და მეგობრებთან ერთად სადმე წავსულვარ, მაგრამ ძალიან იშვიათად. ადრე ხშირად დავდიოდით ოპერაში მეუღლესთან ერთად. ახლა ამას ვეღარ ვახერხებთ, მაგრამ ვცდილობ საოპერო ცხოვრების სიანჭლები, თვალთახედვიდან არ დავკარგო.

### **– შვებულებას სად ატარებთ ხოლმე?**

– ბოლო წლებში როგორც ამერიკანისტს წელიწადში ერთხელ მაინც მიწევს შტატებში გამგზავრება. ოქტომბერ-ნოემბერში ყოველთვის იქ ვარ. შტატებში სხვაგვარ საქმიანობას ვეწევი – კონტაქტებს ვამყარებ აკადემიის სამომავლო საქმიანობისთვის ბაზის შესაქმნელად, ან ვმუშაობ რომელიმე კვლევით ცენტრში, ან უნივერსიტეტში, სხვადასხვა კვლევით პროექტებზე, ვკითხულობ ლექციებს.

ძირითადად „ვისვენებ“ აგარაკზე, სადაც ორი კვირით მივდივარ და თან უამრავი მასალა მიმაქვს, რათა ინგლისურენოვანი სპეცურსები მოვაშალო დიპლომატიური აკადემიისთვის ქვეყანათმცოდნეობაში. ჩემი და ჩემი მეუღლის განუწყვეტელი მუშაობით გაბეზრებული შვილების სიტყვით რომ ვთქვათ, მე და ჩემი ქმარი დიდიდანვე ვმართავთ „მცირეშემადგენლობიან სამეცნიერო საბჭოებს“.

### **– როგორ შეაფასებთ საკუთარ განვლილ ცხოვრებას? წარმატებულად?**

– არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამისთვის წარმატების დარქმევა. ჩემი გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, წინააღმდეგობები ხშირად მხვდებოდა. ასეთი ბრძოლები იყო უცხო ენათა ინსტიტუტში, უნივერსიტეტში, სადაც რამდენიმე არაპროფესიონალი ჩემი დისერტაციის „ჩასაგდებად“ შეიკრა – არ სჭირდებოდათ კონკურენტად ახალგაზრდა დოქტორი, ამიტომ დისერტაცია ჭეშმარიტად პროფესიულ გარემოში – მოსკოვის უნივერსიტეტში – დავიცავი.

სუბიექტური ხასიათის სიძნელებები შემდეგაც შემხვედრია. ასე იყო, როდესაც დიდ ბრიტანეთში სტაჟირებაზე დავაპირე წასვლა. იგივე განმეორდა შტატებთან დაკავშირებითაც... შურიან ხალხს რა გამოლევს. იმის მაგივრად, რომ თვითონაც იმუშაონ, სხვის მიღწევებს ებრძვიან. ჩვენში ბევრი სხვისი დახმარებით იკაფავს გზას. შრომას პატივს ნაკლებად სცემენ. მაგრამ მოდის დრო, როდესაც იმდენი ძალა მოიკრიბე, რომ უკვე შენს ძალას სცემენ პატივს. მაგრამ ამას დიდი დრო და ენერჯიის ხარჯვა სჭირდება.

### **– რა როლი გაკისრიათ როგორც დიპლომატიური აკადემიის პრორექტორს?**

– კარგია, როდესაც საკუთარ თავს მწვერვალზე ასულს ხედავ, მაგრამ მე აკადემიის (თუ მას პირამიდად წარმოვიდგენთ) საფუძველში, საძირკველში ვხედავ საკუთარ თავს, იქ, სადაც შავი სამუშაო კეთდება აკადემიის სამომავლო ზრდისათვის. სოსოსთან ერთად დიპლომატიური აკადემიის სათავეებთან ვდგავარ. ბევრი მუშაობა დაგჭირდა, რომ ამ სასწავლებელს დღევანდელი სახე და დონე ჰქონოდა. კადრების შერჩევა, ახალი საგნების შემოტანა, ინგლისურენოვანი სპეცურსების შექმნა, საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, მათი სასწავლო პროცესში ჩართვა,

სტუდენტების სტაჟირება საგარეო საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ საზღვარგარეთ – ყოველივე ეს დიდ დროს თხოულობს.

ჩემი ამერიკული ვოიაჟებიც აკადემიის ზრდას ემსახურება – საჭირო ურთიერთობებს ვამყარებ, უახლესი ლიტერატურა ჩამომაქვს და ასე შემდეგ. დიდი დრო მეხარჯება დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობაზე. იმას მივალწიეთ, რომ დიდი ქვეყნების ელჩები ჩვენთან თანამშრომლობაზე დიდი სიხარულით თანხმდებიან, და ზოგჯერ კი ისეთი ქვეყნის ელჩი იკავებს თავს, რომლის ქვეყანაც თითქმის არაფერს წყვეტს მსოფლიო პოლიტიკაში ან რუკაზეც არ ჩანს... იცის, რომ თავის ცნობილ კოლეგებს ვერ უტოლდება. ელჩების ვიზიტები მრავალმხრივ ცოდნას სძენს სტუდენტებს.

### **– აკადემიას ყოველი სტუდენტი ამთავრებს თუ?**

– ვინც მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს – ირიცხება. ზოგჯერ ეს ფინანსების უქონლობის გამო ხდება, ზოგჯერ იმიტომ, რომ სტუდენტი ისე ვერ სწავლობს, როგორც საჭიროა. მაგრამ ძალიან ნიჭიერი სტუდენტი უფინანსობის გამო არ დაგვიკარგავს. ჩვენ თვითონ ვართ დაინტერესებული, რომ ის ჩვენი დიპლომის მფლობელი იყოს. კარგი სპეციალისტი რომ ჩვენი გაზრდილია, ეს ჩვენი რეკლამაა. ჩვენს მიერ ასეთი კარგი შედეგის მიღწევა ღირდა იმად, რომ დიპლომატიური აკადემია ჩემი ცხოვრების დიდ (თუმცა არა ერთადერთ) ნაწილად იქცა.

*ინტერვიუ აიღო თამუნა შალაშბერიძემ  
„დილის გაზეთი“, 14. 10. 2000*

## **«Портрет в интерьере»:**

### **Тамара (Тамрико) Цинцадзе – «Её дела – её богатство»**

Признаться, пришлось немного поволноваться перед очередной встречей с респондентом. Я писала об актерах, писателях, спортсменах, учителях, колоритных жителях Тбилиси, но беспокойства от неопределенности не испытывала. А тут предстояла беседа с деловой, серьезной женщиной, чья деятельность много лет была связана с дипломатией – немного чуждой для меня профессией.

Но напряжение и тревожное чувство сразу исчезло, как только познакомилась с ней. Даже больше: пожелала себе иметь побольше таких общительных, словоохотливых, интересных собеседников. Поэтому с большим удовольствием представляю читателям профессора-американиста Тамару Цинцадзе. Она – одна из основателей Дипломатической Академии Грузии и ее многолетний проректор. А также основатель благотворительного «Ротари Клуб Тбилиси Академия»; Общества дружбы между Грузией и Китаем, член Международной женской Ассоциации.

Помимо общественной и научно-преподавательской работы Тамара занимается культурной деятельностью. Она – основатель художественной галереи и культурно-просветительского центра «Тамариси». Именно там состоялась наша первая недолгая встреча, во время посещения одного из многочисленных мероприятий, проводимых в этой галерее. Даже этого кратковременного знакомства оказалось достаточно, чтобы увидеть в ней человека с большим интеллектом. А в том, что внешне обаятельная женщина является личностью с широкой и доброй душой, тонким вкусом, разнообразными интересами и богатым опытом, уверилась после второй встречи в более спокойной, домашней обстановке, когда смогла внимательно осмотреть ее необыкновенную коллекцию (Тамара коллекционирует картины, произведения прикладного искусства) и поговорить по душам, не думая о том, что передо мной сидит женщина с дипломатическим опытом, и мне не следует применять дипломатические ходы в разговоре с ней. Так как Тамара не слишком распространялась о своих биографических данных, оставила за собой право вкратце представить их.

Тамара – известная в обществе как Тамрико – родилась в смешанной семье. Мать – грузинка (Болквадзе) – была горным инженером, так же как и отец – поляк, потомок известного польского классика Генриха Сенкевича. По счастливому стечению обстоятельств их судьбоносная встреча произошла на Украине, во время прохождения практики. Результатом же этой встречи явилась красивая, умная, энергичная Тамрико.

После окончания Института иностранных языков им. И.Чавчавадзе Тамара несколько лет работала там же, на кафедре. Затем прошла стажировку в крупнейшем университете Лидса (Великобритания), а также в крупнейших университетах и исследовательских центрах США. Работала научным сотрудником в Кеннановском институте и Колумбийском университете (США), закончила высшие аспирантские курсы, защитила сначала кандидатскую, затем докторскую диссертации в МГУ по афро-американской литературе и культуре, в том числе и по культуре и литературе колоритного Гарлемского Ренессанса. Ее статьи на русском, грузинском, английском и украинском языках об американской культуре, социальной ситуации, истории, великих мировых писателях и деятелях печатались и печатаются в разных изданиях как в Грузии, так и за рубежом. Одним из значительных этапов в ее биографии следует считать многолетнее руководство Дипломатической Академией. Вглядываясь в красивое лицо Тамары, позволила себе некоторый комментарий относительно выбора профессии: «Вам бы с такой внешностью в кино сниматься...» Тамара улыбнулась: «Было и такое. Нана Джорджадзе снимала фильм и пригласила меня на роль героини. Приглашение соблазнительное – прельщало, но, следуя советам мужа, я отказалась. Впоследствии в этом фильме снялась Софики Чиаурели. Так, не начавшись, закончилась моя «кинокарьеря».

К сведению: муж Тамары – известный эксперт-политолог Сосо Цинцадзе, которому принадлежит идея создания Дипломатической Академии, но об этом расскажем позднее. А пока выясню, почему Тамара избрала профессию специалиста английского языка. «Потому, что очень увлекалась языками и искусством. Перед поступлением в институт занималась у замечательного педагога Нателы Кешелава. Это ее заслуга и еще тех необыкновенных



преподавателей института – Петровой, Арманд, Топуридзе, Лозовой,- что я в совершенстве владею языками, знаю литературу и культуру многих стран. Но я считаю, что ни один, самый лучший педагог не научит ученика всему, если у него самого нет внутренней готовности и потребности стремиться к совершенству». Эту черту характера Тамара проявила и проявляет во всех сферах своей деятельности.

Мы вначале отметили, что одним важным и значительным этапом в ее жизни была Дипломатическая Академия. Наша беседа началась – и продолжалась довольно долго – с истории создания этого замечательного учебного заведения. «Хотя инициатива создания принадлежала моему мужу, претворяли ее в жизнь я и мои коллеги. Сосо – большой интеллект, с прекрасным знанием дипломатии и международных отношений, но все, что следовало сделать для нормального функционирования учебного заведения, решение всех организационных вопросов, легло на наши плечи. Мне приятно сознавать, что основное богатство, которое мы создали за многолетнюю деятельность – это наши выпускники. Дипломатическая Академия открылась при участии тогдашнего министра иностранных дел Александра Чикваидзе, и первые годы функционировала в здании МИД Грузии. Это было единственное учебное заведение, работавшее в этом здании. Недавно я узнала, что Дипломатическая Академия ранее была известна как Академия послов. Сейчас наши выпускники разбросаны по всему миру: кто работает в посольствах и консульствах разных стран и здесь, в Грузии, кто – в МИД или других Министерствах, на ответственных должностях, некоторые являются депутатами парламента. В Академии преподавали самые видные деятели науки, ученые-специалисты по разным дисциплинам. В преподавательском составе, в общей сложности, числились 24 академика. Еженедельно со студентами встречались представители посольств и международных организаций, что давало будущим выпускникам возможность приобрести богатый опыт и применить его в будущей деятельности. Мы тесно сотрудничали с послами разных стран, многим из которых впоследствии были присуждены дипломы Почетного Доктора Дип.Академии. Словом, работали, не щадя сил. И студенты учились с большим энтузиазмом. Дипломат должен в совершенстве знать все не только о стране, которую представляет, но и о странах всего мира, быть в курсе дел, событий, изучать их культуру, историю, географию, политику. Тут одним блестящим знанием языков не обойдешься. Вот мы и старались, чтобы наши выпускники не ударили лицом в грязь лицом».

Мы отметили, что Академия несколько лет функционировала в здании МИД. Впоследствии она переехала в собственное здание. Но, к сожалению, из-за неадекватной политики тогдашнего министра образования К. Ломая в оценке учебного заведения, исходившего из количества квадратных метров занимаемой площади, руководство Академии вынуждено было перевести факультет международных отношений в другое учебное заведение. В данный момент правопреемником Дипакадемии является учебно-образовательная структура «Дипломатическая академия и школа», основанная Тамарой.

Эта энергичная, активная женщина не без основания вправе считать, что внесла значительный вклад в воспитание и становление большого числа сегодняшних дипломатов Гру-

зии. Не думайте, что только работой в Академии ограничивалась ее деятельность. В жизни Тамары было одно очень интересное увлечение. Долгие годы она собирала произведения искусства как любитель – нравилось приобретать красивые вещи.

«Первый красивый предмет – китайский сервиз – купила, находясь в Киеве, еще будучи ученицей-десятиклассницей. Очень уж понравился – утонченный, оригинальный. Я не думала, что это начало нового, длительного увлечения. Потом моя польская бабушка оставила в наследство несколько старинных китайских предметов. Чем дальше, тем больше стала увлекаться. Увижу где-то красивую безделушку – покупаю. Прошла по Сухому мосту, нашла медный кувшин или старинную вазу – принесла домой. Я часто разъезжала, и каждый раз привозила заморскую вещь, какой-нибудь антиквариат. Больше всего интересовалась восточным искусством. Китайская, японская, иранская культуры привлекали изысканностью, оригинальностью. Не могла равнодушно пройти мимо картин – будь то произведения известного или неизвестного художника. Если нравилось, последние деньги могла истратить. Но, говоря по правде, интерес к коллекционированию картин более конкретно проявился после одного случая. Моя близкая подруга, заслуженный художник Грузии Лия Сванидзе, уехала за границу, здесь осталась семья ее сына, тоже художника Эдишера Барамидзе. Часть картин Лия забрала с собой, но большая часть осталась в доме».

Потом от Тамары я услышала историю, после которой еще больше уверилась в благородстве души этой необыкновенной женщины. «Однажды позвонила Лия и попросила, что семья Эдишера очень нуждается и может подруга поможет ему продать картины. А было это в 90-х годах. Кого попросишь купить? Подумала: куплю сама одну-две, и пошла к Эдишеру. Действительно, купила картины Лии, но они были настолько прекрасны и запали в душу, что я не смогла удержаться и постепенно, в течение нескольких лет, начала покупать сначала Лиины, а потом уже и картины Эдишера. У него были фантастические, оригинальные картины, выполненные в очень необычной манере, с применением смешанной техники. Я помогла ему устроить персональную выставку. Семья наконец-то смогла встать на ноги, перевести дух. Но неожиданно Эдишер скончался в возрасте 52 лет. К тому времени во мне уже проснулся заядлый коллекционер, но моя квартира уже не вмещала всех картин. Стала думать о создании выставочного зала – это было бы самым лучшим, что я могла бы сделать в память об этом прекрасной художнике. Вместе с тем познакомила бы посетителей с творчеством Лии Сванидзе».

Тамаре удалось построить просторную галерею, и в 2011 году галерея открылась экспозицией 250 картин Лии, Эдишера и его жены, также художницы Кети Гогичашвили. В галерее также выставлены и интересные серии немецких художников Макса Тилке и Оскара Шмерлинга («Старый Тифлис»), коллекция персидских миниатюр, антикварной мебели и вещей, металлических изделий, костюмы и утварь народов Кавказа. «Все, что я собирала в течение многих лет, выставила на всеобщее обозрение в двух помещениях – в своей квартире и галерее».

Я была свидетелем этой необыкновенной коллекции, и, честно скажу, глядела, открыв от

изумления рот, на экспонаты – начиная с картин до китайских кимоно. Тамара рассказала, что раньше большая часть картин висела в Дипломатической Академии, и студенты работали в художественно оформленных аудиториях, что немало способствовало их эстетическому воспитанию, развитию художественного вкуса. Одновременно доставляло удовольствие и посещавшим Академию гостям.

«Приглашая в Академию иностранных дипломатов, я считала нужным подарить им картины, чтобы они напоминали им о Грузии. Если бы не это, в галерее было бы намного больше картин. Я много лет получаю удовольствие от них, но, думаю, пришло время отказаться от части коллекции ради того, чтобы они помогали людям, нуждающимся в помощи. Раньше, покупая картины, я помогала семье художников пережить тяжкие времена. Сейчас, если продам, все поступления будут отчислены дому престарелых, детям с ограниченными возможностями, детским домам и, конечно, семье скончавшегося художника Э. Барамидзе, в которой растут трое его внуков».

Благотворительностью Тамара занимается уже давно. Осуществляет ее основанный ею в 2009 году «Ротари Клуб Тбилиси Академия». Этот благотворительный клуб – часть всемирно известной системы Ротари Интернейшнл. По всему миру таких клубов более 35 тысяч. Что касается галереи «Тамариси», здесь проводятся лекции для студентов по литературе, искусству, международным отношениям, встречи с деятелями культуры, интересными людьми. Двери галереи открыты для всех желающих представить свое творчество, рассказать о новых проектах.

Еще одна сфера деятельности Тамары – Общество Дружбы между Грузией и Китаем. Она – член Международной женской Ассоциации, занимающейся благотворительностью. У нее тесные и дружеские связи с посольством Китая в Грузии. Общество занимается популяризацией различных областей китайской культуры – древней и новой. Недавно общество отметило десятилетний юбилей. Вот на этом юбилейном вечере я тогда и присутствовала вместе с представителями посольств, пришедших поздравить основателя и членов общества. Тогда я впервые встретила Тамару Цинцадзе. Все, кто посещал или посетит в дальнейшем галерею «Тамариси», вправе выразить свое мнение. От себя лично могу констатировать бесспорный факт, что самым необыкновенным «экспонатом» (надеюсь, Тамара простит мне это сравнение) в этой галерее является женщина, которая поражает всех своим богатым воображением, знаниями, оптимизмом, утонченным вкусом, женским обаянием, энергичностью, открытостью и благородной душой, и живет по принципу: «Что отдал – богаче стал, что сберег – то потерял». Мне остается лишь добавить ее слова-призыв: «В Грузии и за ее пределами много людей, любящих искусство и способных помогать ближнему. Пусть искусство и, в частности, моя коллекция, не только исполнят эстетическую функцию, но и будут источником помощи нуждающимся».

*ДОДО АХВЛЕДИАНИ*

*Газета „Тбилисская неделя“, №17, 2019*

## „Не делай другому того, чего не желаешь себе“

Встреча в Пекинском аэропорту преподнесла Тamar Цинцадзе приятный сюрприз: среди встречающих — представителей китайской стороны и грузинского посольства в Китае во главе с послом Михаилом Уклеба был в недавнем прошлом её стажёр, а в настоящее время секретарь посольства Арчил Сохадзе. Делегация прибыла в Китай на международный форум женщин-президентов. Грузию (вместе профессорами Русудан Лорткипанидзе и Гиули Аласания) представляла проректор Дипломатической Академии, доктор филологических наук, единственный в Грузии специалист в области афро-американистики, профессор Тamar Цинцадзе.

**— Калбатано Тamar, впервые слышу о таком международном форуме. Неужели в мире так много женщин-президентов или имеются в виду вовсе не руководители государств?**

— В Китай были приглашены президенты-руководители высших учебных заведений, встреча с которыми помогла бы расширить представления об организации учебного процесса, обогатить знания, перенять их опыт, накопленный за годы работы. Сразу и с большой благодарностью скажу, что нашу делегацию пригласил в Пекин посол КНР в Грузии господин Ван Кай Вен.

**— Кто вошёл в состав делегации?**

— От Университета социальных наук в форуме участвовала проф. Гиули Аласания; Тбилисский гос. университет представляла Русудан Лорткипанидзе, от Дипломатической Академии была я.

**— Судя по тому, что я уже слышала, это была интересная поездка.**

— Необыкновенно. Поверьте, мне и всем остальным членам делегации не впервые довелось участвовать в форуме высокого ранга, но этот был особенный — и по настрою, и по части организации. Организаторы сделали всё, чтобы за сравнительно короткий срок (с 16 по 25 августа) участники обменялись опытом и идеями в области образования, заключили контракты и отлично отдохнули, познакомившись с удивительной страной Китаем, её гостеприимным, талантливым и трудолюбивым народом.

**— Попали в необычный мир?**

— Волшебный, не всегда понятный и предсказуемый, но неизменно доброжелательный. Это ощущалось во всём и подчёркивалось теми, с кем пришлось встречаться: с руководством страны, с организаторами форума, с простыми людьми...

**— Говорят, китаец дальше улыбки к себе не подпускает.**

— Я также слышала эту поговорку, но улыбки были очень искренними.

**— Давно мечтаю посетить эту древнюю страну.**

— Для меня Китай всегда был чем-то особым, словно когда-то, в другой жизни я уже была там, будто моим домом была пагода, вокруг неё в зелёном саду цвели диковинные

растения... Ещё будучи школьницей, я случайно купила в Киеве китайскую деревянную статуэтку. С тех самых пор, где бы ни была, — в Америке или странах Европы, привожу китайский фарфор, керамику, гобелены, картины. Собираю прозу и поэзию, словом, всё, что связано с этой страной.

— **Коллекционирование стало вашим хобби?**

— Не считите за нескромность, но господин посол, побывав однажды у меня дома, был несказанно удивлён и количеством собранных предметов, и подбором домашней экспозиции.

— **В Китае удалось её пополнить?**

— Естественно. Но ценнее всех приобретений были встречи в Поднебесной, экскурсии, которые устроили нам гостеприимные хозяева. Мне даже трудно остановиться на какой-нибудь одной, рассказать о тех впечатлениях, которые получили мы, поднявшись на Великую китайскую стену, или от прогулки на речном трамвае вокруг древнего города Сучжоу.

— **В Сучжоу, если мне не изменяет память, есть музей шелкового производства?**

— И музей, и институты по производству шелка. Приезжим показывают деревни, где разводят коконы шелкопряда и, конечно, предлагают купить понравившееся изделие.

— **Не сомневаюсь, что показали вам и „Запретный пурпурный город“ в центре Пекина.**

— Это чудо из чудес. В строгом порядке за крепостной стеной расположились величественные павильоны, дворцы — резиденции нескольких поколений китайских императоров. Между ними — зелёные оазисы, парки камней.

— **Всё сохраняется, оберегается от разрушения?**

— Китайцы верны советам мыслителя Конфуция: „Лишь помня прошлое, можно понять будущее“ или такую истину: „Не делай другому того, чего не желаешь себе“.

— **Где проходил высокий форум?**

— Во Дворце съездов в Пекине. Делегатов было свыше 400 человек из 80 стран мира.

— **Хватало при такой нагрузке времени на встречи с соотечественниками, имею в виду сотрудников посольства?**

— Они постоянно были рядом.

— **Есть ещё один вопрос, который хотелось бы вам задать: в состав делегации входила профессор Гиули Аласания, мать президента Грузии. Говорят, что она в общении весьма сдержанна...**

— Госпожа Гиули в высшей степени интеллигентная, мягкая и простая женщина. Не впервые нам пришлось вместе работать, и всякий раз я поражаюсь её энергии, живому интересу к происходящему. То же самое хочу сказать обо всех членах нашей небольшой делегации.

— **На одной из фотографий вы и госпожа Гиули трудитесь „в поте лица“, сажаете дерево.**

— О „поте лица“ несколько преувеличено, но мы действительно посадили деревья в университетском саду города Нанкин. Студенты привязали к ним таблички, свидетельству-

ющие о том, что в Китае у каждого из нас уже есть своё дерево.

— **Прошедший форум чрезвычайно интересен, но участие в международном конгрессе для вас, известного учёного, дело не новое. В каких странах вы успели побывать?**

— Перечислять долго. Это и США, и Англия, и Франция... Лучше остановлюсь на Индии, куда я совсем молоденькой поехала на международную выставку, была переводчиком в павильоне „Советская Грузия“. Потом были не только выставки, но и долгосрочные командировки, работа в фондах знаменитых библиотек, таких, как библиотека конгресса США.

— **Как вы всё успеваете, оставаясь при этом светской дамой, всегда подтянутой и молодой?**

— Работа, работа и работа... Никогда не останавливаюсь...

— **Вы — проректор Академии, её душа и движущая сила. Скажите пару слов о своём детище.**

— Дипломатической Академии 11 лет. Преподают в ней известные учёные. Каждую среду мы устраиваем День посла. Послы, аккредитованные в Грузии, читают студентам лекции о своей стране.

— **Часто удаётся посылать студентов на стажировку за рубеж?**

— Довольно часто. Многие из лучших наших студентов учились в Англии, США, Турции, России...

— **В Пекине вас встречал стажёр академии Арчил Сохадзе — ныне секретарь посольства Грузии в Китае. Где ещё работают ваши выпускники?**

— О, это длинный список. Назову по памяти: Польша и Прибалтика, Армения и Бельгия, Россия и Норвегия, страны Средней Азии. Список можно продолжить.

— **Спасибо за беседу. Желаю вам дальнейших поездок и встреч не менее интересных, чем те, что были недавно в Поднебесной.**

*Беседу вела ЕЛЕНА ОРАГВЕЛИДЗЕ  
Газета „Вечерний Тбилиси“, октябрь, 2006 г.*

## На всемирном форуме в Китае

### ЖЕНЩИНЫ В РУКОВОДСТВЕ ОБРАЗОВАНИЕМ

Грузинские представители приняли участие в работе III Всемирного форума женщин-руководителей высших учебных заведений, который состоялся в Китае. О том, как проходила встреча и чему она была посвящена, корреспондент „Аиф-Тбилиси“ попросил рассказать участницу форума, проректора Дипломатической Академии Грузии, профессора Тамару Цинцадзе.

— Форум — сказала она — проходил по инициативе китайской стороны. Это была масштабная встреча, на которую съехались женщины-руководители вузов со всех континентов, почти из ста государств. Впрочем, участвовали в ней и мужчины, поскольку на форуме рассматривались не специфические женские проблемы, а вопросы, связанные с развитием системы высшего образования в отдельных странах, регионах и в мире. Грузию, наряду со мной, представляли ректор Университета социальных наук Манана Санадзе, ее коллеги по вузу Гиули Аласания и Георгий Глonti и бывший ректор Тбилисского госуниверситета Русудан Лорткипанидзе.

— **Но Русудан Лорткипанидзе ко времени начала форума не руководила ТГУ.**

— Но она исполняла обязанности ректора, когда получила приглашение на эту встречу. Позднее она пыталась отказаться от участия в ней, однако китайская сторона настояла на ее приезде. Вообще, подготовка к форуму началось за много месяцев до его открытия. Мы переписывались по электронной почте, согласовывали состав делегации, темы наших докладов. Кандидатуры грузинских участников поддержало посольство Китая в Грузии. Вообще, все, что касается организационных вопросов как на подготовительном этапе, так и на стадии проведения форума, было решено на „пять с плюсом“. Делегатам были созданы все условия для полноценной работы и интересного отдыха. Последняя составляющая была особенно приятной, потому что организаторы предусмотрели культурную программу, которая позволила нам познакомиться с Китаем настолько, насколько это вообще было возможно за неделю. Мы также получили представление о положении в области высшего образования в Китае, побывали, кроме Пекина, где открылся форум, еще и в Нанкине, Суджоу, Шанхае.

— **Какие проблемы рассматривались на встрече?**

— Это очень широкий круг вопросов, связанных с развитием системы народного образования в локальном и глобальном масштабах. В эпоху стремления мира к глобализации, которая является объективным процессом независимо от того, нравится он нам или нет, встает проблема унификации образования в хорошем значении этого слова. Нужно, чтобы диплом, полученный, скажем, выпускником Дипломатической Академии Грузии, был и по форме и по содержанию универсальным. Под содержанием я подразумеваю сумму знаний, освоенных молодым специалистом, которая дала бы ему возможность с одинаковым успехом работать по избранной специальности и на родине, и в любой другой точке мира. В прозвучавших на форуме докладах, в дискуссиях участники делились опытом, рассказывали о положении дел в своих странах и регионах, намечали планы на будущее.

— **Какой была тема вашего доклада?**

— „Роль женщины-руководителя в высшем образовании“.

— **Вы считаете, что у женщины в этом случае какая-то особая роль, отличная от той, которую играет руководитель-мужчина?**

— Я считаю, что существует особый женский взгляд, как, впрочем, и особый мужской. Повышая роль женщин в организации образовательного процесса, мы даем дополнительный стимул его развитию. Я и раньше придерживалась такого мнения, а встретившись в Ки-

тае с коллегами из разных стран, убедилась в его правоте. Мы продолжаем активно переписываться, обмениваемся мнениями, возникли интересные идеи относительно возможного сотрудничества, которые, надеюсь, будут реализованы.

**— А как делегаты проводили свободное время, помимо участия в культурных мероприятиях, предусмотренных программой?**

— Его почти не оставалось. Скучать не приходилось, это — точно. Я с детства увлекаюсь Китаем и Японией, собираю предметы, связанные с этими странами. Поэтому мне там было интересно всё. С благодарностью вспоминаю тепло и внимание, которым окружили нашу делегацию сотрудники посольства Грузии в Китае во главе с послом Михаилом Уклеба. Мне приятно было встретиться с бывшим стажером нашей Академии Арчилом Сохадзе, который сейчас работает первым секретарем посольства Грузии в КНР. А на днях на приеме в посольстве Китая в Грузии я узнала, что выпускница магистратуры Дипломатической Академии Нино Какиашвили прошла серьезный конкурс и принята на работу в это посольство. У меня есть основания гордиться и другими нашими выпускниками.

**— Недавно Дипломатическая Академия Грузии отмечала своё десятилетие.**

— Относительно недавно. Нынешний учебный год для нашей Академии — двенадцатый. Мы готовим выпускников по двум специальностям — „международные отношения — дипломатия“ и „международное право“. При Академии работает средняя школа, где преподают наши профессора. А скоро откроется субботняя и воскресная школа.

*Беседа записана сотрудником редакции  
Газета „Аргументы и факты“, №40, 2006 г.*





# ნაწილი მესამე

სტატიები ჩემს მიერ შერჩეულ კოლექციებზე



## ერთი კოლექციის ისტორია

ბევრი რამ ცხოვრებაში ხდება დაუგეგმავად, თითქოს შემთხვევით, ისეთი მოვლენებიც, რომლებიც შემდგომ საგრძნობ კვალს ტოვებენ თქვენს ცხოვრებაში. ახალგაზრდობიდანვე მიდრეკილებას ვიჩენდი ლიტერატურასა და ხელოვნებისადმი. პირველი გამოვლინდა იმაში, რომ ვსწავლობდი უცხო ენებისა და მსოფლიო ლიტერატურის ფაკულტეტზე, მეორე - ლტოლვა ხელოვნებისადმი - ვლინდებოდა იმაში, რომ ვაგროვებდი ფერწერის და სახვითი ხელოვნების ალბომებს, აგრეთვე წიგნებს ხელოვნების თეორიის შესახებ. მაგრამ რაღაც მომენტში ხელოვნებისადმი ინტერესმა შეიძინა უფრო კონკრეტული ფორმა.

დიდი ხნის განმავლობაში ვმეგობრობდი მხატვარ და პოეტ ლია (ლილია) სვანიძესთან, რომელიც 30 წლის წინ გაემგზავრა ევროპაში, დასახლდა ჰოლანდიაში და იქ გათხოვდა.

გავიდა დრო. ერთ დღეს მისმა ვაჟმა მხატვარმა ედიშერ ბარამიძემ დამირეკა და მითხრა, რომ მისი ოჯახი დახმარებას საჭიროებდა. ხომ არ შეგვეძლო მე ან ჩემს მეგობრებს დედის ან მისი სურათების შექმნა?

ბუნებრივია, უშუალოდ იქნებოდა მიმემართა მეგობრებისათვის - 90-იანი წლები იყო. რადგან ლიასთან ვმეგობრობდი, ჩავთვალე თავი მოვალედ წავსულიყავი ედიშერთან, ვიფიქრე, 1-2 სურათს შევიძენ. ედიშერმა დედის სურათები მაჩვენა. რამდენიმე შევიძინე. მაგრამ ედიშერი განაგრძობდა რეკვას. ალბათ, ჩემშიც კოლექციონერმა გაიღვიძა. თითქმის ყოველ კვირას მომქონდა სახლში ლია სვანიძის სურათი.

ასე გაგრძელდა 1-2 წელი. ედიშერმა გაარემონტა ცუდ მდგომარეობაში მყოფი ბინა, ოჯახმა სული მოითქვა. როდესაც ლია სვანიძის სურათების კოლექციამ გადმოინაცვლა ჩემს ბინაში, ედიშერმა, რომელსაც არ უნდოდა ერთადერთი მუდმივი კლიენტის დაკარგვა, შემომთავაზა თავისი სურათები. დავაკვირდი და გაკვირვებით აღმოვაჩინე, რომ იგი ძალიან საინტერესო მხატვარია, ფერის მშვენიერი შეგრძნებით, მდიდარი წარმოსახვის უნარით. ედიშერი იყენებდა, ტრადიციულის გარდა, შერეულ ტექნიკას, ეძებდა გამონახვის ახალ გზებს. რადგან ოჯახს ჭირდებოდა დახმარება, მე განვაგრძობდი ედიშერის სურათების შექმნას. მისი მეუღლე ქეთინო გოგიჩაშვილი, რომელიც პროფესიით მხატვარი არ არის, ქმნიდა კოლორიტულ ნატურმორტებს, რომლებმაც აგრეთვე გაამდიდრა ჩემი კოლექცია.

სურათების შექმნის პროცესი გაგრძელდა 13-14 წელიწადს. ჩემი ბინა ვერ იტევდა ყველა ამ სურათს და მე გადავიტანე მთელი კოლექცია დიპლომატიურ აკადემიაში, რომლის ერთერთი დამფუძნებელი ვიყავი და პრორექტორიც. ამგვარად, სტუდენტები მუშაობდნენ მხატვრულად გაფორმებულ აუდიტორიებში. ედიშერი ძალიან ნაყოფიერი მხატვარი იყო, ამიტომ მქონდა შესაძლებლობა მეჩუქებინა მისი სურათები საქართველოში აკრედიტებულ ელჩებისათვის, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ დიპაკადემიას და მის

სტუდენტებს. ამგვარად, ედიშერ ბარამიძის სურათები დაცულია მრავალ კერძო კოლექციამი საზღვარგარეთ და რამდენიმე მეგობართან საქართველოში. შარშან სიამოვნებით გადავეცი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს კახა ცაბაძეს მისი მამის, კომპოზიტორ გოგი ცაბაძის შესანიშნავი პორტრეტი ლია სვანიძის შესრულებით. ლია სვანიძის ყოფილ მეუღლეს დავით ჩუბინიძეს გადავეცი ლიას მიერ შესრულებული მისი პორტრეტი. ლიას და ედიშერის სურათების ნაწილი ჩემი ამერიკელი მეგობრების ოჯახებშიცაა.

ედიშერმა, რომელსაც ბოჰემური ცხოვრება უყვარდა, ღვიძლი დაიზიანა და 10 წლის წინ გარდაიცვალა. ჩავთვალე, რომ მოვიდა დრო ჩემი კოლექციისათვის საგამოფენო დარბაზი შემექმნა. ეს საუკეთესო რამ იქნებოდა, რითაც მის ხსოვნას მივაგებდი პატივს. და მე შევქმენი ასეთი დარბაზი- დიდი გალერეა, რომელშიც მოვათავსე ლია სვანიძისა და ედიშერ ბარამიძის კოლექცია. ძალიან მიმზიდველ, მაღალ, შზით განათებულ დარბაზში, საინტერესო ექსპოზიციამი განთავსებულია ედიშერ ბარამიძის ეგზოტიკური სურათები, შესრულებული სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკით და სავსე მოულოდნელი გადაწყვეტილებებით. იქვე კიდია დამსახურებული მხატვრის ლია სვანიძის ნატიფი გრაფიკა და რომანტიკული ზეთით ნამუშევრები. აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროები, რომლებიც მშვიდობიანად თანაარსებობენ ერთ სივრცეში.

მრავალი წელია ვღებულობ სიამოვნებას ამ სურათებისაგან. მაგრამ, ვფიქრობ, დრო მოვიდა განვასხვისო კოლექციის ნაწილი იმისათვის, რომ მიღებული თანხა ემსახუროს საზოგადოებას, ადამიანებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. როდესაც ვიძენდი სურათებს, მე ვეხმარებოდი მხატვრების ოჯახს მათთვის მძიმე პერიოდში. ახლა კი, თუკი სურათების ნაწილი გაიყიდება, შემოსული თანხით დავხმარებით უნარდაქვეითებულ ბავშვებს, მოზუცებულთა სახლს, გარდაცვლილი მხატვრის ოჯახს, რომელშიც მისი 3 შვილიშვილი იზრდება.

საქართველოში (და მის საზღვრებს გარეთ) ბევრია ადამიანი, ვისაც უყვარს ხელოვნება და სურს სხვისი დახმარება. ხელოვნების მოყვარულებს და 2009 წელს ჩემს მიერ დაარსებული საქველმოქმედო „როტარი კლუბი თბილისი აკადემია“-ს (მსოფლიოში კარგად ცნობილი როტარი ინტერნეიშენელის ნაწილს) შეუძლიათ გააერთიანონ ძალები საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

გთხოვთ დამიკავშირდეთ. დაე ხელოვნებამ, კერძოდ, ჩემმა კოლექციამ შეასრულოს არა მარტო ესთეტიკური ფუნქცია, არამედ იყოს დახმარების წყარო იმ ადამიანებისათვის, რომლებთაც ეს დახმარება ესაჭიროება.

*პროფ. თამარ ცინცაძე*

## ჩემი კოლექციების შესახებ

საქ. დამსახურებული მხატვარი **ლია სვანიძე** (1928-2019) – უფროსი თაობის მხატვარია, პოეტი, ფილოლოგი. იყენებდა ზეთის საღებავებს, აკვარელებს, წერდა პორტრეტებს ზეთით, ქმნიდა გრაფიკულ ნახატებს (მეტწილად შავ-თეთრს). როგორც მხატვარი რეალისტურია, ლირიული, ფაქიზი, ზუსტი დეტალების წერაში; ემოციონალურია, ხანდახან იმპრესიონისტულიც. პეიზაჟებს ქმნიდა ძლიერი ემოციური დატვირთვით – ეს ხშირად ქარისაგან აბობოქრებული ხეებია ან მღელვარე წყალი. ლია სვანიძე ქმნიდა მრავალფიგურიან კომპოზიციებსაც ქართული კლასიკოსების თემებზე. მისი სურათების ნაწილი ასახავს ქართულ ტიპაჟებს და პეიზაჟებს, ნაწილი – ძალზე საინტერესო პორტრეტებია, ფაქიზი ყვავილების კომპოზიციები, ნატურმორტები, იმპრესიონისტული ჩანახატები (იხ. Fb-ში სამხატვრო გალერეა „თამარისი“, ხელოვნებათმცოდნეების წერილები google-ში). ხშირად მონაწილეობდა ჯგუფურ და პერსონალურ გამოფენებში საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში (სადაც გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი 28 წელი). მის კოლექციაში არის 10-12 სურათი სოცრეალიზმის სტილში. დაკრძალულია თბილისში. იხ. ამ წიგნში ჩემი წერილი – „Лия Сванидзе: ностальгия“. ჩემს გალერეაში დაცულია მისი 60 სურათი.

\* \* \*

ჩემი კოლექციის უფრო ვრცელ ნაწილს წარმოადგენს ედიშერ ბარამიძის 200-მდე ნამუშევარი. **ედიშერ ბარამიძე** (1954-2006) – საშუალო თაობის ქართველი მხატვარია, საქ. დამსახურებული მხატვრის ლია სვანიძის შვილი. ეს თანამედროვე მხატვარია, მისი ხედავ ნაწილობრივ აბსტრაქტულია, ხან კი იმპრესიონისტული. მის ნამუშევრებში ვხედავთ ინტერესს აღმოსავლეთისადმი, ადამიანის სულიერი ცხოვრებისადმი, მისტიკისადმი (ნაწილობრივ ეს მოდის კასტანედასაგან, რომელსაც იგი კითხულობდა). თავის აბსტრაქციონისტულ სურათებში ედიშერი ხშირად მოგაგონებთ ძალზე პოპულარულ და ძვირადღირებულ ამერიკელ აბსტრაქციონისტს ჯექსონ პოლოკს, თუმცა ალბათ პოლოკის არსებობა არც კი იცოდა. ედიშერის პალიტრა ხან დატვირთულია მკვეთრი ფერებით, ხან ნაზია. ედიშერი ქმნიდა აბსტრაქციებს, ყვავილების კომპოზიციებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, მიმართავდა აღმოსავლურ თემას – შესანიშნავია მისი მოზრდილი ზომების სურათი „სამურაები ანუ აღმოსავლური მეომრები“; ძალიან საინტერესოა სიმბოლოებით დატვირთული სურათი „აღმოსავლური ფილოსოფია“, რომელიც მოგვაგონებს რერიხის და მადამ ბლავაცკაიას შემოქმედებას. მის პორტრეტებში არის რაღაც არაამქვეყნიური, არარეალური. ედიშერ ბარამიძე ძალიან საინტერესო მხატვარია. ძალიან საინტერესოა მათთვის, ვისაც უყვარს ახალი სახეების და სახელების აღმოჩენა და დამკვიდრება. მისი სურათებით იზიბლებიან უცხოელები, თანამედროვე ხელოვნების

თავყანისმცემლები. მრავალ სურათში ედიშერი ნოვატორულად იყენებს შერეულ ტექნიკას. მას აქვს საინტერესო აბსტრაქციები წყვილებში, ნატურმორტების სერიები (2-3-4 სურათი). მისი ერთადერთი კერძო კოლექცია წარმოდგენილია სამხატვრო გალერეაში „თამარისი“, სადაც განთავსებულია ედიშერის 200-მდე სურათი.

\* \* \*

ჩემს კოლექციაში წარმოდგენილი მესამე მხატვარია უფრო ადრინდელი მხატვრობის თაობის წარმომადგენელი **თამარა თავაძე** (1898-1975) – მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი. თანამშრომლობდა მოსკოვის „ბოლშოი თეატრთან“ და მრავალ თეატრთან საქართველოში, ქმნიდა მათთვის კოსტუმებისა და დეკორაციების ჩანახატებს. თამარა თავაძე – თეატრალური მხატვარია. მისი შემოქმედებით ინტერესდებოდნენ ხელოვნებათმცოდნეები, განსაკუთრებით ავანგარდის მეორე ტალღით დაინტერესებული სპეციალისტები. მაქვს მისი 60-მდე სურათი – კოსტუმებისა და დეკორაციების ესკიზები. დაცულია კერძო კოლექციაში სამხატვრო გალერეა „თამარისში“.

\* \* \*

გარდა ზემოხსენებული სამი მხატვრისა, მაქვს სხვა ქართველი მხატვრების სურათები – ქეთი გოგიჩაშვილის (ედიშერ ბარამიძის მეუღლე), კახაბერ დვალის, ილია ჰატაშურის სურათები.

*თამარ ცინცაძე*

## **О художниках, представленных в моей коллекции живописи**

**Лия (Лидия) Сванидзе** (1928-2019) — художник старшего поколения, сканчалась в 2019 г. в возрасте почти 90 лет. Использовала масло, акварель, создавала портреты маслом, графические работы (особенно чёрно-белую графику). Реалистична, лирична, тонка и точна в исполнении, эмоциональна, порою импрессионистична. Пейзажи созданы под воздействием сильных эмоций, это часто бушующие деревья, бурные потоки воды. Часть картин точно отражает грузинские типажи и пейзажи, часть — это точно воссозданные портреты, чудные натюрморты, импрессионистские зарисовки (см. Art Gallery „Tamarisi“, статьи искусствоведов на Fb, Google...).

\* \* \*

**Едишер Барамидзе** (1954-2006) — сын художницы Лии Сванидзе — весьма современный художник, его видение часто абстрактно, часто импрессионистское. В абстракциях подчас напоминает известного американского художника Джексона Поллока, хотя вряд ли знал о его существовании. У Едишера Барамидзе то сочная, то нежная палитра. Он создавал абстракции, цветовые композиции, пейзажи, обращался, и весьма удачно, к восточной теме — изумительна внушительных размеров картина „Самураи или восточные воины“, прекрасная символическая картина-портрет „Восточная философия“, навевающая мысли о Рерихе и мадам Блавацкой.

В его портретах есть что-то несиеминутное, нереальное, размытое.

\* \* \*

**Тамара Тавадзе** (1898-1975) — художник старшего поколения (см. Google), театральный художник, скульптор, архитектор; сотрудничала вначале с московским „Большим театром“, позже в Грузии создавала эскизы костюмов и декораций для различных театров. Всегда была интересна искусствоведам, особенно любителям второй волны авангарда.

Коллекция хранится в частной галерее Art Gallery „Tamarisi“, насчитывает 58 картин, в основном — эскизы театральных костюмов и декораций.

Кроме работ трёх вышеуказанных художников в моей коллекции имеются и картины Кети Гогичашвили (жены Едишера Барамидзе), Кахабера Двали, Илии Паташури и др.

*ТАМАРА ЦИНЦАДЗЕ*

## History of One Collection

გასული წლის ნოემბერში ვატიკანმა საზეიმოდ აღნიშნა ორი თარიღი: პოლონელი კარდინალის კაროლ ვოიტილას პაპად არჩევის 18 წლისთავი, რის მერე იგი მსოფლიოს მოევლინა იოანე პავლე მეორის სახელით, და მისი კრაკოვის ვაველის ტაძარში კათოლიკურ მღვდლად კურთხევის 50 წელი, რამაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრება განაპირობა. 76 წლის პაპი ამ თარიღისათვის თავის მხრივ მოემზადა – მემუარები დაწერა, რომელიც არსებითად მის ავტობიოგრაფიად და აღსარებადაც იქცა („ნიჭი და საიღუმლოება – ჩემი ღვთისმსახურების 50 წლისთავისათვის“). ამ წიგნის გამოცემით მან კათოლიკური ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია დაარღვია – პირველად ისტორიაში რომის პაპი აქვეყნებდა ავტობიოგრაფიას, რომელშიც თავის მოწოდებაზე წერდა და რომლითაც იგი იმ მოვლენის 50 წლისთავს აღნიშნავდა, რომელმაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრება განაპირობა. ვოიტილა გულწრფელად და თავმდაბლად ესაუბრება მკითხველს თავის პირად განცდებზე; იგი ხშირად ვერ მალავს განცვიფრებას იმით, თუ რამდენად არაორდინალური და საოცარი აღმოჩნდა მისი ცხოვრებისეული გზა.

პაპი იოანე პავლე მეორე ცნობილია მსოფლიოსათვის როგორც ძლიერი რელიგიური მოღვაწე, რომელმაც გრძელი და რთული ცხოვრებისეული გზა განვლო. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება გამოცანად მილიონობით თაყვანისმცემლისათვის. რათა ამ საინტერესო და ჭეშმარიტად დიდი ადამიანის ცხოვრება უფრო გასაგები და ახლობელი გამხდარიყო ადამიანებისათვის, პირველად კარლ ბერნსტაინმა და მარკო პოლიტიმ სცადეს მისი ცხოვრებისეული გზის აღწერა, მის პიროვნებაში როგორც ადამიანური, ასევე ამადლებული, ზეადამიანური საწყისების დანახვა, მისი რწმენის წყაროების გააზრება. მათი კვლევა მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა გზა განვლო უცნობმა, ნიჭიერმა ახალგაზრდა პოლონელმა კაცმა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული რელიგიური ლიდერის სტატუსამდე; მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორი გავლენა ჰქონდა მის ტრაგიკულ ახალგაზრდობას მთელ მის შემდგომ ცხოვრებაზე; და იმაზეც, როგორ გახდა ეს ინტელექტუალი, რომელსაც არ გააჩნდა მიდრეკილება პოლიტიკისადმი, მსოფლიოში ერთერთი გამოცდილი გეოპოლიტიკოსი, როგორ იქცა მისი ლოცვა ძლიერ იარაღად საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად, რა გავლენა იქონია მან მილიონობით ადამიანის ცხოვრებაზე და პოლიტიკოსების აზროვნებაზე.

პაპისა და ორი ზემოაღნიშნული ავტორის წიგნებში ზოგიერთ პარალელურ მასალას ვხვდებით (განსაკუთრებით ბავშვობისა და სიყმაწვილის პერიოდის შესახებ), მაგრამ პაპის ავტობიოგრაფიაში მეტია თეორიული და თეოლოგიური მასალა, მისი რწმენის წყაროების გაანალიზება. ამიტომ ჩვენს თხრობაში უფრო მეტად ბერნსტაინ-პოლიტის მასალას დავყვრდნობით.

\* \* \*

დილის 5 საათს იყო გადაცილებული, როდესაც და ვინჩენზა შევიდა პაპის საძინებელ ოთახში. ყოველ დილით ხუთის ნახევარზე იგი ყავიან ფინჯანს ტოვებდა პაპის საძინებლის კარებთან. იმ დილით კი ხელუხლებელი ფინჯანის დანახვისას შემფოტებული შევიდა საძინებელში და საწოლის მძიმე ფარდა გადასწია. ქალმა პაპი იოანე მეექვსე დაინახა მჯდომარე მდგომარეობაში, ქაღალდებით ხელში, თითქოს მომდიმარე, მაგრამ იგი აღარ სუნთქავდა. სააპოსტოლო სასახლეში ყოველდღიური ცხოვრების განრიგი მკვეთრად დაირღვა, ყველა დაბნეული ჩანდა. 26 აგვისტოს ვატიკანში კარდინალების კოლეგიამ 65 წლის ალბინო ლუჩიანი, ვენეციის პატრიარქი აირჩია გარდაცვლილი პაპის პავლე მეექვსეს მემკვიდრედ – ახალ პაპად; მან მიიღო იოანე პავლე პირველის სახელი მისი უშუალო წინამორბედისაგან. მის მრავალწლიან მართვას თითქოს არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ძალიან მალე ვატიკანის რადიომ ამცნო მსოფლიოს ახლადარჩეული პაპის სიკვდილი. პაპმა მხოლოდ 33 დღე მართა ვატიკანი. რადგან უხერხულად ჩათვალეს იმის აღიარება, რომ ქალმა – და ვინჩენზამ პირველმა ნახა გარდაცვლილი პაპი ლოგინში; პონტიფიკის საძინებელში, ვატიკანის ოფიციალური ვერსიის თანახმად, გარდაცვლილი პაპის სხეული მისმა ერთერთმა მდივანმა (მამაკაცმა) აღმოაჩინა. მიღებული წესის თანახმად, ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა ბრძანა გარდაცვლილი პაპის პირადი ნივთების აპარტამენტებიდან გატანა (სათვალის, ღამის ქოშების და წამლების ჩათვლით). მოგვიანებით პაპის ერთერთი პირადი მდივანი იტყვის: „იგი გატყდა ტვირთისაგან, რომელიც მეტისმეტად დიდი იყო მისი სუსტი მხრებისათვის, და უკიდურესი სიმარტოვისაგან“. თვით პაპმა თითქოს იგრძნო მოახლოებული ბოლო, როდესაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თქვა: „უკეთესი ადამიანის არჩევა შეიძლებოდა ამ თანამდებობაზე – პავლე მეექვსემ არსებითად მიგვანიშნა თავის მემკვიდრეზე – იგი ჩემს პირდაპირ იჯდა სიქსტის კაპელაში (პაპი გულისხმობდა პოლონელ კარდინალს კაროლ ვოიტილას – თ. ც.). იგი მოვა, რადგან მე მალე წავალ“.

პოლონეთს, კრაკოვს იოანე პავლე პირველის გარდაცვალების ამბავი რადიოთი მისწავდა. კარდინალ ვოიტილას მძღოლმა მოისმინა ეს ცნობა და კარდინალის სასახლეში მივიდა. სამზარეულოში ახალი პურის, ყავისა და კვერცხის სუნი ტრიალებდა. კარდინალი ვოიტილა მდივნებთან ერთად იმ დღის გეგმებს განიხილავდა სამზარეულოს გვერდით ოთახში. იგი ყოველთვის იქ საუზმობდა, რადგან სამზარეულოდან გამოსული სუნი ბავშვობას აგონებდა.

მძღოლმა უთხრა ერთერთ მონაზონს, რომელიც სამზარეულოში მუშაობდა, რომ პაპი გარდაიცვალა რომში. „იგი ხომ ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა“, – უპასუხა ქალმა დაბნეული გამომეტყველებით. მძღოლმა შეიხედა ოთახში, სადაც კარდინალი ვოიტილა საუზმობდა ერთერთ მდივანთან ერთად. „მამაო“, თქვა მან, „გაიგეთ, რომ იოანე პავლე გარდაიცვალა?“ მოულოდნელობისაგან გაქვავებულ და გაფითრებულ კარდინალს კოვზი ჩაუვარდა ჭიქაში.

\* \* \*

კარდინალ ვოიტილას გრძელი გზა ამ მომენტამდე 1920 წლის 18 მაისს დაიწყო, როდესაც მისმა 26 წლის დედამ, ემილია ვოიტილამ სიცოცხლე აჩუქა მას. 6 წლით ადრე ემილიამ ქალიშვილი დაკარგა და ამ ბავშვის დაბადება ბევრს ნიშნავდა ოჯახისათვის. ემილიას ქმარი კეროლი მის გვერდით იყო. პოლონეთის არმიის 40 წლის ლეიტენანტი მეტისმეტად ხანდაზმულად ჩათვალეს ფრონტზე გასაგზავნად. ამიტომ მას შეეძლო მეუღლესთან ერთად ეცხოვრა პატარა პროვინციულ ქალაქ ვადოვიცეში და მეუღლის ფეხმძიმობის დროს 13 წლის ვაჟისათვის ედმუნდისათვის მიეხედა.

იმ დღეს, როდესაც პატარა ბიჭი შეეძინათ, მარშალი იოსებ ჰილშადსკი ტრიუმფით დაბრუნდა ვარშავაში: პოლონეთის ჯარმა კიევის ადებით პირველად გაიმარჯვა წითელ არმიაზე. პოლონელები ქუჩებში გამოვიდნენ გამარჯვებული მარშლის შესახვედრად. 59 წელი უნდა გასულიყო, რომ პოლონელებს კვლავ განეცადათ ასეთი სიხარული, რადგან 59 წელი ამორებდათ იმ დღიდან, როცა ვადოვიცეში ახალშობილი ბიჭი ტრიუმფით დაბრუნდებოდა ვარშავაში, უკვე როგორც რომის პაპი.

ბავშვს მამის პატივსაცემად კაროლი შეარქვეს, დედა კი ლოლექს ეძახდა. იგი ცოცხალი და ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, გარეგნულად დედას გავდა. რადგან ემილიას უფროსი ვაჟი ედმუნდი პანსიონატის ტიპის სკოლაში იყო, ემილია მთელ თავის დროს პატარა კაროლის აღზრდას ანდომებდა – თამაშობდა მასთან, უკითხავდა წიგნებს, უყვებოდა ბიბლიურ ისტორიებს. როდესაც ექვსი წლის ლოლექი სკოლას მიაბარეს, ემილიას ფიზიკური მდგომარეობა გაუარესდა. ძლიერი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა ზურგის ტკივილების და გონების ხშირი დაკარგვის გამო მეტწილად ლოგინს იყო მიჯაჭვული. თუმცა სასიხარულო ბევრი აღარ დარჩენოდა, ემილია მაინც მონაწილეობდა საყვარელი ვაჟიშვილების აღზრდასა და სრულყოფაში. ედმუნდი (მეტსახელად „მუნდეკი“) კრაკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი დაიბადა 1906 წელს, იყო შესანიშნავი გონებრივი და ფიზიკური მონაცემების ახალგაზრდა.

კაროლი შესანიშნავად სწავლობდა ვაჟთა სკოლაში, გატაცებული იყო სპორტით (სოკერით), ყველაზე მეტად კი – კათოლიკური სწავლებით. დრმად რელიგიური მშობლების შვილისათვის ეს ბუნებრივი იყო. ემილიას თავიდანვე უნდოდა მისი ვაჟი სასულიერო პირი გამხდარიყო. მის სურვილს მეზობლები და მეგობრებიც იზიარებდნენ. ცხრა წლის კაროლი სკოლაში იყო, როდესაც ემილია საავადმყოფოში წაიყვანეს. გულისა და თირკმელების დაავადება დაუდგინეს. სახლში დაბრუნებულ კაროლს მეზობელმა 45 წლის ემილიას გარდაცვალების ამბავი დაახვედრა. დედის სიკვდილმა დრმად დაამწუხრა ბიჭი, ბუნება შეუცვალა, უდარდელობა და ხალისი ჩაუკლა. იგი საკუთარ თავში ჩაიკეტა, განმარტოვდა, უმეტეს დროს წიგნების კითხვასა და ლოცვაში ატარებდა.

იმ დროიდან კაროლისათვის სიხარულის ერთადერთი წყარო მისი ძმა ედმუნდი იყო, რომელსაც იგი აღმერთებდა. კაროლზე ბევრად უფროსი ედმუნდი შესანიშნავი სპორტსმენი იყო – კარგად თამაშობდა ჩოგბურთს და სოკერს, ვადოვიცეს ბიჭებს სოკერის თა-



მაშს ასწავლიდა. მისი სიყვარული უმცროსი ძმისადმი უსაზღვრო იყო. მათ ხშირად ხე-დავდნენ ერთად – ხან სოკერს თამაშობდნენ ქალაქის ქუჩებში, ხან კი ედმუნდი მხრებზე შეისვამდა კაროლს და მინდვრებში ასეირნებდა. კაროლისათვის ედმუნდი ერთადერთი თავშესაფარი იყო სევდისა და მარტოობის ჟამს. ბიჭს ცხოვრების ხალისი უბრუნდებოდა, როდესაც უფროსი ძმა მასთან იყო.

1930 წელს მამამ კაროლი კრაკოვში წაიყვანა ედმუნდის და მისი თანაკურსელების მიერ სამედიცინო სკოლის დამთავრების ცერემონიაზე. ლეიტენანტ ვოიტილასათვის, რომელიც იმ დროისათვის მცირე პენსიაზე იმყოფებოდა, უფროსი ვაჟიშვილის მიერ უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ოჯახს ფინანსურად უკეთესი მომავალი ელოდა. ედმუნდის დიპლომი ოჯახს მეტს მისცემდა, ვიდრე უფროსი ვოიტილას მცირე პენსია.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ედმუნდმა მუშაობა დაიწყო სილეზიაში, ბიელსკის ჰოსპიტალში, სადაც კაროლი ხშირად აკითხავდა მას. მალე ციებ-ცხელების ეპიდემია დაიწყო. ედმუნდმა დამე გაათენა დაავადებული ახალგაზრდა ქალის გვერდით. მას საშინელი თავისა და ყელის ტკივილები დაეწყო, რასაც მაღალი ტემპერატურაც დაერთო. მიხვდა, რომ განწირული იყო. ბოლო 4 დღე აგონიაში გაატარა. 1932 წლის 4 დეკემბერს ედმუნდი გარდაიცვალა სიმარტოვეში, ოჯახმა მას ცოცხალს ვერ მიუსწრო. იმ დღეს მეზობელმა ქალმა უზომი ნაზა კაროლი, მიეფერა მას, სინანული გამოთქვა მისი ძმის გარდაცვალების გამო. დამწუხრებულმა ბავშვმა უბრალოდ უპასუხა: „ეს ღვთის ნება იყო“. ამის შემდეგ იგი დიდხანს დუმდა, სახეზე უზომო მწუნარება აღბეჭდოდა. ათწლეულების შემდეგ ერთერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა პაპ იოანე პავლე მეორეს მისი ძმისადმი მიძღვნილი პატარა წიგნი აჩუქა, რომლის ყდაზე მუნდუკის სურათი იყო გამოსახული. პაპმა მღელვარედ მიიტანა სურათი ტუჩებთან. დღემდე ვატიკანის კაბინეტის ერთერთ მაგიდაში უმაღლესი პონტიფიკი ამ წიგნთან ერთად ინახავს მისთვის ძვირფას კიდევ ერთ ნივთს – მისი ძმის სტეტოსკოპს, რომელიც ჰოსპიტლის თანამშრომლებმა უსაჩუქრეს პაპს.

\* \* \*

ლეიტენანტმა ვოიტილამ მთელი თავისი მზრუნველობა და სიყვარული ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ შვილზე გადაიტანა. მამა და შვილი ხშირად ერთად ლოცულობდნენ, ყოველდღე წირვას ესწრებოდნენ და ერთადაც თამაშობდნენ. ერთხელ ამხანაგმა მიაკითხა კაროლს და ასეთი სურათი დაინახა: დიდ ოთახში მთელი ავეჯი კედლებთან იყო მიწეული, გაწითლებული მამა და შვილი სოკერს თამაშობდნენ თვითნაკეთი ნაჭრის ბურთით. იმ პერიოდში კაროლი სცენაზე თამაშმა გაიტაცა. სკოლაში გამართულ წარმოდგენებში მთავარ როლებს ანდობდნენ. იგი იმდენად კარგად თამაშობდა, რომ მასწავლებელს და ამხანაგებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გამოჩენილი მსახიობი ან მწერალი გამოვიდოდა. სკოლის თეატრში კაროლი სწრაფად იქცა ვარსკვლავად. ეს წლები

ბედნიერი იყო მისთვის. მეზობლებს ხშირად ესმოდათ, როგორ სიმღერ-სიმღერით მიდიოდა კაროლი რეპეტიციებზე.

1938 წლის მაისში კრაკოვის არქივისკოპოსი ადამ საპიეჰა ვალოვიცეში ჩავიდა წირვის წასაყვანად და კონფირმაციის ჩასატარებლად. კაროლს პატივი ერგო მისალმებოდა მას. მან იმდენად დახვეწილი სიტყვით მიმართა არქივისკოპოსს, რომ საპიეჰა დააკვირდა მის მეტყველ სახეს. „რა გეგმები აქვს ამ ახალგაზრდას სკოლის დამთავრების შემდეგ?“ – ჰკითხა საპიეჰამ რელიგიის მასწავლებელს, – „განაგრძობს სწავლას სემინარიისში?“ კაროლმა ნებართვა ითხოვა პირდაპირი პასუხი გაეცა: „ვაპირებ პოლონური ლიტერატურისა და ფილოლოგიის შესწავლას, – მიუგო მან. „სამწუხაროა“, – ჩაილაპარაკა არქივისკოპოსმა.

ღრო გადიოდა, სამყარო იცვლებოდა. კაროლი მეზობელ გოგონასთან, გინკა ბირთან მეგობრობდა. ერთ დღეს – 1938 წლის ზაფხული იყო – გინკა კაროლს ესტუმრა. კაროლი მამინვე მიხვდა, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა – გინკა არასოდეს შესულა მის ოთახში. გოგონამ უთხრა, რომ მამამისმა – ადგილობრივი ბანკის მენეჯერმა – გადაწყვიტა ოჯახიანად დაეტოვებინა პოლონეთი, რადგან ამ ქვეყანაში ებრაელები ვეღარ გრძნობდნენ თავს უშიშრად. ებრაელებისადმი აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი მოუწოდებდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ ებრაელი მოვაჭრეებისათვის, არბევდნენ მათ ოჯახებს. „ყოველი პოლონელი როდია ანტისემიტი“ – უხსნიდა გინკას კაროლის მამა; კაროლმაც სცადა გოგონას დარწმუნება, მაგრამ ამაოდ. კაროლმა კვლავ განიცადა დანაკლისი – ისევ დაკარგა მისთვის ძვირფასი ადამიანი.

სკოლის დამთავრების შემდეგ კაროლი მამასთან ერთად კრაკოვში გადავიდა საცხოვრებლად და იაგელონის უნივერსიტეტში შევიდა. 1939 წლის 1 სექტემბერს, როცა გერმანელებმა ქალაქი დაბომბეს, იგი კრაკოვის ძველ ტაძარში იმყოფებოდა. ისმოდა აფეთქებების ხმა, სირენების კვილი: გერმანელთა ჯარი კრაკოვისაკენ მოდიოდა. პოლონეთის დაცემა ელვისებური და საშინელი იყო. 6 სექტემბრისათვის გერმანელებმა დაიკავეს კრაკოვი, 28 სექტემბერს კი დაეცა ვარშავა. 6 ნოემბერს ოკუპანტებმა უნივერსიტეტის პროფესორები მიიწვიეს კრებაზე, რომლის დასასრულს ისინი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გაამგზავრეს. ასე დასრულდა კაროლისათვის პოლონური ფილოლოგიის შესწავლის პერიოდი და დაიწყო ცხოვრება ფაშისტური ოკუპაციის პირობებში. ნაცისტები აკონტროლებდნენ მოსახლეობის ცხოვრებას. თუ ადამიანი ისეთ სამუშაოს არ ასრულებდა, რომელსაც გერმანელები საჭიროდ თვლიდნენ, მას გერმანიის დეპორტაცია მოელოდა. 1940 წლის შემოდგომაზე კაროლმა მუშაობა დაიწყო გერმანელთა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სოლევის ქიმიურ ფირმაში კრაკოვის განაპირას, დემბნიკებში. 8 საათის განმავლობაში 22 გრადუსიან ყინვაში იგი იძულებული იყო თავაუდებლად ემუშავა. საერთო პირობები საშინელი იყო. ერთ დღეს მან ნახა, როგორ გამოესალმა სიცოცხლეს მისი ამხანაგი, რომელსაც კლდის ნატეხი შეერჭო საფეთქელში ქვის ხერხით მუშაობისას. მან ღრმად განიცადა ამხანაგის გარდაცვალება.

მუშები კაროლ ვოიტილას „სტუდენტს“ ეძახდნენ, უკვირდათ, როგორ იტანდა სიცი-

ვეს ეს ახალგაზრდა, რომელსაც უბრალო ლურჯი ნაჭრისგან შეკერილი ჟაკეტი, ასეთივე შარვალი ეცვა და ოფლით გაჟღენთილი ქუდი ეხურა. ერთ დღეს ქვის სამტენლოში უჟაკეტოდ მოვიდა – სიცივისაგან ფერმკრთალი და აცახცახებული; ჟაკეტი გზადმემხვედრი ერთი საწყალი კაცისათვის მიეცა. „როდესაც ფიზიკურ შრომას ვეწეოდი, – წერდა ჰაპი, – კარგად მივხვდი, რას ნიშნავს დადლილობა. მე ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა ადამიანებთან, მძიმე შრომას რომ ეწეოდნენ...“ ქვის სამტენლოში მუშაობამ, ომისდროინდელმა გაჭირვებამ და შიმშილმა ფიზიკურად შეცვალა ვოიტილა. სახე დაუწვრილდა, ყვრიმალეები ჩაუვცივდა. გარდა ამისა, მამაც სერიოზულად ავადმყოფობდა. 1941 წლის 18 თებერვალს ვოიტილა სამუშაოდ წავიდა, მამა მარტო დარჩა, თუმცა თავს ვედარ უვლიდა. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ვოიტილამ ცოტაოდენი საკვები და წამალი შეიძინა და თავის ბინაში (უფრო სწორად, სარდაფში) დაბრუნდა. მამის ოთახში შევიდა და იქიდან აქვითინებული გამოვიდა – მამა გარდაცვლილიყო. კაროლი მწარედ ტიროდა: „მე არ დავსწრებივარ დედის და ძმის სიკვდილს, ვერც მამას მივუსწარი ცოცხალს!“ იმ დამეს, რომელიც მან ცხედართან გაატარა, ვოიტილა საკუთარ ბედზე ფიქრობდა. მოგვიანებით ჰაპი იოანე პავლე მეორე იტყვის მისი ცხოვრების ამ პერიოდზე: „ოცი წლისამ მე დავკარგე ყველა, ვინც მიყვარდა“. გადატანილმა ტკივილმა უფრო გააღრმავა მისი რწმენა: 1942 წელს ახალგაზრდა კაცმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: კრაკოვის არქიეპისკოპოსს საპიეჰას მოახსენეს, რომ ვოიტილამ სასულიერო წოდების მიღება გადაწყვიტა.

კრაკოვის მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი ადამ საპიეჰა პატრიოტი და პოლიტიკოსი იყო. 72 წლის ასაკში, როდესაც ჰიტლერის ჯარი კრაკოვში შევიდა, იგი სრულად ფლობდა სიტუაციას: მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა სხვადასხვა ანტიჰიტლერულ ჯგუფთან, ვატიკანთან და პოლონეთის მთავრობასთან, რომელმაც ლონდონს შეაფარა თავი. არქიეპისკოპოსი პირადად ეხმარებოდა ებრაელებს – სცემდა მათზე კათოლიკებად მონათვლის სერტიფიკატებს, რითაც ნაცისტებისაგან იცავდა მათ.

ნაცისტებმა გამოსცეს დეკრეტი, რომლის თანახმად პოლონურ ეკლესიას არ შეეძლო ოკუპაციის პირობებში ახალი სემინარიელების აყვანა და მომზადება. ამის საპასუხოდ საპიეჰამ დააარსა სემინარია იატაკქვეშეთში, რათა შესძლებოდა ეკლესიისათვის სემინარიელების ახალი ნაკადის მომზადება, რომლებიც სასულიერო წოდებას მიიღებდნენ და შემდეგ პოლონეთის საკეთილდღეოდ იმუშავებდნენ. ვოიტილა შევიდა არქიეპისკოპოსის საიდუმლო სემინარიაში 1942 წლის ოქტომბერში. მეცადინეობას ატარებდნენ მონასტრებში, ეკლესიებსა და კერძო ბინებში. ყოველ სტუდენტს პროფესორი მიუჩინეს, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა მის მომზადებას. სტუდენტებს არ უნდა ეხსენებინათ სემინარიის არსებობა ნაცნობებთან.

1944 წლის 6 აგვისტო პოლონელებს დაამახსოვრდათ როგორც „შავი კვირა“. გესტაპომ კრაკოვის ქუჩები გაჩხრიკა. „არასაიმედო“ პოლონელების ძებნაში 8000 კაცი აიყვანეს. ვოიტილა მეგობრებთან ერთად იყო თავის ბინაში, როდესაც ყვირილი და გერმანელი ჯარისკაცების ნაბიჯები გაისმა. იგი ლოცულობდა, სხვები შიშისაგან პარალიზებულ-

ნი ელოდებოდნენ მას. ესმოდათ, როგორ ჩხრეკდნენ გერმანელები ზედა სართულებს. სიჩქარეში მათ სარდაფის გაჩხრეკა დაავიწყდათ: შემდეგ დღეს ვოიტილამ ფრთხილად გაიკვლია გზა არქიეპისკოპოსის სასახლისაკენ, სადაც საპიეჰა ახალგაზრდა სემინარიელებს მალავდა. საიდუმლო სემინარიის კედლებში ვოიტილა შეიმოსა იმ კლერიკალური სამოსით, რომელიც დედამისს ასე უნდოდა ენახა ვაჟიშვილი.

„ჩვენი დრამატული საუკუნე აპოკალიფსის მსგავსია... ომის ტრაგედიაში ახლებურად დამანახა დვთისმსახურის მოვალეობის არსი და მნიშვნელობა“, – წერს ვოიტილა. – „ომის სისასტიკის და სიბოროტის შუქში მე უფრო და უფრო ნათლად ვხედავდი დვთისმსახურის მისიას ამ სამყაროში... ჩემი მისია თავიდანვე ხორციელდებოდა დიდი მსხვერპლის პირობებში, რომელიც გაიღეს ჩემი თაობის ადამიანებმა... ჩემი მოწოდების ისტორია? იგი მხოლოდ დვთისათვისაა ცნობილი“. „ამქვეყნად არაფერია შემთხვევითი – განაგრძობს ვოიტილა... – ღმერთს სურდა, რომ ომის სისასტიკის პირობებში გახსნილიყო გზა სიკეთისაკენ – ჩემი დვთისმსახურის მისიისაკენ“. ვოიტილას სჯერა, რომ მას ბედმა არგუნა აპოკალიფსის განცდა იმისათვის, რომ რაღაც დიდი შეესრულებინა ამ ცხოვრებაში.

საპიეჰა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამ სემინარიელის მიმართ. ხანდახან ერთად საუბრობდნენ. არქიეპისკოპოსს მოსწონდა ეს გამხდარი, ჩაფიქრებული ახალგაზრდა. მოგვიანებით მან იზრუნა იმაზე, რომ ვოიტილას გვარი ამოეღოთ სოლევის ქვის სამტეხლოში მომუშავეთა სიებიდან. რამდენიმე თვით გვიან, 1945 წლის იანვარში გაერთიანებულმა ძალებმა გატეხეს გერმანელების წინააღმდეგობა და კრაკოვი გაათავისუფლეს. კაროლ ვოიტილამ დაამთავრა სწავლა იაგელონის უნივერსიტეტში და 1946 წლის 1 ნოემბერს ნაკურთხი იყო არქიეპისკოპოს საპიეჰას მიერ.

ნაციზმის დამხობამ არ გაათავისუფლა პოლონეთის ეკლესია. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის კონსოლიდაცია სწრაფად მოხდა, მაგრამ ომისშემდგომ წლებში პოლონეთში ეკლესია ფარულ ოპოზიციურ ძალად იქცა. საუკუნეების განმავლობაში, ომებისა და უამრავი კონფლიქტის პირობებში პოლონური კულტურა, პოლონეთის ხალხი მჭიდროდ დაუკავშირდა ეკლესიას, რომელიც ყოველთვის მტკიცედ იდგა დამპყრობლების წინააღმდეგ. პოლონეთის მოსახლეობა მეტწილად კათოლიკურ რწმენას იზიარებდა, და ქვეყანაც ერთიანი იყო. საბჭოთა კავშირის მთავრობას არ ესმოდა, ან არ უნდოდა გაეგო, რომ პოლონეთში კათოლიკური ეკლესია ძალას წარმოადგენდა.

რომში წლინახევრიანი სწავლის შემდეგ ვოიტილა პოლონეთში დაბრუნდა. ვოიტილა, რომელსაც უკვე განცილილი ჰქონდა ფაშისტური ოკუპაციის სისასტიკენი, რომში იკვლევდა გერმანელ სემინარიელებთან დიალოგის შესაძლებლობებს და თან ოცნებობდა „სამყაროზე, რომელიც ადარ იქნებოდა გაყოფილი“. რათა გაეადვილებინა ვოიტილასათვის სასულიერო სამყაროში შესვლა და იქ ფეხის მოკიდება, საპიეჰამ მისთვის სოფლის ეკლესია აარჩია კრაკოვისაგან მოშორებით. სოფელში 200 მკვიდრი იყო და ერთი პატარა ხის ეკლესია. ჯერ კიდევ ახსოვთ, როგორ მივიდა მტვრიანი შარაგზით სოფელში გამხდარი, გაცრეცილსამოსიანი ახალგაზრდა მღვდელი. რაც გააჩნდა, ძველი საკვირთა-

ერთ მიჰქონდა.

შვიდი თვის განმავლობაში ვოიტილა მღვდლის ყველა ფუნქციას გაეცნო: ნათლაჲ-და, ისმენდა აღსარებებს, ასრულებდა ჯვრისწერას და წესს უგებდა მიცვალებულებს, წირავდა, ნახულობდა ავადმყოფებს, ზრუნავდა მრევლის სულიერ ცხოვრებაზე. სწორედ ამ პატარა სოფელში დაინახა ახალგაზრდა მღვდელმა, თუ როგორ ფუნქციონირებდა იმდროინდელი სტალინისტური სისტემა. როდესაც საიდუმლო პოლიციამ მოინდომა ახალგაზრდა კაცების კათოლიკური ასოციაციის დაშლა, პოლიციელებმა თხოვეს ასოციაციის ერთერთ წევრს დამსმენის ფუნქცია შეესრულებინა. უარის მიღებისას მანქანაში ჩააგდეს, სოფლის განაპირას მიიყვანეს და მაგრად სცემეს. მეორე დილას გაოგნებული კაცი სოფელში დაბრუნდა. „ნუ დარდობ, სტანისლავ, – ამშვიდებდა მას ვოიტილა, – ისინი საკუთარ თავს მოუღებენ ბოლოს“. ვოიტილა კომუნისტებს გულისხმობდა.

1949 წლის მარტს კარდინალ საპიეჰამ გადაიყვანა ვოიტილა კრაკოვის წმინდა ფლორიანეს საუნივერსიტეტო ეკლესიაში. მოხუცი კარდინალი ხვდებოდა, რომ ამ ადგილზე შეძლებდა მამა კაროლი ახალგაზრდებთან ურთიერთობის დიდი ნიჭის გამოვლინებას. ვოიტილას ექსკურსიებზე დაჰყავდა სტუდენტები მთებში და ტბებზე. ისინი განსაკუთრებულ სითბოს გრძნობდნენ მოძღვრის მიმართ. ყოველ დღეს წირვით იწყებდა, შემდეგ გაუძღვებოდა სტუდენტების ჯგუფს მთებისაკენ. ეცვა „შორტები“ და უბრალო პერანგები – არ უნდოდა უცხოთათვის თავისი წოდების გამხელა. იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმი უკრძალავდა მღვდლებს აქტიურობას ეკლესიის ფარგლებს გარეთ. სტუდენტები „ბიძას“ ეძახდნენ სიყვარულით და აგრეთვე მისი ვინაობის შენიღბვის მიზნით. ყოველ დღეს მამა კაროლი ამოირჩევდა ერთ რომელიმე სტუდენტს და მასთან ერთად ატარებდა იმ დღეს. ახალგაზრდები ყველაფერს უყვებოდნენ მას – სასიყვარულო ფათურაკებსაც კი.

1954 წელს ვოიტილამ დაიწყო ლექციების კითხვა ეთიკაში ლიუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში. იმ დროს ხშირად მოწითალო ბერეტს, დიდ სათვალეს და შავ სამოსს ატარებდა, რომელიც საკმაოდ შელახული იყო იატაკზე მუხლებით მრავალსაათიანი დგომის შედეგად. უნივერსიტეტში იგი პროფესორების წრეს დაუახლოვდა, რომლებიც ფარულად იკრიბებოდნენ და პოლონური ეკლესიის მომავალზე მსჯელობდნენ. პოლონეთში პოლიტიკური და რელიგიური კლიმატი უარესდებოდა. ეკლესიის მსახურებს აპატიმრებდნენ. დახურეს კრაკოვის ყოველკვირეული კათოლიკური გაზეთი, რომელმაც უარი თქვა სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნეკროლოგის დაბეჭდვაზე. როდესაც კათოლიკური ეკლესია კომუნისტებთან თანაარსებობის გზებს ეძებდა, სწორედ იმ წლებში უცნობი კრაკოველი მღვდელი წინა პლანზე გამოსვლისათვის ემზადებოდა.

1958 წლის 4 ივლისს ვოიტილა სასწრაფოდ გამოიძახეს ვარშავაში, კარდინალ ვიჟნიცის რეზიდენციაში. ათი წლის განმავლობაში კარდინალი ვიჟნიცკი იყო პოლონური კათოლიკური ეკლესიის სიმბოლო. ბრძნულ, ფრთხილ ურთიერთობაში კომუნისტებთან იგი დიპლომატიურად ახერხებდა პოლონური ეკლესიის დამოუკიდებელი ტრადიციების

დაცვას. ვიჟნიციმ მასთან გამოცხადებულ მზემოკიდებულ, გამხდარ მღვდელს სწრაფად მოავლო თვალი – კაცს, რომელიც მღვდლის სამოსშიც კი ძლიერი და ათლეთური ჩანდა. კარდინალმა ცოტა რამ იცოდა მღვდლის შესახებ მისი ასაკის გარდა (38). ვიჟნიციმ ქაღალდი აიღო მაგიდიდან თავისი გამხდარი ხელით. „ეს საინტერესო წერილია, რომელიც წმინდა მამისაგან მივიღეთ“, – თქვა მან. „მომისმინეთ: „ვინმნავ მამა კაროლ ვოიტილას კრაკოვის მეორე ეპისკოპოსად. გთხოვთ თქვენს თანხმობას ამ დანიშვნაზე“. კარდინალმა ვოიტილას შეხედა: „დებულობთ თუ არა დანიშვნას?“ – იკითხა მან, და თან ახალგაზრდა მღვდლის რეაქციას აკვირდებოდა. ვოიტილამ თანხმობა განაცხადა. 1958 წლის 28 სექტემბერს კაროლ ვოიტილა ეპისკოპოსად აკურთხეს კრაკოვის ვაველის ტაძარში.

ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, და 9 ოქტომბერს 82 წლის პაპი პიუს მეთორმეტე გარდაიცვალა. 28 ოქტომბერს კი კარდინალებმა აირჩიეს პაპად 76 წლის ანჟელო ჯუზეპე რონკალი, რომელმაც მიიღო იოანე XXIII-ის სახელი. სამ თვეში ახალმა პაპმა მოიწვია ეკუმენური საბჭო. მიწვევები 2594 ეპისკოპოსს გაეგზავნა მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათ შორის კაროლ ვოიტილასაც.

კათოლიკური ეკლესია როგორც ინსტიტუტი ყოველთვის ხაზს უსვამდა მემკვიდრეობითობას. მაგრამ კათოლიკური რწმენის ლიდერების კონვოკაცია (შეხვედრები) 1962 წ. ოქტომბრიდან 1965 წ. დეკემბრამდე სამართლიანადაა შეფასებული როგორც წარსულთან კავშირების რადიკალური გაწყვეტის პერიოდი. ვატიკანის მეორე საბჭო (მეორე ვატიკანი) რევოლუციად იქცა. მეორე ვატიკანზე წერტილი დაესვა კურიის აბსოლუტიზმს (კურიადაა ცნობილი რომის პაპების ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც საუკუნეების მანძილზე კარნახობდა წესებს, რომელთა მიხედვით ვითარდებოდა კათოლიკების ცხოვრება). საბჭომ დაგმო ეკლესიის მოდელი, რომელიც გადაღებული იყო ანტიპროტესტანტული ტრენტის საეკლესიო საბჭოსაგან (1545-63); ამ ნაბიჯით ნებადართული იყო პროტესტანტულ და ადმოსავლეთ ევროპის ორთოდოქსულ რეგიონებთან კონტაქტები და ანტისემიტიზმის მიმართ საკუთარი პოზიციის გამოვლინება.

როდესაც ვოიტილა რომში ჩავიდა, 43 წლის ეპისკოპოსს იქ არავინ იცნობდა. მაგრამ საბჭოს სხდომებმა მკვეთრად შეცვალა მისი ცხოვრება. ეს სხდომები ღიდ სკოლად იქცა მისთვის. იგი ისმენდა, თვალს ადევნებდა და სწავლობდა. წმინდა პეტრეს ბაზილიკიდან იგი თვალს ადევნებდა პაექრობას, მოწონების ან მძვინვარების ამოხეტეფას, ბლოკების შექმნას, რაშიც იხატებოდა პარლამენტური დემოკრატიის ეკლესიისებური ხედვა. კაროლ ვოიტილა ხვდებოდა გავლენიან საეკლესიო პირებს. რომში იგი შეხვდა ძველ მეგობარს, მამა ანჟეი მარია დესკურს, რომელთან ერთადაც სწავლობდა კრაკოვის სასულიერო სემინარიაში: უკანასკნელი კარგად იცნობდა კურიას. დესკურმა წარუდგინა ვოიტილა ვატიკანის გავლენიან პირებს. დესკური იხსენებს: „ყოველ ორშაბათს ვეკითხებოდი, ვისთან სურდა შეხვედრა, და კაროლი მაძლევდა სიას“.

საბჭოს სხდომებზე პოლონელები მნიშვნელოვან დელეგაციას წარმოადგენდნენ კომუნისტური სამყროსაგან, და მალე ვოიტილა მათ სპიკერად იქცა. კრაკოვის ახალი ეპის-

კოპოსი უკვე ყურადღებას იქცევდა. ვატიკანის საბჭოს სხდომები რომ დამთავრდა, მას უკვე მყარი რეპუტაცია ჰქონდა, – რეპუტაცია ადამიანისა, რომელსაც დიდი ცოდნა ჰქონდა, შეეძლო სხვების მოსმენა და დაუფალავად ებრძოდა კომუნიზმს. თუმცა მას ხანდახან აბსტრაქტული პრინციპების ადამიანად თვლიდნენ, რომელიც შორს იდგა პოლიტიკისაგან, ვოიტილამ იცოდა სიმბოლოების ძალის გამოყენება. როდესაც იგი ოფიციალურად აკურთხეს კრაკოვის არქიეპისკოპოსად, იგი ტრიუმფით შევიდა ვაველის ტაძარში, შემოსილი ტანისამოსში, რომელსაც შუა საუკუნეებში ატარებდნენ პოლონელი არქიეპისკოპოსები. მისი ბრწყინვალე სამოსი მოაგონებდა პოლონელებს მათი ისტორიის ათწლეულს. ვოიტილას მხრიდან ეს არ იყო მხოლოდ ხარკი, რომელსაც იგი ტრადიციას უხდიდა, არამედ ხერხი, რომლითაც იგი მოაგონებდა მორწმუნეებს და „ურწმუნოებსაც“, რომლებიც ქვეყნის სათავეში იდგნენ, რომ ეკლესია პოლონეთში ერის ტოლფასია, და რომ პოლონეთში არ არსებობს ისტორია, რომელიც ეკლესიასაა მოწყვეტილი.

მისი დაუმორჩილებლობა უფრო დიდზე იყო. არქიეპისკოპოსად არჩევისთანავე მან სცადა მოეპოვებინა ნებართვა დიდხანს ნანატრი ეკლესიის ასაშენებლად ნოვა-ხუტაში – სანიმუშო სოციალისტურ ქალაქში, რომელიც კომუნისტებმა კრაკოვის განაპირას ააშენეს. შობის წინ, როდესაც რეჟიმის წარმომადგენლები ვერ იყვნენ ფხიზლად, იგი მიდიოდა დაპირებული ეკლესიის ტერიტორიაზე, ადასრულებდა დამის წირვას – ტრიალ მინდორში, თოვლსა და ყინვაში. მიმართავდა მმართველ წრეებს პეტიციებით, მოთხოვნებით გაეხსნათ ახალი სემინარიები, ეკლესიები, ნება დაერთოთ პროცესიების მოსაწყობად; იგი პროტესტს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთავრობა კრძალავდა ბავშვებისათვის კათენიზმის სწავლებას.

არქიეპისკოპოსის დამოუკიდებლობა და ბუნება მალე შეიცვნეს და აღიარეს. 1967 წელს პაპმა პავლე VI-მ კარდინალის წოდება მიანიჭა ვოიტილას. ამის მერე კავშირი პავლე VI-სა და 47 წლის კრაკოველ არქიეპისკოპოსს შორის უფრო და უფრო მჭიდრო ხდება. ვოიტილა ხდება რომის პაპის ყველაზე სასურველი სტუმარი. კარდინალი ვოიტილა რომში ყოფნისას ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე პავლე VI-ეს. ისინი ერთად მუშაობდნენ მნიშვნელოვან პაპურ ენციკლიკაზე „ადამიანის სიცოცხლე“. იმ ნაწილებში, სადაც მსჯელობა იყო ეკლესიის მიერ ხელოვნური კონტრაცეპტივების აკრძალვაზე, ბევრი რამ კრაკოველი კარდინალის მოსაზრებებიდან მომდინარეობდა.

ვატიკანში ვოიტილას იცნობდნენ როგორც ფილოსოფოსს და ადამიანს, რომელიც ადვილად ფლობს სხვადასხვა ევროპულ ენას – გერმანულს, რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს, იტალიურს და ესპანურს. ცნობილი იყო მისი გავლენაც ახალგაზრდებზე. მისი კოლეგებისათვის – კარდინალებისათვის – პოლონელი კარდინალი მაინც გამოცანას წარმოადგენდა – როგორც ამბობენ, „დახურულ წიგნს“. პირად ურთიერთობაში იგი თბილი იყო, მაგრამ მხიარული თითქმის არასოდეს ყოფილა. შეეძლო მოთმინებით მოესმინა ყველასათვის, მაგრამ არსებითად განმარტოებული ადამიანი იყო. ბევრმა იცოდა, რომ ახალგაზრდობაში მან მშობლები და ძმა დაკარგა, მაგრამ მას ეს არასოდეს უხსენებია. მის პირად საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ წიგნები, საეკლესიო სამოსელი, რამ-

დენიმე საოჯახო სუვენირი, თხილამურები და მთაში სასიარულო ტანისამოსი. კაროლ ვოიტილას ცხოვრება არსებითად ასკეტური იყო. დროთა განმავლობაში ვოიტილა ვატიკანის გარეთაც გახდა ცნობილი. 1976 წ. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ვოიტილა დაასახელა იმ ათ კარდინალს შორის, რომელთაც პაპი პავლე VI-ის შესაძლო მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. თუმცა პავლე VI-ის სიკვდილის შემდეგ 1977 წ. აგვისტოში პაპად კარდინალი ალბინო ლუჩინო აირჩიეს. საეკლესიო წრეებში ვოიტილას რეპუტაცია იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

\* \* \*

პაპის სიკვდილის ამბავმა, როგორც ვოიტილას მძღოლი იხსენებდა, ძლიერ იმოქმედა კარდინალზე. მთელი დღე დაძაბული იყო, თავი სტკიოდა. მან იცოდა, რომ შემდეგ კონკლავზე იგი ჩვეულებრივ მაყურებლად არ წავიდოდა. აგვისტოში პაპის იოანე პავლე I-ის მოულოდნელი არჩევა ქმმარიტ სასწაულს ჰგავდა. კენჭისყრის მხოლოდ ოთხი ტურის შემდეგ კარდინალებმა ყველასათვის მისაღები პერსონა აირჩიეს. ახლა კი ახალი კანდიდატი უნდა მოეძებნათ. ეს დამქანცველი სამუშაო იყო. ოფიციალური ვერსიის თანახმად, კარდინალებს არჩევანს წმინდა სული კარნახობდა, მაგრამ სინამდვილეში მათ იცოდნენ, რამდენადაა დაკავშირებული უმაღლესი პონტიფიკის არჩევნები დიპლომატიურ სვლებთან, მიზანსწრაფვასთან, ეშმაკობასთან და ადამიანის ბუნების სხვა, ნაკლებად მიზიდველი თვისებების გამოვლინებასთან. იტალიელებმა კიდევ ერთხელ სცადეს ერთერთი თავიანთი თანამემამულის დასახელება, მაგრამ ვოიტილა სერიოზულ კანდიდატად იქცა. მან იცოდა, რომ მას ერთადერთი გავლენიანი კარდინალი უჭერდა მხარს – ფრანც კიონიგი ვენიდან. ამ მაღალ, მიმზიდველ ადამიანს 20 წლის გამოცდილება გააჩნდა კარდინალების კოლეგიაში საქმიანობისა. იგი და კრაკოველი კარდინალი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს – ვოიტილას რომში ვიზიტების დროს მათ ხანგრძლივად უსაუბრიათ სიტუაციის შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც ეკლესია იძულებული იყო იატაკქვეშეთში ემუშავა. კიონიგი უხსნიდა სხვა კარდინალებს, რომ ახალი პაპი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, ჯანმრთელი და არაიტალიური წარმოშობის. პავლე VI-ის სიკვდილის შემდეგ კარდინალებს დასავლეთ ევროპიდან ჰქონდათ აგრეთვე თავიანთი კანდიდატურის წამოყენების უფლება. თუ კონკრეტულ გვარს ეკითხებოდნენ, იგი კაროლ ვოიტილას ასახელებდა. დროდადრო პავლე VI-ს ნათქვამსაც იმეორებდნენ კრაკოველი კარდინალის შესახებ: „იგი გულადი, შესანიშნავი ადამიანია“. მაგრამ კიონიგი ვერ ხედავდა მხარდაჭერას კარდინალებში. რაც უფრო მეტ კარდინალს ესაუბრებოდა, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ არსებული სტერეოტიპის დამსხვრევა ძნელი იქნებოდა: სულ ცოტა ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იტალიელი ესაუბროდა ყველას სასურველ პაპად. ვოიტილა არ იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისმა თანამემამულემ და მეგობარმა ეპისკოპოსმა დესკურმა თავის თავზე აიღო კამპანიის ხელმძღვანელობა და ცდილობდა



სხვადასხვა ფრაქცია მიეზიდა ვოიტილას მხარეზე. კონკლავამდე რამდენიმე დღით ადრე დესკურს ძლიერი გულის შეტევა მოუვიდა, რომლისგანაც იგი ვერც განიკურნა. ვოიტილამ იგი კლინიკაში ინახულა. შემდეგ სტრესის მოსახსნელად ზღვისპირს მიაშურა. შემოდგომის ცივ ამინდში ეს ძლიერი, მარტოხელა ადამიანი ზღვაში დაცურავდა რომის მახლობლად. ჩრდილოეთელს წყალი თბილად ეჩვენებოდა.

პირველი კენჭისყრის წინ კარდინალები სიქსტის კაპელაში შეიკრიბნენ. ისინი ისმენდნენ წესებს, რომლებიც კრძალავდა მათ კონტაქტებს გარე სამყაროსთან. იკრძალებოდა რადიო, ჩასაწერი აპარატურა – ვატიკანის მცველები უკვე იყენებდნენ ელექტრონულ დეტექტორებს მოსასმენი ჩანართების გამოსამჟღავნებლად.

შეხვედრის შემდეგ კარდინალები თავიანთ ოთახებში განმარტოვდნენ (ოთახები კენჭისყრით შეხვდათ). ვოიტილა შევიდა #91 ოთახში, სადაც იდგა უბრალო დასაკეცი საწოლი. იქვე პატარა მაგიდა და სამუშაო მაგიდა. შემდეგ დღეს, 15 ოქტომბერს – კვირას – კენჭისყრის პროცესი დაიწყო. ცოტა ხანში ნათელი გახდა, რომ იტალიელი კარდინალები ერთმანეთს უღობავდნენ გზას სასურველ მწვერვალამდე. არც ალტერნატიულ კანდიდატურებს ჰქონდა რაიმე საგრძნობი მხარდაჭერა. მკაცრი კონკურენცია საარჩევნო ყუთთან კონტრასტს ქმნიდა უჩვეულო სიჩუმესთან, კონკლავზე რომ სუფევდა. ისმოდა მხოლოდ საარჩევნო ფურცლების შრიალი, როდესაც მათ დიდ თასში აგდებდნენ, რომელიც ყუთის მაგივრობას სწევდა. სიჩუმეში მიმდინარეობდა ბრძოლა ეკლესიის მომავლისათვის. კვირამდე ნათელი გახდა, რომ მთავარ კანდიდატურებს ნიადაგი გამოეცალათ. მეოთხე კენჭისყრაზე ვოიტილამ მიიღო რამდენიმე ხმა – ეს გაფრთხილება იყო. კიონიგმა იგრძნო, დრო იყო სერიოზულად ემოქმედა. იგი ესაუბრა გერმანელ, ფრანგ, იტალიელ, ამერიკელ კარდინალებს. კიონიგი ფრთხილი იყო და მოქნილი. მის ნათქვამს თითქოს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა – სიტუაცია დაიძაბებოდა, როგორც კი ვინმე შეეცდებოდა არაიტალიელისათვის მიეცა ხმა.

ორმაბათს, 1 ოქტომბერს, მეექვსე კენჭისყრაზე მკვეთრად გაიზარდა კრაკოველი კარდინალის მომხრეთა რიცხვი. იმავე დღეს, კიდევ 2 კენჭისყრის შემდეგ ვოიტილამ გაიგო, რომ მის გვარს აცხადებდნენ: კარდინალების დიდმა რაოდენობამ წარმოუდგენელი რამ გააკეთა: პაპად აირჩიეს ადამიანი, რომლის სამშობლოს მარქსისტული და ათეისტური მთავრობა მართავდა. ეს იყო პირველი არაიტალიელი პაპი რომის პაპების თითქმის ორიათასწლოვან ისტორიაში: პაპი, რომელმაც სკოლაში სწავლისას თქვა, რომ მას არ აინტერესებდა სასულიერო წოდება და საქმიანობა. და აი, 1978 წლის 16 ოქტომბერს კარდინალების კოლეგიამ 58 წლის კაროლ ვოიტილა რომის პაპად აირჩია.

სიჩუმეში გაისმა მმართველი კარდინალის კითხვა: „ღებულობთ თანამდებობას?“ „ვღებულობ“, – თქვა ვოიტილამ მტკიცედ და დაამატა – „ღვთის რწმენით და თავყანისცემით, ღვთისმშობლის და ეკლესიის რწმენით, ვღებულობ, დიდი სიძნელების მიუხედავად“. წინა პაპის პატივსაცემად მან იოანე პავლე II-ის სახელი მიიღო. მხოლოდ საფეთქელთან შესამჩნევად მფეთქავი ძარღვი მეტყველებდა იმაზე, თუ რა ძლიერი გრძნობა და მღელვარება ჰქონდა მას გულში, როდესაც სიქსტის კაპელას ტოვებდა.

მშვიდად მიაცილებინა ესკორტს თავი ოთახისაკენ, რომელსაც „კამერა ლაკრიმატორია“ ჰქვია – „სატირალი ოთახი“. ახლადარჩეული პაპი სასახლის მკერავს უნდა შეხვედროდა, რომელიც მოარგებდა მას ერთერთს სამ თეთრ მოსასხამთაგან – ჰატარას, საშუალოს ან დიდს, – რომელიც წინასწარ იყო გაშლილი ოთახში.

როდესაც პაპმა იოანე პავლე მეორემ ჩაიცვა ყველაზე დიდი სამოსი, კარდინალები სათითაოდ მიუახლოვდნენ მუხლმოდრეკით პატივის მისაგებად. ამის მერე პაპი მიზანსახულად გავიდა წმინდა პეტრეს ტაძრის დიდ ლოჯიაში, რათა მისალმებოდა რომის მოსახლეობას და მათთან ერთად მთელ მსოფლიოს. 22 ოქტომბერს ვოიტილა გამოჩინდა წმინდა პეტრეს მოედანზე – წირვაზე, რომლითაც აღინიშნა მისი პონტიფიკად არჩევა. მას ისეთი სიმშვიდე ახასიათებდა, როგორსაც მსახიობი ავლენს, როდესაც კარგად იცის თავისი როლი.

მორწმუნეთა მრავალათასიანი ბრბო დაძაბული უსმენს „პაპს, რომელიც შორიდან მოვიდა“. „თუ რაიმეს არასწორად გამოვთქვამ, შემისწორეთ“, – უთხრა პაპმა მოედანზე შეკრებილთ. ამ გულწრფელობამ და უბრალოებამ მაშინვე მსმენელთა აღტაცება გამოიწვია. ახალი პაპის პირდაპირი კონტაქტი უბრალო ადამიანებთან შედგა და თანაც დიდი ხნით. წირვის დამთავრებისას პაპმა ტრადიცია დაარღვია და ხელი ჩამოართვა მის მახლობლად მდგარ ადამიანებს. კარდინალები გაკვირვებით შესცქეროდნენ, როგორ გადაკვეთა მოედანი და მოეხვია სავარძლებში მჯდომ სნეულთ. იგი კოცნიდა ბავშვებს, ღებულობდა შეთავაზებულ ყვავილებს. შემდეგ აღტაცებულ მრევლს დიდი ჯვარი გადასწერა და აკურთხა. მსოფლიოს ყველა კუთხის მორწმუნენი თუ ურწმუნონი თვალს ადევნებდნენ ამ საზეიმო რიტუალს. პოლონეთში კი ყოველი მოქალაქე მიჯაჭვული იყო ტელევიზორს. ერი გაინაბა. ამგვარად პოლონელი კარდინალის პაპად არჩევა და მისი ვატიკანის წმინდა ტახტზე ასვლა დიდ სენსაციად იქცა სამყაროში, რომელიც გაყოფილი იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის მეტოქეობით, სამყაროში, რომელიც გადაიქანცა იდეოლოგიების ბრძოლისაგან და მსოფლიო ატომური ომის საშიშროებისაგან. 5 ნოემბერს ვოიტილამ მოინახულა ასიზი – წმინდა ფრანცისკოს – იტალიის მფარველის – ქალაქი. ხალხი აღტაცებით შეხვდა მას. ვიდაცამ წამოიყვინა: „ნუ დაივიწყებთ მდუმარე ეკლესიასაც!“ – იგულისხმებოდა ეკლესია რკინის საფარს მიღმა საბჭოთა კავშირში. პაპმა იქვე უპასუხა: „იგი აღარაა მდუმარე – ჩუმი ხმით ჭრაჭუნობს“. იგი მზად იყო შეეხსენებინა კომუნისტური რეჟიმებისათვის, რომ მრავალ ქრისტიანს ხმის თავისუფლება არ გააჩნდა. მალე მან აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკური ეკლესია აამოქმედა. იგი დახმარებას დაპირდა ჩენოსლოვაკიის, უნგრეთის, ლატვიისა და ლიტვის ეპისკოპოსებს და მეტი სიტამამე მოთხოვა კომუნისტურ რეჟიმთან ურთიერთობაში.

ამასობაში კი მოსკოვი ახალ პაპს აკვირდებოდა. 1978 წ. 4 ნოემბერს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო მოხსენებითი ბარათი პაპის თაობაზე. ბარათის არსი ასეთი იყო: თავის ახალ როლში ვოიტილა აშკარად ნაკლებად იქნება განწყობილი კომპრომისისათვის სოციალისტური ქვეყნების მთავრობებთან ურთიერთობაში. ბარათში ერთი რამ არ იყო აღნიშნული – რამდენად სწრაფად გამოიწვევდა

მათ იოანე ჰავლე მეორე საპაექროდ. ამ გამოწვევის ერთერთი პირველი აქტი 1979 წ. 2 ივნისს მოხდა, როდესაც „ალ-იტალიის“ თვითმფრინავით ჰაპი ვარშავას ესტუმრა. დამვების წინ მოუსვენრად იყო, მომავალი შეხვედრისათვის ემზადებოდა. „ვბრუნდები ეკლესიაში, რომლის წიაღიდან ვარ გამოსული“, – თქვა მან. არავის წარმოედგინა, რა მოყვებოდა ჰაპის ამ ვიზიტს.

როდესაც ლეონიდ ბრეჟნევს მოახსენეს, რომ პოლონეთის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ჰაპის მიღების პირობების თაობაზე, ბრეჟნევმა პოლონეთის კომპარტიის პირველ მდივანს გაბრაზებით უბრძანა, არ მიეღო ჰაპი. „როგორ არ მივიღო პოლონელი ჰაპი, – უპასუხა მდივანმა, – როდესაც ჩემი ქვეყნის მოსახლეობა მეტწილად კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის? მაპატიეთ, მაგრამ მიღებაზე უარს ვერ ვეტყვი“. „თქვენ იცით, – მუქარით უპასუხა ბრეჟნევმა, – მაგრამ ფრთხილად იყავით, მოგვიანებით არ ინანოთ“. 1966 წელს პოლონეთის კომუნისტმა ლიდერებმა ჰაპ ჰავლე მეექვსეს უარი უთხრეს ვიზიტზე. ახლა ისტორია შურს იძიებდა თავის თავზე. ჰაპი თვითმფრინავიდან დასცქეროდა ნაცნობ ადგილებს: ვაველის ტაძარს, მდინარე უისტულის ნაპირებს, სადაც ერთ დროს მამასთან ერთად სეირნობდა; ნოვა ჰუტას – სამრეწველო რაიონს – „მუშების ქალაქს“, სადაც კომუნისტებმა დიდი ხნის წინ ეკლესიის გახსნაზე უარი უთხრეს. ზემოდან ხედავდა სოლევის ძველ, წითელ აგურით აშენებულ ნაგებობას, სადაც ამდენი ოფლი დვარა ნაცისტური ოკუპაციის დროს. დილის 10 საათსა და 7 წუთზე თვითმფრინავი დაეშვა პოლონეთის დედაქალაქში: ამ დროს პოლონეთის ყველა ეკლესიაში დაიწყო ზარების რეკვა – ბალტიის ზღვიდან ტატრის მთებამდე, სილეზიიდან საბჭოთა კავშირის საზღვრამდე. აეროპორტში სტუდენტების გუნდი შეეგება ჰაპს შუასაუკუნეების კათოლიკური ჰიმნით „გიხაროდეს, დედაო პოლონეთო“. თითქოს არც ფრიალებდა პოლონეთზე კომუნიზმის წითელი დროშა. ჩანდა მხოლოდ პოლონეთისა და ვატიკანის დროშები. აეროპორტის გზის გასწვრივ ათასობით პოლონელი იდგა იმედით თვალი მოეკრა ჰაპისათვის. მათ შორის ზბიგნეჰ ბუიაკიც იყო. სწორედ მას არ ერგებოდა იქ ყოფნა. შესამჩნევი პიროვნება იყო, საიდუმლო პოლიციაში მასზე დოსიე იყო შედგენილი. ცოტა ხნით ადრე მან დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნა სცადა. როდესაც ჰაპი გზების გასწვრივ შეგროვილ ხალხს გაუსწორდა თეთრი ჯიპით, ხალხის მისალმება თითქმის გამაყრუებელი იყო. ბუიაკმა დაიმახსოვრა ღიმილი, რომლითაც ჰაპი ხალხს პასუხობდა. მოულოდნელად ბუიაკი მიხვდა, რომ „ესეც არსებითად ანტიკომუნისტური დემონსტრაცია იყო“. ისე იგრძნო თავი, თითქოს დიდი ტვირთი ჩამოუვარდა მხრებიდან. ტაძრის მოედანს მიუახლოვდნენ. ვარშავის ძველი ქალაქის შესასვლელთან ჰაპის მანქანა ყვავილების გვირგვინებით მოფენილ ქვაფენილზე მიდიოდა. ტაძრის დანახვაზე ვოიტილას გამომეტყველება შეეცვალა – თვალებიდან ცრემლები სდიოდა, რომლებსაც მოურიდებლად იმშრალებდა ხელებით.

პირველი წირვისათვის, რომელიც კაროლ ვოიტილას როგორც ჰაპს უნდა ჩაეტარებინა პოლონეთში, ეპისკოპოსებმა მასიური პლატფორმა აღმართეს გამარჯვების მოედნის შუაგულში, სადაც პოლონეთის უცნობი ჯარისკაცი ასვენია. ჩვეულებისამებრ, მხოლოდ

მთავრობა იყენებდა ამ მოედანს სამხედრო აღლუმებისათვის ახლა კი სამი ფართო საფეხური აღიოდა კათედრისაკენ, სადაც 36 ფუტის სიმაღლის ხის ჯვარი იყო აღმართული, ფართო მოედანი, რომელიც ასე ხშირად კომუნისტების სიძლიერის სიმბოლო იყო, ახლა რელიგიურ წმინდა ადგილად იქცა.

როდესაც იმ დღეს 4 საათზე პაპი იოანე პავლე მეორე მოედანზე მივიდა, 300.000 პოლონელი უკვე ელოდა მას. ყოველივე, რაც პაპმა თქვა ამ წირვის განმავლობაში, დიდ ცვლილებებს მოასწავებდა ეკლესიისათვის – პოლონეთში, საერთოდ დასავლეთ ევროპაში, საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოშიც; ეკლესია მოითხოვდა დამოუკიდებლობას, პატივისცემას ადამიანის უფლებების და ქრისტიანული ფასეულობების მიმართ. ეს მოთხოვნები პირდაპირ იერიშს წარმოადგენდა მარქსისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროისათვის ბევრის წარმოდგენაში ცარიელ ნიჟარას უტოლდებოდა. როდესაც პაპი იოანე პავლე მეორე თავის სიტყვას წარმოთქვამდა, ადამიანები მუხტს გრძნობდნენ – მუხტს, რომელიც ყოველთვის ჩნდება დიდ შემსრულებელსა და მსმენელებს შორის. ათი წუთი არ ცხრებოდა ოვაცია, რომელმაც თითქმის შთანთქა ხმა პაპისა, ცაში აღმართული ჯვრის საფეხურთან რომ იდგა.

ამ ზეიმს კომპარტიის მეთაურები, ცხადია, არ ესწრებოდნენ, თუმცა ნერვიულად ადევნებდნენ მას თვალს ტელევიზიით. სახელმწიფო ტელევიზიის კამერები პაპსა და მის გარემოცვას იღებდნენ და არა მოედანზე შეგროვილ უზარმაზარ ბრბოს. ამგვარი მასშტაბის რელიგიური შეკრება დასავლეთ ევროპაში აღარ მომხდარა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან. ლიტვის კათოლიკური მოსახლეობა ვარშავიდან ისმენდა რადიოგადაცემებს. პაპის პატივსაცემად ჩატარებულ წირვებზე ეკლესიები ხალხს ვერ იტევდა. ლატვიაში და ესტონეთში კათოლიკეები, საერთოდ მორწმუნენი, გადაცემებს ფინეთიდან ისმენდნენ.

პაპის ვიზიტს პოლონეთში მოსკოვში, კრემლშიც ადევნებდნენ თვალს, ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში რონალდ რეიგანი ტელევიზიით უსმენდა გადაცემას თავისი რანჩოს ვერანდაზე სანტა ბარბარაში (კალიფორნია). მასთან ერთად იყო რიჩარდ ალენი, რომელიც მოგვიანებით გახდა მისი პირველი მრჩეველი სახელმწიფო უშიშროების დარგში. გადმოცემით რეიგანს თვალეები აევსო ცრემლებით აღტაცებული პოლონელების ხილვისას.

საბჭოთა კავშირის და პოლონეთის მთავრობები არ მოელოდნენ პაპის ესოდენ ტრიუმფალურ დაბრუნებას სამშობლოში. მეტი გაოცებაც ელოდათ, როდესაც პაპმა მთავრობებს თავისი პირობები წარუდგინა კომუნისტებისა და ეკლესიის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის: ადამიანის ძირითადი უფლებების გარანტია, რისი მოთხოვნა აქამდე წარმოუდგენელი იყო აღმოსავლეთის ბლოკის ნებისმიერ ქვეყანაში.

თავისი მოგზაურობის დროს პონტიფიკი შეხვდა მუშებს ნოვა-ჰუტას დასახლებიდან. ქვის სატყეებში მუშაობის პირადმა გამოცდილებამ ის ცოდნა შესძინა პაპს, რომელიც არც ერთ იტალიელ პონტიფიკს არ გააჩნდა. მან მრისხანე ეპისტოლე გამოუშვა, რომელშიც წერდა, რომ მუშებს არ უნდა იყენებდნენ უხეშად, როგორც წარმოების საშუალებას. და

ბოლოს, 10 ივნისს, რევოლუციური, სოციალისტური ქვეყნისათვის უპრეცედენტო ამბავი მოხდა: მილიონზე მეტი მორწმუნე მოვიდა კრაკოვის მახლობლად გამლილ მინდორზე პაპის გამოსათხოვარი სიტყვის მოსასმენად. პონტიფიკმა წამოიძახა: „ძვირფასო ძმებო და დებო! ძლიერნი უნდა იყოთ იმ ძალით, რომელიც რწმენას მოაქვს. ნურაფრის გემინათ. საზღვრები უნდა გაიხსნას“. როდესაც პაპი კათედრას მიუახლოვდა, ორი საპაერო ბურთი აფრინდა ცაში სიმბოლური ასოებით – „N“ და „P“, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის წინააღმდეგობის ძალების სიმბოლო იყო. „პოლონეთი განაგრძობს ბრძოლას“ – იკითხებოდა ამ სიმბოლოებში. ორი საბრძოლო ბანაკიც გამოიკვეთა: რომის პაპი ვოიტილა ძლიერი საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

ერთი წელი გავიდა პოლონეთში პაპის ვიზიტიდან. პოლონეთის ეკონომიკას გარდაუვალი ნგრევა ემუქრებოდა მრავალწლიანი უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად. ქარხნის მუშები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. 1980 წლის ივლისში სპონტანურად დაიწყო გაფიცვები. დასაწყისში გდანსკის ნავსამენის მუშებმა ნაკლები ენთუზიაზმი გამოავლინეს გაფიცებისადმი, რადგან ახსოვდათ, როგორ დახოცა პოლიციამ 1970 წელს გაფიცული მუშები ბალტიისპირა სამრეწველო ქალაქებში. ნავსამენის დირექცია აგრეთვე პირდებოდა მათ ხელფასების მომატებას, თუკი სამუშაო ადგილებზე დაბრუნდებოდნენ. გადამწყვეტ მომენტში ლებ ვალენსა, რომელმაც იმ დღით ნავსამენის მაღალი მოაჯირი გადალახა, ავიდა ესკავატორზე და მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდა. ვალენსა პოპულარული იყო მუშებს შორის. როდესაც მან მოუწოდა ჩაკეტილიყვნენ გემთსამენის ეზოში პოლიციელებისაგან თავდასაცავად, მუშებმა შეისმინეს მისი. შემდეგ დღეს – 15 აგვისტოს პაპმა თავისი მდივანი, მონსინიორ სტანისლავ ჟივიჩი პოლონეთში გაამგზავრა „დასასვენებლად“. იგი ვოიტილას ერთერთი ნდობით აღჭურვილი პირი და დიდი დამხმარე იყო. პოლონეთში ჟივიჩი პაპის თვალი და ყური უნდა ყოფილიყო.

პაპის საზაფხულო რეზიდენციაში – კასტელ განდოლოფოში – იოანე პავლე მეორე ტელევიზიით ადევნებდა თვალს გადაცემებს პოლონეთიდან. გემსამენის კარებზე გაკრული იყო პაპის და ჩენტოხოვის ცნობილი „შავი“ მაღონას გამოსახულებები. დასავლეთის პოლიტიკოსებს უკვირდათ, როდესაც გაფიცული მუშები მუხლმოდრეკილნი ლოცულობდნენ რელიგიური სიმბოლოების წინაშე, რომლებიც თავიანთ საომარ დროშებად გამოაცხადეს. გაფიცვამ მთელი პოლონეთი მოიცვა. გაფიცულთა რიცხვმა 300.000 გადააჭარბა.

იოანე პავლე მეორე ერთი კვირის განმავლობაში სდუმდა. 20 აგვისტოს კი, როდესაც ნათელი გახდა, რომ გაფიცვას შეიძლება ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი გამოეწვივა, პაპმა ორი მოკლე ლოცვა წარმოთქვა პოლონელი პილიგრიმების ჯგუფის წინ წმინდა პეტრეს მოედანზე. „რომში მჭიდრო კავშირს ვგრძნობთ ჩვენს პოლონელ თანამემამულეებთან, განსაკუთრებით კი ეკლესიასთან, რომლის პრობლემები ესოდენ ახლობელია ჩვენთვის“, აღნიშნა მან. ამგვარად პაპმა ღიად აკურთხა გაფიცვა. იმავე დღეს მან პოლონეთის ეკლესიის მეთაურს – პრიმატს – სათუთად შედგენილი წერილი გაუგზავნა: „მთელი გულით ვლოცულობ, რომ პოლონეთის ეპისკოპატმა ისევ შეძლოს ხალხის დახ-

მარება მძიმე ბრძოლაში ყოველდღიური სარჩოს, სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების მოპოვებისა და მომავლის აღორძინებისათვის“.

იმ საღამოს პოლონეთის მთავრობამ ისტორიული ნაბიჯი გადადგა – დათანხმდა მუშებს პირდაპირ მოლაპარაკებაზე წასულიყო საგაფიცვო კომიტეტთან გდანსკში და სხვა ქალაქებში. 31 აგვისტოს ხელმოწერილი იყო უპრეცედენტო „გდანსკის შეთანხმება“, რომლის თანახმად ნებადართული იყო პირველი დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნა „რკინის ფარდის“ მიღმა, რომელსაც „სოლიდარობა“ დაერქვა. ხელმოწერის ცერემონიაზე ვალენსამ დრამატული ჟესტით ამოიღო ჯიბიდან უზარმაზარი კალმისტარი – იოანე პავლე მეორესაგან მისი პოლონეთში მგზავრობის დროს მიღებული საჩუქარი, რომელზედაც პაპის სურათი იყო აღბეჭდილი.

1980 წ. შემოდგომაზე აღმოსავლეთ ბერლინში, ბუდაპეშტა და პრაღაში კომპარტიების ლიდერები შეწუხებულნი იყვნენ პოლონეთში მიმდინარე მოვლენებით. კრემლის უფროსები სთავაზობდნენ „პოლონელ მეგობრებს“ საგანგებო მდგომარეობის შემოღებას და „სოლიდარობის“ და მის მხარდამჭერთა წინააღმდეგ გამოსვლას. ერთობ უჩვეულო შეხვედრაზე პოლიტიბიუროს წევრებთან პოლონეთის კომპარტიის ლიდერები თავშეკავებას თხოვდნენ. „ახლა არ შემოვალთ პოლონეთში, – ბოლოს გადაწყვიტა ლ. ბრეჟნევმა, – მაგრამ თუ სიტუაცია გაუარესდა, შემოვალთ“. იანვარში საბჭოთა რეჟიმის მომხრეებს ახალი დარტყმა ელოდათ, როდესაც ლეხ ვალენსამ ვატიკანში იმგზავრა პონტიფიკის სანახავად, რომელმაც ვიწრო წრეში „სოლიდარობის“ დელეგაციის 14 წევრის პატივსაცემად წირვა ჩაატარა. ვალენსამ დაიპყრო რომი და ჟურნალისტები ჩამოსული კინოვარსკვლავის მსგავსად. „შვილი მამის სანახავად ჩამოვიდა“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა მან თავის ვიზიტს.

რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს დათვისებური, ძალზე არაელეგანტური, ნაცრისფერ კოსტუმში ჩაცმული კაცი შეიყვანეს ვატიკანში პაპის აპარტამენტებში. ეს იყო უილიამ კეისი, შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი. ეს ღრმად მორწმუნე კათოლიკე, რომელიც თითქმის ყოველდღიურად ესწრებოდა წირვას, ძალზე მიწიერი მისიით იყო ჩამოსული ვატიკანში. თავის სამუშაო ოთახში პაპი ყურადღებით ათვალიერებდა კეისის მიერ ჩამოტანილ სურათს: დიდი სიმაღლიდან გადაღებული მრავალრიცხოვანი ბრბო, შუაში კი ერთი თეთრი წერტილი – თვით პაპი, როდესაც იგი მიმართავდა თანამემამულეებს გამარჯვების მოედანზე 1979 წელს. იმ მომენტიდან, რაც ამერიკულმა სატელიტმა გადაიღო პაპის გამოსვლა პოლონეთში, კეისის და პრეზიდენტ რეიგანს სწამდათ, რომ მსოფლიოში არსებობს პოტენციური მესამე ზეძალა – 109 აკრის ტერიტორიის მქონე ვატიკანი, ქალაქი-სახელმწიფო და რომ მის მონარქს, პაპ იოანე პავლე მეორეს გააჩნდა შესანიშნავი არსენალი, რომლითაც შეეძლო ცივი ომის არსებული ბალანსის საგრძნობი დარღვევა. ამ შეხვედრის დროს, რომლის შესახებ არაფერი იქნებოდა ცნობილი მსოფლიოსათვის მთელი ათწლეულის განმავლობაში, კეისიმ (ფოტოს გამოყენებით, რაც ნათლად ცხადყოფდა სატელიტური ტექნოლოგიის შესაძლებლობებს) ხელი შეუწყო ერთგვარ ალიანსს ვა-

ტიკანსა და რეიგანის ადმინისტრაციას შორის. ფაქტიურად, მანამდე, სანამ რეიგანმა დაიკავა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი 1981 წ. 20 იანვარს, პირველი კონტაქტები აშშ-ის მთავრობასა და პაპს შორის უკვე არსებობდა. ზბიგნევ ბზეჟინსკი, პოლონური წარმოშობის ამერიკელი, პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი სახელმწიფო უშიშროების დარგში, წარმოადგენდა შეერთებულ შტატებს კაროლ ვოიტილას პაპად კურთხევის დროს წმინდა პეტრეს ტაძარში. 1980 წლის დეკემბრის დასაწყისში ბზეჟინსკიმ დაურეკა პონტიფიკს და გააფრთხილა საბჭოთა კავშირის ძალების პოლონეთში შესაძლო შესვლის შესახებ. ამ ლაპარაკის დროს ბზეჟინსკი ათვალისწინებდა სატელიტიდან გადაღებულ სურათებს, რომლებზეც ასახული იყო კარვები, რუსეთის სავლეთ სექტორში რომ იყო გაშლილი რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე. სურათზე ნათლად ჩანდა პოლონეთში საბჭოთა ჯარის შესაძლო შესვლისათვის მზადების სხვა ნიშნებიც. პაპმა კიდეც ერთხელ განიცადა შოკი.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის მთავრობამ არაერთი გაფრთხილება მიიღო პრეზიდენტ კარტერისაგან და უკვე არჩეულ პრეზიდენტ რეიგანისაგანაც, რომლებიც მიმოხედნენ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ისარგებლებდა რ. რეიგანის ინაუგურაციამდე დარჩენილი თვენახევრიანი მონაკვეთით. მოსკოვიდან პასუხი მოვიდა, რომ უახლოეს პერიოდში არავითარი ჯარების პოლონეთში შესვლა არ იგეგმებოდა. მაგრამ რეიგანს კარგად ესმოდა ის, თუ რა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა „სოლიდარობა“ მოსკოვისათვის. ინაუგურაციიდან ათი დღის შემდეგ იგი შეხვდა რიჩარდ ალენს – იმ დროს თავის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების დარგში – და ვილიამ კეისის. პრეზიდენტმა გადაწყვიტა გაეზარდა დახმარება, რომელსაც „სოლიდარობას“ უწევდა (ამერიკელი ლეიბორისტული მოძრაობის და პროფკავშირების გზით) – თანხებით და სპეციალისტებითაც. თვით პაპი დებულობდა დახმარებას აშშ-ის ყველაზე გასაიდუმლოებული წყაროებიდან – ინფორმაციის სახით, რომელიც მოდიოდა სატელიტური დაზვერვის გზით, საიდუმლო აგენტურისა და ელექტრონული სასმენი აპარატურის საშუალებით, აგრეთვე დისკუსიების შედეგად თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში. მათი ხშირი საუბრების დროს პონტიფიკი თავის მხრივ აწოდებდა კეისის ახალ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა პოლონეთში. კეისი ხედავდა, რომ საკუთარი წყაროებიდან (არსებითად, სასულიერო პირებისაგან) პაპი ინფორმირებული იყო როგორც „სოლიდარობის“ საქმიანობის, ასევე პოლონელების პოლიტიკური ლიდერების გეგმების შესახებ. ეს ინფორმაცია ძვირადღირებული აღმოჩნდა. 1981 წლის გაზაფხულზე პოლონეთში მუშათა დემონსტრაციებმა იმატა, „სოლიდარობა“ ემუქრებოდა მთავრობას საყოველთაო გაფიცვით. საბჭოთა ჯარი ისევ გაგზავნეს პოლონეთის საზღვრისაკენ „სასწავლო მანევრებზე“. 30 მარტს პოლონეთი და პაპი დიდ საფიქრალად იქცა რეიგანისათვის. პოლონეთის საჰაერო სივრცე გადაიკეტა ორი დღით, რაც მოასწავებდა საბჭოთა ჯარების ახალ „მანევრებს“ პოლონეთისაკენ. იმ დღეს ერთერთ თავის მიმართვაში პრეზიდენტმა რეიგანმა საგანგებო მისალმება გაუგზავნა პოლონელ მუშებს იმ უდრეკი პოზიციის გამო, რითაც ისინი „საერთაშორისო ადამიანურ პრინციპებს“ იცავდნენ. რამდენიმე წუთით გვიან, როდესაც რეიგანი თავისი ლიმუზინისაკენ მიდიო-

და, ჯონ ჰინკლიმ ესროლა მას და საკმაოდ მძიმედ დაჭრა. ოპერაციის შედეგად რეიგანს ფილტვიდან ამოუღეს ტყვია, რომელიც სულ მცირე მანძილით აცდა მის გულს და აორტას. ეს სასწაულებრივი გადარჩენა იყო. პაპმა საგანგებო წირვა ჩაატარა რომში, პირადი ბარათი გაუგზავნა რ. რეიგანს და უსურვა სწრაფი გამოჯანმრთელება.

ეს მძიმე პერიოდი იყო. სულ ცოტა ხნით ადრე პაპის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ ვილიამ კეისიმ დატოვა ვატიკანი გამოსათხოვარი სიტყვით და გაფრთხილებით: ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს რომის განყოფილებამ საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა, როდესაც ლეხ ვალენსამ რომში პაპი მოინახულა, მისი მასპინძელი იყო იტალიის ლეიბორისტული კონფედერაციის წარმომადგენელი. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსათვის ცნობილი გახდა, რომ იგი ბულგარეთზეც მუშაობდა. რადგან ბულგარელებს საბჭოთა კავშირი აკონტროლებდა, ეს ფაქტი ორ რამეზე მიუთითებდა: ან „სოლიდარობის“ გემები კომპრომენტირებული იყო და კომპრომისზე გათვალისწინებული, ან რომ თვით ვალენსა დიდ ხიფათში იყო.

1981 წლის 13 მაისს, დღის 5 საათზე უმაღლესი პონტიფიკი გამოვიდა წმინდა პეტრეს მოედანზე ყოველკვირეული შეხვედრისათვის მოსახლეობასთან. იგი ღია „პაპობილში“ იყო. მის გვერდით სტანისლავ ჟივიჩი იმყოფებოდა. კოლონადას გაუსწორდნენ, მოულოდნელად ჟივიჩმა გამაყრუებელი გასროლის ხმა გაიგონა. დამფრთხალი მტრელები მოედნიდან აფრინდნენ. პაპი ჟივიჩს მიეყრდნო. „ვიცოდი, რომ პაპი დაიჭრა“, – ამბობდა ჟივიჩი მოგვიანებით, „მაგრამ სისხლი არსად სჩანდა“. ვკითხე – „სად?“ მან მიპასუხა – „უჭში“. პაპი დაიჭრა მუცლის არეში. ტყვიას მარჯვენა ხელის იდაყვსა და მარცხენა ხელის საჩვენებელ თითშიც გაევილო. გემელის კლინიკაში წაიყვანეს. „მარიამ ღვთისმშობელო!“ – იმეორებდა პაპი. თვალები დახუჭული ჰქონდა, დიდ ტკივილს გრძნობდა. კლინიკაში იგი ჯერ მეათე სართულზე, მისთვის განკუთვნილ ოთახში წაიყვანეს, შემდეგ საოპერაციოში. სისხლი ბევრი დაკარგა, და რადგან მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო, აღსარება მიაღებინეს. ოპერაცია 5 საათი და 20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. სწორი ნაწლავის საგრძნობი ნაწილი ამოკვეთეს. ოპერაციის დროს ექიმები დარწმუნდნენ, რომ პაპს არც ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანო არ ჰქონდა დაზიანებული. მათ პაპის გადარჩენის იმედი მიეცათ.

იმ ტყვიის მსგავსად, რომელიც სულ მცირე მანძილით აცდა რონალდ რეიგანის გულს, ეს ტყვიაც რამდენიმე მილიმეტრით აცდა პაპის აორტას. „აორტაში რომ მოხვედროდა, პაპის სიკვდილი გარდაუვალი და უცარი იქნებოდა“, – ამბობდა ჟივიჩი. „ეს ორი ტყვია ერთმა ხელმა გაისროლა“, – თქვა მოგვიანებით პაპმა, „მაგრამ მიმართულებას მათ სხვა ხელი აძლევდა“. დამნაშავე მალე დაიჭირეს. ეს იყო მეჰმეტ ალი აგჯა, თურქი ტერორისტი. აგჯა ხმამაღლა აცხადებდა პონტიფიკის მოკვლის სურვილს 1979 წელს, როდესაც პაპი თურქეთს ესტუმრა. სირთულე სწორედ ამის მერე დაიწყო. პაპის მოკვლის მცდელობის მიზეზების გახსნა მე-20 საუკუნის ერთერთ დიდ ამოუცნობ საიდუმლოებად დარჩა. პაპის უახლოეს წრეს და ნაცნობებს სჯეროდათ, რომ ამ გასროლის უკან საბჭოთა კავშირი ან მისი რომელიმე მოკავშირე იდგა. ძიებამ უჩვენა, რომ აგჯა დაიქირავა ბულგარეთის საი-



დუმლო სამსახურმა, რომელიც ამკარად საბჭოთა „სუკ“-ს ექვემდებარებოდა. 1981 წლის ივლისში პარიზში ბულგარეთის საელჩოს ატაშემ თავშესაფარი მოითხოვა საფრანგეთში. საფრანგეთის აგენტებმა მისგან შეიტყვეს, რომ პაპის მოკვლის გეგმა დასახა ბულგარეთის საიდუმლო სამსახურმა „სუკ“-ის ხელმძღვანელობით. ყოფილმა ატაშემ თქვა, რომ ეს ამბავი მეგობრისაგან იცოდა, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა ბულგარეთის სადაზვერვო სამსახურში. ინფორმაცია საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარელების ხელით მომზადებულ შეთქმულებაზე პირველად „რიდერს დაიჯესტივი“ დაიბეჭდა (1982 წ. სექტემბერი, „შეთქმულება პაპის მოკვლის თაობაზე“) ან გარდაცვლილი ჟურნალისტის ჩარლი სტერლინგის მიერ, რომელსაც მასალას აწვდიდნენ იტალიელი მკვლევარები.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს კეისის სჯეროდა, რომ პაპის მოკვლის მცდელობა საბჭოთა კავშირის მიერ იყო ინსპირირებული; მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა სტერლინგის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ. მოვლენების კეისისეულ ანალიზს იზიარებდნენ ზბიგნევ ბზეჟინსკი და ჰენრი კისინჯერი. ასე იყო თუ არა, საბჭოთა კავშირის ლიდერები დიდად იყვნენ შეწუხებულნი პრობლემით, რომელსაც მათთვის პაპი წარმოადგენდა, და უკმაყოფილონი იყვნენ პოლონეთის ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიმართ აღებული კურსით და შემწყნარებლური პოლიტიკით.

პაპს, ისევე როგორც რონალდ რეიგანს, გართულება ჰქონდა ჭრილობისაგან. ორთავეს 1981 წლის გაზაფხული და ზაფხული გამოსაჯანსაღებლად დასჭირდათ. ორთავე ამ პერიოდში პოლონეთზე ფიქრობდა. პოლონეთში კი მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. „სოლიდარობა“ თავისი პირველი ეროვნული კონგრესისათვის ემზადებოდა, რომელსაც სექტემბერში ატარებდა. პოლონელი მუშები მოუწოდებდნენ ადმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მუშებს დაეარსებინათ თავიანთი დამოუკიდებელი პროფკავშირები. ამის პასუხად საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაიწყო ცხრადღიანი მასიური სამხედრო „სასწავლო“ მანევრები ბალტიის ზღვის ნაპირთან და პოლონეთთან საზღვრის გასწვრივ. კრიზისი ახლოვდებოდა. პაპი შეწუხებული იყო. მისი მრავალწლიანი კოლეგა კარდინალი ვიჟინცი გარდაიცვალა, და პაპმა ღრმად განიცადა მასწავლებლის დაკარგვა. შუა ოქტომბრისაკენ სიტუაცია თითქმის ქაოსური იყო. გაფიცვებთან ერთად განშირდა შეტაკებები სამოქალაქო პირებსა და უშიშროების ძალებს შორის. პაპმა იცოდა, რომ პოლონეთის კომპარტია, მოსკოვიდან ზეწოლით, „სოლიდარობას“ აკონტროლებდა. 18 ოქტომბერს მოსკოვის მოთხოვნით პოლონეთის კომპარტიამ პარტიის პირველ მდივნად დანიშნა გენერალი ვოიჩეკ იარუზელსკი, რითაც განამტკიცა სამხედროების გავლენა პოლონეთის მთავრობაში. ამავე პერიოდში პრეზიდენტ რეიგანის საგანგებო წარმომადგენელმა ვერნონ ვალტერსმა ვატიკანი მოინახულა, სადაც სადაზვერვო სამსახურის მიერ სატელიტიდან გადაღებული სურათები მიიტანა. პაპმა ყურადღებით დაათვალიერა ისინი. მაშინვე იცნო ლენინის სახელობის გემთსაშენი გდანსკში, შეამჩნია დიდი მუქი წრე ნაცნობი ნაგებობებისაგან მოშორებით. ვალტერსმა აუხსნა, რომ ეს მძიმე ტექნიკა იყო – ტანკები, მანქანები, სხვა ადჭურვილობა. სურათებზე ნათლად ჩანდა საბჭოთა სამხედრო ძალების გადაადგილება პოლონეთის საზღვრისაკენ; ათასობით ჯარისკაცი პაპის

სამშობლოსაკენ იყო მიმართული. იარუზელსკიმ იცოდა, რომ თუ „სოლიდარობას“ არ გაუსწორდებოდა, საბჭოთა ძალების ჰოლონეთში შესვლა გარდაუვალი იყო. იგი საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად მოემზადა. კვირას, 13 დეკემბერს დილით მოქალაქეებმა ქუჩებში ტანკები დაინახეს; თავის შეფარება არსად შეიძლებოდა ეკლესიის გარდა, სადაც საკვირაო წირვა ტარდებოდა. დილით 6 საათზე იარუზელსკიმ ერს მიმართა ტელევიზიით – სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. იმ დროისათვის, როცა მან თავისი 22-წუთიანი სიტყვა დაამთავრა, ათასობით მუშა აღმოჩნდა ციხეში. იარუზელსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ბრალად ედებოდათ სახელმწიფოს დანგრევის მცდელობა. პაპის მდივანმა ვატიკანში მონსინიორ ჟივიჩმა ახალი ამბები სასწრაფოდ აცნობა პაპს. პაპმა თანამოაზრეები შემოიკრიბა კონტრსტრატეგიის ასამუშავებლად. მისი რწმენით, „სოლიდარობას“ იატაკქვეშეთში უნდა ეარსება. ამ აზრით შეპყრობილი პაპი ახალ ვიზიტს გეგმავდა პოლონეთში.

როდესაც თეთრმა სახლმა მიიღო პირველი ცნობები პოლონეთში დაწყებული დრამატული მოვლენების შესახებ, რონალდ რეიგანმა ეკონომიკურ და დიპლომატიურ სანქციებს მიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წინააღმდეგ. ექვსი თვის შემდეგ, 1982 წლის 7 ივნისს რეიგანი ეახლა ვატიკანს, რათა უმაღლეს დონეზე პირადად შეხვედროდა იოანე პავლე მეორეს. და თუმცა მსოფლმხედველობით პაპი და რეიგანი სრულიად საწინააღმდეგო პიროვნებებს წარმოადგენდნენ, მათ ადვილად გამონახეს ინტერესების საერთო ნიადაგი. ორივეს სჯეროდა როგორც სიმბოლური აქტის მნიშვნელობა, ისევე უმაღლესი განგების როლი მოვლენების განვითარებაში. ეს ის ძალაა, რომელმაც ისინი მკვლელების ტყვიებისაგან დაიცვა. პრეზიდენტმა ერთხელ თქვა თავისი მეუღლის და უახლოესი კოლეგების წრეში, რომ პაპის და პირადად მისი უმაღლესი მისია კომუნისტთან ბრძოლა და კომუნისტების დამარცხებაა. რეიგანი და პაპი თარჯიმნების გარეშე შეხვდნენ ერთმანეთს. მსოფლიოში ორი, უმაღლესი ძალით აღჭურვილი ადამიანი ერთ ძირითად, რადიკალურ საკითხს იხილავდა: საბჭოთა იმპერიის დამხობის აუცილებლობას. რეიგანი შეპირდა, რომ არ გააუქმებდა სანქციებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წინააღმდეგ, სანამ პოლონეთში საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდებოდა, სანამ პატიმრები ციხეებში იქნებოდნენ და სანამ არ განახლდებოდა დიალოგი პოლონეთის მთავრობას, ეკლესიასა და „სოლიდარობას“ შორის.

პაპმაც თავის მხრიდან დაიწყო მოქმედება. 1983 წლის 16 ივნისს იგი კიდევ ერთხელ დაბრუნდა პოლონეთში. მეორე დღესვე შეხვდა იარუზელსკის მოსალაპარაკებლად იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა კრიზისის შენელება და გადაჭრა. იარუზელსკის ნერვიულობა ეტყობოდა პაპთან შეხვედრისას. როგორც მრავალი სხვა პოლონელი, იგი პაპს თითქმის მითიურ ფიგურად აღიქვამდა. გენერალს უნდოდა, პაპს თავისი გავლენა „სოლიდარობის“ ყველაზე ექსტრემისტული ფრთის იზოლაციისათვის გამოეყენებინა. პაპი მტკიცე იყო თავის პოზიციაში. „მე მსურს, რაც შეიძლება მალე მიაღწიოთ გარკვეულ ნორმალურ მდგომარეობას“, – გამოაცხადა მან, რაშიც საგანგებო მდგომარეობის დასრულებას გულისხმობდა. – „მამინ პოლონეთს სხვა პოზიციები ექნება სხვა ქვეყნებ-

თან ურთიერთობაში“. იგულისხმებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთი არ გააუქმებდა სანქციებს. მოგვიანებით პაპი შეხვდა ლეხ ვალენსას და ინტელექტუალებს, რომლებსაც ფარული კონტაქტები გააჩნდათ იატაკქვეშ მყოფ „სოლიდარობასთან“. „სოლიდარობა“ აღარ წარმოადგენდა მხოლოდ არაკანონიერად გამოცხადებულ პროფკავშირს – ეს უკვე წინააღმდეგობის სიმბოლო იყო. პოლონეთში თავისი ვიზიტის დამთავრებისას პაპი ისევ შეხვდა იარუზელსკის პირისპირ. ხანგრძლივი, თითქმის საათნახევრიანი საუბრის ინიციატორი თვით პაპი იყო. იგი საუბრობდა პირდაპირ და დამაჯერებლად. როდესაც პაპი ვატიკანში დაბრუნდა, საგანგებო მდგომარეობა პოლონეთში დასრულებულად გამოაცხადეს.

პოლონეთში ცხოვრება ნელა უბრუნდებოდა ნორმალურ სტანდარტებს. 1986 წლის 11 სექტემბერს მმართველმა რეჟიმმა გამოაცხადა საყოველთაო ამნისტია და 225 პატიმარი გაათავისუფლა. „სოლიდარობის“ ლიდერებმა ხუთი წლის განმავლობაში პირველად მოიპოვეს შედარებითი თავისუფლება. 1990 წელს, როდესაც პოლონეთში დემოკრატიულმა წესმა გაიმარჯვა, ლეხ ვალენსა – „სოლიდარობის“ ლიდერი, ყოფილი ელექტრიკოსი – პოლონეთის პრეზიდენტად აირჩიეს. პოლონეთში მომხდარმა ამბებმა დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბლოკზე: ჯერ უნგრეთმა 1989 წლის მაისში გახსნა საზღვარი ავსტრიასთან; ოქტომბერში ათასობით გერმანელი გამოვიდა ქუჩებში აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებზე, ნოემბრის თვეში კი ბერლინის კედელი დაინგრა; დასრულდა ბულგარელი კომპარტიის ლიდერის თეოდორ ჟივკოვის 35-წლიანი მმართველობა; ჩეხოსლოვაკიაში დაარსდა კოალიციური მთავრობა, რომელშიც კომუნისტების გარდა ჩეხი ოპოზიციის წარმომადგენლებიც შევიდნენ. 1991 წლის აგვისტოში დაემხო „წითელი იმპერია“, როდესაც ბორის ელცინმა, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩაახშო პოლიტიბუროს კონსერვატიული ჯგუფის პუტჩი. კომუნისტური სამყარო ზანზარებდა და ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. როდესაც აღნიშნავდნენ პაპის დამსახურებას კომუნისტური იმპერიის ნგრევის პროცესში, იგი პასუხობდა: „მე არა ვარ ამის მიზეზი. ეს ხე უკვე დამპალი იყო. მე მხოლოდ შევანჯღრიე იგი, დამპალი ვამლები კი თავისით ჩამოცვივდა“.

კომუნისტური რეჟიმების დაშლის შემდეგ იოანე პავლე მეორე სხვა საკითხებს მიუბრუნდა – ეკლესიის მომავალი და პერსპექტივები ახალ საუკუნეში; მუშების ღირსების დაცვა; ვატიკანის საბჭოს პოზიციების გამოკვეთა, ქრისტიანობის ებრაული ფესვების ცნობასა და ანტისემიტიზმის დაგმობაში. უკანასკნელი საკითხით პირადად იყო დაინტერესებული ვოიტილა, რადგან ყოველთვის ახსოვდა, რამდენი პოლონელი ებრაელი დაიღუპა ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებში; არც იმას ივიწყებდა, როგორ დაკარგა ახალგაზრდობაში მეგობარი – გინკა ბირი. მრავალი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც იგი გამოეთხოვა გინკას, და აი ერთხელ, წმინდა პეტრეს მოედანზე, ყოველკვირეულ შეხვედრაზე მოსახლეობასთან, იქ მყოფი პოლონელების ჯგუფიდან ვიდაც მიუახლოვდა პაპს და უთხრა – „გინკა აქ არის“. „სად?“ – იკითხა პაპმა და სწრაფად მიმოიხედა. „დიდხანს მელაპარაკა“, – იხსენებს დაბერებული გინკა ბირი რეიზენფელდი. იგი პაპს მო-

უყვა, როგორ დაილუპა დედამისი აუშვიცში, მამა კი – საბჭოთა კავშირში. „მის თვალებში ღრმა თანაგრძნობას ვკითხულობდი“, – ამბობდა ქალი, – „იგი მომეხვია, მაკურთხა და ილოცა ჩემთვის“.

იოანე პავლე მეორეს ყოველთვის ესმოდა ებრაელებთან დიალოგის აუცილებლობა. მან რომის მთავარი სინაგოგა მოინახულა და მდინარე ტიბროსს დიდი ჯვარი გადაწერა – ეს იყო ჟესტი, რომელიც არც ერთ პაპს არ გაეკეთებინა ვოიტილამდე. რომაელმა ებრაელებმა იციან, რომ მათი საზოგადოება და ეკლესია უფრო ძველია, ვიდრე უძველესი ქრისტიანული ეკლესია. როდესაც წმინდანები პეტრე და პავლე რომში მივიდნენ, რომის იმპერიის დედაქალაქში უკვე თორავ იკითხებოდა და შაბათის წმინდა რიტუალიც სრულდებოდა... მოწმეები ყვებოდნენ, რომ როდესაც იოანე პავლე მეორე ამბობდა თავის სიტყვას სინაგოგაში, იგი ტირილთან იყო ახლოს. ერთხელ ბავშვობაში იგი მამას წაჰყვა ცნობილი ებრაელი კანტორის მოსასმენად. ახლა იგი იჯდა მოოქროვილ სავარძელში და ისმენდა, თუ როგორ ასრულებდა სინაგოგის გუნდი „ანი მამინ“-ს („მე მჯერა“), რომელსაც მდეროდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში გაზის კამერებისაკენ მიმავალი განწირული ებრაელები. როდესაც გუნდმა ხმა აიმაღლა, პაპი სავარძელში წამოიწია, თავი დახარა და სახეზე ხელი აიფარა.

იოანე პავლე მეორის გაუარესებული ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, მისი ვატიკანში ყოფნის უკანასკნელი პერიოდი დიდი აქტიურობით გამოირჩევა. და თუმცა მისი კურთხევისათვის აწეული ხელი მალე იღლება, იგი მიუთითებს ადამიანებს ფართო ჰორიზონტებისაკენ.

განვლილ წლებში სამყარო რადიკალურად შეიცვალა, და ერთდროულად პაპის აზროვნებაც იცვლებოდა. ის აღარ იყო „პოლონელი პაპი, რომელიც შორიდან მოვიდა“. ვოიტილა იქცა მოღვაწედ, რომელმაც, სპეციალისტების აზრით, საგრძნობლად შეუწყო ხელი რადიკალურ ცვლილებებს, მსოფლიოში რომ ჰქონდა ადგილი და, უპირველეს ყოვლისა კი, „რკინის ფარდის“ გაუქმებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მაგრამ არასწორი იქნებოდა ამ როლის მხოლოდ პოლიტიკური ასპექტით შეფასება. პაპი არსებითად კაცობრიობის უმაღლეს მორალურ ავტორიტეტად იქცა. მისი უახლოესი გეგმებია ურწმუნოების აღმოფხვრა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, „ხალხების ახალი ევანგელიზაცია“, ადამიანების მორალური სტანდარტების ამაღლება. მხოლოდ ამ ამოცანების შექმნი შეიძლება პაპის მთელი საქმიანობის, ისევე როგორც მისი მრავალრიცხოვანი მოგზაურობების შეფასება. ჟურნალისტები მას „მფრინავ პაპს“ ეძახიან. ვატიკანის რადიომ გასულ წელს გამოაქვეყნა ასეთი მონაცემები – 18 წლის განმავლობაში პაპმა 78-ჯერ იმოგზაურა იტალიის საზღვრებს გარეთ, რის შედეგადაც მოინახულა 166 ქვეყანა და დაფარა მილიონზე მეტი კილომეტრი. მგზავრობების დროს მან წარმოთქვა 2087 სიტყვა. პაპი მოხუცდა, დაუძღურდა, მაგრამ არ კარგავს ოპტიმიზმს, ადამიანთა საკეთილდღეოდ მოქმედების სურვილს. ბოლო წლებში მან საერთო ჯამში 5 თვე გაატარა „გემელის“ კლინიკაში (სადაც რამდენიმე ოპერაციაც გადაიტანა), რომელსაც იგი ხუმრობით „მესამე ვატიკანს“ უწოდებს („მეორე“ მისი საზაფხულო რეზიდენციაა). მიუხედავად ყოველივე

ამისა და ჟურნალისტების მიერ წამოწყებული მითქმა-მოთქმისა, იგი დასვენებას არ აპირებს თავისი მოვალეობებისაგან. ჟურნალისტები ბჭობენ მის შესაძლო მემკვიდრეზე, ერთერთად ასახელებენ ბრაზილიელ კარდინალს, ლუკაშ მორეივა ნევეშს. მაგრამ პაპი იმის არავითარ ნიშანს არ ავლენს, რომ მოვალეობების სხვისთვის გადაცემას აპირებდეს. იგი მტკიცედ აპირებს პაპის თანამდებობაზე შეხვდეს შემდეგ ათასწლეულს. ვატიკანიდან გამოყოფილი ზოგიერთი ხმის მიხედვით, შესაძლებელია პაპმა ნებაყოფლობით თქვას უარი ტახტზე. ეს დიდ სენსაციად იქცეოდა, რადგან ამგვარ მოვლენას ადგილი არ ჰქონია 1285 წლიდან, როდესაც მოხუც ცელესტინ V-ს მისმა მემკვიდრემ ბონიფაცი VIII-მ ათქმევინა უარი პაპის ტახტზე. ეს ვარიანტიც სრულადაა უარყოფილი იოანე პავლე II-ის მიერ. პაპი თავის პოზიციებს ინარჩუნებს. მომავალში ეკლესიის ლიბერალური მხარის მთავარ კანდიდატად ალბათ მილანოს კარდინალი – არქიეპისკოპოსი კარლო მარია მარტინი იქნება. დღეს სხვა სახელებსაც ახსენებენ – ნიგერიელ კარდინალ არნიზას, რომელიც შეიძლება პირველ შავკანიან პაპად იქცეს (რაც ვოიტილას ინტერნაციონალურ შეხედულებებს არ შეეწინააღმდეგება). მაგრამ ყოველივე ეს მომავლის, ღმერთმა ქნას, შორეული მომავლის საქმე იყოს.

კაროლ ვოიტილა – პაპი იოანე პავლე მეორე – იმ იშვიათ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მორალურ, ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ისტორიას ქმნიან, ახალ საზრდოს უქმნიან ახალი საუკუნის ინტელექტუალურ ძალას, ახალ მორალურ ჰორიზონტებს ხსნიან, სადაც ადამიანობა, გონება, მაღალი მორალი, შემწყნარებლობა, მსოფლიოს ბედზე ზრუნვა ჰარმონიულადაა შერწყმული და სადაც ახალი, ყოველმხრივ პოზიტიური ადამიანის აღმოცენების წინაპირობა იქმნება. ჩვენც დავლოცოთ ეს იშვიათი ადამიანი – ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი აქტიურობა ვუსურვოთ მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტული მრევლის, მიმდევრების და თაყვანისმცემლების საკეთილდღეოდ, რომელთა შორის არიან მორწმუნენი და ურწმუნონი, კათოლიკეები, მართლმადიდებლები და იუდეველები – ყველა, ვისაც ასეთი დიდი და მრავალწახნაგოვანი პიროვნების შეფასების უნარი გააჩნია.

*თამარ ცინცაძე*  
ჟურნალი „პოლიტიკა“, #4-6, 1997 წელი

## ხასიდეები: ფილოსოფია და ცხოვრებისეული მრწამსი

დღემდე ჟურნალ „პოლიტიკას“ არ გამოუქვეყნებია ცალკე მასალა ებრაული საზოგადოების ისტორიის, მრწამსის ან ფილოსოფიის შესახებ. ვინაიდან ყოველივე ეს კაცობრიობის ისტორიისა და ცხოვრების მნიშვნელოვან შრეს წარმოადგენს, გთავაზობთ ებრაული საზოგადოების ნაწილის – ხასიდეების – ცხოვრებისეული მრწამსის და ფილოსოფიის ამსახველ მასალას. ჩვენს თავზე არ ავიღებთ ესოდენ ღრმა საკითხების ანალიზს, აღნიშნული საკითხის განხილვას მივუდგებით მასთან ახლოს მდგომი პიროვნების თვალთაყუთხით, მით უმეტეს, რომ ეს პიროვნება ელი ვიზელია – ბოსტონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი, 1998 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი. მე-12 მემორიალური ლექცია, რომელიც მან წაიკითხა ვენის შვარცენბერგის სასახლეში, სწორედ ხასიდეებს მიუძღვნა და საკუთარ თავს როგორც ამ საზოგადოების ეროვნულ ნაწილს და შედეგს.

ელი ვიზელი დაიბადა 1928 წელს რუმინეთში, ქალაქ კურემში. 1944 წელს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დეპორტირებული იყო ოსვენციმში, სადაც დაეღუპა დედა და უმცროსი და. მამა, რომელთან ერთადაც ელი ოსვენციმიდან ბუდაპეშტში გაამგზავრეს, დაიღუპა იქ 1945 წელს. ომის დამთავრების შემდეგ ვიზელი პარიზში ჩავიდა, სადაც ლიტერატურას, ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას სწავლობდა, მოგვიანებით კი ჟურნალისტიკას და მწერლობას მიჰყო ხელი. 1957 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ღამე“ (La Nuit), რომელიც 25 ენაზე ითარგმნა. ამის შემდეგ ვიზელმა გამოაქვეყნა 40 წიგნი, რომელთა უმრავლესობა მიუძღვნა პოლიტიკურ თემას – ებრაელების განადგურებას გერმანელების მიერ საკონცენტრაციო ბანაკებში. 1970-იან წლებში ვიზელი აშშ-ში გადადის საცხოვრებლად, სადაც აარსებს „ელი ვიზელის ჰუმანიტარულ ფონდს“. 1978 წელს პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა დანიშნა იგი თეთრ სახლთან არსებული ჰოლოკოსტის კომისიის თავმჯდომარედ. ვიზელი ჰოლოკოსტის მემორიალური საბჭოს ერთერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარეა (1980-86 წ.წ.), ხოლო 1993 წლიდან – პარიზის კულტურის უნივერსალური აკადემიის პრეზიდენტი.

ვეყრდნობით რა ელი ვიზელის ლექციას სათაურით „როგორ ხედავენ ამას ხასიდეები“ და სხვადასხვა ისტორიულ და ფილოსოფიურ წყაროებს, გთავაზობთ მასალას ხასიდეების შესახებ.

იყო ოდესღაც ხელმწიფე, რომელმაც ასტროლოგებისაგან შეიტყო, რომ მომავალი წლის მოსავალს რაღაც ჭირი შეეყრებოდა, და ყველა, ვინც მის ნაყოფს იგემებდა, გაგიჟდებოდა. ხელმწიფემ მოიხმო უახლოესი მრჩეველი და უთხრა: „როდესაც მოვა მოსავლის ადების დრო, მე და შენ შუბლზე სიგიჟის ნიშნებს გავიკეთებთ, ამგვარად ერთმანეთს შევახსენებთ, რომ ქუიდან გადამდგარები ვართ“.

ბრაცლაველი რაბი ნამანის მიერ მოთხრობილ ამ ხასიდურ ამბავს სხვა დაბოლოებაც აქვს: როდესაც ხელმწიფემ თავისი ასტროლოგებისაგან შეიტყო ეს სამწუხარო ამბა-

ვი, ბრძანა დიდი ბედლის აშენება და იმ ბედელში მთელი იმ მარაგის შენახვა, რაც გადარჩა წინა წლის მოსავლიდან. ბედლის გასაღები თავის მეგობარს მიანდო და უთხრა: „როდესაც მეც და ჩემი ქვეშევრდომებიც დავსწრებულებით, მარტო შენ გექნება უფლება ბედელში შესვლისა და გადანახული მარცვლის ხმარებისა. ამგვარად შენ გადაურჩები წინასწარმეტყველებას, მაგრამ სანაცვლოდ გევალება სოფლიდან სოფლამდე, ქალაქიდან ქალაქამდე, ქუჩიდან ქუჩამდე სიარული და ხმამაღლა ყვირილი – კეთილო ადამიანებო, ნუ გავიწყდებათ, რომ შემოიღებთ ხართ, ნუ გავიწყდებათ, რომ საქმე თქვენს ცხოვრებას და სულს ეხება, ნუ გავიწყდებათ...“

ამის გამგონს ხან ხელმწიფე შეგეცოდება, ხან კი მისი მეგობარი. უაღრესად ძნელია დარჩე ქუთათმყოფი სიგიჟით დასწრებულ საზოგადოებაში. ძნელი წარმოსადგენია ამგვარი ტვირთის გაძლება. ელი ვიზელისათვის ხასიდიზში მისი ბავშვობის გაუჩინარებული სამყაროს მოგონებაა. ქვეცნობიერად სწორედ ხასიდიზიდან, ხასიდური ტრადიციებიდან მოდის ვიზელის გონებასა და მეხსიერებაში აღბეჭდილი მრავალი ფილოსოფიური ისტორია, დღესასწაულების სიყვარული, მისწრაფება ეძიოს ფარული აზრი იმაში, რაც თვალნათელია. როგორც თვითონ ამბობს, ხასიდიზში – ესაა მისი სწრაფვა შემეცნების, ლოცვისა და აღტაცებისადმი, რომელთა გარეშე ყველაფერი ნაცრისფერი და მიმზიდველობას მოკლებულია. როდესაც ბავშვობას იხსენებს, მას ხასიდური სიმღერა ესმის, და როდესაც ძველ ამბებს ყვება, ებრაულსა თუ არაბულს, უცნაური გზით ყოველი ამბავი ხასიდურად იქცევა.

მამ რა არის ხასიდიზში, როგორ შეიძლება ავხსნათ ეს მოვლენა?

ეტიმოლოგიურად ეს ცნება გამომდინარეობს სიტყვიდან „ხესად“, რომელიც სიკეთეს, ქველმოქმედებას, მფარველობას ნიშნავს. ე. ი. ხასიდი ისაა, ვისაც უნარი გააჩნია იყოს კეთილი, ქმნას სიკეთე, ურთიერთობა დაამყაროს მასთან, ვისი მთავარი თვისებაც სიკეთეა, და ამგვარად ახლოს იყოს თვით ღმერთთან (Kavayakhol).

ხასიდური მოძრაობა აღმოცენდა XVIII საუკუნის დასაწყისში. მისი დამფუძნებელი იყო რაბი ისრაელი – ელიზარისა და სარას ვაჟი, ბაალ-შემ-ტოვი, კეთილი სახელის მოძღვარი, რომელიც ცხოვრობდა კარპატის მთებში, ადამიანებისაგან სრულ იზოლაციაში. იგი უბრალო მასწავლებელი იყო – ეს პროფესია ერთერთ ყველაზე უმნიშვნელოდ ითვლება ებრაულ საზოგადოებაში. ლეგენდის თანახმად, 38 წლის მომავალ რაბი ისრაელს ძილში ხმა ჩაესმა, რომელმაც თვითშეგნება უბრძანა. სწორედ მაშინ ჩაისახა ხასიდიზში. ამ დღეს მოჰყვა 24 წელიწადი, რომლის განმავლობაში რაბიმ 300 ებრაული საზოგადოება მოინახულა. მეგობრების, სწავლულებისა და რაბინების დახმარებით მან შექმნა მოძრაობა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ებრაული საზოგადოების სათვისტომოების ცხოვრება შეცვალა.

ხასიდური მოძრაობის ესოდენ ძლიერი გავლენა მრავალ ებრაულ საზოგადოებაზე აიხსნება იმით, რომ XVII საუკუნემ ორგვარი კატასტროფა მოუტანა ებრაელებს – ერთი ფიზიკური, მეორე კი სულიერი. პირველის გამომწვევი მიზეზი იყო ბოგდან ხმელნიცის მიერ 1648-49 წლებში მოწყობილი სისხლიანი რბევები, რომელთა შედეგად დაინგრა ებ-

რაული სათვისტომოების უმრავლესობა. გადარჩა ებრაელთა ოჯახების მცირე რაოდენობა.

ამის შემდეგ მოკლე დროში გამოჩნდა უცნაური კაცი, სახელად შაბათაი ზევი, რომელიც მცდარი იდეით იყო შეპყრობილი. გაზის მცხოვრებმა, ებრაულ საზოგადოებაში კარგად ცნობილმა ნათანმა დიდი რეკლამა გაუწია ზევს, და უკანასკნელმა თავი მესიად გამოაცხადა. სასოწარკვეთილება, რომელმაც მოიცვა ებრაელები რბევების შემდეგ, იმდენად დამანგრეველი იყო, რომ მათ სჭირდებოდათ იმედი, ადამიანი, რომელსაც დაუჯერებდნენ და გაჰყვებოდნენ.

ზევის თეორიების არსი უბრალო ანტინომია იყო. რადგან თალმუდში ნათქვამია, რომ მესია სწორედ მაშინ მოვევლინებათ, როდესაც სამყაროში იმეფებს ან აბსოლუტური სიკეთე, ან აბსოლუტური ბოროტება, ადამიანებმა სწორედ უკანასკნელი დაინახეს გარშემო – სიკეთე უკვე არარსებულად მიაჩნდათ, რათა დაედასტურებინათ ბოროტების გამეფება და დაეჩქარებინათ მესიის მოსვლა. ზევის მიმდევრებმა ყველა შეზღუდვას გადააბიჯეს, ყოველივე გააკეთეს იმისათვის, რომ ადამიანებს მესიის მოსვლა ეწამათ. ამის შედეგად არჩევანის წინაშე მყოფმა – სიკვდილი ან ისლამი – ზევიმ ისლამი ირჩია. და მაშინ ებრაული სამყარო, განსაკუთრებით ჰატარა სოფლები და დაბები, სადაც ადამიანები თითქოს ისტორიის მიღმა არსებობდნენ, ღრმა ღეპრესიამ, სულიერმა კრიზისმა მოიცვა.

ბაალ-შემ-ტოვი მიმართავდა მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისი დახმარება: მდაბიოებს, უფულოებს, გლეხებს; მათ, ვინც ყველას მიერ იყო მიტოვებული, მათ შორის რელიგიურ ავტორიტეტებსაც. რაბინატის ინსტიტუტები დიდ ქალაქებში იყო განლაგებული; ეს მეტისმეტად ხისტი, მოუქნელი, ჩაკეტილი, მიუდგომელი სტრუქტურა იყო. მდაბიური წარმოშობა ბაალ-შემ-ტოვს უფრო ადვილად მისაწვდომს ხდიდა უბრალო ადამიანებისათვის. გარკვეული მნიშვნელობით ის იყო მათი სუბლიმირებული „მე“. ის სწორედ იმას ეუბნებოდა ადამიანებს, რისი მოსმენაც სურდათ: ის, რომ ღმერთს აბსოლუტური ყოველი მათგანი. არა უშავს, თუ მათ არ უსწავლიათ თალმუდი ან ბიბლია; უბრალო ლოცვას ისეთივე ძალა და ღირებულება გააჩნია, რაც მისტიურ მედიტაციას. აბსოლუტური ერუდიცია არ არის ერთადერთი ჭეშმარიტება, ღვთის რწმენა არ არის ერთადერთი კავშირი ქმნილებასა და შემქმნელს შორის. სიმღერა სიტყვებზე მნიშვნელოვანია, განზრახვა კი – შესრულებაზე. ღმერთი მწყემსის დუღუკს ისეთივე სიამოვნებით უსმენს, როგორც წმინდანს. ტუსადის ვედრება ბრძენის ვედრების ტოლია.

აზრი, რომ ღმერთის არა მარტო უნდა გეშინოდეს, არამედ უნდა გიყვარდეს, ხანდახან კი პასუხსაც თხოვდეს მას, ძალიან მნიშვნელოვანია ხასიდეების ფილოსოფია-თეორიებში. ზოგიერთი მოძღვარი ბედავდა ღმერთისადმი მიმართვას ასეთი სიტყვებით: „რა გინდა შენი ხალხისაგან? არ ეყოთ ამდენი ტანჯვა?“ ცნობილ ბერდიჩეველ რაბის ლევი-იცხაკს იმდენად უყვარდა თავისი ხალხი, რომ მან გაბედა მათი სახელით განეკიცხა თვით სამყაროს შემქმნელი.

ელი ვიზელი აღიარებს, რომ ბავშვობაში რაბი ლევი-იცხაკი მისი გმირი და კერპი იყო. მას წარმოედგინა რაბი ძლიერ გოლიათად, სუსტების და დაუცველების დაუმარცხებელ



დამცველად, რომელსაც სიკეთე და სამართლიანობა მოჰქონდა ყველასათვის, ვინც მართოსულად, მიტოვებულად და დავიწყებულად გრძნობდა თავს. დღეს კი ვიზელს უკეთესმის მისი ამბობების სიდიადე და უფრო ძლიერად უყვარს რაბი, ხშირად ფიქრობს მასთან დაკავშირებულ ისტორიებზე, განსაკუთრებით, სანამ წერას შეუდგებოდეს.

რაბი ლევი-იგხაკმა თავის რწმენაში ნახა ძალა ღვთის ნების განკითხვისა, ამიტომაცაა რაბის აზრები ამდენად ახლობელი ვიზელისათვის. რწმენით აღსავსე ადამიანის ტრაგედია ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ურწმუნოსი. ადამიანისათვის, რომელსაც რწმენა არ გააჩნია, არ არსებობს თეოდიციის (სამყაროში ბოროტების გამართლების) პრობლემა. ხედავს რა ადამიანების ტანჯვას, მორწმუნე პირისპირ ხვდება ორ პრობლემას: სად არის ადამიანის ადამიანობა, და სად არის ღმერთის სამართლიანობა და თანაგრძნობა? როგორც თქვა ბრაცლაველმა რაბი ნამანმა, არის პერიოდები, როდესაც „არც ერთი გული არაა იმდენად მთელი, როგორც გატეხილი გული“. ამ სიტყვების პერიოდში შეიძლება ასე ჟღერდეს: არის პერიოდები, როდესაც არც ერთი რწმენა არ რჩება იმდენად ხელუხლებელი და მთლიანი, როგორც დამსხვრეული რწმენა.

ვიზელის თქმით, მან ამბობდა ისწავლა იმ ბერდიჩეველი რაბისაგან, რაბი კი – თავისი წინაპრებისაგან. მოციქული იერემია თავის „გოდებაში“ იყენებს მკაცრ გამოთქმებს, როდესაც აღწერს იერუსალიმის დანგრევას და მის მაცხოვრებლების გვემას. რაღაც მომენტში ის წამოიყვირებს: „შენ კლავდი მათ უმოწყალოდ შენი რისხვის დღეს“. იერემია არ ამბობს: „შენ უყურებდი, როგორ კლავდნენ მკვლელები...“ არამედ „შენ კლავდი“... ვინ გაბედავს დღეს გაიმეოროს სასოწარკვეთილების ეს ყვირილი შიშის გარეშე, რათა არ გადააბიჯოს იმ ზღვარს, რომელიც ყოფს ნებადართულს აკრძალულისაგან?

ოცი წლის წინ, 1979 წელს ვიზელმა ვარშავა მოინახულა. ეს დაემთხვა ისეთ დღეს, როდესაც აღინიშნება იერუსალიმის ტაძრის დანგრევა. ვიზელი წავიდა წირვაზე სინაგოგაში – ერთადერთ შემორჩენილ სინაგოგაში ქალაქისა, რომელიც ოდესღაც ითვლებოდა ევროპაში ყველაზე ებრაულ ქალაქად. სინაგოგაში სულ ოცი-ოცდაათი მლოცველი თუ იქნებოდა. ადათის თანახმად, ანთეს სანთლები, მოემზადნენ „იერუსალიმის გოდების“ წასაკითხად. როგორც სტუმარს ვიზელს შესთავაზეს კითხვის დაწყება, რასაც იგი დამძიმებული გულით შეუდგა. მან წაიკითხა პირველი სტროფი – „ო, როგორი უული და სევდიანია ოდესღაც ხალხმრავალი ქალაქი!..“ – სტროფი, რომლითაც იერემია აღწერდა ღვთის ქალაქს, როგორადაც ის ევლინებოდა მნახველს მაშინ. ვიზელი გაჩერდა, კითხვის გაგრძელება გაუჭირდა. იგი არაერთხელ ყოფილა იერუსალიმში და კარგად იცნობდა ამ ქალაქს. იერუსალიმი დღეს ძალიან განსხვავდება იერემიას „უული და სევდიანი“, მგლოვიარე ქალაქისაგან. დღეს ეს ცოცხალი, მოძრავი ქალაქია რესტორნებით, სკოლებით, მრავალი დაწესებულებით, ხალხმრავალი ქუჩებით. ამიტომ ვიზელს გაუჭირდა იერემიას სიტყვების გამეორება იერუსალიმთან მიმართებაში; ადრე ეს სიტყვები ჭეშმარიტებას ღაღადებდა, ახლა კი... მაგრამ ამ დროს ერთმა აზრმა გაუელვა თავში: წინასწარმეტყველმა საუკუნეები განჭვრიტა. იგი ისევე მიმართავდა სინაგოგაში შეკრებილებს როგორც თავის თანამედროვეებს. ალბათ ყოველმა თაობამ იცის ამგვარი ისტორია თა-

ვისი ქალაქის შესახებ. ამჟამად ეს იყო ვარშავა – ქალაქი, რომელმაც გარკვეულწილად იერუსალიმის ისტორია გაიმეორა, ვარშავა თავისი სინაგოგების, ძველი სასწავლებლების, შენობების, საბავშვო ბაღების გარეშე, ვარშავა თავისი ებრაელი ბავშვების და მათი მასწავლებლების, თავისი ებრაული მელოდიების და ცრემლების გარეშე... და ვიზელმა განაგრძო „იერემიას გოდების“ კითხვა.

თალმუდურ ლიტერატურაში შეიძლება წააწყდეთ სხვადასხვაგვარ პროტესტს იმის წინააღმდეგ, თუ როგორ განაგებს ღმერთი ადამიანის საქმეებს. ვიზელის ნაწერებშიც ჩანს ამის ანარეკლი. იგი ხშირად უსვამს ხაზს ამ პროტესტების მნიშვნელობას და აჯერებს მათ არსებულ პასუხებს. იობი და აბრაამიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ღმერთის სამართლიანობას. ორთავე კარგ კითხვებს სვამდა, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

ამგვარად, ვიზელი ეკუთვნის თაობას, რომელიც პასუხების გარეშე დარჩენილად გრძნობს თავს. ამ თაობას ძირითადად კითხვები შემორჩა, და ვიზელი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მწერალი, ეძებს პასუხებს ამ კითხვებზე. ყველა ძახილის ნიშანი იქცა კითხვის ნიშნად.

კიდევ ერთი ისტორიაა ღმერთზე სასამართლოს მოწყობის ისტორია, რომელსაც ვიზელი იმოწმებს „ამბის ადგილიდან“, ყველაზე ბნელი ადგილიდან ცნობიერ სამყაროში. იმ დროს იგი მუშაობდა ადამიანთან ერთად, რომელიც ომამდე ხელმძღვანელობდა თალმუდურ აკადემიას პოლონეთში. ისინი ქვებს ათრევდნენ და ზეპირად იმეორებდნენ იმ ნაწილებს თალმუდიდან, რომლებიც ახსოვდათ. ერთხელ დამით მან თხოვა ვიზელს, მის გვერდით დამდგარიყო და შორიდან ედევნებინა თვალი იმ საოცარი, განუმეორებელი „გონების შემძრავი“ სასამართლოსათვის, რომელიც მის განყოფილებაში მოგვიანებით გაიმართა. ის კაცი ფიქრობდა, რომ, როგორც ბანაკში ყველაზე ახალგაზრდას, ვიზელს მეტი შანსი ჰქონდა გადარჩენის და იმ სასამართლოს მეხსიერებაში შემონახვის. ვიზელის მასწავლებელმა და მისმა ორმა კოლეგამ მოაწყვეს რაბინების სასამართლო, რომელზედაც თვით ღმერთი იყო მოპასუხე იმის გამო, რომ მან მტრებს ნება დართო თავისი ხალხის განადგურებისა. რაბინები სთავაზობდნენ არგუმენტებს ბრალდების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ, მოჰყავდათ კანონები, აანალიზებდნენ აზრებს. ბოლოს გამოიტანეს განაჩენი: დამნაშავეა. ამას ხანგრძლივი მძიმე ღუმელი მოჰყვა. შემდეგ მან, ვინც ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა, თქვა: „ახლა კი წავიდეთ და ვთქვათ ჩვენი სადამოს ლოცვა“, რაც ნიშნავდა, რომ კითხვა ისევ კითხვად დარჩა.

ვიზელმა დიდხანს არ იცოდა, როგორ მოქცეოდა ამ ისტორიას. სცადა მისი მოყოლა. დაწერა რომანი და გადააგლო ნაწერი – ოსვენციმზე რომანები არ იწერება. შემდეგ დაწერა კანტატა და გადააგლო ისიც. კიდევ სამი ნაწერი აღმოჩნდა ნაგვის ყუთში. ბოლოს მიხვდა, თუ რატომ არ შეეძლო ამ ამბის აღწერა. საჭირო იყო კონკრეტულ ადგილსა და დროს მოშორებოდა; მან დაწერა პიესა „Purimschpiel“, რომლის მოქმედება ხდება 1649 წელს, ხმელნიცკის რბევების პერიოდში. და ეს პიესაც თავდებოდა სწორედ ამ კითხვით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ხასიდიზმს. ამკარაა მისი გავლენა მრავალი ებრაელი მწერლის, მათ შორის ელი ვიზელის შემოქმედებაზე. ეს ნათელია ვიზელის რომანში „იდბლის

ქალაქი“, რომელიც მან დაწერა 60-იან წლებში („La wille de la chanec“ ან გერმანულად „Gezeiten des Schweigens“). რომანის მთავარი თემა – მეგობრობა; იგი მოგვითხრობს ახალგაზრდა ლტოლვილზე – მიქაელზე, რომელიც ბრუნდება მშობლიურ ქალაქში, სადაც მას დააპატიმრებენ და ჭკუაშეშლილთან ერთად გამოამწყვდევენ საკანში. კომუნისტურ პოლიციას სურდა გაეგო მიქაელისაგან, ვინ დაეხმარა მას საზღვრის გადალახვაში. მიქაელმა გაუძლო წამებას – ვერ აიძულეს ეთქვა მეგობრის სახელი.

არის რომანში ერთი უცნაური ადგილი. მიქაელი შედის მაღაზიაში, რომელიც ერთი პერიოდი ეკუთვნოდა მის ოჯახს. ახალი მეპატრონე ეკითხება, თუ რა სურს მას. მიქაელი პასუხობს – სანთლები. მაგრამ, როდესაც პოლიციელები ეკითხებიან, რატომ ჰქონდა მიქაელს სანთლები ჯიბეში, მიქაელი ვერ პასუხობს მათ. თვითონ არ იცის, რატომ იყიდა სანთლები. პოლიციელებმა დაჭრეს სანთლები, რადგან ფიქრობდნენ, რომ იქ მიკროფილმები იყო. რამდენიმე წლის შემდეგ: ვიზელიც დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. ჩასვლისთანავე შევიდა მაღაზიაში და იყიდა სანთლები. რატომ? იმიტომ, რომ სასაფლაოზე წასულიყო და სანთლები აენთო ბაბუის საფლავზე, ვის სახელსაც ატარებს, მის და სხვათა მოსაგონებლად.

კიდევ ერთი თემა, რომელსაც ხასილურ ლიტერატურაში ვხვდებით, მელანქოლიის, სევდის თემაა. ეს ადვილად გასაგებია. დატაკი, გაკიცხული, იმედგატეხილი, უშვილო ქალების ქმრები, ავადმყოფი ბავშვების მამები, ტუსალების ცოლები – ყველა მიდიოდა თავის რაბისთან უბედურების და გასაჭირის გასაზიარებლად, გატეხილი გულების გასაშიშვლებლად, და რაბიც უსმენდა მანამდე, სანამ სხვისი ტკივილის შეგრძნება აუტანელი ხდებოდა: რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს სხვისი გასაჭირის და უბედურების მოსმენა ისე, რომ არ იგრძნოს მისი სიმძიმე? აქ ორი შედეგია – რწმენის ან ჭკუის დაკარგვა. ზოგიერთი მასწავლებელი ამჯობინებდა რწმენის შენარჩუნებას ნებისმიერ საფასურად. გონზე რომ მოსულიყვნენ, დრო სჭირდებოდათ. თავს უნდა მორეოდნენ იმისათვის, რომ ახალმოსულებს დახმარებოდნენ, მოესმინათ მათი უბედურების შესახებ. როგორ ახერხებდნენ საკუთარი თავის ხელში აყვანას? პასუხი შეიძლება ვიზელის რომანში ვეძიოთ. მიქაელმა იცის, რომ თუ დიდხანს დარჩება საკანში ჭკუაშეშლილთან, თვითონაც გაგიჟდება. სიგიჟე ისევე გადამდებია, როგორც ნებისმიერი სხვა ავადმყოფობა. იმისათვის, რომ თავს უშველოს, მიქაელი იწყებს დაავადებულის მკურნალობას. მხოლოდ ასე – სხვისი დახმარებით შეიძლება საკუთარი თავის გადარჩენა. თუ გვინდა თავს ვუშველოთ, უნდა დავეხმაროთ სხვას. მიქაელმა ლაპარაკი დაიწყო ახალგაზრდა კაცთან იმ იმედით, რომ ათიდან ან ასიდან ერთი სიტყვა მაინც მიაღწევდა მის გონებას და დააბრუნებდა გააზრებულ ცხოვრებაში. რომანის დასასრული ასეთია: მიქაელი თავს ადარებდა გლეხს, რომლისთვის თესვა და მოსავლის აღება რამდენიმე თვითაა დამორებული ერთმანეთისაგან. ახლა მან თესვა დაიწყო. „ახლა ამ მომენტში, ჩემო მეგობარო, მრავალი წყვილია დედამიწაზე, რომლებსაც სურთ ერთმანეთისთვის ხელების მოხვევა. ზოგიერთი მათგანი ალბათ ეხვევა ერთმანეთს და სადღაც, მიტოვებულ სოფელში ახლადგაღვიძებულ ან ახლადჩაძინებულ ქალს თანასოფლელები ქვებს უშენენ, და ვერაფერი გადაარჩენს მას.

სადაც კი არის ყველას მიერ მიტოვებული კაცი, რომელიც ადარანაირ სიკეთეს არ ელის ადამიანებისაგან“.

და მაინც, სიყვარული არსებობს. ის რჩება და გადაეცემა, როგორც საიდუმლო ფორ-  
მულა, გულიდან გულამდე, ტუჩებიდან სმენამდე. ხშირად გულის ბილიკი იკარგება,  
თითქოს იფარება მცენარეულით; მაშინ დგება ღამე, ვებერთელა, უნაყოფო ღამე კონ-  
კრეტული მონახაზების გარეშე... ძნელია მხოლოდ კითხვებით არსებობა, მაგრამ ვინ  
თქვა, რომ არსებობს პასუხი ყველა ან თუნდაც მთავარ კითხვაზე?

ადამიანის არსი კითხვაშია. კითხვის არსი – უპასუხოდ დარჩენაში. კითხვების დასმა –  
რა არის ღმერთი? რა არის სამყარო? რა არის მეგობარი? – ნიშნავს, რომ არსებობს ვიდა-  
ცა, ვისაც ამას ვეუბნებით, ვისაც შეიძლება ვკითხოთ, საით წავიდეთ. ადამიანის სიღრმე,  
არსი, თვით მისი სული მის მუდმივ სურვილშია – დასვას ეს მთავარი კითხვა, ან დაუსვას  
იგი საკუთარ თავს იმისთვის, რომ იგრძნოს გაურკვეველი პასუხის არსებობა. ადამიანს  
აქვს უფლება გარისკოს საკუთარი სიცოცხლე. მას შეუძლია გარისკოს იმისთვის, რომ სა-  
კუთარ ბედს შეეჯიბროს. მან უნდა სცადოს იმის მიღება, რაც ესაჭიროება; სცადოს მთავა-  
რი კითხვების დასმა თავიდანვე და ეძიოს მათზე პასუხები.

თუ ორი კითხვა უპირისპირდება ერთმანეთს, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ორი კითხვა ერ-  
თმანეთთან დაპირისპირებაში უკვე გამარჯვებაა. კითხვები, რომლებიც ითხოვენ ყვი-  
რილს, ტკივილს თვალებში და სულში, არასოდეს მოკვდება. ამასთან დაკავშირებით ვი-  
ზელი წერს: „ის, რასაც გეუბნები, მეგობარო, ის, რის გადმოცემასაც ვცდილობ შენთვის,  
ვისწავლე ჩემი მეგობრისაგან, ერთადერთი მეგობრისაგან, რომელიც ახლა ან მკვდა-  
რია, ან ციხეშია. მან მასწავლა ადამიანისათვის აუცილებელი ხელოვნება – ილტვოდეს  
ადამიანებისაკენ, არ დალატობდეს მათ; ადამიანი, რომელიც ცდილობს იყოს ანგელო-  
ზი, მხოლოდ მანჭვა-გრეხვას ახერხებს. ადამიანობაში ჩვენ ვპოულობთ ჩვენს კითხვებს  
და იმ ძალასაც, რომლითაც ვაკავებთ ამ კითხვებს გარკვეულ ფარგლებში ან, პირიქით,  
ვაქვევთ მათ უნივერსალურად. მაგრამ, ამასთან ერთად, არ ვეფლობით გულგრილობის  
ნირვანაში... ადამიანი ადამიანად და ადამიანურად რჩება, თუ იგი ადამიანებთანაა. უფ-  
რო ძნელია ადამიანად დარჩე, ვიდრე ადამიანურობის საზღვრები გადაკვეთო. უთხარი  
საკუთარ თავს, რომ ღმერთიც კი აღიარებს საკუთარ სისუსტეს თავისივე ქმნილების წი-  
ნაშე. იყო გულგრილი, სულერთია რა მიზეზით, ნიშნავს არა მარტო არსებობის ღირებუ-  
ლების უკუგდებას, არამედ თვით სილამაზის უარყოფას. უღალატე სხვას – და შენ დარ-  
ჩები ადამიანად. აწამე შენი ახლობელი – და მაინც ადამიანი ხარ. ბოროტება ადამიანუ-  
რია, სისუსტე ადამიანურია, გულგრილობა – არა“.

ხასიდიზმი იყო წამალი გულგრილობის წინააღმდეგ, და ალბათ იგი გახდა ჰოლო-  
კოსტის მთავარი მსხვერპლი – 6 მილიონიდან 3 მიეკუთვნებოდა ხასიდურ ჯგუფებსა და  
საზოგადოებებს. იყვნენ ისინი მეტისმეტად ადამიანურნი სამყაროში, სადაც არაადამი-  
ანურობა სუფევს? არ შეეძლოთ ეარსებათ ამ სამყაროში? არ შეეძლო ბოროტებას ეარსება  
მათი გულების სიწმინდის გვერდით, შესაძლოა ასე იყო. მაშინ რომ სცოდნოდა ვინმეს,  
რომ, ყოველივეს მიუხედავად, ხასიდური მოძრაობა, ხასიდური იდეა, ხასიდების ისტო-

რია, ხასილური აღმაფრენა შემორჩება მსოფლიოს, შეუძლებლად მოეჩვენებოდა, მაგრამ ეს ასეა.

თითქმის ყველა ხასილური მოძღვარი დარჩა თავის მოსწავლეებთან და ჯგუფებთან ერთად. მათ შეეძლოთ საკუთარი თავის გადარჩენა, ბევრს შეეძლო. ხშირად ქრისტიანი მღვდლები სთავაზობდნენ თავშესაფარს რაბინებს. ხშირად შეძლებულ ებრაულ ოჯახებს მალავდნენ მათი ქრისტიანი მსახურები. მსახურმა გადაარჩინა ვიზელების ოჯახიც, და ვიზელიც დიდი სიყვარულით წერს მასზე – მარიაზე. ეს იყო უბრალო ქრისტიანი ქალი, ქრისტიანული სინდისის განსახიერება; ის მიდიოდა ებრაულ გეტოში, მიჰქონდა ვიზელებისთვის საკვები. როდესაც დაიწყო ებრაელების დეპორტაცია, მარია ემუდარებოდა ვიზელების ოჯახს, მასთან ერთად შეფარებოდნენ მთიან ადგილებს. მას ჰქონდა პატარა ხის სახლი, რომელსაც მათ სთავაზობდა თავშესაფრად. ვიზელებს რომ სცოდნოდათ, რა მოელოდათ, ალბათ მარიას წაყვებოდნენ.

ყველა მოძღვარი, ორის ან სამის გარდა, დარჩა თავის ჯგუფთან. ვიზელის მამა არ იყო მოძღვარი, მაგრამ ისიც დარჩა სხვებთან ერთად. ბუნებრივი იქნებოდა, თუ ყოველივე, რაც მოხდა, ხასილუმის მოძრაობის ბოლო იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ისრაელში ეს მოძრაობა ცოცხალია. იერუსალიმი სავსეა ხასილური ჯგუფებით. ისევე, როგორც აშშ-ში ბრუკლინი, ან პარიზი და ვენა. სასწაულია, მაგრამ ხასილუმში ცოცხალია.

ამ მოძრაობის ძალა მის უნარშია ებრძოლოს გულგრილობას, ბუნებრივია წარმოვიდგინოთ, რომ სიყვარულის ანტიპოლია არა სიძულვილი, არამედ გულგრილობა. იგივეა სხვა შემთხვევაშიც: რწმენის საწინააღმდეგოა არა ერეტიკოსობა, არამედ გულგრილობა, სილამაზეს უპირისპირდება არა სიმაზინჯე, არამედ სილამაზისა და სიმაზინჯისადმი გულგრილობა. სიცოცხლის საწინააღმდეგოა არა სიკვდილი, არამედ გულგრილობა, მოკვდე და თან ცოცხალი იყო. მამ, რას ნიშნავს გულგრილობა? ეს ნიშნავს, იყო გულგრილი სხვის მიმართ, მისი სიხარულისა და უბედურების მიმართ. თუ გულგრილობა დაგვეპატრონა, ეს ადარ არის პროცესი, ეს ბოლოა. თუ გულგრილობა მოიცავს კიდევ უფრო მეტ გულსა და გონებას, კაცობრიობა ბევრად უფრო რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, ვიდრე ის პრობლემები და სიძნელები, რომლებიც დღესაა აღმართული ადამიანების წინაშე. და ალბათ ეს იქნება ბოლო როგორც ხასილების, ისე კაცობრიობისთვისაც.

მკითხველისთვის ქვეტექსტი ნათელი უნდა იყოს, ისევე, როგორც ნათელია ხასილური მრწამსის ღირებულება მსოფლიო რელიგიების და ფილოსოფიების კონტექსტში.

*თამარ ცინცაძე*

*ჟურნალი „პოლიტიკა“, #3, 1999 წ. გვ. 72-77*

კლოდ მაკეი შეერთებულ შტატებში „ზანგური აღორძინების“ ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი აქტიური მონაწილე იყო ე. წ. „ახალი ზანგის“ მოძრაობისა – მოძრაობისა, რომელმაც ბევრი რამ ახალი შესძინა ზანგურ ლიტერატურას. 20-იანი წლების ზანგ პოეტებსა და პროზაიკოსებში წარმოშვა ახალი სულისკვეთება, განწყობა, პერსპექტივები. 20-იანი წლების ახალგაზრდა ზანგი მწერლები საკუთარ თავს „ახალი თაობის“ მწერლებს უწოდებდნენ. ამ ტერმინში მხოლოდ მათი ასაკი, მათი ახალგაზრდობა არ წარმოჩენილა. მასში აისახა ის სულისკვეთებაც, რომლითაც მოვიდნენ ისინი ლიტერატურაში. მაკეი თავის კოლეგებზე უფროსი იყო. მაგრამ მსჯელობათა სიახლე, გაბედულება, მისი მემობოხე, რევოლუციური სულისკვეთება, ცხოველი ინტერესი იმდროინდელი აქტუალური სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისადმი, ხალხური კულტურის სიყვარული, ინტერესი აფრიკის ისტორიისა და კულტურისადმი, ზანგთა ქვედა ფენების ცხოვრებისადმი საშუალებას იძლევა მივანიჭოთ მაკეის პირველი ადგილი „ზანგური აღორძინების“ მწერლებს შორის. პარადოქსალურია ის, რომ ადამიანი, რომელმაც ყველაზე სრულად და გულწრფელად გამოხატა 20-იანი წლების ჰარლემელი ინტელიგენციის განწყობები, არც კი იყო ამერიკელი. უ. დუბუამ და ჯ. უ. ჯონსონმა შექმნეს აუცილებელი წინაპირობები „ზანგური აღორძინებისათვის“, მაგრამ კრიტიკოსთა ერთსულოვანი აზრით, სწორედ კლოდ მაკეი, წარმოშობით იამაიკელი, იქცა ამ პერიოდის, ამერიკაში ამ ჭეშმარიტად ზანგური მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვან პოეტად. ცნობილი კრიტიკოსი ა. ჩეპმენი წერდა: „კლოდ მაკეი თავისი დროის გამოჩენილი პოეტი იყო. გამომწვევი სიამაყე, ესოდენ დამახასიათებელი რომ იყო „ზანგური აღორძინების“ საპროტესტო ლიტერატურისათვის, მისი შემოქმედების მთავარ თვისებას წარმოადგენს“. „ახალგაზრდა თაობის“ მწერლებში მაკეიმ პირველმა გამოხატა „ახალი ზანგის“ სულისკვეთება. „ზანგური აღორძინების“ სხვა პოეტებსა და პროზაიკოსებზე მეტად იყო მაკეი გულწრფელი ამერიკული საზოგადოებისა და კულტურის კრიტიკაში. თავის ნაწარმოებებში იგი ასახავდა დასავლეთის ბურჟუაზიული კულტურის მანკიერ მხარეებს, მოუწოდებდა ზანგებს ამბოხებისაკენ, თეთრკანიანებთან ბრძოლისაკენ. 60-იან წლებში ბევრი მისი იდეა ლოზუნგების სახით აიტაცეს „შავკანიანთა ხელისუფლების“ მოძრაობის მონაწილეებმა.

მაკეი დაიბადა 1890 წელს იამაიკაზე, გლენის ოჯახში. ექვსი წლიდან უფროს ძმასთან ცხოვრობდა, რომელიც მასწავლებელი და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი იყო და დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მაკეის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ბავშვობის წლები, რომლებიც მაკეიმ იამაიკაზე გაატარა, იდეალურ ფონად იქცა მასში ბერნსისებური განწყობების ჩასახვისათვის. ამას ინგლისელ უალტერ ჯეკილთანაც შეხვედრამ შეუწყო ხელი. ჯეკილი იამაიკური ფოლკლორის სპეციალისტი იყო. მან ასწავლა მაკეის მშობლიური ხალხური კულტურის, ფოლკლორის სიყვარული და ერთდროულად

ამერიკული და ინგლისური პოეზიაც შეაყვარა მას. ჯეკილმა უჩვენა, თუ როგორ უნდა ეხმარა მაკეის პოეზიაში ადგილობრივი დიალექტი. 1911 წ. ჯეკილის დახმარებით მაკეიმ გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული „იამაიკის სიმღერები“. ეს მომნიბლავი, იამაიკის დიალექტზე შექმნილი ლექსებია. მაკეი წერს იამაიკის ბუნებაზე, მის უბრალო ხალხზე, რასობრივ ცრურწმენებზე, აკეთებს ბავშვობის ლირიულ ჩანახატებს, ქმნის სასიყვარულო ლირიკას, რეალისტურია მის მიერ შექმნილი იამაიკელი გლეხების სახეები. მისი გლეხები დატაკები არიან, მაგრამ მაინც ბედნიერნი თავიანთი უბრალო ცხოვრებითა და ბუნებასთან სიახლოვით. კრებულში „იამაიკის სიმღერები“ მაკეი მხოლოდ სვამს კითხვებს. იგი არ ცდილობს მათზე პასუხის გაცემას, მაგრამ მაშინაც კი ისმის მის პოეზიაში პროტესტის ხმა.

უბრალო ოჯახში გაზრდილ მაკეის არ შეეძლო თავისუფალი მხატვრის ცხოვრებით ეცხოვრა ან თავიდანვე პროფესიონალ მწერლად ქცულიყო. იგი ჯერ ხელობას სწავლობს, შემდეგ ვაჭრობას ცდილობს. 1912 წ. მაკეი კონსტებლად მსახურობს. როგორც კი გაეცნო ამ მისთვის სრულიად ახალ გარემოს, მაკეიმ მის საფუძველზე ახალი ლექსები შექმნა და იმავე წელს გამოსცა ისინი მეორე კრებულის სახით, რომელსაც „კონსტებლის ბაღები“ უწოდა. ამ კრებულში ნათლად ვლინდება მაკეის უკმაყოფილება და პროტესტი: ჩანს, რომ იგი ვერ ეგუება მისი გულისა და გონებისათვის უცხო ცხოვრების ყაიდას. კრებულის წინასიტყვაობაში მაკეი წერს: „მე არ ადვსდები ამ ცხოვრების წინააღმდეგ, მაგრამ ამბობება მუდამ მქონდა გულში“... პოეტი, რომელმაც იმ დროისათვის იგემა უცხო ქალაქში ცხოვრება და გაეცნო კონსტებლების – „წესრიგის დამცველთა“ – წრეს, მოულოდნელად აღმოაჩინა თავისთვის ახალ თემას – მას ეუფლება სურვილი დაბრუნდეს უკან – სოფელში, ბუნებაში, სადაც კონფლიქტები არ არის ასე მკვეთრად გამოხატული, ცხოვრება უბრალოა, ადამიანთა ბუნება კი – უფრო რბილი. მის პოეზიაში გამოსჭვივის ზიზღი ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი მისთვის დამახასიათებელი დამახინჯებული ურთიერთ დამოკიდებულებებით. წარმოშობით გლეხი, მაკეი იყენებს იამაიკის სოფლის დიალექტს ადგილობრივ გლეხთა ცხოვრებისა და ყოფის ლირიულ ასახვაში. მაგრამ მის ლექსებში იამაიკის პასტორალურ სურათებთან ერთად მოცემულია ზანგთა ყოფის მრავალი „არაპოეტური“ დეტალიც. ლექსების უმრავლესობა პოლემიკური ხასიათისაა, მილტონისა და უორდსუორთის სონეტების მსგავსად. უმაღლეს განათლებას მოწყურებული (იგი სოფლის მეურნეობაში აპირებდა დაოსტატებას და შემდეგ კვლავ იამაიკაზე, სოფელში დაბრუნებას) მაკეი შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. იგი ზანგურ ტასკიგი-კოლეჯში სწავლობს ერთ ხანს, შემდეგ კანზასის უნივერსიტეტში, მაგრამ ლიტერატურისადმი სიყვარულმა სძლია მის პირველად ჩანაფიქრს. მაკეი ნიუ-იორკში მიდის, ჰარლემში სახლდება და სერიოზულად იწყებს წერას. მაგრამ წერს მხოლოდ მუშაობისაგან თავისუფალ დროს – იმ წლებში მას მტვირთავად უმუშავია, ოფიცინტად, ბარმენად, მეჯინიბედ... იამაიკაზე, სადაც კონფლიქტები არ ატარებდნენ ესოდენ უკიდურეს, გროტესკულ ხასიათს, როგორც შეერთებულ შტატებში, მაკეი შეჩვეული იყო თბილ, ადამიანურ დამოკიდებულებებს, შტატებში კი იგი განაცვიფრა რასობრივ ცრურწმენათა გამოვლი-

ნების მახინჯმა ფორმებმა. „მე ჯერ გაოგნებული ვიყავი, – წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში, – ჩემი ბუნება აღსდგა ამ ბრმა სისასტიკის წინააღმდეგ... მაგრამ მერე ვიგრძენი, რომ თვითონვე განვიციდი საპასუხო ზიზღს...“ თუმცა ისევ მძიმე შრომით შოულობს ფულს, მაკეი ჯიუტად განაგრძობს წერას. 1917 წ. ჟურნალში „Seven Arts“ ფსევდონიმით ელი იდვარდსი იგი აქვეყნებს ლექსს „ჰარლემელი მოცეკვავე“. ამ ლექსის გამოსვლისთანავე ცნობილმა ზანგმა კრიტიკოსმა უ. ბრეისვეიტმა აუწყა ახალი ეტაპი ზანგურ ლიტერატურაში. ლექსმა ბევრ კრიტიკოსთა და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. მასში ვხედავთ სახეებს, ესოდენ პოპულარული რომ ხდება მოგვიანებით „ზანგური აღორძინების“ ლიტერატურაში. რამდენიმე ოსტატური შტრიხით მაკეი ქმნის მთელ სახეს; უხეში, ვულგარული ნიღბის ქვეშ, გარე პირობებით რომ არის შექმნილი, ხსნის ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას. უკვე ამ ლექსში გამოვლინდა მაკეის უნარი ლაკონურად, ეკონომიურად და შთაბეჭდავად ხმარობდეს სიტყვებს. „როდესაც ჰარლემელი მოცეკვავე“ ხელმეორედ დაიბეჭდა მაკეის სხვა, უჩვეულოდ მათრობელა ლექსებთან ერთად, მკითხველმა მაშინვე იგრძნო რაღაც ახალი, – წერდა მწერალი და კრიტიკოსი, „ზანგური აღორძინების“ მონაწილე ა. ბონტანი. – ეს იყო პირადი გამოცდილების საფუძველზე შექმნილი პოეზია, რომელიც ისევე განსხვავდება მწიგნობრივი პოეზიისაგან, როგორც ნამდვილი ყვავილები ხელოვნურისაგან“.

1922 წ. ინგლისში გამოიცა მაკეის კრებული „გაზაფხული ახალ ჰემპშირში“. 1922 წ. ახალი ლექსებით შევსებული ეს კრებული გამოვიდა შტატებში სახელწოდებით „ჰარლემის ჩრდილები“. აღსანიშნავია ის შთაბეჭდილება, რასაც ტოვებდა ეს კრებული 20-იანი წლების ზანგ და თეთრკანიან მკითხველებზე. მასზე აღტაცებით წერდნენ ა. მონტანი, სტ. ბრაუნი, მ. ისტმანი, ჯ. უ. ჯონსონი და სხვები. თეთრკანიან მკითხველებში მაკეის ლექსები აღტაცებასა და გაკვირვებას იწვევდნენ არა მხოლოდ იმით, რომ ზანგი ასე დახვეწილად ფლობდა კლასიკურ პოეტურ ფორმებს, არამედ იმითაც, რომ იგი შეუნიღბავად ამჟღავნებდა რისხვას, როგორც ამას აკეთებდნენ ზანგი მეამბოხეები 1919 წელს. კრებულის ყველაზე დასამახსოვრებელი ლექსი – „თუ სიკვდილი გვიწერია“ – სწორედ 1919 წლის ზანგთა გამოსვლებისაგან მიღებული შთაბეჭდილებით შეიქმნა. მთელი კრებული მკითხველმა აღიქვა როგორც „ზანგური აღორძინების“ შემდგომი განვითარების ნიშანი. მაკეი უდაოდ „ახალი ზანგის“ ენით ლაპარაკობდა – იგი წერდა ზანგის მიერ ახლად შექმნილი სიამაყის გრძნობაზე, მის სურვილზე, აღარ ურიგდებოდა მოვლენათა არსებულ წესს, ზანგებისათვის განათლების აუცილებლობაზე. მაკეი თავისუფლად გამოხატავდა თავის გრძნობებსა და აზრებს, ავლენდა ინტერესს თავისი დიდი ხნის წინათ დავიწყებული სამშობლოს – აფრიკის – კულტურისა და ისტორიისადმი, აღტაცებით წერდა მის ბუნებაზე, ხალხზე, რითმებზე, მოუწოდებდა ზანგ მწერლებს, აღარ შეექმნათ გასართობი ლიტერატურა, რომელიც ამკარად თეთრკანიან მკითხველზე იყო გათვალისწინებული. მრავალი ახალი ხმა, რომელთაც წინ მაკეის ხმა მიუძღვოდა, გაისმა 20-იანი წლების ზანგურ ლიტერატურაში – ლიტერატურაში, რომელსაც ნიუ-იორკის „Time“-მა „ჰარლემის ოქროს ხანა“ უწოდა. ამ ხმებში ბრეისვეიტი მაკეის წამყვან ხმად თვლიდა, მაგრამ უკვირდა,



რომ მაკეის შემოქმედებაში ერთდროულად რასობრივი და უნივერსალური მოტივები ისმის. ბრეისვეიტის აზრით, მაკეიში ჭეშმარიტი პოეტი და ლირიკოსი ჟღერს, როდესაც მის „ჰარლემელ მოცეკვავესა“ და „გაზაფხულს ახალ ჰემპშირში“ ვკითხულობთ, ხოლო ლექსში „თუ სიკვდილი გვიწერია“ მაკეი უფრო მეამბოხედ და მეომრად გვევლინება, ვიდრე პოეტად. პარადოქსალურია, მაგრამ მოგვიანებით სწორედ ამ ლექსმა მოუტანა მაკეის „ზანგური აღორძინების“ უმნიშვნელოვანესი პოეტის სახელი. ბრეისვეიტის გონებაში პოეტი და მეამბოხე სრულიად შეუთავსებელ ცნებებს წარმოადგენდნენ.

მაკეის პოეზია დახვეწილია და სისხლსავსე, მისი მნატვრული ხერხები კარგადაა დამუშავებული; მის ლექსებში არ შეიმჩნევა ის ოდნავ ხელოვნური კილო, რომელიც დროდადრო ვლინდება მის წინამორბედთა – ჰ. ლ. დუნბარის და ჯ. უ. ჯონსონის – პოეზიაში. მაკეი მიმართავს კლასიკურ პოეტურ ფორმებს, უმთავრესად სონეტს, მაგრამ მათი საშუალებით გამოხატავს ჭეშმარიტად თანამედროულ ახალ პრობლემებსა და იდეებს, და ეს საოცარ კონტრასტს ქმნის, მისი სასიყვარულო ლირიკა დრამად ემოციონალურია; ლექსები იამაიკაზე გამსჭვალულია სიყვარულით მისი ბუნებისა და ხალხის მიმართ; მის მიერ შექმნილი ქალაქის სახე რეალისტურია; რასობრივ თემაზე შექმნილ ლექსებში ისმის პოეტის რისხვა და მძვინვარება. ლექსი „ანთებული გული“ მოწმობს, თუ რა ძნელად ეგუებოდა მაკეი ქალაქს „ჰარლემის ჩრდილები“ გვაგონებენ მაკეის ადრინდელ ლექსს „სოფლელი ქალიშვილი“ და უ. ბლეიკის „ლონდონს“ – პოეტი მტკივნეულად განიცდის ჰარლემელ ქალიშვილთა ბედს, რომლებიც იძულებულნი არიან ლუკმა-პურის საშოვნელად გავიდნენ ღამით ქუჩაში. ლექსში „თეთრკანიან მეგობრებს“ მაკეი ილაშქრებს სამხრეთ შტატებში გაბატონებულ ცრურწმენათა წინააღმდეგ, რომლებიც ერთნაირადაა დამამცირებელი ზანგებისათვისაც და თეთრკანიანებისათვისაც. ლექსში იგრძნობა ამაყი ბუნება ადამიანისა, რომელიც არ ურიგდება დამცირებასა და მლიქვნელობას. ლექსებში „ბაპტიზმი“, „თეთრი ქალაქი“, „თუ სიკვდილი გვიწერია“ ნათელია პოეტის მეამბოხე სულიკვეთება. მასში დაგროვილი ზიზღი მჩაგვრელთა მიმართ. „თეთრ სახლში“ და „უღელში“ მაკეი წერს ეკონომიურ და სოციალურ სიძნელებებზე, მუდამ რომ თან ახლავან ზანგის ცხოვრებას. და ყველგან, ყველგან ისმის მაკეის ხმაში პროტესტი და რისხვა, ბრძოლის სურვილი. თავის ლექსებში მაკეი მოითხოვს, რომ ზანგებმა შეიგნონ თავიანთი ტანჯვის მიზეზები და გაბედულად იცავდნენ საკუთარ ადამიანურ ღირსებას. „ამკარად ერთგული ექსპლოატირებული და ჩაგრული ზანგი ხალხის საქმისა, მაკეი იყენებდა კალამს როგორც იარაღს სოციალურ და ეკონომიურ პირობებთან ბრძოლაში“, – წერს კ. უილიამსი.

„ჰარლემის ჩრდილებს“ შემდეგ მაკეი წერს ლექსებს, რომანებს, მოთხრობებს, ავტობიოგრაფიას, სოციოლოგიურ გამოკვლევებს, მაგრამ აღარასოდეს აღწევს იგი ლირიულობისა და პროტესტის იმ სიღრმეს, რაც დამახასიათებელია ამ კრებულის ლექსებისათვის. შინაარსით და განწყობით ეს ლექსები თანამედროვეობის საჭირობოტო პრობლემებს შეესაბამებიან, მათში გამოყენებული ხერხებით კი ისინი ტრადიციულ პოეზიას ეკუთვნიან, ინგლისელი რომანტიკოსების მანერას ბაძავენ. ლექსებში მრავალი თემაა განვითარებული, მაგრამ მათში უმთავრესი პროტესტის თემაა ჯ. უ. ჯონსონის, ქ. კელენისა და

სხვა თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, მაკეი არ ნიღბავდა რისხვას, როდესაც რასობრივ ურთიერთობაში სიმანინჯესა და ცრურწმენას პირისპირ ხვდებოდა. მართალია, კრებულში წარმოდგენილ თავის ადრინდელ ლექსებში მაკეი ჯერ არ ეძებს გამოსავალს, მხოლოდ ვაჟაკურად იტანს ტკივილს. მოგვიანებით შექმნილ ლექსებში კი („თეთრი ქალაქი“, „ამერიკა“, „განდევნილი“ და სხვა) პოეტი პირდაპირ გამოხატავს რისხვასა და ზიზღს „ამ ცივილიზებული ჯოჯოხეთისადმი“ – ამერიკისადმი. მაკეი სწორად აფასებს ზანგის ისტორიული და ფიზიკური იზოლაციის ფარგლებს, რადგან მას როგორც წარმომობით არაამერიკელს შედარებით ადვილად შეეძლო ამ პროცესის ობიექტური გააზრება და გაანალიზება. ლექსში „თუ სიკვდილი გვიწერია“ იგი პირდაპირ პასუხობს კითხვაზე, რომელიც დიდი ხანია აწუხებდა მას – დანებდეს თუ იბრძოლოს? შეურიგდეს ვითარებას თუ მოკვდეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში? ამ ლექსში ვერ ვხედავთ შინაარსის ერთგვარ ბუნდოვნებას, რაც ესოდენ დამახასიათებელია „ზანგური აღორძინების“ მრავალი პოეტისათვის. მისი განწყობა მკვეთრია, მტკიცე. ამ თავის ყველაზე პოპულარულ ლექსში მაკეი ღრმა პროტესტს გამოხატავს და ზანგის მიერ ახლადშექმნილი სიამაყის გრძობასაც. პოეტი წარმოგვიდგენს ზანგს, როგორც უკომპრომისო, შეურიგებელ მეომარს. „როგორც ვაჟაკნი, ჩვენ დავუხვდებით უღმობელ, მშიშარა მტრებს, კედლთან მდგომნი, მომაკვდავნი, მაშინაც ვიბრძვით, – ამბობს პოეტი. ამ ლექსში აისახა გრძობები, რომლებიც დაუფლნენ ზანგთა ფენებს 1919 წ.<sup>1</sup> ეს ძლიერი, ლაკონური და დრამატიზმით აღსავსე სონეტი დაიბეჭდა თითქმის ყველა წამყვან ზანგურ ჟურნალ-გაზეთში. სენატორმა ჰენრი კ. ლოჯმა მოიყვანა იგი ზანგებში მზარდი რადიკალიზმის მაგალითად. 20 წლის შემდეგ კი ამერიკის კონგრესში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც იგი ამერიკელ ხალხს მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღოთ ფაშისმის წინააღმდეგ ომში, უინსტონ ჩერჩილმა წაიკითხა მაკეის ეს ლექსი, რითაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შესძინა მას. თვით მაკეის სიტყვებითაც რომ ვიმსჯელოთ, იგი დედამიწის ყველა დამცირებულსა და ჩაგრულს გულისხმობდა, როდესაც ამ ლექსს ქმნიდა. ამიტომაც ითვლება, რომ „ზანგური აღორძინების“ ლიტერატურა იწყება სწორედ ამ ლექსის დაბეჭდვასთან ერთად.

20-იანი წლები – ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია მაკეის როგორც პოეტის შემოქმედებაში. ეს იყო წლები მაკეის ყველაზე აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობისა, როდესაც იგი ახლოს გაეცნო მემარცხენე წრეებს, თანამშრომლობდა მარქსისტულ ლიტერატურულ ჟურნალში „Literator“ მაქს-ისტმანთან და მაიკლ გოლდთან ერთად. მოგვიანებით იგი დანიშნეს პროგრესული ჟურნალის „Masses“ რედაქტორის მოადგილედ. თავისი დროის მოწინავე ინტელიგენციასთან სიახლოვემ განაპირობა იმ წლებში მაკეის შემოქმედებითი აქტივობაც, მისი პოეზიის რევოლუციური, მშფოთვარე ბუნებამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე, შეიტანა მასში ახალი, ზანგური პოეზიისათვის მანამდე უცნობი განწყობა. მაკეიმ გამოავლინა დიდი ინტერესი კომუნიზმისადმი, საბჭოთა კავშირისადმი, 1922 წ. იგი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში კომინტერნის III კონგრესზე დასასწრებად და დაჰყო რუსეთში ერთი წელი. იგი ბეჭდავდა წერილებს, გამოდიოდა სიტყვებით, გაოცებული რჩებოდა თავისი პოპულარობით, იმ სითბოთი, რითაც მას

ყველგან ხვდებოდნენ რუსეთში, და, რასაკვირველია წერდა ლექსებს – სამშობლოზე, მოსკოვზე, ლენინზე, მეგობრებზე... გამოვიდა რა კონგრესზე როგორც ამერიკელ მუშათა პარტიის წარმომადგენელი, მაკეიმ თქვა, რომ შეერთებულ შტატებში ზანგებს ლინჩის წესით ასამართლებენ, ართმევენ მათ ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, აღრმავებენ რასობრივ ანტიგონიზმს თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, და ყოველივე ამას საფუძვლად არსებული კლასობრივი განსხვავება უდევს. საკვირველია, თუ რამდენად სწორად ესმოდა მაკეის ის, რომ სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი განსხვავებები წარმოშობენ უღრმეს კონფლიქტებს სხვადასხვა კლასის და რასის ადამიანებს შორის. საკვირველია, რადგან იმ წლებში პროგრესულად მოაზროვნე ზანგი ინტელიგენტებიც კი ამერიკელ ზანგთა ტანჯული ცხოვრების მიზეზს ხედავდნენ უმთავრესად რასობრივ, და არა კლასობრივ კონფლიქტებში.

რუსეთში მოგზაურობის შემდეგ მაკეი მოგზაურობს ევროპასა და აფრიკაში. დიდხანს ცხოვრობს გერმანიასა და საფრანგეთში, ესპანეთსა და მაროკოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მაკეი ადარ წერს ლექსებს. იგი პროზას მიუბრუნდება – წერს რომანებს ზანგთა უმდაბლესი ფენების ცხოვრების შესახებ. მაკეი უთანაგრძნობს ჩაგრულ და დაბეჩავებულ ხალხს, ჰუმანისტის პოზიციებიდან ესაუბრება მკითხველს. მისი რომანების ცენტრში „პრიმიტიულ“ ზანგს ვხედავთ, რომელიც იგებს დასავლეთის ცივილიზაციასთან შედარებაში. მაკეი ამაცობდა თავისი წარმომოებით და შავი კანით; მას სძულდა ზანგი ბურჟუაზია, იგი დასცინოდა განათლებულ ზანგებს, რცხვენოდა მათი მიმბაძველობისა თეთრკანიანების კულტურისადმი და ცხოვრების ნორმებისადმი მიდრეკილებისა. ამასთან ერთად მაკეი ებრძოდა ამერიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, ყალბად რომ ასახავდნენ ზანგებს. „არ არსებობს არაფერი, ამ სტერეოტიპებზე უფრო ყალბი“, – ამბობდა იგი. მაკეი აღწერდა და აღიღებდა ზანგურ ხალხურ ტრადიციებს და კულტურულ მემკვიდრეობას, რაც დამახასიათებელია 20-იანი წლების ზანგ მწერალთათვის. თავის რომანებში იგი ყურადღებას ამახვილებს ზანგების ცხოვრებისათვის ყოველივე დამახასიათებელზე, განსხვავებულზე. ყველა თავის რომანში მაკეი აღწერს შავკანიანთა ცხოვრების სიძნელეებს სამყაროში, რომლის მორალური და სოციალური ღირებულებანი არამყარია.

მის პირველ რომანში „შინ, ჰარლემისაკენ“ (1928) აღწერილია „მხიარული“ ჰარლემი. ავტორის სტილი იმპრესიონისტულია. სიუჟეტი უბრალოა და მიზეზს წარმოადგენს ჰარლემის კაბარეების, საცეკვაო დარბაზების, რესტორნებისა და სხვა გასართობი ადგილების აღწერისა. ამ ნაწილში წიგნი კ. ვ. ვეპტენის „ზანგთა სამოთხეს“<sup>2</sup> მოგვაგონებს, რის გამო სერიოზული ზანგი კრიტიკოსები საყვედურობდნენ მაკეის. ისინი ადანაშაულებდნენ მას იმის გამო, რომ იგი ყურადღებას ამახვილებდა ჰარლემელთა ყოფის მხოლოდ ერთ, და ისიც არადამახასიათებელ მხარეზე. მაგრამ უკვე ამ რომანში ვხედავთ მაკეისათვის დამახასიათებელი კონფლიქტის ჩანასახს: მთავარი გმირი ჯეიკი წმინდა ინსტიტუტს განასახიერებს, სიხარულს, ცხოვრების სიყვარულს. ამ სახეს მაკეი უპირისპირებს პროტესტანტულ მორალსა და ეთიკას. ჯეიკი – მაკეის პროზისათვის ტიპური გმირია,

დასავლეთის ცივილიზაციის მიერ ჯერ კიდევ გაურყვნილი „პრიმიტიული“ ზანგი. ჯეიკის ანტიპოდი, ახალგაზრდა მწერალი – რეი – ინტელექტს განასახიერებს, დასავლეთის მორალური ნორმებისაგან შეზღუდულ ადამიანს, პრობლემებს რომ ვერ გაურბის და თვით ცხოვრებასაც ვერ აღიქვამს უშუალო, პირდაპირი ფორმებით. იგი გრძნობს, რომ იხრჩობა თეთრკანიანების მიერ შექმნილ ცივილიზირებულ სამყაროში. მას ეშინია, რომ დაემსგავსება „მეტალის საკანში გამომწყვდეულ ბანკის კლერკს“. რეი ცივილიზაციას გაეცევა და ჯეიკისნაირად სურს ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე ინსტინქტს ვერ მიეცემა. იგი მეტისმეტადაა ინტელექტუალური, განუწყვეტლივ ფიქრობს და ლაპარაკობს დასავლეთის თანამედროვე საზოგადოებაზე – „ჩვენი საუკუნის ამ საერთაშორისო სამარეზე“. ეს საზოგადოება იწვევს მასში, ისევე როგორც მრავალ სხვა ინტელექტუალსა და მხატვარში, ღრმა ზიზღს საკუთარი თავისადმი. ადარებს რა ჯეიკის უდარდელ, ინსტინქტურ არსებობას რეის მოუსვენარ და მშფოთვარე ცხოვრებას, მაკეი ცდილობს გვიჩვენოს ინსტინქტის უპირატესობა გონებაზე. მაგრამ სინამდვილეში ორივე სახე უფრო ფართო მნიშვნელობას ღებულობს ავტორის უარყოფითი დამოკიდებულების შექმი თანამედროვე საზოგადოებისადმი. მაგრამ მაკეი ვერ ავითარებს მათი ურთიერთობის დრამატულ ხაზს, და ამასში სწორედ რომანის მთავარი ნაკლი. ორივე გმირის სახე საკმაოდ ცოცხალია და კოლორიტული, მაგრამ ყოველთვის არ არის ნათელი, თუ რას უარყოფენ ისინი, ავტორის ყურადღება ხშირად ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებზეა გადატანილი.

მეორე რომანში „ბანჯო“ (1929) მაკეი უკეთ ავითარებს ცენტრალურ თემას. რომანის ფორმა უფრო ჰარმონიულია და დასრულებულია. მოქმედების ადგილად ავტორს მარსელის პორტი აქვს ადებული. ამ რომანში იმავე თეზას და ანტითეზას ვხედავთ – ჯეიკის ნაცვლად მოხეტიალე მუსიკოსს ბანჯოსა და ისევ რეის, თუმცა მომენტებში ამ წიგნიც ჩანს ავტორის ეგზოტიურისადმი მისწრაფება, წიგნს სოციალური პერსპექტივა გააჩნია, რაც ნაკლებად შეიმჩნევა მაკეის პირველ რომანში. მაკეის პირველი რომანის ფონი თითქმის ვიქტორიანულად გვევლინება „ბანჯოს“ გმირების და მოვლენების ფონთან შედარებით. ავტორი აღწერს ხმელთაშუა ზღვის საპორტო ქალაქში მაწანწალათა, მტვირთავთა, მეზღვაურთა, წვრილ ვაჭართა, მოთამაშეთა და ბედნიერების მაძიებელთა ყოფას და ამ სოციალური ფენის დასრულებულ სურათს ქმნის. ამ რომანში რეი გადაწყვეტს შეუერთოს თავისი ბედი „ამ ქვეყნის ჯეიკებსა და ბანჯოებს“. იგი ძველებურად ბევრს ფიქრობს და მსჯელობს. მისი სახით მაკეი თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრებს ბურჟუაზიულ ცივილიზაციასა და დასავლეთის კულტურაზე, ლაპარაკობს ყალბ პატრიოტიზმზე, შეუზღუდავ სიხარბეზე, ცრურწმენებზე, უღმობელ პოლიციაზე, ამორალობაზე, ჭუჭყიან კომერციულობაზე, საყოველთაო კორუფციაზე. „საშინელია ასეთი სამყარო, რომელიც უბრალო და ბუნებრივ მოვლენებს უბედურებად და კატასტროფად აქცევს“, – წერს მაკეი. მწერალი ხედავს, რომ საყოველთაო მიდრეკილება სტანდარტიზაციის და კონფორმიზმისადმი ემუქრება ამერიკაში ეროვნულ უმცირესობათა მიერ შექმნილი მრავალფეროვანი, მდიდარი კულტურის არსებობას. მაკეი უმთავრესად ამხელს ბურჟუაზიული ცივილიზაციის მანკიერ მხარეებს. ამასთან ერთად ამ რომანში იგი საკუთარ აზრებსაც სთავა-

ზობს მკითხველს. მაკეი აღწერს ამერიკული სანაოსნო კამპანიის წესებს, ფრანგ პოლიციელთა ადათ-ჩვევებს, პორნოგრაფიულ ფილმებს, ასე რომ წამლავენ ახალგაზრდობას... ყოველივე ეს გადმოგვცემს დასავლეთის დიდი ქალაქის საერთო ატმოსფეროს. ფრანგი მძღოლი, სუტენერობით ნამოვნი ფულით მიწის ნაკვეთებს რომ ყიდულობს, სიმბოლოა ბურჟუაზიული რესპექტაბელობისა, ჭუჭყიან კომერციულობაზე რომ არის დაფუძნებული. სიმბოლურია აგრეთვე ადგილი, სადაც რომანში აღწერილი ამბები ხდება, – მარსელი – ხმელთაშუა ზღვის მთავარი სავაჭრო პორტი და ევროპისა და აზიის სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილი. მარსელის სოციალური ფსკერი მაკეისათვის ერთგვარ „სასინჯ ქვად“ იქცევა, რომლის საშუალებით იგი აფასებს ევროპული ცივილიზაციის ღირებულებებს. მაგრამ ცალკეული სიმბოლოები, რაგინდ კარგად არ უნდა იყვნენ ჩაფიქრებული მწერლის მიერ, ვერ შეცვლიან პირდაპირ დახასიათებებს და აღწერას.

რაც შეეხება რეის, ამ რომანშიც იგი აბსტრაქტულ ფიგურად რჩება. მისი ანტიპოდი კი და რომანის მთავარი გმირი – ბანჯო – კარგად არის აღწერილი როგორც სიმბოლოც და ცოცხალი სახეც. საბოლოო ჯამში იგი გარკვეულ ცხოვრების წესს განასახიერებს – ფულის მანიისაგან თავისუფალი, რესპექტაბელობით შეუზღუდავი ადამიანების ცხოვრებას. მაკეი ეძებს და პოულობს ბანჯოში დადებით მორალურ ღირებულებებს, რომელთა შორის მთავარია ფულისადმი გულგრილობა. „ისინი ყველანი ფულზე არიან შემოღობილი, – ამბობს ბანჯო საზოგადოების რესპექტაბელური კლასების წარმომადგენლებზე. თვით მაკეი იძულებული იყო ეცხოვრა კორუმპირებულ, ფულს დახარბებულ საზოგადოებაში. ამიტომ გარეგნულად რესპექტაბელურ, ღვთისმორწმუნე, ყოყმინა ბურჟუას მას უბრალო, „არარესპექტაბელური“ ბანჯო ურჩევნია მისი ჰელონისტური ფილოსოფიით. როდესაც ბანჯო ორკესტრის შექმნას ცდილობს, იგი სულაც არ მიისწრაფვის ფულადი ანაზღაურებისაკენ. ბანჯო შემომქმედია, მუსიკოსია მოწოდებით; იგი აფასებს ზანგების მუსიკალურობას და შემოქმედებით იმპულსს, მათ ხალხურ მუსიკასა და კულტურას. ჯაზი მისთვის თავისუფლებას განასახიერებს – თავისუფლებას ყოველგვარი ბორკილებისაგან, თვითგამონატვის თავისუფლებას, სპონტანურობას, იმპროვიზაციას, უარყოფას ყოველივე რესპექტაბელურისა და უსიცოცხლოსი. ეძებს რა ბურჟუაზიული საზოგადოების ღირებულებათაგან განსხვავებულ ღირებულებებს, მაკეი მათ ზანგურ კულტურაში, მუსიკაში, სამეტყველო ენაში, აფრიკულ ზღაპრებში, პრიმიტიულ აფრიკულ ქანდაკებებში პოულობს. მაკეის აზრით, ზანგის შველა დასავლეთის ცივილიზაციისაგან განდგომამი, საკუთარი კულტურის შენარჩუნებაშია. სწორედ ამიტომ ყველა მის რომანში იგი მკაცრად სჯის ზანგ ბურჟუაზიას მისთვის დამახასიათებელი მიმბაძველობისათვის. მისი პროზის მთავარი თემაა ზანგთა დაბალი კლასების წინააღმდეგობა ასიმილაციის მიმართ. მათი სურვილი შეინარჩუნონ ბუნების შეუზღუდავი თავისუფლება და მათი ტრადიციული კულტურა.

ამგვარად მაკეის მეორე რომანშიც მთავარი კონფლიქტი შაკანიან მაწანწალასა და თეთრკანიანთა ცივილიზაციას შორის იშლება. მაგრამ რეის სახე არ არის იმდენად დამაჯერებელი, რომ მისი საშუალებით ავტორმა გადაჭრით დაგმოს ბანჯოს სასარგებლოდ დასავლეთის ცივილიზაცია. რეი ბანჯოდ ვერ იქცევა, იგი უფრო მეტად არის თანამედ-

როვე ცივილიზაციის ნაყოფი, ვიდრე თვით მას ჰგონია. მისი ინტელექტი მისთვისვე დაბრკოლებად იქცევა: მას გადამწყვეტი არჩევანის უნარი არ გააჩნია; იგი კომპრომისზე მიდის, რადგან მას უნდა „ინტელექტიც შეინარჩუნოს და ინსტინქტებიც“. ამგვარად, ნაცვლად პირველადი თეზისა და ანტითეზისა (ბანჯო-რეი), ვხედავთ სხვაგვარ კომბინაციას: თეზა – ბანჯო, ანტითეზა – დასავლეთის ცივილიზაცია, სინთეზი – რეი. მაკეის მესამე რომანი „ბანანების ველი“ (1933) კულმინაციას წარმოადგენს მაკეის მიერ ფორმის ძიებისა. აქ მთავარი თემაა – კულტურული დუალიზმი, რომლის ფონად მაკეიმ მშობლიური იამაიკა აირჩია, სადაც ხალხური კულტურა უფრო განვითარებულია და ხელუხლებელი, მისი ევროპულ კულტურასთან კონფლიქტი კი – უფრო მკვეთრი და მძაფრი. რეის აღარ ვხედავთ ამ რომანში, და ავტორი უკეთ ახერხებს თავის თავსა და თხრობის შუა საჭირო დისტანციის შენარჩუნებას. რომანის ცენტრალური კონფლიქტი მისიონერებსა და მათ მიერ აღზრდილ და ინგლისში განათლებულ ზანგ გოგონას შორის იმართება. კრეგები-მისიონერები – მაკეის მიერ შექმნილ ევროპულთა სახეებში ყველაზე დამაჯერებელ სახეებს წარმოადგენენ, მით უფრო დამაჯერებელია მთავარი გმირის – ბიტას სახე. თავისი დინამიურობით ეს სახე ჩრდილავს რეის და ბანჯოს სტატიკურ, თუმცა შთამბეჭდავ სახეებს. კრეგების მიერ აღზრდილმა გლეხის გოგონამ ბიტამ ინგლისში მიიღო განათლება და იამაიკაზე დაბრუნდა, რათა კრეგებს მათ კეთილშობილურ საქმეში დახმარებოდა, გოგონა ორი კულტურის გავლენას განიცდის. მისი თავისუფალი ბუნება ვერ ეგუება მისიონერთა მონოტონურ, შეზღუდულ ცხოვრებას; იგი ცდილობს საკუთარ თავში ყოველივე ბუნებრივი აღმოაჩინოს და განავითაროს. ამ შინაგან ბრძოლაში მშობლიური კულტურა იმარჯვებს და გოგონა მას უბრუნდება – უბრუნდება თავის სოფელს, ხალხს, ადათ-ჩვევებს, ტრადიციებს. „ღვთის მადლობელი ვარ, – ამბობს იგი, – რომ, თუმცა თეთრკანიანებთან გავიზარდე და მათგანვე მივიღე განათლება, მე არასოდეს მომსურვებია ჩემი ვინაობის დავიწყება. მე ვამაყობ ჩემი კანის ფერით, ჩემი ხალხით, და არ მსურს მისგან განდგომა... არაფერია იმ ადამიანებზე უფრო ტრაგიკული, საკუთარი თავის გარდაქმნას რომ ცდილობენ, თავიანთი ბუნებრივი ვინაობის შეცვლას“. ამ რომანის მშვიდი, აუჩქარებელი ტონი და თითქმის პასტორალური ფონი განასხვავებს მას მაკეის დანარჩენი რომანებისაგან, სადაც ავტორისა და გმირების მშფოთვარე ბუნება, მოუსვენრობა და განუწყვეტელი ძიებები ჩანდა. აქ მაკეიმ დაასრულა ძიებები, დასკვნამდე მივიდა, მონახა ლაკონური, უბრალო, დასრულებული ფორმა. კრიტიკოსმა სტ. ბრაუნმა „ბანანების ველს“ მშვიდად მოყოლილი მშვიდი ამბავი უწოდა. ავტორის ტონი, აუღელვებელი ენა გადაუტვირთავია ეპითეტებით და ძახილის ნიშნებით, ესოდენ ხშირად რომ გვხვდება მის პირველ ორ რომანში. არ არის ამ რომანში არც რეი თავისი ფილოსოფიური მსჯელობებით და უსასრულო მონოლოგებით. ამ რომანში მაკეის ახასიათებს უბრალო სტილისადმი მიდრეკილება, რაც შეესიტყვება წიგნის პასტორალურ ფონს. მწერალი დაწვრილებით და ხატოვნად აღწერს იამაიკელი გლეხების ყოფას და იამაიკის მშვენიერ ბუნებას.

არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ მაკეის რომანებში კონფლიქტები თვით ავტორის ნაციონალისტური განწყობითაა განპირობებული, ან რომ იგი უარყოფს ბურჟუაზიული საზო-

გადგომის წესებსა და კულტურას მხოლოდ მისი საკუთარი „ზანგური“ გამოცდილების საფუძველზე. მაკეიმ შეითვისა ფართო კულტურული მემკვიდრეობა, ეზიარა თანამედროვე აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობას. მისი სოციოლოგიზმი დიკენს – ტოლსტოის – ზოლას ტრადიციიდან გამომდინარეობს, მისი სატირის წყაროა – შოუ, იბსენი და ა. ფრანსი; ფიზიკურ ინსტინქტებზე მახვილი კი შ. ანდერსენიდან და დ. ლორენსიდან გამომდინარეობს. იგი მარქსიზმის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა, პარიზში კი ახლოს იცნობდა კოსმოპოლიტური ექსპატრიანტების წრეებს, ვისი საშუალებითაც ექსპრესიონიზმს ეზიარა. საბოლოო ჯამში ექსპრესიონიზმი სინამდვილისაგან გაქცევის ერთერთი ფორმაა, და იგი მკვეთრად გამოვლინდა 20-იანი წლების მრავალ ამერიკელ და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებში. ეს მიმართულება და მზარდი ინტერესი ზანგისადმი და ყოველივე ზანგურისადმი ვერ ჩაუვლიდა გვერდით ისეთი ტემპერამენტის მწერალს, როგორც კლოდ მაკეი იყო. მაკეი საკუთარ თავსაც გულისხმობდა და თავის სულიერ გაქცევას საზოგადოებისაგან, როდესაც წერდა რეიზე თავის პირველ რომანში: „ოდესმე იგი თავს დაადწევს ამ საშინელ ურჩხულს – ცივილიზაციას – და დაიმალება თავის კუნძულზე, სადაც მას ვერ დაეწევა პროგრესის სწრაფი სვლა...“ „ბანანების ველი“ აგრეთვე წარმოადგენს მაკეის რომანტიულ გაქცევას მანქანათა საკუნიდან, მის სიმბოლურ კავშირს ექსპრესიონიზმთან. საფრანგეთში ექსპრესიონიზმის დამფუძნებლის გოგენის მსგავსად, რომელიც მთაგონებას გაიტის მკვიდრთა ცხოვრებაში ეძებდა, მაკეიმ ჰპოვა თავისი მხატვრული კრედოს განხორციელება იამაიკის გლეხთა ცხოვრების ასახვაში. და თუ თავის სულიერ ძიებებში მაკეი შორს გასცილდა საკუთარ სახელს, ბოლოს იგი მშობლიურ მიწას, მშობლიურ კუნძულს დაუბრუნდა.

1933 წ. გამოდის მაკეის მოთხრობათა კრებული – „ჯანჯაფილის ქალაქი“. მოთხრობილ ამბავთა ფონად მაკეი ამჟამადაც ჰარლემსა და იამაიკას ირჩევს. ავტორი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა დიდი გავლენა აქვთ რასობრივ ცრურწმენებს ფერადკანიანთა ცხოვრებაზე, მოგვითხრობს ზანგების ტრაგიკულ ხვედრზე „თავისუფალ“ ამერიკაში, იგონებს ბავშვობის წლებს. ამ მოთხრობებში სოციალური ქვეტექსტი ძლიერია და მნიშვნელოვანი.

1937 წ. მაკეი აქვეყნებს თავის ავტობიოგრაფიას – „სახლისაგან მოშორებით“. წიგნი რომანიზებულ ბიოგრაფიას მოგვაცნობს; მისი სტილი იმპრესიონისტულია. 1940 წ. მაკეი წერს წიგნს „ჰარლემი, შავკანიანთა მეტროპოლისი“. ეს სოციოლოგიური გამოკვლევა ნიუ-იორკულ ზანგთა ცხოვრებისა. 70-იან წლებში მაკეი ღრმა სულიერ კრიზისს განიცდის. შეხვედრამ ეპისკოპოს სკეისთან და კათოლიკე მწერალთან – ელენ ტერისთან მაკეის შემდგომი ბედი გადაწყვიტა. 1944 წ. 11 ოქტომბერს მაკეიმ კათოლიკობა მიიღო. მისი შემდგომი ნამუშევრები – უმთავრესად ესეს და ჰამფლეტები – მის რელიგიურ განწყობას ასახავენ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მაკეი 1948 წ. გარდაიცვალა. აღამიანთა მენსიერებაში იგი დარჩა „ზანგური აღორძინების“ გამოჩენილ პოეტად და პროზაიკოსად.

მაკეის ცხოვრება იმის მაჩვენებელია, თუ როგორ კვდება მწერალში შემომქმედი; რო-

დესაც იგი თავისი დროის მოწინავე იდეებს განუდგება, საკუთარ თავში ჩაიკეტება, სწავლობს მხოლოდ საკუთარ სულიერ სამყაროს. როდესაც მაკეი კათოლიციზმს ეზიარა, იგი მოკვდა როგორც მწერალი. მაკეის ცხოვრებაში ბევრი უკიდურესობაა. მან ლიტერატურული კარიერა გლეხთა მგოსნად დაიწყო, შემდეგ „ზანგური აღორძინების“ პოეტ-ავანგარდისტად იქცა, მოკვდა კი კათოლიკური ჰამფლეტების ავტორად. ამით და კიდევ მრავალი სხვა ნიშნით განსხვავდება მაკეის ცხოვრება „ზანგური აღორძინების“ ტიპურ წარმომადგენელთა ცხოვრებისაგან. წარმომოხებით არაამერიკელმა, 1940 წლამდე მაკეიმ არ მიიღო ამერიკის მოქალაქეობა; იგი დაახლოებით 10 წლით იყო უფროსი თავის კოლეგებზე; თუმცა მაკეიმ დიდი გავლენა იქონია 20-იანი წლების ზანგურ ლიტერატურაზე. მან თითქმის მთელი ეს პერიოდი ამერიკის საზღვრებს გარეთ გაატარა; იგი ფართო ლიტერატურულ საზოგადოებას იცნობდა, თავიდანვე იბეჭდებოდა არა მხოლოდ ზანგურ, არამედ ისეთ პოპულარულ ამერიკულ ჟურნალებშიც, როგორც იყო „Liberator“, „New Masses“, „Seven Arts“, „Pearson’s“ და სხვები; გარკვეულ პერიოდებში იგი მუშაობდა ორი მნიშვნელოვანი ამერიკული ჟურნალის რედაქტორის მოადგილედ (იმ წლებში არც ერთ ზანგ მწერალს არ ეკავა ამგვარი თანამდებობა). მაკეის წარმომოხობა უადვილებდა მას ორგვარი გრძნობები განეცადა ამერიკისადმი. ქ. ქალენისაგან განსხვავებით, მას არ თვლიდნენ კლასიკურ პოეტად. ჯ. უ. ჯონსონისაგან განსხვავებით, იგი არ იყო ღრმად ჩაბმული ზანგი ხალხის ბრძოლაში თავისი სამოქალაქო უფლებებისათვის. „ზანგური აღორძინების“ ბევრ სხვა მონაწილეზე მეტად ჰქონდა მაკეის შესაძლებლობა შეექმნა ახალი, თავისუფალი ფორმები, შეექმნა „წმინდა ხელოვნება“, მაგრამ მაკეი წერდა ისე, რომ თეთრკანიანებს ეგრძნოთ, თუ ვინ არის ზანგი. და თუმცა იგი არსებითად განსხვავდებოდა 20-იანი წლების ტიპური მწერლისაგან, ამასთან ერთად მაკეიმ გამოავლინა „ახალი ზანგისათვის“ ყველა დამახასიათებელი თვისება. მისი გადასვლა იამაიკის სოფლიდან დიდ ქალაქში, ლიტერატურულ წრეში ადეკვატური იყო ზანგების დიდი მიგრაციისა ამერიკის სამხრეთ შტატებიდან ინდუსტრიული ჩრდილოეთის ფართო ჰორიზონტებისაკენ. მისი ლტოლვა მარქსიზმისაკენ და სოციალიზმისაკენ ნიშნავდა, რომ „ახალ ზანგს“ არ სურს მოწყვეტილი იყოს მსოფლიოს ახალ ამბებს, დღევანდელ ისტორიას – პირველმა მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო შავკანიანთა და თეთრკანიანთა იზოლაციას. „ზანგური აღორძინების“ სხვა მწერალთა მსგავსად, მაკეი აღწერდა ზანგთა დაბალი ფენების ცხოვრებას და ზანგებს ხალხური კულტურის შესწავლისა და შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა. იგი ამყობდა თავისი ზანგური წარმომოხობით და არ მიაჩნდა შესაძლებელად გაჩუმებულიყო იმ ცრურწმენებისა და უსამართლობის წინაშე, ასე რომ ადამფოთებდნენ მას. მისი პოეზია უფრო გულწრფელია და რევოლუციური, ვიდრე იმავე წლებში შექმნილი სხვა ზანგ პოეტთა ნაწარმოებები. მისი რომანები კი აგებულია ერთი მთავარი თემის ირგვლივ – უბრალო, ცივილიზაციით ხელუხლებელი ცხოვრება უფრო სუფთაა და ბედნიერი, ვიდრე ადამიანთა ცხოვრება ცივილიზებულ დასავლეთში. მაგრამ თვით მაკეიმ ვერ ნახა კულტურა, რომელსაც მთლიანად ეზიარებოდა. ლიტერატურული ინტერესები ხელს უშლიდნენ მის იამაიკაზე დაბრუნებას, მშობლიური მხარისადმი სიყვარული კი უშლიდა



მუდმივად საზღვარგარეთ ცხოვრებას; ამერიკისათვის დამახასიათებელი რასობრივი ცრურწმენები და მისი ზეინდუსტრიული საზოგადოებისადმი სიძულვილი ხელს უშლიდა მაკეის შეგუებოდა ამ ქვეყანას. მაკეიმ და „ზანგური აღორძინების“ სხვა მწერლებმა ვერ გაუგეს ბოლომდე ერთმანეთს – ყველა ისინი და მაკეიც ინდივიდუალისტები იყვნენ. ფ. გოფმანის გამოთქმა რომ ვიხმართ, 20-იანი წლებისათვის ტიპიური, „ესთეტიკურადიკალი“, მაკეი თავს „ბუნებრივ ადამიანად“ თვლიდა და კომფორმიზმის საუკუნეში თავისი ბუნებრივი ვინაობისაკენ მიისწრაფვოდა. ეს ნათლად ჩანს ყველა მის ნაწარმოებში. 20-იანი წლების სხვა ზანგი (და ამერიკელი) მწერლის მსგავსად, მაკეი გრძნობდა, რომ „დაკარგულ თაობას“ ეკუთვნის. 1918 წ. იგი წერდა: „ეს კატასტროფა (პირველი მსოფლიო ომი – თ. ც.) მსოფლიოს დაატყდა და გააუფასურა ყოველივე, რის პატივისცემას ჩვენ გვასწავლიდნენ – ერი, პატრიოტიზმი, რასობრივი სიამაყე“. მაკეის სიახლოვე მემარცხენე წრეებთან, მისი მოგზაურობა რუსეთში წარმოადგენდა ნაწილს თავისი ქუმარიტი მეობის ძიებისა, თავისუფლების და ახალი მორალური და სოციალური ღირებულებების ძიებისა. მაკეიმ – არამერიკელმა, თავისუფალი განათლების და გულწრფელი ბუნების მქონე ადამიანმა – „ზანგური აღორძინების“ გარე ფარგლები შემოხაზა. ყოველთვის, თავის ყველაზე აღრინდელ ნამუშევრებშიც კი, მაკეი უსაზღვროდ პირდაპირი და სიმართლის მოქმელი იყო. სწორედ ამით მისცა მან „აღორძინებას“ ახალი მიმართულება: მაკეის შემდეგ „ზანგური აღორძინების“ მწერლებს აღარ შეეძლოთ გაუბედავად წერა, აღარ შეეძლოთ უსიტყვოდ შეგუებოდნენ უსამართლობას. მათ აიტაცეს მაკეის მრისხანე ხმა და თავიანთ შემოქმედებაში განაგრძეს ამერიკული ლიტერატურის საუკეთესო, დემოკრატიული ტრადიციები.

*თამარ ცინცაძე*

*ჟურნალი „ცისკარი“, 1976 წ. N9, გვ. 133-140*

---

1. ეს წელი აღნიშნულია ზანგთა მრავალი გამოსვლებით, გამწვავებული რასობრივი კონფლიქტებით, რაც ზანგთა მხრიდან საპასუხო იყო აშშ-ში ომისშემდგომ პერიოდში მზარდი ანტიზანგური განწყობებისა, კუ-კლუქს-კლანის ზრდისა და მრავალი ლინჩის წესით მოწყობილი გამართლებისა.

2. 20-იან წლებში პოპულარული რომანი, რომელშიც თეთრკანიანმა ავტორმა დაამკვიდრა ზოგიერთი ძველი და შექმნა ახალი სტერეოტიპები. იგი ეძება ზანგთა ცხოვრებაში ხატოვანს, პრიმიტიულს, ინსტინქტურს; ხედავდა მათ მხიარულ, ინფანტილურ, უდარდელ არსებებად. ამ რომანმა გაზარდა ამერიკელ და ევროპელ ტურისტთა ავადმყოფური ინტერესი „მხიარული“ ჰარლემისადმი.

## რალფ ელისონი და მისი „უჩინარი ადამიანი“

რალფ ელისონი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის მეტად რთული და საინტერესო ფიგურაა. „უჩინარი ადამიანი“<sup>1</sup> – რომანი, რომელიც მწერალმა 1952 წელს გამოსცა, – მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტთა ხანგრძლივი დავის საგანს წარმოადგენს. რომანით ასეთ დაინტერესებაში გარკვეული როლი ავტორის ზანგურმა წარმომოხამაც ითამაშა. ამავე გარემოებამ განაპირობა ის ფაქტიც, რომ ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა უმრავლესობა თავგამოდებით ცდილობს დაამახინჯოს „უჩინარი ადამიანის“ იდეური შინაარსი და იგი კლასიკურ დეკადენტურ ნაწარმოებად მონათლოს. მათი მიზანია თანამედროვე ზანგურ ლიტერატურაში ესთეტიზმის ტენდენციის დამკვიდრება, ზანგ მწერალთა „წმინდა ფორმით“ გატაცების დამტკიცება და მათი ნაწარმოებების სოციალური მხარის უარყოფა. თანამედროვე ამერიკული ოფიციალური კრიტიკა ყოველმხრივ უწყობს ხელს ზანგური ლიტერატურის „წმინდა ხელოვნების“ გზით განვითარებას.

ელისონმა შესძლო ზანგ მწერალთა ტრადიციული ვიწრო-ნაციონალური თემა – რასობრივი ბარიერის დაძლევისაკენ ლტოლვა, თუ ამერიკის სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ზანგის მიერ თავისი ადგილის მარადიული ძიება – ისე აეყვანა ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეზე, რომ არ ეღალატა ამ პირველადი ჩანაფიქრისათვის. ამიტომაცაა დღეს ელისონი აღიარებული არა მხოლოდ ამერიკული ზანგური, არამედ საერთოდ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ერთერთ მთავარ ფიგურად.

„თანამედროვე ამერიკული რომანებიდან, რომელთაც ასი წლის შემდეგაც ეყოლება მკითხველი, მე დავასახელებდი ფიცჯერალდის „დიალ გეცბი“-ს, ჰემინგუის „მშვიდობით, იარაღო“-ს, ფოლკნერის „აგვისტოს ნათელს“ და „ხმა და მძვინვარება“-ს და რალფ ელისონის „უჩინარ ადამიანს“ – ვკითხულობთ ინგლისელი კრიტიკოსის ჯ. მაკ კორმიკის წიგნში „კატასტროფა და წარმოსახვა“<sup>2</sup>. უ. ჰედენმა „უჩინარი ადამიანი“ ამერიკული ლიტერატურის „ძვირფას განძად“ აღიარა<sup>3</sup>, ხოლო გ. ჰიკსი და რ. ბოუნი მას მოიხსენიებენ როგორც ომისშემდგომი პერიოდის ამერიკული ლიტერატურის უდიდეს ნაწარმოებს<sup>4</sup>.

ელისონის რომანში „უჩინარი ადამიანი“ თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ამიტომ ბევრმა კრიტიკოსმა იგი თავიდანვე შეცდომით გულახდილ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად მიიჩნია. თავად ელისონს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ რომანი მხოლოდ ნაწილობრივ არის ავტობიოგრაფიული, რომანის მთავარი თემა ახალგაზრდა ზანგის მიერ ცხოვრებაში ადგილის ძიება არისო.

რალფ ელისონმა ახალი ჟღერადობა და ელფერი შეჰმატა მოწინავე ზანგი მწერლების ნაწარმოებთა იდეურსა და მხატვრულ მხარეს. მისი რომანის ცენტრში XX საუკუნის ამერიკის თანამედროვე, რთული ადამიანი დგას და გამოიყურება, როგორც ერთგვარი მსხვერპლი ამ საუკუნისა. დიდი ხანი არ არის, რაც მან ღრმა სულიერი კრიზისი გადაიტა-

ნა. კრიზისის კვალი ჯერ კიდევ ამჩნევია მის ფსიქიკას, როცა იგი თავისი წარსულისა და აწმყოს თხრობას იწყებს. გმირის ამგვარი სულიერი მდგომარეობითაა განპირობებული რომანის უაღრესად ექსპრესიული ფორმა. ეს არის რომანი-მონოლოგი, რომანი-ადსარება.

„უჩინარი ადამიანი“ აშშ-ის პლანტატორულ სამხრეთსა და სამრეწველო ჩრდილოეთში მცხოვრები გმირის ჭირ-ვარამს მოგვითხრობს. რომანის დასაწყისი ფარსისა და კომპარის ერთგვარი კომბინაციაა. გმირის ცხოვრების თხრობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი სამხრეთის ერთერთ პატარა ქალაქში ზანგურ სკოლას ამთავრებს. ქალაქის მესვეურები ჭაბუკს იწვევენ საგანგებო შეხვედრაზე, სადაც იგი საპატიო მოქალაქეთა წინაშე სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით სამადლობელი სიტყვით უნდა გამოვიდეს. იგი აღტაცებულია ამ წინადადებით, მაგრამ მალე ირკვევა, რომ „მაღალი საკრებულო“ თეთრკანიან მოქალაქეთათვის მხოლოდდამხოლოდ იაფფასიანი თავშესაქცევი საღამოა. ნაწარმოების გმირი, რამდენიმე თანატოლთან ერთად შეჰყავთ დარბაზში, სადაც დამსწრეთა გასართობად გამოიშვებული ქერათმიანი მოცეკვავე ქალი ცეკვავს. ამას მოჰყვება გლადიატორული სცენა: გაოგნებული ახალგაზრდები, დამსწრეთა გასართობადვე, სასტიკად სცემენ ერთმანეთს. ჯილდოდ მათ ფულებს უყრიან ხალიჩაზე. აღმოჩნდება, რომ ხალიჩაში ელექტროდენია გატარებული. დაცინვა-დამცირების შემდეგ, პროგრამის უკანასკნელ ნომრად ახალგაზრდა ზანგის თეთრკანიან ქველმოქმედისადმი მადლიერების გრძნობით გამსჭვალული სიტყვაა გათვალისწინებული. ჭაბუკი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად შთაბეჭდავი იყოს თავისი გამოსვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს იწყებს იმის შეგრძნებას, რომ ქალაქის მესვეურები ზანგის სერიოზულ სიტყვას აღიქვამენ როგორც გონებრივი განვითარების უაზრო პარადოქსს. სასმელებითა და ერთმანეთში საუბრით გართული საზოგადოება არც კი უსმენს მას. არავის არ აინტერესებს ასე გულდასმით მომზადებული და მღელვარებით წარმოთქმული სიტყვა. ნაცემ ორატორს კი ამ დროს პირი სისხლით ევსება და ლაპარაკი უჭირს. მხოლოდ ერთი წამით შესძლო მან დამსწრეთა ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო, როდესაც „სოციალური პასუხისმგებლობის“ ნაცვლად „სოციალური თანასწორობა“ წამოსცდა. დარბაზი შეძრწუნდა და დაძაბულობისაგან გაიყინა. მისკენ მიჰყრობილი თვალებით დამფრთხალი გმირი მაშინვე ბოდიშს იხდის შეცდომისათვის, თუმცა დარწმუნებული არც არის, რომ აპატიებენ. საღამოს დასასრულს საჩუქრად მიღებულმა ძვირფასმა პორტფელმა, რომელშიც ზანგურ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო სტიპენდიაა, კვლავ ადადგინა მასში ამერიკული დემოკრატიისადმი და მის ქვეყანაში ყველა ფერის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობისადმი რწმენა.

მოგვიანებით ნაწარმოების გმირს გარდაცვლილი ბაბუის სურათთან ვხვდებით ნაჩუქარი პორტფელით ხელში. ნიშნის მოგებითა და ამაყი გამომეტყველებით იგი თითქოსდა უმტიკეებს ბაბუას მისი ანდერძის (ან „წყევლის“, როგორც მას „უჩინარი ადამიანი“ უწოდებს) უსაფუძვლობას. მომაკვდავმა ბაბუამ, ამ წყნარმა და კეთილსაიმედო ზანგმა, მთელ თავის ცხოვრებას ზანგების საერთო საქმის დალატი უწოდა, შვილებსა და შვი-

ლიშვილებს საფრთხის წინაშე შეუდრეკელობა და ბრძოლა უანდერძა. „ბიძია თომა“ მეამბოხედ მოკვდა, და ბავშვმა სამუდამოდ დაიმახსოვრა მისი ანდერძი. იგი ბაბუას მიმართ თავს დამნაშავედ გრძნობს, როდესაც ბედი უდიმის და სიტუაცია მის სასარგებლოდ ვითარდება. ზემოთაღწერილი სამახსოვრო ღდის შემდეგ ჭაბუკს ბაბუა ესიზმრება. უნდა თავისი ჯილდო აჩვენოს მას, მაგრამ კონვერტში სტიპენდიის ნაცვლად მოკლე ინსტრუქცია აღმოჩნდება: „ყველას, ვისაც ეს შეიძლება ეხებოდეს: არ მისცე მოსვენება ამ ზანგის ბიჭს“. სიზმარი საბედისწერო აღმოჩნდა ჭაბუკისათვის: „უჩინარი ადამიანის“ მთელი ცხოვრება მართლაც შფოთვა და მოუსვენრობაა.

ნაწარმოების გმირი უკვე კოლეჯშია. დიდებული ნაგებობანი, ზნეობრივი ქადაგებანი სამლოცველოში, მკაცრი დისციპლინა და ზანგების განათლებისათვის შექმნილი მოჩვენებითი პირობები – ყოველივე ეს შთაბეჭდილებას ანდენს მასზე. ახალგაზრდას სწამს, რომ თავისი ქვეყნის სამსახურისა და თავისი რასის სრულყოფისათვის ამზადებენ. ეჭვი არ ეპარება, რომ კოლეჯის თეთრი მეურვეები და ზანგი ხელმძღვანელები ზრუნვას არ აკლებენ სტუდენტებს და მათზე ნამდვილად შესტკივათ გული. მხოლოდ კოლეჯში ყოფნის უკანასკნელ წელს აღმოაჩენს იგი, რომ სამლოცველოში და მის გარეთ საუბრის ერთადერთი მიზანი სტუდენტთა თვალის ახვევა ყოფილა. საბოლოო ჯამში ისინი კოლეჯში მიღებული განათლების მსხვერპლნი ხდებიან. მათ აჩვევენ ზანგის ტრადიციული მდგომარეობის უდრტივინველად მიღებასა და თეთრკანიანი ადამიანებისადმი ბრმა მორჩილებას.

ერთ, თითქოს უმნიშვნელო შემთხვევას, ნაწარმოების გმირის კოლეჯიდან გარიცხვა მოჰყვება: მას, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, ჩრდილოეთელი თეთრკანიანი მეურვე ნორტონი კოლეჯის მოსაზღვრე, ზანგებით დასახლებულ რაიონში მიჰყავს და იქ გაბატონებული სიდატაკისა და უზნეობის უნებლიე მოწმედ აქცევს. ყოველივე ამით შეძრწუნებული ნორტონი თხოვს თავის თანამგზავრს ბარში შეიყვანოს იგი სულიერი წონასწორობის აღსადგენად. უახლოეს ბარში იმ დღეს ფსიქიატრიული კლინიკის ავადმყოფები – ომის ვეტერანი ზანგები – ერთობიან. ამ ღრიანცელში ნორტონი საბოლოოდ ჰკარგავს გონებას. ერთი ვეტერანთაგანი, ყოფილი ექიმი, კვალიფიციურ დახმარებას აღმოუჩენს მას, შემდეგ კი თავის თავგადასავალს უყვება: ომის შემდეგ ზანგ ქორუგს ერთხანს საფრანგეთში უმსახურია, შემდეგ ამერიკაში დაბრუნებულა, სადაც სიკვდილისაგან გადაურჩენია ხელისუფლებისათვის არასასურველი ადამიანი, რისთვისაც დაქირავებულ ხულიგნებს ცემით სიკვდილის პირამდე მიუყვანიათ. ამის შემდეგ ექიმობისათვის თავი დაუნებებია და ბოლოს ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვედრილა.

ახალგაზრდა ზანგისთვის ამ ამბავში ბევრი რამ გაუგებარია. ვეტერანი ირონიული დიმილით მიმართავს ნორტონს: „ამას ცხოვრების უბრალო ფაქტებიც კი არ ესმის... რადაცას კი გრძნობს, მაგრამ არ აზროვნებს... ითვისებს, მაგრამ არ ინელებს. ამან უკვე ისწავლა არა მარტო ემოციების, არამედ აზრების ჩაკვლაც საკუთარ თავში. იგი უჩინარია... იგი თქვენი ოცნების სრული განსახიერებაა, სერ! მექანიკური ადამიანი!“ ყმაწვილის სიბეცითა და გულუბრყვილობით, აგრეთვე ნორტონის გაანგარიშებული ფილანტროპიით

აღშფოთებული ვეტერანი ზიზღით განერიდება იქაურობას.

ნაწარმოების გმირის საქციელით გაცოფებული კოლეჯის ზანგი პრეზიდენტი ყმაწვილს თითქმის დავიწყებული შეურაცხმყოფელი სიტყვით მიმართავს: „შავდრუნჩავ, სწავლულო შავდრუნჩავ, ბრიყვო! სამხრეთელს, უკვე დაგავიწყდა, როგორ სტყუიან?!.. მე მირჩევნია, რომ ამ ქვეყნის ყველა ზანგი ერთ დღეს ჩამოახრჩონ, ვიდრე თანამდებობა დაკარგო“. ამას ამბობს ადამიანი, რომელიც თავს ზანგი ხალხის ჭირისუფლად და განმანათლებლად მიიჩნევს. გულუბრყვილო ჭაბუკისათვის ასე, შემთხვევით ხდება ნათელი, რომ ერთი შეხედვით სათნოებითა და კეთილშობილებით განათებული გარემო მხოლოდ ფარისევლობა და მოჩვენებითი პროგრესი ყოფილა, რომლის მიღმაც არსებული წყობილების ხელშეუხებლობისა და სქოლასტიკური დოგმატიზმის პრინციპები ბატონობენ. შესცქერის იგი კოლეჯის დამაარსებლის ქანდაკებას და გრძნობს, რომ ეს ადამიანი რიდეს კი არ ხსნის სახიდან მის წინ მუხლმოდრეკილ შავკანიან მონას, არამედ უფრო მტკიცედ ამკვიდრებს მას თავის ადგილზე.

ელისონმა თავის გმირს ისეთივე სიძნელები დაუსახა, რომელთა წინაშეც ს. რედინგის რომანის „უცხო და ეული“ გმირი – მელტონ ჰოუდენი – აღმოჩნდება<sup>5</sup>. მაგრამ ჰოუდენისაგან განსხვავებით, უჩინარი ადამიანი“ ქედს არ იხრის სიძნელეთა წინაშე და უკეთესი ხვედრის ძიებაშია. მასში ზიზღს იწვევს საკუთარი ხალხის მოღალატის როლი, ვინც გულმშვიდად თანამშრომლობს თეთრკანიან „ქველმოქმედებთან“ და მათ შავკანიან დამქაშებთან. იგი ჩრდილოეთში, ნიუ-იორკში მიემგზავრება.

სიმბოლურია „უჩინარი ადამიანის“ გზა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ეს ზანგების ძველთაძველი იმედის გზაა სანუკვარი თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჯ. ფრანკლინი წიგნში „ამერიკის პანორამა“. სამხრეთის შტატებში ჭიდან წყლის ამოსაღებად გრძელ გამოხაპულ გოგრას ხმარობდნენ. მონა ზანგებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმღერა მინამღერით „მიჰყევ წყლის სასმელ გოგრის მიერ ნაჩვენებ გზას“. თუ მონათმფლობელისათვის ეს მონის ჩვეულებრივი სიმღერა იყო, თვით მონისათვის სიმღერის სიტყვებს პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა: თავწაგრძელებული გოგრა დიდი დათვის თანავარსკვლავედის სიმბოლო იყო, ხოლო გოგრის სახელურზე გამოსახული ვარსკვლავი – ჩრდილოეთის ვარსკვლავისა. მინამღერი მონებს ჩრდილოეთისაკენ, თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. და ისინიც მიდიოდნენ ჯგუფებად, მიდიოდნენ მონობიდან განთავისუფლების შემდეგაც, მიდიოდნენ იმედითა და ოცნებით სავსენი; მაგრამ მათთვის ზღაპრად ქცეულ თავისუფლებასა და თანასწორობას ვერც „სამოთხისებურ“ ჩრდილოეთში პოულობდნენ; რომ ეპოვნათ, ალბათ ელისონის გმირიც გადაურჩებოდა ამდენ ტანჯვასა და დამცირებას.

ნიუ-იორკისაკენ მიმავალი ჭაბუკი კვლავ ხვდება ავადმყოფ ვეტერანს. „ისწავლე ზედაპირზე მომხდარი ამბების იქეთ ხედვა, გამოდი, ბოლოს და ბოლოს, ნისლიდან – ეუბნება მას ვეტერანი, – გააგრძელე თამაში, მაგრამ ითამაშე შენებურად... ქვეყანა სავსეა შესაძლებლობებით, ოღონდ შეეშვი ამ ნორტონებს“. სულით ავადმყოფი ზანგი ვეტერანი ყველაზე გონიერია მათ შორის, ვისთანაც ელისონის გმირს ურთიერთობა უხდება.

ნიუ-იორკში „უჩინარი ადამიანი“ ჰარლემში მოხვდება და იქვე რჩება. იმედი აქვს, რომ აქ, ჩრდილოეთში სამუშაოს იშოვნის და კოლეჯის დამთავრებას შესძლებს. მან ჯერ არც იცის, რომ კოლეჯიდან „მგლის ბილეთით“ არის გარიცხული. მას ხელთ აქვს კოლეჯის პრეზიდენტის „სარეკომენდაციო წერილები“. ამ წერილებით დადის იგი დაწესებულებიდან დაწესებულებაში სამუშაოს შოვნის იმედით, ვიდრე ერთი გულჩვილი თეთრკანიანი „სარეკომენდაციო წერილის“ ასლს არ აჩვენებს. მხოლოდ ახლა იგებს ყმაწვილი, თურა „რეკომენდაცია“ მისცა მას პრეზიდენტმა. პრეზიდენტი წერილის ყველა ადრესატს თხოვს არავითარი დახმარება არ აღმოუჩინონ კოლეჯიდან სამუდამოდ გაძევებულ ზანგს, ვინაიდან „იგი საზოგადოებრივი სიმშვიდისა და ჰარმონიისათვის საფრთხეს წარმოადგენს“. ჭაბუკში უკვალოდ ქრება რწმენა კოლეჯის ადმინისტრაციის სამართლიანობისა და სათნოებისადმი. შედარებით უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ილუზია კოლეჯის ჩრდილოეთელი მეურვის სიკეთისა. გმირის შეგრძნებაში იწყება ღრმა სოციალური პროტესტის ჩამოყალიბება, თუმცა ამისი პირველი გამოვლინება შეცდომით კოლეჯის პრეზიდენტად მიღებული უცნობის მიმართ მხოლოდ ხულიგნური აქტის სახესღებულს. ამ დროისათვის „უჩინარი ადამიანი“ ახერხებს თეთრი საღებავის დამამზადებელ ფაბრიკაში მოწყობას.

თეთრი და შავი ფერი სიმბოლურია ელისონისათვის. ფაბრიკაში ახალგაზრდა ზანგს ასწავლიან თეთრ საღებავში 10 წვეთი შავი<sup>6</sup> საღებავის გაზავებას უმაღლესი ხარისხის მისაღებად. „ნეტა ყველაფერი ამ საღებავით თეთრია თეთრკანიანებში?“ – ირონიულად კითხულობს ელისონის გმირი. გამოუცდელი ახალგაზრდა საღებავს შეცდომით 10 წვეთ სხვა სითხეს დაუმატებს (რაც თეთრ საღებავში შავ მინარევს გამოავლენს) და ამით ფაბრიკის ადმინისტრაციის რისხვას იმსახურებს. ეს ეპიზოდზე სიმბოლურია. ელისონის ახალგაზრდა ზანგს ამ ავბედითი სითხის ფუნქცია აქვს დაკისრებული თეთრებსა და შავებს შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა კომპლექსში მიამიტობის გამო ვერ ეგუება ურთიერთობათა ამ მოჩვენებით კეთილგანწყობილებას, ასეთი რამ კი დაუსჯელად არ რჩება, და „უჩინარი ადამიანი“ უარეს პირობებში გადაჰყავთ სამუშაოდ. სარდაფში მოთავსებულ ლაბორატორიაში ზანგი ოსტატი ბროკვეის ხელმძღვანელობით იგი საღებავის მასალას ამზადებს. საინტერესო პიროვნებაა რომანში ზანგი ოსტატი ბროკვეი. ეს ძირითადად პატიოსანი, მუყაითი, გამრჯე კაცი ერთი აკვიატებული აზრითაა შეპყრობილი: ყველა ხელქვეითი თავის მეტოქეს ხედავს. ოსტატის ადგილი არც თუ ისე დიდ შემოსავალს იძლევა, მაგრამ ბროკვეიმ მისი დაკავება ხანგრძლივი და აუტანელი შრომის საფასურად შესძლო. მას სჯერა თავისი შრომისა და, ცოტაოდნად, ფაბრიკის ადმინისტრაციის სიკეთისა. იგი პროფკავშირების მტერია და არ სწამს მათი საქმიანობისა. ბროკვეი მარტოხელა მშრომელია, რომელიც საკუთარი მოვალეობის გარდა ვერაფერს ვერ ხედავს და ზედ დაჰკანკალებს თავის თანამდებობას. ამგვარად, ნაწარმოების გმირი ორმაგი ჩაგვრის ქვეშ აღმოჩნდება: მას ერთნაირად ავიწროებს ფაბრიკის ადმინისტრაციც და ზანგი ოსტატიც. ოსტატის სახით ელისონმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ბროკვეის მაგვარი

ვიწრო, ბრმა ინდივიდუალისტებისადმი.

ფაბრიკაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო ჭაბუკი საავადმყოფოში მოხვდება. ოპერაციამ, რომელიც მას უნდა გაუკეთონ, შეიძლება პაციენტის მეხსიერების დაკარგვა გამოიწვიოს, მაგრამ საავადმყოფოს ქირურგი ცინიკურად დაასკვნის: ზანგის მიერ ინდივიდუალობის დაკარგვა დიდ უბედურებას არ მოუტანს ამერიკის საზოგადოებასო. არც ეს დეტალია შემთხვევით მოხვედრილი რომანში: მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია ზანგის (საერთოდ ადამიანის) მიერ საკუთარი „მე“-ს, საკუთარი ინდივიდუალობის ძიებით. ამ თემით არის შეღუბებული ელისონის მთელი შემოქმედება – ნარკვევები, წერილები, მოთხრობები და ინტერვიუებიც კი<sup>7</sup>.

„Paris Review“-ს 1955 წ. აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში, კითხვაზე, თვლის თუ არა იგი ადამიანის მიერ საკუთარი ინდივიდუალობის ძიებას უმთავრესად ამერიკულ თემად, ელისონმა გადაჭრით უპასუხა, ეს უპირველეს ყოვლისა ამერიკული თემააო. ამ თემამ წამყვანი ადგილი დაიკავა არა მარტო ელისონის, არამედ ბოლდუინის, აპლაიკის, ლეროი ჯონსის, სელინჯერისა და სხვა თეთრკანიანი თუ ზანგი მწერლების შემოქმედებაში.

„უჩინარ ადამიანზე“ ოთხი წლით ადრე გამოქვეყნებულ ნარკვევში „ჰარლემში, ესე იგი – არსად“ ელისონი წერს: „თუმცა არასრულფასოვანი მოქალაქენი, მაგრამ მაინც ამერიკელი, თანამედროვე ადამიანის შინაგანი სირთულით აღსავსენი, მაგრამ მაინც პრიმიტივებად მიჩნეულნი, ამერიკელი ზანგები საკუთარი ინდივიდუალობის გამამაგებულ ძიებაში არიან. უარყვებს რა მათთვის განკუთვნილი მეორე ხარისხოვან მოქალაქეთა როლი, ისინი გრძნობენ საკუთარ განმარტობას, და მთელი მათი სიცოცხლე პროცესია პასუხის ძიებისა კითხვებზე: ვინ ვარ მე? რა ვარ მე? სად ვარ მე? რატომ ვარ მე? საყურადღებოა, რომ ჰარლემში შეკითხვაზე: „როგორ ხარ?“ ჩვეულებრივ ერთი პასუხი ისმის – „ეჰ, ძმაო, მე არ ვარსებობ“.

სავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ „უჩინარ ადამიანს“ ჰარლემში ერთხანს გულკეთილი, უბრალო ზანგი ქალი მერი შეიკედლებს. იგი გამოჯანმრთელდება და იწყებს სამუშაოს ძებნას. სამუშაოს ძებნის პროცესში მისი შეგნება შემდგომ ევოლუციას განიცდის. თითქოს პირველად აღიქვამს იგი საკუთარი ხალხის უბედურების სიღრმეს, გრძნობს ამერიკელი ზანგების მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს, მათ უფლებობასა და უმწეობას. პოლიციის მიერ მოხუცი ზანგების ბინიდან გამოსახლების შემზარავი სცენა მასში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულიკვეთებას აღვიძებს. მისი ადგზნებული სიტყვები აღვილად აღწევენ მიზანს. რამდენიმე წუთის წინ ჯერ კიდევ უსაზო და პასიური ბრბო სამართლიანობისათვის მებრძოლ კოლექტივად იქცევა. აქვე აღმოჩნდება ჰარლემის ზანგების მოძრაობის ერთერთი თეთრკანიანი ლიდერი. ამ უკანასკნელის მეოხებით „უჩინარი ადამიანი“ ხვდება თეთრკანიანების მიერ დაარსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში „ძმობა“, რომელიც ზანგების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძვის. „ძმობის“ სახით ელისონმა მოგვცა თეთრკანიანების მიერ ზანგთა დასახმარებლად დაარსებული ერთერთი პოლიტიკური ორგანიზაციათაგანი. ასეთი ორგანიზაციების ხელ-

მძღვანელობას კეთილშობილური იდეები ამოძრავებს, მაგრამ უხერხემლო პროგრამის გამო უნარი არ შესწევს მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს ზანგურ მოსახლეობასთან.

ჭაბუკი ადფრთოვანებულია „ძმობის“ მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებით: მან, როგორც ტრიბუნმა, უნდა „აანთოს“ ხალხი, ხოლო „ძმობა“ საჭირო მიმართულებას მისცემს ხალხის აქტიურობას. თუ „ძმობაში“ შესვლა არსებული წყობისადმი გმირის შეგნებული პროტესტის ერთგვარი გამოვლინებაა, შემდეგ კვლავ იჩენს თავს მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ბრმა რწმენა. ამჯერად იგი „ძმობის“ ხელმძღვანელობისადმი ბრმა რწმენის მსხვერპლად გვევლინება. მან თითქმის მიაღწია იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ ელისონის გმირის ხვედრი ხომ რწმენის უწყვეტი ინფლაციაა, და ბედი მას არც აქ „დალატობს“. დარწმუნებული საკუთარ ძალაში და იმაში, რომ თეთრკანიან მოღვაწეებზე უკეთ ესმის თავისი ხალხის ჭირ-ვარამი, იგი უკვე ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს (კიდევ ერთი ცდა საკუთარი ინდივიდუალობის ძიებისა). მის რწმენაში ჩნდება ბზარი, რომელიც დღითიდღე ფართოვდება. იგი უკვე ამკარად ხედავს, რომ „ძმობას“ უნარი არ შესწევს გაატაროს რადიკალური ღონისძიებანი, რის გარეშეც ყოველგვარი ლაპარაკი ზანგების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მხოლოდ სიყალბეა. ამიტომაც, რომ „ძმობას“ სტოვებს ახალგაზრდა ზანგი ტოდ კლიფტონი, რომელიც შემდეგ პოლიციელის ხელით იღუპება. ელისონის გმირისათვის ნათელი ხდება საკუთარი როლი მარიონეტისა, დაქირავებული ორატორისა და არა შეგნებული მეზრძოლისა. თვითონ „ძმობის“ შიგნითაც მწიფდება კრიზისი. მოვლენათა განვითარებამ კვლავ მოუსპო გმირს საკუთარი „მე“-ს პოვნის პერსპექტივა. თავის ბუნაგში გამოკეტილი „უჩინარი ადამიანი“, როგორც თვითონ ამბობს, ზამთრის ძილს მისცემს თავს. „ზამთრის ძილის“ პერიოდი ყველაზე მძიმეა მის ცხოვრებაში. ბუნაგში თავის თავთან მარტოდ დარჩენილ გმირს ეწყება ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესი. ელისონი აქ წყვეტს რომანს, მაგრამ ცხადია, რომ მისი გმირის მხედველობაში სწორედ ამ დროს ხდება ძირითადი გარდატეხა. მართალია, იგი ჯერ კიდევ ბუნდოვნად ხედავს მომავალს, მაგრამ მტკიცედ სწამს, რომ მთელ თავის ძალას მოახმარს საკუთარი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას. ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის მისთვის ნათელი. ერთი რამ ცხადია: სამუდამოდ მოკვდა მასში გულუბრყვილო, მიმდობი ყმაწვილი, რომელსაც უყოყმანოდ სწამდა ავტორიტეტებისა, სკოლაში იქნებოდა ეს თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ასე მთავრდება „უჩინარი ადამიანის“ გზა ყრმობიდან სიმწიფემდე. ასე აღმოაჩენს იგი თავის უჩინარობას – არავის არ სურს დაინახოს მასში პიროვნება. კოლეჯში, ფაბრიკასა თუ „ძმობაში“ – არსად არ სთვლიდნენ მას ადამიანად, არავინ არ ხედავდა მას, ყველა მხოლოდ მისი ლაპარაკისა და მუშაობის უნარს იყენებდა. მას თითქოს ესმის კიდევ თავისი უჩინარობის მიზეზი – „უჩინარობა, რომელიც მე მაქვს მხედველობაში, წარმოიშობა იმ ხალხის რაღაც განსაკუთრებულ თვალთახედვის შედეგად, რომლებთანაც ურთიერთობა მიხდება. ეს შედეგია მათი შინაგანი თვალთახედვისა, რომლითაც ისინი ხედავენ რეალობას“.

ელისონის გმირი უჩინარია, როგორც თეთრკანიანებისათვის, ისევე იმ ზანგებისთვის-



საც, რომელნიც მასთან თანამშრომლობენ. მაგრამ ეს ხომ მაინც არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ არ არსებობს. იგი ცხოვრობს ქვეყანაში, რომელიც, ბუნებრივია, სახლია მისი. სხვა სახლი მას არა აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს. მაგრამ თუ ამ ქვეყანაში მაინც უსახლკაროდ გრძნობს იგი თავს? რა არის საჭირო, რომ ამერიკაში მან, როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძნოს თავი? ამ კითხვებზე პასუხის ძიება მისი არსებობის აზრად იქცევა.

წიგნში „უფრო მიშხიდველი სამყარო“ ი. ჰოუ ელისონის რომანის უკანასკნელ ნაწილს განიხილავს როგორც გმირის მორჩილებიდან ავტონომიისაკენ ოდისევსისეხური მოგზაურობის დასასრულს<sup>8</sup>. გარემო სამყაროსა და ყველა ნაცად საშუალებებში იმედგაცრუებული „უჩინარი ადამიანი“ განერიდება ყველას და ყველაფერს, უარყოფს ყოველგვარ ავტორიტეტს. მაგრამ აქ არსებითი იმედგაცრუებული, მერყევი ახალგაზრდის „უდაბნოში გაჭრა“ როდია. არც სიმარტოვეა მისი განზე განდგომის თვითმიზანი; ეს უბრალოდ საშუალებაა მისთვის საკუთარ თავში და მის გარემომცველ პროცესში გარკვევისა. მან თავიდან უნდა გაიაზროს ბევრი რამ და ამიტომ განმარტოვდება „სოროში“, როგორც თვითონ უწოდებს სარდაფს, სადაც ცხოვრობს. „უჩინარი ადამიანის“ პრინციპების ჩამოყალიბებლობაზე და მის სულში დაგროვილი პროტესტის უაზრო გამოვლინებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თავისი სარდაფი მას უამრავი ნათურით აქვს განათებული (1369 ნათურა). ელექტროენერჯის ფულს არ იხდის და ამით გარკვეულ მონოპოლიებს „ებრძვის“.

რომანის დასასრული კრიტიკოსთა განსაკუთრებული დავის საგნად იქცა. ბევრმა ელისონში პესიმისტი და ინდივიდუალისტი დაინახა. ელისონის რომანს ადარებდნენ დოსტოვესკის „ჩანაწერებს იატაკქვეშეთიდან“ და რ. რაიტის აშკარად დეკადენტურ ნოველას „ადამიანი იატაკქვეშეთიდან“<sup>9</sup>. სამივე ავტორის შემოქმედებითი ხერხის მსგავსებიდან გამომდინარე ანალოგია საოცრად ზედაპირული და ხელოვნურია. სამივე ავტორის გმირები თავიანთ ავბედით ცხოვრებას იატაკქვეშეთიდან მოგვითხრობენ (იატაკქვეშეთი აქ სიტყვასიტყვით არ უნდა იქნეს გაგებული). ყველანი სოციალური მიზეზით გამოწვეულმა განსხვავებამ მიიყვანა ნებაყოფლობით თვითიზოლირებამდე, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება ელისონის, დოსტოვესკისა და რაიტის გმირების ბედთა სხვაობის დავიწყება; ელისონის „უჩინარი ადამიანისათვის“ იატაკქვეშეთი ცხოვრებისა და აზროვნების ბოლო ფაზა კი არ არის, არამედ ძიების გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლია. ელისონმა იმ-იტომ ჩაკეტა თავისი გმირი „სოროში“, რომ სწორედ იქ მისულიყო იგი სიმარტოვისა და ცხოვრებიდან განდგომის უარყოფამდე. სწორედ იქ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაუბრუნდეს თავის ხალხს, იცხოვროს და იბრძოლოს მასთან ერთად. თუმცა ბურჟუაზიული კრიტიკა ცდილობს „უჩინარ ადამიანში“ ნიჰილიზმის ნიშნები აღმოაჩინოს და ეგზისტენციალურ ნაწარმოებებს დაუახლოვოს, ბევრი კრიტიკოსი იძულებულია ადიაროს რომანის დასასრულის ოპტიმისტური ჟღერადობა.

„ელისონის გმირის პასუხებში ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე ჩანს მისი შეზღუდულობა, მაგრამ შეზღუდულობაზე მეტად – შინაგანი თავისუფლება; ჩანს სიძულვილი, მაგრამ სიძულვილზე მეტად – სიყვარული“<sup>10</sup> – წერს ე. როვიტი. უფრო ნათლად გამო-

ხატა თავისი აზრი ჯ. ვალდემიერმა. „სწორედ სიყვარულს მიყავს ელისონის „უჩინარი ადამიანი“ მიწისქვეშ და მასვე გამოჰყავს იქიდან... ელისონის უსახელო გმირი იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი ვალდებულია საკუთარ თავზე მეტად უყვარდეს ხალხი და მუდამ ზრუნავდეს მასზე“<sup>11</sup>. „ამ წიგნით ავტორმა გზა გაკვალა მიწისქვეშა სამყაროდან სინათლისაკენ“<sup>12</sup> – ასკვნის რ. მორისი. თვითონ ელისონს სწამს ადამიანის გონების ძალის, და ამიტომ შეუძლებელია, რომ მისი გმირი სამუდამოდ დარჩეს თავის „სოროში“, სადაც მან გარე სამყაროდან მხოლოდ გონება გაიყოლა. „ჩავედი რა ჩემს სოროში, მე ყველაფერი განვლევნე ჩემგან, გარდა გონებისა“ – გვეუბნება „უჩინარი ადამიანი“ და იქვე დასძენს: „გონებას, სადაც გაჩნდა ცხოვრების (მოქმედების – თ. ს.) აზრი, არ უნდა დააჰყენდეს, რომ ადამიანს ქაოსი ემუქრება. თვით ეს აზრიც ხომ ამ ქაოსის დასაძლევად დაიბადა!“

„სოროს“ დათმობა არც ისე ადვილია გმირისათვის, რადგან სწორედ „სოროში“ მოიპოვა მან შინაგანი თავისუფლება. მართალია, მას უკვე გარკვეული აქვს ურთიერთობა გარე სამყაროსთან – „ეხლა მე უკეთ მესმის როგორც ჩემი დამოკიდებულება მისდამი (გარე სამყაროსადმი – თ. ს.), ისე მისი – ჩემდამი“, – მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის მთლიანად განთავისუფლებული იზოლაციონიზმის ტყვეობიდან – „...მე ჯერ კიდევ ჩემს სოროში ვარ იმიტომ, რომ იქ, მაღლა, მძვინვარებს ადამიანის სტერეოტიპად, უსახო ერთეულად გადაქცევის პროცესი“. საბოლოოდ სად გონებას მაინც გამოჰყავს გმირი სოროდან, გამოჰყავს იმიტომ, რომ მას უკვე საკუთარი (თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანი) პროგრამა გააჩნია – „ჩვენი მომავალია ერთიანობა, შეკავშირება, მაგრამ შეკავშირება საკუთარი ინდივიდუალობის დაცვით“. ეს უკვე გმირის გარდაქმნაა (თუმცა არასრული), იგი უკვე აღარ უარყოფს ცხოვრების სინამდვილეს, მან ისწავლა მისი კრიტიკულად აღქმა. რასათა კავშირის გმირისეული კონცეფცია პრინციპულად უარყოფს რასათა შერწყმის რეაქციონულ იდეას, რაც საბოლოო ჯამში დიდი რასების მიერ მცირე ეროვნებათა შთანთქმას გულისხმობს.

ნაწარმოების ეპილოგი დამაჯერებლად აქარწყლებს ყოველგვარ ეჭვსა და ორაზროვნებას „უჩინარი ადამიანის“ გმირის ინდივიდუალიზმის, პესიმიზმის, იმ სოციალური წესწყობილების წინაშე მისი უმწეობის შესახებ, რომელმაც იგი მიწისქვეშა სორომდე მიიყვანა. იგი ამბობს: „მე ვგრძნობ ჰაერში სუნს, რომელიც შეიძლება სიკვდილის სუნიც იყოს და გაზაფხულისაც. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ეს გაზაფხულის სუნია... გადაწყვეტილება მიღებულია... მე გამოვდივარ სინათლეზე... დიდი ხანია მოვიდა დრო ჩემი გამოსვლის – ძილიც კი შეიძლება აღმოჩნდეს ძლიერ გაჭიანურებული. შეიძლება, ეს ჩემი ყველაზე დიდი სოციალური დანაშაულია. მე დიდხანს მეძინა, ძალზე დიდხანს; უჩინარ ადამიანსაც გააჩნია საზოგადოების წინაშე თავისი ვალდებულება, მასაც აქვს თავისი სოციალური დანიშნულება“. ასეთი რწმენით გვემშვიდობება ჩვენ ელისონის რომანის გმირი, და მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მან თუ არ გადალახა რუბიკონი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

უაზრობა იქნებოდა იმის წინასწარმეტყველება, თუ საბოლოოდ რა ფორმას მიიღებდა უჩინარი ადამიანის პროტესტი, რა მიმართულებით შეიძლებოდა წარმართულიყო

მისი შემდგომი ევოლუცია. ერთი რამ ცხადია – ვინც ნებით თუ უნებლიეთ ორგანულად დაუკავშირდა საკუთარი ხალხის ეროვნული ღირსების გრძნობის გაღვიძებას, ვინც თავისი ხალხის მძიმე ხვედრისადმი თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად მუდამ თან ატარებს მონის ბორკილის ნამსხვრევებს, ვეღარასოდეს შესძლებს საკუთარ „მე“-ში განმარტობას, საკუთარი „შინაგანი თავისუფლებით“ ცხოვრებას.

რალფ ელისონმა თავის რომანში იგივე კითხვა დასვა, რაც ჯონ ფილიპსმა მწვავე სოციალურ კომედიაში „მეორე ბედნიერი დღე“<sup>13</sup>. ორივე ნაწარმოების არსი შეიძლება ჯონ ფილიპსის გმირის ერთი ფრაზით გამოგვეხატა: „ნეტავი ვიცოდე, საით მივდივართ?“ მართალია, ელისონმა ვერ შესძლო ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა, მაგრამ მან დამაჯერებელი პასუხი გასცა არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვას: საით არ უნდა წავიდნენ ამერიკელი ზანგები? ზანგი „განმანათლებლები“ და თეთრკანიანი ქველმოქმედნი, ფაბრიკის ადმინისტრაცია ზანგი ოსტატით და „ძმობა“ უხერხემლო ბელადებით – ყველაფერი ეს შეუძლებელია ზანგების მოძრაობის ამოცანებთან. დაბოლოს, ელისონმა შესძლო გვერდი აევლო ერთ მეტად სახიფათო „წყალქვეშა კლდისათვის“ – ის შავი ნაციონალიზმის მსხვერპლი არ გახდა, მან გადაჭრით დაგმო იგი. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან ელისონის რომანში არც ერთ დადებით თეთრკანიანს არ ვხვდებით.

ელისონი ძალზე ბევრ რამეს უარყოფს თავის რომანში. იმდენად ბევრს, რომ ეს ხშირად „უჩინარი ადამიანის“ არასწორ გაგებას იწვევს. ხშირად მას დემბის „ბიტლკრიკ“<sup>14</sup>-თან აიგივებენ და ამით ელისონს ცხოვრების უაზრობის ქადაგებას მიაწერენ. სინამდვილეში ელისონი ამერიკის საზოგადოების მხოლოდ მანკიერ მხარეს უარყოფს, და თუ ეს ასე მრავლისმომცველია, ამაში მას სრულიადაც არ მიუძღვის ბრალი. მამ სად პოულობს მორალურ ძალასა და სულიერ შთაგონებას „უჩინარი ადამიანი“? ვინ არიან რომანის კონკრეტული და ზოგადი დადებითი გმირები, ვისდამი სიყვარულმაც და სამსახურის იდეამაც ააღებინა მას ხელი განდევნილობაზე? დადებით გმირთა შედარებით ღარიბი და ფერმკრთალი ტიპაჟი ელისონმა ძირითადად ჰარლემით შემოფარგლა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანში არც ერთ დადებით თეთრკანიან გმირს არ ვხვდებით. სხვა შემთხვევაში შეიძლება ეს უმნიშვნელო ფაქტად ჩაგვეთვალა, მაგრამ „უჩინარი ადამიანისათვის“ ეს საგრძნობი ნაკლია. კლასობრივი სოლიდარობის პრინციპის უარყოფით შორს ვერ წავა ელისონის გმირი. განა თეთრკანიანსა და შავკანიან უშუშევარს ერთი და იგივე სატივიარი არ აწუხებთ? განა აშშ-ის კომუნისტური პარტიის რიგებში ამერიკის უბრალო ხალხის ინტერესებისათვის ერთად არ იბრძვიან თეთრკანიანებისა და ზანგების საუკეთესო წარმომადგენელნი? განა ის იდეალები, რისთვისაც დღეს ზანგები იბრძვიან, პირველად თეთრკანიანმა თ. ჯეფერსონმა არ ჩამოაყალიბა? ამ საკითხში ელისონი-რომანისტი უდაოდ მცდარ პოზიციაზე დგას. რომანში ძლიერია მამხილებელი მხარე და მოიკოჭლებს იდეური (თუმცა არც ის ფაქტი უნდა დავივიწყოთ, რომ განდევნილობიდან დაბრუნებული „უჩინარი ადამიანის“ პროგრამის ერთერთ პუნქტს სხვადასხვა რასების მჭიდრო კავშირი წარმოადგენს). აღსანიშნავია, რომ რომანის გამოქვეყნების შემდეგ აღ-

ნიშნულ საკითხში ელისონმა გარკვეული ევოლუცია განიცადა. თავის შემდგომ პუბლიკაციებში იგი არაერთხელ დაუბრუნდა ამერიკის თეთრკანიანი და ზანგი მოქალაქეების ურთიერთობის საკითხს და ყველგან პროგრესულ პოზიციაზე დადგა. ერთხელ ბოლდუინმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრისათვის საჭიროა, თეთრკანიანმა ამერიკელმა იგრძნოს, რომ საკუთარ თავთან მშვიდობიანად ცხოვრებისათვის აუცილებელია ზანგთან მშვიდობიანად ცხოვრების გზის გამონახვა. „როდესაც ადამიანებს საერთო წარსული აქვთ, ეს ბევრად აადვილებს საქმეს“<sup>15</sup> – დასძენს ელისონი.

საინტერესოა ელისონის დამოკიდებულება ე. წ. „პროტესტის რომანიისათვის“ დამახასიათებელ ზანგების ტანჯვისა და გარიყულობის აქცენტირებისადმი. 1949 წ. ჟურნალ „Partisan Review“-ში გამოქვეყნებულ წერილებში<sup>16</sup> ბოლდუინმა დაგმო პროტესტის რომანთა უმრავლესობა, მათ შორის რ. რაიტის „ამერიკის შვილიც“<sup>17</sup>. ბოლდუინის აზრით, ამგვარი რომანები ისეთი დაბეჯითებით აღნიშნავენ ტანჯვის ელემენტს, რომ სხვა რამისათვის იქ უკვე ადგილი აღარ რჩება. უფრო გვიან ელისონმაც უარყოფითივე შეფასება მისცა „პროტესტის რომანს“. მისი აზრით, ზანგების ცხოვრებაში ტანჯვის ელემენტისა და მათი განსხვავებულობის დაჟინებით გამოორებას ამ უკანასკნელთა ამერიკის ცხოვრების ორბიტიდან სრული მოწყვეტა მოჰყვება. უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა ელისონმა თავისი აზრი რ. ჰ. უორენთან საუბარში – „განსაკუთრებული ყურადღება ზანგების სიძნელეებისა და წამებისადმი შეიძლება სტრატეგიული მოსაზრებით იყოს განპირობებული, მაგრამ ამ საკითხის ზომიერად დასაზღვრება ხაზგასმამ შეიძლება ახალგაზრდა ზანგში თვითდამკვიდრებისაკენ ლტოლვის სურვილი ჩაკლას და მისი პასიურობის გამამართლებელ ელემენტად იქცეს“<sup>18</sup>. გასაგებია ელისონის შიშიც, რომ ზანგმა შეიძლება სამუდამოდ დაივიწყოს თავისი ღირსება და შეურიგდეს საზოგადოების არასრულფასოვანი წევრის ხვედრს. ამავე დროს ელისონს ისიც კარგად ესმის, რომ ტანჯვა და განსხვავება მამობილიზირებული ძალის ძლიერ წყაროს წარმოადგენს.

ისევე, როგორც „პროტესტის რომანში“, „უჩინარ ადამიანშიც“ თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ზანგების პროტესტს ამერიკაში საკუთარი სტატუსის წინააღმდეგ. ელისონის ზანგი „პროტესტის რომანის“ ზანგისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ამავე დროს კრიტიკულად უდგება გარემო სამყაროს, ეძებს თავისი „განსხვავების“ მიზეზს, მზად არის მასთან საბრძოლველად. იგი არ ყვირის ტკივილისაგან და არ ეძებს გულჩვილთა თანაგრძნობას. თუ „პროტესტის რომანი“ ზანგების იმ ტანჯვა-წამების ერთი მთლიანი ეპოპეაა, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს, ელისონმა თავის რომანში ზანგის მდგომარეობის შემადრწუნებელი სურათიც მოგვცა და, რაც მთავარია, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზათა მაძიებლად აკურთხა თავისი „უჩინარი ადამიანი“.

\* \* \*

როგორც უკვე ავღნიშნეთ, „უჩინარი ადამიანის“ მხატვრული მხარე იდეურზე ცაცილებით ძლიერია, ავტორის სტილი მეტყველებს, რომ იგი ერთნაირი სიძლიერით ფლობს

როგორც ტრადიციული, რეალისტური თხრობის სტილს (კონკრეტულ შემთხვევაში – გმირის პირით), ასევე არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ, ტრადიციულისაგან განსხვავებულ სტილს, როგორცაც არის დაწერილი რომანის შესავალი და დასკვნითი ნაწილი. ძალზე შთამბეჭდავი, ოდნავ ჯოისისებური, პროლოგი და ეპილოგი, თუმცა განსხვავდებიან რომანის ძირითადი ნაწილის რეალისტური თხრობისაგან, მშვენივრად ეთვისებიან მას. ეს ქმნის თხრობის ისეთ ჩარჩოს, სადაც ზუსტად და ფაქიზადაა გადმოცემული გმირის განწყობილება, მისი ძრწოლა და ემოციათა სირთულე. ნაწარმოების ამ ნაწილებს (პროლოგი და ეპილოგი) ალეგორიული ხასიათი აქვთ; სამინელი სახეები ზანგი ხალხის მძიმე ხვედრის ასოციაციას იწვევს, ხოლო დედის ხმა თავისუფალი მომავლის სიმბოლოა.

ნარკვევში „რომანის ხელოვნება“<sup>19</sup> ელისონმა ახსნა, თუ რატომ მოიშველია მან რამდენიმე მეთოდი რომანზე მუშაობისას. პროლოგსა და ძირითად ნაწილს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება ხაზს უსვამს უფსკრულს, რომელიც არსებობს რომანის ძირითად ნაწილში გულუბრყვილო, ხშირად თავგზააბნეულ და პროლოგში ცხოვრების სიძნელებით გამოწრთობილ გმირს შორის. გარდა ამისა, როგორც თვითონ ელისონი ამბობს, ცხოვრების სტილის ცვლასთან ერთად იცვლება ავტორის მეთოდიც. სამხრეთისათვის დამახასიათებელ დაუფარავ ცინიზმსა და ტრადიციათა არაორაზროვნულ პრინციპებს, ელისონის აზრით, ზოგჯერ ნატურალიზმში გადასული რეალიზმის მეთოდი უფრო შეესაბამება. გმირის ჩრდილოეთში გადანაცვლებასთან ერთად, ნაცნობი გარემოს შედარებითი სტაბილურობის უცნობი სიტუაციით, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების მშფოთვარე ტემპით შეცვლასთან ერთად (სადაც ავტობუსში თეთრკანიანი ქალის მეზობლობაც კი ღრმა ემოციებს იწვევს მასში), თხრობის სტილიც უფრო ექსპრესიონისტულ იერსღებულობს. მოგვიანებით (სცენა საავადმყოფოში, ტოდ კლიფტონის სიკვდილის ეპიზოდი, რასობრივი ჯანყის სცენა და სხვ.) ექსპრესიონიზმი სურეალიზმს უთმობს ადგილს, რაც უკეთესად გადმოგვცემს მდგომარეობის არარეალურობას, რაღაც მოუხელთებელ გრძნობებს, რომლებიც ისევე სწრაფად სტოვებენ გმირს, როგორი მოულოდნელობითაც წარმოიქმნებიან მასში, განწყობილების შეუმჩნეველ ცვლილებას თუ უეცარი აზრის დაბადებას. ამრიგად, მეთოდთა მრავალფეროვნება, რომლებითაც შექმნილია ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდები, ასახავს გმირის ცნობიერებასა და მისი გარემომცველი საზოგადოების მდგომარეობას.

„უჩინარი ადამიანი“ სავსეა სიმბოლური მომენტებით. სიმბოლურია როგორც ცალკეული ეტაპები გმირის ცხოვრებისა, ასევე ცალკეული მომენტებიც ამ ეტაპებისა. შიშველი მოცეკვავე ქალი, რომელსაც მუცელზე ამერიკის დროშა აქვს მოსვირინებული, ამერიკის საზოგადოების ცინიზმისა და ამავე დროს მისი მსხვერპლის სიმბოლოა. ბრმა მოძღვარი ბარბი ზანგების მოძრაობის იმ ბრმა ხელმძღვანელთა სიმბოლოა, რომლებიც ბრძოლის განმანათლებლობით შეცვლას მოითხოვენ და ამ გზით რასის „გაუმჯობესების“ თეზისს ებღაუჭებიან. კოლეჯის პრეზიდენტი ბლედსუ ზანგური რენეგატიზმისა და კოლაბორაციონიზმის განსახიერებაა. მისტერ ნორტონი ჩრდილოეთის არცთუ უანგარო ფილანტ-

როპიის სიმბოლოა. სიმბოლურია გმირის მიერ თავისი ატესტატის დაწვაც (გმირი უარყოფს განათლების ამერიკული სისტემის ღირებულებებს). „ძმობის“ ერთერთი ხელმძღვანელის, ჯუკის შუშის თვალი სიმბოლურად გამოხატავს ორგანიზაციის უუნარობას დაინახოს და ჩასწვდეს ზანგების ნამდვილ გასაჭირს. გმირის მიერ თოჯინის დაწვა, რომელიც მომდინარე, პირფერ ზანგს გამოსახავს, თეთრების მიერ შექმნილი ზანგური სტერეოტიპის უარყოფაა.

ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს ელისონის „უჩინარი ადამიანის“ და კაფკას „კომპის“ დეტალთა მსგავსებას. კოლეჯის პირველდამაარსებელი მართლაც ჩამოჰკავს კომპის მფლობელს, ხოლო უსახელო გმირი კაფკას კ.-ს გვაგონებს. კაფკას კ. (ვინ არის იგი, თვითონ ავტორი თუ ადამიანი საერთოდ?) ისეთივე გამოცანაა, როგორც ელისონის გმირი, მითუმეტეს, რომ თვითონ ელისონმა უარყო რომანის ავტობიოგრაფიული ხასიათი. ორივე გმირი ერთნაირად უხილავია გარემომცველთათვის, მაგრამ თუ კაფკას კ. შეგუებულია თავის ხვედრს და არაფრის შეცვლას არ ცდილობს, „უჩინარი ადამიანი“ მზად არის ებრძოლოს თავის უჩინარობასა და მის გამომწვევ მიზეზებს.

მაკ კორმიკი წიგნში „კატასტროფა და წარმოსახვა“ კაფკას ბრმად მიმბაძველებისაგან ცალკე გამოჰყოფს იმ მწერლებს, რომელთაც შემოქმედებითად გადაამუშავეს მისი მეთოდი და „ალეგორიის სადღესო გამოყენების სრულიად ახალი ასპექტი აღმოაჩინეს“. „კაფკა და მისი ბრმად მიმბაძველები – განაგრძობს მაკ კორმიკი – ისტერიული ტონით წერენ, მათი გმირები დამთხვეულები არიან, ყოველი მათგანი თავისებურად ჯვარცმულია. ისეთი მწერლებისთვის კი, როგორც რ. უორნერი, ს. ვესტი, ნ. მეილერი და რ. ელისონი არიან, ალეგორია სიმამაცის დამამტკიცებელი საშუალებაა“<sup>20</sup>.

„უჩინარ ადამიანში“ ამკარად იგრძნობა ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტენდენცია XIX და XX საუკუნეთა ლიტერატურული მეთოდების ურთიერთ შერწყმისა. ნაწარმოების გმირი ავტორის alter ego-ს კი არ წარმოადგენს, არამედ დამოუკიდებელი პირია; პროლოგში გმირი თვითონ სახავს ძირითად თემას („მე ვარ უჩინარი ადამიანი“). დიდი ხელოვნებით დაწერილ ეპიზოდებში „უჩინარობის“ თემა კვლავ და კვლავ წარმოგვიდგება დრამატულ ვითარებაში. ეს ეპიზოდები უდავოდ კაფკასებურნი არიან თავიანთი ღრმა სიმბოლიზმით, მაგრამ ფესვები გაცილებით ღრმად აქვთ გამჯდარი რეალურ ნიადაგში.

რომანში მოცემულია მთელი სერია ეპიზოდებისა, რომლებიც გმირის მიერ საკუთარი ინდივიდუალობის ძიებისა და მისი გონების ევოლუციის ცალკეულ ეტაპს წარმოადგენენ. პირველი ეპიზოდი – საზეიმო საღამო, სადაც გმირი თავის სამადლობელი სიტყვით გამოდის, – იმდენად სიმბოლურია და ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თითქოს მის ფონზე მხატვრული ძალა უნდა დაჰკლებოდათ მომდევნო სიტუაციებს, მაგრამ ელისონის ოსტატობა სწორედ იმაშია, რომ მთელი ნაწარმოები ზეადმავალი დინამიზმით ვითარდება. თანაბრად დახვეწილი გემოვნებითა და დიდი ემოციური ზემოქმედების ძალით არის გადმოცემული გმირის კოლეჯში სწავლის დროინდელი ფათერაკებიცა და ნიუ-იორკის პერიოდის თავგადასავლებიც.

ნაციონალისტებისაგან დევნილი „უჩინარი ადამიანი“ თავის შენიღბვის მიზნით მუქ სათვალეებს იკეთებს და ტანსაცმელს იცვლის. ახლებურად გამოწყობილს, ხალხი მას ვინმე რაინჰარტად ლებულობს. რაინჰარტი რთული სიმბოლური სახეა. დროდადრო იგი ადამიანის განმათავისუფლებელ შინაგან ძალად გვევლინება, და ამ გაგებით იგი დადებითია. ამნაირად წარმოდგება რაინჰარტი გმირს რომელიღაც მომენტში, მაგრამ რაინჰარტი – აზარტული მოთამაშე და სუტენიორი, დამნაშავეთა ბნელ სამყაროში მიღებული ადამიანი, მოძღვარი, რომელიც თავის ქადაგებას ელექტროგიტარის თანხლებით კითხულობს – მხოლოდ მრავალსახოვანი ტყუილია. გმირი ითვისებს მის სახელს და მოძღვრებას, რაც ვითარებასთან შეგუებაში მდგომარეობს. კრიტიკოსთა ნაწილმა იმ ადგილას ფაქტიურად დამთავრებულად ჩათვალა გმირის ძიებათა პერიოდი, მაგრამ „მე მინდოდა მეთქვა, მათთვის (ხალხისათვის – თ. ს.), რომ რაინჰარტი – ტყუილია – გვეუბნება „უჩინარი ადამიანი“ და მართლაც მალე ჩამოიხსნის ამ ნიღაბს. „...გმირი უარყოფს შესაძლებლობას, რომელსაც რაინჰარტი განასახიერებს იმიტომ, რომ რაინჰარტი ანტი-სოციალურია“<sup>21</sup>. – ზუსტად აღნიშნავს მ. კლაინი. ამასთანავე ადამიანის მორჩილება ქაოსისადმი, რასაც რაინჰარტი განასახიერებს, შეუთავსებელია ელისონის რწმენასთან, რომ გონება ქაოსის დასამორჩილებლად არის შექმნილი. „უჩინარ ადამიანში“ გატარებული ეს აზრი ამტკიცებს ელისონის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხელოვნება, და კერძოდ რომანი, მოწოდებულია დაიმორჩილოს ქაოსი და სამყაროში ჰარმონია შექქმნას.

რომანში ფართოდ არის ასახული ამერიკის საზოგადოების სხვადასხვა ფენების ცხოვრების სცენები. მ. მილგეიტი აღნიშნავს, რომ „თუმცა ს. ბელოუს „ოგი მარჩის თავგადასავალი“, რ. ელისონის „უჩინარი ადამიანი“ და ჯ. კერუააკის „გზაზე“ სხვადასხვა მანძილით უახლოვდებიან სათავგადასავლო რომანს, მათ ერთი რამ აერთიანებთ – მათი ავტორები ხედავენ და ნათლად გადმოგვცემენ ამერიკის ცხოვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას“<sup>22</sup>.

რალფ ელისონი ბევრს მოგზაურობდა და ცხოვრობდა ამერიკის სხვადასხვა კუთხეში. იგი თვითონ ჩამოთვლის, თუ ვისთან უხდებოდა ურთიერთობა: ჯაზის მსახიობები, ომის ვეტერანები, ყოფილი მონები, ნარკომანები, კახპები, ალფონსები, სასულიერო პირები, მომდერლები, ფერმერები, ავტომძღოლები, რკინიგზელები, ლოთები, მოკრივეები, აზარტული მოთამაშეები და ათასი ჯურის მაწანწალები. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკანა კარიდან“ შედიოდნენ მის ცხოვრებაში. აქვე შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ელისონი მიღებული იყო აკადემიურ წრეებსა და ხელოვნების სამყაროში, რომ მან, როგორც ამერიკის ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტმა, ორი წელი გაატარა იტალიაში. შემოიარა მექსიკა და იმოგზაურა ადმოსავლეთის ქვეყნებში.

ელისონი კარგად იცნობს ამერიკის სხვადასხვა კუთხის ზანგთა კილოკავებს და ოსტატურად იყენებს მათ. მშვენიერია დასავლეთელი ზანგი ქალის მეტყველება, როდესაც იგი ქმარს ძალადობისადმი წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებს. მაღალი პროფესიონალიზმითა და საოცარი შთამბეჭდავი ძალით არის გადმოცემული სამხრეთელი მოიჯა-

რადრე ზანგის ტრუბლადის მიერ საკუთარი ქალიშვილის გაუპატიურების ამბავი. ბუნებრივი და კოლორიტულია ჰარლემის მკვიდრთა დიალექტი. საინტერესო და დასამახსოვრებელია ზანგი ნაციონალისტის რასის სახე, რომელიც ნაწარმოების ერთერთ ფინალურ სცენაში ეთიოპიელი მეომრის კოსტიუმში გამოწყობილი, ცხენზე ამხედრებული, უშიშრად შეეტაკება პოლიციას. თავისი ხალხის განთავისუფლების იდეით შეპყრობილი შაკვანიანი დონ კიხოტი სევდიან ღიმილს იწვევს. ამავე დროს რასი მიმზიდველი ფიგურაც არის; მისი გამოსვლები მჭევრმეტყველურია და გულწრფელი<sup>23</sup>.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა „უჩინარი ადამიანის“ მხატვრულ ღირსებაზე, მაგრამ ამ წერილის მოცულობა და დანიშნულება არ იძლევა ამის საშუალებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მხატვრული მხარე რომანისა თავისთავადი და განყენებული კი არ არის, არამედ ელისონის ნაწარმოების ძირითადი თემის – ამერიკის სინამდვილის უარყოფისა და ამ სინამდვილის მიმართ ზანგის პოზიციის ჩამოყალიბების – უფრო ღრმად გახსნის საშუალებაა.

„ძიებისა“ და „განრიდების“ თემა მარკ ტვენის დროიდან არის ტრადიციული ამერიკულ ლიტერატურაში. ელისონის რომანში თემის ტრადიციულობამ არათუ მიჩქმალა, არამედ უფრო მკაფიოდ გამოავლინა ამერიკის ცხოვრებაში „ჰეკლბერი ფინის“ შემდგომი სოციალური, მორალური და ფსიქოლოგიური ძვრები. მარკ ტვენის გმირს ერთი დიდი უპირატესობა აქვს „უჩინარ ადამიანთან“ შედარებით: პირველს შეუძლია მოძებნოს თავისუფლება არკანზასის აუთვისებელ ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც ელისონის გმირი XX საუკუნის ადამიანია და მისთვის ველად გაჭრის პერსპექტივა გამორიცხულია. ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ „უჩინარი ადამიანისათვის“ თავისუფლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საზოგადოება მისთვის მტრული ძალაა იმიტომ, რომ ის არ აძლევს მას საშუალებას იყოს პატიოსანი, გზას უდობავს მას კეთილშობილი, უანგარო შრომისაკენ. რთულსა და ხანგრძლივ ძიებას „უჩინარი ადამიანი“ მაინც ხალხთან მიჰყავს. იგი მტკივნეულად განიცდის ადამიანებისაგან განრიდებას, რადგან ადამიანის ნამდვილი ადგილი საზოგადოებაშია. იგი ცხადად გრძნობს XX საუკუნის ჭეშმარიტებას – „მარტოხელა ადამიანს არაფერი შეუძლია. „უჩინარი ადამიანი“ წმინდა ამერიკული მოვლენაა. მის იდეალებს ალთრუიზმის იერი დაჰკრავს. იძულებითია მისი განრიდებაც და სიმარტოვეც. ამრიგად, ელისონის რომანი პროტესტია როგორც „ონფორმიზმის“, ასევე „განსხვისების“ წინააღმდეგ.

დიდროს უთქვამს: „მორალი და პერსპექტივა – ორი აუცილებელი თვისებაა მხატვრისთვის“. ელისონის რომანის მორალაც ღრმა არის და ამასთან იგი გარკვეულ პერსპექტივასაც უსახავს ახალგაზრდა ამერიკელ ზანგს – პროტესტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს „ღირსეული მიზნის“ გულმოდგინე ძიებას. მაგრამ „უჩინარი ადამიანის“ პერსპექტივა ინსტროსპექტულია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ავტორის რწმენით, ადამიანმა უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავში უნდა დასძლიოს შინაგანი სიცარიელე, ისწავლოს სიყვარული. სწორედ აქეთკენ ილტვის ელისონის გმირი. მას ხალხისკენ მიუწევს გული, გრძნობს მათდამი სიყვარულის მოთხოვნილებას. წარსულის გამოცდილებით მან



უკვე იცის, თუ „რა არ უნდა გააკეთოს“, ხოლო „რა აკეთოს“, ამას მომავალი ასწავლის. „უჩინარი ადამიანის“ შექმნის პერიოდში<sup>24</sup> სიყვარულისა და აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდება, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონფორმიზმის ურთიერთგათიშვისა და სხვა პრინციპებს, გმირულ აქტს წარმოადგენდა. მას აქეთ 17 წელი გავიდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია ამერიკაში საგრძნობლად შეიცვალა; ახალი სიძლიერით გაიშალა მოძრაობა ზანგთა თანასწორუფლებიანობისათვის. გამოცოცხლდა დემოკრატიული ძალების მოძრაობა ნამდვილი ამერიკული იდეალებისათვის.

ჯეფერსონის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები ამერიკის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის შესახებ ელისონის იდეალს წარმოადგენს, და იგი იბრძვის მათი ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელისონი თავისუფალია შავი ნაციონალიზმისაგან: იგი არც ზანგების აფრიკაში გადასახლების იდეას სცნობს და არც ამერიკის შიგნით მათ ავტონომიას. ელისონი მკითხველს მოაგონებს, რომ ზანგები ამერიკაში ცხოვრობდნენ შეერთებული შტატების შექმნამდე გაცილებით ადრე. ეს ყველას უნდა ანსოვდეს, ვინც ამერიკელი ზანგების ვინაობასა და მათი სამშობლოს დადგენას შეუდგება. კითხვაზე, თუ რა სურთ ზანგებს, ელისონი პასუხობს: „ჩვენ გვსურს, რომ ქვეყნის ცხოვრება ამერიკელი ხალხის მიერ აღიარებულ პრინციპებს შევუფარდოთ. ეს ორმაგი მოვალეობაა როგორც ჩვენზე თავის, ისევე მთელი ქვეყნის წინაშე. ზანგები მოითხოვენ, რომ ხალხი თავის საკუთარი იდეალების შესატყვისად მოქმედებდეს. ისინი ისე იქცევიან, როგორც ვალდებულია მოიქცეს ყველა ნამდვილი ამერიკელი. დანარჩენებმა მათ უნდა მიბაძონ“<sup>25</sup>. „ისტორია გვიჩვენებს, რომ სოციალური ძვრები არც ამერიკაში, და არც სხვაგან თავისთავად არ ხდება. რაღაცამ უნდა გამოიწვიოს ისინი“<sup>26</sup> – ამბობს ელისონი 1965 წ. პენ უორენთან საუბარში, და მკითხველი ნათლად გრძნობს, თუ რა შორს წასულა ელისონი თავის ძიებაში. როგორც ვხედავთ, ელისონს კარგად ესმის საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერება, თავისი ხალხის დღევანდელი პრობლემები და მათი გადაჭრის საშუალებანი.

ასეთია ელისონის პასუხი ამ კითხვებზე, რომელთაც იგი 17 წლის წინ ეძებდა თავის გმირთან ერთად.

„უჩინარი ადამიანის“ გამოქვეყნების შემდეგ ელისონმა მხოლოდ ერთი კრებული გამოსცა კრიტიკული და პოლემიკური წერილებისა, რომელსაც „ჩრდილი და მოქმედება“ უწოდა. დროდადრო პერიოდულ პრესაში მისი მოთხრობები და პუბლიცისტური სტატიებიც გამოჩნდება ხოლმე. მკითხველი დიდი ინტერესით ელოდება ელისონის მეორე რომანს, რომელზეც კარგა ხანია მუშაობს ავტორი. მრავლისმთქმელია „უჩინარი ადამიანის“ ავტორის ხანგრძლივი სიჩუმე. შესაძლოა, ელისონი თავის გმირისებურ სულიერ კრიზისს განიცდის, ან იქნებ მწერალს უკანასკნელი ათი წლის შეჯამება და მისი შემოქმედებითი გააზრება ესაჭიროება.

თამარ ცინცაძე

ჟურნალი „ხომლი“, 1970, #5, გვ. 318-329

- 
1. Ralph Ellison, „Invisible man“. New York, 1952
  2. John Mc Cormick, „Catastrophe and Imagination“, London, 1957. p. 65
  3. W. T. Hedden, New York Herald Tribune Book Review. Apr. 13, 1952, p. 5
  4. G. Hicks, „Prose and Politics of Protest“, Saturday Review. N. Y. 1964. Oct. 24. N3 pp. 59-60; R. Bone, „The Negro Novel in America“. N. H.-L. 1965 p. 212
  5. J. S. Redding, „Stranger and Alone“, H. Y. 1950
  6. შავი საღებავის ათი წევრი ამერიკის მთელ მოსახლეობაში ზანგების ხვედრითი წონის (10%) სიმბოლოა
  7. R. Ellison, „Harlem Is Nowhere“ (1948), „The Art of Fiction“ (1955), „Change the Joke and Slip the Yoke“ (1958) და კრებულის „Shadow and Act“-ის (1964) სხვა წერილები
  8. I. Howe, „A World More Attractive“. N. Y. 1963
  9. R. Wright, „The Man Who Lived Underground“. N. Y., 1944
  10. Earl H. Rovit, „Ralph Ellison and the American Comic Tradicion“ in „Recent American Fiction“ ed by J. I. Waldmeir, Boston, 1963, p. 174
  11. J. T. Waldmeir, „Quest Without Faith“ in „Recent American Fiction“. p. 93
  12. New York Times. Aug. 13, 1952, p. 5
  13. J. Philips. „The Second Happiest Day“. N.Y. 1953
  14. W. Demby, „Beetlecreek“, N. Y., 1951
  15. R. P. Warren, „Who Speaks for the Negro“. N. Y. 1965, p. 311
  16. J. Baldwin, „Everibody’s Protest Novel“, Partisan Review. Apr. 15, N14, p. 23
  17. R. Wright, „Native Son“, N.Y., 1940
  18. R. P. Warren, Op. cit. p. 328
  19. R. Ellison, „The Art of Fiction“ in coll. „Sadow and Act“
  20. J. Mc Cormick, „Catastrophe and Imagination“, pp. 290-291
  21. M. Klain, „After Alienation“, N. Y. 1964. p. 124
  22. M. Milagte, „American Social Fiction“, IV Y“ 1964. p. 87
  23. შავი ნაციონალისტის საჯარო გამოსვლების მქვერმეტყველებას რეალური საფუძველი აქვს: 1950 წ. ელისონი რამდენიმე ლიბერალს დაუახლოვდა, რომლებმაც ზანგებისადმი თავიანთი კეთილგანწყობილების გამოვლინების საშუალებად გაიხადეს გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, თუ რას ნიშნავს იყო ზანგი. ერთერთი ასეთი ახსნა-განმარტებითი საუბრის დროს ელისონი „აფეთქდა“ (როგორც თვითონ გადმოგვცემს). ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, იმავე დამეს დაწერა ნაციონალისტის გამოსვლები და მათში საკუთარი გულისწყრომა ასახა
  24. გავიხსენოთ, რომ ეს არის „მაკარტიზმის“ პერიოდი, როდესაც ცივი ომის სუსხის გავლენით 30-იანი და 40-იანი წლების ბევრი რადიკალი მწერალი ივიწყებს თავის წარსულს და, რეალიზმისაგან განდგომილი, მხოლოდ კომერციულ წარმატებაზე ზრუნავს. ამავე დროს პოლიტიკური რეაქციის შემოტევას, ოკეანეგადაღმა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის პოპულარიზაციას, ამერიკულ ლიტერატურაში ტრადიზმის, ცხოვრების აბსურდობის, ადამიანის განწირულობის, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ნებაყოფლობითი განდგომის თემის გაძლიერება მოჰყვა
  25. R. P. Warren. Op. cit. p. 339
  26. Ibid.

## ქურნალი „პოლიტიკა“

### რუბრიკა „ქართული მეცნიერება და სამყარო“

რედაქციისგან:

რუბრიკაში „ქართული მეცნიერება და სამყარო“ შევეცდებით უცხოელ მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია იმ ქართველ მეცნიერთა შესახებ, რომლებიც ჩვენთვის არატრადიციულ დარგებს შეისწავლიან. ამჯერად წარმოგიდგინთ ქალბატონ თამარ ცინცაძეს. იგი საქართველოში ერთადერთი მკვლევარია, რომელიც აფრო-ამერიკულ ლიტერატურასა და კულტურას უთმობს ყურადღებას. ამ კუთხით მან დაიცვა ორი დისერტაცია (სადოქტორო შრომა დაცულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში), გამოაქვეყნა 2 წიგნი, 6 ბროშურა, 30-ზე მეტი სტატია. აფრო-ამერიკული ლიტერატურის შესახებ ქართველმა მეცნიერმა მოხსენებები წაიკითხა არაერთ საერთაშორისო ფორუმზე. მას ხშირად იწვევენ აშშ-ის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში. ის ფაქტი, რომ ქალბატონი თამარ ცინცაძე სწავლობს აფრო-ამერიკულ კულტურას, ამერიკელი მეცნიერებისა და სტუდენტების ყურადღებას იქცევს. ამიტომაც ვაქვეყნებთ მის წერილს ინგლისურ ენაზე. ქართველ მკითხველს კი შევახსენებთ, რომ თ. ცინცაძის პუბლიკაციები არაერთხელ დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალშიც. წინამდებარე ნაშრომში თ. ცინცაძე ეხება ერთერთ თავის წიგნს სათაურით „პრე-რენესანსი და შაკანთან რენესანსი ამერიკის შეერთებულ შტატებში: 1910-1935“. ეს ნაშრომი მზადდება აშშ-სა და ინდოეთში გამოსაცემად. ეს 1983 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნის შევსებული და განახლებული ვარიანტი იქნება.

FROM THE EDITORS

GEORGIAN ACADEMIA AND THE WORLD

Georgians, though separated from the outer world by many barriers (geographical, political, language), have always showed interest for other nations' history and traditions, their literary and artistic expression. However removed a subject might seem from Georgian cultural tradition, still it arouses interest among Georgian scholars and artists on the one hand and the audience on the other.

Among Georgian scholars there is one who for many years has been studying African-American literature and culture – Dr. Tamara Tsintsadze. She wrote two dissertations (defended in Tbilisi and Moscow Universities), two full-length books, six smaller books, several dozen articles, annual

scholarly papers for scientific conferences and sessions – all on the subject of African-American literature and culture. Dr. Tsintsadze's work draws attention of scholars in the USA and other countries. In 1994-1995 one of her projects on African-American literature was supported by the Kennan Institute for Advanced Russian Studies, Woodrow Wilson Centre, Washington DC; in 1990 with support from IREX she worked at another Afro-American project at the Centre for American Culture Studies, Columbia University, New York.

In this publication we are going to fix the readers' attention on one of Dr. Tsintsadze's books „Essays on the Development of Black Literature in the USA“ (Tbilisi University Press, Georgia 1983, Russian lang., 312 pp.). Immediately after it's publication the book became a success among interested scholars and students, particularly in Russia. The book is focused on the Pre-Renaissance and the Black Renaissance period (1910-1935), it's main trends and concepts, literary criticism, poetry, art. Very few materials were published in Russian, which touched upon the Black Renaissance phenomenon. This book is considered to be the most comprehensive and extensive of all the materials published in the former Soviet Union on the Black Renaissance period. No Russian-language materials, pertaining to the period, have ever been translated into English or published abroad. These ideas and opinions of former Soviet critics, responses of the readers and specialists of American literature remain unknown to foreign specialists of the subject. It is obvious that perspectives of the-then Soviet and today's literary critics are of interest to their American counterparts and writers, particularly those who are heirs to this literary and artistic phenomenon – Black Renaissance.

At present the book is being revised, updated, enriched by new materials, translated into English for publication in the USA and India (in latter – by „Ajanta Books International“). By what the author herself says about the manuscript, it is possible to judge not only about the contents of the future book, but a Georgian scholar's range of interests, ability to see the most essential behind many complicated details, to analyse facts, to bring loose ends together, to penetrate something which is virtually unknown in this part of the world and, above all, add a particular dimension – that of a foreign scholar, who belongs to a country which for a long time also was a minority within a bigger nation and a broader social structure.

## Tamara Tsintsadze

### Pre-Renaissance and the Black Renaissance

The general idea of the book „Pre-Renaissance and the Black Renaissance of the 1910-1935: a Foreign Perspective“, my goals and approaches to the period, as well as the phenomenon of the Black Renaissance and the literary material pertaining to it, are given in a concentrated form in the introduction to the book.

The opening chapters reveal the significance of the 18th and 19th century Black literature. The complexity and lack of homogeneity characteristic of the earlier works are discussed, as well as their importance in shaping the rich and original contemporary African-American literature in the United States. These chapters reveal also the inner logic of formation of African-American literature, as it travelled the long road from imitating the existing Euro-American literary models to creating highly original pieces, which became sources of inspiration for many black and white authors throughout the world.

The opening chapters of the book are devoted to the analysis of the historical, social, political, cultural, literary and psychological factors shaping African-American literature at various stages of its development. In these chapters I analyse main directions and concepts of African-American literature between 1890 and 1940 and attempt to work out my own approach to the period under study. I discuss American and Soviet/Russian historical treatment of the subject and comment on the less convincing points in the books by some American and Russian critics regarding the Black Renaissance of the 20's and 30's (it is the first time the approaches of American and Russian critics to the period are analysed and compared). Trying to trace fallacies in these critical work, I also try to work out my approach to the period of the Black Renaissance, to its writers, theorists and critics, its poetics and its message to the contemporaries and the following generations, as well as to its role and place in black and white culture in the United States and abroad.

Political and cultural issues are considered in the book in their relevance to the Pre-Renaissance and the Black Renaissance periods. I give my classification of the stages in the development of the Black American literature and recreate a panoramic picture of development of the Black literature in the United States from the time of its incipience on this continent. I consider it necessary to discuss the existing variations of the time frame of the Black Renaissance ranging between 1890 and 1954, as well as the name of the period itself „Black“, „Negro“, „Harlem“ – and „Renaissance“ as „Rebirth“. Most American and foreign authors limit the period to the 20's and almost invariably call it „Harlem Renaissance“. These are important points, which have to be clarified. In a dispute with a number of American and Russian critics I motivate my choice of the name of the phenomenon and of its time-frame- „Black Renaissance of the 1910-1935“. In the book Fr. Fanon's widely accepted theory – regarding the three stages in the development of the literature of suppressed peoples – is critically studied in its relevance – or rather irrelevance – to the Black American literature, which is another aspect of discussion with some American and foreign critics.

In the book I approach and study the Black Renaissance as a phenomenon which to a consid-

erable degree shaped rich and highly original contemporary African-American literature. Considerable part of the book is given to the analysis of ideological and aesthetic concepts underlying the Black Renaissance literature of the decades to follow, particularly those of the 60' and 70's.

In detail and from various perspectives I study the poetry of the period that gave voice to James W. Johnson, Claude McKay, Countee Cullen, Langston Hughes, Jean Toomer, Sterling Brown, Arna Bontemps and many other poets. Their work is very important in itself and as a source of inspiration for black writers of the following generations; it obviously influenced their outlook and increased their creative potential. It is important to show that participants of the Black Renaissance started a systematic and many-sided study of black folk heritage, showed its real value and originality to America, and took that heritage for the basis of their work. Seeking inspiration as in African-American folklore and history, so in the newest American literature, black poets of the 20's created rare poetic pieces. The book reveals the role the Black Renaissance poets played in shaping subsequent Black American/American literature and the literature produced by poets and prose writers in a number of developing countries.

Black writers of subsequent generation were greatly influenced by the interest of the Black Renaissance writers for black folk culture, genuine folk dialect, as well as by their pride in the black race, its ways of expression and traditions. Younger writers and artists drew on the interest of the Black Renaissance writers for African culture and history, their desire to express themselves openly through forms of indigenous black culture. Rejection of old stereotypes and taboos by the black writers of the following generations, interest for the „common man“, characteristic of the Black Renaissance writers, became dominant in the literature of the 30's and 40's. Harlem, which the Renaissance writers turned into an important literary theme, still captures the imagination of black writers, as well as their tradition of depicting the life of black southern peasants.

Particularly important was fine artistry of the Black Renaissance poets, which helped increase literary standards and free the imagination of black writers of later generation. For the majority of critics that was the greatest achievement of the Renaissance writers. I try to show in the book that though with each period that followed goals of black American writers changed, as well as did themes, styles, methods of artistic representation of the surrounding world, still the ideological as well as aesthetic concept proclaimed by the Black Renaissance theoreticians and writers for a long time retained their importance as the factor influencing the development of the Black literature in the United States and abroad. One of the aims of the book is to show that the Black Renaissance did not end with the beginning of the Great Depression, it continued into the mid- 30's and sent its message into the future.

My study of the period and of the literature produced by it brought me to the conclusion, that besides creating original forms of expression or modernising and refining the existing classical forms, poets of the Black Renaissance demonstrated the compatibility of classically refined or unusually original poetic forms with a deep social protest. They proved by their works that the protest poetry could also be refined and aesthetically attractive and powerful. Thus the subject and the form fused producing poetry which had its roots in the American soil, in the racial situa-

tion in America, but transcended the boundaries of the poetry of racial protest and of the country where this poetry was created.

Besides revealing aesthetic concepts and achievements of the Black Renaissance theorists, writers and artists, the book shows that this „aestheticism“ led some foreign and American literary critics to conclusions concerning the „apolitical“ nature of the movement and the literature produced by it. No judgement of the period could be more wrong. The Black Renaissance was the cultural analogy of the New Negro movement which was political in its essence. Its participants rejected assimilation, separatism, accommodation and sought a new modus for their relationship with white America. Hence the New Negro movement, the New Negro himself, who sought integration with America and at the same time chose to preserve and develop indigenous forms of the Black culture, which the black people had preserved during the centuries of slavery.

The forerunners and participants of the Black Renaissance strove to make America fully accept black people and black artists, give African-Americans the possibility of full participation in political, social, economic, and cultural life of the country. They strove to show the reader the importance of Black literature and art for America, and also to help African-Americans define and accept their identities as of black people in America who possess their own history and cultural heritage.

Only since the 60's some writers and critics began to treat the Black Renaissance not only as a cultural, but as a political phenomenon too. The book shows the Black Renaissance not only as a phenomenon which revealed the value of Black literature and art for black and white Americans and non – Americans too, but also as a phenomenon which strengthened non-literary, non-artistic institutions – magazines and papers, NAACP, City League, various associations, etc. Part of the program of the movement – anti-Garveism, black unity, fight against racial and caste barriers – represents a definite political platform. In their own way participants of the movement fought against economic and social discrimination of the black people in the country, for the equality of black and white Americans.

The book shows how the Black Renaissance came to its logical end in the mid 30's. But the tradition created by its participants and particularly by its poets found reflection far from America – in Africa and Europe. The feeling of joy and optimism, self-assertion and militant pride, which weakened in Harlem and other ghettos during the Great Depression, found rebirth in the work of American poets. I think it important and fair to show that the Black Renaissance poets created the ground for the appearance of the concept of Negritude on the other side of the Atlantic, helped shape the views of the leaders of African Liberation movement. It was natural, as the main theme of the Black Renaissance was black Americans' search for their roots, spiritual return to African cultural heritage, stress on the beauty and talent of the black people, on their racial pride. It is clear that the African poets were impressed not only by the new poetic forms created by Hughes, Toomer and other Renaissance poets, but by the entity of elements that made their poetry.

Interinfluences of black writers of the USA, Africa and Latin America, which began in the 30's, are even more obvious today. We hear echoes of influence of the Black Renaissance poetry in various parts of the world, but these are side-effects of the movements; its main goal was paving the

way, preparing a richer soil for African-American writers of subsequent generations. The Black Renaissance gave a constellation of talented writers and turned into a revolution, the consequences of which are not only obvious, but extremely important today. It is my intention to show in the book that besides very positively influencing the work of black writers in the United States and outside the country, the Black Renaissance poets interacted with American poets of the day in creating the new aesthetics, which opposed itself to the bourgeois aesthetics, as the latter rejected folk sources and social themes. The book shows that the best writers of the Black Renaissance demonstrated by their works aesthetic and historical importance of the movement.

Ultimately the book tells the reader of the transformation of the literary tradition. I follow the ways by which the Black Renaissance was moving towards its main result, how it brought the African-American literature, which for centuries was developing on the basis of American and actually West European literary canons, to the level of a new and independent phenomenon. Only by acknowledging this fact is it possible to fully estimate the meaning of the achievements of the writers, artists, critics and theorists it embraced.

The Black Renaissance proved to be a system which acted by itself and also in interaction with American literature, whole American culture. That is why I consider it important to study the process of formation of African-American literature through revealing its topological and genetic ties to the American culture as a whole. The „ethnic“ phenomenon is studied in the book in the process of formation of national American literature. I investigate ideologically and artistically new features of Black literature which ultimately became part of national American literature. The Black Renaissance literature is viewed in the book as a complex, contradictory, peculiar, but in essence an American phenomenon, as one of the important parts of American culture.

Two versions of the book are being prepared – the English and the Russian versions.

The book will be about 400-450 pp. in length. The English version of the manuscript is expected to be ready by summer 1997. Intended audience: scholars in American/African-American studies, historians of literature, literary critics, general readers, teachers, students. The book has a potential for text-book adoption. Possible courses: American/African-American literature and culture, literary history; a course on the Black Renaissance, as well as Pre-Renaissance literature and history.

*ჟურნალი „პოლიტიკა“, #5-6, 1996 წ.*



# ენა როგორც ადამიანთა ისტორიის ანარეკლი

## თანამედროვე ლინგვისტური თეორიების ინტერპრეტაცია

მეცნიერება დიდი ხანია გაცდა იმ ეტაპს, როდესაც ადამიანთა ენა მხოლოდ და მხოლოდ მათი კომუნიკაციის საშუალებად ითვლებოდა. ნათელი გახდა, რომ ენის ევოლუციის კვლევით ადამიანთა საზოგადოების განვითარების მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი შეისწავლება. წერილში მიმოხილულია თანამედროვე ლინგვისტური თეორიები, რომლებიც ადამიანების დრმა წარსულში ჩახედვის საშუალებას იძლევიან.

სხვადასხვა ენაში საერთო სიტყვებისა და გრამატიკული სტრუქტურების ხანგრძლივი შესწავლით ლინგვისტებმა ადადგინეს თანამედროვე ენების წყაროები. ყველაზე კარგადაა შესწავლილი ენების პროტოინდოევროპული ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ათეულ ენას მოიცავს. დღეს მეცნიერები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თავად პროტოინდოევროპული ჯგუფიც უფრო დიდი ხის შტოა, ხისა, რომლის ფესვები დედამიწაზე პირველი ადამიანების საზოგადოებაში აღმოცენდა.

საკუნეების მანძილზე მეცნიერები ცდილობენ ადადგინონ ადამიანების პირველი ენა. ერთერთი მათგანი იყო სერ უილიამ ჯონსი – ინგლისელი, რომელიც XVIII ს. დამლევს ინგლისის გვირგვინს ემსახურებოდა ინდოეთში მოსამართლის რანგში. მან თავი გააღვენა გარკვეული ხასიათის დამთხვევებს და მივიდა საოცარ დასკვნამდე ადამიანთა ბუნების თაობაზე. განათლებით ორიენტალისტმა, ჯონსმა შეისწავლა სანსკრიტი – ენა, რომლითაც დაწერილია მრავალი ძველი ინდური რელიგიური და ლიტერატურული ტექსტი. ჯონსმა აღმოაჩინა, რომ სანსკრიტის გრამატიკული ფორმები და ლექსიკა მოგვაგონებს ანალოგიურ ბერძნულ და ლათინურ ფორმებსა და ლექსიკას. მისი რწმენით, ამ სამი ენის შესწავლისას არც ერთი ფილოლოგი არ დაეჭვდებოდა, რომ მათ ერთი საერთო წყარო აქვთ. როგორც საკუნიტ გვიან ჩარლზ დარვინმა თქვა ადამიანის სხეულის შესახებ, ასევე ჯონსმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ ადამიანის ფსიქიკის ფუნდამენტურ ნაწილს – ენას საკუთარი, ჯერ კიდევ შუენობი წინაპრები ჰყავდა.

მის მერე მეცნიერებმა მთელი გადატრიალება მოახდინეს ადამიანთა ენის უძველესი ფესვების აღმოჩენაში. თუ დიდი ლინგვისტის და ლინგვისტიკის მამამთავრის ნაომ ჩომსკისა და მისი მიმდევრებისათვის ენა ფსიქოლოგიური რეალობის მოვლენა იყო, სხვა მიმდინარეობის მომხრეები (რომლებსაც რენეგატებად თვლიდნენ) ენებს კულტურული რევოლუციის პროდუქტად მიიჩნევდნენ და თანამედროვე ენებში ერთგვარ ლინგვისტურ „გადმონაშთებს“ ეძებდნენ საერთო ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების სახით. ეს „პალეოანთროპოლოგები“ ლინგვისტიკაში ცდილობენ ადადგინონ ის გზები, რომლითაც დედამიწის დაახლოებით 5000 ენა წარმოიქმნა მცირე რაოდენობის უძველესი „დედაენებისაგან“. რამდენიმე რადიკალურად განწყობილმა ლინგვისტმა ისიც განაცხადა, რომ მათ ნაწილობრივ ადადგინეს ყველა ენის დედაენა – ის თავდაპირველი

ენა, რომელზედაც მეტყველებდნენ ადამიანები თავიანთი არსებობის დასაწყისში.

ასეთი ლინგვისტური აღმოჩენები თუ ჰიპოთეზები დიდად პოპულარულია იმ არქეოლოგების, ანთროპოლოგებისა და სოციოლოგების წრეში, რომლებიც ცდილობენ შექმნან დედამიწაზე ადამიანების გაჩენის სურათი. მკვლევარ ალექსის მონასტერ რამერის (ვეინის სახელმწიფო უნივერსიტეტი დეტროიტში) აზრით, ყველაზე რთული კითხვების მრავალ პასუხს შეიცავს ანთრო-ფსიქო-სოციო-ლინგვისტიკა. ენა ორგანული ნაწილია იმ კულტურული მკავშირებელი „მასალისა“, რომელიც აკავშირებს ადამიანებს და მათი არსებობის ერთერთი პირველი ნიშანია.

ენის ევოლუციის შესწავლით შეიძლება დავადგინოთ, როგორ ხდებოდა ადამიანთა მიგრაცია ახალ მიწებზე; დაკარგული ენების ლექსიკის აღდგენა უკარნახებს მკვლევარებს იმას, თუ როგორ ცხოვრობდნენ, აზროვნებდნენ, იკვებებოდნენ ადამიანები, ან როგორ თანაარსებობდნენ, თუ ერთმანეთს ანადგურებდნენ კულტურები. ადამიანთა გენების შესწავლისა და შედარების შედეგად შეიქმნა ერთგვარი ადამიანთა რასის „ხე“, რომლის შტოები ასახავენ ენების განვითარებასაც, როგორც ამას ლინგვისტები ხედავენ. ასეთმა ერთობლივმა კვლევებმა მეცნიერება მიიყვანა ჰიპოთეზამდე, რომ ყველა ერი – და შესაძლებელია ყველა ენაც წარმოიშვა მცირერიცხოვანი ხალხიდან, რომელიც აფრიკაში ცხოვრობდა 200.000 წლის წინ.

როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი მე მაგალითისათვის ინგლისურ ენას მივმართავ. ის აზრი, რომ ენა მუდმივ ცვლილებას განიცდის, ნათელი ხდება შექსპირის, ჩოსერის და უფრო ადრინდელი, მერვე საუკუნის ძველი ინგლისური ეპოსის „ბეოულფის“ ენის შედარებისას (თვით ბგერებშიც კი დიდ ცვლილებას ვხედავთ ერთი და იმავე ენის ფარგლებში). კალიფორნიელი მეცნიერის მერიტ რუჰლენის აზრით, რომელიც დედამიწის ენებს შორის ურთიერთობებს სწავლობს, ბგერებში ეს ცვლილებები ერთ შემთხვევაში ინგლისური ენის ფარგლებში (ონომატოპიური სიტყვების გარდა) შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვის ბგერით გამოხატვას არა აქვს პირდაპირი კავშირი მის მნიშვნელობასთან. მონეტების მსგავსად სიტყვები მნიშვნელობას იძენენ ადამიანთა საზოგადოებაში; ადამიანები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, თუ რას ნიშნავს სიტყვა თუ მონეტა. სიტყვა „ძალი“ შეიძლება აღნიშნავდეს ოთხფეხა, კუდიან, ბეწვიან არსებას, მაგრამ ამისათვის ივარგებდა „ზებრაც“, ან „ბეჰემოთიც“, თუკი მთქმელი და მსმენელი ამგვარად შეთანხმდებოდნენ.

დოქტორ რუჰლენის აზრით, ეს თავისუფალი კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის მეცნიერებს ადამიანთა ლინგვისტური წარსულის რეკონსტრუქციის საშუალებას აძლევს. რადგან ბგერების ნებისმიერი რაოდენობა შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ მნიშვნელობასთან, ორ სხვადასხვა ენაში აკუსტიკურად მსგავსი სიტყვების არსებობა, რომლებიც მსგავს მნიშვნელობებს გამოხატავენ, ნიშნავს, რომ ამ ორ ენას ერთი წინაპარი ჰყავდა. მაგალითი: კაფეში კლიენტი მოითხოვს ყავას „an lait“ „con leche“ ან „latte“ იმის მიხედვით, თუ ვინაა იგი – ფრანგი, ესპანელი თუ იტალიელი. ლინგვისტები აღარებდნენ ამ აკუსტიკურად მსგავს სიტყვებს, რომელიც რძის რაოდენობას გამო-

ხატავს ყავაში, ითვალისწინებდნენ, თუ როგორ იცვლებოდა სიტყვები ფონეტიკურად სხვადასხვა ენაში და აღადგენდნენ ლათინურ ფორმას „lacte“ მაშინაც, რომანული ენების ეს ლექსები რომ არ ყოფილიყო ცნობილი.

სიტყვების მსგავსმა შეთანხმებამ უილიამ ჯონსს საშუალება მისცა ეფიქრა, რომ ლათინური ენა, ისე როგორც ბერძნული და სანსკრიტი, უფრო ძველი ლექსებისაგან წარმოიშვა. ლათინურ ენაში სიტყვას „სამი“ გამოხატავს „tres“, ბერძნულში – „tries“, სანსკრიტში – „tryas“. ჯონსის მიმდევრებმა მრავალი ენის შედარების გზით დაადგინეს, რომ ინგლისური, გერმანული, შვედური, რუსული, პოლონური, ჰინდი, სპარსული, ლიტვური და უელსური ენები ყველა ერთი და იმავე ძველი „პროტოენის“ შთამომავალია. მას ლინგვისტები ინდოევროპულს ეძახიან. ამ ენაზე ადამიანები ლაპარაკობდნენ 8 ათასი წლის წინ, სანამ დამწერლობა გავრცელდებოდა. იგი ცნობილია მხოლოდ იმ ნიშნებით, რომლებიც მისგან ნაწარმოები ენების ლექსიკონში შემორჩა.

სწორედ ასეთი შემორჩენილი ელემენტებისაგან ლინგვისტებმა აღადგინეს პროტოინდოევროპული სიტყვების საკმაოდ ვრცელი ლექსიკა, რამაც პირველი გასაღები მისცა მეცნიერებს იმ უძველეს ადამიანთა საზოგადოების ამოსახსნელად, რომლებიც ამ ენაზე მეტყველებდნენ, როდესაც ევროპის თითქმის მთელი ტერიტორია ეკავათ. ცნობილი ლინგვისტების თამაზ გამყრელიძის და ვიჩესლავ ივანოვის აზრით, შინაური ცხოველების („ძროხა“, „ცხვარი“, „ძაღვი“) და მცენარეების („ქერი“, „სელი“, „ხორბალი“) აღმნიშვნელი სიტყვები იმის ნიშანია, რომ ადამიანები, რომლებიც მეტყველებდნენ პროტოინდოევროპულ ენაზე, მიწათმოქმედნი იყვნენ, ხოლო მთებისა და სწრაფი მდინარეების აღმნიშვნელი სიტყვების სიჭარბე მიუთითებს, რომ თავდაპირველად ეს ადამიანები ცხოვრობდნენ მთიან პლატოებზე.

ამგვარი და სხვა ლინგვისტური მინიშნებით გამყრელიძე და ვ. ივანოვმა მეცნიერებს შესთავაზეს იმის ახალი დასტური, რომ ინდოევროპული ენა წარმოიშვა ტერიტორიაზე, რომელიც ანატოლიად იყო ცნობილი – ახლანდელი თურქეთის ნაწილი; აქედან იგი გავრცელდა ევროპაში და სუბკონტინენტზე. ლინგვისტები იმასაც ფიქრობდნენ, რომ ინდოევროპული პროტოენა რუსეთის სამხრეთ რაიონებში წარმოიშვა, და ევროპაში იგი დამპყრობელთა ურდოებმა გაავრცელეს. მაგრამ თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი და ზოგიერთი სხვა ლინგვისტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ასახელებენ სიტყვებს პროტოინდოევროპული ენებიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, ნასესხები იყო მესოპოტამიასა და ახლო აღმოსავლეთში ხმარებული ენებიდან. ეს ნიშნავს, რომ პროტოინდოევროპული ენის მატარებლები ცხოვრობდნენ ამ კულტურებთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ტერიტორიებზე. ფესვები პროტოინდოევროპული სიტყვისა, რომელიც ღვინოს აღნიშნავს, მოიძებნება არაინდოევროპულ სემიტურ სიტყვაში „waniu“ და ეგვიპტურ „wns“-ში.

ინგლისელი არქეოლოგის კოლინ რედფრუს (რომელიც შორსაა ლინგვისტიკისაგან) კვლევამ მოულოდნელად დაადასტურა გამყრელიძე-ივანოვის დასკვნები. მათგან დამოუკიდებლად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ინდოევროპელთა სამშობლო ანატოლიაში იყო. რედფრუსაც მიაჩნია, რომ ანატოლიის მკვიდრები მიწათმოქმედნი იყვნენ და არა

მეომრები; სწორედ მათ გაავრცელეს ინდოევროპული ენა ევროპაში. იგი ამბობს, რომ თუ მიწათმოქმედის შვილმა 10 მილის დაშორებით ააშენა საკუთარი სახლი და დაამუშავა საკუთარი ნაკვეთი, ანატოლიაში დაწყებული ეს ტალღა ევროპას დაფარავდა 1500 წელიწადში; ერთდროულად ხდებოდა ენობრივი „ექსპანსიაც“ – ინდოევროპული ენა ვრცელდებოდა ევროპაში, რადგან მიწათმოქმედებას შეუძლია მეტი ადამიანი კვებოს, ვიდრე ნადირობას ან ბუნების ნაყოფის შეგროვებას. სავარაუდოა, რომ იმდროინდელი ევროპის მცხოვრებლები განიდევენ ახლადმოსულების მიერ ან მათაც მიყვეს ხელი მიწათმოქმედებას.

პროტოინდოევროპული ენის არსებობა დიდი ხანია აღიარა მეცნიერებამ. ლინგვისტები დღეს ცდილობენ გააღვენონ თვალი ენების წარმოშობას უფრო შორეულ წარსულში და ცნობენ ისეთი დედაენების არსებობას, როგორცაა ალტური, რომლისგანაც წარმოიშვა ადმოსავლეთ-აზიური ენები – იაპონურისა და კორეულის ჩათვლით; ცნობენ აფრო-აზიურ დედაენასაც, რომლისგანაც წარმოიშვა სემიტური ენა, და მიდიან დასკვნამდე, რომ ეს ძველი ენები უფრო ძველი ენიდან არის ნაწარმოები. რუსმა ლინგვისტებმა ვლადისლავ ილიჩ-სვეტიჩმა და აარონ დოლოგოპოლსკიმ 60-იან წლებში აღადგინეს ეს უძველესი ენა, რომელსაც უწოდეს „nostratic“ ანუ „ჩვენი ენა“. მის აღსადგენად რუსმა მკვლევარებმა შეისწავლეს სიტყვები, რომლებსაც ლინგვისტები ლექსიკის ყველაზე მყარ ნაწილად მიიჩნევენ – სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის სხეულის ნაწილებს, პირის ნაცვალსახელები, ბუნებრივი სხეულები, როგორცაა მზე და მთვარე. იმის ანალიზით, თუ როგორ იცვლებოდნენ ბგერები ამგვარ სიტყვებში „nostratic“-დან ნაწარმოებ ენებში, მეცნიერებმა შეძლეს ასეულობით სიტყვის აღდგენა. ასე, ნოსტრატიკული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ახალგაზრდა კაცს, არის „maira“ („მაირა“), რომელიც იქცა „merio“-დ ინდოევროპულ ენაში, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ კი „mari“-დ ფრანგულ ენაში, რაც ნიშნავს „ქმარს“, ხოლო ინგლისურ ენაში – „marry“-დ, რაც დღეს „ქორწინებას“ და „დაქორწინებულს“ ნიშნავს.

ნოსტრატიკული ლექსიკის აღდგენილი სიტყვები გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ენაზე მეტყველებდნენ; ეს სიტყვები კარნახობენ მეცნიერებს იმასაც, თუ როდის იხმარებოდა ეს ენა აქტიურად. ისეთი სიტყვების ნაკლებობა, რომლებიც აღნიშნავს კულტურულ მცენარეებს, ნიშნავს, რომ ნოსტრატიკული ენის მატარებლები სავარაუდოდ მონადირეები, შემგროვებლები იყვნენ – ფიქრობს ვიტალი შევეროსკინი, დოლოგოპოლსკის ყოფილი სტუდენტი (შემდეგ – მიჩიგანის უნივერსიტეტის თანამშრომელი). მეტის მთქმელია სიტყვა „kuyna“, რომელიც „ძაღლს“ ან „მგელს“ ნიშნავდა. გერმანულ ენებში ბგერა „k“ იქცა „h“-ად, რამაც საბოლოოდ ინგლისურ ენაში „hound“-ი მოგვცა. შევეროსკინის აზრით, ამ სიტყვის ორგვარი ხასიათი ნიშნავს, რომ მგლები იმ დროს მოშინაურების პროცესში იყვნენ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ძაღლის უძველესი ძვლები ნაპოვნი იყო 14 ათასი წლის წინ, რაც აგრეთვე მიუთითებს იმ დროზე, როდესაც ნოსტრატიკული ენა იხმარებოდა. ამ ენის მატარებლები ბევრს მოგზაურობდნენ: მათ ლექსიკაში მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც „ხანგრძლივ მოგზაურობას“

ნიშნავს. შემდგომი ათასეული წლის განმავლობაში ნოსტრატისკულმა ენამ დასაბამი მისცა რამდენიმე ენობრივ ოჯახს, რადგან მისი მატარებლები ახლო აღმოსავლეთიდან მათ სავარაუდო სამშობლოში – ევროპაში, სპარსეთსა და ინდოეთში გადასახლდნენ.

ენების ამგვარი „მაკროოჯახის“ რეკონსტრუქციით მეცნიერებმა ახსნეს ადამიანთა ისტორიაში სხვა დიდი მიგრაცია – ახლა უკვე ამერიკის კონტინენტებზე. კალიფორნიელმა ლინგვისტმა ჯოზეფ გრინბერგმა (სტენფორდის უნივერსიტეტი) წამოაყენა საკმაოდ ექსტრაორდინარული სადავო თეორია – რომ ყველა ენა, რომლებზედაც მეტყველებენ ამერიკის კონტინენტების მკვიდრნი, შეიძლება დაჯგუფდეს სამ ოჯახად, რაც შეესატყვისება შორეულ წარსულში აზიიდან ამერიკის კონტინენტზე ადამიანთა სამ დიდ ტალღად გადმოსახლებას ანუ მიგრაციას. ჯ. გრინბერგის მიერ შემოთავაზებული ყველაზე ძველი და სადავო ჯგუფი არის „ამერიინდალ“ წოდებული ენათა მაკროოჯახი, რომელიც მოიცავს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ყველა ენას, ისევე როგორც ჩრდილო ამერიკის მრავალ ენასაც. კიდევ ერთი ჯგუფია „ნა-დენი“, რომელიც მოიცავს ჩრდილო-დასავლეთელი აბორიგენების ენებს და ნავახოსა და აპაჩის ტომების ენებს. მესამე ენათა ესკიმო-ელეუთის ჯგუფი. მასში შედის არქტიკელი აბორიგენების ენები; ეს იყო ენების მესამე ჯგუფი, რომელმაც ყველაზე გვიან შეადგინა „ახალ სამყაროში“. გრინბერგის თეორიამ ფურორი მოახდინა ლინგვისტებში, მათ წრეშიც კი, ვინც ისტორიული ენების რეკონსტრუქციის მომხრეები არიან. ამ რამდენიმე წლის წინ კოლორადოში ბოულდერის უნივერსიტეტში მოწყობილ კონფერენციაზე ბევრი ლინგვისტი არ დაეთანხმა გრინბერგის მეთოდოლოგიას, რომლითაც იგი ახდენდა ჟღერადობით მსგავსი სიტყვების შედარებას სხვადასხვა ენაში, ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა ბგერების ტრანსფორმაცია ერთი ენისაგან მეორე ენის აღმოცენების დროს. მაგრამ გრინბერგის მომხრეებმა შეახსენეს მოწინააღმდეგეებს, რომ 20 წლის წინ აფრიკული ენების გრინბერგისეულმა კლასიფიკაციამ მაშინ ასეთივე ფურორი მოახდინა, ახლა კი საყოველთაოდ აღიარებულია ლინგვისტების მიერ.

გრინბერგის თეორიას ამაგრებს ახალი არქეოლოგიური თეორიები ამერიკის კონტინენტების დასახლების თაობაზე. არქეოლოგებს დიდი ხანია მიაჩნიათ, რომ „ახალ სამყაროში“ პირველი მიგრაცია მოხდა დაახლოებით 12 ათასი წლის წინათ. ზოგიერთი ლინგვისტი თვლის, რომ ეს ძალზე მოკლე ვადაა საიმისოდ, რათა ინდიელთა მრავალი ენა აღმოცენებულიყო ამერიინდის დედაენიდან, როგორც ამას გრინბერგი თვლის. მაგრამ დადასტურდა, რომ ამერიკის კონტინენტზე აღმოჩენილი ადამიანების სადგომები ბევრად უფრო ძველია. ეს კი ნიშნავს, რომ ახალ სამყაროში პირველი მიგრაციაც ბევრად ადრე იყო, რაც მეტ დროს აძლევს ნაწარმოები ენების აღმოცენება-განვითარებას. ადამიანის ერთერთი უძველესი ადგილსამყოფელი – კლდეში გამოჭრილი თავშესაფარი პენსილვანიის შტატში 16 ათასი წლისაა, მეორე კი, ჩილეში – 33 ათასი წლისა. ახალი კვლევები, რომელთა მიხედვით ატარებენ ამერიკის კონტინენტების აბორიგენების გენეტიკურ ანალიზს, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ პირველი მიგრაცია ამერიკაში შეიძლება 60 ათასი წლის წინათ მომხდარიყო.

ამერიკის კონტინენტებზე გავრცელებული ენების მეცნიერული კვლევა შუქს ფენს

უძველეს ლინგვისტურ საიდუმლოებას ახალი ტერიტორიების ენებთან დაკავშირებით. ლინგვისტებს დიდი ხანია აოცებთ და აინტერესებთ ბასკური ენის წარმოშობა – ენისა, რომელზედაც მეტყველებენ ჩრდილო ესპანეთში. ეს ერთერთია იმ რამდენიმე არაინდოევროპულ ენაში, ევროპის კონტინენტზე რომ ვხვდებით. ლინგვისტებმა ყოფილი საბჭოთა რეგიონიდან დაასაბუთეს, რომ ბასკური ენა ენათესავება ნა-დენს, და რომ ეს ორი ენა ნაწილია სხვა ენების მაკროოჯახისა, რომელშიც შედის უზარმაზარ ტერიტორიაზე – ჩინეთსა და ხმელთაშუა ზღვას შორის – ადრე გავრცელებული ენები – როგორცაა ჩინური და ხმელთაშუა ზღვის ერთერთი ტერიტორიის ენა – ეტრუსკული. ბასკური, რომელიც მიეკუთვნება დენე-კავკასიურ ენებს, შესწავლილი და რეკონსტრუირებული იყო მეტწილად რუსი მეცნიერის სერგეი სტაროსტინის მიერ, რომელსაც აგრეთვე დოლგოპოლსკის სკოლა ჰქონდა გავლილი. ეს ფართოდ გავრცელებული ენა, რომელზედაც მეტყველებენ ბერინგის სრუტის ორივე მხარეზე და ევრაზიის ტერიტორიის ორთავე ბოლოში, ასახავს ძველი ადამიანების ფართო მიგრაციებს; მათ ზოგჯერ თან მიჰქონდათ საკუთარი ენა (როგორც ბასკური) და ინარჩუნებდნენ მას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ენობრივ გარემოცვაში უხდებოდათ ცხოვრება.

ისეთი ეგზოტიკური ლინგვისტური „კუნძულის“ შენარჩუნება, როგორცაა ბასკური ენა, მიგვანიშნებს, რომ ენას, ისევე როგორც გენებს, შეუძლია მარკერის ფუნქციის შესრულება, რომლითაც ამოიცნობა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი. ისტორიული ლინგვისტური კვლევები ფართო ინტერესს იწვევს მეცნიერებში, რომლებიც ძალზე საინტერესო პრობლემების ახსნით არიან დაკავებულნი – იკვლევენ ადამიანის გენების ევოლუციურ ისტორიას. სტენფორდის უნივერსიტეტის გენეტიკოსი ლუიჯი კავალი-სფორცა, ახალი გენეტიკური კვლევების პიონერი, თვლის, რომ ენასა და გენებს შორის შესაბამისობის მიზეზი ნათელია: როდესაც 50 ათასი წლის წინათ ხდებოდა ადამიანთა მიგრაცია დედამიწაზე, სხვადასხვა ჯგუფი განცალკევდა, შემდეგ აღარ შეხვდა ერთმანეთს – გენეტიკურად და ლინგვისტურად. როდესაც გენებმა ცვლილება განიცადა, ენებმაც დაკარგა მსგავსება.

ამ ცოტა ხნის წინ კავალი-სფორცამ და მისმა კოლეგებმა შეისწავლეს 42 სხვადასხვა აბორიგენული ჯგუფის გენეტიკური მარკერები და გამოიყენეს გენებს შორის ცვლილება-განსხვავებანი, რათა შეექმნათ კაცობრიობის გენეტიკურ-ოჯახური ხე. ეს ხე გვიჩვენებს ადამიანთა საზოგადოებას მრავალი ათასწლეულის განმავლობაში როგორც ერთიან მოსახლეობას, დაყოფილს რამდენიმე დიდ ჯგუფად, შემდეგ კი ცალკეულ ტომებად, რომლებიც დღესაც არსებობენ.

უფრო მეტიც, კავალი-სფორცამ აღმოაჩინა, რომ გენეტიკური ფაქტორით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები ნათლად ასახავს ენების დაჯგუფებასაც, რაც ადრე დამოუკიდებლად ისტორიული ლინგვისტიკის მიერ იყო დამტკიცებული. ყველაზე აღრინდელი „განხეთქილება“ მოხდა აფრიკელებსა და სხვა ადამიანებს შორის, რაც ასახავდა ჰომოსაპიენსის მიგრაციას აფრიკის კონტინენტიდან. ეს პროცესი ენებშიც აისახა: აფრიკის ხოიზანური ენები (როგორცაა კუნგსანის ენა, რომელშიც იხმარება შეძახილების მსგავსი

ტკაცუნა ბგერები) შორიდან ენათესავება დედამიწის სხვა ენებს. პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენა ჰომო-საპიენსის უძველესი ნარჩენებისა ახლო აღმოსავლეთში გვაცხადებს მიახლოებით თარიღს, თუ როდის შეიძლება მომხდარიყო პირველი „განხეთქილება“. ნარჩენები 92 ათასი წლისა იყო.

სხვა კვლევა, რომელიც ანალოგიურად სწავლობს ადამიანის გენეტიკის განვითარების გზებს, მიგვანიშნებს, რომ ყველა ენას შესაძლოა ჰქონდა ფესვი მცირერიცხოვან მოსახლეობაში, რომელიც ცხოვრობდა 200 ათასი წლის წინათ. ცნობილ „ევას“ ჰიპოთეზაში ალან უილსონი, მარკ სტოუნციანი და რებეკა კანი (ბერკლის უნივერსიტეტი, კალიფორნია) იკვლევდნენ ქალის გენეტიკურ მასალას დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დღეს დედამიწაზე არსებული ყველა ადამიანი ჰომოსაპიენსების მცირერიცხოვანი მოსახლეობის შთამომავალია – მოსახლეობისა, რომელიც ოდესღაც აფრიკაში ცხოვრობდა.

და თუ ადამიანთა მოდგმა ადამიანების ამ პატარა ჯგუფიდან მოდის, მაშინ ისიც მისაღებია, რომ ისინი ერთ ენაზე მეტყველებდნენ. ამ დასკვნამდე მივიდა მკვლევარი შევეროსკინი. მეტიც, ამბობს იგი, იმავე ტექნიკით, რომლითაც აღდგენილი იქნა ძველი მაკროოჯახები, შეიძლება აღდგეს ადამიანთა რასის უძველესი დედაენის ფრაგმენტებიც. მაგალითად, ნოსტრათიკული სიტყვა „lapa“, რომელიც „ფოთოლს“ ნიშნავს, ანალოგიურია დენე-კავკასიური „tlape“-სი და ამერიკული „dap“-ასი. ამერიკული სიტყვა კი „kuni“, რომელიც „ქალს“ ნიშნავს, ძალიან მოგვაგონებს ნოსტრათიკულ სიტყვას „küni“, რომელიც აგრეთვე „ქალს“ ნიშნავს, სწორედ ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები ინგლისური სიტყვა „queen“ – „დედოფალი“.

შევეროსკინმა და სხვა ლინგვისტებმა ამ უძველესი დედაენიდან ათეულობით სიტყვა აღადგინეს, რომელსაც უბრალოდ „პროტომსოფლიო“ ენა უწოდეს. ამ ენაში „ერთს“ გამოხატავს სიტყვა „ngai“, „ცვირს“ – „nas“-ი. ლინგვისტებმა აგრეთვე აღადგინეს „პროტომსოფლიო“ ენის ის სიტყვებიც, რომლებიც ასახავენ ადამიანის სხეულის ნაწილებს, მწერებს, ნათესაობას, და აგრეთვე სიტყვების ის კატეგორიაც, რომელიც საგანთა წყვილებს აღნიშნავს. შესაძლოა, ეს მიგვანიშნებს ისეთ კულტურაზე, რომელიც მათემატიკის გავრცელებამდე თვლიდა საგნებს როგორც ერთს, ორს და მრავალს. „Niwha“ და „hwina“ ერთდროულად აღნიშნავს ცხოვრებას, სუნთქვას და სისხლს, მაგრამ შენიშნავს შევეროსკინი, „პროტომსოფლიო“ ენაში არ მოიპოვება სიტყვები, რომლითაც ადამიანის ემოციები გამოხატული.

დავამატებთ, რომ ენის ძირების აღმოჩენა მჭიდროდ უკავშირდება თვით ენის არსის ჯერ კიდევ ამოუხსნელ კითხვას – რა არის ენა. ეს სწორედ ის სფეროა, სადაც შეიძლება გაიშალოს ახალი ლინგვისტური კვლევა. ენებს შორის დრამა კავშირები ნათელყოფენ იმ ფაქტს, რომ ენა ბევრად მეტია უბრალო საკომუნიკაციო საშუალებაზე, რადაც მას მიიჩნევდნენ. იგი ის მდიდარი პალიტრაა, რომლითაც ადამიანი აფერადებს თავის ცხოვრებასა და კულტურას. ენა დაკავშირებულია ადამიანის მთელ გამოცდილებასთან, მისი საშუალებით ხორციელდება სოციალური კავშირები, ტვინის ეფემერული მოძრაობა იქ-

ცევა ლიტერატურად, ისტორიად, ადამიანის კოლექტიურ ცოდნად. ენა ადამიანთა რასის სავიზიტო ბარათია, რომელიც არა მარტო მათ წარმოადგენს, ვინც ცოცხალია დღეს, არამედ თავისი ღრმა ფესვებით, რომლებიც წარსულშია გადგმული, იგი წარმოადგენს ჩვენს უძველეს წინაპრებსაც, ჩვენამდე რომ ყოფილან ამ დედამიწაზე.

თამარ ცინცაძე  
ჟურნალი „პოლიტიკა“, #9-10, 1996 წ.

## ინგლისური ენა თანამედროვე სამყაროში

ენა გაჩნდა როგორც ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალება. დროთა განმავლობაში მან სხვა ფუნქციებიც შეიძინა, გაარღვია თავისი თავდაპირველი ჩარჩოები, იქცა თანამედროვე სამყაროს ერთერთ ძლიერ ფაქტორად, ძალად, რომელიც არა მარტო სოციალურ, არამედ პოლიტიკურ ფუნქციასაც ასრულებს და საგრძნობლად ცვლის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სვლას.

თანამედროვე სამყაროს ერთერთი მკვეთრად გამოხატული ნიშანია ორენოვნება (ანუ ბილინგვიზმი). თუ მსოფლიოს რუკას ამ საზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ორენოვნება ან, უფრო სწორად, მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) ადამიანთა უმრავლესობის ბუნებრივი მდგომარეობაა, ეროვნება კი (მონოლინგვიზმი) მსოფლიოს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს ახასიათებს. ადამიანთა საზოგადოების ეს ტენდენცია პერიოდულად სუსტდება – მაშინ, როდესაც განსაკუთრებით ძლიერდება და პოპულარული ხდება რომელიმე ერთენოვანი სახელმწიფო.

ასე იყო ძველი კოლონიალური იმპერიების დროსაც – გავიხსენოთ ეპოქები, როდესაც მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში, ამა თუ იმ დროს ბატონობდნენ ბერძნები, რომაელები, ნორმანები, არაბები, ესპანელები თუ ფრანგები. რომ არ ვახსენოთ კიდევ პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი რომელიმე ისტორიულ პერიოდში განიცდიდა რომელიმე ერთი ენის დიდ გავლენას, და რომ ამ ენების მატარებლები გაუცნობიერებლად (რასაც თანამედროვე სამყაროში ენის გაუცნობიერებელ დაგეგმვას უწოდებენ) ცდილობდნენ მოეხვიათ თავიანთი ენა მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის, რომლებსაც იპყრობდნენ ან აკონტროლებდნენ.

თანამედროვე მსოფლიოში ინგლისურ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია რამდენიმე მიზეზის გამო:

– იგი ისტორიულად ყველაზე ახალი და ტერიტორიულად თუ რიცხობრივად ყველაზე ბევრისმომცველია



– მისი აღმავლობა მოჰყვა უფრო ეკონომიკურ, ვიდრე სამხედრო ექსპანსიას.

ინგლისური ენის გავრცელება აიხსნება ისტორიული ფაქტებით, რომელთა მიზეზებია:

– ინგლისელებმა, რომლებიც არსებითად პატარა კუნძულზე ცხოვრობდნენ და ზღვა-ოსნობას მისდევდნენ, მოახერხეს თავიანთი ენის გავრცელება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით მე-18-19 საუკუნეებში

– ინგლისელებმა ერის ისტორიული განვითარების აღრინდელ ეტაპებზე პროტესტანტული მრწამსის სხვადასხვა სახეობა აღიარეს. ეს იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც პროტესტანტებს სწამთ, რომ ადამიანი ხსნას მიაღწევს ბიბლიის შესწავლით, რაც ნიშნავს, რომ ბიბლია ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ყველას უნდა შეეძლოს მისი წაკითხვა.

ამგვარად ვლინდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც მიაკუთვნებდნენ ინგლისური ენის გავრცელებას მსოფლიოში ჯერ ბრიტანული, შემდეგ კი ჩრდილო-ამერიკული პროტესტანტული ეკლესიები და მისიები. რელიგიური ცოდნის გავრცელების იდეით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე დასახლდნენ კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ყველაზე განათლებული კოლონიზატორები. როგორც კი მეტ-ნაკლებად მოიკიდეს იქ ფეხი, მათი ერთერთი პირველი ოფიციალური აქტი იყო მთელი მოსახლეობისათვის სკოლების დაარსება და საყოველთაო რელიგიური ცოდნის გავრცელება არა მარტო საკუთარ წრეში, არამედ იმ კონტინენტის მკვიდრ მოსახლეობაშიც, რომელთანაც ურთიერთობას ამყარებდნენ.

ეს მოვლენები შედარებით წარსულ ეპოქას მიეკუთვნება. ისტორიულად უფრო ახალია იმ მიზეზებისა და დამთხვევების კომპლექსი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში რომ აღმოცენდა. რადგან ბრიტანეთი და შეერთებული შტატები გამარჯვებული ქვეყნები იყო, მათ შეძლეს გავლენა მოეხდინათ მსოფლიოს განვითარებაზე და ახალი გლობალური მოვლენების აღმოცენებაზე, რაც ომის დასასრულს თან მოჰყვა. ეს პროცესი დაემთხვა კომპიუტერული ერის დასაწყისს და კომპიუტერული ინფორმაციის პირველი საერთაშორისო ბანკების შექმნას. ამავე დროს დიდი ცვლილებები მოხდა მეცნიერებასა და ტექნიკაში. ამას რამდენადმე ვრცლად შევხებით.

კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერება ვითარდებოდა ნელი სვლით, მაგრამ შეუჩერებლად, მიუხედავად მრავალი, ისტორიაში ცნობილი ხელისშემშლელი პირობისა (მათში ერთერთი ინკვიზიციაც იყო), დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერება მეტწილად თვითნასწავლი გენიოსების სფეროდ რჩებოდა. ტექნიკის განვითარება არსებითად არ იყო დაკავშირებული მეცნიერების პროგრესთან. მეცნიერების განვითარების და ტექნიკური ინოვაციების ნელი სვლის შედეგად ადამიანებს შეეძლოთ საუკუნეების განმავლობაში ეცხოვრათ სავსე, სასარგებლო, ბედნიერი ცხოვრებით, როდესაც ისინი არ იყვნენ ზედმეტად შეწუხებული ხშირი ცვლილებებით ტექნიკის სფეროში და ვერც კი ამჩნევდნენ მეცნიერების და მეცნიერთა არსებობას. მაგრამ მოგვიანებით, პირველი ინდუსტრიული რევოლუციის ბოლო ეტაპზე, მეცნიერება და ტექნიკა ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთს.

ტექნიკური პროგრესის მომხრეებმა და მწარმოებლებმა მიიჩნიეს, რომ მათ სჭირდებოდა მეცნიერების მოქცევა ტექნიკის სამსახურში. ამის შედეგად აღმოცენდა პროფესიონალ მეცნიერთა მთელი კლასი. წარმოებამ დაიწყო მეცნიერების დაფინანსება და პატრონობა, რაც მოგების მოლოდინის ნორმალური და ბუნებრივი გამოვლენა იყო. მწარმოებლები მარტო სიტყვით როდი ეხმარებოდნენ მეცნიერებას, ისინი თანხებს აბანდებდნენ ძირითად სამეცნიერო კვლევებში, მოგვიანებით კი – სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვებამაც. მაგალითად, დღეს ფარმაკოლოგიური ინდუსტრია იმდენივე თანხას აბანდებს ინფორმაციის მენეჯმენტში, რამდენსაც რეკლამას ახარჯავს. ამის შედეგად ტექნოლოგიური ციკლი საგრძნობლად შეიკრა, სამეცნიერო აღმოჩენიდან ტექნოლოგიურ დანერგვამდე დრო თვეებიდან დღეებამდე შემცირდა. მეტიც, ახალი ურთიერთობა დამყარდა წარმოებებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის, მწარმოებელთა და მეცნიერთა შორის, რადგან წარმოება უკვე მზად იყო დაეფინანსებინა ძირითადი სამეცნიერო კვლევები ცენტრებში, რომლებიც მოგვიანებით „კვლევით უნივერსიტეტებად“ იქცნენ დასავლეთში. უახლეს პერიოდში მთავრობებმაც აღმოუჩინეს დახმარება მეცნიერებას და არაპირდაპირი გავლენა მოახდინეს კვლევების მიმართულებაზე (აქ დაიწყო მეცნიერების პოლიტიზაცია). ცნობილი „მანჰეტენის პროექტი“, რომლის შედეგად შეიქმნა ატომური ბომბი, იქცა, შეიძლება ითქვას, ამის კლასიკურ დრამატულ მაგალითად. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, იაპონიის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების მთავრობები კარნახობდნენ ძირითად მეცნიერებათა განვითარების მიმართულებას იმის მიხედვით, თუ რას თვლიდნენ საჭიროდ ქვეყნის და ერის ინტერესებისათვის, რას თვლიდნენ დაფინანსების და მხარდაჭერის ღირსეულ ობიექტად.

ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში საერთაშორისო მეცნიერების ენა გერმანული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გერმანიამ თავისი სამეცნიერო კვლევები სამხედრო წარმოების მიმართულებით წარმართა და თავისი დიდი სამეცნიერო ტრადიციები წმინდა ტექნიკურ და ფსევდო-სამეცნიერო მისწრაფებებად აქცია. ინგლისური ენა სულ უფრო მეტ როლს ასრულებდა მეცნიერების განვითარებაში, ახალ ტექნოლოგიურ პროცესებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და ინფორმაციაში. სამეცნიერო ინფორმაციაში არსებობს კანონები, მეცნიერების პრაქტიკა არის დაგროვების პროცესი, ყოველი სიახლე მეცნიერებაში წინა ეტაპების მიღწევებს ემყარება. ამის გამო რაც უფრო ღრმადაა ადამიანთა ჯგუფი ჩაფლული სამეცნიერო ინოვაციებში, მით უფრო მეტად ესაჭიროება მას სამეცნიერო ინფორმაცია, მით უფრო ინტენსიურად იყენებს ის ამ ინფორმაციას და უფრო მეტად ეხმარება არსებული სამეცნიერო საინფორმაციო წყაროებისა და ბანკების გამდიდრებას. მოსალოდნელია, რომ ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ინტენსიურად იყენებენ სამეცნიერო ინფორმაციას და ამიტომ სხვებზე მეტად უწყობენ ხელს მის დაგროვებას, შეეცდებიან ხელთ იგდონ მსოფლიოში ცნობილი საინფორმაციო კომპიუტერული ქსელები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ერთადერთს ტექნიკურად განვითარებულ წამყვან ქვეყნებს შორის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ძლიერი სამეც-

ნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურები, რომლებსაც ომი უარყოფითად არ დაეტყო; პირიქით, გაძლიერების სტიმული მისცა. წარმოებას სჭირდებოდა ახალი, მშვიდობიანი პერიოდისათვის აუცილებელი პროდუქციის გამოშვება და ამ პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები. მეცნიერებაც მზად იყო მშვიდობიანი დროის მოთხოვნილებები და მიზნები გაეთვალისწინებინა. შეერთებულმა შტატებმა თავი მიიჩნია ქვეყნად, რომელიც მოწოდებული იყო მსოფლიოს დახმარებოდა ომის შედეგებისაგან გათავისუფლებასა და აღმავლობაში.

შეერთებულმა შტატებმა თავი იგრძნო ქვეყნად, რომელიც სხვა ქვეყნებს უნდა დახმარებოდა ისეთი ინიციატივების შემწეობით, როგორც „მარშალის გეგმა“ იყო. შეერთებული შტატების სამრეწველო და სამეცნიერო სექტორები ძალზე პროდუქტიული გახდა. ვინაიდან აშშ-ის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურები კარგად იყო განვითარებული, ამ ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები მიზიდულობის ცენტრად იქცა სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი მესამე სამყაროს ახალგაზრდობისათვის. ეს გავლენას ახდენდა ახალი ერების ჩამოყალიბებაზე, ძველი კოლონიური იმპერიის ნანგრევებზე რომ ჩნდებოდა. თავის მხრივ შეერთებული შტატებიც სხვადასხვა ქვეყნის კულტურის, ენის, ტრადიციების დიდ ზემოქმედებას განიცდიდა.

ომის შემდგომ თითქმის ნახევრასაუკუნოვან პერიოდში აშშ-ში განათლება მიიღო რამდენიმე მილიონმა ახალგაზრდამ მესამე სამყაროს ქვეყნებიდან. ამასთან ერთად აშშ-მა საკუთარი თავიც გაამდიდრა არა მარტო ამ ახალგაზრდებიდან საუკეთესო ძალის ამერიკაში დატოვებით, არამედ განათლების სფეროში ახალი „საექსპორტო პროდუქციის“ შექმნით, რამაც მრავალი მილიონი დოლარი შესძინა მის ეკონომიკას.

ამერიკელი გენერლის ჯორჯ მარშალის გეგმის თანახმად, ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის კაპიტალით უნდა აღორძინებულიყო დანგრეული ევროპა და საბჭოთა კავშირიც, ევროპის სახელმწიფოებმა მიიღეს ეს გეგმა, ი. სტალინმა კი უარი განაცხადა ამ გეგმის მიხედვით საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აღდგენაზე.

აშშ-ში ჩასულ სტუდენტებს მეტწილად მეცნიერება და საინჟინრო საქმე იზიდავდათ. სხვა ქვეყნები ისწრაფოდნენ სტუდენტების გაგზავნას შეერთებულ შტატებში, ელოდნენ, რომ ცოდნით გამდიდრებულნი ისინი დაბრუნდებოდნენ საკუთარი ქვეყნების დასახმარებლად, მათი სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ასამაღლებლად, იქ მოღვაწეობის მოსახდენად. ეს სტუდენტები სახსრებითაც ეხმარებოდნენ კვლევით პროცესებს (სწავლის გადასახადის სახით) და იმითაც, რომ ნებაყოფლობით ავსებდნენ იაფფასიანი ტექნიკური პერსონალის რიგებს. ცივი ომისა და პირველი კოსმოსური ხომალდების ერთ ახალი სტიმული მისცა ისედაც გააქტიურებულ სამეცნიერო კვლევებს აშშ-ის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამრეწველო ცენტრებში; შეერთებული შტატების მთავრობამაც დიდი თანხები დააბანდა ძირითად კვლევებში, რადგან უნდოდა ძლიერი პოზიციების შენარჩუნება ცივ ომში, პოლიტიკური სისტემების დაპირისპირების პირობებში.

ამავდროს შეიქმნა ახალი საერთაშორისო საინფორმაციო სისტემები, რომლებიც

ახლადამოცნებულ ელექტრონულ ტექნოლოგიებს იყენებდნენ. საფუძველი ყერებოდა ახალ საერთაშორისო სამთავრობო სტრუქტურებს. ქვეყნები ამუშავებდნენ ამ სისტემების მუშაობის კანონებს: ინგლისური, რუსული და ფრანგული ენები გამოცხადდა სამეცნიერო ინფორმაციის ოფიციალურ ენებად (ჩინური ენა პოლიტიკურად მისაღები იყო, მაგრამ არ იყო ჩართული ამ სიაში, რადგან იმ დროის კომპიუტერული ადჭურვილობა ვერ ითავსებდა ჩინურ იეროგლიფებს), ფრანგებს არ გააჩნდათ იმდენად განვითარებული კვლევითი ბაზა, როგორც რუსეთს და შეერთებულ შტატებს ჰქონდა. რუსული ენა კი ნაკლებ გამოყენებას პოულობდა საერთაშორისო სფეროში, რაც იმიტაც აიხსნებოდა, რომ საბჭოთა მეცნიერება მეტწილად გასაიდუმლოებული იყო (ეს გასაგებია ცივი ომის პირობებში).

ენობრივი პოლიტიკის შედეგად ინგლისური ენა იქცა მეცნიერებისა და ტექნიკის, მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ენად. თანახმად „დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციის“ მონაცემებისა, სადღეისოდ მსოფლიოში დაგროვილი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის 80-85% ხელმისაწვდომია (რეფერატების სახით არსებობს, თავიდანვეა შექმნილი ინგლისურ ენაზე). ამ ენაზე არა მარტო ძირითადი მასალაა დაგროვილი და ხელმისაწვდომი, არამედ დატბაზების ლექსიკონები და განსამარტავი მასალები უმთავრესად ეყრდნობა მას და ინგლისურ ენაზევე არსებულ გამოკვლევებს ცოდნის სოციოლოგიაში. ეს კი ნიშნავს, რომ დიდძალი სამეცნიერო ინფორმაციის გასაცნობად ადამიანი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას და იცნობდეს ამ სისტემების ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას.

აშშ-ს ეკონომიკური სიძლიერე ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში ხელს უწყობდა ინგლისური ენის შედრევას და პოპულარიზაციას სხვა სფეროებშიც. ამის შედეგად იგი იქცა საერთაშორისო ტურიზმის, საავიაციო ტერმინოლოგიის, კომუნიკაციების, საბანკო და ბიზნესის მენეჯმენტის, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე პოპულარულ ენად. ამავე დროს ინგლისური ენა როდია უნივერსალური; ისევე როგორც ჩინური ენის გამოყენებამ გავლენა მოახდინა წყნარი ოკეანის ჩინურენოვან დიასპორაზე, ისიც ახდენს გავლენას კომუნიკაციის გარკვეულ სფეროებში. მაგრამ ვერ ახდენს ან თითქმის ვერ ახდენს გავლენას ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფებზე დედამიწის იმ ნაწილებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არაინგლისურენოვან კულტურულ და ეთნიკურ რეალიებზეა ორიენტირებული.

ინგლისურენოვან ქვეყნებს დღეს შეუძლიათ საგრძნობი ზემოქმედება მოახდინონ ინფორმაციის ნაკადზე მსოფლიო მასშტაბით. ამ ქვეყნებს ამ საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე ბოლომდე არ გამოუყენებიათ ეს შესაძლებლობა, მაგრამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეკონომიკური სტაბილურობის თუ ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით მათ დაიწყეს თავიანთი ენობრივი უპირატესობის კონტროლირება. რეიგანის ადმინისტრაციის დროს შეიქმნა ტერმინი „ტექნოლოგიური სისხლისდენა“, რითაც გამოხატავდნენ მეცნიერული ინფორმაციის არასასურველ გადინებას. იმ ადმინისტრაციის ზოგიერთ წარმომადგენელს ნაკლებად ესმოდა, რომ მეცნიერებამ უნდა იარსებოს

გარემოში, რომელშიც ინფორმაციული ნაკადი თავისუფლად მიედინება მისთვის ყველა საჭირო მიმართულებით.

ინფორმაციის ნაკადზე გავლენას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული დაძაბულობა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის და აგრეთვე იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ინფორმაცია. ამ ფაქტს მცირე გავლენა ჰქონდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებზე, რადგან ქვეყნები, რომლებიც ამ სადემარკაციო ხაზით არიან გაყოფილნი, მეტწილად იყენებენ საინფორმაციო კომპიუტერულ ქსელებს. მართალია, ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ზოგიერთი მცირე ქვეყანა რამდენადმე გამოთიშული იყო ამ პროცესთაგან მათი ენების გამო, რომლებიც არცთუ ისე პოპულარული იყო ამ ქვეყნების საზღვრებს გარეთ. და იმ მიზეზითაც, რომ მათ მიერ ინგლისურენოვანი ინფორმაციის გამოყენების საშუალებები მკვეთრად იყო შეზღუდული პოლიტიკური თვალსაზრისით, იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენებითა და მრწამსით. ამჟამად ეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ახლაც იცვლება უკეთესისაკენ.

ინგლისური ენა ყველაზე მნიშვნელოვან ენად იქცა კაცობრიობის ისტორიაში. მან შექმნა გარემო, რომელშიც ინგლისური ენა ფასდება როგორც მრავალი თვალსაზრისით ძალზე საჭირო რეალობა და ფენომენი. ასეთმა მაღალმა სტანდარტმა და გამოყენების დონემ თავის მხრივ წარმოქმნა დიდი მოთხოვნილება ინგლისური ენის მასწავლებლებზე. შეიქმნა ამ პროცესის წარმომადგენელთა მსოფლიო ბაზარი, მაგალითისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მას მერე, რაც შეიგნო და აღიარა ინგლისური ენის აუცილებლობა ქვეყნის მოდერნიზაციისათვის, იქცა პოტენციურ ბაზრად და ადვილად შეუძლია შთანთქას ინგლისური ენის მასწავლებლების მთელი წლიური „პროდუქცია“, რომელსაც იძლევიან ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბრიტანეთი, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ მასწავლებლების ამგვარ უზარმაზარ მიგრაციას შეუძლია დესტაბილიზაცია შეიტანოს ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში (როგორც ეს შეიმჩნეოდა ჩინეთში ტიანანმენის მოედანზე მომხდარი მოვლენების დროს).

სხვადასხვა ქვეყანამ სცადა ინგლისური ენის მასწავლებლების მომზადება, მაგრამ სირთულე ის არის, რომ ადგილობრივად მომზადებულ მასწავლებლებს უსათუოდ ექნებათ ინგლისური ენის კულტურული კონტექსტის შეზღუდული ცოდნა. ასეთი მასწავლებლები ხშირად ქმნიან და ავრცელებენ ინგლისური ენის ადგილობრივ ვარიანტს, რითაც პოტენციურად ზრდიან დისტანციას მეცნიერებასა და ტექნიკაში გამოყენებულ ინგლისური ენის საერთაშორისო ვარიანტსა და საკუთარ, ადგილობრივად შექმნილ ინგლისური ენის ვარიანტს შორის. ამ მოვლენამ წარმოქმნა ის, რასაც უწოდებენ ინგლისური ენის „გაადგილობრივებულ“ ვარიანტებს, რომლებიც ფუნქციონალურია, გასაგები, პრაქტიკაში გამოყენებადი, მაგრამ შეზღუდული გარკვეული ქვეყნისა და ადგილის ფარგლებით. ინგლისური ენის ამ ადგილობრივ ვარიანტებს შეუძლიათ ემსახურონ მრავალ სფეროს; ისინი იძენენ სპეციალურ ფუნქციებსაც, გარკვეული თვალსაზრისით განსხვავებულს ინგლისური ენისაგან, რომელიც მეტროპოლიებში შეიქმნა და თანამედროვე სამყაროში გა-

მოიყენება მრავალ სფეროში, მათ შორის, მეცნიერებაში, ტექნიკასა და ინფორმატიკაში. საფასური, რომლის გადახდა მოუხდათ ინგლისური ენის მატარებლებს თავიანთი ენის ინტერნაციონალიზაციისათვის, ის იყო, რომ დღეს ინგლისური ენა აღარ არის ინგლისურენოვანი ქვეყნების პრიორიტეტი. იგი ეკუთვნის ყველა ადამიანს, ვინც მას იყენებს ნებისმიერ სფეროში ბუნებრივი, სოციალური, პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური გეოგრაფიის მიუხედავად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამმა ქვეყანამ გამოიმუშავა გარკვეული სტრატეგია ინგლისური ენის ჰეგემონიის წინააღმდეგ. იაპონიამ, მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ, რომელიც ადრეც ეწინააღმდეგებოდა დასავლეთს, ცნო ის ფაქტი, რომ სჭირდებოდა სამეცნიერო ინფორმაცია, რათა დაეძლია ომის უარყოფითი შედეგები და თავისი ადგილი მოეპოვებინა ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის. იაპონიის მთავრობამ 40-იანი წლების დასასრულს დააარსა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის იაპონური ინსტიტუტი, რომელმაც შექმნა პირველი იაპონური კომპიუტერები, გაგზავნა ბიბლიოგრაფიის სპეციალისტები დასავლეთში, რათა შეესწავლათ ინფორმაციის დაგროვების დასავლური სისტემები. შემდეგ კი ეს ცოდნა შეეთავაზებინათ იაპონური ბიზნესისა და წარმოებისათვის.

ომის შემდგომ იაპონიის მთავრობამ ქვეყნის შემოსავლის დიდი ნაწილი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემებზე დახარჯა და იაპონიის კვლევითი უნივერსიტეტებისა და ცენტრების ძალა იმ პროექტებისაკენ მიმართა, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი იყო ერის განვითარებისათვის, გამოიყენა სტრატეგიებიც, რათა გაცნობოდა თანამედროვე ინფორმაციას. ერთერთი ასეთი სტრატეგია იყო ძალზე ეფექტიანი მთარგმნელობითი სისტემის შექმნა, რომლის წარმატება აშკარაა.

მეორე ქვეყანამ – საუდის არაბეთმა – სავსებით განსხვავებულ სტრატეგიას მიმართა. მან მასწავლებლების დიდი რაოდენობა გაგზავნა დასავლეთში ინგლისური ენის და სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინების შესასწავლად. შეთავაზებულმა კარგმა პირობებმა უკანვე მოიზიდა მეტი წილი იმ მასწავლებლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ იყვნენ გაგზავნილი. ამგვარად, სამეფომ გამოიყენა დასავლეთში მომზადებული მასწავლებლები საკუთარი საგანმანათლებლო სექტორის განვითარებისათვის და ინდუსტრიული სექტორის წარმართვისათვის. ესეც წარმატებული ინიციატივა და სტრატეგია აღმოჩნდა.

მესამე ქვეყანა – ტაივანი – პრობლემისადმი სხვაგვარ მიდგომას იყენებს. ამ ქვეყანამ შესძლო ისეთი პოლიტიკური და სამრეწველო კურსის გატარება, რომელმაც იგი შეერთებული შტატების და ბრიტანეთის ერთგვარ პარტნიორად გახადა და მას ორმაგი მოქალაქეობის უფლება მისცა. ამან შეაძლებინა ჩინელ მეცნიერებს ხშირად ემოგზაურათ დასავლეთში, მონაწილეობა მიეღოთ აშშ-ში საინფორმაციო ბანკების შექმნაში, ინფორმაციის დაგროვებაში, მის ინტენსიურად გამოყენებაში. სწრაფი ელექტრონული კომუნიკაციის შექმნამ გააუქმა მგზავრობის აუცილებლობა. ახლა ინფორმაციის გამოყენება შეიძლება უშუალოდ ამ ელექტრონული სისტემების საშუალებით. უკანასკნელ წლებში ისრაელმაც, გარკვეული აზრით, გამოიყენა ტაივანის ინიციატივა ამ კონტექსტით და

გარკვეულ შედეგებს მიაღწია.

სავარაუდოა, რომ უახლოეს ხანებში სხვა არანაკლებ წარმატებული სტრატეგიებიც აღმოცენდება. ათიოდე წლის წინ ფილიპინების მთავრობამ განაცხადა, რომ ფილიპინელ სპეციალისტებს შეუძლიათ თარგმნონ მთელი დაგროვილი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია ტალატოგზე (ფილიპინების ოფიციალური ენა). დღეს ეს შეუძლებელი ჩანს სამი ძირითადი მიზეზის გამო: 1. მსოფლიოში დაგროვილი საინფორმაციო მასალა და ინფორმაციის ზრდის ტემპი იმდენად დიდია, რომ დღესაც რომ დაიწყოს ამ თარგმნითი პროექტის განხორციელება, მასში რომ ჩაიდოს ყველა არსებული რესურსი, რამდენიმე ათწლეული დასჭირდება უკვე დაგროვილი მასალის თარგმნას, არაფერი რომ აღარ ვთქვათ მომდევნო წლების დანამატზე; 2. ენების უმრავლესობას დასჭირდება ტერმინოლოგიური გამდიდრება და განვითარება, რათა შეძლონ თავიანთი „ტევადობის“ გაზრდა ახალი სამეცნიერო-ტექნიკური სფეროების ასათვისებლად. 3. ფილიპინელ სპეციალისტებს რომ შეეძლოთ დასახული მიზნის ტექნიკური განხორციელება, ამაზე დახარჯული თანხა იმდენად დიდი იქნება, რომ ვერც ფილიპინები, ვერც სხვა ქვეყნები ამ პროექტის რეალურად განხორციელებას ვერ შეძლებენ. არავის სჭირდება ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ბუმი სხვა სფეროების ხარჯზე, ცხოვრების საერთო დონის დაცემის ფასად.

არაა შემთხვევითი, რომ ზემოხსენებული ქვეყნები, რომელთაც გარკვეული საშუალებებით შეუძლიათ შეაღწიონ სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის რეზერვუარებში, არ არიან დატაკნი. ინფორმაციის მარაგის გამოყენების რეალიზაცია ძვირადღირებული პროცესია, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ მდიდარი სახელმწიფოებისათვის. ქვეყნები კი, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის შიმშილს, ისინი გახლავთ, რომლებსაც ყველაზე ნაკლები ფინანსური სახსრები მოეპოვებათ ამ პრობლემის გადასაჭრელად. უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში მილიონმა სტუდენტმა სხვადასხვა ქვეყნიდან განათლება მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქვეყნიდან ქვეყანაში მათი მრავალჯერადი გადაადგილების შემდეგ, როდესაც ისინი ბრუნდებიან შინ ან მიდიან მეცნიერებისა და ბიზნესის ახლადაღმოცენებულ ცენტრებში, ეს ახალგაზრდები თავისთავად ავრცელებენ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფორმაციას, რითაც ამდიდრებენ მსოფლიოს. ეს პროცესი იმდენადვე შეუქცევადია, რამდენადაც აუცილებელი. ამავე დროს მოსალოდნელია ენებისა და საინფორმაციო წყაროების გამოყენების ახალი საშუალებების აღმოცენებაც.

მე-18 და მე-19 საუკუნეებში გერმანული ენა ითვლებოდა სამეცნიერო-ტექნიკურ ენად, მე-20 საუკუნეში ინგლისურმა დაიპყრო მსოფლიო როგორც საერთაშორისო და სამეცნიერო კომუნიკაციის საშუალებამ. ასევე შესაძლოა მომავალში სხვა ენამ დაიკავოს ჰეგემონის მდგომარეობა, თუ მისი მატარებლები შეძლებენ ამ ენის ძლიერ საკომუნიკაციო საშუალებად ქცევას ჩვენს რთულ, მდიდარი ინფორმაციით და საინფორმაციო საშუალებებით აღჭურვილ სამყაროში. ინგლისური ენის სფერო დიდია და მდიდარი, თვით ენა – მოქნილი, კულტურული შეჯვარებებით და ლინგვისტური მიგრაციებით გამდიდ-

რებული. მაგრამ არაფერია უძრავი და სტატიკური, ყველაფერი განიცდის ცვლილებას, თუგინდ შეუმჩნევლს. სამყარო მოძრაობს. ზემოთ აღწერილი პროცესები, შედარებით მცირე მასშტაბით, სხვა ენებშიც მიმდინარეობს, რაც, ალბათ, როგორც სხვა სფეროში, ენის სამყაროშიც ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობაა. გაიმარჯვებს კი ყველაზე გონიერი და ძლიერი, რომელიც გონივრულ პოლიტიკას წარმართავს, ენობრივი იქნება ეს თუ სხვა სახის.

თამარ ცინცაძე  
ჟურნალი „პოლიტიკა“, #1-3, 1995 წ.

## აშშ: ენა და რეგიონალიზმის პრობლემა

აერიკული ენა ისტორიული, რაგიონალური, სოციოლინგვისტური, დიალექტური და ლექსიკოგრაფიული ასპექტებით

აშშ-ში რეგიონალიზმის პრობლემა აღმოცენდა როგორც მთავარი არა მარტო ამერიკული ლიტერატურისათვის, არამედ თვით იმ ენისათვისაც, რომელზეც იგი შექმნილია. ენის სფეროში ეს პრობლემა ორი კუთხით ან ასპექტითაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, რეგიონალიზმთან როგორც მოვლენასთან, რომელიც მისი ქვეყნითაა შემოფარგლული, ისევე როგორც ამ ქვეყნის ლიტერატურასთან, დაკავშირებულია ეროვნული თავისებურების ჩამოყალიბება და განსაზღვრა. მეორე მხრივ, რეგიონალიზმთან, რომელსაც განვიხილავთ გლობალური ასპექტით და მასშტაბით, დაკავშირებულია თვით ამ ქვეყნის ენის ეროვნული კუთვნილების განსაზღვრა. ეს პრობლემა ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი იყო ამერიკულ ლიტერატურაში.

ამიტომ, სანამ აშშ-ში ენობრივი რეგიონალიზმის პირველ, ანუ შინაგან ასპექტს განვიხილავდეთ, შევეხოთ მეტად აქტუალურ, დღემდე ბოლომდე გადაუჭრელ საკითხს: რომელ ეროვნულ ენაზე მეტყველებენ ამერიკელები და რა ენაზეა შექმნილი მათი ეროვნული ლიტერატურა?

ორი საუკუნის წინ ცნობილი ამერიკელი ლექსიკოგრაფი ნოე ვებსტერი ამბობდა, რომ ეს იქნება ენა, იმდენადვე განსხვავებული ბრიტანული ინგლისური ენისაგან, რამდენადაც განსხვავდებიან გერმანული ენისაგან პოლონური, შვედური ან დანიური ენები. მაგრამ მისი წინასწარმეტყველება დღემდე არ ასრულებულა. და თუმცა სამოცდაათი წლის წინ ჰენრი ლ. მენკენი ამტკიცებდა ავტონომიური „ამერიკული ენის“ არსებობას, თუმცა მას მერე არაერთმა ლინგვისტმა, ლექსიკოგრაფმა და მწერალმა მსგავსი აზრი გამოთქვა, იძულებული ვართ ვადიაროთ, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე (რა ენაზეა შექმნილი



ამშ-ს ლიტერატურა?) შეუძლებელია გარკვეული პასუხის გაცემა; ეს კითხვა გაურკვეველი ვადით დიად რჩება.

ამგვარ სიტუაციაში (რომელიც, როგორც ცნობილია, არსებობს არა მარტო ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე) ეროვნულად აღიარებენ არა თვითენას, არამედ მის რეგიონალურად და სოციალურად განპირობებულ ვარიანტს. არსებული ტერმინი – „თანამედროვე ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტი“ – შემოტანილია როგორც შექმნილი ეროვნული სიტუაციიდან ერთგვარი გამოსავალი იმ შემთხვევებში, როდესაც ჯერ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომელიმე ეროვნული ენის ორ (ან მეტ) ახლონათესაურ ენად დაყოფაზე, მაგრამ ამასთან ერთად არ შეგვიძლია ვთვლიდეთ მათგან ერთერთს მხოლოდ მეორის ტერიტორიულ დიალექტად. ინგლისურენოვან ქვეყნებში მათი მთავარი ენობრივი ვარიანტების აღსანიშნავად მიღებულია ტერმინები „ბრიტიშ ინგლიშ“ („ბრიტანული ინგლისური“) და „ამერიქენ ინგლიშ“ („ამერიკული ინგლისური“) და სხვ., რომელთა მთავარი კომპონენტი – „ინგლისური“ – ერთსა და იმავე ენას გულისხმობს.

ამგვარად, ეროვნული ამერიკული (ისევე როგორც რამდენიმე სხვა ქვეყნის) ლიტერატურის მთავარი თვისებაა მისი ენის ერთობა სხვა ქვეყნების ენებთან. დამახასიათებელია, რომ რამდენიმე ეროვნული ლიტერატურის არსებობა ერთსა და იმავე ენაზე თავის მხრივ მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომელიც ადასტურებს ტერიტორიული დიალექტის (ან დიალექტთა ჯგუფის) სხვა, უფრო მაღალ ლინგვისტურ სტატუსს. იგი შეიძლება იყოს თუგინდ იგივე ვარიანტის სტატუსი, რომელიც გულისხმობს, რომ ლიტერატურისაგან განსხვავებით (რომელიც ყოველთვისაა დაქვემდებარებული საერთო ენას) ენის ვარიანტები ფუნქციონირებენ როგორც თანაბრები.

სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე „ამერიკული ინგლისურის“ შემთხვევაში: მისი დამოუკიდებელი მდგომარეობა ინგლისურენოვან რეგიონში დღეს ეჭვს ან კამათს აღარ იწვევს. მეტიც, საერთაშორისო ენობრივ ურთიერთობაში იგი პრეტენზიასაც აცხადებს (და არც ისე უსაფუძვლოდ) „მსოფლიო სტანდარტზე“. ამ პროცესის დასაბამს გარკვეული საწყისი წერტილიც აქვს – 1945 წელი.

ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის გზა მის თანამედროვე სტატუსამდე, ლინგვისტების აზრით, შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: 1) კოლონიური პერიოდი, როდესაც უპირატესობა ბრიტანულ ინგლისურს ჰქონდა, 2) პერიოდი დამოუკიდებლობისათვის ომსა და პირველ მსოფლიო ომს შორის, როდესაც ამერიკული ვარიანტი გამოდიოდა როგორც ბრიტანული ინგლისურის „უმცროსი პარტნიორი“, რომელიც საკუთარ სახეს იძენდა, 3) პერიოდი, რომელიც დღემდე გრძელდება, როდესაც ამერიკული ინგლისური არ ჩამოუვარდება მნიშვნელობით ბრიტანულ ინგლისურს და თვითონაც რეგულარულად ახდენს მასზე გავლენას.

მთელ თანამედროვე ინგლისურენოვან რეგიონს 3. სტრევენსი და ზოგიერთი სხვა ლინგვისტი შესაბამისად ყოფენ გავლენის ორ ზონად: ბრიტანულ და ამერიკულ („ბრიტიშ ინგლიშ ფემილი“ და „ამერიქენ ინგლიშ ფემილი“). ისინი პირველს მიაკუთვნებენ ბრიტანეთის კუნძულებს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, როდეზიას, სამხრეთ

ამერიკასა და ვესტ-ინდოეთის კუნძულებს; მეორე ზონას კი – აშშ-სა და კანადას. აღნიშნულ ზონებში შესული ტერიტორიების ინგლისურ ენაში აღინიშნება საკუთარი სპეციფიკური „რეგიონალიზმებიც“. ზემოხსენებული მეცნიერები აგრეთვე ადასტურებენ „ამერიკული ინგლისურის“ სამართლიან პრეტენზიას „მეორე ენის“ სახით მსოფლიო სტანდარტის როლზე და ასახელებენ ქვეყნებს, სადაც ნიმუშად მიღებულია არა მარტო ბრიტანული, არამედ ამერიკული ვარიანტიც. აღინიშნება აგრეთვე იმის ცალკეული მაგალითებიც, როდესაც ქვეყანა ერთი ენიდან მეორეზე გადადიოდა – მაგალითად იაპონია. ამ ქვეყანას მეორე მსოფლიო ომამდე ჰქონდა უდიდესი ტრადიცია, რომლის მიხედვით, ახალგაზრდებს ბრიტანული ინგლისურის ვარიანტს ასწავლიდნენ, შემდეგ კი, ოკუპაციის პერიოდიდან დაწყებული, იაპონიამ ეს ტრადიცია ამერიკული ვარიანტის სწავლებით შეცვალა.

თუმცა ზემოხსენებული ფაქტები საკმაოდაა ცნობილი, თავისი რეგიონის ფარგლებს გარეთ ინგლისური ენა ხშირად აღიქმება როგორც რაღაც ერთიანი ან ერთსახოვანი. ამგვარი მთაბეჭდილება მტკიცდება იმით, რომ იგი ამ რეგიონში გამოდის როგორც ლიტერატურული ენა, ე. ი. თავის ერთგვარად იდეალიზებულ ფორმაში. მის ასეთ ფორმას შეგნებულად განამტკიცებენ ამ ენობრივი ფორმის მატარებელნი, რომლებიც მას იყენებენ როგორც საყოველთაოდ აღიარებულ და აუცილებელ ეტალონს. ამ ეტალონის გარეშე არც მშობლიური და არც უცხო ენის სწავლება არ ხდება.

მაგრამ ინგლისურენოვან რეგიონში ეროვნული ეტალონი ამჟამად სულ ცოტა ორი-ა. და ვინაიდან ძნელია და პრაქტიკულად შეუძლებელიც ერთდროულად უცხოური ენის ორი ვარიანტის სწავლება და შესწავლა, ამიტომ აუცილებელია ერთერთ მათგანზე როგორც მთავარზე ორიენტაცია და უარის თქმა მეორე ვარიანტის აქტიურ გამოყენებაზე. იქედან გამომდინარე, თუ რომელი ეროვნული ნორმა აღიარებული ნიმუშად, სწორედ იგი აღიქმება უნებლიეთ როგორც „ჭეშმარიტი“, ანუ სწორი ინგლისური ენა. მეორე ნორმას მეტ-ნაკლებად უარყოფენ, უგულებელყოფენ ან აცხადებენ „გადახრად“ ან „გადახრების კრებულად“. ყოველივე ამას თან სდევს გარკვეული აბერაციები, რისი ილუსტრირება არცთუ ისე ძნელია.

მაგალითს ჩვენთვის პრაქტიკიდან ავიღებთ. ხშირად ორიგინალურ ენაზე მოცემული ამერიკელი ავტორების წიგნებისათვის ჩვენს მიერ გაკეთებულ კომენტარებში, მაშინაც, როდესაც შენარჩუნებულია ამერიკული ორთოგრაფიის ჩვეული ნორმები, გამოთქმა მოცემულია შესაბამისი ბრიტანული ნორმებით. ვინაიდან ეს ნორმა ჩვენში მიღებულია, კომენტატორი სხვაგვარად ვერ მოიქცევა. ამერიკანიზებული ფონეტიკური ტრანსკრიპცია შეეწინააღმდეგება დანარჩენ მასალას, რომელიც არა კომენტირებული ინგლისურ-ქართულ ან ინგლისურ-რუსულ ლექსიკონებში (მაგალითად, დიდ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში) გატარებულია იგივე პრინციპი: „განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს სიტყვები, რომლებიც არაა მოცემული ინგლისურენოვან ლექსიკონში“. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ ამერიკულ ლექსიკონებს, მათ შორის ვებსტერის „ახალ საერთაშორისო ლექსიკონს“, რომელიც, როგორც ცნობილია, იძლევა არა ინგლისურ, არამედ ამერიკულ

გამოთქმათა ნორმებს.

აბერაციის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ჩვენში მიღებული რეგიონალური ლექსიკოგრაფიული აღნიშვნების სისტემა, როგორებიცაა აღნიშვნები „ამერ.“ (ამერიკანიზმი) და სხვ. „ავსტრალ.“, „აფრ.“, „ვესტ-ინდ.“, „ისლანდ.“, „კანად.“, „ახალ ზელანდ.“, „მოტლანდ.“, „სამხ-აფრ.“, რომლებიც ნიშნავს „გამოიყენება ავსტრალიაში, აფრიკაში და ა. შ.“ ამ აღნიშვნებში ვერ ვნახავთ „ბრიტ.“ („ბრიტანული“), რომლითაც შეიძლება აღინიშნებოდეს ლექსიკური ან ფრაზეოლოგიური ერთეულები, „ბრიტანულ ინგლისურში“ რომ არის მეტწილად გამოყენებული. ბრიტანიზმებს, ამგვარად, ავტომატურად აიგივებენ „ინგლისურ ენასთან საერთოდ“, ამერიკანიზმები კი, სხვა რეგიონალიზმებთან ერთად, აღიქმებიან როგორც უბრალო „გადახრები“ მიღებული ნორმისაგან. ამაზევე მიუთითებდა ა. შვეიცერი წიგნში „ლიტერატურული ინგლისური ენა ინგლისში და აშშ-ში“ (მოსკოვი, უმაღლესი სკოლა, 1971, რუსულ ენაზე). შვეიცერი აღნიშნავდა, რომ ამგვარად ჩვენ ვკარგავთ შესაძლებლობას განვასხვაოთ სპეციფიკური ბრიტანული ლექსიკა და ფრაზეოლოგია საერთო ინგლისურისაგან. საერთოინგლისურენოვანი აღმოჩნდა არა მარტო ლექსიკური, არამედ ენობრივი გამოხატვის სხვა ხერხებიც. ლიტერატურული ინგლისური ენის (მის ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში) გრამატიკული სისტემა ერთნაირია, რადგან ე. წ. „ინვენტარული განსხვავებანი“ როგორც მორფოლოგიაში, ასევე სინტაქსში მასში არ არის (იხ. გვ. 86-95); ფონოლოგიური სისტემის დონეზე კი განსხვავებანი ეხება „ფონემური ინვენტარის“ შედარებით მცირე პროცენტს (იგივე, გვ. 190).

არსებობს, მაშასადამე, ენობრივი ერთეულების ფართო ფონდი, რომელსაც ორივე ვარიანტში იყენებენ (როგორც არის ფონემები, აფიქსალური და ძირეული მორფემები, ძირეული სიტყვები და ა. შ.) და ენობრივი მოდელები (სიტყვათა წყობის სქემები თხრობით და კითხვით წინადადებებში, მოდალური ზმნების სრულმნიშვნელოვან ზმნებთან მიერთების ხერხები და ა. შ.). ამ საერთო ფონდის არსებობას მუდმივად უნდა ვითვალისწინებდეთ, თუკი გვინდა სწორი პერსპექტივით წარმოვიდგინოთ ინგლისური ენის რეგიონალური ვარიანტები (და ვარიანტების საშუალებანი). სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მსგავსებები აქ ბევრად სჭარბობს სხვაობებს, რის გამოც ვერ ვმსჯელობთ ცალკე „ამერიკული“ ან „ავსტრალიური“ ენების არსებობაზე.

## ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის აღმოცენების ისტორიიდან (ლექსიკოგრაფიის კუთხით)

ინგლისური ენის თავისებურება ამერიკულ კოლონიებში ბევრად ადრე იქცევდა ამერიკაში ჩასული ევროპელების ყურადღებას, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნებოდა; ამერიკანიზმების (თავდაპირველად მეტწილად „ეგზოტიკური“ ამერიკანიზმების) შემოსვლა მეტროპოლიის ენაში დაიწყო მე-18 საუკუნის პირველივე ათწლეულე-

ბიდან. თვით ამერიკელები ალაპარაკდნენ მათი მეტყველების თავისებურებებზე ამერიკული რევოლუციის დროს, რაც ალბათ იყო მათი ეროვნული თვითდამკვიდრებისადმი სწრაფვის ერთერთი გამოხატვა და დასტური. 1783 და 1789 წლებში გამოიცა ნოე ვებსტერის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაშრომები ინგლისური ენის შესახებ. ამ ნაშრომებში ავტორი მიმართავდა სამამულო სკოლებში ინგლისურის როგორც მშობლიური ენის სწავლებას, ამ პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც გრამატიკას, მართლწერას (ორთოგრაფია-ორთოეპიას) ეხებოდნენ. ვებსტერი მოითხოვდა „დაჩაჩანაკებულ“ ევროპის ლიტერატურული და ენობრივი ტრადიციისაგან გათიშვას.

უფრო ადრე, 1781 წელს, გამოვიდა ამერიკანიზმების პირველი ნუსხა-ლექსიკონი, რომელიც შეადგინა ჯონ უიზერპუნმა, ერთერთმა მათგანმა, ვისი ხელმოწერაცაა „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ქვეშ. ამერიკანიზმების შემდეგი ნუსხა გამოვიდა 1816 წელს. 1828 წელს გამოიცა „ინგლისური ენის ამერიკული ლექსიკონი“, იმ ცნობილი გამოცემის საფუძვლად რომ იქცა, რომელიც მის შემდეგ გამოიცა მისი შემქმნელის სახელით როგორც „ვებსტერის ლექსიკონი“. ეს ლექსიკონი შემდგომ გაუმჯობესდა, შეივსო და სამოქალაქო ომის დასასრულამდე (1861-1864) ხუთჯერ გამოიცა (1841, 1845, 1847, 1859, 1864 წწ.). ვებსტერის ლექსიკონის უკვე პირველ გამოცემაში არის 12.000 ერთეული, რომელსაც ვერ ვპოულობთ ინგლისის დიდი ლექსიკოგრაფის სამუელ ჯონსონის და მის თანამემამულეთა ლექსიკონებში. ამ 12.000 ერთეულის უმრავლესობას ამერიკანიზმები წარმოადგენდა.

ნ. ვებსტერის ლექსიკონებთან თითქმის ერთდროულად ამერიკაში გამოდიოდა ასეთივე ტიპის ლექსიკონები, რომლებსაც ადგენდა ჯ. ე. ვუსტერი (1830, 1835, 1846, 1855, 1860). ბოლო მათგანში, რომელიც უფრო სრულია, ვუსტერმა გამოიყენა მისი ცნობილი წინამორბედის ყველა მიღწევა და, როგორც მეცნიერები მოწმობენ, უფრო მაღალ ლექსიკოგრაფიულ დონესაც მიაღწია. მიუხედავად ამისა მან ვერ მიიღო საზოგადოების ისეთი ფართო აღიარება, როგორიც ვებსტერს ხვდა წილად.

ორივე ავტორის ლექსიკონებში, ლექსიკური ამერიკანიზმების გარდა (სიტყვები, მნიშვნელობები, შესიტყვებები და სხვ.), ვპოულობთ მითითებებს გამოთქმაზე, რომლებიც მოცემულია ამერიკული და არა ბრიტანული მოდელებით. გარდა ამისა, ვებსტერის ლექსიკონების გამოსვლის შემდეგ ქვეყანაში უფრო ხშირად მიმართავდნენ მის მიერ დამუშავებულ და ჩამოყალიბებულ საკუთარ, ამერიკულ ორთოგრაფიას. „ამგვარად, – აღნიშნავს კაპიტალური ნაშრომის „ენა ამერიკაში“ ავტორი ჩ. ლაერდი, – ახალი სამყაროს ახალ ქვეყანას, რომელსაც ერთი საუკუნეც კი არ შეუსრულებია, ქვეყანას, რომელიც უფრო თავდაჯერებულობით იყო ცნობილი, ვიდრე განსწავლულობით, 1860 წლისათვის ჰქონდა ორი ლექსიკონი, საუკეთესო, იმ დროისათვის მსოფლიოში შექმნილ ლექსიკონებს შორის.

ეს შემთხვევითი ფაქტი როდი იყო. ერთი მხრივ, ლექსიკონებზე ასეთი ფართო მოთხოვნილება, უდავოდ, განპირობებული იყო მრავალი საზოგადოებრივი სტიმულით, კერძოდ, ამერიკაში ჩასული სხვადასხვაენოვანი იმიგრანტების უწყვეტი ნაკადით. მეორე

მხრივ, ინგლისურენოვანი ამერიკა თავისი აღმოცენებისთანავე წარმოადგენდა, ერთი ამერიკელი ლინგვისტის ხატოვანი გამოთქმა რომ ვინმართ, არა მარტო გეოგრაფიულ, არამედ ენობრივ ფრონტირსაც. ამერიკელებს უხდებოდათ სახელების მიცემა მრავალი საგნისა და მოვლენისათვის, რომლებიც არ მოიპოვებოდა ინგლისურ ენაში; საგნისა და მოვლენისათვის, რომლებიც ახლადდანახული ან ახლადშექმნილი და ახლადაღმოცენებული იყო. ამდენად, ბუნებრივი იყო მრავალრიცხოვანი ამერიკანიზმების აღმოცენება და მათი დაფიქსირების აუცილებლობა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1804 წელს ამერიკის შერთებული შტატების იმდროინდელი პრეზიდენტის თომას ჯეფერსონის ინიციატივით ქალაქ სენტ-ლუიდან (მისურის შტატი) გაიგზავნა ტრანსკონტინენტალური ექსპედიცია მ. ლუისისა და უ. კლარკის ხელმძღვანელობით. როდესაც წყნარი ოკეანის ნაპირს მიაღწიეს მდინარე კოლუმბიის შესართავში, ექსპედიცია ორნახევარი წლის შემდეგ უკან დაბრუნდა. მას 6.000 მილი გაველო. შენარჩუნებულია ექსპედიციის შვიდი წევრის დღიურები, რომლებსაც ჩვენს პერიოდში გაუკეთდა ლინგვისტური ანალიზი, რისი შედეგებიც გამოქვეყნდა ი. ქრისველის ნაშრომში „ლუისი და კლარკი – ენის პიონერები“ (მიჩიგანის უნივერსიტეტის შრომები, 1940, ტომი V, აპრილი, #2, ინგლისურ ენაზე).

აღნიშნული დღიურების ტექსტის ანალიზმა აჩვენა შემდეგი: იქ სულ 1107 ამერიკანიზმი აღინიშნება, მათგან 583 არასოდეს ყოფილა ადრე დაფიქსირებული; 301 სიტყვა და შესიტყვება, რომლებიც პირველად იყო გამოქვეყნებული მოცემული მნიშვნელობით, 123 ნასესხები სიტყვაა: 86 სიტყვა იმ დროისათვის გამოდიოდა ინგლისელთა აქტიური გამოყენებიდან, 91 სიტყვა ინგლისში მთლიანად გამოსული იყო ხმარებიდან. და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია.

ლუის-კლარკის ექსპედიციის მასალებში ხარისხობრივად ვლინდება ლექსიკო-ფრაზეოლოგიური განსხვავებების ყველა ძირითადი ტიპი – სიტყვების სემანტიკური, სტილისტური ან სემანტიკურ-სტილისტური მოდიფიკაციები, ახლადშექმნილი ნაერთების ინგლისური ან შერეული წარმოშობის კომპონენტები და სხვა ენებიდან ნასესხები ერთეულები; დასასრულ, სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც უკვე არქაიზმებად იქცნენ ძირითად ენაში, რომელიც თავისი კანონებით განაგრძობდა განვითარებას. ასეთი განსხვავებები და განსაკუთრებით ბრიტანული თვალსაზრისით მოძველებული გამოთქმები და აგრეთვე ადგილობრივი, კუთხური და მდაბიო გამოთქმა ინგლისელთა თვალში ამერიკელთა მეტყველებას ერთგვარ „პროვინციალიზმს“ სძენდა. ამ და სხვა მიზეზების გამო ამერიკული ვარიანტის ენობრივი თვისებები იწვევდა ყოფილ მეტროპოლიაში საუკეთესო შემთხვევაში დამცინავ დამოკიდებულებას – ასე იყო მე-18 და მე-19 საუკუნეებში; ამდაგვარი დამოკიდებულება, შესაძლოა, შემდეგაც გაგრძელდა, თითქმის ჩვენს დღეებამდე.

ამის დასტურს ვპოულობთ მრავალი ინგლისელი მწერლის წიგნებში – როგორც ფრედერიკ მერიოთის ან ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებებში, რომლებმაც საკმაოდ დეტალურად აღწერეს მათი დროის ამერიკელთა მეტყველება. მერიოთი ეწვია შერთებულ შტატებს 1837-1838 წლებში და თავის „დღიურში“ (ფ. მერიოთი. „დღიური ამერიკაში, შენიშ-

ვნებით მის ინსტიტუტებზე“, ფილადელფია, 1839) მნიშვნელოვანი და ობიექტური ცნობები დატოვა. თუმცა მთლიანობაში მერიოთი ახასიათებდა ამერიკელთა მეტყველებას როგორც „შეზღუდულს“, იგი წერდა: „მე არ მაქვს უფლება ვწყვიტდე ამ რთულ საკითხს იმის თაობაზე, თუ ჩვენს ორ ერში რომელი მეტყველებს უკეთეს ინგლისურ ენაზე. ამერიკელები ყოველთვის აღმოჩნდებიან სხვის მიერ გაკეთებულ აღმოჩენებს; შესაძლოა, მათ გაუმჯობესეს ჩვენი ენაც“ (იხ. კასიდის ნაშრომი „ენა ამერიკის ფრონტირზე“, გვ. 90).

დიკენსმა გამოიყენა ამერიკული მასალა თავის ცნობილ ნაწარმოებებში „ამერიკული ჩანაწერები“ და „მარტინ ჩეზელვიტი“, მაგრამ, მერიოთისაგან განსხვავებით, მან მეტისმეტად გაზვიადებული სახით წარმოადგინა ეს მასალა. მას ედავებოდნენ იგივე მერიოთი და რალფ უ. ემერსონი: უკანასკნელის აზრით, დიკენსის მიერ „ამერიკულ ჩანაწერებში“ მოყვანილი ამერიკელთა მეტყველების მაგალითები საგანგებოდ იყო შერჩეული და ოსტატურად კომბინირებული: ვერაფერ მსგავსს ვერ გაიგონებდით სინამდვილეში (იქვე, გვ. 56-57).

საინტერესო მაგალითს ვხვდებით ლაერდის ზემოაღნიშნულ წიგნში. 1932 წელს ინგლისშიც გამოვიდა სინკლერ ლუისის რომანი „ბებიტი“, რომელშიც ორიგინალური ტექსტი მთლიანად იყო კორექტირებული: მას ამოაცალეს ყველა ამერიკანიზმი და ისინი ბრიტანული ეკვივალენტებით შეცვალეს (!). (ეფექტი იგივე იყო, თუკი, ვთქვათ, ყაზბეგის ტექსტში შევცვლით ყველა მთიულურ გამოთქმას ან ჯაჟა-ფშაველას ყველა ფშავურ სიტყვასა და გამოთქმას, მთელ მათ კოლორიტულ ადგილობრივ ლექსიკას, ესოდენ მრავლისმთქმელი რომ არის, სტანდარტული ქალაქური ქართული ეკვივალენტებით). ეს დამახინჯებული ტექსტი არაერთხელ გამოიცა 1959 წლამდე.

მაგრამ აშკარაა, რომ ამგვარი ოპერაციისათვის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები არსებობდა, ვიდრე ენობრივი სნობიზმი. თუკი კვლავ მივმართავთ რომან „ბებიტს“, ვნახავთ, რომ მის პირველ ინგლისურ გამოცემას (1920) თან ახლდა გლოსარი (იხ. ბ. ფოსტერი, ცვლებადი ინგლისური ენა. მიდლსექს, ინგლისი, 1971, გვ. 17), 1935 წელს კი ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ინგლისელთა დასახმარებლად სპეციალური ცნობარი, რომელშიც ამერიკანიზმები იყო მოცემული (იხ. ჰ. ჰორვილი, „თანამედროვე ამერიკული ენობრივი ერთეულების ლექსიკონი“).

ინგლისურ-ამერიკული ენობრივი განსხვავებანი ომისწინა პერიოდში მეცნიერებს ევლინებოდა ძალზე მნიშვნელოვნად, ხშირად ძნელადგასაგებადაც კი. ომისშემდგომ პერიოდში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ინგლისურენოვან რეგიონში მიმდინარეობს ენობრივი ხერხების ფართო ურთიერთშეღწევა, რის შედეგადაც გაუგებრობის შესაძლებლობა მკვეთრად შემცირდა: ეს არაა საკვირველი, თუკი გავითვალისწინებთ უშუალო კონტაქტების მასშტაბებს ომის პერიოდში, შემდეგ თანამედროვე ე. წ. „ინფორმაციის აფეთქებას“, მისი მასობრივი საშუალებების ფართო გამოყენებას და მრავალ სხვა ფაქტორს. ენობრივ ვარიანტებს შორის განსხვავებანი ისევ არსებობს, მაგრამ ახლა მათ მიიჩნევენ არა „ბარბარიზმებად“, არც „სილოგიზმებად“, არამედ არსებულ მოვლენებად.

წინამდებარე ქვეთავში – „ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის აღმოცენების ის-

ტორიიდან (ლექსიკოგრაფიის კუთხით)“ ვიმსჯელოთ ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ, ამ ვარიანტსა და ბრიტანულ ინგლისურს შორის არსებულ მსგავსებებზე. ამჯერად ვიმსჯელოთ ინგლისური ენის ამორ ვარიანტს შორის არსებულ განსხვავებებზე.

მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისური ენის ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებს შორის მომხდარი დაახლოებისა და ამერიკული ვარიანტის ინგლისური ენის სხვა ვარიანტებზე, მის თვით ბრიტანულ ვარიანტზე და სხვა ენებზედაც გავლენის საგრძნობი გაძლიერებისა, განსხვავებანი ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტსა და ბრიტანულ ვარიანტს შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი უგულებელყოფა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ამ განსხვავებების შეფარდება საერთო (ანუ სტანდარტული) ინგლისური ენის რესურსებთან დგინდება ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე განსხვავებული ხერხების საშუალებით. როგორც ზემოხსენებულ სტატიაში ვთქვით, რადგან ლიტერატურული ინგლისური ენის გრამატიკულ სისტემაში განსხვავებანი თითქმის არ შეიმჩნევა, მათი მთავარი წილი მოდის ენობრივი ვარიანტების ლექსიკონსა და ფონეტიკურ წყობაზე, რითაც, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ამ ვარიანტების საკუთარი სახე და თავისებურებანი.

განსხვავებანი ლექსიკასა და გამოთქმაში ისტორიულად სხვა განსხვავებებზე ადრე ჩამოყალიბდა. ყველაზე მკვეთრი განსხვავებანი აღინიშნება გამოთქმაში – ყოველ შემთხვევაში, ისინი უშუალოდ ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას, აკუსტიკურ სახეს სძენენ ჩვენს საერთო წარმოდგენას ინგლისური ენის ამა თუ იმ ეროვნულ ვარიანტზე. ასეთივე როლს ასრულებს აგრეთვე ე. წ. „ამერიკული კილო“ რაც, უნდა ვადიაროთ, ძალზე პირობითი და მიახლოებული სახელია, რადგან, ლიტერატურული ენის თვალსაზრისით, შეიძლება ვმსჯელობდეთ არა ერთ, არამედ რამდენიმე „კილოზე“, ერთმანეთისაგან საგრძნობლად რომ განსხვავდებიან.

ამასთან კავშირში შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი ინგლისელი მწერლის ფ. მერიოტის აზრი, რომელიც მან გამოთქვა საუკუნენახევრის წინ: „...ამერიკული საზოგადოების უმაღლეს ფენებშიც კი მეტყველებენ ინგლისურ ენაზე ჩვენი (ბრიტანული – თ. ც.) სტანდარტების მიხედვით. ალბათ ისინი არ ხელმძღვანელობენ არანაირი წესებით... ყოველი მათგანი ძვირად აფასებს თავის დამოუკიდებლობას და წარმოთქვამს სიტყვებს ისე, როგორც მას მოესურვება“ (იხ. ფ. კესიდი „ენა ამერიკულ ფრონტირზე“ – წიგნში „ამერიკული ინგლისური ენის ასპექტები“, მეორე გამოცემა, ნიუ-იორკი, 1971, გვ. 90, ინგლისურ ენაზე).

მსგავსი დამოკიდებულება გამოთქმის ნორმებისადმი, საკუთარი და სხვისი მეტყველებისადმი და ა. შ. ამერიკელებმა დღემდე შეინარჩუნეს. ამაში დავრწმუნდებით, თუკი შევაპირისპირებთ რამდენიმე მაგალითს თანამედროვე ამერიკელი ლინგვისტების ნაშრომებთან.

ამშ-ის ერთერთი წამყვანი დიალექტოლოგი რ. ი. მაკ დევიდი (უმცროსი) გვიამბობს

თავისი მეგობრის შესახებ, რომელიც ბავშვობაში ოკლაჰომიდან დეტროიტში გადასახლდა. მშობლებმა სკოლაში მიაბარეს, სადაც იგი მაშინვე აღმოჩნდა „მეტყველების კორექციის“ ჯგუფში. ამ ჯგუფში შეგროვილ ბავშვებში არც ერთს არ ებმოდა ენა, არც ერთი არ ჩლიფინებდა და არ ლაპარაკობდა უცხოური კილოთი ან მდებარე მეტყველებით. „საქმე ის იყო, – წერს მაკ დევიდი, – რომ ადრე მათ ინგლისური ენა ესწავლათ არა მიჩიგანში (სადაც დეტროიტი მდებარეობს – თ. ც.), არამედ ოკლაჰომაში, არკანზასში, მისისიპისა და ალაბამაში... „ჩვენ მაშინვე გადაწყვიტეთ, – მიამბობდა ბობი მოგვიანებით, – რომ ჩვენ ერთგვარ ტვინის რეცხვას გვიწყობენ, რათა ბუნებრივად მეტყველებას გადაგვაჩვიონ. ჩვენთვის საპატიო საქმედ იქცა ამ პროგრამის საბოტირება“. ბობი დღემდე ამაცხობს თავისი ოკლაჰომური კილოთი“... (რ. კ. მაკ დევიდი, უმცრ. „აზრი და უაზრობა ამერიკული დიალექტების შესახებ“ – წიგნში „ინგლისური ენის ასპექტები“, გვ. 269).

მსგავს ამბავს ყვება მეორე ამერიკელი ლინგვისტი რ. უ. ბეილი, მხოლოდ მის შემთხვევაში საყვედური ეხებოდა მის მიჩიგანის შტატის კილოს: „მე გავიზარდე დეტროიტის ერთერთ გარეუბანში, სადაც ელიტა ცხოვრობდა... სკოლაში მუდამ გვიჩიჩინებდნენ, რომ იღბალი გვქონდა, რადგან ჩვენთან – სხვა გარეუბნელებისაგან განსხვავებით – არავინ ლაპარაკობდა „დიალექტზე“... მოგვიანებით ახალი ინგლისის კოლეჯში გაოცებული დავრჩი, როდესაც შევიტყვე, რომ ვერ ჩავაბარებდი გამოცდას საორატორო მეტყველებაში, თუკი არ ვიმუშავებდი ერთხანს ენობრივი კორექციის სპეციალისტთან. მასწავლებლის სიტყვებით, ჩემი „შუადასავლური“ დიალექტი გადაიტანდა მსმენელების ყურადღებას იმ ინფორმაციიდან, რომელიც მე მათთვის უნდა მიმეწოდებინა (რ. უ. ბეილი. „დიალექტები და კომპოზიციის სწავლება“ – წიგნში „დღევანდელი ინგლისური ენის ნაირსახეობანი“. ნიუ-იორკი-ლონდონი 1973, გვ. 385-86, ინგლისურ ენაზე). ამერიკელ ლინგვისტთა ნაშრომებში ერთერთი ყველაზე პოპულარული ხერხია აშშ-ის პრეზიდენტთა მეტყველების შეფასება. ყოველი მათგანი თავის საჯარო გამოსვლებში, რასაკვირველია, მეტყველებდა ლიტერატურულ ინგლისურ ენაზე მის ამერიკულ ვარიანტში, მაგრამ ფ. დ. რუზველტს ჰქონდა ნიუ-იორკის მეტყველება ერთგვარი ელფერით, რომელიც მან ჰარვარდის უნივერსიტეტში შეიძინა. გ. ტრუმენი მეტყველებდა ქვეყნის სამხრეთ-ცენტრალური ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ინგლისური ენით, ი. აიზენჰაუერს ჰქონდა შუადასავლეთური კილო, ჯ. კენედის – ახალი ინგლისის კილო, რაც იწვევდა კრიტიკულ შენიშვნებს სამხრეთისა და დასავლეთის პრესაში; ლ. ჯონსონს კი ჰქონდა ტენასური კილო, რაც მისი კრიტიკის მიზეზად იქცა აღმოსავლეთ შტატებში (იხ. უ. მ. ფრანსისი – „ინგლისური ენის სოციალური და საგანმანათლებლო ნაირსახეობანი“ – წიგნში „ამერიკული ინგლისური ენის ასპექტები“, გვ. 329; მაკ დევიდი. „გავრკვეთ ეთნიკურ ნაირსახეობებში: გეოგრაფიული მოძრაობა და დიალექტური თავისებურებანი“ – წიგნში „დღევანდელი ინგლისური ენის ნაირსახეობანი“, გვ. 260-61).

ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის ჩ. ფერგუსონის აზრით, მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აშშ-ს ეროვნულ რადიოგადაცემებში აშშ-ის რადიოს არსებობის დასაწყისში. დიქტორები მეტყველებდნენ მაშინ სხვადასხვა „რეგიონალური კილოთი“.



დროთა განმავლობაში მსმენელებისათვის შეუმჩნევლად და გარედან ყოველგვარი საგანგებო ჩარევის გარეშე გამომუშავდა ამერიკული ლიტერატურული გამოთქმის ნაირსახეობა (ტიპი), რომელსაც მოგვიანებით დაერქვა „ნეთვორქ ინგლიშ“ – „რადიოსა და ტელევიზიის ინგლისური“. როგორც წერს ამერიკელი ლინგვისტი უ. ნ. ფრენსისი, ეს დიქტორების გამოთქმა „არის საყოველთაოდ მიღებული გამოთქმის ნიმუში. მაგრამ პრესტიჟულ დიალექტად იგი არ ითვლება, და ბოსტონის, ნიუ-იორკის, ფილადელფიის, რიჩმონდის, ჩარლსტონის, ატლანტის ან ნიუ-ორლეანის განათლებული მოქალაქეები მეტყველებენ თავიანთ რეგიონალურ დიალექტებზე მათი ლიტერატურული ფორმით (იხ. უ. ნ. ფრენსისი. „ინგლისური ენის სოციალური და რეგიონალური ნაირსახეობანი“ – წიგნში „ამერიკული ინგლისური ენის ასპექტები“, გვ. 328). ამგვარად, თანამედროვე ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ერთიანი ეროვნული ორთოეპიური ნორმის უქონლობა. არსებობს ამერიკული ლიტერატურული გამოთქმის არა ერთი, არამედ მთელი რიგი მკვეთრად გამოხატული ტიპები, რომელთა იდენტიფიცირება ხდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის და რეგიონალური ენობრივი თავისებურებების მიხედვით. ამ რეგიონების კლასიფიცირება ხანდახან გასაშუალებელია, მაგალითად, რაც შეესაბამება აშშ-ის სამი მთავარი დიალექტის არეალებს ჩრდილოეთის, ცენტრის (მიდლენდ) და სამხრეთის (იხ. ჩ. ლეარდი. ენა ამერიკაში, გვ. 35. ჯ. მ. უილიამსი. ინგლისური ენის წარმოშობა, გვ. 358). ხანდახან ასეთი კლასიფიცირება დეტალურიცაა (იხ. ა. შვეიცერი. ლიტერატურული ინგლისური ენა აშშ-სა და ინგლისში, გვ. 41-42). მაგრამ საერთო ჯამში აღნიშნული ფენომენი ამისაგან არ იცვლება, იგივე რჩება. აშშ-ის ენობრივი კულტურა მის ისეთ გამოვლინებაში, როგორიც ჟღერადი ზეპირი მეტყველებაა, ენის მატარებლებს აძლევს საშუალებას და უფლებას იყენებდნენ ნებისმიერ თანასწორ უფლებიან და ერთნაირად ავტორიტეტულ ნიმუშს. ეს მდგომარეობა, ალბათ, ძნელადწარმოსადგენია სხვა ენობრივი კულტურის მატარებლისათვის, კულტურისა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ერთ, საყოველთაოდ მიღებულ და აუცილებელ ეტალონზე.

## **ინგლისური ენის ბრიტანული და ამერიკული ვარიანტების შპპირისპირება**

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ აკადემიის კურსდამთავრებულთა შორის არიან პარლამენტის წევრები, სამინისტროების და სხვა სამთავრობო ორგანოების მაღალჩინოსნები და უცხო ქვეყნების ელჩები. საქ. დიპლომატიური აკადემიის დიპლომი პრესტიჟულად ითვლება არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგალითად, დიპ.აკადემიის კურსდამთავრებული თეა წულუკიანი მიღებული იყო სტრასბურგის სასამართლოში აკადემიის დიპლომით, თინათინ კუჭუხიძეს უარი ეთქვა გაეროს შტაბ-ბინაში სამსახურით დაკმაყოფილებაზე, როდესაც მან წარადგინა ატლანტის ემორი უნივერსიტეტის დიპლომი, მაგრამ იგი მიიღეს სამსახურში იგივე საერთაშორისო ორგანიზაციაში დიპლომატიური აკადემიის დიპლომით. ასეთი მაგალითი მრავალია.

საქართველოს დიპლომატიური აკადემია განსხვავდება სხვა სასწავლებლებისაგან არა მარტო იმით, რომ მისი დიპლომის მფლობელები უკვე უცხოელი დიპლომატებიც არიან, არამედ თავისი სასწავლო პროგრამებით, სტუდენტებისათვის საგანგებოდ შექმნილი სპეცკურსებით, მრავალი ინგლისურენოვანი საგნით, უცხოური დიპ. კორპუსის წარმომადგენლების და სხვა სტუმრების ყოველკვირეული ლექციებით, ორიგინალური კონკურსებით და საღამოებით და, რაც მთავარია, მისი კურსდამთავრებულების განსხვავებული დონით. ეს უკანასკნელი კარგად გამოვლინდა წლევეანდელ სახელმწიფო გამოცდებზეც, რომელსაც თავმჯდომარეობდა დარგის აღიარებული სპეციალისტი, ბ-ი შალვა ფიჩხაძე – სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

ამ ცოტა ხნის წინათ აკადემიაში შედგა წლევეანდელი კურსდამთავრებულებისათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ბ-ი შალვა ფიჩხაძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე, ბ-ი ვაჟა მანჯგალაძე, კადრების განყოფილების წარმომადგენელი, ბ-ი ვლადიმერ სალოვსკი (რომელიც ხელმძღვანელობდა ჯგუფის წინასაღიპლომო პრაქტიკას სამინისტროში), მოწვეული სპეციალისტები, აკადემიის პროფესურა. კურსდამთავრებულებს დიპლომები გადასცა ბატონიშვილმა დავით ბაგრატიონმა.

სპეციალისტებმა ძალიან მათალი შეფასება მისცეს კურსდამთავრებულებს. ეს წარმატება იმით აიხსნება, რომ აკადემია კურსდამთავრებულთა დონეს მათ რაოდენობაზე მაღლა აყენებს (თუ სტუდენტი ერთი-ორი წლის განმავლობაში არ გამოავლენს სწავლის უნარს და დარგისადმი მიდრეკილებას, მას სასწავლებლიდან რიცხავენ, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს სტუდენტთა კონტინგენტს, მაგრამ დადებითად მოქმედებს კურსდამთავრებულთა ხარისხზე).

კარგ ტრადიციებზე აღზრდილი დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულები ქვეყნის საგარეო უწყებისათვის და მრავალი სერიოზული სამსახურისათვის და ორგანიზაციისთვის საიმედო საყრდენს წარმოადგენენ. დღევანდელ სიტუაციაში, სადაც უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა (კერძო თუ სახელმწიფო) ფუნქციონირებს გაურემონტებელ, არაკომფორტულ, შეუხედავ შენობებში, სადაც სტუდენტებს ხვდება ბევრი საშუალო დონის სპეციალისტი, სადაც მუშაობენ მოძველებული პროგრამებით, დიპლომატიური აკადემია თავისი შესანიშნავი შტატით, ხელმძღვანელებით, პროფესორ-მასწავლებლებით, თანამედროვე პროგრამებით, იშვიათი სტუმრებით, საკუთარი შენობით, არატიპიური სამუშაო ოთახებით და აუდიტორიებით, რომლებიც სამხატვრო გალერეას ჰგავს, უდავოდ, ერთგვარ ოაზისს წარმოადგენს.

სასწავლებელმა, რომელმაც მხოლოდ მეცხრე აკადემიური წელიწადი დაიწყო, საოცრად ბევრს მიაღწია დროის ამ მოკლე მონაკვეთში. ეს მისი ხელმძღვანელების და შტატის ენთუზიაზმით და კარგად დაგეგმილი და გააზრებული სასწავლო პროცესით აიხსნება. გავა დრო, და დიპლომატიური აკადემიის წარმატებას ხელს შეუწყობს არა მარტო თანამშრომელთა ენთუზიაზმი, არამედ საქართველოში ობიექტურად შეცვლილი პირო-

ბებიც.

ვიმედოვნებთ, რომ მაშინ საქართველოში სხვა სასწავლებლებიც აღმოცენდება, რომლებიც ობიექტურად გაუწევენ კონკურენციას დღეს გამორჩეულ სასწავლებელს – საქ. დიპლომატიურ აკადემიას. აკადემია კარს უდებს ყველას, ვინც დაინტერესებულია მისი პროგრამებით. დიპლომატიური აკადემია ერთადერთი სასწავლებელია საქართველოში, რომელშიც შექმნილია პირობები უწყვეტი განათლების სრული ციკლისათვის – მეექვსე კლასიდან მაგისტრის დიპლომამდე (ასაკი შეუზღუდავია).

*გაზეთის თანამშრომელს ესაუბრებოდა  
დიპ. აკადემიის პრორექტორი პროფ. თამარ ცინცაძე  
„დილის გაზეთი“, 19 იანვარი, 2004 წ.*

## Академия празднует свой юбилей

В октябре 2000 года Дипломатическая Академия Грузии (ДАГ) отпраздновала своё пятилетие в престижном Тбилисском Дворце молодёжи, где обычно устраиваются дипломатические и правительственные приёмы. Около 250 человек собрались, чтобы отпраздновать этот юбилей; администрация, профессура, преподаватели, студенты и гости.

Среди приглашённых были послы иностранных государств, аккредитированные в Грузии, представители посольств, главы и сотрудники международных организаций и миссий, вице-спикер Г. Церетели и члены Парламента Грузии, члены правительства, представители Министерства Иностранных дел, Министерства образования Грузии и других министерств, посол Грузии в Израиле Р. Гачечиладзе, представители прессы и телевидения.

Основатель Дипломатической Академии, её ректор, профессор Сосо Цинцадзе открыл торжественное заседание в конференц-зале Дворца молодёжи. Проф. Ладо Чануквадзе, председательствовавший на государственных экзаменах 2000 года, передал дипломы выпускникам факультета международных отношений и выразил свои пожелания относительно их будущей карьеры.

Заместитель министра иностранных дел г-н Шота Догонадзе отметил тесное пятилетнее сотрудничество Дипломатической Академии и МИД Грузии, которое вместе с Министерством образования активно участвовало в основании Дипломатической Академии. Г-н Догонадзе передал выпускникам Академии 1999-2000 года экземпляры своей недавно опубликованной книги о дипломатических связях Грузии.

Проректор Академии проф. Тамара Цинцадзе, пять лет работавшая с Дипломатическим Корпусом, аккредитованным в Грузии, выразила благодарность всем посольствам и международным организациям, которые в течении ряда лет сотрудничают с Дипломатической

Академией: сотрудники посольств читают лекции студентам, встречаются с преподавателями, снабжают Академию книгами и видеокассетами, оказывают ей техническую помощь, посылают студентов за границу на обучение, принимают студентов и выпускников Дипломатической Академии в качестве стажёров и т. д.

Г-н Жан Мишель Лакомб, посол, глава миссии ОБСЕ в Грузии, и г-н Франсуа Белон, глава Делегации Международного Комитета Красного Креста в Грузии, г-н Эхуд Эйтам, посол Израиля, г-н В. Гудев, посол Российской Федерации, представители посольств США, Турции и др. гости поздравили сотрудников и студентов Дипломатической Академии с юбилеем, отметили тесные связи между Академией и их организациями. Интерес иностранного Дипломатического корпуса к Дипломатической Академии очевиден. Это единственное учебное заведение, в котором представители Дипломатического Корпуса регулярно читают лекции и в жизни которого активно участвуют. Помимо вышеупомянутых гостей в торжестве юбилея участвовали послы и сотрудники посольств Ирана, Украины, Азербайджана. В праздничной обстановке ректором Академии и представителем Бакинского Дипломатического Колледжа был подписан договор о сотрудничестве.

Профессор Т. Цинцадзе сообщила о том, что грамотами за выдающиеся академические успехи награждены выпускники Дипломатической Академии — выпускники 1998 г. — Тина Кучухидзе (работает в ООН в Нью Йорке), Тея Цулукиани (Страсбургский Международный суд по правам человека), Тина Мрулишвили (Швейцарское Агенство по Развитию и Сотрудничеству), Илья Утмелидзе (Норвежский Институт по правам человека), Мака Бочоришвили (выпуск 1999 г; работает в МИД Грузии).

Официальная часть торжеств завершилась весьма эмоциональной нотой — группа студентов пела хвалу Академии и её преподавателям — „Вива Академия! Вива Профессоре!“. За этим последовал приём в Зеркальном зале Дворца молодёжи.

Дипломатическая Академия Грузии доказала, что за короткое время своего существования она смогла превратиться в учебное заведение, выпускников которого охотно принимают на работу международные организации за рубежом и в Грузии — МИД, Парламент Грузии и другие организации.

*Представителю газеты материалы предоставила  
проф. ТАМАРА ЦИНЦАДЗЕ  
Газета „Эхо“, №044 (068), ноябрь, 2000 г.*



## First Ambassador Gets Honorary Doctorship

For the first time the Diplomatic Academy of Georgia awarded the title and diploma of Honorary Doctor of the Diplomatic Academy to a foreign ambassador. Known for its original programs and contacts with the Diplomatic Corps accredited in Georgia, this educational institution develops its own way, works in collaboration with embassies and international organizations, uses their publications, like Human Development Report Georgia (UN), materials of the International Committee of the Red Cross, Refugee Law (UNHCR), books about Turkey, Israel, Germany, France, GB, USA, Russia, Ukraine, Egypt, China, Switzerland, etc.

Ambassadors and representatives of embassies and international organizations often visit the Academy, take part in its activities, events, give presentations, help with printed materials, technical appliances, etc. The predominant feeling among the high ranking diplomats is that they wish to help the Academy to prepare well qualified young diplomats for Georgian Diplomatic Corps (almost an exact citation from the interview of J. M. Lacombe, Head of the OSCE Mission to Georgia). The Academy on its part has exemplary courses and no less exemplary students worthy of attention and help.

The first ambassador to get the diploma of the Honorary Doctor of the Diplomatic Academy is Mr. Burak Gursel, Ambassador of Turkey to Georgia. His term is coming to an end, but he plans to collaborate with the Academy even after his departure, to promote international training and internship programs in which graduates and students of the Academy will take part.

The staff and students of the Diplomatic Academy are grateful for the permanent help rendered to the Diplomatic Academy by ambassadors, heads of international organizations and missions, their staff. It is another aspect of cooperation between Georgia and representatives of various states and international bodies.

*The Georgian Messenger, May 28, 2002*

# დიპლომატთა დიდი სამჭედლო

საქართველოს დიპლომატიური აკადემია 10 წლისაა

ნომრის სტუმარია საქართველოს დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი, პროფესორი **თამარ ცინცაძე**

აგერ თითქმის ახლახან იყო, როცა უცხოელის სტუმრობა ყოველთვის მზერის ეჭვიანი კუთხით იზომებოდა, მასში პოტენციალურ მტრებს ხედავდნენ, ალბათ, მუსლიმანურ ქვეყნებში ეს დამოკიდებულება უფრო კატეგორიული იყო, რადგან მტერი სხვა რჯულის მიმდევარს გულისხმობდა, ქართველისთვის კი ყველა იმ რჯულისა და ეროვნების ძალასთან, რომელიც მის სახელმწიფოებრიობას, ტერიტორიულ მთლიანობას თუ უბრალოდ მის მშვიდ ცხოვრებას ემუქრებოდა, საუკუნეების მანძილზე ზოგი ძალით, ზოგი ცბიერებით და ფარისევლობით, ღალატით აღწევდა მიზანს. ჩვენი წინაპრები კი ყოველთვის იბრძოდნენ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ თვითკმაცოფილება, სულიერება და ქართველი ერი როგორც სახელმწიფო დღევანდლობამდე მოეყვანათ.

მაგრამ, მიუხედავად ამ ტკივილიანი, მწარე გამოცდილებისა, საქართველო არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი ქვეყანა. ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან იგი აქტიურად იყო ჩართული მსოფლიო პროცესებში და თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყანათა შორის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. თუმცა ჩვენი ისტორიული გამოცდილება ძალიან ცოტა აღმოჩნდა თანამედროვე სამყაროსათვის.

დღეს ყველა ქვეყანა მსოფლიო არენაზე რაიმე მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალის გამოყენებით ცოცხლობს და ვითარდება. საქართველო კი, არსებული ვითარების გამო, ბოლო საუკუნეში პრაქტიკულად გამოეთიშა მსოფლიო ქვეყნებთან ურთიერთობას, ჩვენდა დამოუკიდებლად იზოლირებული აღმოვჩნდით საბჭოურ სივრცეში და შესაბამისად ჩვენი პოტენციალიც ვაკუუმში მოექცა. მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა. დამოუკიდებელმა საქართველომ ფეხი აიდგა. მსოფლიო ქვეყნებთან დამოუკიდებელი და უშუალო კავშირები აღდგენილია, ინტეგრაციული პროცესები ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს...

ფართო, საერთაშორისო არენაზე გასვლამ, მსოფლიო თანამეგობრობის წევრობამ და ცხოვრების ყველა სფეროში უცხოეთთან მზარდმა კონტრაქტებმა ახალი მოთხოვნილებები დააყენა ჩვენს წინაშე... თანამედროვე მსოფლიო ურთიერთობებმა დიპლომატიური რესურსების გადამზადება მოითხოვა. საერთაშორისო არენაზე ქვეყნის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანთა პიროვნული თვისებები და პროფესიონალიზმი, ვის კომპეტენციამაც ეს სფერო შედის. დღეს ჩვენ მრავალი ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი გვყავს, მაგრამ მათგან უმრავლესმა მომზადება რუსეთის ინსტიტუტებში ან ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში გაიარეს. შესაბამისად ისინი სხვა ერების დიპლომატიის პრინცი-

პებზე და ინტერესებზე არიან აღზრდილნი. საბოლოოდ კი გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი ამ ადამიანების პატრიოტიზმზე და ეროვნულ თვითშეგნებაზეა დამოკიდებული...

10 წლის წინ საქართველოში დიპლომატიური აკადემია შეიქმნა. შესრულდა საქართველოში დიპლომატიური აკადემიის დაფუძნების 10 წელი. საზოგადოებაში არსებულმა მოთხოვნებმა გამოიწვია ამ სასწავლებლის დაარსების აუცილებლობა – 1995 წელს, როდესაც არსდებოდა დიპლომატიური აკადემია, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდნენ საერთაშორისო ურთიერთობების დიპლომატიის სპეციალისტები, რომლებიც ეროვნულ ბაზაზე იქნებოდნენ მომზადებულნი.

ნებისმიერი დარგის სპეციალისტი შეიძლება აღიზარდოს საზღვარგარეთ გარდა ორი დარგისა – უმძიმესების სამსახურის და დიპლომატიის. იმ დროს იყო რამოდენიმე პროფესორი, რომლებმაც განათლება მიიღეს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. ესენი იყვნენ მეტრები, რომლებმაც ბევრი რამ იცოდნენ რუსეთის დიპლომატიის პრინციპებზე და მათ ინტერესებზე იყვნენ აღზრდილნი. დადგა დრო საქართველოში დიპლომატიების და დიპლომატიის სფეროს სპეციალისტების მომზადებისა.

იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, განათლებისა და იუსტიციის სამინისტროებმა, მთავრობის ხელშეწყობით მხარი დაუჭირეს პროფესორთა ჯგუფის ინიციატივას და დააარსეს დიპლომატიური აკადემია. საგარეო საქმეთა იმდროინდელმა მინისტრმა ბ-მა ალექსანდრე ჩიკვაიძემ სამინისტროს შენობის საგრძნობი ნაწილი დაუთმო დიპლომატიურ აკადემიას. შეიქმნა არატიპიური სასწავლებელი, რომელიც დღესაც ასეთია – არ ჰგავს არცერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელს თავისი პროგრამებით, საგნებით, პროფესიული ხარისხით, წესრიგით, შენობის განსხვავებული იერით, მიზნებით... დღეს აკადემია განლაგებულია 1997 წელს შექმნილ შენობაში, რომლის კეთილმოწყობისათვის მუდმივად ზრუნავს.

აკადემიის კვლევებშიც გაიხსნა სკოლა-ლიცეუმი, იგი ასევე განსხვავდება სხვა სკოლებისაგან თავისი მცირერიცხოვანი კონტინგენტით, მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით (ძირითადად აკადემიის შტატიდან), დიდი ყურადღებით ყოველ მოსწავლეზე, მის ნიჭზე და მიდრეკილებებზე. სკოლის ოთახები იმდენად ხატოვანია და მორთული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებით, რომ სკოლიდან გაუსვლელად მოზარდი ხელოვნების მრავალ დარგს ეუიარება, ისწავლის რეალიზმის, სიურეალიზმის, აბსტრაქციონიზმის ნიმუშების თუ კოლაჟების ერთმანეთისგან გარჩევას. სკოლის შექმნა ერთგვარ მემკვიდრეობითობას ქმნის – სკოლის კურსდამთავრებულებს პრაქტიკულად ყველას დიპლომატიურ აკადემიაში სურს სწავლის გაგრძელება. მაღალკლასელები, ნორმატიულ საგნებთან ერთად, სწავლობენ იურიდიულ და დიპლომატიურ საგნებსაც, რაც მათ არჩევანს უადვილებს.

თვით აკადემიაში კარგად გააზრებული სწავლის პროცესის წყალობით კარგადაა დაყენებული ენების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება. აკადემიის პროფესორა ზრუნავს იმაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მომავალი სპეციალისტი ორი უცხო ენით წავიდეს აკადემიიდან, ისევე როგორც სტაჟირების გამოცდილებით პარლა-

მენტში, უცხო ქვეყნების საელჩოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სხვადასხვა სამინისტროებში. საზღვარგარეთ ნასწავლი და სტაჟირებაგავლილი პროფესურა ხელს უწყობს სტუდენტების დაინტერესებას ამერიკისა და ევროპის ისტორიით, კანონმდებლობით, ენებით, ინტერნეტში მასალის მოძიებით, დისტანციური ტიპის სწავლებით, ორიგინალური სპეცურსები („ნავთობკომპანიები და უშიშროების საკითხები“, „საქართველო და ისლამური სამყარო“, „მსოფლიო ნარკოკონცერნების ქმედებათა გეოპოლიტიკური და იურიდიული ასპექტები“, ქვეყანათმცოდნეობითი ინგლისურენოვანი მრავალწახნაგოვანი სპეცურსები – აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, უკრაინა, ისრაელი და სხვა). პროფესორები სრულ ცოდნას აძლევენ სტუდენტს ძველსა და ახალ სამყაროზე, დღევანდელ პრობლემებზე.

უცხო ქვეყნების ელჩების და უცხოელ თუ ქართველ სპეციალისტთა ყოველკვირეული ვიზიტები კიდევ უფრო აფართოებენ სტუდენტების თვალთახედვას და ადრმაგვებენ მათ ინტელექტს უცხო ქვეყნების ელჩები, პარლამენტის წევრები, საზღვარგარეთ აკრედიტირებული საქართველოს ელჩები თავიანთ მოვალეობად თვლიან დიპლომატიური აკადემიის პროფესურასთან ერთად ზარდონ ქართველი დიპლომატების ახალი თაობა. განუზომელია მათი ღვაწლი აკადემიის მიერ 1997 წლიდან გამოშვებული სპეციალისტების აღზრდაში.

ცხრა გამოშვება ჰქონდა აქამდე დიპლომატიურ აკადემიას. მის მიერ მომზადებული სპეციალისტები მსახურობენ საგარეო საქმეთა სამინისტროში, პარლამენტში, ქვეყნის წამყვან დაწესებულებებში და წარმატებით წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთ – ბენელუქსის და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთში (მარტო მოსკოვის საელჩოში მუშაობს ერთდროულად სამი აკადემიის კურსდამთავრებული), პოლონეთში, სომხეთში, შუა აზიაში; კურსდამთავრებულები მსახურობენ სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სასამართლოში, უკრაინაში, მაროკოში და სხვა.

დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულთა მიერ ასეთი ფართო გეოგრაფიული სპექტრით წარმოჩენა იმის დასტურია, რომ აკადემია როგორც სასწავლებელი ვითარდება სწორი გზით და კიდევ უკეთესად მომზადებულ დიპლომატთა თაობას აღზრდის ქვეყანას.

*პროფ. თამარ ცინცაძესთან საუბრის შედეგად მასალა მოამზადა*

*თაიონა ბარამიძე*

*გაზეთი „Georgian Star“, 2005, №5*

## Дипломатической Академии – 10 лет!

О деятельности Академии рассказывает проректор, профессор Тамара Цинцадзе

— Десять лет назад, когда появился наш вуз, в Грузии практический не было специалистов по международным отношениям, дипломатов, обученных в современной, постсоветской Грузии. Кадры любой области можно усрешно обучить за границей, за исключением разве что специалистов по государственной безопасности и дипломатии. В Грузии было несколько профессоров, получивших образование в Московском государственном институте международных отношений (МГИМО), возвращенных на принципах и на базе интересов советской дипломатии. Как правило, официальная Москва не посылала их за границу.

Тогдашний МИД Грузии, министерства образования и юстиции и правительство в целом поддерживали инициативу группы профессоров основать в нашей стране Дипломатическую Академию. Так возникло нетипичное учебное заведение, отличающееся от остальных вузов своими программами и преподаваемыми дисциплинами.

Сегодня в стенах нашей Академии функционирует школа (6-11 классы), которая отличается от других своим высококвалифицированным педагогическим коллективом, в основном состоящем из профессоров Дипломатической Академии. Здесь в процессе обучения упор делается на индивидуальные способности и наклонности учащихся. Выпускники школы продолжают учебу в Дипломатической Академии. Старшеклассникам преподают такие дисциплины, как юриспруденция и международные отношения, что облегчает им выбор своего жизненного пути.

Профессура Дипломатической Академии заботится и о том, чтобы будущие специалисты покидали вуз со знанием хотя бы двух иностранных языков. Администрация Академии способствует изучению студентами истории и законодательства США и Европы, иностранных языков и работе в Интернете. В дополнение к основным студенту проходят спецкурсы „Нефтепровод и вопросы госбезопасности“, „Грузия и исламская культура“, „Геополитические и юридические аспекты активности наркосиндикатов“ и др. Еженедельные встречи с послами, аккредитованными в Грузии, представителями различных международных организаций, членами правительства, журналистами помогают в расширении кругозора и повышении интеллекта наших студентов.

Дипломатическая Академия осуществила 9 выпусков специалистов международных отношений. Кстати, среди выпускников есть и иностранцы. Все они служат как в будущих министерствах и ведомствах своих стран, так и за пределами родины — в государствах Бенелюкса и Балтии, в Польше, России, Армении, Азербайджане, Центральной Азии, а также в Страсбургском суде по защите прав человека, в ООН, в различных учреждениях США, Германии, Франции, Швеции, Норвегии и посольствах ряда стран. Это яркое свидетельство того, что Дипломатическая Академия Грузии успешно выполняет свою миссию.

*Журнал „Подруга“, №48, 2005, стр. 29*

## კურსდამთავრებულთა პირველი ასოციაცია საქართველოში

Alumni Association – ასეთი სახელითაა ცნობილი მსოფლიოში უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა გაერთიანებები. განსაკუთრებით გავრცელებულია ასეთი ასოციაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრაქტიკულ და პრაგმატულ ამერიკელებს კარგად ესმით ერთობის ძალა და ასოციაციაში გაერთიანებული კურსდამთავრებულების ურთიერთსარგებელი საქმიანობა და ყოველწლიური შეხვედრები.

არაა საკვირველი, რომ ასეთი ასოციაცია პირველად საქართველოში შეიქმნა სწორედ დიპლომატიურ აკადემიაში – სასწავლებელში, რომელმაც მრავალი სიახლე დანერგა, შექმნა საკუთარი პროგრამები, საერთოდ მუშაობის სტილი. დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნის იდეა, როგორც მრავალი სხვა, ეკუთვნის აკადემიის პრორექტორს, პროფესორ თამარ ცინცაძეს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ქალბატონი თამარი ამერიკანისტია და არის ვაშინგტონის კარგად ცნობილი კენანის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ასოციაციის წევრი.

კურსდამთავრებულთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას და ამ დიდ შეხვედრას დაესწრო განათლების მინისტრის მოადგილე ქ-ი ბელა წიფურია, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს იყო საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი ასოციაცია.

პირველი კურსდამთავრებულები დიპლომატიურმა აკადემიამ გამოუშვა 1997 წელს. ესენი იყვნენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტები (მაგისტრატურის დონე). ამის შემდეგ დიპლომატიური აკადემია რეგულარულად უშვებს კარგად მომზადებული სპეციალისტების მცირერიცხოვან ჯგუფებს – ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს. ზოგიერთი მათგანი არ ყოფილა აკადემიაში ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. კურსდამთავრებულთა ნაწილი საზღვარგარეთ მსახურობს – აშშ-ში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრალიაშიც კი.

ყველა ქვეყანას ვერ ჩამოვთვლით. წლების განმავლობაში აკადემიაში მომწიფდა აზრი, რომ საჭიროა მის კურსდამთავრებულთა აკადემიის კედლებში დაბრუნება ახალ ხარისხში – დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაციის წევრების სტატუსში. დიპლომატიური აკადემიის სტუდენტური კლუბის პრეზიდენტის (გიორგი ბეგიაშვილი) და ვიცე-პრეზიდენტების (ირინა მოსაშვილი, ადა ნარდაია) ორთვიანი შრომის შედეგად ასეთი შეხვედრა შედგა – დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულების ნაწილი სულ ახლახანს შეიკრიბა აკადემიაში. გარდა ურთიერთგაცნობისა, ყოფილი თანაკურსელების სასიხარულო შეხვედრებმა სასარგებლო საქმეც გააკეთა. ეს შეხვედრა იქცა დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებად: შეიმუშავეს წესდება, აირჩიეს ასოციაციის მომავალი პრეზიდენტი (ნიკოლოზ ჩიტა-

ძე), ვიცე-პრეზიდენტები (ბესო კინძარიშვილი, მოგელი შენგელია, ლიკა სხირტლაძე) და მდივანი (თინა გიორგაძე), რომლებიც უზრუნველყოფენ ასოციაციის რეგისტრაციას და კავშირებს კურსდამთავრებულთა შორის, მოამზადებენ მათ ყოველწლიურ შეხვედრას. ზოგიერთ საკითხზე ასოციაცია ითანამშრომლებს სტუდენტურ კლუბთან, ძირითადად კი ორივე სტრუქტურის ძალისხმევა იქნება მიმართული სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულთა გაერთიანებაზე, ურთიერთდასაქმებაზე, მათი პროფესიონალიზმის გადრმა-ვებაზე.

გაერთიანებული ჯგუფი ამუშავებს სხვადასხვა პროექტს, რომლებიც კურსდამთავრებულთა ინტერესს გამოიწვევს და მათთვის სასარგებლო იქნება. გათვალისწინებულია თანამშრომლობის ფორმები იმ კურსდამთავრებულებთანაც, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან. ასოციაციის პრეზიდენტის შემადგენლობა პერიოდულად განახლდება.

ყოველწლიური შეხვედრების შედეგად შეიქმნა ქმედითი და დემოკრატიული სტრუქტურა, რომელიც შეიძლება იქცეს დიპლომატიური აკადემიის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულთა ერთობისა და დახმარების ბაზად. ამ პროცესში არანაკლებ ბედნიერი აკადემიის ადმინისტრაცია და თანამშრომლები არიან. მათ უხარიათ ყოფილი სტუდენტების ნახვა, მათთან თანამშრომლობა, კარგი იდეების მიწოდება და ურთიერთობა. მისაბაძია ასეთი დამოკიდებულება კურსდამთავრებულებისადმი, მათი სურვილი გაერთიანდნენ დიდ, სიკეთისაკენ მიმართულ ჯგუფად. სიკეთე კი ყოველთვის ორმხრივია. კურსდამთავრებულთა ასოციაციის იდეების შესრულება სიკეთის მომტანია როგორც კურსდამთავრებულთათვის, ისე დიპლომატიური აკადემიისა და ფართო საზოგადოებისათვის.

*„დილის გაზეთი“, 15 მარტი, 2004 წ.*

## მოგონება საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაზე

1997 წელს გადაწყვიტე სწავლა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში გამეგრძელებინა. როგორც ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, გარკვეული ცოდნა უკვე მქონდა დაგროვილი ევროპის ქვეყანათმცოდნეობის მიმართულებით, და ბუნებრივი იყო ჩემი ინტერესი, უფრო საფუძვლიანად გავცნობოდი არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიას.

მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, გავიარე გასაუბრება და ჩავირიცხე. ახ-

ლაც მახსოვს, გასაუბრებაზე ბ-მა სოსო ცინცაძემ ერთერთ საკითხად ვალერი ჟისკარ-დ-’ესტენზე მკითხა, ვინ იყო და რა დამსახურებები ჰქონდაო. მაშინ ბევრი არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რომ საფრანგეთის რიგით მეოცე პრეზიდენტი იყო, ევროპული ინტეგრაციის არქიტექტორობასთან ერთად, არაერთ ლიბერალურ და ეკონომიკურ რეფორმას მიაწერდნენ და რომ მას პროგრესისა და თავისუფლების პოლიტიკოსად მოიხსენიებდნენ.

გადაჭარბების გარეშე შემძლია ვთქვა, რომ დიპლომატიურ აკადემიაში გატარებული სამი წელი იყო მეტად ნაყოფიერი, უხვი განათლებისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების თვალსაზრისით. ყველა საგანი, იქნებოდა ეს დიპლომატიის ისტორია თუ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, გეოპოლიტიკა, მსოფლიო ეკონომიკა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საერთაშორისო სამართალი თავისი განშტოებებით, დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის საფუძვლები, დიპლომატიური ეტიკეტი და პროტოკოლი, მსოფლიო რელიგიები თუ ინგლისურენოვანი სპეც.კურსები - ყველა მათგანი ზედმიწევნით იყო მომზადებული და ლექტორების მიერ მაღალპროფესიულ დონეზე სტუდენტებისადმი გაზიარებული.

მეტად ღირებული გამოცდილება იყო ქ-ნ თამარ ცინცაძის მიერ ორგანიზებული შეხვედრები საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების ელჩებთან და მისიების ხელმძღვანელებთან. გარდა ამისა, პერიოდულად შესაძლებლობა გვეძლეოდა პრაქტიკები გაგვევლო თბილისში მდებარე საერთაშორისო ორგანიზაციების სათაო ოფისებში.

სწორედ დიპლომატიურ აკადემიაში მიღებულმა განათლებამ მომცა თვითდაჯერებულობა 1998 წელს ბედი მეცადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟირების პროგრამაში... მას შემდეგ 25 წელი გავიდა... ძალიან მუამაყება, რომ საქართველოს დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებული ვარ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში ერთგულად ვემსახურები ჩემი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

*ნინო ბარათაშვილი*

*მინისტრის მრჩეველი*

2023

## **მოგონებები დიპლომატიურ აკადემიაზე**

1995 წლის ნოემბერში ჩავირიცხე საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში, რომელიც ამ პროფილის პირველი სასწავლებელი გახლდათ საქართველოში. აკადემიის რექტორი იყო ცნობილი პოლიტოლოგი პროფესორი სოსო ცინცაძე, პრორექტორი კიმისი მეუღლე ქ-ნი თამარი - ინგლისური ენისა და ანგლო-ამერიკული კულტურის ცნობი-



ლი სპეციალისტი. აკადემია 1998 წელს დავამთავრე და ასე შევიძინე მეორე პროფესია; პირველი მედიცინა იყო. უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობები და ამ სფეროში საქმიანობაზე ვოცნებობდი, მაგრამ საბჭოთა ეპოქაში ამ ოცნების ასრულების საშუალება არ მომეცა; სულ ორი ასეთი სასწავლებელი იყო (მოსკოვსა და კიევში), დიპლომატიური სამსახური კი ძირითადად საკავშირო ელიტის პრივილეგია გახლდათ.

ამ მისწრაფების რეალიზაცია შესაძლებელი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. აკადემია გაიხსნა უმაღლესდამთავრებული მსმენელებისთვის, და მეც დაუყოვნებლივ მივაკითხე ამ დაწესებულებას, რომლის რექტორი, როგორც მოგახსენეთ, იყო პროფ. სოსო ცინცაძე. ქ-ნი თამარ ცინცაძე ადრეც მასწავლიდა (1985-87 წწ.) უცხო ენათა ინსტიტუტთან არსებულ ინგლისური ენის მთარგმნელ-რეფერენტთა კურსებზე; ბ-ნ სოსოს კი უფრო ადრეც ვიცნობდი, როდესაც მამაჩემთან ერთად მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში. ცხადია, უარი არ უთქვამთ და ჩამრიცხეს. ბ-მა სოსომ და ქ-მა თამარმა ჩემს „დასაქმებაზე“ იზრუნეს, და მათი რეკომენდაციით მოხვდი სამუშაოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 1997 წელს, სადაც 2005 წლამდე ვმუშაობდი სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე. ეს ყველაზე ნაყოფიერი წლები იყო ჩემთვის ბოლო 30 წლის მანძილზე, რადგან სწორედ აქ მივიღე პრაქტიკული დიპლომატიის დიდი გამოცდილება, რასაც ისევ ბ-ნ სოსოს და ქ-ნ თამარს უნდა ვუმაღლოდე. ასევე იმას, რომ 1999 წლიდან 2011 წლამდე პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი ჩემს „ალმა მატერში“, დიპლომატიურ აკადემიაში.

მახსენდება, როდესაც 2004 წელს სამინისტროს ხელმძღვანელობა შეიცვალა და რიგ თანამშრომლებს, მათ შორის მეც, სამსახურის დატოვება მოგვიხდა სხვადასხვა გარემოებათა გამო, ბ-მა სოსომ და ქ-მა თამარმა „უმუშევრობა“ არ მაგრძნობინეს და 3-ჯერ გამიზარდეს სალექციო დატვირთვა აკადემიაში „სამინისტროს კომპენსაციისთვის“, და ამდენად ადარც „სევდიანი ფიქრებისთვის“ მეცალა და არც მთლად შემოსავლის გარეშე დავრჩენილვარ. ასეთი რამ არავის ავიწყდება, და მეც ყოველთვის დიდი მადლიერებით ვიხსენებ ამ ჭეშმარიტად ადამიანურ თანადგომას.

საერთოდ სასწავლებელი, როგორიც არ უნდა იყოს, ძირითადად თეორიულ ცოდნას იძლევა, მაგრამ თეორია პრაქტიკის გარეშე ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს დამამთავრებელ კურსებზე სტუდენტის მიერ პროფილურ დაწესებულებაში პრაქტიკის გავლას, რათა მუშაობის დაწყებამდე აითვისოს გარკვეული უნარ-ჩვევები. დიპლომატიური აკადემიის სტუდენტებიც რეგულარულად გადიოდნენ პრაქტიკას საგარეო საქმეთა სამინისტროში და თბილისში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებში. აკადემიაში ხშირად ვიწვევდით სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრებზე და საჯარო ლექციების წასაკითხად. ბ-ნ სოსოსთან და ქ-ნ თამართან ერთად აკადემიის ლექტორები დავდიოდით საელჩოების ოფიციალურ მიღებებზე, რაც მათ ეროვნულ დღესასწაულებს უკავშირდებოდა, და ესეც ერთგვარი სკოლა იყო. მიხარია, რომ აქტიურ მონაწილეობას

ვიღებდი აკადემიის საიუბილეო თარიღების აღნიშვნის ღონისძიებებში 2000 და 2005 წლებში.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო, რომ აკადემიის არაერთ აღზრდილს მიუღწევია ხელშესახები წარმატებისთვის პროფესიული საქმიანობის გზაზე და საკმაოდ მაღალი პოზიციებიც დაუკავებია. ბოლო დრომდე ქართული დიპლომატიური კორპუსის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ჩვენი აკადემიის კურსდამთავრებულები შეადგენენ.

*ნუგზარ დურმიშიძე*

*საქ. დიპ. აკადემიის კურსდამთავრებული*

*საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის*

*სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების*

*ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

*2023*

## დიპლომატიური აკადემიის ყოფილი სტუდენტის თვალით

*ზნეობა საქციელები არ ბნელობს, არის ნათელი,  
კამკამებს დაუფარავად, ვითა წყვილიაღში სანთელი,  
ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის-მის დროს რაა საქნელი.  
ხურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი.*

*არჩილ მეფე*

საქართველოს დიპლომატიური აკადემია. ჩემთვის ეს სახელწოდება ჩემი ცხოვრების ერთერთ ყველაზე ღირსსახსოვარ და მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირდება.

მახსოვს, მე და ჩემი და (ორივემ ერთად დავამთავრეთ აკადემია წარჩინებით) 1990-იანი წლების მიწურულს, საქართველოს უახლესი ისტორიის ერთერთ უმძიმეს პერიოდში, მკაცრ, სუსხიან ზამთარში, მასობრივი შიმშილობის, უმუქობის, უტრანსპორტობისა და ათასგვარი უმძიმესი გაჭირვების დროს, როგორ ვმეცადინებოდით დღე და ღამე, სანთლის თუ ლამპრის შუქზე. მთელი ოთხი წლის განმავლობაში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩავგვინებია საწერ მაგიდასთან ღამის 2-3 საათზე... მახსოვს აკადემიიდან არაერთი გარიცხული თუ თავისი ნებით წასული სტუდენტი, რომლებმაც უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლეს კოლოსალურ დატვირთვას.

რომ არა დიპლომატიური აკადემია თავისი ბრწყინვალე ლექტორატი, უმაღლესი კლასის პროფესიონალებით, რომელთაც სწავლების განსაკუთრებული სტილი და ინდივიდუალური მიდგომა ქონდათ თითოეულ სტუდენტთან მიმართებაში, ამდენს ალბათ ვერ მივაღწევდით.

აკადემიაში თითქმის ყოველდღე გვსტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები/დესპანები, მინისტრები, პრეზიდენტის მრჩეველები და ა.შ. მგონი, ამდენი საინტერესო სტუმარი არცერთ უმაღლეს სასწავლებელს არ ყოლია არსად და არასდროს. ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, ეს იყო უდიდესი, შეუფასებელი გამოცდილება.

2004 წელს, დიპლომატიური აკადემიის დამთავრებიდან მალევე აკადემიის პრორექტორმა, ცნობილმა მეცნიერმა თამრიკო ცინცაძემ ლექტორის სტატუსით მიმიწვია აკადემიაში. ჩემთვის ეს იყო უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა, ერთგვარი შოკი, რადგან აღნიშნული გულისხმობდა ლექციების წაკითხვას ისეთი სახელოვანი პროფესორების მხარდამხარ, როგორიცაა ორგზის დოქტორის ხარისხის მქონე, საერთაშორისო დონის პროფესორი თამრიკო ცინცაძე, ცნობილი პოლიტოლოგი, დიპლომატიური აკადემიის რექტორი და საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი სოსო ცინცაძე, პროფესორები ილია ტაბაღუა, დევი სტურუა, ვილი კაჭარავა, ლევან მატარაძე, თემურ ქარელი, ფარნა ლომამვილი, თინათინ ბოჭორიშვილი, გურამ ჯოლია, გურამ ასათიანი, მაია დიასამიძე, დადუნა ხუციშვილი, ნუგზარ ღურმიშიძე (დიპაკადემიის კურსდამთავრებული) და მრავალი სხვა ბრწყინვალე სპეციალისტი.

დიპლომატიურ აკადემიას ყავდა ისეთი სტუდენტებიც, რომელთაც უკვე დამთავრებული ქონდათ ერთი ან რამდენიმე უნივერსიტეტი. ზოგიერთმა ჩვენთაგანმა მომდევნო წლებში გააგრძელა სწავლა საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, თუმცა, ვფიქრობ, აკადემიაში გატარებული წლები მაინც განსაკუთრებული იყო. ეს იყო ბრძოლა ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე. სწორედ დიპლომატიური აკადემია დაგვეხმარა საკუთარი თავის სრულად ამოცნობაში, ახლებურად და სრულყოფილად გავვეცნობიერებინა პასუხისმგებლობა ჩვენივე თავისა და სამშობლოს წინაშე.

აკადემიის კურსდამთავრებულთა შორის არიან ელჩები, დესპანები, მინისტრები, დეპუტატები, საერთაშორისო სტრუქტურების თანამშრომლები და ა.შ. ჩვენ ბევრი ფასეული რამ გვასწავლა დიპლომატიურმა აკადემიამ, თუმცა მთავარი არის მაინც იმის გააზრება, რომ დიდი წარმატება მოითხოვს დიდ შრომას.

*გიორგი ბაგიაშვილი*

*საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინგლისური ენის სპეციალისტი,  
სასწავლო სტრუქტურის „დიპლომატიური აკადემია და სკოლა“ კონსულტანტი*

*2023*

\* \* \*

ბევრი რამ კარგი დაიწერა დიპლომატიურ აკადემიაზე – მისი კურსდამთავრებულების და ჟურნალისტების მიერ. მაგრამ იმდროინდელი განათლების მინისტრის კახა ლომიას არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკის გამო, მივიღეთ თუ არა მეოთხედ აკრედიტაცია, იძულებულნი ვიყავით ნებაყოფლობით დაგვეხურა ეს მართლაც სანიმუშო, მაღალი დონის სასწავლებელი. ლომიას მიერ მიღებული კანონები ზღუდავდა ყველაფერს – აზროვნებას, საგნების, სპეციალისტების თუ სპეცკურსების არჩევანს, ნორმალურ მუშაობას, რადგან მუდმივი ბიუროკრატიული საქმიანობით, უსარგებლო საბუთების შექმნით ვიყავით დაკავებული. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი, სტუდენტებისთვის ყველაზე სასარგებლო და აუცილებელი – ქართველი და უცხო ქვეყნების ელჩების ყოველკვირეული ვიზიტებიც კი – უსარგებლოდ იყო გამოცხადებული, რადგან, ლომიას თეორიებიდან გამომდინარე, ამაში სტუდენტებს კრედიტები არ ეწერებოდათ! ასეთ პირობებში მუშაობას სასწავლებლის დახურვა ვამჯობინეთ.

დაიხურა სასწავლებელი, მაგრამ დღემდე შემომრჩა მეგობრობა ჩვენს ყოფილ თანამშრომელთან – ნუგზარ ღურმიშიძესთან (მისი მოგონება წაიკითხეთ), მარიტა ლაშქარაძესთან, მანია დიასამიძესთან, ნელი თალკინასთან, თეა ამნიაშვილთან... ყოველთვის ნოსტალგიით იხსენებენ აკადემიას, არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის – აკადემია ადვადგინოთო. შეუძლებელია, ცნობილია! ერთსა და იმავე ნაკადში ორჯერ ვერ შეხვალ.

თამარ ცინცაძე

2023

## ზოგიერთი მოსაზრება როტარის სისტემის და როტარის კლუბის თაობაზე

საქველმოქმედო-ჰუმანიტარული როტარის სისტემის შესახებ პირველად გავიგე აშშ-ს უნივერსიტეტებში მოგზაურობის დროს. როგორც ამერიკანისტს და საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ერთერთ დამფუძნებელს ამერიკის საელჩოს კულტურულმა განყოფილებამ შემიდგინა გეგმა აშშ-ში სხვადასხვა უნივერსიტეტის და კვლევითი ცენტრის გასაცნობად და გამამგზავრა აშშ-ში.

ეს იყო 22 წლის წინ. გავცანი სხვადასხვა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებს, დავამყარე პროფესიული კონტაქტები და ერთერთ შტატში შეხვდი აგრეთვე ჩემთვის უცნობი საზოგადოების წარმომადგენლებს - აღმოჩნდნენ

როტარელები, ადგილობრივი როტარი კლუბის წევრები. მათგან გავიგე, რომ თბილისში არსებობდა საქართველოში ერთადერთი როტარი კლუბი.

დაბრუნებისას დავიწყე კლუბის ძიება. აღმოვაჩინე სასტუმრო „შერატონში“. დავიწყე კლუბის შეხვედრებზე დასწრება. გამიტაცა 115 წლის წინ აშშ-ში პოლ ჰარისის მიერ დაარსებულმა საერთაშორისო როტარი სისტემამ მისი კეთილშობილი იდეებით. მართლია, ამ იდეების სრულ ასახვას ვერ ვხედავდი იმ კლუბის მუშაობაში, მაგრამ ნაწილობრივ ასახულიც კი ეს იდეები იყო საინტერესო. ვხედავდი როტარი სისტემის პოტენციალს. ეს სისტემა დაფუძნებულია ჰუმანიტარულ იდეაზე, კლუბის წევრების მეგობრობაზე, ერთიანობაზე, სუსტების და გაჭირვებულების უანგარო დახმარებაზე. როტარის ერთერთი მთავარი პოსტულატი ქადაგებს, რომ სამსახური პირად ინტერესებზე უპირატესია. ვეძებდი ამის ასახვას იმ კლუბის მუშაობაში და ხშირად ვერ ვპოულობდი. ამიტომაც დროთა განმავლობაში კლუბი შესუსტდა, დაიქსაქსა და ბოლოს დაიხურა, თითქოს ამოწურა თავისი შესაძლებლობები.

მიუხედავად ამისა კლუბში თითქმის 10 წლის წევრობამ შემაჩვია ამ სისტემას, სისხლში გამიჯდა ყოველკვირიულ შეხვედრებზე დასწრება, პროექტების განხილვა... ამიტომ გადავწყვიტე ახალი როტარი კლუბის დაარსება თბილისში. მეგობრები მხარში ამომიდგნენ, და 2009 წელს დავაფუძნე „როტარი კლუბი თბილისის აკადემია“. იმდროინდელმა როტარი ოლქის გუბერნატორმა ბ-ა ნიჯად ალათასიმ და თანმხლებმა პირებმა ჩამოგვიტანეს ე. წ. „ჩარტერ“- ლიცენზია, რომელიც ნებას რთავდა კლუბს საქველმოქმედო საქმიანობაზე საერთაშორისო როტარი სისტემის ფარგლებში. ამის შემდეგ მალე გაიხსნა მეორე როტარი კლუბი. გავიდა წლები. თბილისში გაიხსნა მესამე როტარი კლუბიც. მანამდე- კლუბი რუსთავში, კიდევ ერთი ბათუმში. მალე მეოთხე კლუბიც დაფუძნდება თბილისში. ეს ბუნებრივი პროცესია- იდეა მწიფდება და ვრცელდება. ყოველი კლუბი თავისი შემადგენლობით და საქმიანობით განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებთ ჩვენი მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების დახმარების იდეა, საზოგადოების სამსახური.

„როტარი კლუბი თბილისის აკადემია“ ახორციელებს ჰუმანიტარულ პროექტებს დაარსების წლიდან. უცხოელი სპონსორების მხარდაჭერით დავებმარეთ თელავის ახალგაზრდულ ორგანიზაციას (YMCA Telavi), თბილისის ერთერთ სატრენინგო ცენტრს (Life Chance), 260 ბავშვს აფხაზეთის მაღალმთიან სოფლებში გავუგზავნეთ ანემიის საწინააღმდეგო მედიკამენტები, დავასპონსორეთ ადრე არსებული საგურამოს ბავშვთა სახლი, ორწლიანი საგანმანათლებლო პროექტის შედეგად (იხ. მასალა Fb-ში) ჩავუტარეთ პროფესიული ტრენინგები 140 დევნილ სტუდენტს და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს (120 თბილისში, 20 თელავში). ორჯერ დავებმარეთ უნარდაქვეითებული ბავშვების სახლს (თბილისი, ბორჯომის ქ. №10). იყო სხვა საინტერესო პროექტებიც. ახლაც განვიხილავთ ორ პროექტს, რომლებიც ეხება საქართველოს ორი რეგიონის განვითარებას.

წლების განმავლობაში საქართველოში არსებული ეკონომიკური პირობების გამო კლუბის შემადგენლობა იცვლებოდა. ადრე როტარი კლუბებში დებულობდნენ ასაკოვან,

ხშირად საპენსიო ასაკის ადამიანებს. აშშ-სა და ევროპაში კლუბში გასაწევრიანებლად ღირსეული კანდიდატები ხშირად ე. წ. „მოლოდინის სიაში“ არიან წლების განმავლობაში, მანამდე კი ესწრებიან კლუბის სხდომებს სტუმრების ან კლუბის მეგობრების სტატუსში. ეს მეტყველებს როტარი კლუბში წევრობის პრესტიჟულობაზე აშშ-სა და ევროპაში. როტარი კლუბებში გაწევრიანებულნი ყოფილან (და არიან) პრეზიდენტები, მინისტრები, გუბერნატორები, წარმატებული ბიზნესმენები, პროფესიონალები.

ყოველ კლუბს, ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, აქვს თავისი კლასიფიკატორი - სასურველი პროფესიების ჩამონათვალი, რომლის მიხედვით ღებულობენ ახალ წევრებს. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალრიცხოვანი კლუბებისათვის. სახელწოდება „როტარი“ მოდის როტაციის ცნებიდან - კლუბში ყოველწლიურად როტაციის პრინციპით იცვლება პრეზიდენტი და ყველა „ოფიცერი“ / თანამდებობის პირი. ეს დემოკრატიულობის ამსახველი პრინციპია - ყოველ წევრს აქვს საშუალება სცადოს თავისი ძალები ამა თუ იმ თანამდებობაზე, შესთავაზოს კლუბს თავისი პროექტი, სხვადასხვა იდეა.

საერთაშორისო როტარის (ამ სისტემის სათავე ორგანიზაციას) აქვს შემუშავებული წესების ვრცელი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა დეტალი - სტრუქტურული, ქცევითი, ეთიკური, ნორმატიული (იხ. [www.rotary.org](http://www.rotary.org)). ამ წესდებას შეგიძლიათ გაცნოთ ინგლისურ და რუსულ ენებზე ინტერნეტში.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ თავდაპირველად კლუბებში ღებულობდნენ ასაკოვან ადამიანებს, რომლებიც ხშირად საქმიანობიდან უკვე გადამდგარები იყვნენ და მთელ დროს და ენერგიას ანდობდნენ კლუბს, რომელიც მათთვის მეორე ოჯახი ხდებოდა. მაგრამ დრომ და საზოგადოების ევოლუციამ, ისევე როგორც ტექნიკურმა პროგრესმა, შეიტანეს კორექტივები როტარის ცხოვრებაში. ჩვენს კლუბშიც წევრების პირველი თაობა შედგებოდა 40-65 წლის ადამიანებისაგან (საშუალო ასაკი იყო 52 წელი). ესენი იყვნენ პროფესორები, ყოფილი პარლამენტის წევრები, ბიზნესის წარმომადგენლები. მაგრამ ამ თაობის უმრავლესობა არ ფლობდა უცხო ენებს (გარდა რუსულისა) და ვერ იყენებდა ელ-ფოსტას, ინტერნეტის სივრცეს. ეს პროცესი ეხება არა მარტო საქართველოს. ამ ვითარებამ გამოიწვია კლუბების გაახალგაზრდავება. ჩვენი კლუბი არ წამოადგენს გამონაკლისს, კლუბში მოვიდნენ ახალგაზრდა წევრები. ჩვენი კლუბი ხდება ჭეშმარიტად საერთაშორისო - გვყავს იტალიელი, ამერიკელი, გერმანელი წევრები. ვგეგმავთ კლუბის გაზრდას. მზად ვართ მივიღოთ ყველა დაინტერესებული პირი, რომელიც მზად არის მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო პროექტების შექმნასა და განხორციელებაში. როტარი არ ცნობს დისკრიმინაციას ასაკის, სქესის, სარწმუნოების, ეროვნებისა ან პოლიტიკური მრწამსის საფუძველზე.

ჩვენს როტარი კლუბს აქვს ორი ადგილი მეზვედრებისთვის - ერთერთი ცნობილი და ელეგანტური რესტორანია რუსთაველის გამზირზე და ხატოვანი სამხატვრო გალერეა „თამარისი“. კლუბში ხშირად ჩამოდიან უცხოელი როტარელები, რომლებიც საქართველოში მოგზაურობენ. კლუბი ერთი ნიშნით განსხვავდება სხვა კლუბებისაგან: მე, კლუ-

ბის დამფუძნებელი, ერთდროულად ვარ საქართველი-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელიც. ამიტომ კლუბის წევრები ერთდროულად არიან ამ საზოგადოების წევრებიც, რაც დამატებით წახნაგს სძენს კლუბის წევრების ურთიერთობებს ერთმანეთში და ამ საზოგადოების სხვა წევრებთანაც. ამ დღეებში გვესტუმრა ჩინეთის ელჩი საქართველოში ბ-ი ჯი იენჩი თავისი მრჩევლებით (იხ. სურათები Fb-ში). კლუბი ცხოვრობს საინტერესო ცხოვრებით, დებულობს მონაწილეობას ახალგაზრდული კლუბის - როტარაქტის - დაფუძნებაში. ვქმნით და ვინილავთ საქველმოქმედო პროექტებს. ვფიქრობთ, რომ მივაღწიეთ კლუბის წევრებში შინაგან ჰარმონიას და მეგობრულ ურთიერთობებს, რაც წარმატებული საქმიანობის წინაპირობაა.

იმედი გვაქვს, ჩვენი მოქალაქეები, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები უცხოელები, დაინტერესდებიან როტარი კლუბის თბილისის აკადემიით და შემოგვიერთდებიან საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში.

*პროფ. თამარ ცინცაძე*

*როტარი კლუბი თბილისის აკადემია-ს დამფუძნებელი პრეზიდენტი,  
საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი*

## **ROTARY CLUB of TBILISI ACADEMIA**

### **SHORT OUTLINE OF HISTORY AND ACTIVITY**

This is a short information on the international structure „Rotary Club of Tbilisi Academia“, which is one of about 35 000 clubs functioning in the world (see [www.rotary.org](http://www.rotary.org)). This system was created 115 years ago in Chicago (USA)) and rather quickly spread all over the world. This is explained by humanitarian and charity-oriented activity and character of this system and its service rendered to those who need help and support.

I am Dr. Tamari Tsintsadze, two PhDs in American studies, Vice-President of the Diplomatic Academy of Georgia in 1995-2015, founder of the Art Gallery „Tamarisi“, President of the Society of Friendship between Georgia and China. I founded the above mentioned rotary club in 2009; before that for 10 years I was a member of the rotary club which existed earlier in Tbilisi.

During the existence of RC of Tbilisi Academia members of the club created and implemented several international and local socially-oriented projects. With the help of German clubs our club renovated and equipped the youth center in Telavi (YMCA Telavi), purchased equipment for the training center „Life Chance“ which trains and creates job placements for socially vulnerable youth. With the help of rotary clubs of Nebraska (USA) we equipped the library of Saguramo orphanage and computerized it.

In Fall 2013 we finished a one-year educational mentoring project, which focused on deepening professional and social skills of IDP (Internally Displaced Persons) students. For one year mentors-professors, academics, employees of the Parliament and MFA (Ministry of Foreign Affairs) of Georgia, members of the Government of Abkhazia - taught 60 IDP students, deepened their professional skills, prepared them for better integration into the society in which they lived.

This project was evaluated very positively, that is why rotary clubs of Nebraska and RI (Rotary International) decided to extend the project for one more year. This time Telavi Youth Center was included into the project – 20 students were trained at Telavi University in addition to 60 IDP students trained in Tbilisi on the basis of RC of Tbilisi Academia.

One of the practical results of the project was the creation of the NGO „IDP Youth in Action“ by 3 former participants of the project. The work of the NGO, as that of the rotary club, is of humanitarian character. Donors and the RC of Tbilisi Academia chose this NGO as the implementor of the second stage of the project. As a result of the second stage 80 students in Tbilisi and Telavi were given professional training. The additional base was created which would attract the attention of foreign rotarians and RI to humanitarian projects in Georgia.

Each mentor met his/her students (2-3) at the office or at home 2-3 times a month (depending on the mentor's choice)). The mentor's aim was to deepen professional and social skills of the students, teach them to write CVs, resumes, motivation letters, business plans, discuss with them broader issues, share with them his/her own professional experience.

Before the mentoring project one of American clubs (Rappahannock club) helped our club purchase anemia prevention medicine which we sent to villages in mountains of Abkhazia for children suffering from anemia. We got a letter of gratitude with names of 260 beneficiaries. Implementation of such projects makes you feel deeper huge potential of human kindness and goodwill.

At present the club works at a number of projects. Two of them focus on developing two regions in Georgia – Kakheti and Racha-Lechkhumi. We also discuss an interesting on-line educational/linguistic project for various segments of the society – in Georgia and beyond.

Club members and I address representatives of our society – professionals, supporters of humanitarian projects and ideas, foreigners who are occupied with various businesses in Georgia. We offer them to join us, take part in creation and implementation of various socially oriented projects, put their share into supporting our population, helping people to get education, necessary medical help, job placements, upgrading living and working conditions of our citizens. We cannot leave anything better than that to the next generation.

*You can get in touch with the club by e-mail:  
tamriko@mail.com, zazakhurtsidze@yahoo.com*

*Sincerely*

*Prof. TAMARI TSINTSADZE  
Charter President, Rotary Club of Tbilisi Academia*



# ამბავი როტარი კლუბისა და კიდევ ბევრი სხვა რამ...

(ინტარვიუ საინტარესო რესპონდენტთან საინტარესო საკითხებზე)

ჩვენი კორესპონდენტი თუა წიკლაური ესტუმრა ადამიანს, რომელიც მუდამ არის დაკავებული თავისი საქმით, პროფესიით, სტუდენტებით, ქველმოქმედებით, ხელოვნებით; რომელსაც მრავალი მეგობარი ჰყავს, ახლოს იცნობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან.

პროფესორ-ამერიკანისტთან თამარ ცინცაძესთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი საუბრის შემდეგ ჩავიწერეთ ინტერვიუ, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ.

**– ქ-ნო თამარ, უნდა გკითხოთ, რა სიახლეებია თქვენს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რითი ცხოვრობთ, რაზე ფიქრობთ. რამდენიმე კითხვას დაგისვამთ.**

– მზად ვარ გიპასუხოთ.

**– რითია დაკავებული თქვენ მიერ დაფუძნებული საერთაშორისო როტარი კლუბი?**

– „როტარი კლუბი თბილისი აკადემია“ დავაფუძნე 2009 წელს. მანამდე თითქმის 10 წლის განმავლობაში ვიყავი თბილისში ადრე არსებული როტარი კლუბის წევრი, რომელიც მისი ხელმძღვანელობის უნიათობის გამო დაიხურა 2008 წელს. როტარი საქველმოქმედო სისტემაა, რომლის კლუბები ნაყოფიერად მუშაობენ მთელს მსოფლიოში აი, უკვე 108 წელია. თუ კლუბი არ ქმნის პროექტებს და არ ასრულებს ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო ფუნქციას, მისი არსებობა გაუმართლებელია. გადაწყვიტე შემექმნა კლუბი, რომელიც საქმით იქნებოდა დაკავებული, ქველმოქმედებით, სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებით. ჩვენი კლუბი სწორედ ასე მუშაობს. ოთხ წელიწადში შევქმენით მრავალი პროექტი, დავამყარეთ კონტაქტები კლუბებთან საზღვარგარეთ. მათი დახმარებით შევიძინეთ წამლები 260 აფხაზი ბავშვისათვის და გადავაგზავნეთ აფხაზეთის მაღალმთიან სოფლებში; დავეხმარეთ საგურამოს ბავშვთა სახლს – აღვჭურვეთ მისი ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი. გავუგზავნეთ ინგლისური ენის მასწავლებლები. სპონსორი იყო აშშ-ის ნებრასკის შტატის ერთერთი კლუბი. გერმანული კლუბის დახმარებით გავარემონტეთ და აღვჭურვეთ თელავის ახალგაზრდული ცენტრი, დავეხმარეთ არასამთავრობო ორგანიზაციის „რე-ლაიფ“-ის ერთერთ პროექტს, დაკავშირებულს პროფესიულ სწავლებასთან.

გასულ სასწავლო წელს როტარი ინტერნეტენელმა და იგივე ნებრასკის კლუბმა დაასპონსორეს ჩვენი კლუბის ორწლიანი სამენტორო პროექტი, რომლის მიზანი იყო დევნილი სტუდენტების დახმარება. 25 მენტორი-ვოლონტიორი (პროფესორები, აფხაზეთის მთავრობის წევრები, პარლამენტის, საგარეო უწყების და დიპლომატიური აკადემიის თანამშრომლები) მუშაობდნენ 60 დევნილ სტუდენტთან, ამზადებდნენ მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, აღრმავებდნენ მათ პროფესიულ ჩვევებს და საერთო ცოდ-

ნას. პროექტი დადებითად შეფასდა, რის შედეგადაც როტარის სათაო ორგანიზაციამ გამოყო თანხა პროექტის შემდგომი სტადიის განსახორციელებლად ახალ სასწავლო წელსაც, რაზედაც ინვერიდან ვმუშაობთ. სამმა მარშანდელმა სტუდენტმა დააარსა არა-სამთავრობო ორგანიზაცია „ღვენილი ახალგაზრდობა მოქმედებაში“, რომელიც შეასრულებს პროექტის ტექნიკურ-ლოჯისტიკურ ნაწილს. ახალი პროექტი ამჟამად მოიცავს თელავსაც. პროექტის მთავარი მიზანია დაეხმაროს ღვენილი სტუდენტების ინტეგრაციას ჩვენს საზოგადოებაში.

**– შევხვით თქვენი საქმიანობის სხვა წახნაგს – რა ხდება თქვენს არაჩვეულებრივ სამხატვრო გალერეაში „თამარისი“?**

– გალერეა მართლაც ხატოვანია – მის ლამაზ დარბაზში განთავსებულია მუდმივი და განახლებული ექსპოზიციები, მაგრამ ეს გალერეა არა მარტო ხელოვნების სავანეა, არამედ როტარი კლუბის და მისი სტუმრების ყოველკვირეული შეხვედრების ადგილი, პრეზენტაციების დარბაზი, ადგილი, სადაც იკრიბებიან საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების წევრები.

**– მოგვიყვით ამ საზოგადოების შესახებ.**

– საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება დავაფუძნე 2009 წელს, მაგრამ ამ ქვეყნისადმი ინტერესი მქონდა ახალგაზრდობიდან, როდესაც კვითხულობდი ჩინეთის შესახებ, ვაგროვებდი ჩინური ხელოვნების არტეფაქტებს, ვეცნობოდი ჩინეთის ისტორიას, ხელოვნებას, ლიტერატურას. ყოველივე ეს მოგვიანებით აისახა ჩემს ბინაში ჩინური ხელოვნების მუზეუმის შექმნაში, ჩინეთის საელჩოსთან მეგობრობაში, შემდეგ კი – საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დაფუძნებაში.

**– ვინ არიან ამ საზოგადოების წევრები, რა კეთდება ამ საზოგადოებაში?**

– ამ საზოგადოების წევრები თავიანთი საქმიანობის ამა თუ იმ წახნაგით დაკავშირებულნი არიან ჩინეთთან, მის საგარეო პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, ხელოვნებასა თუ სახალხო მედიცინასთან. პერიოდულად ვიკრიბებით, ვაცნობთ ერთმანეთს და სტუმრებს ჩვენს საქმიანობას, ვღებულობთ ჩინეთის ელჩებს და საელჩოს თანამშრომლებს. ერთერთი ასეთი შეხვედრა შედგა 2012 წ. სექტემბერში და მიეძღვნა საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავს. შემდეგი შეხვედრა ელჩთან შედგა 2013 წლის ივლისში, როდესაც ბატონ ჩენ ჯიანფუს გადავეცით დიპლომატიური აკადემიისა და საზოგადოებისაგან საპატიო დოქტორის დიპლომი.

**– რას იტყვით დიპლომატიურ აკადემიაზე?**

– მე დავაარსე ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურა – „დიპლომატიური აკადემია და სკოლა“, რომელშიც ხორციელდება არასტანდარტული პროგრამები. აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესი იმდენად ხისტია, მოთხოვნები ხშირად მკაცრი და არარეალურია, რომ დიდი ხნით გწყვეტენ შემოქმედებით პროცესს. ხდება ამ მოთხოვნების მძევალი. ჩემი ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურა იმუშავებს ორ დონეზე – ბავშვებისათვის და მოზრდილი ადამიანებისათვის. ეს იქნება სხვადასხვა პროფესიული და ენობრივი კურსები, პოლიტიკური და ბიზნეს-კონსალტინგი და სხვ. ამ სტრუქტურაში მუ-

შაობს დიპ. აკადემიის პროფესურა. ველით ყველა ასაკის და სპეციალობის მსურველებს. კურსები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, მსმენელის დონისა და მიზნებიდან გამომდინარე, ჯგუფური ან ინდივიდუალური.

**– პრესიდან მახსოვს, გალერეა „თამარისის“ გახსნას ეწვრიებოდნენ ელჩები და საელჩოების თანამშრომლები.**

– დიას, იყვნენ დიპლომატები ჩინეთის, იაპონიის, კანადის, ირანის, რუმინეთის, ესტონეთის საელჩოებიდან. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ საელჩოებს, დიპ.კორპუსს. ხშირად ვიწვევდი ელჩებს დიპ.აკადემიაში სტუდენტებთან შესახვედრად; რეკომენდაციას ვუწევდი ჩვენს კურსდამთავრებულებს სხვადასხვა საელჩოში სამუშაოდ ან სტაჟირებისათვის. ამჟამად ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ აშშ-ის, ყაზახეთის, უკრაინის და სხვა საელჩოები, ზოგიერთი უკვე ელჩის ან დესპანის თანამდებობაზეც მუშაობდა (ნ. ბარათაშვილი, გ. თევზაძე, გ. ქერდიცოშვილი, ნ. ჩალოვეი, ა. მაისურაძე, მ. ბოჭორიშვილი და სხვ.). ბევრი სხვაც მუშაობს დიპ. მისიებში. ძალიან ვამაყობ ჩვენი კურსდამთავრებულებით. სტუდენტებთან მუშაობა ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი. მე ახლაც არ ვკარგავ კონტაქტს კურსდამთავრებულებთან.

**– როგორ ინარჩუნებთ ამ კონტაქტებს?**

– 2005 წ. მე შევქმენი დიპ.აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაცია – პირველი ასეთი ასოციაცია საქართველოში. ვხვდებით პერიოდულად. მინდა ვაქციო ეს შეხვედრები ყოველწლიურად. ბოლო ასეთი შეხვედრა შედგა გასული წლის ნოემბერში. მე მიხარია კურსდამთავრებულების ნახვა. ვხედავ, რომ ასეთი შეხვედრები მათთვისაც მოვლენაა. ბევრი მათგანი ვერ ხვდება ერთმანეთს შუალედებში. ბოლო შეხვედრა შედგა გალერეა „თამარისში“. ავირჩიეთ კურსდამთავრებულთა ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, კურსების წარმომადგენლები. დაიწყეს მუშაობა საიტზე. მასალის ნაწილი დიპ. აკადემიის და გალერეის ფეისბუქებზეცაა.

**– როგორ გყოფნით დრო ყველაფერზე? საიდან იღებთ ძალას?**

– ბუნებით მე ოპტიმისტი ვარ და უქმად არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის მჯერა ნებისმიერი მცდელობის და შრომის დადებითი შედეგისა. შრომის გარეშე ადამიანი ადამიანი არ არის. შეუძლებელია ცხოვრობდე უსაქმობაში და წვრილმანი ინტერესებით. ცოდვია ცხოვრობდე სხვებზე ზრუნვის გარეშე, არ ეხმარებოდე მათ, ვისაც დახმარება სჭირდება. ამ რწმენიდან აღმოცენდა როტარი კლუბიც და მრავალჯერადი დახმარება საზოგადოება „თემს“ (გრემში), მგზავრობა გრემში კლუბის ორ წევრთან ერთად, სტუდენტების მიერ „თემისთვის“ ქველმოქმედების გაწევა და მრავალი სხვა.

**– სხვა რა საზოგადოების წევრი ხართ?**

– ორი წლის წინ გავეწვრიანიდი საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციაში. ეს საინტერესო ადამიანების კავშირია, რომლებიც ეხმარებიან ავადმყოფ ადამიანებს, საბავშვო ბაღებს, სხვა ორგანიზაციებს. წელს ამ ორგანიზაციამ პირველ ლედისთან ქ-ნ სანდრა რულოვსთან ერთად მოაწყო საქველმოქმედო სადილი აუქციონით; შემოსული თანხა გადაერიცხა ონკოლოგიისაგან განკურნებულ ქალთა ფონდს. პირველად ვნახე ჩემი სიძე

დიკლომატიური აკადემიის სტუდენტები, პროფესორები და აკადემიის  
ხშირი სტუმრები – უცხოელი დიკლომატები



















კანადის კონსული კლიფ აიზეკი აუქციონის წამყვანის როლში. ნამდვილად ბრწყინვალე იყო. მოგვიანებით დამსწრენი ამბობდნენ – კლიფი რომ არა, ასეთი შემოსავალი არ იქნებოდაო. ჩემმა ქალიშვილმა და რძალმაც შეიძინეს ქართველი მხატვრების სამი სურათი, რითაც წვლილი შეიტანეს საქველმოქმედო აუქციონში.

**– ვხედავ, თქვენს ოჯახში ყველანი ეწევით ქველმოქმედებას.**

– დიახ. ეტყობა, მაგალითი გადამდებია.

**– რას გეგმავთ მომავალში?**

– ნამდვილად ვიცი, რომ ვიქნები დაკავებული როტარი კლუბით (სანამ კლუბის ახალ-გაზრდა წევრებს გადავცემ სათავეებს), გალერეით, დიპ.აკადემიით, მისი კურსდამთავრებულების ასოციაციით, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებით; ვიმუშავებ ქალთა საერთაშორისო ასოციაციაში. შეიძლება ახალი რამ შევქმნა კიდევ.

**– რა?**

– ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, როდესაც რაიმე ახალს შევქმნი და ავამოქმედებ.

**– არ შემიძლია არ ვახსენო ისიც, რომ თქვენი პორტრეტები მოთავსებულია დ. მდივნიშვილის ალბომებში, რომლებშიც ასახულია საქართველოს უღამაზესი ქალები.**

– ამას, თქვენი ნებართვით, უკომენტაროდ დავტოვებ.

**– გნებავთ რაიმე უთხრათ მკითხველებს?**

– კარგი აზრია. როტარი კლუბში ველით ახალ წევრებს, ისევე, როგორც დონორებს სამენტორო პროექტის მესამე ეტაპის განსახორციელებლად შემდეგ სასწავლო წელს. ამერიკელი სპონსორები ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების აქტიურობას ელიან სოციალურ-ჰუმანიტარული პროექტის განსახორციელებლად, რომლის ბენეფიციარები არიან დევნილი სტუდენტები.

კლუბის ტელეფონია 577 46 10 38, ელ-ფოსტა [tamriko@mail.com](mailto:tamriko@mail.com)

გთხოვთ გამოგვენიანოთ!

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,*

*13 სექტემბერი, 2013 წ.*

## **როტარის ჰუმანიტარული პროექტი დევნილი სტუდენტების დასახმარებლად**

2012 წ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში (Georgian Journal, Messenger, Vecherni Tbilisi, როტარის საოლქო ჟურნალში District Magazine) დაიბეჭდა მასალები როტარის ჰუმანიტარულ სამენტორო პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა დევნილი სტუდენტების დახმარებას საქართველოში.

„როტარი კლუბი თბილისი აკადემია“ (Rotary Club of Tbilisi Academia), რომელიც 2009 წ. დააარსე, ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ გააადვილოს და უფრო სრული გახადოს დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაცია ჩვენს საზოგადოებასთან და მის სხვადასხვა ინსტიტუციასთან.

როტარის საერთაშორისო ორგანიზაციამ (Rotary International) უკვე ორჯერ დააფინანსა სამენტორო პროექტი საქართველოში. პროექტის ავტორობა ეკუთვნის ნებრასკის შტატის (აშშ) ერთერთ კლუბს და „როტარი კლუბი თბილისი აკადემია“-ს. ამ პროექტის ჩარჩოებში 2011-2012 სასწავლო წელს ქართულმა როტარი კლუბმა მიიწვია 25 მენტორი 60 დევნილ სტუდენტთან სამუშაოდ. პროფესორები, საქართველოს პარლამენტის და საგარეო უწყების თანამშრომლები (დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულები), აფხაზეთის მთავრობის წევრები ერთი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ატარებდნენ აკადემიურ და პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებთან. ყოველ მენტორს ყავდა 2-3 სტუდენტი. მენტორები აღრმავებდნენ სტუდენტების პროფესიულ და ზოგად ცოდნას, ამზადებდნენ მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, სამსახურის ძიების პროცესისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილთა დასახმარებლად“ ასრულებდა პროექტის ტექნიკურ მხარეს. პროექტის დასრულებისას სამმა სტუდენტმა (მენტორები პროფ. თ. ცინცაძე და პროფ. ნ. კაკაურიძე) დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში“, რაც იყო სამენტორო პროექტის ერთერთი პრაქტიკული შედეგი.

პროექტმა მთლიანობაში მიიღო „როტარი ინტერნეშენელის“ დადებითი შეფასება. ამიტომ როტარი სისტემის სათაო ორგანიზაციამ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაეფინანსებინა სამენტორო პროექტი – მისი მეორე სტადია, ისევ იგივე როტარი კლუბებთან ტანდემში. ჩვენმა კლუბმა შეიტანა საგრძნობი ცვლილებები პროექტში: გააფართოვა პროექტის გეოგრაფია – ამჟამად პროექტი გავრცელდა თელავზეც. თელავის ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე 6 მენტორი (პროფესორები, ბიზნესმენები) იმუშავენ 20 დევნილ სტუდენტთან. პროექტში შევიტანეთ სტრუქტურული ცვლილებები. მოვიწვიეთ ახალი მენტორები – პროფესურა, ცნობილი პროფესიონალები და ბიზნესმენები; მოეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში“ (რომელიც დააფუძნეს შარშანდელი პროექტის სტუდენტებმა) შეასრულებს ლოჯისტიკურ სამუშაოს. წყვილში მუშაობის გარდა (მენტორი-სტუდენტები) დაგეგმილია ყოველთვიური საერთო ლექციები საერთაშორისო ცხოვრების უმთავრესი ასპექტების თემებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნება დირექტორთა საბჭო, რომელშიც შევლენ პროფესიონალები და ბიზნესმენები – დონორები. საბჭო გააკონტროლებს ახალი პროექტის მიმდინარეობას და იზრუნებს დონორების მოძიებაზე პროექტის მესამე სტადიის განსახორციელებლად. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია – ამერიკული მხარე, რომელმაც დააფინანსა პროექტი ორი წლის განმავლობაში, ელის აქტიურ ნაბი-

ჯებს ქართული მხარიდანაც პროექტის შემდეგი სტადიის უზრუნველსაყოფად. არსებული პროექტის ფარგლებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მონაწილეობს 60-70 სტუდენტი, მოთხოვნა კი დევნილი სტუდენტების მხრიდან დიდია. დახმარება სჭირდება სხვა სტუდენტებსაც. პროექტის ბოლოს 2014 წლის სექტემბერში შედგება საბოლოო სესია, რომელზეც ყველა მონაწილე შეაფასებს პროექტს, შეავსებს კითხვარებს და მიიღებს საერთაშორისო მნიშვნელობის სერტიფიკატს.

ახალი პროექტი დაიწყო 2013 წლის აგვისტოში, თუმცა მოსამზადებელი სამუშაო გრძელდებოდა იანვრიდან აგვისტომდე. ამან მოითხოვა ბევრი დრო და ენერჯია, მაგრამ ამის შედეგად დაიგეგმა ძირითადი სამუშაო, მოწვეული იყვნენ მენტორები, ჩატარდა გასაუბრება სტუდენტებთან. სექტემბერში დაიწყება სტუდენტების მუშაობა მენტორებთან. სამუშაო ჯგუფი – როტარი კლუბი თბილისის აკადემია, მისი მრჩეველი ბ-ნი ტომ ქარდველი (აშშ), არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში“ – ემზადება 2013-2014 წწ. სამენტორო პროექტის მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებისათვის.

სექტემბერში თბილისში ჩამოვლენ საპატიო სტუმრები – როტარი ოლქის გუბერნატორი ბ-ნი ჯამილ მოუავადი (ლიბანი), მდივანი, ტრენინგების ჩამტარებელი და 35 როტარელი. ეს იქონიებს დადებით გავლენას პროექტზე. გუბერნატორის რჩევები იქნება მნიშვნელოვანი, ისევე როგორც პოტენციური დახმარება მისგან და ოლქისაგან.

ჩვენ ყველანი პროექტის დაწყების, გუბერნატორის და მისი ჯგუფის ჩამოსვლის მოლოდინში ვართ. გუბერნატორის და ლიბანელი კოლეგების ჩამოსვლა შესძენს პროექტს ახალ განზომილებას.

როტარი კლუბის ხელმძღვანელობა მიმართავს ბიზნესმენებს და სხვა პოტენციურ დონორებს წინადადებით შეიტანონ წვლილი სამენტორო პროექტის მესამე სტადიის განხორციელებაში. გავაერთიანოთ ძალები დევნილი სტუდენტების, დევნილი ახალგაზრდების დასახმარებლად. დავეხმაროთ მათ გახდნენ ჭეშმარიტი პროფესიონალები, გაიფართოვონ თვალსაწიერი, უკეთ გაიცნონ საქართველო და საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობენ, გახდნენ მისი სრულფასოვანი და ღირსეული წევრები.

*თამარ ცინცაძე,  
პროფესორი, „როტარი კლუბი თბილისის აკადემია“-ს  
დამფუძნებელი პრეზიდენტი  
2013*

## Rotary Helping IDP Students in Georgia

IDPs (Internally Displaced Persons) appeared in Georgia as a result of two wars actually initiated by Russia – the former in 2001 in Abkhazia when substantial territories were taken away from Georgia, the latter – in 2008 in Samachablo (South Ossetia), which was separated from Georgia by the same scheme.

IDPs flooded cities and villages, the capital city Tbilisi in particular. Since then there have been many problems connected with the housing of IDPs, their education, healthcare. Permanent displacement and scarcity of job positions, difficulties stood in the way of IDP children's education, their full and harmonious integration into the Georgian society.

Rotary Club of Tbilisi Academia, founded in Georgia in 2009 by Prof. Tamari Tsintsadze, does much to help IDP students fully integrate into the Georgian society, its various institutions. This was attained through two humanitarian educational projects initiated by Nebraska's South Lincoln Rotary Club (USA), sponsored by it and Rotary International and implemented by Rotary Club of Tbilisi Academia.

In 2012-2013 the club recruited 25 mentors (volunteers) for 60 IDP students. Professors, employees of the Parliament of Georgia and Ministry of Foreign Affairs, leading members of the government of Abkhazia for an year held academic sessions with mentees, taught them professional and life skills, prepared them for the job-seeking process after graduation.

Three IDP students, as a result of their training in the project, created NGO „IDP Youth in Action“. The project got positive evaluation from Rotary International which decided to sponsor another mentoring project in Georgia, again together with South Lincoln Rotary Club.

Dr. Tamari Tsintsadze and the Board of the club introduced many changes into the project geographically (Telavi city was included into the project) and structurally (new mentors, including well-known businessmen; excursions to important historical sites; new NGO „IDP Youth in Action“ as the implementor of the project, monthly lectures for all mentees on various aspects of international life, other novelties).

Particularly important is the fact that the Advisory Council will be created (with professionals and businessmen, other donors), which would supervise the project and seek donors for the realization of its third stage. It is a very important point: the American side, which sponsored the project for two years, expects the Georgian side, its businessmen to take an active part in supporting the third stage of the project. In one academic year in the framework of the project 60-70 students can be trained. Other IDP students also are worthy of support and attention. At the end of the project there will be the final conference, during which International certificates will be handed out to all participants of the project – students, mentors, representatives of the NGO.

The new project started in August 2013 though the preparatory work was going on since January. It was a time consuming job but finally all main points have been worked out, mentors invited, IDP students interviewed, the general plan drawn. In September mentor – student pairs will start to work. The whole team – Rotary Club of Tbilisi Academia, its advisor Mr. Tom Cardwell

(Nebraska), NGO „IDP Youth in Action“- are on the verge of an important stage of the Mentoring Project 2013-2014.

In September 2013 Governor Mr. Jamil Mouawad, Secretary David Zein, main trainer Mr. Ignace Mouawad and 35 rotarians from Lebanon will arrive in Tbilisi. This will also be beneficial for the project. Governor's advice will be invaluable, as well as some potential help from the District. So we are looking forward to the beginning of the project and arrival of the Governor's team, which will add new dimensions to the project.

Board and members of Rotary Club of Tbilisi Academia address businessmen and other potential donors in Georgia with the suggestion and request to put their share into the realization of the third stage of the Mentoring Project. Let us join forces to help IDP students become genuine professionals, broaden their outlook, get better acquainted with Georgia and the society in which they live, become its full-fledged, valuable members.

*Prof. TAMARI TSINTSADZE  
Charter President, Rotary Club of Tbilisi Academia  
„Georgian Journal“, 5-11 Sept. 2013*

## **Information on Rotary Club of Tbilisi Academia**

**(ANSWER TO A QUESTION FROM THE EMBASSY OF GEORGIA IN USA)**

Rotary Club of Tbilisi Academia was chartered by me in May 2009. Actually it is the oldest club in Georgia (the one which existed earlier was terminated 13 years ago). So I am Charter President of RC of Tbilisi Academia, currently its Secretary (all positions are annually changed by rotation).

Since its foundation the club created and implemented many social/humanitarian projects in cooperation with American and German clubs. For a few years, until it functioned, we were helping Saguramo Orphanage (computerising it and putting together its library). Our club implemented a 2-year project aimed at better socializing IDP students (Internally Displaced Persons) in the society by giving them deeper professional and general knowledge and skills. It was a piloting project in which for the first time professors were acting as volunteers. Above mentioned projects were implemented in cooperation with Lincoln Rotary Club (Nebraska, USA; Mr. Tom Cardwell).

Later we implemented a project aimed at helping children in Abkhazian mountain villages (anemia-prevention project) with the help of Rapahenock Rotary Club (Virginia, USA). There were other projects. German rotarians helped us to renovate and equip with computers a youth center in Telavi. Some projects were implemented with the help of funds put together by our club members- like a project with the Center of Disabled Children (Tbilisi). We sponsored them on several occasions, among other things ordered for the Center garden benches with Rotary logo



on each. We are preparing for the next round of the project- in September 2021 the Center will celebrate its 30th anniversary. We shall participate and help with festivities.

At present we are engaged in putting together a new global grant project aimed at helping another group of disabled children (in Gori) by finding the means for the preparation of caregivers for such children which will hasten the process of their rehabilitation. Tomorrow we shall have an on-line meeting with a representative of a Rotary Club in Los Angeles (a Georgian lady Anna Sakvarelidze). It may be a mutual project which will do much good for disabled children in Georgia. In future, if there is interest, we shall inform you of further developments.

I should mention the fact that your letter is the first time an Embassy or a Consulate takes an interest in the work of a Rotary Club in Georgia. It means a new, very important stage, showing that the interest of our agencies and countrymen abroad is growing towards the work of rotary clubs in Georgia. We are really grateful and encouraged by that.

If there are any questions, please feel free to contact me at email address tamriko@mail.com, mob. +995 577 461 038

*Sincerely*

*Prof. TAMARI TSINTSADZE*

*Two PhDs in American Studies*

*Charter President, RC of Tbilisi Academia*

## საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება იყო დაარსებული 2009 წელს პროფესორ თამარ ცინცაძის მიერ, თუმცა მჭიდრო ურთიერთობა ამ ჯერ დაურეგისტრირებელ საზოგადოებას და საქართველოს დიპლომატიურ აკადემიას შორის აღმოცენდა საქართველოში ჩინეთის საელჩოს გახსნის შემდეგ. თ. ცინცაძე იწვევდა უცხო ქვეყნების ელჩებს დიპლომატიურ აკადემიაში სტუდენტებთან შესახვედრად. ჩინეთის ელჩები ხვდებოდნენ დიპლომატიურ აკადემიაში არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ თ. ცინცაძის მეგობრების ჯგუფს, რომლებიც სწავლობდნენ ჩინეთის კულტურას, მოგვიანებით კი გაერთიანდნენ საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებაში. იმავე პერიოდში ჩინეთის ელჩები და საელჩოს თანამშრომლები დიპლომატიური აკადემიის შენობაში ხვდებოდნენ საქველმოქმედო „როტარი კლუბი თბილისი აკადემია“-ს წევრებს. ეს კლუბი ერთერთია 35 000 როტარი კლუბებს შორის, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო როტარის ვრცელ სისტემას. თ. ცინცაძემ დააარსა როტარი კლუბი 2009 წ. - იმ პერიოდში,

როდესაც დააფუძნა საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება.

ამგვარად თ. ცინცაძემ გააერთიანა თავისი საზოგადოებრივი ინტერესების რამდენიმე წახნაგი - ინტერესი დიპლომატიისადმი (დიპლომატიური აკადემია, რომლის ერთერთი დამფუძნებელი იყო 1995 წ. და რომლის მუცვლელი ვიცე-პრეზიდენტი იყო 1995-2015 წლებში); თავისი მრავალწლიანი ინტერესი ჩინეთისადმი (საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება, რომელიც დააარსა 2008 წელს, ხოლო დაარეგისტრირა 2009 წელს); ინტერესი ქველმოქმედებისადმი („როტარი კლუბი თბილისის აკადემია“, რომელიც მან დააფუძნა 2009 წ.). როდესაც ჩინეთის ელჩები ხვდებოდნენ დიპლომატიურ აკადემიაში სტუდენტებს, აკადემიის შენობაში ისინი აგრეთვე ხვდებოდნენ ორი ზემოთაღნიშნული საზოგადოების წევრებსაც - საქართველო-ჩინეთის საზოგადოებას და როტარი კლუბის წევრებსაც. ელჩების (ვან კაივენი, იუე ბინი და სხვ.) ესწრებოდნენ საქართველო-ჩინეთის საზოგადოების სხდომებს, მონაწილეობდნენ მის მუშაობაში, ერთად აღნიშნავდნენ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების წლისთავებს.

საინტერესოა ერთი დეტალი - სანამ საქართველოში გაიხსნებოდა ჩინეთის საელჩო, თ. ცინცაძემ თავისი ჩინეთისადმი მრავალწლიანი ინტერესის შედეგად შეძლო ჩინური კულტურის არტეფაქტების საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექციის შეგროვება, რომელიც შეიცავს სურათებს, გობელენებს, ლარნაკებს, სერვიზებს, ყულაბებს, ფიგურებს; ფაიფურს, კერამიკას, ხეს, მინაქარს და სხვ. ყოველივე ამისაგან შეიქმნა მცირე „ჩინური მუზეუმი“. ხელაძვდნენ რა თ. ცინცაძის ღრმა ინტერესს ჩინეთის კულტურისადმი, ელჩებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ კოლექციის გამდიდრებაში - ამგვარად ამ პატარა „მუზეუმში“ გაჩნდა ძველი ჩინური ბრინჯაოს ასლები, ნაქარგი აბრეშუმზე, ერთერთი ელჩის მიერ შესრულებული ფოტოსურათები და სხვ. საინტერესოა ხელით ნაქარგი პანო, რომელიც თ. ცინცაძემ ჩამოიტანა ჩინეთიდან, სადაც იყო მიწვეული მესამე საერთაშორისო ქალთა კონგრესზე, რომელზეც შეგროვდნენ ქალბატონები - უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები. იმ კონგრესიდან თ. ცინცაძემ ჩამოიტანა დიპლომი ჩინეთის უდიდესი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში შეტანილი წვლილისათვის (მან კონგრესის მრავალრიცხოვან მონაწილეებში ყველაზე მეტი საკუთარი ავტორობით გამოქვეყნებული წიგნი უსაჩუქრა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას). კონგრესის ორგანიზატორების თხოვნით მან დაწერა წერილი ჩინური კულტურისადმი თავისი ინტერესის შესახებ, რომელიც მასში ჯერ კიდევ სკოლის წლებში ჩაისახა.

ჩვენ ვთავაზობთ თ. ცინცაძის ვრცელ წერილს ფეისბუქის მომხმარებლებს, რადგან მასში ასახული მასალა წარმოადგენს ჩინური კულტურის ფორმებისა და საწყისების ორიგინალურ გააზრებას, გვიჩვენებს ამ უძველეს კულტურაში ახლისა და უძველესის შერწყმას, იმას, თუ რატომ არის ეს კულტურა მიმზიდველი სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებისათვის. წერილი წარმოდგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე.

რაც შეეხება ურთიერთობებს ჩინეთის საელჩოსა და საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებას შორის, ისინი მომავალშიც განვითარდება და გამდიდრდება. 2018 წ. ივნისისათვის დანიშნულია ერთობლივი სხდომა ჩინეთის საელჩოს თანამშრომ-

ლებისა და ელჩის, ბ-ი ძი იანჩის თაოსნობით და საქართველო-ჩინეთის მეგობრობის მრავალეროვან წევრებს შორის. ეს საზოგადოება არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს აზიარებს ჩინეთის უმდიდრეს კულტურას, არამედ მის უცხოელ წევრებსაც (აშშ-დან, იტალიიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან). ივნისის სხდომა ეძღვნება ჩინეთისა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაარსების 26 წლისთავს. ანალოგიური სხდომა ადრეც შემდგარა და მიძღვნილი იყო ამ ურთიერთობების 23 წლის ისტორიას. მაშინ სხდომა გახსნა ჩინეთის იმდროინდელმა ელჩმა, ბ-ნა იუე ბინმა; ვრცელი მოხსენება გააკეთა მეგობრობის საზოგადოების წევრმა პროფ. ნ. ღურმიშიძემ. გაზაფხულზე დავიწყებთ მზადებას შემდეგი სხდომისათვის ა. წ. ივნისში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთის საელჩო ყოველწლიურად აძლევს საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებას 2-3 ადგილს საზოგადოების წევრების, მოკლევადიანი სტაჟირებისათვის ჩინეთში. ეს თავის მხრივ ადრმავეებს საზოგადოების წევრების ინტერესს ჩინეთისადმი, მათ ცოდნას ამ ქვეყნის შესახებ, ისევე როგორც მისი მდიდარი მატერიალური და არამატერიალური კულტურის შესახებ.

3 წლის წინ საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებას ესტუმრა ჩინეთის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. დაისახა ახალი კონსტრუქტიული ურთიერთობების პერსპექტივა. მაგრამ ჩინეთთან მეგობრობის საზოგადოების მთავარ პარტნიორად მიგვაჩნია ჩინეთის საელჩო საქართველოში, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა ამ საზოგადოებას. მეგობრობა, ურთიერთგაგება და თანამშრომლობა - ეს ისაა, რაც ასახულია ჩინეთთან მეგობრობის საზოგადოების ლოგოტიპზე - ორი ქვეყნის ხალხთა ძლიერი ხელის ჩამორთმევა.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება

ველით ჩვენს საზოგადოებაში როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე ჩინეთის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

## Общество Дружбы между Грузией и Китаем (ОДГК)

Общество Дружбы между Грузией и Китаем основано проф. Тамарой Цинцадзе в 2009 г; хотя тесные дружеские связи между этим тогда еще незарегистрированным обществом и Дипломатической Академией Грузии возникли с открытием Посольства КНР в Грузии. Т. Цинцадзе приглашала послов зарубежных стран в Дипломатическую Академию на встречу со студентами каждую неделю. Послы КНР встречались в Дип. Академии не только со студентами, но и с группой, изучающей культуру Китая, которая впоследствии образовала Общество Дружбы между Грузией и Китаем. В то же время послы Китая в здании Дип. Академии

встречались и с благотворительным Ротари Клубом Тбилиси Академия, основанным проф. Т. Цинцадзе в том же 2009 году – временем основания ею же Общества Дружбы между Грузией и Китаем.

Таким образом проф. Цинцадзе соединила воедино несколько граней своего интереса – к дипломатии (Дип. Академия, одним из основателей которой была в 1995 г. и бессменным вице-президентом в 1995-2015 гг.); многолетний интерес к Китаю (ОДГК, основанное ею в 2000 г., но зарегистрированное в 2009 г.); интерес к благотворительности (Ротари Клуб Тбилиси Академия, основанный ею в 2009 г.). Посещая Дип. Академию и работая с ее студентами, послы КНР встречались в здании Академии и с членами обоих вышеупомянутых Обществ – Дружбы с Китаем и Ротари клубом. Это были послы Ван Кайвен, Юэ Бин и др. Послы КНР присутствовали на заседаниях Общества Дружбы с Китаем, участвовали в его работе, вместе отмечали годовщины установления дипломатических отношений между Китаем и Грузией.

Интересна одна деталь – до того, как в Грузии открылось Посольство КНР, Т. Цинцадзе, благодаря своему давнишнему интересу к Китаю, смогла собрать многочисленную коллекцию артефактов китайской культуры – картины, гобелены, вазы, сервизы, шкатулки, фигурки, фарфор, керамику, фаянс, дерево, перегородчатую эмаль и др. Из всего этого возник домашний китайский музей. Видя неподдельный интерес Т. Цинцадзе к культуре Китая, послы стали вносить свой вклад в пополнение этой коллекций – так в этом маленьком музее появились копии древней китайской бронзы, вышивка на шелку, фотокартины и др. Интересное ручной работы вышитое пано Т. Цинцадзе привезла из Китая, куда была приглашена на III Международный Конгресс женщин-президентов вузов. Кстати, оттуда же она привезла и присвоенный ей диплом за вклад в фонд библиотеки самого большого университета Китая – Университета Коммуникаций. По просьбе организаторов Конгресса она написала статью об истоках своего интереса к культуре Китая, возникшего еще в школьные годы.

Мы предлагаем эту статью посетителям фейсбука, т. к. представленный в ней материал это и оригинальное осмысление формы истоков китайской культуры, органичного слияния древнего и нового в культуре этой страны, причин привлекательности этой культуры для представителей разных народов. Статья представлена на английском и грузинском языках. Позже дополненная версия будет опубликована и на русском языке.

Что же касается отношений между Посольством КНР и Обществом Дружбы между Грузией и Китаем, то они будут и далее развиваться и обогащаться. На июнь 2018 г. уже назначено совместное заседание сотрудников посольства во главе с послом, г-ом Цзи Янчи и многонациональными членами Общества Дружбы с Китаем. Общество приобщает не только граждан Грузии к культуре Китая, но и ее иностранных членов (из США, Италии, Германии, Турции). Июньское совместное заседание будет посвящено 26-летию дипломатических отношений между двумя странами. Аналогичное заседание проводилось и ранее в ознаменование 23-ей годовщины дипломатических отношений. Это заседание открыл посол КНР; с подробным докладом выступил член Общества Дружбы проф. Н. Дурмишидзе. Весной

ბუდემ გოვოფიქსუ კ სლედუოქუი იუნიქსოი ვსტრეჩე. პრიმეჩატელნო ი თო, ქო პოსოლსტვო კნრ ექეგოდნო პრედოსტავლუეტ ობშესტვო დრუჟბუ დლუ ეო ქლენოვ 2-3 მესტა დლუ კრატკოვრემენნი სტაჟიროვკი ვ კიტაე, ქო ვ სვოი ოქერედუ ოღლუბლუეტ ინტერეს ქლენოვ ობშესტვო კ კიტაი, იქ პოზნანიუ ობ ეთი სტრანე ი ეე ბოგათი მატერიული ი ნემატერიული კულტურე.

3 გოდა ნაზად ობშესტვო დრუჟბუ ს კიტაემ პოსეტილუ დელეგაციუ ობშესტვო დრუჟბუ კიტაი ს ზარუბეჟნი მი სტრანე მი. ნამეტილს პერსპექტივუ ნოვიქ კონსტრუქტივიქ ობშესტვო დრუჟბუ მი რასმატრივუმ პოსოლსტვო კნრ ვ გრუზიი, ვსეგდუ ოკაზივავშემუ ნამ პოდდერჟკუ. დრუჟბუ, ვზაიმოპონიმიანიე ი სოტრუდნიქსტვო- ეთო თო, ქო ოტრეჟენო ვ ლოგოტიპე ნაშე ობშესტვო – კრეპკოე რუქოპოჟატიე ნაროდოვ დვუქ სტრანო.

*ობშესტვო დრუჟბუ მეჟდუ გრუზიი ი კიტაემ*

\* \* \*

ბეჟვრი რამ არის კიდეჟ ჩემს წარსულსა და აწმყოში, რაც იმსახურებს ხსენებას და გარკვეულ ინტერესსაც წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობ, აქ დავამთავრებ ჩემს მოგონებებს. მადლობა მათ, ვინც წაკითხავს წიგნის ამ თუ იმ ნაწილს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც ეყოფა მოთმინება გაეცნოს მთელ წიგნს.

*თამარ ცინცაძე*

არ არის ადვილი წარმატების კიბეზე ისე იარო, რომ არ დაიღალო, ფეხი არ დაგიცდეს, გზადაგზა არ შეჩერდე, იარო შეუსვენებლად, არავინ მოიმდურო, მტრები და მოშურნეები არ დააგროვო... დიახ, არაა ადვილი იყო ქალი მეცნიერი, მკვლევარი, დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი, საქველმოქმედო კლუბის და სამხატვრო გალერეის დამაარსებელი, იყო შესანიშნავი შვილების დედა და მეუღლე. თამარმა შეძლო ჯერ კიდევ კომუნისტურ რეალობაში შეექმნა ძლიერი ქალის ასეთი იმიჯი.

კომუნიკაბელური, დაუზარელი, საინტერესო - ვამბობ მასზე, ქალზე, რომლის ინტერესების სფერო არის ფართო. ის უთავსებს სამეცნიერო-პედაგოგიურ, კულტურულ საქმიანობას საზოგადოებრივს. თამარის მიერაა დაფუძნებული სამხატვრო გალერეა „თამარისი“.

თამარის პირადი სივრცე ერთი დიდი მუზეუმი - კედლებზე განფენილი ტილოებით, გობელენებით, სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა არტეფაქტებით და ა.შ. როგორც კი ფეხს შეაბიჯებთ მის სივრცეში, მიხვდებით, რომ ეს ქალბატონი ახალგაზრდული ენერჯით სილამაზისკენ ილტვის... და რომ გარემო, რომელსაც ქმნის, ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის, არხევს და ათრთოლებს ადამიანის სულის სიმებს.

როდესაც ვკითხულობ თამარის სტატიებს, მიძღვნილს აფრო-ამერიკულ ლიტერატურასა და ფართო კულტურას, ნარკვევებს საზოგადოებისთვის საინტერესო ფიგურებზე, სტატიებს მხატვრობაზე, მხატვრებზე (რომელთა ფერწერული ტილოები შეადგენს ასევე მის კოლექციას), ვფიქრობ, როგორ მოასწრო ამდენის შესწავლა, გააზრება, დაწერა...

წრფელი, ალაღ-მართალი ადამიანური ურთიერთობები მისთვის ყოველთვის იყო შეუცვლელი. ხშირად ცხოვრებისგან თავმოებურებულები გავრბივართ, გავრბივართ სად და რატომ? - თვითონაც არ ვიცით... გვერდს ჩავუვლით ადამიანებს, რომლებიც მნიშვნელოვანნი არიან ქვეყნისთვის, მაგრამ სათანადოდ ვერ ვაფასებთ, ყურადღებას ვერ ვაქცევთ მათ. სხვა შემთხვევაა თამარ ცინცაძე, მის სალონში ყოველთვის შეხვდებით გამორჩეულებს, საინტერესოებს, იმათ, ვისთანაც ურთიერთობა გმატებს გამოცდილებას, სიბრძნეს.

თამარი აყალიბებს საქმიან გარემოს მის ირგვლივ. არ ჰყოფს ადამიანებს გამარჯვებულებად და დამარცხებულებად, პოლიტიკური ამინდისა და უამინდობისამებრ... ის ხომ დიპლომატიის მცოდნე ქალია, რომელიც სტუდენტებს ასწავლის, რომ ცხოვრება ნიჭი და შესაძლებლობაა; რომ ინიციატივის მქონე, იდეის მატარებელი ადამიანები მუდმივად ცვლიან სამყაროს უკეთესობისკენ; ის ასწავლის, რომ ზედაპირული მიდგომები არ ამართლებს, ამით არ იგებს არც მეცნიერება და არც მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები; რომ ადამიანებს უნდა შესწევდეთ ძალა და ადაპტაციის უნარი დროის

მოტანილ ცვლილებებზე მოახდინონ სწრაფი რეაგირება და ცხოვრების კრიზისული სიტუაციებიდან გამარჯვებული გამოვიდნენ...

თამარი საოცარი ქალური ალღოთი, შარმით მიუყვება გზას სიმადლისკენ. ყოველთვის იცოდა და იცის, მისი შემდეგი ნაბიჯი სად მიიყვანს. ასე შედგა და ჩამოყალიბდა ძლიერ ქალად.

ქალი- დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი,

ქალი- საქველმოქმედო „როტარი კლუბის“ დამაარსებელი, საერთაშორისო ქალთა ასოციაციის წევრი,

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების შემქმნელი პრეზიდენტი,

ქალი- მეცნიერი, პროფესორი, ერთადერთი საქართველოში აფრო-ამერიკანისტი.

თამარს მეტწილად ემოცია ასაზრდოებს, რომელიც გადამდებია მისი გარემოცვისთვისაც. ის არის სიტყვაუხვი, იმავდროულად დინჯი, სათქმელს ხატოვნად, ტევადი ფრაზებით გადმოგვცემს, მისი მიდგომები ყველაფრისადმი არის შემოქმედებითი.

ვფიქრობ, რომ თამარ ცინცადის ინტელექტუალური რესურსი ჯერ კიდევ დაუხარჯავია ქართული სახელმწიფოსთვის. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ასეთი დონის ქალბატონის შესაძლებლობების გამოყენება.

წინამდებარე წიგნში ჩატეულია ერთი ქალის ცხოვრების დიდი ნაწილი. ეს წიგნი არის მაგალითი, თუ როგორ უნდა იშრომო თავდაუზოგავად, როგორ უნდა გიყვარდეს საქმე, და კიდევ ის, რომ უსიყვარულოდ არაფერი გამოდის ცხოვრებაში...

მიიღეთ ეს წიგნი როგორც სახელმძღვანელო- როგორ უნდა გახდე ძლიერი, წარმატებული, გემოვნებიანი მაშინაც კი, როცა ბუნებამ ასეთი სილამაზით დაგაჯილდოვა, შექმნა საკუთარი სტილი და სახე. მუდმივად გბაძავდნენ, შურდეთ შენი და მაინც უყვარდე ბევრს, მუდამ ღირსეულად გაუძლო ყველა გამოწვევას და იყო სამაგალითო.

ბელა ალანია

*მწერალი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი*

It is difficult to go up the stairs of success and not get tired, not stumble not stop for a while, not offend anybody, not find enemies... Yes, it is difficult to be a woman – a scholar, researcher, vice-president of the Diplomatic Academy, founder of a charity Rotary club and an art gallery, be an excellent mother and spouse. Tamara managed to create an image of a strong woman even in the communist reality. A communicative, tireless, interesting person- I am speaking about her, the woman, whose scope of interests is very broad. She manages to combine scholarly, pedagogical and cultural activists. She is also the founder of Art Gallery „Tamarisi“. Her home is a big museum. On the walls you see colorful pictures, tapestries, panoes, everywhere around- artefacts of various cultures and periods.

As soon as you find yourself in her personal space, you realize, that this woman strives for the beautiful with young enthusiasm and that the atmosphere, which she creates, is very important for her, and touches the souls of those who enter this peculiar space.

When I read Tamara's articles, dedicated to African-American literature and broader culture, essays, dedicated to interesting historical figures, art, artists (whose works are part of her collection), I ask myself- where and how did she manage to study, think over, write or collect so much... For her candid, open-hearted human relations are important and vital. Often, tired of life, we run from it, but where and why?- we do not really know. Often we pass people by, who are important for the country, but whom we do not value properly, do not pay them due attention. Tamara Tsintsadze is a different case. In her house you will always meet interesting people, knowing whom enriches you, adds to your experience and wisdom.

Tamara creates a busy, creative atmosphere around herself. She does not divide people into successful and failures, winners and losers, by political or other considerations. This woman, for whom diplomacy is not an unfamiliar subject, teaches her students, that life is a talent and a possibility, that people with intuition and ideas can change the world to the best; she teaches that superficial approach is not justified, that it never enriches science or helps to make the right decision; that people should have strength and ability for adaptation in order to respond to quick pace of life and overcome critical situations. Tamara goes to her high destination points with rare feminine intuition and charm. She always knew and knows, where her next step will bring her. Thus she made herself into a strong woman.

A woman- Vice President of the Diplomatic Academy of Georgia.

A woman- founder of a rotary club, member of International Woman Association, founder and President of the Society of Friendship between Georgia and China, professor, the only scholar in African-American studies in Georgia.

For the most part she is moved by emotion, which she passes over to those around her. She is verbose, but at the same time reserved, speaks in clear-cut, meaningful phrases; her attitude



towards everything is creative. I think Tamara Tsintsadze's intellectual resource is far from being exhausted for our society. Our country has to use knowledge and possibilities of such persons, as cooperation with them is beneficial for our society.

The book which she offers to the reader comprises a substantial part of her life. This book is an example of how tirelessly one should work, how one should love his profession and also it teaches that without love one cannot attain anything.

Consider this book a textbook on how to become a strong, successful person with a fine taste. Even when nature gives you such beauty, still to create your style and image; to have those who are envious and not well-wishing, and at the same time to have those who admire and respect you; to overcome difficulties and challenges and always be an example for others.

BELA ALANIA

*writer, member of the Board of the Writer's Union of Georgia*

## Послесловие

Не легко идти по лестнице успеха так, чтоб не устать, не споткнуться, не приостановиться, идти без остановки, никого не обидеть, не создать себе врагов... Да, не легко быть женщиной — учёным, исследователем, проректором Дипломатической Академии, основателем благотворительного клуба и художественной галереи, быть прекрасной матерью и женой. Тамара смогла ещё в коммунистической реальности создать такой имидж сильной женщины.

Коммуникабельная, неустанная, интересная — говорю я о ней, о женщине, сфера интересов которой весьма широка. Она совмещает научно-педагогическую и культурную деятельность с общественной. Она — основатель художественной галереи „Тамариси“. Её жильё — это большой музей. На стенах развешаны художественные полотна, гобелены, выставлены артефакты разных культур и эпох. Как только оказываешься в её личном пространстве, понимаешь, что эта женщина с молодой энергией стремится к прекрасному и что среда, которую она создаёт, очень важна для неё, она касается душевных струн попадающих туда людей.

Когда читаю статьи Тамары, посвящённые афро-американской литературе и широкой культуре, очерки, посвящённые интересным историческим фигурам, живописи, художни-

кам (чьи работы составляет её коллекцию), задаюсь вопросом — когда успела она столько изучить, осмыслить, написать, собрать... Для неё важны и незаменимы искренние человеческие взаимоотношения. Часто, устав от жизни, мы бежим от неё, но куда и зачем? — сами не знаем... Проходим мимо людей, которые важны для страны, но которых не ценим по настоящему, не уделяем им должного внимания. Тамара Цинцадзе — это другой случай. В её окружении всегда встретишь избранных, интересных людей, знакомство с которыми добавляет тебе опыта и мудрости.

Тамара создаёт деловую обстановку вокруг себя. Не делит людей на успешных и неудачников, победителей и побеждённых, по политическим соображениям и погоде. Эта женщина, знакомая с дипломатией, учит студентов, что жизнь — это талант и возможности, что люди с интуицией, идеями изменяют мир к лучшему; она учит, что поверхностный подход не оправдан, этим не обогатить ни науку, ни принять важные жизненные решения; что у людей должны быть сила и умение адаптироваться, чтобы быстро отреагировать на жизненные перемены и выйти победителем из кризисных ситуаций.

Тамара идёт к своим высотам с удивительной женской интуицией и с шармом. Она всегда знала и знает, куда приведёт её следующий шаг. Так она состоялась и сформировалась как сильная женщина.

Женщина-проректор Дипломатической Академии.

Женщина-основатель благотворительного Ротари клуба, член Международной женской ассоциации, основатель и президент Общества дружбы между Грузией и Китаем, профессор, единственный в Грузии афро-американист...

Тамарой движет большей частью эмоция, которой она заражает и своё окружение. Она многословна, но одновременно и сдержана, говорит чёткими, ёмкими фразами; её отношение ко всему творческое. Думаю, что интеллектуальный ресурс Тамары Цинцадзе далеко не исчерпан для нашего общества. Нашей стране необходимо использовать возможности и знания такой женщины.

Представленная книга вмещает большую часть её жизни. Эта книга — пример того, как надо трудиться, не покладая рук, как надо любить своё дело, и ещё то, что без любви ничего не добиться.

Примите эту книгу как учебник — как надо стать сильным, успешным человеком со вкусом. Даже тогда, когда природа наделила тебя такой красотой, всё равно создавать свой стиль и свой образ. Иметь подражателей, завистников, но и почитателей, преодолевать сложности и вызовы и всегда быть примером.

*БЕЛА АЛАНИЯ*

*Писатель, член правления Союза писателей*




დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

თბილისი, 2023







სურათზე ჩანს საფეხურები –  
ეს ჩემი ცხოვრების ეტაპებია...

## თამარ ცინცაძე. ცხოვრების ეტაპები

### სწავლა, მაცნობიერება:

- თბილისის ქალთა მე-3 სკოლა (შემდგომ 66-ე)
- თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინსტიტუტი
- საკანდიდატო დისერტაციის დაცვა თსუ-ში
- სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში
- სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, კონგრესები
- სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა – მონოგრაფიები, ბროშურები, სტატიები
- მრავალთვიანი მივლინებები/სტაჟირება საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი)
- მგზავრობები ევროპის, აზიის, ამერიკის კონტინენტებზე

### სამსახური:

- თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინსტიტუტი
- პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტი
- საქ. დიპლომატიური აკადემია
- ჯ. კენანის ინსტიტუტი, ვაშინგტონი (აშშ)
- კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი (აშშ)
- ლექციები აშშ-ს უნივერსიტეტში

### დამფუძნებელი:

- ერთ-ერთი საქველმოქმედო როტარი კლუბის
- საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების
- ქალთა საქველმოქმედო კლუბის
- სამხატვრო გალერეა „თამარისი“-ს
- სასწავლო სტრუქტურის „დიპლომატიური აკადემია და სკოლა“
- საქ. დიპლომატიური აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი

### წევრობა:

- როტარი ინტერნეშენალის სისტემაში, საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციაში, კენანის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ასოციაციაში (აშშ), საქ. დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი

### ოჯახური სტატუსი:

- გათხოვილი, ორი შვილი

ISBN 978-9941-34-350-6



9 789941 343506